სულიერი ფორმირება

გაკვეთილები ქრისტეს მსგავსებაში გარდასახვისთვის

შეპერდს გლობალის სკოლის

სასწავლო კურსის სახელმძღვანელო

ქრისტეცენტრული. სწავლება. ყველგან.

ქრისტიანული სწავლება

ტიმოთი კიპი

Copyright © 2018 Shepherds Global Classroom

პირველი გამოცემა [ქართული] ISBN: [_____]

ყველა უფლება დაცულია. ტესტებისთვის განკუთვნილი გვერდების გარდა, ამ წიგნის სხვა, ნებისმიერი ნაწილის ხელახალი გამოცემა ან გადაცემა ელექტრონულად, მექანიკურად, ქსეროასლით, ჩანაწერით ან სხვა ნებისმიერი ფორმით დაუშვებელია - "შეპერდს გლობალ კლასრუმ"-ის (SGC-ის) წერილობითი ნებართვის გარეშე. SGC-ს ინგლისურენოვანი სასწავლო გეგმის ყოველი შენაძენი, საშუალებას გვაძლევს ვთარგმნოთ და შემდეგ გავუზიაროთ იგივე სასწავლო პროგრამა ქრისტიან ლიდერებს მთელს მსოფლიოში. SGC-სთან დასაკავშირებლად ან ამ საინტერესო ხედვისთვის შესაწირავის გასაგზავნად, გადადით ShepherdsGlobalClassroom.org - ზე.

დაბეჭდილია: _____-მიერ

Unless otherwise indicated, all Scripture quotations are from the Holy Bible, New King James Version. Scripture quotations marked as “ESV” are from ESV® Bible (The Holy Bible, English Standard Version®), copyright © 2001 by Crossway, a publishing ministry of Good News Publishers. Used by permission. All rights reserved.

სულიერი ფორმირება სარჩევი

გაკვეთილი 1: ქრისტეს მსგავსებაში გარდასახვა	7
გაკვეთილი 2: სულიერი ფორმირების სამშენებლო ბლოკები	27
გაკვეთილი 3: ბიბლიური დარწმუნებულობის მაფორმირებელი ძალა	43
გაკვეთილი 4: სულიერი ფორმირება ღმერთის შეცნობის გზით	63
გაკვეთილი 5: სულიერი ფორმირება თვითშემეცნების მეშვეობით	79
გაკვეთილი 6: სულიერი ფორმირება თვითშემეცნების მეშვეობით	97
გაკვეთილი 7: ქრისტეს მსგავსება სულიერი წრთვნის მეშვეობით	109
გაკვეთილი 8: მიძღვნის სულიერი დისციპლინები (განმარტოება, მედიტაცია, მარხვა, უბრალოება)	125
გაკვეთილი 9: მიძღვნის სულიერი დისციპლინები (პირადი ლოცვა)	147
გაკვეთილი 10: მოქმედების სულიერი დისციპლინები (აღიარება, მორჩილება, და მსახურება)	165
გაკვეთილი 11: პირადი დისციპლინა (ენა და ცხოვრებისეული აზროვნება)	187
გაკვეთილი 12: პირადი დისციპლინა (გემოვნება, დრო, ტემპერამენტი, პირადი შეხედულებები)	205
გაკვეთილი 13: ფორმირება ტანჯვების მეშვეობით	221
გაკვეთილი 14: ფორმირება ქრისტიანული თემის/ეკლესიის მეშვეობით	241

მითითებები კლასის ლიდერებისათვის

ეს კურსი განიხილავს ქრისტიანის სულიერ ფორმირებას ქრისტეს ხატად. თითოეული კლასის სესიისთვის უნდა გამოყოთ 90-120 წუთი, გარდა ამის, განსაზღვრეთ დრო კლასგარეშე დავალებების შესასრულებლად.

გაკვეთილის სტრუქტურა

1) როდესაც ტექსტში გხვდებათ ასეთი ნიშანი►, დასვით შეკითხვა, რომელიც მოყვება მას და მიეცით სტუდენტებს სასუალება განიხილონ პასუხი. შეეცადეთ დარწმუნდეთ, რომ კლასის ყველა მოსწავლე ჩართულია განხილვაში. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ თავად გამოიძახოთ სტუდენტები.
2) მრავალი ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები წარმოადგენს წმიდა წერილების კომენტარებს. გთხოვთ, მოუწოდეთ მოსწავლეებს/სტუდენტებს, რომ კლასში მეცადინეობის დროს მოძებნონ და წაიკითხონ ზოგიერთი ეს მუხლი.
3) თითოეული გაკვეთილი მოიცავს მინიმუმ სამ დავალებას.
   a) თქვენ მოგეთხოვებათ გამოიყენოთ ექიმ ალან ბრაუნის "ყოველდღიური ლოცვების სახელმძღვანელო", როგორც გზა, რათა გაწვრთნათ საკუთარი თავი წმინდა წერილებით ლოცვაში და ისწავლოთ ლოცვაში მოზიარება და ურთიერთობა ღმერთთან.
   b) მოგეთხოვებათ დაწეროთ პირადი ლოცვა რომელიც დაეფუძნება იმას, თუ რა ისწავლა მოსწავლემ გაკვეთილზე. ეს ლოცვები უნდა იყოს დაცული პირადი ლოცვებისდღიურში. ამ დავალების მიზანია სტუდენტების წახალისება პირადული გახადონ ის ბიბლიური ჭეშმარიტებები, რომლებიც გაკვეთილებზე ისწავლება, რომ შემდგომში ისინი გულწრფელ ლოცვებად აქციონ.
   c) ასევე მოგეთხოვებათ გააკეთოთ ჩანაწერები აღრიცხვის სახით, თუ რას გასწავლით ღმერთი ყოველი გაკვეთილის საშუალებით.

   ---

4) ყოველი გაკვეთილის დასაწყისში სტუდენტებს მიეცემათ საშუალება, თუ მათი სურვილი და არჩევანი იქნება ეს, რომ გაუზიარონ საკუთარი დაწერილი ლოცვა თავის თანაკლასელებს. ამ სავარჯიშოს მიზანია თავმდაბლობისა და ურთიერთ ანგარიშვალდებულების პრაქტიკის გავლა და სულიერი მოზიარეორობით დატკბობა.

5) ყოველი გაკვეთილის ბოლოს არის ტესტი. ტესტირწბა ჩატარდება ზეპირად ან წერილობით.

გაკვეთილი 1

ქრისტეს მსგავსებაში გარდასახვა

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტები:

1. უნდა იყონ შემძლენი მისცენ განსაზღვრება სულიერ ფორმირებას.
2. უნდა შეძლონ წარმოადგინონ სურიერი ფორმირების ბიბლიური საფუძველი
3. მოახდინონ ქრისტიანული მანდატის გაგების ფორმირება და შეძლონ მისი ფორმულირება
4. იყონ შემძლენი, რომ დისკუსირებდნენ, სულიერი ფორმირების ზოგიერთ სიძნელეებზე.

ცხოვრებისეული მომენტები

- ჩვენმა მეზობლებმა ახლახანს გაიცნეს იესო, და აღსაფრთოვანებელია მათი რწმენის ზრდა. არც ერთი მათგანი არ გაზრდილა ქრისტიანულ სახლში. არცერთ მათგანს არ აქვს დიდი გამოცდილება ეკლესიური, მაგრამ მე და ბეკი გაგვახალისეს, როდესაც ვუყურებდით თუ როგორ გარდაქმნა და შეცვალა სახარებამ მათი ოჯახი. ჩემს ცხოვრებაში არცთუ ბევრს შევხვედრივარ ასე დაინტერესებულს ღვთის სიტყვით, როგორც დენი და კიმი.
  ამას წინათ ვიყავით იოანეს სახარების მეშვეობით ბიბლიის შესწავლის შუაგულში, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორ კითხვას: 1„რას ამბობს ეს წიგნი იესოზე? “ 2 "როგორ უნდა შეცვალოს ასეთმა შემეცნებამ ჩვენი ცხოვრება?" მოულოდნელად და დამაჯერებლად ჟღერდა მისი ხმა, კიმმა წამოიძახა: მინდა, რომ იესოს ვემსგავსო! ყველაფერში რასაც ვაკეთებ და ვამბობ; და ჩემი ცხოვრების ყველა ნაწილში, მე მხოლოდ ის მინდა, რომ მას ვამსგავსო! ”ძალიან განსაკუთრებული, თუნდაც წმინდა, მომენტი იყო, რადგან იგი არ გაიზარდა ამ ტიპის ენის მოსმენით. ეს განსაკუთრებული მომენტი იყო, რადგან ეს ჩვენება სულიწმიდის მიერ კიმის გულში ჩადებული , ლტოლვის გამოხატულება იყო მისი სიტყვის საშუალებით. კიმ და დანიმ დაინახეს, რომ იესოში ადამიანი იყო ისეთი დამაჯერებელი და მიმზიდველი , რომ დიდი ხნის განმავლობაში უნდოდათ გამხდარიყვნენ მისნაირი. ეს არის ბუნებრივი სურვილი, რომელსაც უნდა ჰქონდეს ყველა მორწმუნეს.

ძირითადი აზრი

გადარჩენის მიზანი - ეს არა მხოლოდ პატიებაა, არამედ ღმერთის მსგავსების აღდგენა ჩვენში.

შესავალი

სულიერი ფორმირება არის კურსი, რომელიც განკუთვნილია მორწმუნეებისთვის, რომელთაც სურთ გარდაისახონ და შეიცვალონ. იგი დაწერილია კაცთათვის და ქალებისთვის, რომლებიც

კვლავ დაიბადნენ, თუნდაც მათთვის, ვისაც ღმერთს უყვარს სუფთა გულით, მაგრამ ვისაც სურს უფრო მასშტაბურად ჩამოყალიბდეს იესო ქრისტეს ხატად.

უმეტესი ჩვენგანი ბოლომდე არ არის კმაყოფილი სულიერების იმ დონით, სადაც ვიმყოფებით. (ეს წმინდა უკმაყოფილება უნდა ახასიათებდეს ყველა მორწმუნის ცხოვრებას.) მსოფლიოს ყველა კუთხეში მორწმუნეებს სურთ ღმერთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა. ეს ღვაწლი საუკეთესოდ არის გამოხატული ფსალმუნმომღერლის ლოცვით: როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადებისკენ, ისე მიილტვის ჩემი სული შენკენ ღმერთო'' [1]

სულიერი ფორმირების წყალობით, ღვთისადმი წყურვილი დააკმაყოფილდება, რადგან ეს არის იესოს სიცოცხლე, რომლის მეშვეობითაც იგი აკმაყოფილებს მას.

ჭეშმარიტ ქრისტიანებს სურთ ზრდა. გვინდა, რომ გაიზარდოს ჩვენი რწმენა. ჩვენ გვსურს ვიაროთ უფრო ახლოს ღმერთთან - უფრო მეტი თანადგომა გვქონდეს ღმერთის ცხოვრებისეულ სიხარულებსა და მწუხარებაში. გვინდა გავხდეთ უფრო მოწესრიგებული და თვითკონტროლირებული. ჩვენ გვინდა, რომ უფრო ნდობით ვიყოთ, უფრო მხიარულნი და უფრო მეტი მშვიდობით.

ბევრ ადამიანს სურს შეიცვალოს...მაგრამ არ სწამთ, რომ ეს შესაძლებელია. მრავალწლიანი წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, ისინი ეწევიან მშვიდ იმედგაცრუების ქრისტიანულ ცხოვრებას

ჯეიმს ბრაიან სმიტი

ბევრ ჩვენგანს სურს უფრო თანმიმდევრული თავდადებული ცხოვრება. ჩვენ გვსურს თავისუფალნი ვიყოთ შიშისგან და შფოთვისგან. გვინდა, რომ შევძლოთ ცოდვის გადალახვა. ყველას გვსურს გავხდეთ უფრო ნაყოფიერი, უფრო პროდუქტიული. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ურთიერთობები კურთხეული და შესრულებული იყოს. გვინდა, რომ მუდმივად გავმყარდეთ ქრისტიანული ცხოვრებით სხვების წინაშე. მე ვიცი, რომ ქრისტიანების უმეტესობას სურს შეცვლა, მაგრამ ბევრმა არ იცის როგორ შეიცვალოს. ბევრს თავი სტკივა! ბევრი ფარულად იმედოვნებს, რომ ოდესმე განსხვავებულები იქნებიან, ვიდრე არიან. სულიერი ფორმირება გვთავაზობს საგზაო რუქას იმ ცვლილებისთვის, რომელიც გვინდა და გვჭირდება.

ცვლილებები, რომლისკენაც სვლა გვსურს, შეიძლება მოხდეს მოწაფეობის გზით, ან რასაც ამ კურსში ვეძახით "სულიერ ფორმირების" მეშვეობით. სხვა მსგავსი ტერმინებია: "სიწმინდეში ზრდა" და "თანდათანობითი განწმენდა". სულიერი ფორმირებას მივყავართ „გულის განახლებამდე",[2] რომელიც თავის თავში გულისხმობს, როგორც მადლის მომენტალურ მოქმედებას, ასევე ცვლილებების პროცესს. აუცილებელია, როგორც მნიშვნელობვანი დრამატული, ასევე უფრო ნელი და ეტაპობრივი ცვლილებები

[1] ფსალ.41:1;

[2] ტერმინი, რომელსაც იყენებს დალას ვილარდი

გაკვეთილი

1. სულიერ ფორმირებასთან დაკავშირებული ოთხი საკვანძო ნაწყვეტი:

A. **2 კორინთელთა 3:18** – „ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას როგორც სარკეში და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან."

B. **გალატელები 4:19** – „ ჩემო შვილებო, რომელთათვისაც კვლავ განვიცდი მშობიარობის ტკივილებს, ვიდრე თქვენში გამოისახება ქრისტე."

C. **კოლოსელები 1:28 -** " რომელსაც ვქადაგებთ ჩვენ, რათა შევაგონოთ ყოველ ადამიანს და ვასწავლოთ ყოველ ადამიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი კაცი წარვადგინოთ სრულქმნილი ქრისტე იესოში."

D. **ეფესელთა 4: 13-14** - „ ვიდრე ყველანი მივაღწევდეთ რწმენის ერთიანობას და ძე ღმერთისას შეცნობას სრულყოფილ მამაკაცად, ქრისტეს სრული ასაკის ზომით. რათა აღარ ვიყოთ ბავშვები, რომელთაც არყევს და იტაცებს მოძღვრების ყოველგვარი ქარი ადამიანთა ცბიერებით, ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით."

წერილის ამ, ისევე როგორც მრავალი სხვა ადგილებიდან, ჩვენ გამოვყოფთ ტერმინს „სულიერი ფორმირება''.

❓ წერილის ამ ადგილების თანახმად, რა არის ქრისტიანული ცხოვრების საბოლოო მიზანი? რა საშუალებები გაქვთ ამ ტექსტებში ნახსენები ამ მიზნის მისაღწევად? ეფესელთა წერილის თანახმად, რა არის ზოგიერთი შედეგი?

2. სულიერი ფორმირების განსაზღვრება

სულიერი ფორმირება არის იესო ქრისტეს ხატად გარდაქმნის მადლიანი პროცესი სხვების გულისთვის [3]

მოდით დავყოთ ეს განმარტება სამ ნაწილად: „მადლიანი პროცესი", „ქრისტეს ხატება" და „სხვების გულისთვის".

A. სულიერი ფორმირება არის მადლის მოქმედება.

გარკვეულწილად, ვერაფერი შეგვიძლია გავაკეთოთ იმისთვის, რომ იესოს მსგავსებად ვიქცეთ. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გავხდეთ ღმერთის მადლიერების მიღების ღირსი. მადლი საწინააღმდეგოა მოგებისა, მაგრამ ძალისხმევის საწინააღმდეგო არ არის.

მთელ მსოფლიოში, არსებობენ ეკლესიები, რომლებიც ხაზს უსვამენ მადლს ადამიანის ძალისხმევის გარეშე. ამ კურსში ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ და განვმარტავთ, რომ ქრისტიანულ ცხოვრებაში ყოველი წინსვლა არის მადლის სასწაული. მაგრამ მადლი სულიწმიდასა და ქრისტიანს შორის თანამშრომლობის ძალისხმევას გულისხმობს.

მადლსა და ძალისხმევას შორის ამ თანამშრომლობის მაგალითად, განვიხილოთ წმინდა წერილის დაწერა . ჩვენ ვიცით, რომ „ მთელი წერილი ღვთის სულიერია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

[3] M. Robert Mulholland Jr., Invitation to a Journey (Downers Grove: InterVarsity Press), 12

მთელი წერილი არის მადლის სასწაული. ღმერთმა აღძრა ადამიანები, რომ დაეწერათ, მისცა მათ თავისი ძალა ამისათვის და შეინარჩუნა ის რაც მათ დაწერეს. და მაინც, ბიბლია არ იყო მადლის პროდუქტი ძალისხმევის გარეშე, ადამიანებს, მიზანმიმართულად, რომ არ მიემართათ ძალისხმევა, შეეგროვებინათ ინფორმაცია, შეემოწმებინათ წყაროები, მოეხდინათ აზრების ორგანიზება, რათა შემდეგ დაწერათ, ბიბლია არ გვექნებოდა. [4] წერილები მოვიდა შთაგონების მეშვეობით, ძალისხმევით!

პავლემ მსგავსი რამ თქვა თავის მსახურების შესახებ: " მე დავრგე აპოლომ მორწყო, მაგრამ ღმერთმა გაზარდა.". [5]

B. სულიერი ფორმირება არის პროცესი.

◆ ზემოთ მოცემული ოთხი მნიშვნელოვანი ნაწყვეტიდან, რომელიც სულიერ ფორმირებას ეხება, ხაზი გაუსვით სიტყვებს „დიდებიდან დიდებაში“, "ვიდრე", "ვიდრე ყველანი მივაღწევდეთ“ და "შეიმოსეთ".

ეს ადგილები მოგვითხრობენ ჩვენ, პროცესისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. პავლე საუბრობს დარგვის, მორწყვისა და ზრდის პროცესზე.[6] ის საუბრობს სიყვარულის ზრდაზე,[7] რწმენასა[8] და ცოდნაზე.[9] ქრისტეს ხატთან შესაბამისობა მშვენიერი, თუმცა ზოგჯერ ნელი და უვარგისია, მოგზაურობაა, რომელიც პუნქტირებულია ღრმა ნახტომების მომენტებით. ჩვენ არ უნდა დავიწყოთ იმედგაცრუება, როდესაც ჩავვარდებით წარუმატებლობის გამო, არ უნდა გავიტეხოთ გული.[10]

სულიერი ფორმირება განსხვავებული ტემპით ხდება ყველა მორწმუნისთვის. ტემპზე გავლენას ახდენს მორწმუნის სურვილის ინტენსივობა. წმინდა წერილები გვასწავლიან: „ისინი, ვინც შიმშილით იკვლებიან ,მიეცემათ“.[11] ყველა მორწმუნე არაა დამუშავებული შიმშილისა და წყურვილისთვის.

საბოლოოდ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, რომ გარდავისახოთ იმ ადამიანად, ვისაც უყვარს იესო და ემსახურება მას, გარდა იმისა, რომ გავხადოთ ჩვენი თავი მიღწევადი ღმერთის მადლისათვის ამ სამუშაოს შესასრულებლად ჩვენში. ჩვენი ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ წარვუდგინოთ ჩვენი თავი ღმერთს საშუალებებით, რომელიც ნებას მისცემს მას აღასრულოს ეს მადლის მატრანსფორმირებელი სამუშაო.

რობერტ მალჰოლანდ უმცროსი

---

[4] ლუკა 1:1-4;
[5] 1კორინთელთა 3:6;
[6] 1კორითთელთა 3:6-7
[7] ეფესელთა 4:16
[8] 2კორინტელთა 10:15
[9] კოლასელთა 1:10
[10] ფსალმუნი 102:8-11; ებრაელთა 12:5-6;
[11] მათე 5:6

1) **სულიერი ფორმირება არის პროცესი, რადგან იგი გულისხმობს აზროვნების შეცვლას.**

ღმერთმა არ შეგვქმნა როგორც რობოტები და აპარატები. ჩვენ ვართ რთული ადამიანები, რომელსაც შესაძლებლობა აქვს ფიქრის, გრძნობის და არჩევის. სულიერი ფორმირება იწყება გონების პროგრესული გარდაქმნით,[12] რაც იწვევს ჩვენი გრძნობების გარდაქმნას და ჩვენი ქცევის ბუნებრივ გარდაქმნას.

ჩემმა მეგობარმა, ბლეიკ ჯონსმა, ახლახანს გამახსენა, რომ როდესაც პავლეს საუბარი "გონების განახლებით" ხდება, სიტყვა "განახლება" თავისი შინაარსობრივი დატვირთვით ნიშნავს იმას,რომ შეიძლება ვიფიქროთ სახლის რემონტის პროექტზე. ბევრ ჩვენგანს აქვს სუფთა სულიერი სახლები და ღვთისმეტყველებით მძლავრი სახლებიც, მაგრამ მაინც არის დამპალი დაფები, რომლებიც უნდა შეიცვალოს, ადგილები, რომლებიც გამოსწორებაა საჭირო, და ისეთი ადგილები, რომლებიც უნდა გალამაზდეს.

უმეტეს ჩვენთაგანს გვჭირდება ღმერთის და თვითონ ჩვენი ახალი ხედვა კედლებზე გამოფენილი! ”ასეთი რეკონსტრუქცია არის პროცესი”, - თქვა ბლეიკმა. ეს არაა იგივე სახლის რემონტის ვიდეოების ყურება ისე, რომ ათ წუთში ნახოთ ძველი და ახალი. ეს ჩვენს გონებას რეალურ დროში გვიცვლის’’

2) **სულიერი ფორმირება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს უკეთესი არჩევანის გაკეთებას.**

ჩვენ არ გვექნება ქრისტეს ხატი მუდმივად მზარდი დიდებისკენ მიმავალი, მაგრამ ეს შესაძლებელია მუდმივი სწრაფვით.[13] მე ხშირად ვეუბნები ახალგაზრდებს, რომ პირველი ნაბიჯი ღმერთთან უფრო ახლო ურთიერთობისთვის არის "დილაადრიან ადგომა!" მე აღმოვაჩინე, რომ ჩვენ ვერასოდეს ვიპოვით წარმატებას ჩვენი ბუნების ზარმაცი დინებების მიყოლით, არამედ ღვთის წყალობით წინ ცურვით. როგორც ნათქვამია, "თუ თქვენ ყოველთვის აკეთებთ იმას, რასაც ყოველთვის აკეთებდით, ყოველთვის იქნებით ის, რაც ყოველთვის იყავით!"

> *„არამედ შეიმოსეთ უფალ ქრისტეში და ხორცზე ზრუნვა არ აქციოთ გულისთქმებად.“* რომაელთა 13:14;

3) **სულიერი ფორმირება არის პროცესი, რადგან ჩვენ ვყალიბდებით ცხოვრებისეული გამოცდილებით.**

გამოცდილება უეცრად არ მოდის, არამედ თანდათანობით. ამ გამოცდილების დიდი ნაწილი მტკივნეულია. ა.ვ. ტოზერი შეგვახსენებს, რომ ”საეჭვოა შეძლებს კი ღმერთი გამოიყენოს ადამიანი ძლევამოსილად, სანამ ის ჯერ ღრმად არ იქნება დაჭრილი”. ყველა აფასებს გამხნევებას, მაგრამ სწორედ სირთულეების სეზონები, განსაცდელების და უსიამოვნებების ძლიერი ქარი, მტრის უსამართლო სიტყვები და სულის ბნელი ღამე, გვაყალიბებს ჩვენ უფრო ღრმად.

---

[12] რომაელთა 12:1-2

[13] იერემია 29:13

ერთ-ერთმა ჩემმა ქალიშვილმა დღეების წინ მკვეთრი განცხადება გააკეთა, "მე უბრალოდ არ შემიძლია დაველოდო, სანამ გავიზრდები!" ჩვენთვის ყველასთვის ნაცნობია ეს გრძნობა. მაგრამ ღმერთი არ ჩქარობს, როცა საქმე ჩვენს სულიერ ზრდას ეხება. ისევე, როგორც მამა ტკბება თავისი შვილების ზრდის ყველა ეტაპზე, ასევე, ჩვენი ზეციური მამა აღფრთოვანებულია ჩვენით დღეს - ისეთებით, როგორებიც ჩვენ ვართ, არა ისე, როგორიც ოდესმე ვიქნებით! ეს ალბათ ერთ – ერთი ყველაზე რთული ჭეშმარიტებაა ჩვენთვის, რომ გვწამდეს და მივიღოთ.

ერთ-ერთი ავტორი ამბობს: "ახალი აღთქმა სავსეა ზრდის იდეით .... სასწაულები, მაგალითად ესაა პროცესისარაჩვეულებრივად დაჩქარება და ეს გვაჩვენებს, რომ ღმერთი საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ მოიმოქმედოს ის, რაც სურს და როგორც სურს. ზრდა, როგორც სამყაროში ჩვეულებრივ ხდება, გვიჩვენებს, თუ როგორ ირჩევს მსოფლიოში ღმერთი სამუშაოს. თუ ჩვენ დაჟინებით ვამბობთ, რომ სულიერი განვითარება ხდება მხოლოდ კრიზისულ მდგომარეობებში, ჩვენ ვზღუდავთ ღმერთს და იგნორირებას ვუკეთებთ მის სუვერენულ არჩევანს. "[14]

ქრისტიანული ზრდა შეიძლება შევადაროთ ჩინური ბამბუკის ზრდას. ამ მცენარის თესლი 5 წლის განმავლობაში მცირდება მცირე ზრდით, მაგრამ მეხუთე წელს ჩინურ ბამბუკს 6 კვირაში 90 ფეხზე ზრდის!

C. სულიერი ფორმირება, როგორც ქრისტეს ხატად გარდასახვა

❖წერილის ზემოხსენებულ ადგილებში შემოხაზეთ სიტყვები: „იმავე ხატად", „სანამ ქრისტე არ გამოისახება თქვენში", „ყველა მამაკაცი სრულყოფილი ქრისტე იესოში" და „ ქრისტეს სრული ასაკის ზომიერად".

1) ღვთის ხატება: ღმერთის დანიშნულება ქრისტიანისათვის

ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა: "ასე შექმნა ღმერთმა ადამიანი თავისი ხატებით; ღვთის ხატად მან შექმნა იგი; კაცი და ქალი მან შექმნა."[15] ადამიანი შეიქმნა, როგორც ღმერთის ხასიათისა და როგორც მისი საყვარელი წარმომადგენლების ასახვა, მის სამყაროში. მათი ცხოვრება იყო "დალოცვილი" და "ნაყოფიერი" ცხოვრება.[16] მათი ცხოვრება იყო თავდაუზოგავი, ინტიმური, მხიარული და დაუვიწყარი თანამემამულეობა თავიანთ შემოქმედთან და ერთმანეთთან.[17]

როდესაც ადამი და ევა ცოდვაში ჩავარდნენ, ღვთის ხატება შეირყა (თუმცა არ განადგურდა). ისინი თვითცნობიერი და ეგოისტური გახდნენ და განშორდნენ ღვთის თანამეგობრობას. იმ უიმედო მომენტიდან, ღმერთი შეუდგა თავისი მადლმოსილი გეგმის განხორციელებას, რათა აღედგინა ადამიანები, რომლებიც მას უყვარს თავის გამოსახულებაში. [18]

---

[14] Mel Lawrenz, The Dynamics of Spiritual Formation (Grand Rapids: Baker Books), 31
[15] დაბადება 1:27
[16] დაბადება 1:28
[17] დაბადება 2:25; 3:8
[18] კოლასელთა 3:10; ეფესელთა 2:10; 4:24

ღვთის დანიშნულება არა მხოლოდ პატიებაა, არამედ ღვთის ხატის სრული აღდგენა. პატიება, - ურთიერთობის აღდგენა - მყისიერია, ხოლო ღვთის ხატის აღდგენა პროცესია.

ღმერთის დანიშნულებაა ყველა მორწმუნისათვის ისაა, რომ იყოს ის, რადაც შეიქმნა, რომ იყვნენ - ადამიანები, რომლებიც ქრისტეს ხატების მიხედვით იქმნენ, ვინ არის ღვთის ხატება; ადამიანები, რომლებიც გამოხატავენ მის ლამაზ ქმნილებას და რომლებიც ცხოვრობენ როგორც მისი წარმომადგენლები მსოფლიოში. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამ პროცესებს? ეს კურსი შემუშავებულია, როგორც საგზაო რუქა თქვენი მოგზაურობისთვის.

2) იესო ქრისტე: უხილავი ღმერთის ხატი

❖ „ძე არის უხილავი ღმერთის ხატება, პირმშო ზეაღმატებული“.[19]

❖ "ამ ხანის ღმერთმა დააბრმავა ურწმუნოების გონება, რათა მათ ვერ დაინახონ სახარების შუქი, რომელიც გამოხატავს ქრისტეს დიდებას, რომელიც არის ღვთის ხატება."[20]

❖ "ძე არის სიკაშკაშე ღვთის დიდება და მისი ნამდვილი გამოსახულება, ყველაფრის შენარჩუნება მისი ძლიერი სიტყვით".[21]

ეს მუხლები შეგვახსენებს, რომ იესო უხილავი ღმერთის გამოსახულებაა. იესოში ჩვენ კარგად ვხედავთ ღმერთების მსგავს ადამიანებს. სულიერი სიმწიფის შესანიშნავი მაგალითია იესო.

3) ქრისტეს ხატება სულიერი სიმწიფეა.

ქრისტეს ხატება, ეს ისაა, რასაც ბიბლია გულისხმობს, სულიერი სიმწიფის ქვეშ. სულიერი სიმწიფე, ან სულიერი სრულყოფილრბა, უბრალოდ „ქრისტეს სისავსის დონის საზომია“.[22]

პავლემ მოუწოდებს მორწმუნეებს რომში, რომ განსხვავებულად იფიქრონ თავიანთ ტანჯვებზე, რადგან “ღმერთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს ყოველივე ეწევა სასიკეთოდ.”, რომ ჩვენ შევძლოთ მივიდეთ ქრისტეს მსგავსებაში.[23] ”ყველაფერ”-ში იგულისხმება მსახურება, ოჯახური ცხოვრება, ავადმყოფობა, სიღარიბე, კეთილდღეობა, კონფლიქტი, დევნა, უბედურება, წარმატება, მწუხარება და მარტოობა. ღმერთის მიზანია, რომ ყველაფერში ვიყოთ იესოს მსგავსები.

იესო სრულყოფილი ადამიანია და შესანიშნავი მაგალითია ჩვენთვის. ახალი აღთქმა სავსეა იესოს მშვენიერი მაგალითებით. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მარხულობს და ლოცულობს იგი უდაბნოში, სუფრასთან ზის ცოდვილებთან ერთად, მის კალთაში ზიან ბავშვები, ქვიშიან სანაპიროზე ჩამომჯდარი, მოწაფეებისთვის თევზს წვავს ნაკვერჩხლებზე, იქნევს მათრახს და არის გამომსარჩლებელი სულიერად დაჩაგრული ადამიანებისთვის, უმოწმებს მწყურვალ ქალს ჭასთან,

[19] კოლასელთა 1:15
[20] 2კორინთელთა 4:4
[21] ებრაელთა 1:4
[22] ეფესელთა 4:13
[23] რომაელთა 8:28-29

داააპურებს მშივრებს, ემაუსისკენ მიმავალი გზაზე მიდის ორ იმედგაცრუებულ მოწაფესთან ერთად, უხსნის მათ წერილებს და თუ როგორ იღებს ის ჯვრის გარდაუვალობას. ეს ჩანახატები და მრავალი სხვა გვიყალიბებენ წარმოდგენას, თუ როგორ ქრისტიანებად უნდა გარდავისახოთ.

ქრისტიანული მოწაფეობა, ესაა გარდასახვის პროცესი, როცა ჩვენ ვიძენთ თვისებებს: იესოს თავმდაბლობა,[24] მოწაფეებთან მისი თავმდაბლური სიყვარული,[25] ცოდვილთა გამოსყიდვის სიყვარული,[26] მისი თვინიერება,[27] მადლისა და ჭეშმარიტების სრულყოფილი ბალანსი[28] და ტანჯვაში გამძლეობა,[29] სიკვდილისადმი მისი მორჩილება,[30] მისი სულის სისრულე,[31] მისი გამარჯვება ბოროტებაზე[32] და მრავალი სხვა.

ქრისტიანული მოწაფეობა, ასევე იესოს პრიორიტეტების თანახმად გარდასახვაცაა: სახარების ქადაგება,[33] მოწაფეების შეძენა,[34] დაჩაგრულთა დაცვა,[35] მისი მსახურება საზოგადოებისგან დავიწყებული ღარიბისთვის[36] და მრავალი სხვა.

4) **ქრისტეს ხატი ჩანს მის სათნოებებში.**

ეფესელთა მიმართ წერილში; პავლეს უბრძანებს ქრისტიანებს მიბაზონ იესოს მაგალითს, „მაშ, მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა;“[37] მოდით, რამდენიმე წამით ვიფიქროთ იესო ქრისტეს იმ სათნოებებზე, რომლებსაც უნდა მივბაძოთ (მაგალითად: სიყვარული, სიკეთე, სირბილე, თვითკონტროლი და ა.შ.).

◆ დააკვირდით შემდეგ წერილებს და ნახეთ, თუ შეგიძლიათ ჩამოთვალოთ იესოს სულ მცირე რვა სათნო მახასიათებელი, რომლის ფორმირებაც ღმერთს სურს ჩვენში: მათე 11:29; ებრაელთა 1:9; 1 პეტრე 2:21-24; ეფესელთა 4:32; იოანე 13: 5; იოანე 13:34; ლუკა 23:34. პასუხები გაკვეთილის ბოლოს.

1

2

---

[24] ფილიპელთა 2:5-11
[25] იოანე 13:34-35
[26] 1იოანე 4:10-11
[27] მათე 11:29
[28] იოანე 1:17
[29] 1პეტრე 2:21
[30] ფილიპელთა 2:8
[31] იოანე 14:16
[32] 1იოანე3:8-9
[33] მარკოზი1:38; ლუკა. 4:18
[34] მარკოზი 3:13-19
[35] მათე 21:12-14; ლუკა 4:18
[36] მარკოზი 3:10-11; 6:36-44; მათე 25:34-40
[37] ეფესელთა 5:1

3

4

5

6

7

8

◆ განიხილეთ ეს სათნოებები, ჯგუფში. რატომ ვცდილობთ ხაზი გავუსვა ზოგიერთ ქრისტიანულ სათნოებას და არა სხვებს?

5) **როგორია ქრისტეს ხატი მორწმუნეებში**

ქრისტეს ხატის ძლიერი პორტრეტი არსებობს კოლასელთა 3:10-17-ში. წერილის ამ ადგილში პავლე აღწერს „ღვთის ხატებას“, რომელიც შეიქმნა ჩვენში, მაგრამ რომლითაც ასევე უნდა შევიმოსოთ ჩვენ.

◆ წაიკითხეთ კოლასელთა 3: 10-17 ერთად და შეეცადეთ იპოვოთ "ახალი ადამიანის" მახასიათებლები. ჩამოწერეთ ეს მახასიათებლები ქვემოთ ცარიელ ადგლზე.

უფალი იესოს ეს ცხოვრება ერთადერთი ცხოვრებაა, რომელიც დააკმაყოფილებს შვილებისთვის ღვთის წმინდა მოთხოვნებს. ვერც ჩვენი სიმართლე და ვერც ჩვენი ძალისხმევა ვერ დააკმაყოფილებს ღვთის სამართლიან მოთხოვნებს ან არ დაიმსახურებს მის კურთხევას.[38]

D. სულიერი ფორმირება სხვების გულისთვის.

იესო ქრისტეს მშვენიერ ცხოვრებაში გაზიარებამ ღვთის მუდმივი სიამოვნება მოგვიტანა. ეს არ არის ისეთი სულიერი სიამოვნება,რომელიც ადამიანმა პირადად, მარტოობაში განიცადოს. ვქმნით ქრისტეს ხატს ქრისტეს სხეულში სხვების გულისთვის.[39] მორწმუნეები, რომლებიც იესო ქრისტეს ხატებას ატარებენ, ყოველთვის ცდილობენ განზე მდგომი ადამიანების შემოყვანას იმავე სიხარულში, რადგან ეს არის ის, რაც იესომ გააკეთა. ჭეშმარიტი სულიერება არ გვხვდება განზე დგომით დანგრეული სამყაროსგან იზოლირებულად, არამედ ჩვენი ცხოვრების მიცემით დანგრეულის აღსადგენად და განსაკურნებლად.[40] ეს არის ის, სადაც მისი დიდება ბრწყინავს ჩვენის მეშვეობით.[41] ეს არის ის, სადაც მისი სურნელი იღვრება ჩვენგან. ეს არის ის ,რასაც იესოს ცხოვრება გვიხსნის.[42]

სულიერი ფორმირების შედეგი იქნება ცხოვრება, რომელიც მთლიანად ღვთიური სიყვარულით იმართება. ქრისტესთან შესაბამისობა არის ქრისტეს მსგავსი ქცევის შესაბამისობა, და არა მხოლოდ მისი შინაგანი ხასიათი. ქრისტესადმი შესაბამისობა ღმერთს უყვარს მთელი გულით, სულით, ძალებითა და გონებით და ჩვენი მოყვასიც.[43] სულიერი ფორმირების უფრო დიდი საზომი არ არსებობს, ვიდრე მსხვერპლშეწირვის სიყვარული![44] იესოს ურთიერთობა მამასთან ყოველთვის იწვევდა გაჭირვებულთა მიმართ მსახურებას - გარიყულთა, მოძულებულთა, ავადმყოფთა,

მშიერთა და სულიერად ჩაგრულთა. მან თქვა, რომ ამგვარი სიყვარული იქნებოდა მათთვის, ვინც მემკვიდრეობით მიიღებენ სამეფოს.[45]

ზედაპირულ სულიერებას მივყავართ უზრუნველ ერთგულებამდე. მაგრამ თუ თაყვანისცემას არ მივყავართ მორჩილებსამდე, ან არ მოგვმადლებს უფრო დიდ გულუხვობას გაჭირვებულთათვის, მაშინ ეს არ არის ჭეშმარიტი თაყვანისცემა. თუ ლოცვა არ გვაიძულებს სხვების მიმართ უფრო მომთმენი, ნაზი და თანაგრძნობით ვიყოთ, მაშინ ალბათ, ჩვენი ლოცვითი ცხოვრება არ ეწყობა იესოს ლოცვითი ცხოვრების მაგალითზე.

3.სულიერი ფორმირება ხდება, როცა ჩვენ შევცქერით იესოს

შემდეგი მუხლი ფუნდამენტურია იესოს ხატად ჩამოყალიბებისთვის:

---

[38] ლუკა 17:10; რომაელთა 3:12
[39] Mulholland, 168
[40] იოანე 17:15; 2კორინთელთა 4:11
[41] 2კორინთელთა 2:15
[42] მათე11:19
[43] ლუკა 10:27
[44] რომაელთა 5:8
[45] მათე 25:34-36

ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას როგორც სარკეში და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან. (2 კორინთელთა 3:18).

A. სიტყვა „შევცქერით“ მნიშვნელობა

„სიტყვა „შევცქერით“ ნიშნავს შენი სულიერი თვალის მიპყრობას ან გულმოდგინედ ჩაღრმავებას. მაგრამ რას უნდა ჩავუღრმავდეთ გულმოდგინედ? რაზე გვჭირდება სერიოზულად ვიფიქროთ? "უფლის დიდება". ეს აშკარად იესო ქრისტეს პიროვნება და გამოსყიდვის საქმეა სახარებაში აღწერილი.[46] ცვლილების მთელი ჩვენი იმედი მდგომარეობს იმაში, რომ ვუყუროთ იესოს.

B. როდესაც იესოს ვუყურებთ, სულიწმიდა გარდაგვსახავს ჩვენ იესოს ხატად"დიდებიდან დიდებაში".[47]

როდესაც ჩვენ რწმენით ვუყურებთ განსხეულებას, იგივე თავმდაბლობის სული ჩვენში იწყებს მოქმედებას. როდესაც რწმენით მოვიდრეკთ მუხლს იესოსთან ერთად გეთსიმანიის ბაღში, იგივე მორჩილების სული და ყველაფრზე უარის თქმა მამის ნების გამო აგრძელებს იმ ნაწილების მოშორებას ჩვენგან, რაც ჯერ კიდევ არ დავუმორჩილეთ მას.

როდესაც იესოსთან ერთად რწმენით ვდგავართ სინედრიონის, პილატესა და ჰეროდეს წინაშე, მაშინ გაწონასწორების, თვითკონტროლის და დარწმუნების სული გამუდმებით გვცვლის ჩვენ. როდესაც ჩვენ მიგვაქვს ჯვარი იესოსთან ერთად და მასთან ერთად წავბორძიკდებით, იგივე მოთმინებისა და დაჟინების სული მწიფდება ჩვენში.

როდესაც ჩვენ გავაიგივებთ ჩვენს თავს იესოსთან ჯვარზე და გვესმის, თუ როგორ წარმოსთქვამს იგი პატიების, წყალობის და სიყვარულის სიტყვებს, მაშინ იგივე მადლის სული უფრო მეტად გვავსებს ჩვენ. როდესაც რწმენით იესოსთან ერთად ყოველდღიურად ვკვდებით და გვესმის, როგორ ამბობს იგი: „აღსრულდა!“ იგივე დაჟინების სული საშუალებას გვაძლევს დავასრულოთ ის საქმე, რაც ღმერთმა ჩვენ მოგვანდო! როდესაც ჩვენ რწმენით აღვდგებით იესოსთან ერთად, ვიცით, რომ იგივე ძლევამოსილი გამმარჯვებელი ძალა, რომელმაც იესო მკვდრეთით აღადგინა და ზეცაშიც დასვა, ყველა მმართველობაზე, ძალაუფლებაზე და ძალზე უფრო მაღლა, მოქმედებს ჩვენში და ჩვენგან.

თუ ჩვენი თვალი ჯვარზეა მიპყრობილი, ჩვენ ვეღარ გვმართავს სიამაყე, თვითდაკმაყოფილება, ან ამქვეყნიური სიამოვნება. თუ ჩვენი თვალები იესოს უყურებს, ჩვენ არ შეგვიძლია გვძულდეს, არ შეგვიძლია გავსასტიკდეთ სიმწრის, ან წყენის გამო, არ შეგვიძლია ვუღალატოთ იესოს მსხვერპლს, არ შეგვიძლია ვიდრტვინოთ, ან ვიწუწუნოთ, ასევე არ შეგვიძლია უფლება მივცეთ ცოდვას იმეფოს, ან ვიცხოვროთ დამარცხებაში.

---

[46] შეადარეთ 2 კორინთელთა 3:19, 2 კორინთელთა 4:7-თან, ასევე იოანე 1:14 “და სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენს შორის მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე; და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდშობილის დიდება.”.

[47] 2კორინთელთა 3:18

თუ ჩვენი თვალი იესოსკენაა მიპყრობილი, ჩვენ არ შეგვიძლია უკან დავიხიოთ, არ შეგვიძლია იმედგაცრუება, არ შეგვიძლია დავეცეთ, არ შეგვიძლია დავმარცხდეთ და არ შეგვიძლია მოვწყდეთ ღვთის სიყვარულს. როდესაც ვუყურებ სახარებას, მე ვძლიერდები მისი ძალით. რა საგანძურს ვფლობთ ჩვენ იესოში და სახარებაში!

საეკლესიო ტრადიციას, რაც არ უნდა ის კარგი იყოს, არ შეუძლია შეგვცვალოს. ღვთისმოშიში ადამიანები არ ფლობენ ძალას, ჩვენი გარდასახვისთვის. როდესაც უყურებ ღვთისმოსავ კაცს ან ქალს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მათ თაობაზე, შეამჩნევთ, რომ ისინი ქრისტეზე იყნენ ორიენტირებულნი და არა ადამიანებზე. მარტინ ლუთერი არ იყო ლუთერანი, არამედ ქსრისტიანი. ჯონ კალვინი არ იყო კალვინისტი, არამედ ქრისტიანი. ჯონ ვესლი არ იყო ვესლეიანი, არამედ ქრისტიანი. ქრისტეს საგანძური და მისი სახარება, აქცევს ადამიანებს დიდებად!

C. ჩვენ ვხდებით ის, რასაც ვხედავთ.

ჩვენ ძალიან ხშირად ვერთობით. ეს კი ხელს უშლის სულიწმიდას, იმ ცვლილებების განსახორციელებაში, რაც მას სურს განახორციელოს ჩვენს ცხოვრებაში. პასტორმა ჯონ პაიპერმა ამის შესახებ ძალიან კარგად თქვა:

> სული არ ახორციელებს ამ გარდასახვას ჩვენში, როცა ჩვენ იესოს არ ვუყურებთ, არა ის არ აკეთებს ამას, სანამ დაკავებულები ვართ ტელეგადაცემების უსასრულო ყურებით, ან და როცა ჩვენს დროს მსოფლიო ქსელებში უმიზნოდ ხეტიალში ვხარჯავთ, როდესაც ჩვენ ისეთი საგნებზე ვართ ორიენტირებული, რომლებიც ქრისტეს არ უკავშირდება. არა. სული მოძრაობს და შრომობს და გვათავისუფლებს ჩვენ, სრულიად გარკვეულ ატმოსფეროში, კერძოდ კი, როცა ჩვენ „როგორც სარკეში, ვუმზერთ უფლის დიდებას" (v. 18). სული აღამაღლებს ქრისტეს. სული გვიხელს თვალებს ქრისტესთვის. სული ირეკლავს ქრისტეს ხატებას ჩვენს სულში. თუ ჩვენ ვირჩევთ ყურადღება არ გავამახვილოთ უფალზე, თუ ჩვენი გზით მივდივართ და ცხოვრების სხვა სფეროებზე ვართ კონცენტრირებული, მაშინ მოდით ნუ ვიკითხავთ: "სად არის ღმერთი?" როდესაც მოვიტანთ ჩვენი ცოდვის მონობის მტკივნეულ ნაყოფს და როგორც ტვირთის ქვეშ, ღვთის კანონის ქვეშ ვიხრჩობით, და არა სიხარულით ვასრულებთ მას. მან გვაჩვენა ჩვენ თავისუფლების გზა. თუ ჩვენს დღეებსა და საღამოებს სხვა რამის კვლევაში ვატარებთ, ალბათ მთელი ჩვენი არსებით ჩვენი ხორციელი მისწრაფებების მონებად დავრჩებით.[48]

როდესაც ჩვენ შევწყვეტთ რეაგირებას ამქვეყნიურ ფასეულებებზე, შევწყვეტთ ზედმეტად ჩაციკვლას საკუთარ თავზე, ასევე საკუთარი თავის სხვასთან შედარებას, სულიწმიდას ექნება შესაძლებლობა იმოქმედოს.

- *იმსჯელეთ ჯონ პეიპერის ზემოთ მოყვანილ ციტატზე: როგორ შეგვიძლია გავერთოთ იმისგან, რომ სულითწმიდას ქონდეს შესაძლებლობა თქვენს ცხოვრებაში მუშაობდეს? როგორ უნდა შეიცვალოს თქვენი ჩვევები?*

[48] ჯონ პაიპერის ქადაგება. 2 კორინთელთაგან 3:18

4. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები, რომლებზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება სულიერი ფორმირების საკითხში

A. სულიერი ფორმირება არის შინაგანი და გარეგნული გარდაქმნა.

როგორც შემდეგ გაკვეთილებში ვნახავთ, სულიერი ფორმირება მოიცავს ასევე ჩვენი ფიზიკური სხეულების გარდაქმნას. ღმერთს სურს განდიდდეს ჩვენს სხეულში, რომელიც არის ტაძარი.[49] მაგრამ სულიერი განვითარება იწყება გულში. სულიერი ფორმირება გაცილებით მეტია, ვიდრე ქცევის მოდიფიკაცია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის ხდება, როდესაც არამარტო ჩვენი გარეგანი მოქმედებები იცვლება, არამედ იცვლება ჩვენი შინაგანი მდგომარეობაც: როდესაც ჩვენ ბუნებრივად ვაკეთებთ იმას, რასაც ქრისტე გააკეთებდა ჩვენს სიტუაციაში.

დალას ვილარდი გვახსენებს, რომ: „სულიერი ფორმირება არ არის ქცევის მოდიფიკაცია… არამედ [უფრო მეტად], შინაგანი [ადამიანის] შეცვლის ან გარდაქმნის პროცესი, იქამდე სანამ იგი, არსებითად, არ შეიეძენს ხასიათს, თვით იესოს შინაგანი პარამეტრების შესაბამისად, მისი გონება, გული, მისი მშვიდობა და სიხარული. სულიერ ფორმირებაში თქვენ ნამდვილად გაქვთ ეს ყველაფერი.“[50]

B. სულიერი ფორმირება ხდება მადლის საშუალებით.

ამ კურსში ვისაუბრებთ ზოგიერთ საშუალებაზე, რომელსაც ღმერთი იყენებს, რომ ჩვენში ჩამოაყალიბოს ქრისტეს ხატი. ეს საშუალებები ბევრია და ისინი შემდეგ გაკვეთილებზე იქნებიან განხილულნი.

> * საერთო ძალისხმევით, შეეცადეთ ჩამოთვალოთ ის საშუალებები, რომლებიც ღმერთმა გამოიყენა, ან იყენებს ახლანდელ დროში, თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში სულიერ სიმწიფის მისაღწევად.*

> ღმერთის ამოცანა და პრიორიტეტია ჩვენგან ჩამოყალიბოს ისეთი ადამიანები, რომლებიც გამუდმებით და მარტივად ემორჩილებიან მას, რადგან ის არის უფალი და ჩვენ ვაფასებთ მას და ასვე იმიტომ, რომ ის არის ჩვენი მასწავლებელი და მეგობარი.
>
> დალას ვილარდი

ისევე, როგორც ნერგი შეიძლება გადაიზარდოს ჯანმრთელ, ნაყოფიერ ხედ, მხოლოდ წვიმის, მზის შუქის საშუალებით, სიძნელლების (რაც ფესვების გაღრმავებას უწყობს ხელს) და საკვები ნივთიერებებით მდიდარი ნიადაგის საშუალებით, ასევე ჩვენ გავხდებით ჯანმრთელი, ნაყოფიერი ქრისტიანები როცა გამოვიყენებთ ღმერთის მიერ შემოთავაზებულ ყველა საშუალებებს. მრავალი მორწმუნე ჩამორჩება თავის სულიერ განვითარებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უგულებელყოფენ ზრდის ამ მნიშვნელოვან საშუალებებს. მაგალითად, ქრისტიანს, რომელიც ერთგულია საჯარო თაყვანისცემაში, მაგრამ არ არის გაწვრთნილი პირად ლოცვაში, არ შეუძლია განიცადოს ქრისტიანული ცხოვრების სრული

[49] რომაელთა 8:11; 1კორინთელთა 6:19-20

[50] მონიშნული ჩანაწერებიდან, რომელიც დალას ვილარდმა იქადაგა უიტონის კოლეჯში.

სიხარული. ამას საკითხს ჩვენ დავუბრუნდებით შემდეგ გაკვეთილზე და უფრო ღრმად განვიხილავთ მას.

C. სულიერი ფორმირების მოტივი არის სიამოვნება ღმერთით.

მთელი მარადისობის განმავლობაში მამა, ძე და სულიწმიდა იმყოფებიან ახლო, მხიარულ მოზიარეობაში. ქმნადობის მიზანი იყო მისი ჩამოყალიბება ღვთის ხატად და მიყვანა მამას, ძესა და სულიწმიდასთან. ბიბლიაში კონკრეტულად ნახსენები ყველაზე პირველი ხმა, არის "უფალი ღმერთის ხმა, რომელიც მიმოდიოდა ბაღში დღის სიგრილეში."[51] მე მომწონს ეს. რატომ სეირნობდა ის ბაღში? იგი მოვიდა, მოზიარეობისთვის მამაკაცთან და ქალთან, რომელიც შექმნა. ბიბლიაში რწმენის და ღვთისმოსაობის ყველაზე ადრეული გამოხატულება იყო უბრალოდ „ის დადიოდა ღმერთთან “.[52]

- ენოხი დადიოდა ღმერთთან.
- ნოე დადიოდა ღმერთთან.
- აბრაამი დადიოდა ღმერთთან.
- ისრაელს უნდა ევლო ღმერთთან.

ეს აზრი ისმის ახალ აღთქმაშიც.[53] იოანე შეგვახსენებს, რომ ღვთის გამოსყიდვის მიაზანია დაგვაბრუნოს *„მოზიარეობაში“* სხვა მორწმუნეებთან, ასევე *„მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან“*.[54]

„ღმერთთან სიარული“, „ღმერთთან მოზიარეობა“, რა მშვენიერი და ღირებული გამონათქვამებია, რომელიც გვახსენებს, რომ ცხოვრება, რომელიც ღმერთს მოსწონს, ის კი არ არის, რომელიც რთულია, არამედ ის, რომელიც მადლითაა აღსავსე; ეს არის უბრალო ურთიერთობების ცხოვრება. ღმერთის ამოცანა და პრიორიტეტია ჩამოაყალიბოს ჩვენგან ისეთი ადამიანები, რომლებიც გამუდმებით და იოლად ემორჩილებიან მას, რადგან ის არის უფალი, ჩვენ ვაფასებთ მას, ის არის ჩვენი მასწავლებელი და მეგობარი.[55] ნებისმიერი სწავლება, რომელიც მოაშორებს ამ უბრალოებას, არ არის ბიბლიური სწავლება: ” მაგრამ ვშიშობ, რომ, როგორც გველმა თავისი მზაკვრობით აცდუნა ევა, ასევე არ გაირყვნეს თქვენი აზროვნებაც ქრისტეში გულუბრყვილობით.”[56]

---

[51] დაბადება 3:8;
[52] დაბადება 5:22; 6:9; 17:1; 1მეფეთა 2:30; 3მეფეთა 2:4; 8:25; 9:4; 2ნეშტთა 7:17
[53] ლუკა 24:15; 1პეტრე 2:21; 1იოანე 2:6;
[54] 1იოანე 1:3
[55] Dallas Willard, https://www.youtube.com/watch?v=DCJ-qYsRbM0
[56] 2კორინთელთა 11:3

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მამაჩემს ქონდა უამრავი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მათ შორის გულის შეტევა და ორი ინსულტი. ამიტომ დავიწყე მეტი დროის დათმობა ჩემი მშობლების ყოფითი საკითხებისადმი - ბუჩქების გასხვლა, გაზონის გაკრეჭვა და ა.შ. ხანდახან მე ვჩქაროობ, რომ ჩქარა დავასრულო სამუშაო, მაგრამ მამაჩემს უბრალოდ უნდა, რომ ცოტახანს ჩამოვჯდე

> ცხოვრება, რომელიც მოსწონს ღმერთს, არაა რთული და ჩახლართული, ეს არის მადლით აღსავსე მოზიარეობა. ცხოვრება - უბრალო ურთიერთობებით.

და ვისაუბრო მასთან, ,,ის მოიტანს ჭიქა წყალს და მეუბნება; შვილო, შეგიძლია ცოტახანს ჩამოჯდე და ვისაუბროთ?“ მე არ შემიძლია შევეწინააღმდეგო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვფიქრობ, კიდევ რამდენ ხანს მექნება ასეთი შესაძლებლობა. მამაჩემს სჭირდება არა იმდენად ჩემი სახლის საქმეებში დახმარება, არამედ ჩემთან მოზიარეობა. მე მჯერა, რომ ეს ისაა, რასაც ღმერთი განიცდის ჩვენთან დაკავშირებით. მას სურს, რომ მიგივყვანოს ჩვენ თავის ენით აუწერელ სასიხარულო მოზიარეობაში.

”იგემეთ და ნახეთ, რომ კარგია უფალი;”[57] უნდა იყოს ჩვენი მოტივი ყოველ “სულიერ” დისციპლინაში და საქმიანობაში. სულიერი ფორმირება არ არის მხოლოდ ინტელექტუალური მეცადინეობა, არამედ ჩვენგან განცდილი გამოცდილება. შემდგომ გაკვეთილებში ჩვენ განვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ლოცვა, მარხვა, განსჯა, მსახურება და ა.შ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თვალი არ მოვაშოროთ მიზანს - ღმერთით ტკბობა. ჩვენი მისწრაფება არ მიილტვის მხოლოდ მეტი ცოდნისკენ და ინფორმაციისკენ, არამედ ახლო მოზიარეობისკენ. 200 წელზე მეტი ხნის წინ ჯონათან ედვარდსმა თქვა: "განსხვავება რწმენას, რომ ღმერთი მოწყალეა და გამოცდილებას, რომ ღმერთი მოწყალეა-ს შორის, ისევე განსხვავდება, როგორც რაციონალური მტკიცება, რომ თაფლი ტკბილია და თაფლის სიტკბოს ნამდვილი გემო".[58]

სულიერი ფორმირების გამოწვევები;

სულიერი ფორმირება უფრო რთული ხდება, რადგან ჩვენ უკვე ჩამოყალიბებულნი ვართ სხვადასხვა გავლენების მეშვეობით. არსებოებს ბევრი ფაქტორი, რომელმაც ჩვენზე იმოქმედა, რომ გავმხდარიყავით ისეთ ადამიანებად, როგორიც დღეს ვართ. ჩვენ ღრმად ვიყავით ფორმირებული სახლის მიერ სადაც გავიზარდეთ, კულტურით, ეკლესიური ტრადიციით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, პიარდი არჩევანით, ყველაფერმა ამან იქონია უზარმაზარი გავლენა იმაზე, თუ რისი გვჯერა, რას ვაფასებთ, როგორ ვგრძნობთ თავს, როგორ ვურთიერთობ და როგორ ვიქცევით.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვცხოვრობთ დაცემულ სამყაროში, ვფიქრობ, რომ თქვენ გქონდათ როგორც კარგი, ასევე ცუდი განცდები ყველა ამ მაფორმირებელ გავლენასთან მიმართებაში. ბევრი ჩვენგანი დაჭრილია. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელსაც შევეცდებით ვუპასუხოთ, არის: *დღეიდან დაწყებული, რომელ ძალას, გავლენებს და არჩევანს მივცემ უფლებას ჩამომაყალიბონ მე*

[57] ფსალმუნები 35:8
[58] Timothy Keller, The Prodigal God (New York: Dutton, 2008), 108

პიროვნებად, როგორიც ღმერთს სურს, რომ ვიყო? მე მჯერა, რომ ეს კურსი დაგვეხმარება ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში.

> *ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ გაკვეთილების გავლისას თქვენ გაითვალისწინოთ ის ნეგატიური და პოზიტიური გავლენები, რომლებიც ზემოქმედებენ თქვენს ცხოვრებაზე. დახარჯე რამდენიმე წუთი, რომ ჩამოთვალოთ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რამაც ჩამოაყალიბა თქვენი გაგება ღმერთისა და ქრისტიანული ცხოვრების შესახებ. იყავით ძალიან გულწრფელი საკუთარ თავთან. თუ ისურვებთ, ერთი ან ორი მათგანი თქვენს ჯგუფსაც გაუზიარეთ.*

წინააღმდეგობები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ, სულიერი ფორმირებისას

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლის გამოც მრავალი ქრისტიანი მთელი ძალით ცდილობს, ქრისტეს ხატად ჩამოყალიბდნენ. მოდით შევხედოთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

A. პირველი, ჩვენ უნდა ვერიდოთ მერჯულეობას

მერჯულეობა მდგომარეობს მცდელობებში წესების დაცვით მოიპოვო ღმერთისაგან აღიარება. მაგრამ მაგრამ მერჯულეები ასევე თვითდაჯერებულებიც არიან - ისინი ეძებენ გამართლებას არა მადლით, არამედ მკაცრი მიძღვნით და დისციპლინით. მერჯულეობა ეყრდნობა *ნებისყოფას.* ბიბლია გვეუბნება ჩვენ, რომ *„თვითნებურ მსახურებას“* მხოლოდ *„სიბრძნის სახე“* აქვს, მაგრამ ვერ გვეხმარება ხორცის დამორჩილებაში.[59]

გახსოვდეთ, ლოცვა, ბიბლიის შესწავლა, განსჯა, მარხვა ან ყველაფერი, რასაც სულიერი ზრდის დროს ვაკეთებთ, ეფექტურია მხოლოდ მადლის მოქმედების მეშვეობით, რომელიც წარმოქმნიდა და წარმოქმნის, მოქმედებას ჩემთვის და ჩემში სახარების მეშვეობით. უდიდესი საშიშროება არის ნებისმიერ სულიერ დისციპლინაში და ეს საშიშროებაა ამ დისციპლინებზე მინდობა და არა ღვთის მადლზე. რომელიც იღვრება ჩემს გულში და ცხოვრებაში სულიწმიდით, იესო ქრისტეს დასრულებული სამუშაოს მეშვეობით.

B. მეორე, ჩვენ უნდა ვერიდოთ იაფფასიან მადლს.

სულიერი დაუდევრობა ან „იაფფასიანიი მადლი“ ღვთის მადლს ცოდვის ლიცენზიად აქცევს.[60] დღეს მრავალ ქრისტიანს არასწორად ესმის კავშირი ღმერთის მადლსა და ადამიანურ ძალისხმევას შორის.

მათთვის, ყოველი სწავლება საქმეებზე მერჯულეობაა. თუმცა ახალი აღთქმა სავსეა სწავლებით, რაც ხაზს უსვამს ძალისხმევას, რომელიც ემყარება რწმენას.[61] ქრისტიანულ ცხოვრებაში, ჩვენ ვმუშაობთ გადარჩენაზე შიშითა და კანკალით, იმიტომ რომ ეს ღმერთი შრომობს თქვენში, როგორც სურს,

[59] კოლასელთა 2:23
[60] რომაელთა 6:1; იუდა 4
[61] ფილიპელთა 2:12-13; 2პეტრე 4:3-11

თავისი კეთილგანწყობით. ჩვენ ვიღწვით გარეგნულად და ღმერთი წარმოქმნის შინაგანში. ჩვენ არ ვიღწვით ჩვენი გადარჩენისთვის, მაგრამ ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სულიერი ფორმირება ქრისტეს ხატად ხდება მადლით, მაგრამ ის ასევე მოითხოვს ბევრ, მძიმე შრომასაც. მძიმე შრომა მდგომარეობს იმაში, რომ შევინარჩუნოთ „ჩვენი ცხოვრება ღვთის გარემოცვაში“, სადაც ღვთის მადლი ასრულებს თავის ეფექტურ სამუშაოს.[62]

C. ჩვენ უნდა ვერიდოთ სენსაციონიზმს(ემოციებით გონების გადაფარვა).

არსებობენ გარკვეული ეკლესიები, რომლებიც ხაზს უსვამენ სენსაციურ, უაღრესად სუბიექტურ და ემოციურ გამოცდილებას, თითქმის სრულად უგულებელყოფენ გააზრებულ, მოწესრიგებულ, ლოცვით, ბიბლიაზე ორიენტირებულ ქრისტიანულ ცხოვრებას. მორწმუნეები, რომლებიც მოხვდნენ ასეთ მოძრაობებში, სავარაუდოდ, ვერ გაიზრდებიან მოწიფულობამდე, რადგან მათ ასწავლიდნენ, რომ ელოდონ ნებისმიერი სულიერი საჭიროების მხოლოდ სწრაფ და მარტივ გადაწყვეტებს. პროცესის მეშვეობით გწამდეს სულიერი სიმწიფის, არ არის ღვთის ძალის შეზღუდვა, არამედ მხოლოდ ღმერთის მიერ დამკვიდრებული ნორმალური სულიერი პროცესების აღიარებაა.

D. ჩვენ უნდა ვერიდოთ პერფექციონიზმს (ყველაფერში სრულყოფილების ძიება).

ქრისტიანები აწყდებიან სირთულეებს გარდასახვის გაგებაში, როდესაც ისინი ურევენ გულის სრულყოფას და სრულყოფილ სიყვარულს - აბსოლუტურ სრულყოფილებაში. თუმც იესო მოუწოდებს ქრისტიანული სრულყოფისკენ[63] და გამიზნული ცოდვის გადამწყვეტი მოსპობისკენ,[64] წერილი გარკვევით ხსნის, რომ იესოს ხასიათის და განწყობის შესაბამისად გარდასახვა არის პროცესი მთელი სიცოცხლის მანძილზე. ღვთისმოსავობა გაგებული უნდა იქნას, უფრო როგორც მოგზაურობა, ვიდრე დანიშნულების ადგილი.[65]

> *❓განიხილეთ ეს წინააღმდეგობები ჯგუფში. როგორ წარმოიდგენდით ამას ქრისტიანების ცხოვრებაში? როგორ გამოვლინდნენ ისინი თქვენს ცხოვრებაში?*

პაუზა განსჯისთვის

შესაძლოა, ჩვენ წამით უნდა შევჩერდეთ. პროგრესირებს, თქვენი სულიერი ცხოვრება? მოქმედებს თუ არა იესოს ცხოვრება თქვენში და თქვენგან ყველაფერში მზარდად? აცნობიერებთ, რომ ფიქრობთ როგორც ქრისტე, ასევე გიყვართ და მსახურობთ, როგორც ის, ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ადრე?

---

[62] Mulholland, 105
[63] მათე 5:48
[64] კოლასელთა 3:5
[65] ფილიპელთა 3:12-14

ჩვენ ვყალიბდებით სულიერად, როდესაც იესოს მშვენიერი ცხოვრება მოქმედებს ჩვენში სულ უფრო მეტად და მეტად. ეს არის სულიწმიდით ფორმირება - რწმენის მეშვეობით, განახლებულ გონებას და ენერგიულ ძალისხმევას - მივყავართ ნაყოფიერ ქრისტიანულ მსახურებამდე.

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. დაიმახსოვრე ამ კურსში წარმოდგენილი სულიერი განათლების განსაზღვრება, ან მოახდინეთ მისი ციტირება თქვენი ჯგუფის წევრისთვის, ან დაწერეთ ის.
2. ისწავლეთ ზეპირად 2 კორინთელთა 3:18 და გალატელთა 4:19. მზად იყავით მოახდინოთ ციტირება თქვენი ჯგუფისთვის, ან დაწეროთ.
3. ამ კვირაში გაატარეთ მინიმუმ ოცდაათი წუთი, გაკვეთილის მასალის გამეორებაში, მათ შორის წმინდა წერილის ადგილების, სთხოვეთ სულიწმიდას დახმარება გაგებაში.
4. თქვენს დღიურში ჩაწერეთ ნებისმიერი კონკრეტული ცვლილება, რომელიც უნდა განხორციელდეს თქვენს ცხოვრებაში, ისე როგორც უფალი გაგიხსნით თქვენ მათ.
5. იფიქრეთ თუნდაც ერთ ფსალმუნზე, ღმერთთან თქვენი ყოველდღიურად გამოყოფილი დროისას და თქვენსდღიურში ჩაწერეთ, თუ რას ამბობს ფსალმუნმომღერალი ღვთის ბუნებასა და ხასიათზე.
6. ჩაწერეთ თქვენსდღიურში პირადი ლოცვა სულიერი ფორმირებისა და ზრდის შესახებ ამ გაკვეთილის საფუძველზე.
7. პრაქტიკაში გამოიყენეთ *დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვითი სახელმძღვანელო* თქვენს ყოველდღიურ ლოცვაში.

ჩავულრმავდეთ

ეს და სხვა წყაროებია გამოყენებული მითითებებში ამ გაკვეთილებისთვის.

Mulholland, Robert M., Jr. *Invitation to a Journey*. IL: InterVarsity Press, 1993.

Drury, Keith. *Soul Shaper*. IN: Wesleyan Publishing House, 2013.

Lawrenz, Mel. *The Dynamics of Spiritual Formation*. MI: Baker Book House, 2000.

Smith, James Bryan. *The Good and Beautiful God: Falling in Love with the God Jesus Knows.* IL: InterVarsity Press, 2009.

Kinlaw, Dennis. *The Mind of Christ*. Wilmore, KY: Francis Asbury Press, 1998.

იესოს სათნოებები 11-12 გვერდიდან: თავმდაბლობა, თვინიერება, სიხარული (მხიარულება), მოთმინება, სიკეთე, გულწრფელობა, თავმდაბლობა, სიყვარული, პატიება.

ტესტი 1 გაკვეთილისთვის

1. რა არის სულიერი ფორმირება განსაზღვრება, როგორც ეს 1 გაკვეთილშია.

2. წარმოადგინეთ ბიბლიური საფუძველი ამ განსაზღვრებისათვის.

3. დაასრულეთ მტკიცება: მადლი არ ეწინააღმდეგება _____, მაგრამ წინააღმდეგობაშია _____. ახსენით.

4. რა არის ქრისტიანული მანდატი?

5. რას ნიშნავს ფრაზა „ ვხედავთ უფლის დიდებას?“

6. რატომ არის სულიერი ფორმირება პროცესი?

რა სამ წინააღმდეგობას უნდა ვერიდოთ სულიერი ფორმირების გზაზე?

გაკვეთილი 2

სულიერი ფორმირების სამშენებლო ბლოკები

როგორ ყალიბდება ჩვენში ქრისტეს ხატება

გაკვეთილის მიმოხილვა

გაიმეორეთ 1გაკვეთილის ძირითადი პუნქტები. სთხოვეთ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ გაგიზიარონ პირადი ლოცვები 1 გაკვეთილიდან.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს მოსწავლემ უნდა შეძლოს:

(1) გაიგოს და ახსნას სულიერი ფორმირებაში სამი ძირითადი შემადგენელი

(2) დააფასეთ სულიწმიდის მსახურება სულიერ ფორმირებაში.

ცხოვრებისეული მომენტები

❖სანამ ამ კურსზე ვმუშაობდი, შევხვდი ერთ ახალგაზრდას, მან გული გადამიშალა. ის არის გულწრფელი ქრისტიანი. მას აქვს მოქცევის ნათელი მოწმობა და მიაჩნია, რომ მან სრულად დაუქვემდებარა თავისი ნება ქრისტეს სასუფეველს. ის სწავლობს წმინდა წერილებს, აქვს საკმაოდ თანმიმდევრული ცხოვრება და მე ვხედავ აშკარა მტკიცებულებებს, რომ მას სწამს და ეშინია ღმერთის. ეს ახალგაზრდა მამაკაცი მთელი ძალით ცდილობს სრულად გადალახოს თავისი განსაკუთრებულად „დამაბრკოლებელი“ ცოდვა. „რატომ არ გაიარა ამ ცდუნებამ?!“ მე ვლოცულობ, ვკითხულობ ბიბლიას, მაგრამ სრულ გამარჯვებისგან მაინც შორს ვარ. რაღაც არ არის ისე, როგორც უნდა იყოს? ” იკითხა მან.'' მე თავს ვგრძნობ ისე იზოლირებულად, ისე მარტოდ ჩემს ბრძოლაში. ვფიქრობ, რომ მე ვარ მეორე ხარისხოვანი ქრისტიანი.”

როდესაც რამდენიმე კვირა ერთად გავატარეთ, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ჩემი მეგობარი გულწრფელი მორწმუნე იყო; მაგრამ მას ჭირდებოდა გონების განახლება გარკვეულ სფეროებში. მისი აზროვნება ღმერთსა და ქრისტიანულ ცხოვრებაზე მთლიანად არ იყო დაკავშირებული ღვთის სიტყვასთან. ჩემს მეგობარს ასევე სჯეროდა, რომ თუ მისი გული წმინდა იყო, მაშინ სიწმინდე და მორჩილება უნდა მიეღო ძალისხმევის გარეშე. მაგრამ ზოგიერთ საკითხში უდისციპლინობისა და სულიერი წინდაუხედაობის გამო, ჩემი მეგობარი ვერ აღწევდა სრულ გამარჯვებას.

> *❖ რა რჩევას მისცსმდით ჩემს მეგობარს? როგორ შეიძლება ჭეშმარიტმა მორწმუნემ დაამარცხოს დამაბრკოლებელი ცოდვა?*

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცით, სულიწმიდას შეუძლია გარდაქმნას ჩვენი გული, გადამწყვეტ მომენტებში, ჩვენ ასევე ვიცით, რომ მას სრულ სიმწიფემდე მივყავართ გონების განახლების პროცესების შედეგად, აგრეთვე ჯანსაღი დისციპლინით და სხვა მორწმუნეებთან ურთიერთობით.

სწავლება იმისა, რომ სულიერი ფორმირება არის პროცესი, არ გამორიცხავს არაჩვეულებრივ მომენტების გამოვლენას. იესოს ბევრი ერთგული მიმდევარი განიცდიდა „ღვთიურ მომენტებს ზეციდან შობამდე. ეს მომენტები ხშირად სხვადასხვა გზით არის განსაზღვრული, მაგალითად: „სულიწმიდით მონათვლა„სრული განწმენდა“. „სიმშვიდე რწმენით“, „სრულყოფილი სიყვარული“, „სულიწმიდით აღვსება“ და ა.შ. . ისევე, როგორც სასწაულები არ ანგრევს ბუნების ნორმალურ კანონებს, ჩვენს რიგებში ეს არაჩვეულებრივი მომენტები აჩქარებენ სულიერი ზრდის პროცესებს. არ გამოტოვოთ მიმდინარე სიმწიფის მიღწევის პროცესები, რომელიც ღვთის ნებით ხდება.

სულიერი ზრდა ჩვეულებრივ ხდება ფიზიკური ზრდის შემდეგ. ჩვილები არ ხდებან ზრდასრული ერთი ღამის განმავლობაში, მაგრამ მიდიან ღვთის მიერ ორგანიზებული სიმწიფის პროცესით. იგივე ხდება ჩვენი სულიერი ზრდისას, ფიზიკური და სულიერი ზრდის პროცესს თანახლავს ზრდის ნახტომები.

ძირითადი აზრი

იესო ქრისტეს ხატად ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მყარ ბიბლიურ საფუძველზე. ამ გაკვეთილზე ჩვენ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ მყარი საფუძველი, რომლის საფუძველზეც უნდა ავაგოთ ღვთის სასაურველი ცხოვრება, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი, ამ საფუძვლის არქონის გამო ბევრი ადამიანი სულიერად სუსტად გრძნობს თავს.

შესავალი

A. სულიერი ფორმირება უფრო მეტია, ვიდრე ზედაპირული ცვლილება.

ბევრი რამ, რასაც ჩვენ გარდასახვას ვუწოდებთ, არის მხოლოდ ზედაპირული ცვლილება, მაგალითად, მცირე სახვევის დადება ღრმა, ინფიცირებულ ჭრილობაზე. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ სწორად მოქმედების მდგომარეობაში და დავთრგუნოთ ცუდი ურთიერთობები და საქციელი, მაგრამ ოდესღაც ვიღაც, ან რაღაც მაინც გვაბიჯებს ფეხს მტკივნეულ ადგილას, ცდუნება ხდება ძალზე ძლიერი და ვაჩვენებთ, თუ ვინ ვართ სინამდვილეში.

ერთხელ პასტორმა აზიიდან აღიარა, თუ როგორ გამოავლინა უფალმა ის მისი ერთ – ერთი სასტიკი დევნის მეშვეობით. წლების განმავლობაში ბოროტმა ტომმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა ღვთის საქმიანობისთვის. მან ქვები ისროლა მსახურების დროს, ტყვიებს ესროდა მღვდლის სახლს, ძარცვავდა ეკლესიას. ამ დროს ჩემი მეგობარი პასტორი და მისი მრევლი ლოცულობდნენ მათთვის და გაუძლეს მის დევნას. „მე მეგონა, რომ ნამდვილი სიყვარული და პატიების უნარი მქონდა’’- მითხრა ერთხელ პასტორმა, - სანამ ერთ დღეს მოულოდნელ შეხვედრის დროს მთის გზაზე, ჩემი მოთმინების ფიალა არ აივსო. მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ მე მის

მოტოციკლს შევეჯახე ჩემი სატვირთო მანქანით და ვემუქრებოდი! მაშინ, მივხვდი, რომ არ მქონია ისეთი სიყვარული, როგორსაც ვფიქრობდი, რომ მქონდა. მივხვდი,რომ რომ ზედმეტად ვეყრდნობოდი ჩემს სულიერ ძალას და არ დავუქვემდებარე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი სულიწმინდას. ეს კი უფალმა ჩემი ცვლილებისა და თავმდაბლობის ჩამოყალიბებისთვის გამოიყენა. როდესაც მოვინანიე ჩემი კრებისა და ჩემი მდევნელის წინაშე(მას ახალი მოტოციკლიც კი ვუყიდე), უფალმა აავსო ჩემი გული ნამდვილი სიყვარულითა და ძალით.

ღმერთს სურს, რომ გააკეთოს ჩვენთვის გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენს ჭრილობებზე უბრალო სახვევის დადებაა. მას უფრო მეტი აქვს ჩვენთვის, ვიდრე ზედაპირული ცვლილებები.

რომ ვიყოთ ფორმირებული იესო ქრისტეს ხატად, საშიროა, რომ მისი ხასიათი - მისი სათნოება - ღრმად გვქონდეს ამოტვიფრული ჩვენს სულებზე. დენის კინლოუ გვახსენებს ჩვენ: "ქრისტეს ხატად ჩამოყალიბება არ არის მხოლოდ სწავლა, თუ როგორ მიბაძო მას; ეს ნიშნავს დაეუფლო მის აზროვნებას და მის დამოკიდებულებებს."[66] ღმერთს სურს, ისე გარდაგვქმნას, რომ ჩვენი ბუნებრივი რეაქცია ნებისმიერ გარემოებაში იყოს მისი რეაქციის მსგავსი.

როდესაც ქრისტეს სიყვარული სრულად ჩამოგვაყალიბებს ჩვენ, მორჩილება აღარ იქნება ტვირთი. როდესაც მისი სიმართლე სრულად აირეკლება ჩვენში, მაშინ სწორი საქციელის გამოვლინება, არ დაგვძაბავს. როდესაც მისი მშვიდობა და სიხარული აგვავსებს ჩვენ, ჩვენ გავუძლებთ ცხოვრების ყველაზე სასტიკ ქარიშხლებსაც კი.

B. ხანგრძლივი ცვლილებები შესაძლებელია.

კარგი ამბავი მდგომარეობს იმაში, რომ ცვლილება ყოველთვის შესაძლებელია - არა მხოლოდ ამის სურვილი, არამედ ჩვენ შეგვიძლია ვიაროთ იმ გზით, რომელიც ღმერთმა მოგვცა ცვლილებისთვის. როდესაც ჩვენ ვისწავლით განსხვავებულად ფიქრს, ვიცავთ სხვადასხვა პრაქტიკას და ვისწავლით ადამიანებთან სხვაგვარად ურთიერთობას, სულიერი ცვლილებები ბუნებრივად მოხდება.

გაკვეთილი

ქრისტეს ხატად სულიერი გარდაქმნის სამი სამშენებლო ბლოკი, რომელსაც ამ კურსში ვისწავლით:

სამი სამშენებლო ბლოკი სულიერი ფორმირებისთვის.[67]

1. **პირველი სამშენებლო ბლოკი - განახლებული გონება.**(ფილიპელთა 2:5; რომაელთა 12:1-2)
2. **მეორე სამშენებლო ბლოკი - სულიერი მომზადება.** (2ტიმოე 4:7; 1კორინთელთა 9:27; ებრაელთა 12:11)
3. **მესამე სამსენებლო ბლოკი - ქრისტიანულ მოზიარეობაში მონაწილეობა.** (ეფესელთა 4:13)

[66] Dennis Kinlaw, The Mind of Christ (Wilmore: Francis Asbury Press), 14
[67] James Smith, The Good and Beautiful God (Downers Grove: InterVarsity Press), 24

❓ წაიკითხეთ წერილის ეს ადგილები და შეეცადეთ განმარტება მისცეთ შემდეგ ფრაზებს: „ ის ზრახვანი იქონიეთ თქვენში“ „ღვთისმოსაობაში ივარჯიშე“ და „ვიდრე ყველა მივღწევდეთ. . . სრულყოფილ მამაკაცად. ” რას ნიშნავს ეს ფრაზები?

ქვემოთ მოცემულია ილუსტრაცია, რომელიც დაგვეხმარება ამ სამშენებლო ბლოკის ვიზუალიზაციაში ცვლილებებისთვის.



ილუსტრაციის (ზემოთ) და ცხრილის (ქვემოთ) განმარტება: განახლებული გონება თავისში გულისხმობს დარწმუნებას გადარჩენაში, ღმერთის შეცნობას, საკუთარი თავის შეცნობას და სულიწმიდის მუშაობის გაგებას. სულიერი მომზადება გულისხმობს უბედურებების და ტანჯვების გავლას, სულიერი დისციპლინების და პირადი დისციპლინის გაპრაქტიკებას. ქრისტიანული მოზიარეობა გულისხმობს (ყოველ შემთხვევაში) იმის გაგებას, თუ ვინ ვართ ჩვენ როგორც ღვთის ოჯახი და ურთიერთ კავშირში ასაშენებლად, ერთმანეთის მიღებას და პასუხისმგებლობას. ყოველივე ეს ხდება სულიწმიდის მუშაობის მეშვეობით ჩვენში.

განახლებული გონება ფილიპელთა 2:5; რომაელთა 12:1-2;	**სულიერი მომზადება** 2 ტიმოთე 4:7; 1 კორინთელთა 9:27	**ქრისტიანული მოზიარეობა** ეფესელთა 4:13
გადარჩენაში დარწმუნება	ტანჯვები, უბედურებები	ეკლესიის ბუნების გაგება და სხვა ეკლესიის წევრებთან მოზიარეობა ასაშენებლად
ღმერთის შეცნობა	სულიერი დისციპლინები	მიღება
საკუტარი თავის შეცნობა	პირადი დისციპლინა	პასუხისმგებლობა
სულიწმიდით	**სულიწმიდით**	**სულიწმიდით**

1. **პირველი სამშენებლო ბლოკი გარდასახვისთვის - განახლებული გონება.**

სულიერი ფორმირება უნდა დაიწყოს განახლებული გონებით, "რადგან, როგორც გულში ფიქრობს, ისეთია იგი."[68] გაითვალისწინეთ, რომ გული არის ის, სადაც ადამიანი ფიქრობს. გონება და გული ერთია საღვთო წერილში. აი საიდან უნდა დაიწყოს ჩვენი ტრანსფორმაცია. გონება არის მთელი ცხოვრების კონტროლის ცენტრი. ყველაფერი რაც ჩვენ ვართ და ვიქნებით გამომდინარეობს ამ ცენტრიდან.[69] იესომ თქვა: „კაცის გულიდან მოდის. ბოროტი აზრები, მრუშობა, სიძვა, მკვლელობა."[70] მან ასევე თქვა -„ ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, ცოცხალი წყლის მდინარეები იდინებენ მისი მუცლიდან". ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ,"[71] ამ კურსის პირველ ნაწილში, ჩვენ შევათანხმებთ ჩვენს აზრებს გადარჩენაზე, ღმერთზე და საკუთარ თავზე ღვთის სიტყვასთან. ჩვენი გონების ეს განახლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენში ღვთის ხატის ჩამოყალიბებისათვის.

> "... და განახლდით თქვენი გონებით სულში."[72]
>
> "... და შეიმოსეთ ახალი, რომელიც შემეცნებაში განახლებულია მისი შემქმნელის ხატისამებრ."[73]

დოქტორი დენის კინლოი გვასწავლის: "ქრისტიანული მოწაფეობის 3 კანონი ასეთია: (1) შეიტყვეთ ვინ არის იესო და მისი აბსოლუტური საკმარისობა ადამიანის ყველა საჭიროებისთვის. (2) შეიტყვეთ ვინ ხართ თქვენ. გააცნობიერეთ თქვენი არასრულყოფილება ღვთის სასუფეველში მსახურებისთვის,

[68] იგავი 23:7
[69] მათე 15:19
[70] მარკოზი 7:21
[71] იოანე 7:38-39
[72] ეფესელთა 4:23
[73] კოლასელთა 3:10

მიუხედავად იმისა, რამდენად გულმოდგინედ ცდილობთ მიუძღვნათ ძალისხმევა. (3) იპოვნეთ ძალა სულიწმიდაში, რომ შეავიწროვოთ თქვენი ადამიანური სისუსტე ქრისტეს სრულყოფილებით. როდესაც ჩვენ ამას ვაკეთებთ, სხვაგვარად ვიწყებთ ფიქრს; როდესაც ასე ვიქცევით, ჩვენი მსოფლხედველობა მთლიანად იცვლება.[74]

რომაელთა 12:2 გვიბრძანებს: *„და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით,“* ყველაფერი, რაც მოცემულ დროში ვართ და ყველაფერი რაც უნდა გავხდეთ დამოკიდებულია მართვის ცენტრზე.

A. წერილების გამოკვლევა გარდასახვისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

ბიბლია მუდმივად მოგვიწოდებს ჩვენ ვისწრაფოთ ცოდნისკენ და მივიღოთ დარიგება. ჩვენში უნდა აღსულდეს, „აღიზარდენით ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მადლსა და შემეცნებაში.”[75] აი რატომ ლოცულობდა პავლე განუწყვეტლივ ეფესელთათვის, რომ ღმერთმა „ გაანათლოს თქვენი გონების თვალნი,"[76]

როდესაც მე ბიბლიურ სკოლაში ვსწავლობდი, ჩვენი დირექტორი, დოქტორი რობერტ უიტაკერი, ხშირად გვესაუბრებოდა სტუდენტებს ქრისტესშემეცნების განვითარებაზე. ის ხშირად გვაფრთხილებდა: „იფიქრე, როგორც ქრისტიანმა!” მან იცოდა, რომ ჩვენ ქრისტეს მორწმუნე ადამიანები ვართ, მაგრამ მას ასევე ესმოდა, რომ მისი მოწაფეების გონება ჯერ კიდევ დაკავებულია შეუმეცნებლობით და ფაქტებით ფორმირებულია ქვეყნიერული შემეცნების ტიპის მიხედვით ზოგიერთ სფეროში.

წმინდა წერილების დაზეპირება იყო სულიერი დისციპლინა, რომელიც ღმერთმა ფართოდ გამოიყენა ჩემს ცხოვრებაში და ასევე ჩემი მეგობრების ცხოვრებაში, რომლებიც მას აპრაქტიკებდნენ, ან ჩემი გონების გახსნაში და განახლებაში, ზოგიერთ საკითხებთან მიმართებაში, ან ცდუნებასთან ბრძოლაში ან მომავალი განსაცდელებისთვის მომზადებაში.

მარიკა ჰერერი, სამხრეთ აფრიკა

იმისათვის, რომ ჩვენი გონება სწორად ჩამოყალიბდეს, არსებობს საგნები, რომლებიც ჩვენ უნდა ვისწავლოთ და ასევე რაღაც, რაც უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ უნდა მივიღოთ სწორი ინფორმაცია და ავირიდოთ დეზინფორმაცია. ეს, თითქმის ყოველთვის პროცესია - ჩემი გონების სიმართლით ავსების პროცესი. ეს არის აგრეთვე პროცესი, რომელიც განწმენდს ჩემს გონებას არასწორი და დამანგრეველი აზრებისგან ღმერთზე, საკუთარ თავზე, ჩემს გარშემო არსებულ სამყაროზე და ქრისტიანულ ცხოვრებაზე. ადვილი არ არის გესმოდეს ღვთის და ჭეშმარიტების ხმა, გარშემო მყოფი სამყაროს ხმაურის ფონზე, ზოგჯერ კი ეკლესიაშიც, ან თუნდაც საკუთარ გულში არსებული ამაობის ფონზე. მაგრამ ყველა ხმა ჩემს თავსა და გულში, რომელშიც სიმართლე არ არის ნათქვამი, უნდა გაჩუმდეს.

[74] Dennis Kinlaw, The Mind of Christ (Lexington: Francis Asbury Press), 68
[75] 2პეტრე 3:18
[76] ფილიპელთა 1:19

ფრთხილად იყავით! ღმერთისა და საკუთარი თავის არაჯანსაღი გაგების დემონტაჟი ან დანგრევა, შეიძლება საშიში პროცესი აღმოჩნდეს, თუ კი იგი არ იქნება სრულიად ბიბლიური და აბსოლუტურ მორჩილებაში: ქედმაღლობა გვაცდუნებს ჩვენ, ღმერთის შესახებ ჩვენი წარმოსახვების ჩამოყალიბების დროს, იმ ხრივ, როგორც ჩვენ თვითონ გამოვიგონეთ. სიამაყით თუ ვიხელმძღვანელებთ, ჩვენ შეიძლება უარვყოთ ღვთის ნამდვილი ხატება. რომელიც გავს იმას,რასაც ვერ ვიტანთ, მაგრამ მაინც არ გვექნება ღვთის ნამდვილი ხატება.

B. თავმდაბლობა არის გასაღები გაგებისთვის.

ჩვენს მისწრაფებაში, რომ ღმერთზე სწორად ვიფიქროთ, ღვთის ხალხი ჩვენი თანამგზავრია, წმინდა წერილები კი ჩვენი ავტორიტეტი, თავმდაბლობა ჩვენი დამოკიდებულებაა, ხოლო სულიწმიდა ჩვენი დამხმარეა, "ღმერთი ამაპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს."[77]

თავმდაბლობა ნიშნავს, რომ მე უარს ვამბობ კონტროლზე და ვემორჩილები ღვთის გამოცხადებას, იმისდა მიუხედავად თუ ეს რა დაგვიჯდება. სინამდვილეში ეს, სულიერი გარდასახვის ერთადერთი გზაა.

სულიერ მოგზაურობაში გვხვდებიან სერიოზული საცდურები უარვყოთ ჭეშმარიტება, იმის გამო რისი დაკარგვაც პროცესში მოგვიწევს. ჩვენ გვეშინია გავანაწყენოთ ჩვენი ოჯახი, კულტურა, ან გადავუხვიოთ ტრადიციებისგან, ჩვენ არ გვსურს ვიყოთ უცნაურები, უარყოფილები, ან დევნილები, საზოგადოებისგან იზოლირებულები, ან ეტიკეტირებას დაქვემდებარებულები. ჩვენ განვიცდით ცდუნებას, დავემორჩილოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს მეტად ვასიამოვნოთ, ვიდრე ღმერთს. გახსოვდეთ ბიბლია მაბობს: „მოყვასთან მლიქვნელი, ბადეს უგებს მას ფეხქვეშ."[78]

C. რწმენა არის ჭეშმარიტების განცდის გასაღები.

რწმენით ღმერთის სიტყვის მიღება აცოცხლებს მას ჩვენში. ის, რომ ვიცოდეთ რაიმე ბიბლიური, ეს ზეგავლენას მოახდენს მთელს ჩემს ცხოვრებაზე.

ბიბლიური რწმენა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ცოდნა. ამ კონკრეტულ მომენტში თქვენ ალბათ „ენდობით" სკამს. შესაბამისად, ალბათ ბევრი შეიტყვეთ სკამებზე, კონკრეტულად კი თქვენს სკამზე. ახლა კი მზად ხართ თქვენი სხეულის სრული წონა ანდოთ ერთ კონკრეტულ სკამს. ეს ისაა, რასაც ბიბლია გულისხმობს რწმენის ქვეშ და რასაც სახარების ავტორები გულისხმობენ, როდესაც ამბობენ: „მათი რწმენა რომ იხილა იესომ, უთხრა დავრდომილს: "შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები!"[79] რა დაინახა იესომ, როცა რწმენა დაინახა? როგორ გამოიყურებოდა რწმენა? იესომ დაინახა, რომ პარალიზებული კაცის მეგობრები საკმარისად ენდობოდნენ მას, რომ მიეყვანათ მასთან თავისი მეგობარი განკურნების მოლოდინში. იესომ დაინახა ადამიანები, რომელთაც თავი მიუძღვნეს იმას,

[77] იაკობი 4:6
[78] იგავ 29:25
[79] მარკ 2:5

რაც სიმართლედ მიაჩნდათ ქრისტეს შესახებ. იესომ დაინახა მათი მოქმედება და უპასუხა მათ მპატიებელი, განმკურნებელი, გარდამსახველი მადლით! ესაა რწმენის ძალა.

როცა ჩვენ ვენდობით ღვთის სიტყვას, უზენაესი სულიწმინდის მეშვეობით გარდაგვქმნის ჩვენ ქრისტეს ხატად, რა თქმა უნდა ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი თავის ქრისტეს ხატად ჩამოყალიბებას. რობერტ მალჰოლანდ უმცროსი ამტკიცებს:

> „წმინდა წერილი ასევე ნათლად მოწმობს იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია გვიხსნას ჩვენი მონობისგან, განკურნოს ჩვენი დამსხვრევა, განწმინდოს ჩვენი უწმინდურება და გამოიყვანოს სიცოცხლე ჩვენი სიკვდილიდან. ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია ამის გაკეთება. ასე რომ სულიერი გარდასახვა ესაა გამოცდილება უფლის მიერ ჩვენი ფორმირებისა მთლიანობის მიმართულებით. თვითდაჯერებულობა ღრმადაა ჩვენში ფესვგადგმული, ღმერთი არის ინიციატორი ჩვენი მთლიანობისკენ ზრდისა და ამიტომ ჩვენ მის ხელში უნდა ვიყოთ რბილი თიხა''.[80]

ღმერთის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვქმნათ ჩვენს ხასიათში სიყვარული, სიხარული და მშვიდობა, იმისათვის რომ სულიერი ჩამოყალიბების პროცესი განხორციელდეს ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ უნდა ვენდოთ და მივუძღვნათ თავი იმას, რასაც ღმერთი დაგვპირდა და განაცხადა, ''ესაა რწმენა, რაც მოსწონს ღმერთს (ებრაელთა11:6;) ''რწმენა უხსნის კარებს იესო ქრისტეს მიერ გამოსყიდვის კურთხევებს და პრივილეგიებს და ეუფლება მათ. ის რაც იესომ მოიმოქმედა, რწმენა მას ხდის არა მარტო ხელმისაწვდომს, არამედ რეალურს ჩვენთვის. ჭეშმარიტი რწმენა პასუხობს ჭეშმარიტებას, რომელიც თითოეულმა მიიღო და ამით ააქტიურებს ღმერთის აღთქმებს. ღვთის სიტყვისადმი ჩვენი ნდობის და მიძღვნის მეშვეობით სულიწმინდა იწყებს ჩვენი ხასიათის გარდაქმნას და გვაძლევს შესაძლებლობას ვიცხოვროთ, როგორც ქრისტემ.

მაგრამ ეს ჯერ არ არის ყველაფერი.

2. გარდასახვის მეორე საძირკველი არის სულიერი მომზადება.

სულიერი ფორმირება უდაოდ გულისხმობს თავისში სულიერ სწავლებას. როგორც პავლე გამოწვევას უგზავნის ტიმოთეს: „ღვთისმოსაობაში ივარჯიშე“[81]

ის თვითონაც თავისთავზე ამბობს: „ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, თვითონ უღირსი არ აღმოვჩნდე.“[82]

A. სულიერი მომზადება უნდა დაემატოს ჯანსაღ დოქტრინას.

ჯონ ვესლი თვლიდა, რომ ქრისტიანული ცხოვრების მიზანი ღვთისა და ადამიანის სიყვარულია, მაგრამ ის, თუ როგორ ვიზრდებით სიყვარულში სულიერი დისციპლინაა. ის თვლიდა, რომ მიზეზი

[80] Mulholland, 16
[81] 1ტიმოთე 4:7
[82] 1კორინთელთა 9:27

თუ ქრისტიანობამ რატომ ”გააკეთა ასე ცოტა სიკეთე მსოფლიოში”, ან რატომ არ იქონია მაქსიმალური ზეგავლენა, იყო სამი რამ:

1) საღი დოქტრინის არარსებობა

2) პასუხისმგებელი დისციპლინის ნაკლებობა

3) თვითგამორკვევის უგულებელყოფა [83]

> *რატომ არის, რომ თითოეული მათგანი: - დოქტრინა, დისციპლინა და თვითუარყოფა - საჭიროა ეფექტური ქრისტიანული ცხოვრებისა და მოწმობისათვის?*

უესლიმ ქრისტიანული ცხოვრების დისციპლინები ორ ძირითად ნაწილად დაყო: **ღვთისმოსავი საქმეები** და **წყალობის საქმეები**. [84] აი ნაწყვეტი უესლის ერთ-ერთი ქადაგებიდან:

> ”მაგრამ რა არის ეს კეთილი საქმეები? რომელთა გაპრაქტიკება, როგორც თქვენ ამტკიცებთ, განწმენდისთვის აუცილებელია?” პირველ რიგში, ესაა ყველა საქმე, როგორიცაა: სახალხო ლოცვა, ოჯახური ლოცვა და საიდუმლო ოთახში ლოცვა; ზიარების მიღება; საღვთო წერილის გამოძიება,მოსმენა, კითხვა, განსჯა და მარხვის გამოყენება ან თავშეკავება იმდენად, რის საშუალებასაც გვაძლევს ჩვენი ფიზიკური ჯანმრთელობა.
>
> მეორე, წყალობის ყველა საქმე, ეხება ეს ადამიანთა სხეულებს, თუ სულებს; მაგალითად, მშივრების გამოკვება, შიშვლების ჩაცმა, უცხოთა მიმართ გულთბილად მოქცევა, ციხეში მყოფთა, ან ავადმყოფთა, ან სხვადასხვაგვარად დაავადებულთა მონახულება; ან მაგალითად ეცადო დაარიგო უგუნურები, აღძრა უგუნური ცოდვილები, გამოაცოცხლო ნელთბილები, განამტკიცო მერყეობა, ანუგეშო გონებასუსტები, წაახალისო ცდუნებულები, ან რაიმე ფორმით დაეხმარო სიკვდილისგან სულების გადარჩენაში. ეს მონანიებაა და ეს "ნაყოფები გვხვდება მონანიებისთვის", რაც აუცილებელია სრული განწმენდისთვის. ეს არის გზა, რომლითაც ღმერთმა დანიშნა თავის შვილები, რომ დაელოდონ სრულ გადარჩენას.

ღმერთი სიტყვა გასაგებად ამბობს, რომ ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი ვიდრე ქრისტეს ხატებაში გარდასახვის გამოცდილებაა. შემდეგ გაკვეთილებში ჩვენ გაჩვენებთ, რომ თუ ჩვენ გამუდმებით არ გავიზრდებით, მაშინ ჩვენი არასწორი აზრები ღმერთზე და თვითონ ჩვენს თავზე, ყველაფერთან ჩვენი გამოუმუშავებელი დამოკიდებულებები, ჩვენი დაუდეგარი მადა, ჩვენი გაფუჭებული ემოციები, დაამარცხებენ ჩვენში ჩვენს საუკეთესო სურვილებს გავხდეთ ქრისტეს მსგავსი. ამ კურსის ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ უმნიშნელოვანეს როლს, რომელსაც სწავლება და სულიერი დისციპლინა ასრულებენ ჩვენს ქრისტეს ხატად გარდასახვაში. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ამ განყოფილებას უფრო პრაქტიკულად აღმოაჩენთ.

---

[83] Matt Friedman, Discipleship (Wilmore: Francis Asbury Press, 2017), 40

[84] John Wesley, “The Scripture Way of Salvation,” John Wesley’s 52 Standard Sermons, paragraphs 9,10

B. სულიერი მომზადება შეიძლება მოხდეს მრავალი ფორმით.

ღმერთს ჩვენს მოსამზადებლად მრავალი განსხვავებული საშუალება აქვს. უბედურება, ან ტანჯვა - ღმერთის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია იმისათვის, რომ გარდაგვსახოს მის ხატებაში. ამას გარდა, კლასიკური სულიერი დისციპლინები, მათ შორის, ლოცვა, განსჯა, განმარტოება, მარხვა, უბრალოება, მსხვერპლი, თაყვანისცემა, მოზიარეობა, აღსარება და მორჩილება; ასევე პირადი დისციპლინები - ენის კონტროლი, აზრების დატყვევება, კონტროლის აღება ჩვენს მადაზე, დროის მართვა და პირადი დარწმუნების დაფუძნება - არის ღმერთის საშუალება, ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ეს განხილული იქნება შემდგომ გაკვეთილებში.

სულიერი აღზრდის მეშვეობით, ქრისტესმიერი აზროვნება და ქცევა, ცხოვრების ყველა გარემოებაში, თანდათანობით ხდება უფრო ადვილი და ჩვეული. დისციპლინირებული სწავლების მეშვეობით ქრისტეს ხატი ჩვენში ხდება ბუნებრივი და სამუდამოდ აღიბეჭდება ჩვენს ხასიათში.

როდესაც ჩემს მეუღლე ბეკისთან ერთად ბიბლიურ სკოლაში ვსწავლობდი,ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა მოხუცებული ქრისტიანი წყვილი მისტერ და მისის ფაუსტი, მოთმინებისა და სიხარულის რა მაგალითები იყვნენ ისინი ჩვენთვის! მისის ფაუსტი სრული ინვალიდი იყო და მისი მდგომარეობა უარესდებოდა 10 წლეულების განმავლობაში, მისი მეუღლე კი ზრუნავდა მასზე დღე და ღამ დიდი სინაზით, სიყვარულითა და მბრწყინავი სიხარულით. იმ დღეებში მე ჩემს თავს ვადარებდი ისეთ ადამიანებს, როგორიც მისტერ ფაუსტი და ასევე ჩემი ზრდასრული მსწავლებლები იყვნენ. მექნება კი ოდესმე სიყვარულის ისეთი ხარისხი, ასევე გაბედულება და მოთმინება, როგორიც მათ აქვთ? მე არ მესმოდა, რამდენი წლის განმავლობაში, ათწლეულებიც კი ეს ხალხი აპრაქტიკებდნენ ქრისტიანულ ცხოვრებას. ისინი საკმაოდ წინ წავიდნენ, რადგანაც გაცილებით დიდხნას ვარჯიშობდნენ.

სულიერი დისციპლინა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ქრისტიანულ ცხოვრებაში წარმატებისათვის. მის გარეშე კი ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ცდუნების დროს წარუმატებლობას განვიცდით. აი რატომ არიგებდა პავლე ტიმოთეს „ღვთისმოსაობაში ივარჯიშე.“ პეტრე ასევე მოგვიწოდებს ჩვენ: “ამიტომ ყოველი ღონე იხმარეთ, რომ შესძინოთ თქვენს რწმენას სათნოება, სათნოებას - შემეცნება, შემეცნებას - თავშეკავება, თავშეკავებას - მოთმინება, მოთმინებას - ღვთისმოსაობა, ღვთისმოსაობას - ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობას კი - სიყვარული. ვინაიდან თუ ყოველივე ეს თქვენშია და მრავლდება, არ დარჩებით უქმად და უნაყოფოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შემეცნებაში.”[85] მოციქული ამბობს, რომ ძალისხმევის გარეშე, ქრისტეს სათნოებანი შეუძლებელია გახდნენ ჩვენი ხასიათის ნაწილი.

C. სულიერ სწავლება მოაქვს თავისუფლება და იწყება აღფრთოვანება

როცა სულიწმიდა გვასწავლის ჩვენ, რომ ვიპოვოთ სრული კმაყოფილება ღმერთში, ჩვენ ვიქნებით ნამდვილად თავისუფალნი. თუ ჩვენ განვთავისუფლდებით ჩვენი სხეულის იმპულსების უბრალო მემკვიდრეობისგან, თუ ვისწავლით დავუმორჩილოთ ღმერთს ჩვენი ბუნებრივი სურვილები, რათა

[85] 2 პეტრე 1:5-8

უფრო დავტკბეთ მისით - ჩვენ თავისუფლები ვართ. როცა ჩვენ მოკლებულნი ვართ მატერიალურ საგნებს, ან თუნდაც ვიტანჯებით, მგრამ მაინც ვპოულობთ სიამოვნებას იესოში, ჩვენ თავისუფლები ვართ. პავლეს თვითდისციპლინამ წარმოშვა ასეთი ტავისუფლება. ის წერს:

> ” გაჭირვების გამო არ ვამბობ ამას, ვინაიდან ვისწავლე იმით დაკმაყოფილება, რაც მაქვს. ვიცი გაჭირვებაში ცხოვრებაც და ვიცი სიუხვეშიც, მიჩვეული ვარ ყველაფერს და ყოველივეს: სიმაძღრეს და შიმშილს, სიუხვესა და ხელმოკლეობას. ყოველივე ძალმიძს ჩემი გამაძლიერებლის, ქრისტეს მეშვეობით.”[86]

სულიერი წვრთნების, ტანჯვების, დისციპლინების და თვითდისციპლინის შედეგად, ჩვენი შინაგანი (მშვინვა) იქნება განთავისუფლებული, რომ ვიყოთ და ვაკეთოთ ის, რაც სურს ღმერთს. მხატვრის მონასმები ხდება თავისუფალი და მსუბუქი სწავლების პროცესში. სპორცმენი ასპარეზობს უნარიანი მოძრაობებით, ფიზიკურ მომზადებაში გატარებული ურიცხვი საათების, წვრთნების და მუდმივი გამეორების შედეგად. მასწავლებელი ლაპარაკობს მსუბუქად და დარწმუნებულად, ლოცვაში გატარებული დროსა და ტემის დაუფლების შედეგად. მუსიკოსი გამოდის ასევე თავისუფლად და ლამაზად, რადგან მისმა პრაქტიკის წლებმა მოამზადა იგი. ზრდასრული ქრისტიანი კი გამოავლენს ქრისტეს სიცოცხლეს, ყველაზე რთულ ცხოვრებისეულ გარემოებებში, იმიტომ რომ დღითიდღე, თვეების და წლების განმავლობაში ის ემზადება ამისთვის ღმერთის წყალობით.

რა ხდება როცა არ არის დისციპლინა?

როცა არ არის დისციპლინა, მხატვარი ხდება ნაკლებად გამოცდილი, შეცდომები ხდება უფრო გავრცელებული, მისი ხელოვნება კი უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელი. ათლეტი კი ხდება ნაკლებ მოქნილი, ნაკლებ მოძრავი, ხშირად წაიბორძიკებს და მიზანს ვერ აღწევს.

როცა დისციპლინა არაა ქრისტიანულ ცხოვრებაში, ჩვენ ვერ დავეუფლებით უნარ-ჩვევებს ქრისტიანულ ცხოვრებაში. ხშირად წავიბორძიკებთ. ჩვენი სულიწმიდასთან ურთიერთობა ატარებს ეპიზოდურ ხასიათს. შეცდომები უფრო გავრცელებულია, ცხოვრება ნაკლებ დამაკმაყოფილებელი, ურთიერთობები ნაკლებ მადლიანი, ჩვენი ღმერთთან სიარული კი ნაკლებ ნაყოფიერი.

ამ თაობაში ჩვენ არ გვესმის ბევრი საუბრები დისციპლინირებულ ქრისტიანულ ცხოვრებაზე. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ადვილად და სწრაფად გვინდა ჩვენი სულიერება. ზოგიერთ ქრისტიანს უნდა სულიერი მაგია! ჩვენ გვინდა ავიქნიოთ ჰაერში ხელი და უეცრად გვქონდეს მთელი სულიერება, რაც გვჭირდება. როგორც გათამამებული ბავშვები, არ გვწყურია რაიმე ძნელი, ძალიან მოთხოვნადი, მკაცრი და მტკივნეული. ჩვენ გვავიწყდება იესოს სიტყვები: „თუ ვინმეს უნდა გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს.”[87]

ქრისტიანული ცხოვრებით იმედგაცრუება არ არის ქრისტიანული ცხოვრების ბრალი, არამედ ჩვენი საკუთარი მცდარი მოლოდინების ბრალია. ძალიან ხშირად ველოდებით, რომ ღმერთმა

---

[86] ფილიპელთა 4:11-13
[87] ლუკა 9:23

მყისიერად გადაგვაქციოს ღვთისმოსავებად. მითუმეტეს, ღმერთი დაინტერესებულია არა სულიერი მაგიით, არამედ სტანდარტების შესაბამისი სულიერი მებრძოლების, სულიერი მუშაკების და სულიერი ათლეტების აღზრდით - მამაკაცების და ქალების, რომელთაც შეუძლიათ მოიგონ ბრძოლა, შეასრულონ ღმერთისგან მიღებული დავალებები და მოიგონ რბოლა. მოგვიანებით ამ კურსში თქვენ შეისწავლით ინსტუქციებს, როგორც კლასიკურ, ასევე პირად სულიერ დისციპლინებში და მოწოდებული იქნებით მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებლად, და ყველაფერ ამას გავაკეთებთ, რომ უფრო მეტად დავემსგავსოთ ქრისტეს.

3. გარდასახვის მესამე სამშენებლო ბლოკი არის ქრისტიანული თემის ცხოვრებაში მონაწილეობა.

სულიერი ფორმირება უნდა მოიცავდეს ქრისტიანულ თანამეგობრობას, (ადგილობრივ ეკლესიურ მოზიარეობაში მონაწილეობა). შეუძლებელია გადააფასო მნიშნელოვანი როლი, რომელსაც ქრისტეს სხეული - მისი ეკლესია- ასრულებს ჩვენს სულიერ ჩამოყალიბებაში. ასევე შეუძლებელია გადააფასო თუ რამდენად გაღატაკდნენ და დასახიჩრდნენ ქრისტიანები, რომლებიც ქრისტეს სხეულთან მოზიარეობით არ არიან გამდიდრებულნი და გამშვენებულნი.

ღვთის ოჯახთან ჩვენი კუთვნილების და მის ცხოვრებაში მონაწილეობის გზით ყალიბდება ჩვენი ხასიათი. ეკლესიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მეშვეობით მე ვპოულობ იმ პრაქტიკას, რომელიც ჩემთვის აუცილებელია, რომ შევიძინო იესო ქრისტეს ცხოვრების უნარ ჩვევები. ვრცერთი ადამიანი ვერ იქნება დაუსახლებელ კუნძულზე; ყველას, ვინც მოახდენს საკუთარი თავის იზოლირებას ღვთის ხალხის აღზრდის, მოზიარეობის, მსახურების, დაცვისა და დისციპლინისგან ვერ შეძლებს სრულყოფილად მონაწილეობდეს სასიხარულო კავშირში ღმერთთან. ღმერთი არის სამება - მამა, ძე და სულიწმიდა - და ისინი სრულყოფილ ჰარმონიასა და მოზიარეობაში იმყოფებიან მთელი მარადისობის განმავლობაში. ადამიანები შექმნილნი არიან მის ხატად და შექმნილნი არიან ერთმანეთისთვის, რომ შევიდნენ ურთიერთობებში, რომ ააშენონ ერთმანეთი და არა იმისთვის, რომ ერთმანეთისგან იზოლირდნენ.

მე წავიკითხე ერთი პასტორის შესახებ, რომელიც ეწვია ფერმერს, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში არ ესწრებოდა კვირის მსახურებას. როდესაც ისინი ბუხრის წინ იჯდნენ, მამაკაცმა განუცხადა პასტორს, რომ ის ვერ გრძნობს, რომ მას ეკლესია ჭირდება. ”მე შემიძლია ღმერთთან უკეთ ვისაუბრო მინდორში”, - თქვა მან. პასტორმა არაფერი თქვა; მაგრამ სანამ ფერმერი აგრძელებდა საუბარს იმაზე, თუ როგორ არ სჭირდება მას სხვა ქრისტიანებთან მოზიარეობა, პასტორმა ცეცხლიდან გამოიღო ერთი აგიზგიზებული შეშა და დადო ცალკე - სხვა ცეცხლმოკიდებული შეშისგან მოშორებით . ძალიან მალე ცეცხლმოკიდებული, ცალკედადებული შეშა ჩაქრა! ფერმერმა გააცნობიერა უსიტყვო გზავნილი და შემდეგ კვირას ეკლესიაში მივიდა!

ჩვენ ვერასდროს ვერ შევძლებთ მარტოობაში გავხდეთ ის, ვინც ღმერთს უნდა რომ ვიყვეთ. სულიერი მოზიარეობის მაგალითი, დარიგება და ქრისტეს სხეულის ნიჭები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯანმრთელი სულიერი ფორმირებისთვის. ქრისტიანული თემი გვეხმარება პირად გარდასახვაში, ყოველ შემთხვევაში:

A. ქრისტიანული თემი მაძლევს მე სულიერ ოჯახს, რომლის გარეშეც მე არა მაქვს, არც კუთვნილება, არც ნამდვილი მიმღებლობა, არც საზრუნავი და არც გამხნევება.

B. ქრისტიანული თემი უზრუნველმყოფს მე ბიბლიურ დარიგებით, რომლის გარეშეც ვერ ვიქნები გამოკვებილი ღმერთის სიტყვით.

C. ქრისტიანული თემი ხშირად მიბიძგებს მე და ეს მე რეალურად მჭირდება, რომ მოხდეს ცვლილებები.

D. ქრისტიანული თემი უზრუნველმყოფს მე სულიერ პასუხისმგებლობით.

E. ქრისტიანული თემი უზრუნველმყოფს მხარდაჭერითა და ძალით, რომელიც მე მჭირდება ქვეყნიერების, ხორცისა და ეშმაკის დასაძლევად.

F. ქრისტიანული თემი მაძლევს პრაქტიკულ შესაძლებლობებს ვიმსახურო, გამოვავლინო ჩემი სულიერი ნიჭები.

G., ქრისტიანული თემის მეშვეობით, დიდი დავალებები ხორციელდება.

4. გარდასახვის სულიერი ბლოკები სულიწმიდის მიერ ლაგდება.

იესო ქრისტეს ხატად ჩამოყალიბება მხოლოდ სულწმინდის დახმარებით არის შესაძლებელი.

A. სული ამხილებს

”როდესაც ის მოვა, ამხილებს ქვეყნიერებას ცოდვის შესახებ, სიმართლისა და სასამართლოს შესახებ;”(იოან 16: 8).

B. სული წმენდს და ძალით შემოსავს.

”ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი; მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდად გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღმერთის სულით.“(1 კორინთელთა 6:11).

” რამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც მოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში და მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე.” (საქმეები 1: 8).

C. სული ადასტურებს ქრისტესადმი ჩვენს რწმენას.

” და ვინც იცავს მის მცნებებს, იგი რჩება მასში და ის კი მასში. ის რომ ჩვენში რჩება გავიგებთ სულით, რომელიც მან მოგვცა.”(1 იოანე 3:24).

”მასში ხართ თქვენც, ვინც მოისმინეთ ჭეშმარიტების სიტყვა, თქვენი გადარჩენის სახარება, და იგი იწამეთ და დაიბეჭდეთ აღთქმული სულიწმიდით,”(ეფესელები 1:13).

D. სული გარდაგვსახავს ჩვენ ქრისტეს ხატად.

” ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას როგორც სარკეში და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან.” (2 კორინთელთა 3:18).

E. სული ჯვარს აცმევს ხორცის საქმეებს.

„ვინაიდან, თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს იცოცხლებთ.“ (რომაელთა 8:13).

”აი, მე ვამბობ: მოიქეცით სულიერად და თქვენ არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმათ.” (გალატელთა 5: 16).

F. სული გველაპარაკება.

”და სულის შთაგონებით მივიდა ტაძარში, და როდესაც მშობლებმა მიიყვანეს ყრმა იესო, რომ მოქცეოდნენ მას სჯულის წესისამებრ;ჩვენ” (ლუკა 2:27; ასევე იხილეთ 4:1)

G. სული აკონტროლებს

ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსეთ სულით. (ეფესელთა 5:18).

H. სული გვეხმარება შევიმეცნოთ ღმერთისაგან ჩვენი შვილება.

„და რაკი თქვენ შვილები ხართ, ღმერთმა წარმოაგზავნა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: აბბა, მამაო.“ (გალატელთა 4:6)

I. სული გვაქცევს ქველმოქმედებად

„ხოლო იმედი არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღმერთის სიყვარული ჩაგვესახა ჩვენს გულებში, სულიწმიდის საშუალებით, რომელიც მოგვეცა ჩვენ.“ (რომაელთა 5:5)

იმდენად, რამდენადაც ვცდილობთ იესო ქრისტეს ხატად ჩამოყალიბებას, სულიწმიდა ხდება ჩვენთვის იგივე, რაც ოკეანე თევზისთვის, ეს მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. თევზისთვის ოკეანე არის ყველაფერი - მისი სუნთქვა, მისი საკვები, მისი სასმელი, მისი სახლი! ოკეანე არის სადაც თევზი თამაშობს, ნადირობს იფურჩქნება. თევზმა, რომ გადაწყვიტოს, რომ მისთვის პლაჟზე ცხოვრება უკეთესია, მისი სიცოცხლე არ იქნებოდა ხანგრძლივი;

იყო სულში, უბრალოდ ნიშნავს, რომ იესომ გამოგზავნა ის, ყოფილიყო ჩვენი შინაგანი სიცოცხლის წყარო, ძალა, განათლება და სიბრძნე და მის გარეშე ჩვენ მოვკვდებით, ზუსტად ისევე, როგორც თევზი კვდება წყლის გარეშე. სულიწმიდის გარეშე ქრისტეს ხატი არასდროს არ იქნება ჩამოყალიბებული ჩვენში.

დასკვნა

როცა ეს სამშენებლო ბლოკები შეერთდება, ეს მოგვცემს ჩვენ შესაძლებლობას ჩვენში ჩამოვაყალიბოთ ქრისტეს ხატება.

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. საფუძვლიანად შეისწავლეთ დიაგრამა და მზად იყავით ახსნათ ის კლასში.

2. გამოყავით მინიმუმ ოცდაათი წუთი ამ კვირაში, რომ შეისწავლოთ ეს გაკვეთილი და ასევე ბიბლიური ადგილები, სთხოვეთ სულიწმიდას მოგცეთ გაგება.

3. თქვენს დღიურში ჩაწერეთ ნებისმიერი კონკრეტული ცვლილება, რომელიც უნდა მოხდეს თქვენს ცხოვრებაში, რადგან უფალი გიხსნით მათ.

4. იფიქრეთ თუნდაც ერთი ფსალმუნის ირგვლივ თქვენი ღმერთთან ყოველდღიური მოზიარეობის დროს და თქვენს დღიურში ჩაწერეთ, თუ რას ამბობს ფსალმუნმომღერალი ღვთის ბუნებასა და ხასიათზე.

5. ჩაწერეთ თქვენს დღიურში პირადი ლოცვა სულიერი გარდასახვაზე და ზრდაზე ამ გაკვეთილის საფუძველზე.

ტესტი 2 გაკვეთილისთვის

1. დახატეთ და ახსენით ილუსტრაცია და სულიერი ფორმირების ცხრილი, რომელიც მოცემულია 2 გაკვეთილში, წერილის ადგილებთან ერთად.

2. მოამზადეთ ამ ილუსტრაციის ზეპირი პრეზენტაცია დანარჩენი სტუდენტებისათვის.

გაკვეთილი 3

ბიბლიური დარწმუნებულობის მაფორმირებელი ძალა

გაკვეთილის მიმოხილვა

რა არის თითოეული ქრისტიანის მიზანი? რა არის სულიერი ფორმირების სამშენებლო ბლოკი? სტუდენტებმა სხვებს გაუზიარონ თავიანთი ლოცვა მე -2 გაკვეთილიდან.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის მასალის შესწავლის შემდეგ სტუდენტებმა უნდა შეძლონ მიაღწიონ შემდეგ მიზნებს:

(1) უნდა გაიგო, რატომ არის მნიშვნელოვანი გადარჩენაში დარწმუნება.

(2) იცოდეს გადარჩენაში დარწმუნების სამშენებლო ბლოკი.

(3) უნდა შეეძლოს სახარების ზუსტად მიტანა - გადარჩენაში დარწმუნების საფუძველი.

(4) უნდა შეეძლოს პასუხის გაცემა: რა არის ცოცხალი რწმენა?

(5) უნდა ესმოდეს სულიწმინდის შინაგანი მოწმობა.

(6) გაანალიზეთ საკუთარი თავი გადარჩენაში დარწმუნების ათ სატესტო საკითში.

ცხოვრებისეული მომენტები

- დაკარგულხართ ოდესმე? მე დიახ. არასდროს დამავიწყდება ფილიპინების დრო, როდესაც ჩვენს ჯგუფს, რომელიც შედგებოდა მისიონერებისა და ნაციონალუროი პასტორებისაგან აერია გზა. ჩვენ დავამთავრეთ ბიბლიური კონფერენცია კორდილერას იმ ნაწილში, სადაც გზები არ იყო და გადავწყვიტეთ უკან დაბრუნება ფეხით საღამოს სიგრილეში. მგზავრობას უნდა დასჭირებოდა ოთხი ან ხუთი საათი, მაგრამ არასწორი გზის არჩევის გამო, ჩვენ მთელი ღამის განმავლობაში დავეხეტებოდით ტყეში ჯუნგლებში, თერთმეტი მომქანცველი საათის განმავლობაში. დაახლოებით შუაღამისას ჩვენი გუნდის სულ მცირე ერთი ზრდასრული წევრი ჩამოჯდა და ატირდა! ჩვენ დანარჩენებსაც, რა თქმა უნდა, გვინდოდა იგივეს გაკეთება. როდესაც დაიკარგე, ფიზიკური და ემოციური მუხტი არ ექვემდებარება არწერას.

- იყო დაკარგული, ან თუნდაც გრძნობდე თავს დაკარგულად, წარმოშობს შიშს, დაუცველობას, დაღლილობას და დამარცხებას. მეორეს მხრივ, გადარჩენასთან მიმართებაში ეჭვის არ ქონა წარმოშობს საკუთარი თავში დარწმუნებას, მშვიდობას და ძალას. ეს არის ცოდნის გავლენა! ქრისტიანულ ცხოვრებაში სულიერი დარწმუნება იწვევს მტკიცე რწმენას, სულიერ ურყეობას და სამეფოში გამარჯვებულ ცხოვრებას. მაშასადამე, სულიერი ფორმირების გზა იწყება გადარჩენაში დარწმუნებით.

ძირითადი აზრი

ღვთის ხატება ჩვენში შეიძლება იყოს აღდგენილი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იესოს ცოცხალი თანდასწრება იქნება ჩვენში.

მრავალი წლის განმავლობაში მსახურების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მრავალი მორწმუნე შეშფოთებულია გადარჩენაში დარწმუნების გამო. როდესაც მტერი იტაცებს ჩვენს დარწმუნებას გადარჩენაში, ის ასევე მოიპარავს ჩვენს თავდაჯერებულობას და არღვევს რწმენას. აქ პრობლემა სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი გადარჩენილი არაა, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ასეთი ადამიანი უფრო დაუცველია, გახსნილია სატანის თავდასხმებისათვის და სინდისის ქეჯნისთვის. არასაკმარისი დარწმუნება მიგვიყვანს მერყეობამდე და შიშამდე და არა ძალამდე, სიყვარულამდე და თვითდისციპლინამდე.

„ვინაიდან ღმერთმა ჩვენ მოგვცა არა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების სული.“ (2ტიმოთე 1:7)

მაშ ასე, თუკი ჩვენ ვაცხადებთ, რომ ღვთის შვილები ვართ, მაშინ რა არის ამ განცხადების საფუძველი? რატომ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენ ვართ ის, რასაც ჩვენს თავს ვუწოდებთ? ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა იცოდეთ; რადგან სულების მტერი ყველაფერს გააკეთებს, რომ დაგადანაშაულოთ,[88] გადაგყლაპოთ,[89] და თქვენი რწმენა დაანგრიოს. პავლეს გვირჩევს, რომ საკუთარი თავი გამოვცადოთ ვართ თუ არა რწმენაში.[90]

შესავალი

1. **სულიერი ფორმირება მხოლოდ მათთვისაა განკუთვნილი, ვინც სულიწმიდამ გააცოცხლა.**

”როგორც კი უეცარი, ჭეშმარიტი რწმენა დასახლდება მორწმუნის გულში, იწყება ჩვენი გარდასახვა ქრისტეს ხატად. ჩვენ ვიწყებთ სიწმინდის ჩვენს გზას. თუ ჩვენ არ ვხდებით წმინდა, მაშინ ქრისტე არ არის ჩვენში და ჩვენი რწმენის აღსარება ცარიელია.”[91]

ამასთან, ქრისტეს ხატად ჩამოყალიბება მხოლოდ მათთვისაა, ვინც უკვე იყო გაცოცხლებული სულიწმიდით იესო ქრისტეში. ზრდა არ შეიძლება მოხდეს სიცოცხლის გარეშე - იესოს სიცოცხლის გარეშე! სულიერი ფორმირებას არ შეუძლია შეგვძინოს ახალი არსი. ის შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ახალი ბუნება.

წმინდა წერილი მოგვწოდებს „ ისევე მოვიქცეთ, როგორც ის იქცეოდა,“[92] „მივბაძოთ ღმერთს“,[93] ან “მის კვალს გავყვეთ“,[94]ეს მიმართვები არაა მიმართული სულიერად მკვდარი ადამიანებისადმი,

---

[88] გამოცხადება 12:10
[89] 1პეტრე 5:8
[90] 2კორინთელთა 13:5
[91] http://www.ligonier.org/learn/devotionals/conforming-image-christ
[92] 1იოანე 2:6
[93] ეფესელთა 5:1
[94] 1პეტრე 2:21

არამედ ღვთის შვილებისადმი, რომლებიც გამოსყიდულები არიან და გაცოცხლდნენ ქრისტეში და რომლებშიც ამჟამად სულიწმიდა ცხოვრობს.

ზუსტად ისე, როგორც ჩვენ არ წავიდოდით სასაფლაოზე და მკვდარ გვამებს არ დაუწყებდით შეგონებას, რომ ქრისტეს მსგავსი გახდნენ, ასევე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ზეციდან შობის გარეშე შეიძლება ქრისტეს მსგავსი გავხდეთ.

A. ზეციდან შობის მაგალითი ეფესელთა 4:25-დან

სულიერი ხელახლად დაბადება ხსნის გზას, იესო ქრისტეს ხატად სულიერი ფორმირებისათვის. როდესაც პავლეს ეუბნება ეფესოელ ქრისტიანებს, რომ „შეიმოსონ ახალ კაცად“, იგი განაგრძობს: „რომელიც შექმნილია ღმერთისაებრ სიმართლით და ჭეშმარიტების სიწმიდით.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *რადგან ღმერთმა გარდაგქმნათ თქვენ ახალ კაცებად და ახალ ქალებად, რომლებიც მართალნი და წმიდანი არიან, ეხლა საჭიროა მოიქცეთ შესაბამისად.* პავლე შემდეგ აგრძელებს: *„ამიტომ განიშორეთ სიცრუე, ელაპარაკეთ თითოეულმა თავის მოყვასს ჭეშმარიტება, ვინაიდან ერთიმეორის ასოები ვართ.“* ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, არის ის, რომ ჩვენ, ცოდვების გამო ყოფილი მკვდრები, ღმერთის მიერ ვიყავით სულიერად აღდგენილი. ჩვენ შინაგანში უკვე არის ღმერთის სიცოცხლე.

B. ზეციდან შობის კიდევ ერთი მაგალითი 2 პეტრეს 1: 4-დან

პეტრე შეგვახსენებს, რომ ჩვენი იესო ქრისტესთან პირადი ურთიერთობის საშუალებით, „მოგვენიჭა ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება.“ და „გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი,“[95] (მუხლი4.) და „განვერიდოთ ქვეყნიერების გულისთქმით გახრწნილებას.“ (მუხლი4.) სწორედ ეს ღვთიური ბუნება არის ჩვენს სულებში ჩანერგილი, რაც შესაძლებელს ხდის შემდეგს:

> „და ამიტომ ყოველი ღონე იხმარეთ, რომ შესძინოთ თქვენს რწმენას სათნოება, სათნოებას - შემეცნება, შემეცნებას - თავშეკავება, თავშეკავებას - მოთმინება, მოთმინებას - ღვთისმოსაობა, ღვთისმოსაობას - ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობას კი - სიყვარული.“ 1პეტრე 1:5-7.)

სათნოება, შემეცნება, თავშეკავება, მოთმინება და ღვთისმოსაობა არის უფალ იესოს ყველა მახასიათებელი, რომელსაც შესაძლებელია ჩვენ ვფლობდეთ, რადგან ჩვენ უკვე მივიღეთ ღვთიური ბუნების თესლი.

კითხვა მდგომარეობს შემდეგში, "არის თუ არა ღმერთის თესლი თქვენს სულში?" იშვით ხელახლად?

C. ილუსტრაცია სპორტიდან

მე მომწონს გოლფის თამაში, თუმცა არც ისე გამოცდილი მოთამაშე ვარ. რა მოხდებოდა, თუკი მსოფლიოში ცნობილი პროფესიონალი მოთამაშე, რომ შემოსულიყო ჩემს სხეულში? თუკი მე ჩემი ნებით დავთმობდი კონტროლს ჩემს გონებასა და სხეულზე? იმოქმედებდა კი ეს ჩემი თამაშის ხარისხზე? რათქმაუნდა კი.

---

[95] 1პეტრე 1:3

სახარების რწმენით, უფალმა იესო ქრისტემ შეგვიძინა ჩვენ, სულიწმიდის მეშვეობით. (იოანე 14: 16-18), არა მარტო როგორც პიროვნებები, არამედ როგორც ქრისტეს სხეული (1 კორინთელთა 3:16; 6:15). ეს თანდასწრება ნიშნავს, რომ იგივე ძალა მოქმედებს ჩვენში, რაც ქრისტეში (ეფესელთა 1:19; 3:20). ეს ყველა მორწმუნისთვის შესაძლებელს ხდის ქრისტეს ხატთან შესაბამისობას.

2. **სულიერი ფორმირება გულისხმობს ღვთიური ბუნების კულტივაციას ჩვენში, მაგრამ არ შეუძლია წარმოქმნას ეს ბუნება.**

ჩვენ არ ვქმნით ღმერთის ბუნებას ჩვენს საკუთარ გულებში, მაგრამ პასუხისმგებლები ვართ შევქმნათ პირობები, რომლითა მეშვეობიაც მისი ბუნება გაიზრდება ჩვენში ზრდასრულობამდე.

ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთის ბუნების წარმოქმნა ჩვენში, რადგან იგი მადლით იქნა ჩანერგილი ჩვენში, სულიწმიდის მეშვეობით. მაგრამ, ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები და დავთესოთ თესლი, რომლითაც ღვთის ბუნება - იესოს სიცოცხლე - ჩვენს ხასიათში მომწიფდება ზრდასრილობამდე.

ჩვენ არ შეგვიძლია მოვიტანოთ სულის ნაყოფები ჩვენს ცხოვრებაში: „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება“. (გალატელები 5: 22-23). პავლემ თქვა, რომ ეს ნაყოფი „სულის ნაყოფია“ და არა ჩვენი. მაგრამ, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ სულიწმიდამ შეძლოს მისი წარმოქმნა. „მოიქეცით სულიერად“, - მოგვიწოდებს პავლე (გალატელთა 5:16). მოიქეცით, ნიშნავს შეგნებულ არჩევანს, რომ ვიყოთ ყურადღებით მიმართულებაზე, რომლითაც სულიწმიდას მივყავართ და ასევე ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ვიმოძრაოთ ამ მიმართულებით.

სულიერი ფორმირება დაგვეხმარება ვისწავლოთ თუ როგორ უნდა დავამუშავოთ ჩვენი გულის ნიადაგი, რომ ქრისტეს ხატება გაიზარდოს

ფერმერს არ შეუძლია, რომ წარმოქმნას თუნდაც ერთი მარცვალი სიმინდი, მაგრამ ყველამ იცის, რომ ფერმერი ძალიან დაკავებული ადამიანია. ის ანაყოფიერებს და ამუშავებს ნიადაგს. ის თესავს თესლს. ის ამოთხრის სარეველებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ახალგაზრდა ნერგს. მოკლედ, ფერმერი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უხვი მოსავლისთვის შექმნას პირობები. ყოველი ქრისტიანი საკუთარი სულის ფერმერია. თუ სიყვარულის, მოთმინების, სიკეთის და თავშეკავების სულიერი სათნოებები ჩვენს ხასიათში არ იზრდება, ეს ხარვეზი მდგომარეობს არა ღმერთის ბუნებაში, არამედ ფერმერის ყურადღებიანობაში. რამდენად ყურადღებით იყავით თქვენს შიგნით ღმერთის „თესლის“ აღმოცენებაში?

3. **არსებობს ორი სასიკვდილო უკიდურესობა: სამარადისო დაუცველობა და არაკვალიფიციური მარადიული უსაფრთხოება.**

მე მინდა ვაღიარო დღეს არსებული ორი მომაკვდინებელი უკიდურესობა - მარადიული დაუცველობა ("ქრისტიანი" ვერასოდეს იქნება უსაფრთხოდ) და არაკვალიფიციური, უპირობო მარადიული უსაფრთხოება ("ქრისტიანი" დაცულად გრძნობს თავს მაშინაც კი, როდესაც მის სიცოცხლეს ნაყოფები არ მოაქვს). ორივე უკიდურესობა დამანგრეველია სახარებისა და სულიერი ჩამოყალიბებისათვის.

ვთვლი, რომ დენომინაციაში, რომელშიც გავიზარდე არსებობდნენ მარადიული დაუცველობის ელემენტები. ბიბლიურმა აქცენტმა ჭეშმარიტი მონანიების, მორჩილების, გულის სიწმინდისა და ღვთიური საქციელისკენ, როდესაც იგი გულდასმით არ იყო დაბალანსებული მადლის ბიბლიურ სწავლებასთან, განაპირობა არაჯანსაღი თვითანალიზი და სასოწარკვეთა. ჩვენ ზოგჯერ გვიწევდა იმის დაჯერება, რომ გადარჩენის შემდეგ ნებისმიერმა ცოდვამ შეიძლება გამოიწვიოს გადარჩენის დაკარგვა.

მახსოვს სკოლაში, ერთი კონკრეტული გამოღვიძების შემდეგ, სადაც მე და ჩემი მეგობრების უმეტესი ნაწილი ისევ "გადავარჩით", ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველაფერს გავაკეთებდით, რომ ამჯერზე მაინც გადარჩენილებად დავრჩენილიყავით". ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მეზობლის ტელევიზორით არ ვუყურებდით ცუდ ფილმებს, არ ვიჩხუბებდით ჩვენს და-ძმებთან, სკოლის წესებს დავიცავდით, დავემორჩილებოდით დედას და მამას, არ დავუშვებდით ჩვენში ცუდ აზრებს! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებდით, რომ ცოდვა არ ჩაგვედინა! ჩვენ ძალიან ფრთხილად ვიყავით, რადგან რამდენადაც ვიცოდით, ხსნა ძალიან მყიფე რამ იყო, რომლის დაკარგვაც ადვილად შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი ძალისხმევა გამოვიყენეთ, რომ ვყოფილიყავით ჭეშმარიტი ქრისტიანები, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ ეს ძალიან რთული იყო და თავი გავანებეთ! ამის შედეგად ჩვენ თავისუფლებასაც კი ვგრძნობდით ცუდი საქმეების ჩასადენად და ვიცოდით, რომ სხვა გამოღვიძებაც იქნებოდა, სადაც ისევ შეგვეძლო "გადარჩენა". ვფიქრობდით, რომ ერთ დღეს ჩვენ ვიქნებოდით იმდენად კარგები, რომ შევძლებდით გადარჩენის შენარჩუნებას, მაგრამ სადღაც სულის სიღრმეში მაინც გვეეჭვებოდა.

როდესაც რწმენა და დარწმუნება საკუთარ თავშია და არა ქრისტეს ჯვარზე მიღწევებსა და დამსახურებებში, შედეგი იქნება უსაფრთხოების არარსებობა. როდესაც ადამიანს სწამს საკუთარის კეთილი საქმეების და არა მასში მოქმედი ქრისტეს სიმართლის, ის იწყებს მერყეობას. როდესაც კეთილი საქმეები და არა მადლი, ხდებიან გადარჩენის საშუალება და არა გადარჩენის ნაყოფები, კარგი ახალი ამბები ცუდი ამბავი გახდება. გამუდმებულ თვითშეფასებას, ქრისტეზე ორიენტირებული რწმენის მიღმა, დამარცხებამდე, იმედგაცრუებამდე და სულიერ დაცემამდე მივყავართ. მუდმივი დაუცველობა ისეთივე მაცდუნებელი და დამანგრეველია რწმენისთვის, როგორც არაკვალიფიციური, უპირობო მარადიული უსაფრთხოება.

საპირისპირო მხარეს არის არაკვალიფიციური მარადიული უსაფრთხოება - „გადარჩენა“ ან „პატიება“ განახლების გარეშე. ბიბლია უპირობოდ გვასწავლის, რომ მორწმუნეები დაცულები არიან და მათი უსაფრთხოება ეყრდნობა არა საკუთარ თავს, არამედ ქრისტეს დასრულებულ სამუშაოს. მაგრამ დღეს უამრავი ხალხია, რომლებსაც ასწავლეს, რომ თითქოს შესაძლებელია ადამიანი გამართლდეს აღდგინების ან განახლების გარეშე. მათ ეს ასწავლეს, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა წერილებში აშკარად ჩანს, რომ ქრისტესადმი რწმენას „ახალი სიცოცხლე“ მოაქვს მათვის, ვინც მკვდარი

> ყვავილებს გაზაფხული არ მოყვთ, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ გაზაფხულს ყვავილების გარეშე. ზაფხული ჩიტებს არ მოყავთ, მაგრამ, არ არსებობს ზაფხული ფრინველების გარეშე. მე გადავრჩები არა სიმართლით,არამედ გადარჩენას მოაქვს სიმართლე. - ა. ტოზერი

იყო.[96] ამ არასწორი სწავლების გამო, ბევრი უდიერად ეპყრობა გამართლებას, უგრძნობნი არიან დარწმუნებების მიმართ და ბრმები საკუთარი ნამდვილი სულიერი მდგომარეობის მიმართ.

  რადიოში ერთი საუბარი, ბიბლიის პოპულარულ მასწავლებელსა და მსმენელს შორის ამ სამწუხარო რეალობას ასახავს. დარეკა რა, მან ასეთი რამ თქვა: ”სერ, მე მივიღე ქრისტე, როდესაც ბავშვი ვიყავი, მაგრამ შემდეგ ეკლესიას დავშორდი და მრავალი წლის განმავლობაში ვცხოვრობ ამორალური ცხოვრებით. ვიღებდი ნარკოტიკებს,

 ბევრჯერ ვიმრუშე და ციხეშიც ვიჯექი. როგორ ფიქრობთ, მე ისევ გადარჩენილი ვარ?” ამაზე ბიბლიის მასწავლებელმა უპასუხა: „მაშ ასე, თუ თქვენ მართლა მიიღეთ ქრისტე, როდესაც ბავშვი იყავით, მაშინ რაც არ უნდა ბოროტი გამხდარიყავით, თქვენ ზეცის გზაზე დგახართ და ამ გზიდან ვერასდროს გადაუხვევთ. ეს იყო და ეს. არანაირი გაფრთხილება, არც სიყვარულით ნათქვამი საყვედური, უბრალოდ წახალისება.

  ამ საუბრის მოსმენის შემდეგ, სერიოზული შეკითხვა გამიჩნდა: როგორ შეიძლება ვინმემ ბიბლიურად გაამართლოს მიზანმიმართულ ცოდვაში მყოფი ადამიანის მიმართ გადარჩენაში დარწმუნების შეთავაზება? ბიბლიური ავტორები ოდესმე სთავაზობდნენ ხსნის გარანტიას მათ, ვინც ამჟამად დაუმორჩილებლობაში ცხოვრობს? ცდილობდნენ ოდესმე ახალი აღთქმის ავტორები გადარჩენაში დაერწმუნებინათ ვინმე ცოდვის ჩამდენი? არასდროს! სინამდვილეში იესო გვაფრთხილებს.

> „ვინც მე მეუბნება: „უფალო, უფალო,“ ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, რომელიც შეასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“. (მათე 7:21).

პავლე მოუწოდებს ადამიანებს, ვინც საკუთარ თავს ქრისტიანებს ეძახიან:

> ” საკუთარი თავი შეამოწმეთ, ხართ თუ არა რწმენაში. საკუთარი თავი გამოსცადეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე? თუ არა, გამოუცდელნი ხართ.(2კორინთელთა 13: 5)

[96] 1იოანეს 5:12; ეფესელთა 2:5; 2კორინთელთა 5:17

◆ გაიარეთ ტესტი ქვემოთ და შეაფასეთ რამდენად კარგად იგებთ სახარებას. შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ბიბლია.

გადარჩენის რწმენის სიმტკიცის ტესტი [97]

რამდენად კარგად იგებთ სახარებას?

მრავალ მათგანს,რომელიც თავის თავს მორწმუნეს უწოდებს, ბოლომდე არ ესმის სახარება. მათ სწამთ, რომ იესოს ჯვარცმის მეშვეობით ღმერთმა მათ აპატია, მაგრამ ვერ ახსნიან, თუ როგორ ხდება ეს. ადამიანი შეიძლება იყოს გადარჩენილი სახარების სრული გაგების გარეშე; გადარჩენაში დარწმუნება გაძლიერდება შემეცნების საშუალებით. შემეცნების უკმარისობის გამო, მრავალი ქრისტიანი აღმოჩნდება უუნარო, წინააღმდეგობა გაუწიოს მტრის ბრალდებებს. მათ ზოგჯერ ეუფლებათ ეჭვები და იმედგაცრუება, მაგრამ ღმერთს არ სურს, რომ ჩვენ ასე ვცხოვრობდეთ.

1) რომელი ფრაზა ხსნის გადარჩენას ყველაზე კარგად? (შემოხაზეთ ერთი ფრაზა და დაურთეთ ბიბლიური მტკიცებულებები)

- გადარჩენილი ვარ მადლით რწმენის მეშვეობით. გადარჩენას ვინარჩუნებ საქმეებით.
- გადარჩენილი ვარ საქმეებით. გადარჩენას ვინარჩუნებ საქმეებით.
- გადარჩენილი ვარ მადლით რწმენის მეშვეობით. გადარჩენას ვინარჩუნებ მადლით რწმენის მეშვეობი.

◆ რატომ აირჩიეთ ეს პასუხი? აუხსენით თქვენს ჯგუფს.

ბიბლია ნათლად ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს გადარჩენილი მხოლოდ იესოს სახელით (საქმეები. 4:12). შემდეგი კითხვები დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ გვესაჭიროება გადარჩენა/ხსნა?

2) ჩვენ უნდა გადავერჩინეთ, იმიტომ რომ ჩვენ _____ (რომაელთა 3:10, 23; ესაია 53: 6).

3) რა არის ცოდვის სამი შედეგი ცოდვილისთვის?

- _____ _____ჩვენ ღვთისაგან (ესაია 59: 1-2)
- დაგვაყენოს ჩვენ ღმერთის _____ქვეშ (ეფესელთა 5: 5-6)
- შედეგად დგება _____ (რომაელთა 6:23; ეფესელთა 2: 1)

4) როგორ ცვლის იესოს სიკვდილისა და აღდგომის რწმენა ცოდვის ამ შედეგებს?

- ღმერთმა გამოგზავნა იესო, რომ ის _____ ჩვენთვის (1 კორინთელთა 5:21; 1 პეტრე 2:24).
- ჩვენს ნაცვლად, იესო იყო _____ღმერთისაგან, ცოდვის გამო (მათე 27:46).
- ღმერთმა იესოსოს დააკისრა _____ ჩვენს ნაცვლად (ესაია 53: 6-7).

[97] პასუხები გაკვეთილის ბოლოში

- მისი აღდგომის რწმენით, იესო სულიერად და მარადიულად გვქმნის ჩვენ _____ (ეფესოელები 2: 6; 1 პეტრე 1: 3).

5) რა არის რამდენიმე აშკარა ნიშანი იმისა, რომ იესო ქრისტეს აღდგომის რწმენით ახალი სიცოცხლე მივიღეთ?

- ჩვენ გვაქვს _____ _____ მოწმობა, რომ ღვთის შვილები ვართ (რომაელთა 8:16).
- სურვილი გვაქვს შევიცნოთ და _____ ღვთის სიტყვა (იოანე 8:31; 1 პეტრე 2: 2-3; 1იოანე 2: 3-4).
- ჩვენში მკვიდრობს _____ იესოსადმი და სხვებისადმი (იოანე 8:42; 13:35; 1იოანე 3:14).
- მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით დაცვეთა გვჭირდება, ჩვენ ვატარებთ სულიერ_____ (იოანე 15: 8; გალატელთა 5:22-23) მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები ჯერ კიდევ შეიძლება ებრძოდნენ ცოდვის თავდასხმებს (1იოანე 2:1; ებრაელები 12:1), ჩვენ ვიმარჯვებთ ჩვენი ნებით და თავისუფლად. (1იოანე 2:29) ჯონ უესლიმ ეს ასე ჩამოაყალიბა: „ცოდვა რჩება, მაგრამ ის ვერ მეფობს.“

6) რატომ უნდა დაეღვარა იესოს თავისი სისხლი? (ებრაელთა 9:22; 1პეტრე 1:18-19)

- რადგან ღვთის კანონის თანახმად ცოდვა არ შეიძლება იყოს _____ უცოდველი _____ დაღვრის გარეშე.

7) რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იესო გახდა ადამიანი? (1ტიმოთე 2:5)

- როგორც ადამიანი და ღმერთი, იესო გახდა _____ ღმერთსა და ადამიანს შორის. იგი წარმოადგენდა როგორც წმინდა ღმერთს, ასევე ცოდვილ ადამიანებსბს. იგი გახდა მეორე ადამი, რომელიც ცოდვით არ დაეცა და ამიტომ , ითვლება ჩვენს სრულყოფილ მსხვერპლად.

8) რა როლს ასრულებს საქმეები ჩვენს გადარჩენაში? (იაკობი 2:17; ტიტე 3:8; ეფესელთა 2:10)

კეთილი საქმეები _____ ზეციდან შობის.

9) რა უნდა გააკეთოთ, რომ გადარჩეთ? (გადარჩენის „ანაბანა“)

a) _____ რომ ხარ ცოდვილი და _____ (რომაელთა 6:23; საქმეები 3:19)
b) _____ სახარებას (საქმეები 16:31; ეფესელთა 2:8)
c) _____ იესო, როგორც უფალი (რომაელთა 10: 9)

10) ჩვენ არა მხოლოდ რწმენით, ქრისტეს დასრულებულ საქმის მეშვეობით გადავრჩებით, არამედ ასევე შევინარჩუნებ ჩვენს გადარჩენას _____ (1 პეტრე 1:5).

”თითოეულის ვალია, ყველა ღონე იხმაროს, რომ დარწმუნდნენ საკუთარ მოწოდებასა და რჩეულებაში; ამგვარად მისი გული შესაძლოა გაიზარდოს მშვიდობასა და სიხარულში სულიწმიდით, სიყვარულსა და ღმერთის მიმართ მადლიერებაში, ასევე ძალასა და მხნეობაში მორჩილების მოვალეობების შესრულებაში, გადარჩენაში დარწმუნების სათანადო ნაყოფებში. ” - ვესტმინსტერის რწმენის სიმბოლო

გაკვეთილი - რწმენაში გულდაჯერებულობის ასაშენებლად საჭირო სამი სამშენებლო ბლოკი

გვსურს განვიხილოთ რწმენაში დარწმუნებულობის/გულდაჯერებულობის/რწმენის სიმტკიცის სამი სამშენებლო ბლოკი: 1) ქრისტეს აღსრულებული საქმეების რწმენა, რომელიც მტკიცდება, 2) სულიწმიდის სარწმუნო მოწმობით და, 3) ქრისტიანის ნაყოფიერი ცხოვრებით. შემდეგ გვერდებზე, ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ მათ.

1. **ჩვენ რწმენაში გულდაჯერებულობას მოვიპოვებთ მხოლოდ იესო ქრისტეს აღსრულებული საქმეების რწმენით.**

გადამრჩენი რწმენის მყარი საფუძველი არ არის დაფუძნებული ჩვენი ემოციების ცვალებადობაზე, შეცდომებისადმი მიდრეკილების გამოცდილებაზე ან სულიერი თვისებების შეუსაბამობაზე, არამედ ღვთის მუდმივ და მარადიულ გამოსყიდვაზე.

გრძნობები და გამოცდილება მშვენიერია ქრისტიანულ ცხოვრებაში, მაგრამ ისინი ასევე არათანმიმდევრული, სხვადასხვაგვარი და არასაიმედოა. ცრუ რელიგიებსაც კი შეუძლიათ სულიერი გამოცდილების მიღება, რადგან „სინათლის ანგელოზი“ არის გაწაფული მატყუარა.[98]

გამართლება ხსნის შედეგია, მაგრამ უდიდესი წმინდანებიც კი განიცდიან წარუმატებლობის მომენტებს. ჩვენი ხსნა ემყარება რაღაც გაცილებით უფრო საიმედოს, ვიდრე ჩვენ თვითონ, ჩვენი ემოციები და ჩვენი გამოცდილებაა: სახარების ჭეშმარიტებას.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ როდესაც მფრინავი ღრუბლებში დაფრინავს, იგი უნდა ენდობოდეს არა საკუთარ გრძნობებს, არამედ ელექრონულ მოწყობილობებს/ხელსაწყოებს. ანალოგიურად, როდესაც მორწმუნე სულიერ ქარიშხლებში გადის, არ უნდა ენდობოდეს საკუთარ თავს, არამედ ღვთის სიტყვას.

მამაჩემი მომიყვა მონადირეზე, რომელიც ტყეში დაიკარგა და თუმცა კომპასი ჰქონდა, არ

ენდობოდა მას. სამწუხაროდ, რამდენიმე დღის ძებნის შემდეგ, ძალოვნებმა ის გარდაცვლილი იპოვა. ღვთის სიტყვა არის ხსნის კომპასი, რომელსაც უნდა ვენდოთ.

A. რა არის ქრისტეს მიერ აღსრულებული საქმე?

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვსაუბრობთ იესო ქრისტეს მიერ აღსრულებულ საქმეზე? ეს ნიშნავს, რომ მე გადარჩენა მხოლოდ იესოს სახელით შემიძლია მივიღო,[99] რომ იესო ჩემს ნაცვლად მოკვდა, რადგან გადაიხადა ჩემი ცოდვის საზრაური, რომელიც არის სიკვდილი.[100]

---

[98] 2კორ. 11:14
[99] საქმეები 4:12
[100] 2კორინთელთა 5:21

❖ იესო გახდა ჩემი მონაცვლე კაცი. რადგან კაცმა შესცოდა, კაცს უნდა გადაეხადა საზრაურიც. იესო გახდა კაცი (ღმერთ-კაცი) რათა დაეკავებინა ადამიანის ადგილი სამსჯავროზე და შეერიგებინა ადამიანი ღმერთთან.[101]

❖ იესომ დაღვარა თავისი უცოდველი სისხლი სოდვათა გამოსასყიდად.[102]

❖ იესომ იტვირთა ჩვენი ცოდვები საკუთარ სხეულში და გახდა სრულყოფილი მსხვერპლი ცოდვათა გამოსასყიდად.[103]

❖ იესო განშორდა მამას, მიიღო რა რისხვა, რომელიც ჩვენმა ცოდვებმა გამოიწვია/დაიმსახურა, რათა ჩვენ არ ვყოფილიყავით სამუდამოთ დაშორებულები ღვთისგან.[104]

❖ რადგან ვირწმუნეთ, რომ იესო ცოდვის გამო მოკვდა, ჩვენი ძველი ცოდვილი ცხოვრებაც მასთან ერთად მოკვდა ჯვარზე.[105]

❖ იესოს მკვდრეთით აღდგომით ჩვენც აღდგენილნი ვართ სიცოცხლის განახლებაში.[106]

❖ თავისი აღდგომით იესომ დაამარცხა ცოდვა, სიკვდილი და ყველა ბოროტი ძალა; და რწმენით, იგივე მკვდრეთით აღდგომის ძალა მოქმედებს ჩვენში.[107]

❖ აღდგომით, სულიწმინდა ახალ ცხოვრებას აძლევს მათ, ვინც დაიღუპა დანაშაულისა და ცოდვების გამო.[108]

❖ ქრისტე ჩვენში არის „დიდების იმედი“.[109]

❖ ხსნა ნიშნავს, რომ ჩვენ გავხდით ღვთიური ბუნების თანაზიარნი[110] და რომ ჩვენი სიცოცხლე ახლა დაფარულია ქრისტესთან ღმერთში.[111]

ვინც სახარება ირწმუნა, გადარჩენილები არიან მხოლოდ ამ კეთილი უწყების რწმენით, და არა მათი ძალისხმევით[112]- აამონ ღმერთს. რწმენა, რომელიც ხსნას გვაძლევს, იგივე რწმენაა, რომელიც ბოლომდე გვანარჩუნებინებს გადარჩენას.[113]

---

[101] 2კორინთელთა 5:21; რომაელთა 5:19
[102] ებრაელთა 9:22
[103] 1პეტრე 2:24; ესაია 53:5-6
[104] გალატელთ 3:13; მათე 27:46
[105] რომაელთა 6:6
[106] რომაელთა 6:4
[107] ეფესელთა 1:19-21
[108] ეფესელთა 2:5; 2კორინთელთა 5:17
[109] კოლასელთა 1:27
[110] 2პეტრე 1:4
[111] კოლასელთა 3:3
[112] ეფეს. 2:8-9
[113] 1 პეტრ. 1:5

ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში, ჩვენ უნდა მივიდეთ იმ წერტილამდე, სადაც სამარადისოდ მთელი ჩვენი ნდობა დაემყარება მხოლოდ იესო ქრისტეს მიერ აღსრულებულ საქმეებს. კეთილი საქმეები არის ხსნის ნაყოფი, მაგრამ არასოდეს არის მისი წყარო, ისევე როგორც ქმრის სიკეთის გამოვლინება მეუღლის მიმართ, არასოდეს არის მათი ქორწინების აღთქმის საფუძველი, არამედ მისი ნაყოფია. ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში, ისევე როგორც ჩვენს ადამიანურ ურთიერთობებში, ჩვენი სიყვარული არასრულყოფილია, ჩვენ ხშირად უშეცდომოდ ვერ ვმოქმედებთ და ჩვენი გამოცდილება ზოგჯერ იმედგაცრუებას იწვევს.

არასოდეს დამავიწყდება ამბავი, რომელიც ერთ-ერთმა პროფესორმა გვიამბო ბიბლიურ კოლეჯში მისი ორი სტუდენტის შესახებ. ამ საყვარელ წყვილს ერთმანეთი შეუყვარდა, დაინიშნენ და ქორწილისთვის თარიღიც დათქვეს. ქორწილის დღე დადგა, ცერემონია მშვენიერი იყო და მათ თავიანთი აღთქმა გულწრფელად და ემოციურად წარმოთქვეს. რამდენიმე საათის შემდეგ, ეს ახლად დაქორწინებული წყვილი საშინლად ცუდად გახდა საკვების მოწამვლის შედეგად (როგორც მახსოვს ამბავი) და მათ თაფლობის თვე საავადმყოფოში გაატარეს!

”იყო თუ არა წყვილი ნაკლებად დაქორწინებული იმის გამო, თუ როგორ გრძნობდნენ თავს ქორწილის შემდგომ დღეებში?” ჰკითხა ჩემმა პროფესორმა ჩვენს კლასს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით პასუხი. ქორწინება, როგორც ხსნა, ემყარება ურყევ/უცვლელ აღთქმას და არა საეჭვო/არასაიმედო ემოციებსა და განცდებს.

B. რწმენის ბუნება/არსი

თუ ხსნა რწმენის მეშვეობითაა, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გვესმოდეს ამ რწმენის ბუნება/არსი. ღვთის სიტყვა ნათლად გვასწავლის, რომ გადარჩენის მომნიჭებელი - ცოცხალი რწმენაა. რწმენა არის ენდო ქრისტეს ახლა! ცოცხალი რწმენა ენდობა ქრისტეს გამომსყიდველ მოქმედებას დღეს. რწმენა საშუალებას აძლევდა ღმერთს ყველასათვის მიეცა გადარჩენა წარსულში და განეგრძო ჩვენი გადარჩენა აწმყოში. ცოცხალი რწმენას მტკიცებულებები ახლავს. „მკვდარი რწმენა“ არის რწმენა საქმეების გარეშე - რწმენა, რომელიც დემონებსაც კი აქვთ.[114] ჩვენ ვხედავთ ცოცხალ რწმენას შემდეგ მუხლებში:

> მივუახლოვდეთ მას გულმართლად და სრული რწმენით, ბოროტი სინდისისაგან პკურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი. (ებრ. 10:22, მითითებულია ავტორის მიერ).
>
> ღვთის ძალით დაცულნო - რწმენის მეშვეობით - ხსნისთვის, რომელიც მზადაა უკანასკნელ ჟამს გამოსაცხადებლად. (1პეტრ. 1:5, მითითებულია ავტორის მიერ).

[114] იაკ. 2:14-20

ამ ამონარიდებიდან ისევე, როგორც სხვა მუხლებიდან ჩვენ ვისწავლით ცოცხალი რწმენის შესახებ შემდეგ რაღაცეებს:

1) ცოცხალი რწმენა გულწრფელია - ეს „მართალი გულიდან“ გამოდის.

გულწრფელი მორწმუნე ტკბება წმინდა სინდისით. ის არ არის უცოდველი, მაგრამ ის არის, ვინც "ბოროტი სინდისისგან იყო ნაპკურები და განბანილი".[115]

გულწრფელი მორწმუნე არის თავმდაბალი. იგი აღარ მალავს და ფარავს ცოდვას. თუ ღვთის სიტყვა ამხელს მას სულიერად ”ცუდი ნიშნის მიღებაში”, ის აღიარებს ამას და უარს ამბობს ფარისევლობაზე.[116] გულწრფელი მორწმუნე იღებს ღვთის მტკივნეულ წვრთნას, როგორც მოსიყვარულე მამისგან.[117] ეს ტკივილი ასევე არის ჭეშმარიტი სიცოცხლის ნიშანი.

გულწრფელი მორწმუნე იჩენს მორჩილებას.[118] ვისაც თავი მორწმუნედ მოაქვს და როგორც წესი არ ემორჩილება ღმერთს, მატყუარა ეწოდება.[119]

2) ცოცხალი რწმენა იძლევა გარანტიას - ”რწმენის სრულ გარანტიას”.

დარწმუნებულობა იწყება სახარების ცოდნით,[120] რაც გარანტიის საფუძველია. შემეცნება და დარწმუნებულობა ძლიერი დაცვაა ეჭვის, შიშის, ცდუნებისა და ეშმაკის სიცრუისა და მსჯავრდადებისგან.[121]

3) ცოცხალი რწმენა არის რწმენა, რომელიც ღვთის ძალით არის დაცული - „ღვთის ძალით დაცული რწმენით“.

ეს სიტყვა დაცული ნიშნავს დაცვას, როგორც ციხესიმაგრეში. ღმერთის ღვთიური ძალა რწმენის მეშვეობით გვიცავს, გვინახავს და საბოლოოდ ზეცამდე მიგვიყვანს. ცოცხალი რწმენის მქონე მორწმუნეები უყურებენ იესოს, როგორც ამ რწმენის „დამწყებს და გამასრულებელს.“[122] ის არის, ვინც მათში ცხონების/ხსნის კეთილი საქმე დაიწყო და დაასრულებს კიდეც.[123]

მოდით ვიყოთ ძალიან, ძალიან მკაფიონი: ამ სულიერი მოგზაურობისთვის საჭირო მადლი ღვთისგან მოდის. მას „ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბიწონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით“.[124] ღმერთს მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენის არხი ჭირდება, რათა თავისი მადლი

---

[115] აგრეთვე იხილეთ საქმ. 23:1; 24:16; 2 კორ. 4:2; 1 ტიმთ. 1:5, 19
[116] მათ. 6:12
[117] ებრ. 12:5-11
[118] ინ. 8:31; 15:10
[119] 1 ინ. 2:3-4
[120] 1 კორ. 15:3-4; კოლ. 2:2
[121] ეფეს. 6:17
[122] ებრ. 12:4
[123] ფილპ. 1:6
[124] იუდა 24

გადმოღვაროს და ადინოს მასში. რწმენის შედეგად მიღებული ღვთის ძალის მეშვეობით ვიღებთ მადლს, რომელიც ჩვენს სულებს იცავს/გვინარჩუნებს საუკუნო ცხოვრებამდე.

4) ცოცხალი რწმენა არის რწმენა, რომელიც რჩება. თუ ჩვენი ქრისტიანობა რწმენაზეა დამოკიდებული, მაშინ რწმენა ყოველთვის აწმყო დროშია.

იესო და ახალი აღთქმის ყველა ავტორი აშკარად ასწავლიდნენ, რომ ჭეშმარიტი არის რწმენა, რომელიც რჩება:

ოღონდ, თუ დარჩებით მტკიცე და შეურყეველი რწმენაში და არ გადაუხვევთ სახარების იმედს. (კოლ. 1:23, მითითებულია ავტორის მიერ).

მართალი იცოცხლებს რწმენით, ხოლო თუ იმერყევებს, ჩემი სული არ მოიწონებს მას. (ებრ. 10:38, მითითებულია ავტორის მიერ).

'' გქონდეს რწმენა და კეთილი სინდისი, რომელიც უარყვეს ზოგიერთებმა და მათი რწმენის გემი დაიმსხვრა. (1 ტიმ. 1:19, მითითებულია ავტორის მიერ).

ბიბლიური რწმენა არის - ზმნა „რწმენა" აწმყო დროში, რომელიც ემყარება ქრისტეს, როგორც ხსნის ერთადერთ იმედს. განსაკუთრებით იმ მომენტებში, როდესაც ვაშავებთ, რაღაც არ გამოგვდის, ჩვენ უნდა მივმართოთ ჯვარს, მაშინაც კი თუ ვინანიებთ. თუ სახარების რწმენიდან გადახვევა, უკან მიქცევა ან მერყეობა არ წარმოადგენს საშიშროებას, მაშ რაღატომ გაგვაფრთხილებდნენ ახალი აღთქმის წიგნების ავტორები ასე დაჟინებით? ჩვენ უნდა გადავამოწმოთ ჩვენი რწმენა.

> რადგანაც ჩვენი სიწმიდის შესანარჩუნებლად საჭიროა იგივე ღირსება და ქრისტეს სისხლის ძალა, როგორც ჩვენი განწმენდისას. - ადამ კლარკი

C. გადამრჩენი რწმენის შედეგი

იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული საქმეებისადმი ცოცხალ რწმენას ჩვენ შევყავავართ მასთან ერთობაში. როდესაც ვართ გადარჩენილნი, სულიერ კავშირში ვართ ქრისტესთან და ვხდებით მისი სხეულის, ანუ ეკლესიის ნაწილი. გადარჩენის მიღების მომენტში რამდენიმე მშვენიერი რამ ხდება:

- წააკითხეთ სტუდენტებს/მოსწავლეებს ამ საკითხთან დაკავშირებული მუხლები. ამ ჭეშმარიტებებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე ძვირფასი სწორედ ახლა?

1) ჩვენ გავმართლდით. იესოს გამომსყიდველი საქმისადმი რწმენის მეშვეობით, მამა ღმერთი ახლა თავისუფლად გვაღიარებს ჩვენ მართლებად - ისე, თითქოს არასოდეს შეგივცოდავს.[125] ბიბლია ასევე გვასწავლის, რომ რწმენით გადარჩენის მომენტში ღმერთი „გვრაცხავს სიმართლეს საქმეთაგან დამოუკიდებლად".[126]

[125] რომ. 3:24; 5:9
[126] რომ. 4:6

2) ჩვენ გავცოცხლდით. ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის შედეგად, ჩვენ სულიერად გავცოცხლდით, ანუ ხელახლა დავიბადებით/ვიშვით.[127] ქრისტეს სისხლით გაწმენდისა[128] და სულიწმიდის განახლების გზით,[129] ჩვენი ბრალი და ცოდვის ლაქები ჩამორეცხილ იქნა.

3) ჩვენ განვიწმიდეთ. ახლა ღმერთი წმინდანებს გვიწოდებს! სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან თავისში დაგვაფუძნა. ახლა ჩვენ მხოლოდ მას ვეკუთვნით.[130]

4) ღმერთთან შერიგებული ვართ. საკუთარი თავის მსხვერპლად მოტანით, იესომ წმიდა ღმერთი და ცოდვილი ადამიანი კვლავ შეაკავშირა. ახლა ჩვენ აღარ ვართ ღვთის მტრები, არამედ მეგობრები.[131]

5) ღვთის მიერ ნაშვილები და მის ოჯახში ვართ მიღებულნი. ღმერთმა საკუთარი შვილებად გვაქცია, ამ მამაშვილური ურთიერთობის ყველა უფლებითა და პრივილეგიით.[132] ქრისტეს აღსრულებული საქმისადმი რწმენით, ჩვენ ვხდებით ღვთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი.

6) ჩვენ დაგვპირდნენ მემკვიდრეობას. ეს მემკვიდრეობა არ გაქრება და ჩვენთვისაა შენახული/დაცული ზეცაში.[133]

ჩვენ არ ვიცით მთელი ამ მადლის შესახებ, როდესაც ჩვენ ვიღებთ ხსნას; როდესაც ვზრდებით და აღქმის უნარი გვივითარდება, ეს ჭეშმარიტება უფრო ძვირფასი ხდება ჩვენთვის და ჩვენ უფრო და უფრო ერთგულნი ვხდებით ამ ახალი სულიერი ქმნილების მიმართ, როდესაც მასზე ვამახვილებთ ყურადღებას.

მაშინ ცოცხალი რწმენა იძლევა გარანტიას.

ვიღაც წერდა ჯონ ვესლის, რომ მის მტკიცებსა, იმის თაობაზე, რომ რწმენის მიუხედავად გადარჩენის დაკარგვა შესაძლეელია, მორწმუნეები შეეძლო სასოწარკვეთილებამდე მიეყვანა. ეს კაცი წერდა უესლის: "თუ ასეა, მაშინ მშვიდობით ჩემო ნუგეშო და სიმშვიდევ"! ამაზე უესლის მგზნებარე გულმა უპასუხა:

> ჩემი ნუგეში და სიმშვიდე არ ემყარება რამე შეხედულებას, შესაძლებელია თუ არა, რომ მორწმუნე დაეცეს, გზიდან გადაუხვიოს, ან იმაზე, თუ რა მოხდა გუშინ ჩემში, არამედ იმას, რაც დღეს არის, ჩემს ახლანდელ ცოდნას ღმერთის შესახებ ქრისტეში, რომელმაც მასთან შემარიგა; რადგან ახლა ვხედავ ღვთის დიდების სინათლეს ქრისტე იესოში; მის სინათლეზე სიარულს, როგორც ის არის სინათლეში და ჩემს მოზიარეობას მამასთან და ძესთან. ჩემი კომფორტია ის, რომ

[127] ეფეს. 2:5; ინ. 3:3
[128] 1ინ. 1:9
[129] ინ. 3:1-8; ტიტ. 3:5-6
[130] 1 კორ. 6:9-11
[131] კოლ. 1:21-22; რომ. 5:10
[132] ინ. 1:12-13.
[133] 1 პეტ. 1:4; 5:4

> მადლის საშუალებით შემიძლია მწამდეს უფალი იესო ქრისტესი და მისი სული მოწმობს ჩემს სულში, რომ მე ღვთის შვილი ვარ. მე ნუგეშს მხოლოდ და მხოლოდ ამაში ვპოულობ, რომ ვხედავ იესოს ღვთის მარჯვნივ, რომ პირადად ჩემში და არა სხვისგან მოსმენი გამო მაქვს უკვდავების სრული იმედი, რომ ვგრძნობ ღმერთის სიყვარულს, რომელსაც ის ღვრის ჩემს გულში უსაძღვროდ, ხოლო ცოდვა ჯვარცმულია ჩემთვის. ჩემი სიხარული ეს არის, ჩემი სინდისის მოწმობა, რომ უბრალოებასა და გულწრფელობაში, არა ხორციელი სიბრძნით, არამედ ღვთის წყალობით მე [ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ] ამ ქვეყანაზე. სცადეთ თუ შეძლებთ იპოვოთ სიხარულის ამაზე უფრო მყარ საფუძველს, უფრო ნეტარების მომგვრელ ნუგეშს სამოთხის ააქთ მხარეს. თუ ამის გარდა რაიმე სხვა ნუგეშს მიმართავთ, თქვენ ლერწმის კვერთხს ეყრდნობით, რომელიც უბრალოდ თქვენს წონას ვერ გაუძლებს და ხელში გაგერჭობათ ან სულაც განგგმირავთ.

ვესლი ამით ამბობს, რომ ჭეშმარიტი გადარჩენის მომცემი რწმენა არ არის წარსული, არამედ აწმყოა. ის ცოცხალია. ბიბლიური რწმენა არის ყოველდღიურად უყურო იესოს და განიცადო მისი მადლი ყოველდღიურად.

2. ჩვენ გულდაჯერებას/მტკიცე რწმენას ვპოვებთ სულიწმიდის სარწმუნო მოწმობით.

ბიბლიური რწმენაში დარწმუნებულობის/ გულდაჯერებულობის მეორე სამშენებლო ბლოკს წარმოადგენს სულიწმიდის მოწმობა.

„ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშში იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: აბბა, მამაო!“[134]

ბიბლიური რწმენის სიმტკიცე მოდის სულიწმიდის მოწმობით, რომ ჩვენ ღვთის შვილები, ძეები და ასულები ვართ. ეს შინაგანი მოწმობა, დარწმუნებულობა და სულიერი ცნობიერებაა, რომ ჩვენ გვეპატია და ვიშვით ღმერთისგან.

გამოსყიდვისა და შობის/შვილობის ბიბლიური კონცეფცია მშვენიერი ჭეშმარიტებაა. მონობა ახალი აღთქმის ხანებში სამწუხარო რეალობა იყო. მაგრამ ვიცითე, რომ განსაზღვრული ფასის გადახდის გზით, შესაძლებელი იყო მონებს გამოსყიდვა, რომ ისინი თავისუფლები გამხდარიყვნენ. მონის თავისუფლების გამოსყიდვის შემდეგ, გამომსყიდველს შეეძლო მიეღო ის საკუთარ შვილად და თავისი საკუთრების მემკვიდრედ. შვილად აყვანა ასრულებდა გამოსყიდვის პროცესს.

ბიბლია ამბობს, რომ ვიდრე მოვექცეოდით, ჩვენ მონები ვიყავით. ჩვენზე ცოდვა ბატონობდა. საკუთარი სისხლის დაღვრით ქრისტემ გადაიხადა ცოდვისგან ჩვენი გამოსყიდვის საფასური და დაამსხვრია მისი ძალაუფლება, რომლითაც ცოდვა გვიმონებდა, აგრეთვე გვიშვილა და საკუთარ ძეებად და ასულებად მიგვიღო. რწმენით ჩვენ ახლა „ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს ტანამემკვიდრეები ვართ.“[135] ამ სულიერი ტრანზაქციის დადასტურება არის, რასაც ბიბლია სულიწმიდის მოწმობას, ანუ დამოწმებას უწოდებს. ეს შინაგანი ცოდნა/დარწმუნებულობაა, რომ

[134] რომ. 8:15-16; 1 ინ. 4:13
[135] რომ. 8:17

ახლა ჩვენ ღმერთის საყვარელი შვილები ვართ.[136] ღმერთი აღარც მტერია და აღარც უცხო, არამედ ის, ვისაც უფრო და უფრო ვეცნობით, როგორც „აბბა, მამაო!“(მამიკოს) - ის, ვისთანაც ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობა გვაქვს.[137]

ღმერთთან ძალიან ახლო ურთიერთობა, სულიერი მშენებლობის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამშენებლო ბლოკია. განიჭებს სულიწმიდის ეს მოწმობა სიამოვნებას? ოდესმე გაგიაზრებია, რა ძლიერ სურს ღმერთს, რომ მასთან ახლოს იყო? გათვითცნობიერებული გაქვს ის საფასური, რისი გადახდაც ინება ღმერთმა იმისთვის, რომ მე და შენ შეგვძლებოდა მასთან მიახლოება? იცი რაოდენ სურს ღმერთს შენი კურთხევა და თავისი უსაზღვრო მადლის შენზე გადმოღვრა?

3. ჩვენ გულდაჯერებას/მტკიცე რწმენას ვპოვებთ ნაყოფიერ ქრისტიანულ სიარულში / ცხოვრებაში. ბიბლიურ დარწმუნებულობის მესამე კომპონენტს ღმერთთან ერთად ნაყოფიერი სიარული წარმოადგენს. თუმცა ჩვენ მადლით ვართ გადარჩენილნი, მხოლოდ რწმენის მეშვეობით და იგივე მადლი, რწმენის მეშვეობით გვიფარავს და გვინახავს ჩვენ, გადამრჩენი რწმენა მაინც მარტო არასოდესაა. ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე შეძლებს განასხვავოს ამის აშკარა მოწმობა საკუთარ ხასიათსა და ცხოვრებაში. ჭეშმარიტი მორწმუნეები საკუთარ რწმენას საქმეებში გამოხატავენ:

> ქრისტე იესოში შექმნილნი კეთილი საქმეებისათვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებით ვიაროთ. (ეფეს. 2:10, მითითებულია ავტორის მიერ)
>
> შენ კი, ფუჭო ადამიანო, გსურს გაიგო, რომ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია? (იაკ.2:20, მითით. ავტორის მიერ)

იესო ასწავლიდა, რომ ნაყოფიერი ქრისტიანული ცხოვრება ჭეშმარიტი მოწაფეობის მოწმობაა. (ინ. 15:8) თუ ვინმეს ცხოვრებას არ ახასიათებს ნაყოფიერება, ეს სულიერი სიკვდილის ნიშანია.

გადამრჩენი რწმენის ნაყოფი:მტკიცე რწმენის ათი პრაქტიკული ტესტი[138]

ქვემოთ მოცემულია ათი ტესტი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია საკუთარი თავის გამოკვლევა და იმის გარკვევა, ნამდვილად არის თუ არა ჩვენი რწმენა ცოცხალი და ნაყოფიერი (2 კორ. 13: 5). მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს აღსრულებული საქმე ხსნის საფუძველს, მის ფესვს წარმოადგენს, ეს ათი კითხვა დაგვეხმარება გამოვიკვლიოთ რა არის ხსნის ნაყოფი/შედეგი:

1) **რას ვაკეთებ დაფარულში?** გადარჩენილი ხალხი რადიკალურად შეცვლილი ცხოვრებით ცხოვრობენ დაფარულში. ხსნა ცვლის იმას, თუ რას უყურებთ ინტერნეტში და რას აკეთებთ, როდესაც არავინ გიყურებთ. თუ თქვენი ფარული ცხოვრება რადიკალურად არ შეცვლილა, შეუძლებელია შეცვლილი ადამიანი იყოთ. გადარჩენილ მამაკაცსა თუ ქალში იზრდება სწრაფვა გულის სიწმიდისკენ.[139]

---

[136] 1 ინ 4:13

[137] გალ. 4:6

[138] ადაპტირებულია/ამოღებულია პასტორ ტიმ კონვეის ქადაგებიდან, https://youtu.be/QjBW7SoUfc

[139] ფს 138:23-24

2) **არის თუ არა მონანიება ჭეშმარიტი?** ხსნა წარმოშობს თავმდაბალ/მოდრეკილ, მომნანიებელ გულს - არა მხოლოდ ღმერთისკენ მობრუნების/მოქცევის მომენტში, არამედ ყოველ ჯერზე, როდესაც ღმერთი გამხელს და სულიერად არც თუ ისე კარგ ნიშანს გიწერს. პეტრე, იმ დროისთვის უკვე სამ წელზე მეტი ხნის მოწაფეობის შემდეგ, გლოვობდა და ტიროდა, რადგან უფალი უარყო.[140] როდესაც პავლემ დაგმო კორინთელთა არასწორი საქმეები, ღვთისგან მოვლენილი დანაღვლიანება წაუძღვა მათ მონანიებისკენ, ანუ - ცოდვისთვის ზურგის შექცევისა და ღვთისკენ გულმოდგინედ სწრაფვისკენ.[141]
3) **გამაჩნია ქრისტესადმი სიყვარული?** ხსნა წარმოშობს იესოსადმი ძლიერ სიყვარულს, მასზე დამოკიდებიულებას. იესომ თქვა, რომ თუ ღმერთი შენი მამაა, ის გეყვარება.[142] არავინ ორჭოფობს და არკვევს თავისში, უყვარს თუ არა მას ვიღაც, განსაკუთრებით კი თუ ეს ღმერთს ეხება. სიყვარული სულისამარელვებელი რამაა. ეს ისაა, რაზეც ვფიქრობთ გაღვიძებისას დილით და ღამით ძილის წინ. სიყვარულია, რაც გვამოძრავებს. ის აღძრავს ჩვენში მსხვერპლის გაღების სურვილს. სიყვარულია, რისთვის ვცოცხლობთ.
4) **მიყვარს ადამინები?** მოციქული იოანე წერს, რომ პიროვნება, ვისაც არ უყვარს ადამიანები, საქმით, პრაქტიკულად (მაგალითად მისი კუთვნილების მოყვასისთვის გაზიარება), თავდადებული სიყვარულით, ღვთისგან არ არის.[143]
5) **დანდობილი ვარ ღვთის სიტყვაზე?** ღვთის სიტყვაზე მინდობა ზეციდან შობის ერთერთი ნათელი ნიშანია. იესომ თქვა, რომ ჩვენ ჭეშმარიტი მოწაფეები ვართ, როდესაც მის სიტყვას ვემორჩილებით.[144] ასევე მან თქვა: „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს.“[145] ავტორიტეტულია ღვთის სიტყვა შენთვის, აქვს მას ძალაუფლება სენს ცხოვრებაზე? თუ ადვილად უგულვებელყოფ მას?

6) **სად არის ჩემი გონება?** ხსნა იწვევს გონების ცვლილებას. რომაელთა მიმართ წერილში, პავლე ამბობს, რომ ისინი, ვინც ცოდვილი ხორცის მიხედვით ცხოვრობენ (არაქრისტიანები), ცოდვილი ხორციელი ფიქრებით არიან დაკავებულნი. ეს აზროვნება სიკვდილია! ხოლო ისინი, ვინც სულიწმიდის თანახმად ცხოვრობენ (ჭეშმარიტი ქრისტიანები), სულიერზე ფიქრობენ. სულიერი ფიქრები - სიცოცხლე და მშვიდობაა.[146] თქვენ რას ატყობთ საკუთარ თავს, უფრო და უფრო მეტს ფიქრობთ ღმერთზე, წმიდა წერილის და ზეციურის შესახებ? სულიერი აზროვნებით ცხოვრება დისციპლინისა და წვრთნის შედეგია, თუმცა ეს ასევე ახალი ბუნების(ახალი კაცის) შედეგია.

---

[140] ლუკ. 22:62
[141] 1 კორ. 7:9-11
[142] ინ. 8:42
[143] 1 ინ. 3:10, 16-19
[144] ინ 8:31
[145] მათ. 7:21
[146] რომ. 8:5-6

7) **აღმოფხვრილია ჩემი კერპები?** წინასწარმეტყველ ეზეკიელის მეშვეობით, ღმერთმი გვპირდება, რომ სუფთა წყლის პკურება ცოდვილთებზე, განწმენდდა მათ ყოველგვარი უწმინდურებისა და კერპებისგან, მისცემდა მათ ახალ გულსა და ახალ სულს, შეცვლიდა მათ ქვის გულებს მგრძნობიარე, ფაქიზი გულით და თავის სულს ჩადებდა მათში, რომ მისი სიტყვის დაცვა შეეძლოთ.[147] მოიმოქმედა მან ეს შენს ცხოვრებაში? ის კვლავ აკეთებს ამას შენს ცხოვრებაში? ღმერთი ეჭვიანობს ყველა შენს სიყვარულსა და მიჯაჭვულობაზე; და თუ შენ მისი შვილი ხარ, ის აღმოფხვრის ყველაფერს, რაც მისადმი სიყვარულის ჩანაცვლებას ცდილობს.

> ისევე როგორც მუხის ყლორტიც/ამონაყარიც მუხაა, ასევე ჩვილი ქრიტიანიც, ქრისტიანია. მაგრამ როგორი სასაცილოც იქნებოდა მაყვლოვანზე თქმა, რომ ის მუხის ხეა, ასევე მიუღებელია უწოდო ადამიანს ქრისტიანი, როდესაც მას არაფერი ქრისტიანული არ ახასიათებს. - უცნობი ავტორი

8) **ვარ ახალი ქმნილება?** ხედავენ სხვები ჩემში ცვლილებებს? გახდე ქრისტიანი ნიშნავს სულიერი სიკვდილიდან სულიერ სიცოცხლეში გადასვლა. არავინ აღმდგარა მკვდრეთით ისე, რომ ამის შესახებ ცნობილი არ გამხდარიყო! თქვენ არ აღმდგარხართ მკვდრეთით, ვიდრე სხვბი არ შენიშნავენ იმ ცვლილებებს, რომელიც ღვთის მადლმა მოიმოქმედა თქვენში.

9) **ვენდობი ქრისტეს?** გული, რომელიც რადიკალურად ენდობა ქრისტეს, ხსნის ძლიერი მტკიცებულებაა. ჭეშმარიტი მორწმუნეები ენდობიან ქრისტეს არა მხოლოდ მარადიულ ხსნაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, როგორიცაა საკვები და ტანსაცმელი.[148] არის შენში სურვილი, რომ (უსაფრთხო) კომფორტის ზონიდან გამოხვიდეთ და იესოსკენ იაროთ წყალზე, მაშინაც კი, როდესაც სხვები ვერ გიგებენ ან არასწორად ესმით თქვენი? ენდობით მას? თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აჩვენებს, ვის ენდობით - ფულს, ხორცს (საკუთარ ძალას), თუ ქრისტეს.[149] თუ მორწმუნე ხართ, მაშინ თქვენი ფინანსების, ოჯახის, ჯანმრთელობის, თქვენი საქმიანობისა(სამსახურის) და მრავალი სხვა საკითხის შესახებ ისეთ გადაწყვეტილებებს იღებთ, რაც ურწმუნების უგუნურებაა და სისულელედ მიაჩნიათ.[150]

10) **ვხედავ ქრისტეს და ადამიანებს სხვაგვარად?** ჭეშმარიტი მორწმუნეები ადამიანებს სხვაგვარად ხედავენ. პავლემ თქვა, რომ ამიერიდან ჩვენ ადამიანებს ხორციელად არ ვუყურებთ - მათი სოციალურითუ ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არამედ მათი სულიერი მდგომარეობის მიხედვით, - როგორც ხალხს, ვინც ღმერთს უყვარს და ვისთვისაც ქრისტე მოკვდა და არსდგა[151] (2კორ. 5:14-15). ისევე როგორც ქრისტეს აღარ მივიჩნევთ ჩვეულებრივ ადამიანად, ასევე ახლაჩვენც ვუყურებთ ჩვენს თანამორწმუნეებს, ვინც არიან ისინი - ახალი ქმნილება, შერიგებული ღმერთთან. განსხვავებულად ხედავთ ადამიანებს, ვიდრე მანამდე?

---

[147] ეზეკ. 36:25-27
[148] მათ. 6:25
[149] 1 ტიმ. 6:17
[150] 1 კორ. 1:27
[151] 2 კორ. 5:14-15

დასასრულს, აქ მოცემულია სულიერი ფორმირების საკითხები

- ❖ ახლა დანდობილი ხართ ქრისტეს აღსრულებიულ საქმეზე? ეყრდნობა თუ არა თქვენი იმედი მხოლოდ მის
  მსხვერპლს?
- ❖ გჭირდება მოინანიება, რადგან დანდობილი იყავი შენს საკუთარ მცდელობაზე და თვითგამართლებაზე, რომ ღმერთისთვის მისაღები გამხდარიყავი? ეს შენი დამსახურებაა?
- ❖ მიგიცია საშუალება შენი არასაიმედო ემოციებისთვის ან შეგრძნებისთვის, რომ არაფერი გამოგივა, მოეპარათ სახარებისადმი შენი რწმენა?
- ❖ ხარობ თუ არა შენს შინაგანში სულიწმიდისმიერი მოწმობით, რომ ღვთის შვილი ხარ?
- ❖ არის თუ არა მზარდი შენი ცოდნა/შემეცნება, შენსა და ღმერთს შორის ურთიერთობების პრივილეგიებისა და პასუხისმგებლობების შესახებ?
- ❖ ხედავ შენს ცხოვრებაში გადამრჩენი რწმენის ნაყოფებს? შენთვის რომ სასამართლოს ქრისტიანობაში დაედო ბრალი, საკმარისი სამხილი ექნებოდა ბრალის დასამტკიცებლად?

შესაძლოა სწორედ ახლა საუკეთესო დროა იმისთვის, რომ უფლის წინაშე მუხლი მოიდრიკო. თუ რწმენის ნაკლებობას განიცდი, დაიჯერე და მიიღე სახარება. სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს, რომ სრულად მიენდო ქრისტეს. თუ გააცნობიერე საკუთარი ურწმუნოება და ცოდვა, მოინანიე და სთხოვე უფალს მადლი და წყალობა. ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს.[152]

[152] იაკობ. 4:6

გაკვეთილის დავალებები შემდეგი შეხვედრისთვის

1. გაიარეთ/მიმოიხილეთ დარწმუნებულობის ტესტი ამ კვირაში და შემდეგი შეხვედრის დაწყებამდე მისი მეშვეობით შეამოწმეთ მინიმუმ სამი ქრისტიანი. მოემზადეთ ტესტის შედეგებზე სასაუბროდ შემდეგი კვირის გაკვეთილებზე.
2. ამ კვირის განმავლობაში 30 წუთი მაინც დაუთმეთ ამ გაკვეთილის განხილვას, თანდართული მუხლების ჩათვლით და სთხოვეთ სულიწმიდამ მოგცეთ ამაზე თავისი გამოცხადება/სწორი აღქმა.
3. გააკეთეთ ჩანაწერები თქვენს დღიურში ყოველი ცალკეული ცვლილების სესახებ, რასაც თვლით, რომ უნდა განახორციელოთ თქვენს ცხოვრებაში, რადგან უფალმა გაგიცხადათ ისინი.
4. ყოველდღიურად, ღმერთისთვის გამოყოფილ დროს, იფიქრეთ (მედიტაციას დაუთმეთ დრო) ერთ ფსალმუნზე მაინც და ჩაიწერეთ თქვენს დღიურში, თუ რას ამბობს ფსალმუნების ავტორი ღმერთის ბუნებასა და ხასიათზე.
5. ჩაიწერეთ თქვენს დღიურებში პირადი ლოცვები სულიერი გარდაქმნის და ზრდის შესახებ, რომელიც ამ გაკვეთილს უკავშირდება.
6. ეცადეთ გამიყენოთ დოქტორი ბრაუნის ყოველდღიური ლოცვის სახელმძღვანელო თქვენს ყოველდღიურ პირად ლოცვებში.

პასუხები რწმენაში დარწმუნებულობის ტესტზე: 1) *გადარცენილი მადლით რწმენის მეშვეობით, დაცული მადლით, რწმენისვე მეშვეობით. 2) ცოდვილები. 3) განშორება, რისხვა, სიკვდილი. 4)ცოდვა, განშორება, რისხვა, ცოცხალი. 5) სულიწმიდა, მორჩილება, სიყვარული, ნაყოფი, ცოდვა. 6)ნაპატიები, სისხლი. 7)შუამდგომელი. 8) შედეგი. 9)შენიშვნა, მონანიება, რწმენა, აღიარება. 10)რწმენა.*

ტესტი 3 გაკვეთილისთვის

1. ხელახლა გაიარეთ დარწმუნებულობის ტესტი.

2. რომელია დარწმუნებულობის ასაშენებლად საჭირო სამი სამშენებლო ბლოკი, რომელიც განიხილებოდა ამ გაკვეთილში?

3. რა არის გადამრჩენი რწმენის ექვსი შედეგი?

გაკვეთილი 4

სულიერი ფორმირება ღმერთის შეცნობის გზით

გაკვეთილი მიმოხილვა

განიხილეთ გაკვეთილი 3-ს ძირითადი პუნქტები. კითხეთ სტუდენტებს, ვის სურთ გაზიარონ გაკვეთილი 3-ს დროს ჩაწერილი პირადი ლოცვები. ასევე მიმოიხილეთ სულიერი ფორმირებისთვის საჭირო სამშენებლო ბლოკები.

გაკვეთილი მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა/მოსწავლემ უნდა:

(1) იცოდეს სად უნდა მოძებნოს პასუხები, თუ ვინ არის ღმერთი.

(2) ესმოდეს სამი მნიშვნელოვანი გზა, რომელითაც ღმერთი ავლენს საკუთარ თავს.

(3) ესმოდეს, რამდენად მნიშვნელოვანია ღმერთის შეცნობა სულიერი ფორმირებისთვის/ჩამოყალიბებისთვის.

(4) შეეძლოს ღმერთის ზოგიერთი ძირითადი თვისების არგუმენტირება/გადმოცემა.

(5) ესმოდეს რაოდენ სრულყოფილად ავლენს იესო ღვთის ბუნებას.

ცხოვრებისეული მომენტები

მას შემდეგ რაც ადამიანი ცოდვაში ჩავარდა ედემის ბაღში, მას ცდუნება აქვს დაიჯეროს ყველაზე უარესი ღმერთის შესახებ. მაგრამ ჩვენ არასდროს გვაიძულებდნენ გვემოქმედა ან მიგვებაძა ღმერთისთვის, რომელსაც არ ვენდობით. ზოგიერთ გულწრფელ მორწმუნეს უჭირს ქრისტეს მსგავსების მიღება, რადგან ისინი იესოში ვერ ხედავენ იმ სიმშვენიერეს, რასაც სხვები ხედავენ.

- უბედურების მსხვერპლები

როდესაც სტიქიური უბედურებები, ტერორისტული აქტები ან ფართოდ გავრცელებული დაავადებები ერს უქმნის პრობლემას, ზოგი სულიერი ლიდერი ამტკიცებს, რომ ეს არის ღმერთის რისხვა და სასჯელი. ბევრი ქრისტიანი ვერვ ეგუება ამ შეხედულებას ღმერთზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა მორწმუნეებიც ისევე იტანჯება ამ უბედურებით, როგორც ურწმუნოები.

- ბიბლიის სკოლის სტუდენტები

ბიბლიის სკოლის რამდენიმე სტუდენტი ყოველკვირა ხვდებოდნენ თავიანთი კოლეჯის პრეზიდენტს მოწაფეობისთვის მცირე ჯგუფებში. ერთერთ ასეთ საღამოზე, მათმა პრეზიდენტმა და მენტორმა იკითხა: „ახლა იესო რომ შემოსულიყო ამ კარში და პირდაპირ შენთვის შემოეხედა თვალებში, როგორ ფიქრობ, როგორი გამომეტყველება ექნებოდა მას სახეზე?“ სტუდენტები ასეთი შეკითხვით გაკვირვებულნი დარჩნენ, მაგრამ მან დააფიქრა. რამდენიმე მათგანს სჯეროდათ, რომ

იესო მათ იმედგაცრუებით შეხედავდა. მას სახეზე ეწერებოდა - „უკეთესად შეგიძლია.“ მინიმუმ ერთ სტუდენტს მაინც ეჯერა, რომ იესო გაბრაზებით შეხედავდა. ერთი ახალგაზრდა ქალი კი ატირდა და ისე აღელდა, რომ ვერ გასცა პასუხი. მხოლოდ ერთ სტუდენტი იყო დარწმუნებული, რომ თუ იესო სემოვიდოდა იმ კარში, ის მომღიმარი იქნებოდა!

- ❖ ახალგაზრდა ცოლი და დედა

ტრიშას, ახალი ქრისტიანის სწავლება და მცდელობა მის დასამოძღვრად და მისი „გზის“ წარსამართად დამკვიდრებული და სრულყოფილი ქრისტიანული ცხოვრებისკენ არ ჩანდა ადვილი საქმე. ის გაიზარდა ძალადობრივ, არასრულფასოვან ოჯახში, სადაც ძალიან ცოტა ჰქონდა დადებითი როლების მაგალითები. მოზარდობის ბოლო წლებში ის დაუკავშირდა ადამიანებს, ვინც საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, რომლებმაც მას ოჯახში აგრძნობინეს ტავი, მაგრამ ვინც ასევე „ტვინი გამოურეცხეს“ მას "ქრისტიანობის" უაღრესად დამახინჯებული, უღირსი ფორმით.

ამ ზეგავლენის ქვეშ მყოფი ტრიშა, ვერასოდეს გრძნობდა თავს ღირსად. იმის ნაცვლად, რომ ხსნის სიხარული განეცადა, ის გამუდმებით ებრძოდა ეჭვს, უიმედობას და სირცხვილს. ის სულიერად ძალზედ დაიბნა. მან არ იცოდა როგორ განესხვავებინა ძირითადი, მნიშვნელოვანი ბიბლიური მოძღვრება, მეორეხარისხოვანი, მისი ეკლესიისმიერი მოძღვრებისგან. როდესაც ვერარ გაუძლო ზეწოლას, ტრიშა წამოვიდა იმ ეკლესიიდან და დაიწყო იმ ეკლესიაში დასწრება, რომელსაც მე ვმოძღვრავდი. ერთ კვირას, ის წამოდგა და დამოწმება წარმოსთქვა, ძალიან დაღლილი და სასოწარკვეთილი ხმით მან დაასრულა ეს „დამოწმება“ ასეთი სამწუხარო, მაგრამ მრავლისმეტყველი აზრით: „ყველანაირად ვცდილობ გადარცენა შევინარჩუნო!“ ტრიშასთვის ღმერთი ძალიან მომთხოვნია; მისთვის მსახურება ტვირთია, ხოლო მისი ამება სეუძლებელი.

როდესაც ვეცადე განმემარტა ტრიშასთვის სახარების ჭეშმარიტება და სწავლება ღვთის მადლის შესახებ, მომეჩვენა, რომ ის ეჭვის თვალით მიმზერდა. მგონი ფიქრობდა, ხომ არ ვიყავი ერთერთი „ქვეყნიური“ მოძღვარი, რომლის შესახებაც მისი პირველი ეკლესიური ოჯახი აფრთხილებდა. *იქნებ მე მას ქრისტიანული ცხოვრების იაფფასიან ვერსიას ვთავაზობდი. იქნებ ქრისტიანად ყოფნა უნდა იყოს რთული, მე კი ვუიოლებდი მას!*

- ❖ მორწმუნე ტკივილში

ძალიან ღარიბი ფერმერის ცოლს, რომელიც აზიის პატარა სოფელში გავიცანი, უცებ იდუმალი მუწუკებით დაიფარა, რომელიც მთელს მის სხეულს მოედო. კვირეების განმავლობაში უსაზღვროდ იტანჯებოდა ტკივილით. მისი ექიმის მიერ გამოწერილი არცერთი საშუალება არ აღმოჩნდა ეფექტური. ერთ დღეს აყვავების თეორიის მქადაგებელი მახარობელი, საევანგელიზაციო მსახურებას ატარებდა მისი სოფლის მახლობლად და მისმა ოჯახმა წაიყვანა ქალი მასტან სესახვედრად. მახარობელი აცხადებდა, რომ რადგან ავადმყოფობა და ტანჯვა ცოდვის შედეგებია, ყოველთვის ღვთის ნებაა, რომ ფიზიკური განკურნება მოხდეს. ის ქადაგებდა ფიზიკურ განკურბნებას, როგორც კურთხევას, რომელიც ყველა მორწმუნემ უნდა აღიაროს, მოითხოვოს კიდეც, როგორც მისი კუთვნილი მემკვიდრეობა! ის ამბობდა, რომ ვისაც საკმარისი რწმენა გააჩნია და გაიღებს „თესლს“

შესაწირავის დასათესად, დაუყოვნებლივ განიკურნებოდა. სასოწარკვეთისგან, ამ საბრალო ქალმა გაიღო ყველაფერი რაც გააჩნდა და გულწრფელად „სწამდა“ განკურნების და გულმხურვალედ ლოცულობდა. ის არ განიკურნა. რატომ? არ იცოდა. შესაძლოა ღმერთის თვალში ის ღირსი არ იყო. მას რწმენა შეელახა. მან ის ადგილი ღმერთის მიერ მიტოვებულის შეგრძნებით დატოვა.

- ❖ ასაკოვანი ქრისტიანი

ვიცნობ ერთ ასაკოვან ქრისტიანს, რომელსაც ტანჯავს ღმერთზე ფიქრები. ეს ქალი ფიქრობს, რომ ის ცუდი რამეები, რაც მას ემართება, ღვთის სასჯელია მისი დაუმორჩილებლობის გამო ღვთის ყველა განზრახვის/გულის წადილის მიმართ. ერთხელ მას ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ღმერთი მოუწოდებდა მას კონკრეტულ გამოღვიძების მსახურებას დასწრებოდა; მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ის და მისი მეუღლე ცუდად გრძნობდნენ თავს, მათ გადაწყვიტეს არ წასულიყვნენ. და როდესაც ის დაეცა და მკლავი მიტეხა, დარწმუნებული იყო, რომ ეს ღმერთის სასჯელი იყო მისი „დაუმორჩილებლობისთვის.“ ეს ძვირფასი ქალბატონი უდიდეს შფოთსა და შიშში ცხოვრობს.

- ❖ ფერმერი აზიაში

ამას წინათ მიამბეს ფილიპინელი ქრისტიანი ფერმერის შესახებ, რომელმაც აღიარა თავისი გაბრაზება და დაბნეულობა მისი ეკლესიური ოჯახის მიმართ. ”მე ეს არ მესმის!” - შესძახა მან. ”რატომ არის, რომ ჩემი ხახვის მოსავალი უხარისხო და მწირია, ხოლო ჩემი არაქრისტიანი მეზობლისა კი ჯანმრთელი და უხვი? ღმერთი უსამართლოდ მეჩვენება! რადგან მე ქრისტიანი ვარ, განა ღმერთმაჩემს მეზობლისაზე უფრო მეტად ჩემი ხახვი არ უნდა აკურთხოს? ”

- ❖ მოზარდების ჯგუფი მექსიკაში

მექსიკაში მოზარდების ჯგუფს ეკრძალება სპორტული თამაშები ეკლესიის ეზოში. ”ეს არის წმინდა ადგილი!” მორალს უკითხავენ მათ დროდადრო, "და თუ სპორტით გინდათ დაკავდეთ, ეს უნდა გააკეთოთ *ღვთის სახლიდან* შორს!" ამ ეკლესიის ლიდერები, ისევე როგორც მოზარდები, ცდომილებაში არიან სულიერები შესახებ. მრავალი მოზარდი, რომლებსაც ზარდასრული ოჯახისწევრები ყავთ ამ ადგილობრივ ეკლესიაში, ღმერთს შორდებიან.

> *❓როგორ ფიქრობთ, ამ ამბებში მოყვანილ პიროვნებებს როგორი წარმოდგენა/რწმენა აქვთ ღმერთის შესახებ? როგორ მოქმედებს მათი შეხედულებები ღმერთზე მათი ცხოვრების ჩამოყალიბებაზე?*

ნამდვილად აქვს მნიშვნელობა რისიც გვჯერა ღმერთის შესახებ.

უდაოდ ერთერთ უდიდეს ზეგავლენას ჩვენს სულიერ ფორმირებაზე ახდენს ჩვენი შეხედულება ღმერთის შესახებ. ჩვენი შეხედულება ღმერთის შესახებ დიდ გავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე სწორედ ახლა. ის ასევე ზემოქმედებს თქვენს სეხედულებაზე საკუთარ თავზე. ასევე გავლენა აქვს თქვენს ურთიერთობებზე სხვებთან. ის მოქმედებს თქვენს ურთიერთობებზე ღმერთთან. ყურადღებით წაიკითხეთ ა. თოზერის ეს სიტყვები:

არაფერი არ ახდენს შინაგანი კაცის(მშვინვის) გადაგვარებას და დეფორმირებას, როგორც დაბალი ან უღირსი წარმოდგენა ღმერთზე. ცალკეული სექტები, როგორც მაგალითად ფარისევლები, სანამ ისინი თვლიდნენ, რომ ღმერთი მკაცრი და ულმობელი იყო, მოახერხეს გარეგნული ზნეობის საკმაოდ მაღალი დონეზე შენარჩუნება; მაგრამ მათი სიმართლე მხოლოდ გარეგნული იყო….ფარისეველთა ღმერთი იყო მმომთხოვნი ღმერთი, ვისი ამებაც ადვილი არ იყო, ამიტომ მისი რელიგიაც გახდა პირქუში, მძიმე და უსიყვარულო...

რა კარგი იქნებოდა, რომ შეგვძლებოდა გაგვეგო, რომ ღმერთთან შეწყობა, მასთან ცხოვრება ადვილია. მას ახსოვს რომ სუსტნი და შეზღუდულნი ვართ და უწყის, რომ მტვერი ვართ. შესაძლოა ხანდახან დაგვსაჯოს კიდეც, მართალია, მაგრამ ამასაც კი ღიმილით აკეთებს, - ამაყი, მამის თბილი ღიმილით, რომელსაც კმაყოფილება ავსებს თავისი არასრულყოფილი, მაგრამ იმედისმომცემი ძის(შვილის) გამო, რომელიც ყოველდღიურად მოდის მასთან, რომ უფრო და უფრო დაემსგავსოს იმას, ვისი შვილიცაა.[153]

რისიც გვწამს ღმერთის შესახებ მნიშვნელოვანია.

- იობის მეგობრები ფიქრობდნენ, რომ ღმერთი ყოველთვის წარმატებას აძლევს მართალს და სჯის დამნაშავეს, ამიტომ განსჯიდნენ და ბრალს სდებდნენ თავიანთ გატანჯულ მეგობარს როგორც ბოროტის ჩამდენს.
- მეფე საული ფიქრობდა, რომ ღმერთს მსხვერპლშეწირვა უფრო მოხიბლავდა, ვიდრე მორჩილება და ამგვარად მან დაკარგა სამეფო.
- მეფე დავით ფიქრობდა, რომ ღვთის კანონები მხოლოდ რჩევებს წარმოადგენდა, რის გამოც იგი გაბრაზდა ღმერთზე ყუზას სიკვდილის გამო.
- ფარისევლები თვლიდნენ, რომ შეეძლოთ ღვთის წინაშე სიწმინდის მოპოვება მეტის კეთებით, ამიტომ ისინი უფრო კონსერვატიულნი და მსხვერპლიანნი გახდნენ, მაგრამ ამავდროულად სულიერად უფრო ამაყებიც და კორუმპირებულნიც.
- იესოს დროს ჩვეულებრივ ხალხს სჯეროდა, რომ უბედურება და ავადმყოფობა ყოველთვის იყო ღვთის წყევლა პირადი ან ოჯახური ცოდვის გამო, ამიტომაც ისინი თანდაყოლილ დეფექტებს ან თავზე ჩამოქცეულ კოშკებს თვითონ მსხვერპლებს აბრალიდნენ.[154]
- მოწაფეებსაც კი სჯეროდათ, რომ იესო სექტანტური შეხედულების იყო, ამიტომ ისინი გმობდნენ ღვთისმოსავ მუშაკებს, რომლებიც მათი გუნდის ნაწილი არ იყვნენ.

მართლაც მნიშვნელოვანია რისი გვწამს ღმერთის სესახებ!

[153] https://dailytozer.wordpress.com/2012/09/01/god-is-the-most-winsome-of-all-beings
[154] იოან. 9:3; ლუკ. 13:2, 5

ძირითადი აზრი

კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა გვინდა ამ გაკვეთილში, არის შემდეგი: როგორ დავიწყოთ ღმერთზე ჯანსაღი შეხედულების შემუშავება? როგორ განვავითაროთ სულიერი „ყურები“, რომ უფრო მკაფიოდ მესმოდეს ღმერთის ხმა და „თვალები“, რომლებიც უფრო ნათლად დაინახავს მას?

ღმერთი მარადიულად უცვლელია, მაგრამ ჩვენი ხედვა ხშირად იბინდება ღრუბლებით: ტრადიციის, არასწორი შეხედულებების, ცოდვის, სიამაყის ღრუბლებით, ზოგჯერ სულიერი შეურაცხყოფის ღრუბლებითჩვენ ვიყალიბებთ ჩვენს წარმოდგენებს თუ როგორია ღმერთი იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელას ვიღებთ საკუთარ ოჯახებში, ეკლესიაში, იმ გარემოს კულტურიდან, რომელშიც ვცხოვრობთ. რათქმაუნდა ყველაფერი მცდარი არ არის, რასაც აქედან ვსწავლობთ, მაგრამ რარაც მაინც მცდარია. ას რომ ყველას ცხოვრებაში ღმერთის პიროვნების წარმოსახვაა ნაწილობრივ მაინც ბუნდოვანია. ჩვენი სულების მტერმა ამაზე იზრუნა. სულიერ ფორმირებას შეუძლია დაგვეხმაროს მოვიშოროთ ყველაფერი, რაც ფარავს ღვთის ჭეშმარიტ სახეს.

როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი, ჩემი ოჯახი ვაშინგტონის ულამაზეს შტატში ცხოვრობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. იმ დღეების ერთ – ერთი საყვარელი მოგონებაა, როდესაც მოვინახულეთ მთა. დიდებული 4,392 მეტრიანი მთა მაუნტ-რეინირი, რომლის მწვერვალიც უღრუბლო დღეს ალბათ ასი მილის მანძილზეც ჩანდა!

ერთ დღესაც, როდესაც მამაჩემს ჩვენი ოჯახი მანქანით მიყავდა გზაზე მთა მაუნტ-რეინირის ძირში, ჩვენ იმედგაცრუებულნი ვიყავით იმით, რომ არ შეგვეძლო მწვერვალის დანახვა მთელი დღის განმავლობაში, რადგან ის ღრუბლებით იყო დაფარული. მახსოვს, გარინდული ვუყურებდი ჩვენი საოჯახო ავტომობილის უკანა ფანჯრიდან მხოლოდ იმ იმედით რომ მას თვალს მოვკრავდი, როდესაც უეცრად ღრუბლები გადაიყრებოდა, და აი ისიც! ის თვალწარმტაცი და დიდებული იყო! დღემდე ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომლებიც აღწერს იმ მთის მწვერვალის გასაოცარ სანახაობას, ცისფერი ცის ფონზე, რომელიც ორი კილომეტრის სიმაღლეზე იყო ჩვენს ზემოთ.

მშვენიერი დღეა მორწმუნის ცხოვრებაში, როდესაც ღრუბლები ქრება და ის ღმერთის დანახვას შეძლებს - ყველაზე სრულყოფილად და მშვენივრად ღმერთმა საკუთარი თავი იესოში გამოავლინა!

ამ გაკვეთილში ვისწავლით, რომ ღმერთზე უფრო ნათელი და ჯანსაღი შეხედულება ჩამოყალიბდება რამოდენიმე გზით:

1. მედიტაციით იმაზე, თუ როგორ გამოგვიცხადა ღმერთმა საკუთარი თავი, განსაკუთრებით ქმნილებასა და წმიდა წერილებში. ჩვენ აზროვნების ღმერთის არასწორი წარმოდგენებისა და ხატებებისგან გათავისუფლების მცდელობა უშედეგოა, თუ ჩვენ მუდმივად არ ვივსებთ გონებას ჭეშმარიტებით. ეს არის ჭეშმარიტების განმაახლებელი ქარი, რომელიც ღრუბლებს გაფანტავს.

2. ჩვენი აზრების იესოზე ფოკუსირებით, რომელშიც ღმერთმა სრულად გამოუვლინა საკუთარი თავი ადამიანებს. ჩვენ გავწვრთნით საკუთარ თავს, რომ დავინახოთ ღმერთი პიროვნებაში, იესოს

სწავლებასა და გამოსყიდვის საქმეში. გავიგებთ, რომ იესოს სახით ღმერთის დანახვა უმნიშვნელოვანესია ღმერთზე შეხედულების სწორად ჩამოყალიბებისთვის.

3. ღმერთის პირადად განცდით. ჩვენ ვსწავლობთ, რომ ღმერთი ყველაზე ხშირად უფრო და უფრო მეტად გვიცხადებს თავის სიმშვენიერეს, როდესაც მასთან ერთად დავდივართ. მთელი ისტორიის განმავლობაში ღმერთმა აირჩია საკუთარი თავის შესახებ ჭეშმარიტება გამოევლინა ურთიერთობის კონტექსტში.

შემდეგ ჩვენ ვისწავლით ყოველ დღე ყველა აზრის დატყვევებას და იმ ჭეშმარიტებისთვის დამორჩილებას, რომელიც მან თავის თავზე გამოგვიცხადა.

გაკვეთილი

1. ჯანსაღი შეხედულება ღმერთის შესახებ იწყება მის მიერ საკუთარი თავის გამოცხადებით/გამოვლინებით.

არსებობს მრავალი გზა, რომლითაც ღმერთი საკუთარ თავს უცხადებს ადამიანს. ის ყოველ დღე ავლენს საკუთარ თავს სამყაროს სიმშვენიერესა და სასწაულებში, რომელიც მან შექმნა და ასულდგმულებს. ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას, მის ხელთა საქმეებს გვამცნობს სამყარო.[155] დედამიწის ქმნილებათა მომხიბლავი მრავალფეროვნება, მისი შესანიშნავი მთები და მომდინარი წყაროები, მისი ოკეანეები და უამრავი მცენარეები, მისი რთული დიზაინი და მომხიბლავი საიდუმლოებები ყველაფერი მეტყველებს მის სიბრძნეზე,[156] მის ძლიერებაზე და მის ღვთაებრივ ბუნებაზე.[157] იესოს გონებაც დაკავებული იყო იმ სამყაროთი, რომელიც მან შექმნა და გამუდმებით ახსენებდა ამას თავის სწავლებებში.[158] მაგრამ ამ გაკვეთილში, პირველ რიგში, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ღმერთის უფრო სრულყოფილ გამოცხადებაზე/გამოვლინებაზე.

A. ღმერთი საკუთარ თავს აცხადებს/ავლენს წმინდა წერილებში თავისი თვისებების საშუალებით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია შეისწავლოს ის გზები, რაც ღმერთმა აირჩია საკუთარი თავის დასახასიათებლად. მაგალითის სახით მიიღეთ შემდეგი ფრაზა:

> და გაიარა უფალმა მოსეს წინ და წარმოთქვა: "უფალი, უფალი, ღმერთი, შემბრალე და მოწყალე, რისხვაში ნელი, დიდადმოწყალე და ჭეშმარიტი.[159]

ეს მონაკვეთი ერთ–ერთი საუკეთესო ადგილია მთელს საღვთო წერილში იმისათვის, რომ თვალი მოკრა ღმერთის დიდებულ თვისებებს. ამ ნაწილში მოსემ, ღმერთის მეგობარმა,[160] ითხოვა, რომ უფლის დიდება ეხილა. გაბედული თხოვნაა! უფალმა უპასუხა, ჩამოვატარებ მთელს ჩემს სიდიადეს შენს წინ და განვაცხადებ ჩემს სახელს 'უფალი'... როცა ჩაივლის ჩემი დიდება, კლდის ნაპრალში

[155] ფს. 18:1
[156] ფს. 103:24. აქ შესანიშნავად არის აღწერილი ღმერთი, როგორც სამყაროს შემოქმედი და მასაზრდოვებელი
[157] რომ. 1:20
[158] მათ. 6:26-29 როგორც მაგალითი
[159] გამ. 34:6
[160] გამ. 33:11

მეყოლები და ვიდრე არ ჩავივლი, ხელი მექნება შენთვის აფარებული.“[161] და თუმცა მოსემ მხოლოდ ღვთის ზურგის თვალის მოკვრა შეძლო და არა მისი სრული დიდების და მისი სრული სახის - იმ დღეს,[162] ღვთის გამოცხადება იმდენად წმინდა, მშვენიერი და უსაზღვროდ მიმზიდველი იყო, რომ იმწამსვე მიწად დაიხარა მოსე და თაყვანი სცა მას. იმის ნაცვლად, რომ მოსე გაქცეულიყო, ღვთის ხილვამ განაპირობა, რომ მოსე ევედრებოდა ღმერთს ევლო თავის ხალხთან, „მოგვიტევე ჩვენი დანაშაული და ცოდვები და გვაქციე შენს სამკვიდროდ”.[163] მოსეს სურდა ამ ღმერთის მსახურებაში ყოფილოყო!

❓როდესაც ლოცვის დროს ღრმად ჩაუკვირდებით ღვთის ქვემორე თვისებებს, რომლებიც ღმერთმა მოსეს გამოუცხადა/გამოუვლინა სინაის მთაზე, დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა: ღმერთი, რომელიც მოსემ იხილა, არის ის ღმერთი, რომელსაც მე ვიცნობ ჩემს აზრებსა და შინაგანში?

1) უფალი - „იაჰვე“

მოსემ შეიტყო, რომ ღმერთი არის „უფალი, უფალი ღმერთი“. როდესაც უფალი არის დაწერილი დიდი ასოებით, ეს მიუთითებს ისრაელის ღმერთის პირად სახელზე - იაჰვეზე. იაჰვე არის თავისი სამკვიდრო ხალხის მოსიყვარულე, მზრუნველი, დამცველი და გამწვრთნელი ღმერთი.

2) თანამგრძნობი, შემბრალე

ჩამოთვლილთაგან იაჰვეს პირველი თვისება არის - „თანამგრძნობი, შემბრალე“ ღმერთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გულწრფელად ზრუნავს ადამიანებზე და მათ მიმართ ინარჩუნებს სათუთ დამოკიდებულებას, მათით დაინტერესებას და გულმოწყალებას.

3) მოწყალე

მეორე თვისაბად იაჰვემ "მოწყალე“ დაასახელა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის აკეთებს იმ სიკეთეს, რასაც ხალხი არ იმსახურებს და იძლევა იმაზე მეტს, ვიდრე ხალხი იმსახურებს. იგი ხალხისადმი აშკარა კეთილგანწყობას იჩენს.

4) რისხვაში ნელი

მესამე თვისება, რომლითაც იაჰვემ საკუთარი თავი დაახასიათა „რისხვაში ნელი“ ანუ "მომთმენი"-ა, რაც გულისხმობს, რომ მოთმინება აქვს ადამიანების ნაკლებად დამაკმაყოფილებელ ქცევისა და წარუმატებლობებთან მიმართებაში, მათ შორის მორალურ წარუმატებლობებთან დაკავშირებით. იაჰვე ღმერთია, რომელიც მეორე შანსს იძლევა!

[161] გამ. 33:19, 22
[162] გამ. 33:23
[163] გამ. 34:9

5) სიყვარული

მეოთხე, იაჰვემ საკუთარი თავი სიყვარულში (სიკეთეში/დიდმოწყალებაში) „უხვი“ გამოაცხადა, იგი კაცთმოყვარეა, „უსაზღვროა სიყვარულში“ (სიტყვასიტყვით „უდიდესი“). ებრაული სიტყვა *ჰესედ*, აქ თარგმნილია როგორც სიყვარული ან სიკეთე, ეს სიტყვა ბიბლიაში 175 ჯერ იქნა გამოყენებული ღმერთთამ მითითებით. ეს მეტყველებს მის დაუმსახურებელ, ურყევ სიყვარულზე და სიკეთეზე. ეს არის სიტყვა, რომელიც გვაუწყებს თანამგრძნობი, უკვდავი სიყვარულით აღსავსე ერთგულების შესახებ, რომელიც აღთქმაში მყოფ ერთ წევრს გააჩნია მეორეს მიმართ. მიუხედავად იმისა, რაოდენ მყიფე და არასაიმედო შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანებს ღმერთთან ურთიერთობა, ღმერთზე დაყრდნობა ყველა სიტუაციაში და ნებისმიერ დროს შეიძლება, რადგან ის თავისი დანაპირების/აღთქმების ერთგულია!

6) ჭეშმარიტი

შემდეგი თვისება, რითიც ის საკუთარ თავს ახასიათებს, ის „უხვია ჭეშმარიტებაში“, რაც ნიშნავს, რომ რაც არ უნდა თქვას, ეს სწორი და სანდოა და მასზე დაყრდნობა შეიძლება. უნდა ვენდოთ ყველა საკითხში, თუნდაც ეს საკითხი სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდეს. მითუმეტეს მარადიული სიცოცხლის და სიკვდილის საკითხში![164]

❓დაუთმეთ დრო ღვთის ამ თვისებებზე ფიქრს-მედიტაციას და ჰკითხეთ საკუთარ თავს, ჰგავს ეს იმ ღმერთს, რომელიც თქვენს ცნობიერებაშია? ღმერთი ასევე დიდებულად გამოიყურება თქვენთვის, როგორც ის მოსესთვის იყო?

2. ჯანსაღი შეხედულება ღმერთის შესახებ დამოკიდებულია, თუ როგორ ვუყურებთ იესოს, რომელშიც ღმერთმა სრულყოფილად გაგვიცხადა საკუთარი თავი.

ა. იესო არის ღვთის დიდება.

❓ ყურადღებით წაიკითხეთ იოანეს 1:14-18.

ამ ტექსტში იოანე გვეუბნება, რომ ღვთის ის დიდება, რომლის ხილვაც მოსემ ვერ შეძლო და რომლის ხილვაც არ შეიძლებოდა, ჩვენ ვიხილეთ იესოში გაცხადებული:

> და სიტყვა [ვინც „იყო ღმერთთან“, და „იყო ღმერთი“[165]] გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენ შორის... და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება... მისი სისავსიდან მივიღეთ ყველამ... ღმერთი არასოდეს არავის უხილავს. მხოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, მან გაგვიცხადა.[166]

---

[164] დ. კ. სტუარტი (Stuart, D. K.) (2006). გამოსვლა (Exodus) (თავი 2, გვერდ.. 715–716). ნეშვილი: ბროდმანის & ჰოლმანის გამომცემლობა.
[165] ინ. 1:1.
[166] ინ. 1:1; 14; 16; 18.

ამ მუხლებში იოანე გვამცნობს განსაცვიფრებელ ჭეშმარიტებას, რომ იესო არის ღვთის დიდების სრული გამოვლინება და რომ იესო, რომელიც „მამის წიაღში“ იყო და რომელიც მასთან ერთია და იცნობს მას ყველაზე უფრო ახლოს, მოვიდა ჩვენს სამყაროში, რომ იგი გაეცნო ჩვენთვის და არა მხოლოდ ამისათვის, რომ უბრალოდ გვცოდნოდა მის სესახებ, არამედ, რომ ჩვენც შეგვეცნო ის ისევე ახლოს, როგორც მასში მყოფმა ძემ.

სახელი მამა, უფრო სრულყოფილად გამოვლინდა სახარებებში. ახალი აღთქმა გვიცხადებს, რომ ქრისტესადმი რწმენის მეშვეობით, ღმერთი ჩვენი მამა ხდება. მამა ის სახელია, რომელიც მხოლოდ 15ჯერ არის გამოყენებული ძველ აღთქმაში, ხოლო ახალში 245ჯერ! როგორც ღმერთის ერთერთი სახელი, ის ხაზს უსვამს ღვთის სიყვარულით სავსე მზრუნველობას, უზრუნველყოფას, დისციპლინას (წვრთნას) და ასევე გვამცნობს, როგორ უნდა მივმართოთ

მას ლოცვის დროს. იესოს მეშვეობით ჩვენ შევედით ურთიერთობასა და მოზიარეობაში მამა ღმერთთან![167]

იესოში ღმერთმა მოგვცა უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ თავისი სახელები და თვისებები. მან საკუთარი თავი გვაჩუქა! მან გადმოგვცა ის, ვისაც საკუთარი თვალით ვიხილავდით, საკუთარი ყურით მოვუსმენდით და ხელით შევეხებოდით.[168]

ბ. იესომ ცხადი და ხილული გახადა ღვთის ბუნება.

ვინაიდან ღმერთმა, რომელმაც ბრძანა, რომ ნათელი ბნელიდან გამობრწყინებულიყო, მანვე გაანათა ჩვენს გულებში, რათა გაგვინათოს ღვთის დიდების ცოდნით იესო ქრისტეს სახეში.[169]

*❓როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს ფრაზა: „*ღვთის დიდების ცოდნით იესო ქრისტეს სახეში*“?*

ეს მუხლი ნიშნავს იმას, რომ ღმერთმა ყველა ჭეშმარიტი მორწმუნეს გული გაანათა, იესოში ყველა მისი თვისების, ღვთის ყველა აღმატებულობის დასანახად. იესოში სამპიროვანი ღმერთის დიდება ხილული გახდა სისხლსა და ხორცში.

იმის აღქმა, რომ ღმერთი სრულად გამოვლინდა იესოში, სულიერად მაფორმირებელი ყველაზე უფრო დიდი ზეგავლენის მქონე რამაა ჩვენცს ცხოვრებაში, როდესაც სრულად ჩაწვდებით მას. რატომ? იმიტომ რომ ღმერთის და მისი გზების შესახებ დაბნეულობის/გაუგებრობის შემთხვევაში, ვისწავლით, რომ პასუხების მისაღებად უნდა მივმართოთ იესოს ცხოვრებას და სწავლებას.

ღმერთის სრული გამოვლინება და გამოცხადება არ არის მის ქმნილებაში, მის სახელებსა თუ თვისებებში. არსებობს არაჩვეულებრივი/სასწაული და ჭეშმარიტი გამოვლინებები/გამოცხადებები. მაგრამ ღმერთი სრულყოფილად უფალ იესო ქრისტეში პიროვნებაში გამოვლინდა, გამოგვეცხადა.

---

[167] მათ. 7:11; იაკ. 1:7; ებრ. 12:5-11; ინ. 15:6; 16:23; რომ. 8:14-17; გალ. 4:4-7; ეფ. 2:18; 3:15; 1 თეს. 3:11.
[168] 1ინ. 1:1.
[169] 2კორ. 4:6.

ისინი, ვინც ჭეშმარიტად ჩაწვდა და მიიღო ეს საოცარი ჭეშმარიტება, დგება თავისუფლების, განკურნების და სისრულის/სისავსის გზაზე.

ყველაფერი, რაც ღმერთშია, იესოშია. ღვთის ყველა თვისება და მახასიათებელი ასევეა იესოს თვისებაც. ღმერთის ყველა სახელი ასევე იესოს სახელებია. რასაც კი წარმოადგენს იესო, ვინც არის ის, იგივეა ღმერთი. მაშასადამე, ყველა კონცეფცია ღმერთის შესახებ ჩემს გონებაში, რომელიც არ შეესაბამება უფალ იესო ქრისტეს პიროვნებას, გამომსყიდველ საქმეს და სწავლებას, როგორც ღვთის სიტყვაშია გადმოცემული, ცრუ ღმერთია.

ძველი აღთქმის ღმერთი და ახალი აღთქმის ღმერთი , ერთი და იგივეა. მაგრამ მხოლოდ ხორცშესხმაში, მხოლოდ სახარებაში შეიძლება ცხადად აღიქვა ღმერთი.

იესო ცხადყოფს, რომ ღმერთი არის წმინდა სიყვარული - ის არის კეთილი, მომთმენი, ნდობის ღირსი, გულუხვი, ერთგული, წმიდა, სამართლიანი და მრავალი სხვა.

> ?რამდენიმე წამი იფიქრეთ თქვენს ცხოვრებაში არსებითი, მაფორმირებელი გავლენის შესახებ. როგორ ფიქრობთ, თქვენი ოჯახი, ეკლესია, კულტურა, აყალიბებდა თქვენს წარმოდგენას ღმერთის შესახებ? შენ თვითონ? არსებობს რაიმე ისეთი, რასაც ჩემი ოჯახი ან ეკლესია მასწვლიდა ღმერთის შესახებ, რაც თანხვედრაში არ არის იესოს ცხოვრებასა და სწავლებასთან?

გ. იესო არის ღვთის თარჯიმანი.

როდესაც საზღვარგარეთ ვმოგზაურობ, ხშირად მჭირდება თარჯიმანი. რატომ? არა იმიტომ, რომ სხვა ენებს არ აქვთ აზრი, არამედ იმიტომ, რომ ჩემთვის არის გაუგებარი და აზრს მოკლებული! ჩემი თვინი არ არის განსწავლული, სპციფიკური ბგერების და გამონათქვამების აღქმასა და განმარტებაში, ამიტომ, მე მჭირდება ადამიანი, ვისაც ესმის ისინი, რომ მითარგმნოს/განმიმარტოს. მე აღმოვაჩინე, რომ საუკეთესო თარჯიმნები არიან ადამიანები, რომლებმაც არა მხოლოდ ჩემი ენა და კულტურა იციან და ესმით, არამედ იცნობენ იმ ხალხს, კულტურასა და ენას, რომლის გაგებაც მე მსურს. ადგილობრივ მკვიდრებს შეუძლიათ თავიანთი კულტურის გაგება და გადმოცემა ისე, როგორც უცხოელებს არ შეუძლიათ. ანალოგიურად, ღვთის წინასწარმეტყველები, მღვდლები და პოეტები ღვთივშთაგონებულნი იყვნენ ღვთის ბუნების, გზებისა და ნების ასახსნელად, გადმოსაცემად. მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. მაგრამ მხოლოდ ღმერთს შეუძლია სრულყოფილად გამოავლინოს და გაგვიცხადოს ღმერთი; სწორედ ამიტომ იესო, ღმერთ-კაცი, ზეცის მკვიდრი მოგვევლინა. მასში და მისი მეშვეობით როგორც იქნა გაგებულ, დანახულ და შეხებულ იქნა ღმერთი სისხლსა და ხორცში გამოვლინებული. მხოლოდ მისი მეშვეობით შეძლო ცოდვილ ადამიანს ღმერთთან შერიგება.

პირადი მოგზაურობა

„სულიერი ფორმირების პროცესი ქრისტეში - არის თანდათანობითი ცვლილების პროცესი... დესტრუქციული წარმოსახვების და შეხედულებების ჩანაცვლება იმ შეხედულებებით, რაც იესოშია.“[170]

კურთხეული ვარ, რომ მივიღე არაჩვეულებრივი, ღვთისმოსავი აღზრდა. ჩემი ბავშვობა იყო სავსე ჭეშმარიტად კარგ და ღვთისმოშიშ წმიდანებთან ურთიერთობით, ჩემი მშობლების ჩათვლით, რომლებსაც ვუყვარდი და მასწავლიდნენ ღვთის სიტყვას და საუკეთესო მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდნენ ჩემთვის. სამწუხაროდ, იმ ასაკში მომიწია რამდენიმე მქადაგებლის და მასწავლებლის მოსმენა, რომლებიც დამახინჯებულ სახარებას ქადაგებდნენ. მათმა ქადაგებებმა გამოიწვია დაბნეულობა, გაურკვევლოა და უნდობლობა დაბალანსებული, ბიბლიური სწავლებებისადმი და რაღაც დონეზე სულიერი უიმედობა/საფრთხე (რამდენიმე ბრძოლაც კი ცრუ დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობის წინააღმდეგ).

ბოლოს და ბოლოს ცხადი ხდებოდა, რომ იესო ნამდვილად არის ხორცშესხმული ღმერთი, ღმერთის სრული და საბოლოო გამოცხადება, და რომ მე შემეძლო მასზე დანდობა, რათა ის დამხმარებოდა ღმერთის და მისი გზების გაგებასა და შეცნობაში.

მახსოვს ჩემი ღმერთთან სიარულის ადრეული პერიოდი, როდესაც ვთქვი: „მამა, აზრი ვერ გამომაქვს და ვერ ვერკვევი ყველა ამ ხმასა და შეხედულებებში! ჩემი ეკლესია ერთს ასწავლის, სხვა ეკლესიები სხვას. ერთი ბიბლიის მასწავლებელი ერთს ამბობს, სხვა მასწავლებელი კი თითქოს მის საწინააღმდეგოს. ვინ არის მართალი, ღმერთო? მინდა ვიცოდე სიმართლე/ჭეშმარიტება!“

პასუხების ძიების ამ დროის განმავლობაში, ნელ – ნელა დაიწყო ჩემში გონების განათება, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ღმერთმა თავისი ძე სამყაროში გაგზავნა, იყო ღმერთის შესახებ ჩემი დაბნეულობის გაფანტვა. ბავშვობიდანვე მასწავლიდნენ, რომ იესო ღმერთია, მაგრამ ბოლომდე არ მესმოდა, რომ იესო მოვიდა, რათა სრულად გამოევლინა, თუ როგორია ღმერთი. სულიწმიდამ დაიწყო ჩემს გულში გარკვეული პმუხლების გაცოცხლებაება, ისეთი, როგორიც მაგალითად ქვემორე მუხლებია:

ვინც მე მიხილა, იხილა მამა. როგორღა ამბობ, გვაჩვენე მამაო?[171]

ვინც არის უხილავი ღმერთის ხატება, პირმშო ყოველი ქმნილებისა.[172]

ვინაიდან სასურველი იყო მამისთვის, რომ *მასში დამკვიდრებულიყო მთელი სისავსე.*[173]

ბოლოს და ბოლოს ცხადი ხდებოდა, რომ იესო ნამდვილად არის ხორცშესხმული ღმერთი, ღმერთის სრული და საბოლოო გამოცხადება, და რომ მე შემეძლო მასზე დანდობა, რათა ის დამხმარებოდა

[170] დალას ვილარდის ციტატა წიგნიდან „კეთილი და მშვენიერი ღმერთი“The Good and Beautiful God (2009), 75.
[171] ინ. 14:9
[172] კოლ. 1:15
[173] კოლ. 1:19

ღმერთის და მისი გზების გაგებასა და შეცნობაში. ახლა დავიწყე იმის მიხვედრა, რომ ღმერთმა თანდათანობით აცხადებდა საკუტარ თავს მთელ ბიბლიური ისტორიის მანძილზე, ხოლო იესო იყო და არის ღვთის სრულყოფილი გამოცხადება, რომელიც სისხლსა და ხორცში გამოვლინდა და გამოგვეცხადა.[174]

მე მივხვდი, რომ ძველი აღთქმის ისტორიის განმავლობაში ღმერთმა კაცობრიობას ასწავლა საკუთარი თავის შესახებ, განსაკუთრებით კი მისი გამომსყიდველი სიყვარულის შესახებ. ის ლაპარაკობდა სამყაროს შექმნის, ედემის ბაღის მეშვეობით; მისი საღამოს სეირნობით იმ ბაღში ადამთან და ევასთან ერთად; იმით, რომ მხსნელის გამოგზავნა აღუთქვა, მათი დაცემის შემდეგაც კი; ტყავის სამოსელის საშუალებით, რომელიც ღმერთმა მათ საფარად მოამზადა; ნოეს ერთკარიანი კიდობნის მეშვეობით; აბრაამთან და მის შთამომავალებთან დადებული აღტქმით; რჩეული ხალხის მონობისგან გათავისუფლებით წითელი ზღვის გავლით; მისი გასაოცარი ყოფნით სინას მთაზე; მისი წმინდა კანონის/რჯულის მეშვეობით; მისი მშვენიერი კარვის მეშვეობით, რომელსაც გამოსყიდვის ყველა სიმბოლო ამშვენებდა, ცხებული მღვდელმსახურებით, სისხლის მსხვერპლით და დიდებით; მისი მსჯავრით აჯანყებაზე; მისი უზრუნველყოფით მანანით და წყლით, რომელიც კლდიდან დარტყმის შედეგად გადმოვიდა; ბოროტ ხალხებზე მისი გამარჯვებით; მისი აღთქმული მიწის მეშვეობით; გასამართლების და იმედის სიტყვის მეშვეობით, რომელსაც გვაუწყებდა თავისი წინასწარმეტყველებისა და ისრაელის პოეტების მეშვეობით. ყოველთვის, როდესაც ღმერთი ლაპარაკობდა, იგი ცოდვილ კაცს მიუთითებდა უმანკო, მართალ მხსნელზე და მაცხოვარზე, რომელიც დაცემული კაცის გამოსყიდვას შეძლებდა და მის ღმერთთან მოზიარეობას აღადგენდა. ასე რომ, ბიბლიაში რამის გაგების ერთადერთი გზა არის იესოს შეცნობა. იესო არის ის, ვისზე ყველაფერი და ყველა მიუთითებს. ის არის ყველაფრის საწყისი და ბოლო.

როდესაც ახალგაზრდა ასაკში უფალი იესო ჩემი ყურადღების ცენტრში მოექცა, ნელ-ნელა დაბნეულობის ღრუბლებმა გაფანტვა იწყეს. სულიწმიდის დახმარებით, დავიწყე მოსმენილი სწავლებების, ისევე როგორც ღმერთზე საკუთარი შეხედულების, ტესტირება ამ შეკითხვის დასმით: **შეესაბამება თუ არა ეს სწავლება და რწმენა ჭეშმარიტებას ღვთის შესახებ, რომელსაც იესო ავლენს?**[175] ჩემს თავს ასევე უნდა ვეკითხებოდე: *რას ნიშნავდა მოწაფეებისთვის იესოს მიმდევრობა ორი ათასი წლის წინ? დღეს რას ნიშნავს იყო იესოს მიმდევარი?* თანდათან, მავანთა დამაბნეველი და კონფლიქტური ხმები ქრებოდა; და დავიწყე მწყემსის ხმის მოსმენა. ღვთის მადლით და ღვთისმოსავი მენტორების რჩევებით დავიწყე იესოს მიმდევრობის სიმშვენიერის და სიმარტივის ხელახლა აღმოჩენა.

გ. ღმერთი ვლინდება იესოს საუბარში/მეტყველებაში.

სახარებებში არის იესოს პორტრეტები/აღწერილობა, რომლებიც დაგვეხმარება იმის აღქმაში, თუ როგორი უნდა იყოს ღმერთი. ერთ პორტრეტში ვხედავთ, რომ იგი ცოდვილებთან ერთად სუფრასთან

[174] ებრ. 1:1-3

[175] გამონათქვამი აღებულია ჯეიმს ბრაიან სმიტის (James Bryan Smith) წიგნიდან, კეთილი და მშვენიერი ღმერთი (The Good and Beautiful God).

არის. სხვა პორტრეტში ვხედავთ, რომ ბედნიერი პატარა ბავშვები კალთაში უძვრებიან ყოველგვარი შიშის გარეშე. სხვა პორტრეტში ვხედავთ, რომ ის ზის გალილეის ქვიშიან სანაპიროზე და თავისი გაწბილებული, დაღლილი მოწაფეებისთვის თევზს ამზადებს. მე ასევე მიყვარს იესოს ბიბლიური პორტრეტი, რომელზეც ასახულია თუ როგორ ასწავლიდა ის ორ მოწაფეს ემასუსის გზაზე. ასევე იესოს მრავალი პორტრეტი არსებობს ვნების კვირის განმავლობაში: მოწაფეების ფეხების დაბანა, პურის გატეხა და ღვინის დასხმა, ბაღში მისი დამხობილი ლოცვა, ბრალმდებლების წინაშე ჩუმად დგომა და საკუთარი ნებით ჯვრაზე გაკვრა. თითოეული ამ პორტრეტიდან მეტყველებს იმაზე, თუ ვინ არის ღმერთი მისი გამომსყიდველი სიყვარულით.

ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილებს, რომლებსაც ოდესმე ვისწავლიდით ღმერთის შესახებ, *ყველაზე ნათლად* შეგვიძლია ვისწავლოთ იესოს საუბრიდან - მისი სწავლებიდან.

- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთს უყვარს ცოდვილები.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთი სულგრძელია/დიდსულოვანია.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთი არ არის სასტიკი, მოუთმენელი, ულმობელი, ან გაბრაზებული მოწაფეებზე, თუ ისინი რაღაცას ისე ვერ აკეთებენ.
- იესო ცხადყოფს, რომ ჭეშმარიტი მოწაფე ისაა, ვინც *ყოველდღიურად* იღებს თავის ჯვარს და მიყვება იესოს.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთს უყვარს თავისი შვილები უპირობოდ.
- იესო ცხადყოფს, რომ ხსნას ვერასოდეს დაიმსახურებ, არამედ მისი მიღება ყოველთვის მხოლოდ წყალობით არის შესაძლებელი უფლისადმი რწმენით.
- იესო ცხადყოფს, რომ ბევრი მათგანი, ვინც ამ ცხოვრებაში უცნობია, ცნობილი იქნება მარადისობაში.
- იესო ცხადყოფს, რომ ღვთის სასუფეველში უდიდესია - ყველას მსახური.
- იესო ცხადყოფს, რომ მადლი ეწინააღმდეგება გადარჩენის დამსახურებას/გამომუშავებას, მაგრამ არა ძალისხმევას.
- იესო ცხადყოფს, რომ ვერასდროს მოვახდენთ ღმერთზე შთაბეჭდილებას ჩვენი კარგი საქმეებით, არამედ მხოლოდ მასზე დამოკიდებულებით.
- იესო გვიცხადებს, რომ ღმერთი არ იწერს, თუ რამდენჯერ გვაპატია და რომ იგი ყოველთვის მზადაა აპატიოს მომნანიებე სულს კიდევ ერთხელ.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთი წმენდს და შეცდომებს უსწორებს, მაგრამ არასოდეს სჯის მის მოყვარულებს.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთს არასოდეს უკვირს ჩვენი ჩავარდნები და წარუმატებლობები.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთი დიდად აფასებს ჩვენს სიყვარულს მისი და ადამიანების მიმართ, იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ჩვენს მსხვერპლს.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთი უშვებ თავის შვილების ტანჯვას და სიკვდილსაც კი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ემსახურება გამოსყიდვის გეგმას.
- იესო ცხადყოფს, რომ ღმერთს იმდენად სძულს ცოდვა, რომ წარმოგზავნა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ის მომკვდარიყო, როგორც ჩვენი ცოდვის თავისზე ამღები.
- იესო ცხადყოფს, რომ სიკვდილს არ აქვს ძალუფლება ღმერთზე!

ეს მხოლოდ რამდენიმე გაკვეთილია, რომელსაც იესო გვიცხადებს, როდესაც მას შევიცნობთ.

- ❖ გადახედეთ ამ თავის დასაწყისში მოცემულ მტკივნეულ მაგალითებს და განიხილეთ, თუ როგორ შეიძლება ის, რაც ახლა ისწავლეთ, დაეხმაროს ადამიანებს, რომლებიც იტანჯებიან ასწორი კონცეფციით ღმერთის შესახებ.

3. **ჯანსაღი შეხედულება ღმერთის შესახებ დამოკიდებულია, როგორ განვიცდიდთ ღმერთს ჩვენში.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გამოცდილება ყოველთვის უნდა შეფასდეს ღვთის სიტყვის მიხედვით, ღმერთს სურს თავად გამოგვიცხადოს საკუთარი თავი ყოველდღიური ცხოვრების ჭრილში.

ბიბლიაში აბრაამმა შეიტყო ღვთის ერთგულების შესახებ, ღმერთთან ერთად რწმენით სიარულისას, როდესაც ის ებრძოდა კონფლიქტებს, შიმშილს და საკუთარ შიშს. იაკობმა შეიტყო ღმერთის განმწმენდი მადლის შესახებ, როდესაც თავისი მატყუარა ბუნების შედეგებს წააწყდა (მისი ძმის ჯარი 400 კაცს შეადგენდა) და ღმერთს დაეჭიდა კურთხევის მისარებად. იოსებმა შეიმეცნა ღმერთის მიმტევებელი სიყვარულის სიღრმე ეგვიპტეში იძულებითი მონობისას. ახალგაზრდა დავითმა გაიაზრა ღვთის ძალა უძლურებაში, როდესაც ის გოლიათისკენ მიდიოდა შურდულით და ხუთი ქვით. მოსემ შეიმეცნა ღვთის დიდება, როდესაც ის მთაზე ეზიარა ღმერთს. იესომ ისწავლა მორჩილება ტანჯვების მეშვეობით. მოწაფეებმა შეიტყვეს ღვთის სიძულვილი ცოდვის მიმართ, როდესაც იესოს ვნებას უყურებდნენ; მათ შეიტყვეს მისი საოცარი მადლისა და ღვთიური ძალის შესახებ, როდესაც დიად დავალებას ასრულებდნენ.

ასევე ჩვენც, ყველაზე მეტად შევიცნობთ ღმერთს, როდესაც მასთან ერთად ყოველდღიურად დავდივართ. ღმერთში მრავალი სიმშვენიერეა, რომელსაც ვერასდროს აღვიქვამთ, სანამ შინაგანი/სულიერი თვალები არ აგვეხილება სირთულეებში გავლით, რთულ, გამოწვევებით სავსე ადგილას მოგზაურობისას მასთან ერთად. ბევრი მტკივნეული ჭეშმარიტებაა ჩვენს შესახებ, რომელსაც ვერასდროს გავიაზრებთ, სანამ არ შეგვხვდება პრობლემა. ნუ იჩქარებთ. ნურასოდეს და კარგავთ იმედს. იესოსთან სიარულისას ყველა ნაბიჯი არის თავგადასავალი, რომლის მიზანიცაა ჩვენი ჩამოყალიბება მის მსგავსებაში.[176] თუ გვაქვს თვალები დასანახად და ყურები სასმენად, მაშინ ყველა გამოცდა, ყველა გაუგებრობა და ყველა გამოცდილება გახდება ჩვენი მასწავლებელი.

ჩვენ ვერასოდეს ჩამოვყალიბდებით სიყვარულის ჭეშმარიტებაში, მხოლოდ ამის შესახებ წაკითხვით, ან მასზე ქადაგების მოსმენით, ან სიყვარულის თემის კონფერენციაზე დასწრებით. წაკითხვით, ცხებული ქადაგებით და კონფერენციების საშუალებით მიღებული ცოდნა მნიშვნელოვანია; მაგრამ გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია.

მე ვიცი, რომ ღმერთი უზენაესია, რადგან ჩვენი ოჯახის ცხოვრების(მოგზაურობის) გზაზე შექმნილ კრიზისულ მომენტში ჩვენ ღრმად გავაცნობიერეთ ეს. ფილიპინებიდან აშშ – ში ხანმოკლე ვიზიტის დროს, ჩვენი ხუთი კვირის შვილს, ჯესის, კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ჩვენ იმ დროს აშშ – ში არ უნდა ვყოფილიყავით ჩამოსული, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესზე ჩვენება უნდა მიმეცა, იმ შემთხვევითი ქუჩის დანაშაულის შესახებ, რომელსაც ერთი წლით ადრე შევესწარი. რომ არ

[176] რომ. 5:3

დავბრუნებულიყავით შეერთებულ შტატებში, ვერ მივირებდით სამედიცინო დახმარებას, რომელიც ჯესის ესაჭიროებოდა. ჩემი მეუღლის მშობლების სახლისკენ მიმავალ მანქანაში ჩვენი გული აღივსო ქებით და ღვთის უზენაესობის ღრმა გათვითცნობიერებით. ის, თუ როგორ დეტალურად გაწერა ღმერთმა ჩვენი ნაბიჯები, ჯესის დაბადების დრო, როგორ „გადაადგილა მთები“ მანილაში არსებულ აშშ-ს საელჩოში და მოგვამზადა ჩვენ იმ მომენტისთვის, ნუგეშზე გაცილებით მეტი იყო.

ვიცი, რომ ღმერთი ფლობს მთელს ძალაუფლებას, რადგან ჩვენ ეს განვიცადეთ. ერთ ღამეს საზღვარგარეთ მსახურების დროს, მე და ჩემს მეუღლეს ორივეს შუა ღამით გაგვეღვიძა, შიშისმომგვრელი სულის ჩვენს ოთახში თანყოფნის შეგრძნებით! სწორედ მაშინ, ჩვენი რვა წლის ვაჟი, ტიმოთე, შემოვიდა ჩვენს ოთახში, ყელზე ხელმიდებული და ტირილნარევი ჩურჩულით თქვა, რომ გრძნობდა, როგორ აღრჩობდა რაღაც. ამან შეგვძრა!

სასოწარკვეთილი მივვარდი ჩემს ბიბლიას, გადავშალე ის 90-ე ფსალმუნზე და დავიწყე კითხვა: უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებული ყოვლისშემძლის(ელ-შადაის) ჩრდილქვეშ ისვენებს...". როდესაც მე დავასრულე ფსალმუნის კითხვა, ღმერთის მშვიდობამ სრულიად გაფანტა სიბნელე და ტიმოთეს მშვიდად ეძინა იატაკზე.

ჩვენ უნდა განვიცადოთ ღმერთი! ჩვენი, ჩვენი შვილების და შვილიშვილების გულისთვის, საკუთარი გამოცდილებით უნდა შევიცნოთ, ვინ არის ღმერთი.

►სთხოვეთ სტუდენტებს გაგიზიარონ, თუ როგორ განიცადეს ღმერთი. თვალყური ადევნეთ, რომ ყოველი ეს გამოცდილება შესაბამისობაში იყოს წმიდა წერილების გამოცხადებასთან.

გაკვეთილის დავალებები შემდეგი შეხვედრისთვის

1. ამ კვირის განმავლობაში 30 წუთი მაინც დაუთმეთ ამ გაკვეთილის განხილვას, თანდართული მუხლების ჩათვლით და სთხოვეთ სულიწმიდამ მოგცეთ ამაზე თავისი გამოცხადება/სწორი აღქმა.
2. ჩაიწერეთ თქვენს დღიურში ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აუცილებელია განახორციელოთ თქვენს ცხოვრებაში და რომლებსაც უფალი გამოგიცხადებთ.
3. ღმერთისთვის გამოყოფილ დროს, ყოველ დღე იფიქრეთ (მედიტაციით დაკავდით) თითო ფსალმუნზე და დღიურში ჩაიწერეთ, თუ რას ამბობს მეფსალმუნე ღმერთის ბუნების და ხასიათის შესახებ.
4. დღიურში ჩაიწერეთ სულიერი ფორმირებისთვის და ზრდისთვის პირადი ლოცვა, რომელიც ამ გაკვეთილის ეყრდნობა.
5. დოქტორი ბრაუნის ყოველდღიური ლოცვის სახელმძღვანელოს პრაქტიკული გამოყენება.

ჩავუღრმავდეთ

ჯ. პეკერის (Packer, J.I.), „ღმერთის ცოდნა“ (*Knowing God*), InterVarsity Press, 1973.

ტესტი 4 გაკვეთილისთვის

1. რა არის სამი გადამწყვეტი პუნქტი, რომ განავითაროთ უფრო ჯანსაღი შეხედულება ღმერთის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია 4 გაკვეთილში?

2. მოკლედ განსაზღვრეთ ღმერთის თვისებები, რომლებიც ჩამოთვლილია გამოსვლის 34:4-11.

3. მოიყვანეთ მუხლები წმიდა წერილებიდან, სადაც ასახულია, რომ იესო არის ღმერთის სრული გამოცხადება.

გაკვეთილი 5

სულიერი ფორმირება თვითშემეცნების მეშვეობით

გაკვეთილი მიმოხილვა

მიმოიხილეთ 4 გაკვეთილის ძირითადი პუნქტები. კითხეთ სტუდენტებს, ვის სურს გაგიზიარონ თავიანთი დაწერილი ლოცვები გაკვეთილი 4-დან. აგრეთვე გადახედეთ სულიერი ფორმირებისთვის საჭირო სამშენებლო ბლოკებს.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეს/სტუდენტს უნდა:

(1) ესმოდეს სასიცოცხლო სულიერი ჭეშმარიტებები, რომლებიც დაგვეხმარება საკუთარი თავის გაცნობაში

(2) სიამაყის მახასიათებლები

(3) შეეძლოს განსაზღვროს გულგატეხილობა და გატეხილ ადამიანთა მახასიათებლები.

(4) შეეძლოთ ამ გაკვეთილის ჭეშმარიტებათა გამოყენება საკუთარ ცხოვრებაში.

ცხოვრებისეული მომენტები

- ერთხელ მზარდი ეკლესიის ახალგაზრდა მოძღვარს/[პასტორს ვკითხე: „რა არის თქვენი უდიდესი გამოწვევა მსახურებაში?“ " ჩემივე თავი!" უყოყმანოდ მიპასუხა მან. მე ვაფასებ მის გულახდილობას.
- ახალგაზრდა ქრისტიანი სწავლობს პასტორულ მსახურებას, მაგრამ ხშირად ხვდება კონფლიქტურ სიტუაციებში თავის თანაკლასელებთან და პროფესორებთანაც კი. აინტერესებს რატომ. რატომ არ შეუძლია იპოვნოს ის შინაგანი სიმშვიდე, რომლისკენაც ილტვის. მხოლოდ ახლახანს დაიწყო იმის აღქმა, რომ მას გულში სიამაყე აქვს - განსაკუთრებით მისი სიჯიუტე და საკუთარი თავზე ორიენტირება. ის საბოლოოდ ათვითცნობიერებს სიმართლო სიმართლეს საკუთარი თავის შესახებ. მას განთავისუფლება სურს ამ ეგოცენტრულობისა და მთელი შინაგანი არეულობისგან, რომელიც მის სულშია და ღმერთს სთხოვს განწმინდოს მისი გული.
- ქრისტიანმა ცოლმა და დედამ გაიაზრა, რომ ღიზიანდება ღმერთის მოწოდებაზე, რომ უარი თქვას კარიერაზე, ოჯახის გამო. შემდეგ კი სიხარულის საიდუმლო იმაში იპოვა, რომ თავისი გეგმები გადაეცა ღმერთისთვის, მისი უფრო მდიდარი და უხვი გეგმების სანაცვლოდ! ღრმა სიხარული, რომელსაც იგი დღეს განიცდის თავისი პატარებისა და ქმრის მოვლაში, აღუწერელია.
- ქრისტიანი წყვილები დაპირისპირდნენ ერთმანეთთან. მათი სიახლოვე კვდებოდა და მათი ქორწინება კრიზში იყო. წმინდა წერილების და ღვთიური რჩევების ძიების საშუალებით მათ

> დაიწყეს საკუთარი თავისებური გულების ბუნების ხილვა,რომელიც იყო ღვთის თვითგამოცხადებული სიყვარულის მშვენიერი ბუნების წინააღმდეგ. როდესაც შეინანეს, ღმერთმა აღადგინა მათი სიყვარული!

ეს ჩანახატები გვახსენებს, რომ თავმდაბალი მორწმუნეები ღებულობენ გარდამქმნელ მადლს. ჩვენ იმ ისტორიულ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ქრისტეს სხეულს უკიდურესად ჭირდება სამართლიანობის აღდგინება. სეერთებულ შტატებში ძალიან ბევრი ე.წ. ქრისტიანი აზროვნებს და ცხოვრობს, როგორც გადარჩენის არმქონე ქვეყნიერება. ბევრი ახალგაზრდა ფარულად ებრძვის და ბრძოლებს აგებს „ხორციელ და თვალთა გულისთქმებთან და ამაო დიდებასთან“ - მათ შორის სექსუალურ ამორალობასთან, მატერიალიზმთან და ქვეყნიერებასთან მისადაგებაში.[177] აფრიკასა და აზიაში აღმოვაჩინეთ ბევრი ე.წ. ქრისტიანი, რომლებიც ურევენ ბიბლიურ ქრისტიანობას წინაპრების თაყვანისცემასა და ანიმიზმურ ცრუ-რწმენებს.[178] ეკლესიები და ოჯახები მთელს მსოფლიოში ძალიან ხშირად ინგრევა კონფლიქტების გამო. ბრალის დიდი ნაწილი, სესაძლოა პასტორებს და მისიონერებს დაეკისროს, რომლებიც ასწავლიან და ცხოვრობენ გარეგნული ღვთისმოსაობით, მაგრამ უარყოფენ მის განმწმენდ, გარდამქმნელ ძალას.[179]

შეგვიძლია ვიყოთ წმიდები, როგორც ღმერთმა მოგვიწოდა, რომ ვიყოთ?[180] შეიძლება გარდავიქმნათ? შეგვიძლია გვიყვარდეს უფალი მთელი გულით, სულით, ძალითა და გონებით და ჩვენი მოყვასი საკუთარი თავივით?[181] შეგვიძლია ვიცხოვროთ იესოს ცხოვრებით? ჩვენ შეგვიძლია, თუკი საკუთარ თავს გავუსწორებთ თვალს.

ძირითადი აზრი.

თვითცნობიერება - საკუთარი თავის შეცნობა - უაღრესად მნიშვნელოვანია ქრისტეს ხატად ჩამოყალიბებაში. საკუთარი თავის ჭეშმარიტად ცოდნა არის იმის ცოდნა, რომ განუწმენდელი „მე“- უდიდესი მტერია.

გაკვეთილი

რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ თავს? დენის კინლოუ წერს: „ყველა ადამიანს უჩნდება ორი კითხვა, რომლებიც განსაზღვრავს არსებობის მიმართულებას. პირველი კითხვა ეხება ღმერთის ბუნებას. ვინ არის ის და როგორია? მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ადამიანს ოდესმე უჩნდება, არის შეკითხვა, ვინ ვართ მე და შენ და როგორები ვართ. თუ

> სიცოცხლე, რომელიც გამოკვლეული არა არის, ცხოვრებად არ ღირს. - პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“

[177] 1 ინ. 2:16

[178] ერთ ქვეყანაში, რომელშიც ვიმყოფებოდი, მთხოვეს ხელდასხმით მელოცა ბანანების სეკვრაზე, რატა ეკლესიაში უნაყოფო ქალბატონებს ეჭამათ ისინი და „მათი მუცლები ნაყოფიერი გამხდარიყო“. მე ვილოცე ქალებისთვის, და არა ბანანებზე! ბევრ ქვეყანაში ხორციელმა თაყვანისცემამ ჩაანაცვლა ღვთისმოსაობა/მოწიწება, სიტყვის ქადაგება და ლოცვა.

[179] 2ტიმთ. 3:5

[180] 1პეტ. 1:15-16

[181] ლუკ. 10:27

ჩვენ ვიცით ღვთის ბუნება და თუ გვესმის საკუთარი ბუნების თავისებურებანი, არსებობს დიდი შანსი, რომ ჩვენ შევძლოთ ვიცხოვროთ აზრიანი და ეფექტური ცხოვრებით მსახურების თვალსაზრისით. "[182]

საკუთარი თავის შეცნობა იწყება იმის სურვილით, რომ საკუთარი თავი ისეთი დავინახოთ, როგორებიც ვართ. მაგრამ საკუთარი თავის შეცნობა, როგორც ღმერთი გვიცნობს, სულიწმიდის გარეშე შეუძლებელია. წმინდა წერილები გვასწავლის: „ცბიერია გული კაცისა, უკუღმართია, ვინ შეიცნობს მას?"[183] იგავებიც ასევე გვაფრთხილებს: „საკუთარი თავის (გულის) მოიმედე ბრიყვია."[184]

> ❖ მოდით ლოცვით დავიწყოთ, რომ ამ გაკვეთილის მსვლელობაში უფალმა შეგვაძლებინოს საკუთარი თავის უკეთესად აღქმა და გაგება. მოდით, ფსალმუნი 139: 23-24 გაგვიძღვეს ამ ლოცვაში.

ამ და შემდეგ გაკვეთილში, ჩვენ შევხედავთ რვა სასიცოცხლო ჭეშმარიტებას, რაც დაგვეხმარება უკეთ შევიცნოთ საკუთარი თავი.

1. სასიცოცხლო ჭეშმარიტება # 1: ხელახლა შობა იწვევს სიამაყის გაცნობიერებას.

ხელახალი სულიერი შობით, ჩვენ გაგვბანეთ და სულიწმინდა შემოვიდა და ცხოვრობს ჩვენში.[185] ჩვენ ქრისტე იესოში ახალი ქმნილებები ვართ - ძველმა განვლო და ახალა ყოველივე ახალია.[186] ჩვენი სურვილები შეიცვალა. მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება ცოდვისადმი. ერთ წუთში, ჩვენ სიბნელიდან სინათლეში გადავედით; ახლა ბიბლია აღგვწერს ჩვენ, როგორც „განწმენდილ წმინდანებს".[187] ჩვენ შეგვიძლია მართლები წარვდგეთ ღვთის წინაშე. თუმცა შეიძლება ჩვენ ისევ „ცუდ ნიშნებს" ვიღებდეთ სულიერად და ვებრძოდეთ წამბორძიკებელ ცოდვას,[188] და მაინც ჩვენ განვიცდით გამარჯვებას განგრძობით ცოდვაზე.[189] თუ ვცოდავთ, ჩვენ ვგრძნობთ მწუხარებას და მხილებას, რომელიც არასოდეს გვქონია გარდაქმნამდე.[190] რეალური ტრანსფორმაცია მოხდა და ხალხი ჩვენ გარშემო ამჩნევს ცვლილებას.

სიფრთხილით მოვეკიდოთ იმ ადამიანს, ვინც მოწმობს გადარჩენის შესახებ, მაგრამ განაგრძობს წინასწარგანზრახული ცოდვის ქმნას.

> ❖ *წაიკითხეთ მათეს 7:21-23. რას ამბობს იესო ისეთ ადამიანზე, ვინც ეძახის იესოს „უფალო, უფალოს," მაგრამ არ ასრულებს მამის ნებას? რას ეტყვის მათ სამსჯავროს დღეს?*

---

[182] დენის კინლოუ, „მალქოზის ყური"(Francis Asbury Press, 2017), 56.
[183] იერ. 17:19
[184] იგავ. 28:26
[185] ტიტ. 3:5-6; რომ. 8:1-2, 9-11
[186] 2კორ. 5:17
[187] 1კორ. 1:2; 2კორ. 1:1; ეფეს. 1:1
[188] ებრ. 12:1
[189] რომ. 6:1
[190] ინ. 16:8

თუმცა ჩვენი გულები განახლდა, ძველი ბუნება ახლა ებრძვის ახალს. ხშირად, ეს შინაგანი ბრძოლები მოულოდნელად ატყდება თავს ახალმოქცეულ მორწმუნეს. მათ ეგონათ, რომ სიხარული და მშვიდობა მათ გულებში ყოველთვის იქნებოდა. ისინი იმედგაცრუებას განიცდიან, რადგან კვლავ ხედავენ თავისში ძველ მიდგომებს და სურვილებს, რომლებიც ახლებს ებრძვიან.

რა არის ეს ძველი ბუნება? როგორ უნდა განვსაზღვროთ ის? ერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე უფრო კარგად განსაზღვრავსცოდვის ბუნებას, არის - *სიამაყე/ამპარტავნება.* „სიამაყე - უდიდესი ცოდვაა, რადგან ის ყველა სხვა ცოდვის მაცოცხლებელი გულია.“[191]

2. **სასიცოცხლო ჭეშმარიტება #2: სიამაყე - მოუდრეკელი ნება - სულიერი ფორმირების უდიდესი მტერია.**

არაფერი უშლის ხელს სიწმინდისკენ სწრაფვას სიამაყეზე - საკუთარი თავის სიყვარულზე უფრო მეტად. სიამაყე არის თავდაპირველი ცოდვის არსი - გადასვლა საკუთარ ნებასა და გზაზე,[192] „[ღვთიურ] კონტროლზე/მმართველობაზე თვითნებური უარი“.[193]

სიამაყე ის ცოდვაა, რამაც ლუციფერი ზეციდან გადმოაგდო[194] ხოლო პირველ კაცს და ქალს ედემის ბაღი დააკარგინა.[195] ისინი გამოეხმაურნენ შეთავაზებას, "თქვენ ღმერთის მსგავსები იქნებით". აკრძალული ხილის მიღებით, ადამმა და ევამ თავიანთი ნება განახორციელეს ღვთის ნება-სურვილის წინააღმდეგ, გააფუფუნეს თავიანთი ხორცი და შემდეგ სცადეს საკუთარი სიშიშვლის დაფარვა.

სიამაყე იყო ბაბილონის ცოდვა, რამაც გამოიწვია ენების არევა და ერების გაფანტვა. ”მოდი თქვეს: "ავიშენოთ ქალაქი... ასე შევიქმნით სახელს...”[196] სიამაყე, რომელიც გამოხატულია საკუთარი ინტერესით, არის ის, რამაც გამოიწვია კონფლიქტი ახალი აღთქმის კრებულებში და ეკლესიების ლიდერებშიც კი, რომლებიც საკუთარი ინტერესების დაცვას უფრო ცდილობდნენ, ვიდრე ქრისტესი.[197] სიამაყე არის დაავადება, რომელიც დაბადებიდან დაგვყვა, სულის კიბო. ღმერთს სძულს ის![198] ის ეწინააღმდეგება მას![199] მას სურს ჩვენი გულის მისგან განწმენდა.

როდესაც აფრიკაში ვიყავი, გავიგე რომ ერთ კაცს ჯიბით ხორცს ატარებდა და თან უკვირდა, რატომ არ ანებებდნენ ძაღლები მას თავს! სიამაყე არის ხორცი ჩვენს სულიერ ჯიბეებში, რომელიც მოიტანს ტკივილს, დამარცხებას და სიკვდილსაც კი. მისგან უნდა განვიწმიდოთ.

ღვთისმეტყველები ზოგჯერ კაცის ცოდვილ ბუნებას მოიხსენიებენ, როგორც ცოდვისკენ „მიდრეკილებას“, ან უფრო კონკრეტულად, საკუთარი თავისკენ მიდრეკილებას - ანუ, რაც, ჩემი

---

[191] პიტერ კრიფტი (Peter Kreeft), „თავმდაბლობა გვჭირდება, რომ მივხვდეთ რამდენად ამაყები ვართ“ (“It Takes Humility to Know How Proud We Are”), მარალი მოწოდება (High Calling), 2017წ.
[192] ეს. 53:6
[193] ალექსანდრ მაკლარენის ციტატა, კომენტარი ესაიას 53
[194] ეს. 14:12-14
[195] დაბ. 3:5
[196] დაბ 11:4
[197] ფლპ. 2:21
[198] იგავ. 6:16-17
[199] იაკ. 4:6

აზრითაა, მართალი და კარგი და რაც *მე* მესიამოვნება! ”გამოსყიდვის მიზანია საკუთარი ეგოცენტრულობის ორიენტაციის გაუქმება - რომ გაცემაზე გადავერთოთ; იმგვარად რომ, არა მხოლოდ საკუთარ თავზე ვზრუნავდეთ, არამედ სხვების კეთილდღეობაზეც. ”[200]

თუ ამაზე მართლაც დაფიქრდებით, მიხვდებით, ჩვენს ცხოვრებაში ყველა ცოდვა და კონფლიქტი სიამაყის ნიადაგიდან აღმოცენდება. გულისთქმა, კრიტიკის სული, უპატიებლობა, სიხარბე და სიჯიუტე, ამ ყველაფრის სათავე სიამაყეშია. ვიდრე სრულად ვეზიარებით სიწმინდეში ცხოვრებას, უნდა დავინახოთ ეს პრობლემა ჩვენს გულებში.

> ►წაიკითხეთ გალატელთა 5:19-21. ჯგუფურად განიხილეთ, თუ როგორ წარმოიშობა ამ მუხლებში მოხსენიებული ხორციელი ცოდვები სიამაყიდან. გსურთ შეაფასოთ საკუთარი გული? თქვენი ურთიერთობები? თქვენ მზად ხართ დაუნდობლად გულწრფელი იყოთ სიამაყის მიმართ, რომელიც ამდენი უბედურების წყაროა?

უდაბნოში სატანა ცდილობდა ეცთუნებინა იესო იმით, რომ მას დაეკმაყოფილებინა თავისი ბუნებრივი სურვილები, თავიაერიდებინა ჯვრისთვის და მიწიერი დიდება ეძებნა. ფაქტობრივად, სატანა აცდუნებდა იესოს, რომ მას თავდაპირველი ცოდვა ჩაედინა - ესიამოვნებინა საკუთარი თავისთვის, საკუთარ თავს გაფრთხილებოდა და საკუთარი თავი აემაღლებინა. მაგრამ იესო კვლავ გულით სუფთა დარჩა!

სიამაყე თავს ავლენს ეგოცენტრულობაში ანუ საკუთარ ინტერესებზე კონცენტრირებაში. ეს ეგოზე მორგებული ინტერესები ხშირად სძლევს ხოლმე ჩვენს საუკეთესო მცდელობებს და განზრახვებს, რომ ვიცხოვროთ თავისუფალი, მშვენიერი, წმიდა ცხოვრებით. ეს ის „მე“ არის, რომელიც ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგება და ღვთის სულს ებრძვის. ეს „ხორციელი“ მე შეიძლება აღიწეროს შემდეგნაირად:

A. **თვით-რეალიზაცია** - პირადი ბედნიერების ძიება ღმერთისგან განცალკევებით.
B. **თვით-დატკბობა -** სიამოვნების ძიება იმის მიუხედავად, თუ რა განადიდებს ღმერთს.
C. **თვით-რეკლამა -** ღვთის დიდებაზე მეტად ადამიანებისგან მიღებული დიდების ძიება.
D. **თვითკმარობა -** ტენდენცია საკუთარ თავს უფრო ვენდოთ, ვიდრე ღმერთს.
E. **საკუთარი თავის სიბრალული -** გრძნობა, რომ ჩვენ უკეთესს ვიმსახურებთ, ვიდრე ვღებულობთ.
F. **თვითგადარჩენა -** იმის ძიება, რაც ჩემი შეხედულებით, უმჯობესია ჩემი ცხოვრებისთვის, იმის ნაცვლად, რომ ღვთის ბრძნულ და მშვენიერ გეგმას მივენდო.
G. **თვითნებობა** - საკუთარი ნების არჩევისა და ღმერთის ძალაუფლების უგულებისყოფისკენ მიდრეკილება.

[200] დენის კინლოუ (Dennis Kinlaw), “ქრისტეს გონება” (“The Mind of Christ”), High Calling, 2017, 1, 9.

> ⁄⁄წაიკითხეთ შემდეგი მუხლები მარკოზის სახარებაში და დაუკვირდით, თუ როგორ წარმოადგენს თვითდაინტერესება (სიამაყე) ცხოვრებაში ყველა ცოდვისა და სისუსტის საფუძველს: მარკოზი 8:33; 9:19; 9:33; 10:14; 10:37; 14: 66-68.

ყველა მორწმუნე უნდა მივიდეს იმ შეგნებამდე, რომ გააცნობიეროს საკუტარი ეგოცენტრიზმი, რომელიც მის გულში, ანუ შინაგანშია. ჯონ ვესლი გვახსენებს ამ რეალობის უარყოფის „საბედისწერო შედეგების“ შესახებ. ამ შინაგანი ბრძოლის იგნორირება "სუსტი მორწმუნეები ართმევს ფარს, აკარგვინებს რწმენას და ამრიგად ტოვებს მათ დაუცველად ქვეყნიერების, ხორცისა და ეშმაკის ყველა თავდასხმის წინაშე."[201]

მოწაფეების მსგავსად, ჩვენც თვალი უნდა გავუსწოროთ საკუთარ თავს. დენის კინლოუ ამბობს: ”ჩვენ შორის საუკეთესო, ყველაზე უარესზე არარაფრით უკეთესი არ არის. უძლიერესი არაფრით აღემატება ყველაზე სუსტს ... ხორცით უკეთესობა არ არის საკმარისი.”[202] სანამ ადამიანი თვლის, რომ ის თვითონ შეძლებს წმინდა ცხოვრებით იცხოვროს, ღმერთი მას ამ ბრძოლის პირისპირ დატოვებს. სანამ ადამიანი უარს იტყვის საკუთარი თავის დანახვაზე, როგორც ღმერთი ხედავს მას, იგი კვლავ გააგრძელებს წარუმატებლობას.

1792 წელს, ახალი პრესვიტრიანელი მისიონერი, სახელად ჯონ ჰეიდი გაემგზავრა გემით ინდოეთში. როდესაც გემზე იმყოფებოდა, მან გახსნა ოჯახის უაღრესად პატივცემული მეგობრის წერილი, რომელშიც ნათქვამია: "მე არ შევწყვეტ ლოცვას შენთვის, ძვირფასო ჯონ, სანამ არ აღივსები სულიწმიდით". ჯონს სიამაყე შეელახა და მისი რეაქცია, იმაზე, რომ იგი სულიწმიდით არ იყო სავსე, სიბრაზე იყო:

ჩემს სიამაყეს შეეხნენ, მე კი ზედმეტად გაბრაზებულად ვიგრძენი თავი, წერილი დავხიე, სალონის კუთხეში მივაგდე და გემბანზე ავედი. წერილის ავტორი მიყვარდა; მე ვიცოდი მისი წმინდა ცხოვრება და გულის სიღრმეში მხილების მოწმობა მქონდა, რომ ის მართალი იყო, ხოლო მე კი არ ვიყავი მისიონერობისთვის შესაფერისი ...

> სასოწარკვეთილმა, უფალს ვთხოვე, რომ ავევსე სულიწმიდით და ამ წუთიდან, როცა ეს მოვიმოქმედე, მთელი ატმოსფერო განიწმიდნა. დავიწყე საკუთარი თავის დანახვა, თუ რა ეგოისტური ამბიცია მქონდა. ეს ბრძოლა გაგრძელდა, თითქმის მთელი მოგზაურობის განმავლობაში, მაგრამ პორტში მიღწევამდე დიდი ხნით ადრე გადაწყვეტილი მქონდა, რომ, რა ფასადაც არ უნდა დამჯდომოდა, სულიწმიდით ნამდვილად აღვივსებოდი.[203]

მას შემდეგ, რაც ინდოეთში ჩავიდა, ჯონი დაესწრო ქუჩის შეკრებას, სადაც მქადაგებელი ხაზს უსვამდა სახარების ძალას, რომ არა მხოლოდ გვეპატიოს ცოდვა, არამედ გავიმარჯვოთ მასზე, ისე რომ მეტად აღარ ვცოდოთ.[204] ჯონი მხილებული დარჩა, რადგან გაიაზრა, რომ თუმცა ასეთივე სახარებას ქადაგებდა, მისი ზალისაგან გაუცხოვებული იყო. მის ცხოვრებაში იყო დამამძიმებელი ცოდვა, რამაც

---

[201] ჯონ ვესლის ქადაგებიდან „ცოდვის შესახებ მორწმუნეებში.“

[202] დენის კინლოუ (Dennis Kinlaw), „მალქოზის ყური“ (Malchus’ Ear), (Francis Asbury Press, 2017), 80

[203] http://www.actsamerica.org/biographies/2011-04-Praying-Hyde.html

[204] 1 იო. 1:9

იგი სულიერად დააბრკოლა. ჯონი თავის ოთახში წავიდა და ლოცულობდა: „ან შენ უნდა მომცე გამარჯვება ჩემს ყველა ცოდვაზე და განსაკუთრებით იმ ცოდვაზე, რომელიც ასე მარტივად მაბრკოლებს; ან უნდა დავბრუნდე ამერიკაში, რომ ვეძიო იქ სხვა სამუშაო. მე არ შემიძლია სახარების ქადაგება, სანამ არ შემეძლება დამოწმება მისი ძალის შესახებ ჩემს ცხოვრებაში."

რწმენის უბრალოებაში მან მიმართა ქრისტეს ხსნის მისარებად. მოგვიანებით ის ამბობდა: „მან ნამდვილად მიხსნა და მას შემდეგ ამაში ეჭვი არ შემპარვია.ახლა შემიძლია წამოვდგე და დავამოწმო ყოველგვარი ორჭოფობის გერეშე, რომ მან მომანიჭა გამარჯვება." ჯონ ჰაიდს მოგვიანებით „მლოცველი ჰაიდი" შეარქვეს მისი გულმხურვალე ლოცვების გამო რათა დაკარგულ სულებს მიწვდომოდა. თავის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, 47 წლის ასაკში, ჯონმა იგრძნო, რომ ღმერთის აშკარა წინამძღოლობით სთხოვა უფალს თითო გადარჩენილი სული დღეში; იმ წლის ბოლოს უფალმა შესძინა ეკლესიას 365 ახალმოქცეული/გადარჩენილი. შემდეგ წელს ჯონმა იგრძნო, რომ ორი გადარჩენილი სული უნდა ეთხოვა დრეში; შემდეგ წელს კი, ოთხი. ის ყოველ თავის თხოვნაზე პასუხს იღებდა. იოანე მიუთითებს ორივეზე გამოღვიძების საიდუმლოსა და შედეგებზე, როდესაც ამბობს: „დღეს რაც გვჭირდება სიწმიდის გამოღვიძებაა."

სიამაყე ყოველთვის აფერხებს ღვთის კეთილგანწყობას, მაგრამ ის აკურთხებს თავმდაბლებს.

3. სასიცოცხლო ჭეშმარიტება #3: ეგოცენტრულობა იბრძვის სულის წინააღმდეგ, რომელიც გარდაგვქმნის ქრისტეს ხატებაში.

მორწმუნის გულში მიმდინარეობს ბრძოლა უზენაესობისთვის. ეს ბრძოლა გალატელებში ასე არის აღწერილი: "აჰა, მე გეუბნებით: იარეთ სულიერად და აღარ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს. ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი - ხორცის საწინააღმდეგო; ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.[205] ჯონ ვესლი ამბობს: "მე არ ვთვლი, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვინც გამართლებულია, ცოდვის მონაა; და მაინც მე ვფიქრობ, რომ ცოდვა [ეგოცენტრულობა] რჩება (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით) ყველა ადამიანში, ვინც გამართლებულია…. უზურპატორი ტახტიდან ჩამოგდებულია. [ცოდვა] რჩება იქ, სადაც იგი ერთ დროს მეფობდა; მაგრამ შებორკილი. [მიუხედავად იმისა, რომ ის იბრძვის] ის მაინც უფრო და უფრო სუსტდება; მაშინ როცა მორწმუნე გადადის ძალიდან ძალაში და გამარჯვებიდან გამარჯვებაში."[206]

ბრძოლა ეგოცენტრულობასა („ხორცი") და სულს შორის ჩვეული გამოცდილებაა ყველა ქრისტიანს შორის. ვესლი აგრძელებს: ყველა ადამიანში, მას შემდეგაც კი, რაც ის გამართლებულია, ორი საპირისპირო პრინციპია…

ამას უწოდა წმინდა პავლემ ხორცი და სული. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეში ჩვილიც კი განწმენდილია, და მაინც ნაწილობრივ. გარკვეულწილად, მათივე რწმენის მიხედვით ისინი სულიერები არიან; მაგრამ ნაწილობრივ ხორციელნიც. შესაბამისად, მორწმუნეებს მუდმივად მოუწოდებენ, რომ ყურადღებით იყვნენ ხორციელობის წინაარმდეგ, ისევე როგორც ქვეყნიერების და

[205] გალ. 5:16-17

[206] ჯონ ვესლი, მისი ქადაგებიდან, „ცოდვის შესახებ მორწმუნეებში."

ეშმაკს მიმართ. ამას ემთხვევა ღვთის შვილთა მუდმივი გამოცდილებაც. მაშინ, როდესაც თავისში აქვთ მოწმობა, ისინი ამავდროულად გრძნობენ, რომ მათი ნება სრულ თანხვედრაში ვერ მოდის ღვთის ნებასთან. მათ იციან, რომ ღმერთში არიან და მაინც, აღმოაჩენენ თავისში, გულს, რომელიც მზად არის გამოეყოს მას, მიდრეკილებას ბოროტისკენ... და ჩამორჩენილობა/განუვითარებლობა ყველაფერში, რაც სიკეთეა... თუმც ჩვენ განახლებულნი ვართ, განწმენდილნი და სუფთანი, იმავე მომენტიდან, როგორც კი ნამდვილად ვიწამეთ ქრისტე, მაინც არ ვართ განახლებულნი, გასუფთავებულნი, განწმენდილნი; არამედ ხორცი, ბოროტი ბუნება, კვლავ რჩება (თუმც დამორჩილებულია) და ებრძვის სულს. უფრო მეტიც, მოდით, მთელი გულმოდგინება გამოვიყენოთ „რწმენის კეთილი ბრძოლით რომ ვიბრძოლოთ“. მოდით, მეტი გულმოდგინებით, „ვიფხიზლოთ და ვილოცოთ“ ჩვენი შინაგანი მტრის წინააღმდეგ. უფრო ფრთხილად მოვიქცეთ საკუთარ თავს მიმართ და „ხელი მოვკიდოთ ღვთის სრულ საჭურველს“, რათა... „შევძლოთ შეწინააღმდეგება ბოროტ დღეს; და ყველაფრის გადამლახველებმა გავძლოთ.“[207]

ა. ეგოიზმს/საკუთარი ინტერესების ძიებას მივყავართ რიგი წარუმატებლობისა და მარცხისკენ.

> ❓წაიკითხეთ გალატელთა 5: 16-24 და განიხილეთ რა ხდება, როდესაც სულიწმიდა და ხორცი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. გსურთ განიხილოთ თუ როგორია ეს ბრძოლა თქვენს ცხოვრებაში?

იესოს ყველა ჭეშმარიტმა მოწაფემ განიცადა ეს შინაგანი ბრძოლა კონტროლისთვის. როდესაც სულიწმიდა გამარჯვებულია და წამყვანი ხდება, ჩემს ცხოვრებაში სულიერი ნაყოფი წარმოიქმნება: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება. მაგრამ თუ სიამაყეს უფლება მიეცემა შეასრულოს თავისი ნება, თუნდაც ერთი წუთით, ამას გარკვეულწილად მარცხი მოყვება: ”სექსუალური უზნეობა/ სიძვა, უწმიდურება და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, ჯადოქრობა, მტრობა, ჩხუბი, ეჭვიანობა, რისხვა, შუღლი (მეტოქეობა), უთანხმოება, განხეთქილება, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი.” იმის გამო, რომ ქრისტიანს მიცემული აქვს ახალი ბუნება და მის შინაგანში დაფუძნებული სულიწმიდა მუდმივად იბრძვის ეგოდან მომდინარე გულისთქმების/ცოდვების წინააღმდეგ, ისინი ვერასოდეს შეძლებენ დომინირებას ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრებაში;[208] მაგრამ ვიდრე მორწმუნე ისწავლის ცხოვრებას სულიწმიდის სრული კონტროლის ქვეშ, იქნება წამიერი მარცხებიც.

იმ ქრისტიანებმაც კი, რომლებიც სულიწმიდის სრული კონტროლის ქვეშ ცხოვრობენ, შეიძლება ნებისმიერ დროს აღმოაჩინონ, რომ მათში არსებობს სიამაყის ის არეები, რომლებიც აუცილებელია მისი ცხოვრების მანძილზე როდესღაც გამოაშკარავდეს. არასოდეს დამავიწყდება, თუ როგორ ვებრძოდი ჩემს თავს მისიონერობისას. არსებობდა გარკვეული პრობლემები და ვერც კი შევამჩნიე, როგირ დავიწყე მათზე რეაგირება არაქრისტიანული გზით. მახსოვს, რამდენად გამიჭირდა ჩემი პრობლემის აღიარება. უფალი გულში დამელაპარაკა და მითხრა: „შვილო, შენ გაბრაზებული ადამიანი ხარ“. "უფალო, არ ვარ გაბრაზებული", გავიფიქრე მე. ”მე მისიონერი ვარ, რომელმაც

[207] Ibid.

[208] 1 იო. 2:3-4; 3:7-9

ყველაფერი მიატოვა, რომ შენ გამოგყოლოდა ამ ქვეყანაში.” უფალმა ისევ დაილაპარაკა ჩემს გულში და თქვა: "კარგი, მაშინ შენ გაბრაზებული მისიონერი ხარ!" თავისმართლების მაგივრად, ამ დამამდაბლებელი ჭეშმარიტების მიღება, ჩემი ცხოვრებისეული გზის/“მოგზაურობის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვან/საკვანძო მომენტად იქცა.

ბ. ეგოცენტრულობა/საკუთარი ინტერესების ძიება კონფლიქტის წყაროა.

მომეცით ასი მქადაგებელი, რომლებსაც ცოდვის გარდა არაფრის ეშინიათ და ღმერთის გარდა სხვა არაფერი სურთ და აღარ დავეძებ სასულიერო პირები არიან ისინი თუ ერისკაცები. მარტო ასეთები შეარყევენ ჯოჯოხეთის კარიბჭეებს და შექმნიან დედამიწაზე ცათა სასუფეველს.

ჯონ ვესლი

 ❖წაიკითხეთ იაკობის 4: 1-8. რა იყო შინაგანი არეულობისა და კონფლიქტის მიზეზი იმ მორწმუნეებს შორის, რომლებსაც იაკობი წერს? რატომ არ იღებდნენ ისინი პასუხებს ლოცვებზე? რატომ უწოდებს იაკობი ამ ქრისტიანებს "მრუშებს?”

სანამ ხორცსა და სულს შორის ბრძოლა არ გადაწყდება, ჩვენ ქორწინებაში მყოფი ადამიანებივით ვართ, რომლებიც ჯერ ისევ რომანტიკულ აზრებს ატარებენ გულში თავისი ყოფილი მეწყვილეს მიმართ. ჩვენ აღარ გვაქვს ფიზიკური ურთიერთობა, მაგრამ ჩვენი გრძნობები ჯვარცმული არ არის, სანამ ერთ მეუღლეს არ მივუძღვენით თავს და ვუერთგულებთ მას. როგორც ზემოთ მოცემულ ბიბლიურ მაგალითში ჩანს, ვფიქრობ, აშკარად დაინახავთ, რომ გულში არეულობის და ეკლესიაში კონფლიქტის ძირითადი მიზეზი მისი წევრების გულებში სიამაყის არსებობაა. სიამაყის გამო, ღმერთი მათ წინააღმდეგობას უწევდა. ”ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება”.[209]

ეს საერთო ბრძოლა და პრობლემები, რომლებსაც ის წარმოქმნის, კარგად ილუსტრირებულია შემდეგ მოთხრობაში. ფილიპინების ეკლესიების დიდი ჯგუფის ისტორიაში, რომელშიც მე ვმსახურობდი, ეს თითქმის დაუჯერებელი ამბავიც მოხვდა: ეროვნული ეკლესიის ლიდერებმა წარგზავნეს პასტორი კონკრეტული ეკლესიის სამწყემსად. ამასთან, წინა მოძღვარმა უარი თქვა მისი საცხოვრებლის დატოვებაზე, რადგან ეკლესიის წევრთა ნაწილს სურდა, რომ ის დარჩენილიყო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდნენ ახალი და „ძველი“ პასტორი ერთ შენობაში და ერთიდაიმავე მრევლს უქადაგებდნენ. ახალი პასტორი იყო "ოფიციალური" პასტორი, მოწოდებული, არჩეული, დანიშნული და მხარდაჭერილი ეროვნული ლიდერების მიერ. ძველი პასტორი თანამდებობას ინარჩუნებდა რამდენიმე წევრის თანაგრძნობითა და სიჯიუტით. შეიძლება წარმოიდგინოთ, რა დაბნეულობა გამოიწვია ამან! ასე ვერ გაგრძელდებოდა. ვის უნდა ექადაგა? ვისთვის მიემართათ რჩევებისთვის? ვისი ავტორიტეტს უნდა გაჰყოლოდა მრევლი/ეკლესია - ძველი მოძღვრის თუ ახლის? ეკლესიას უნდა არჩევანი გაეკეთებინა. ან შეინარჩუნებდნენ ძველ პასტორს და დაკარგავდნენ ეროვნული ეკლესიის კურთხევებსა და სიკეთეებს, ან მოიპოვებდნენ ნაციონალურ

[209] იაკ.4:6

ლიდერების კურთხევას მათი ძალაუფლებისადმი მორჩილებით. საბედნიეროდ, მათ გადაწყვიტეს დაქვემდებარებოდნენ ეროვნული ლიდერებს და ამ ეკლესიამ დიდი საქმეები გააკეთა ღმერთისთვის.

ძველ და ახალ კაცს შორის კონფლიქტი არის გამოცდილება, რომელიც ყველა მორწმუნემ იცის. „ძველი კაცი“ სიკვდილს დაექვემდებარა, თუმცა ის ყველა გზებით ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები, გამოიყენოს კონტროლი და შეინარჩუნოს გავლენა. მას ძალაუფლება არ აქვს, მაგრამ ცდილობს, რომ დაგარწმუნოს, რომ აქვს. ახალი კაცი გამოსყიდულია ქრისტეს სისხლით. ახალი კაცი მის მიერ იქნა მოწოდებული, არჩეული და შექმნილი სიმართლესა და სიწმინდეში. ახალი კაცი დაიბეჭდა სულიწმიდით და ახლა ღვთის სამყოფელი ადგილი გახდა. ღმერთი არ დაისვენებს მანამ, სანამ ძველი კაცი თქვენი გულის ტახტიდან არ განიდევნება.

სანამ ძველ კაცს დარჩენის უფლება ეძლევა, მანამ სანამ გამოკვებავთ მას, სანამ თქვენ დაჟინებით თხოვთ, რომ დაიკავოს ის კუთხეც, რომელსაც იკავებს, ის მოგიტანთ არეულობას, შინაგან კონფლიქტს და განადგურებას. ის უნდა მოკვდეს. თუ ჩვენ შევიცოდებთ დამივცემთ მას თუნდაც ყველაზე მცირე სივრცეს, იქიდან ის ომს დაიწყებს სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის, მოთმინებისა და სიწმიდის სულის წინააღმდეგ.

კითხვები, რომლებსაც ყველა თაობის სერიოზულმა მორწმუნემ უნდა უპასუხოს, შემდეგია: არის პირადი ინტერესების წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლის ცხოვრება ის საუკეთესო ცხოვრება, რისი იმედიც შეიძლება მქონდეს? ანდა, ღმერთმა მოგვცა საშუალება, რომ საკუთარი გული განგვეწმინდა, რათა **ღვთის ნება და სიყვარული ღვთისადმი უზენაესი იყოს**? შესაძლებელია, რომ მიყვარდეს ღმერთი მთელი ჩემი გულით, გონებითა და ძალით და მიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი? შევძლებ ღმერთთან და ადამიანთან ერთად სიარულს ისე, რომ მე არაფერი გავაკეთო ეგოისტური პატივმოყვარეობით ან განზრახვითით, არამედ საკუთარ თავზე მეტად სხვა შევრაცხო და ყოველთვის დავაყენო სხვების ინტერესები ჩემსაზე მაღლა?[210]

> ►ახლა ყველას გთხოვთ, რომ იყოთ ძალიან გულწრფელები თავიანთ თავთან და გააკეთოთ საკუთარი შეფასება. რამდენიმე წუთით დაფიქრდით და ჩუმად დაუსვით საკუთარ თავს ეს კითხვა: რა არის _____ ნამდვილი მიზეზი? სთხოვეთ სულიწმიდას, დაგეხმაროთ საკუთარი თავის დანახვაში. შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი კითხვები, როგორც სახელმძღვანელო:

ადვილად ვნაწყენდები? უკმაყოფილო ვარ, როცა ჩემზე მეტად სხვები წინაურდებიან? ბავშვებს ეშინიათ ჩემთან მოახლოვების? ზედმეტად მგრძნობიარე ვარ კრიტიკის მიმართ? ეშინია ხალხს თავიანთი მოსაზრების გაზიარება ჩემი თანდასწრებით? თავს სხვებთან შედარებით მორალურად ან სულიერად აღმატებულად ვგრძნობ? ვუსმენ ხალხს, თუ მე ვსაუბრიობ უმეტესწილად? ხომ არ ვამჯობინებ ხმა ავიმაღლო ჩემი აზრის გამოსახატად, ნაცვლად იმისა, რომ უფრო ყურადღებით და მოწიწებით ჩავუფიქრდე? ვთავაზობ ადამიანებს გადაწყვეტილებებს და მოსაზრებებს წინსწრებით, ვიდრე ყველა ფაქტის მოვისმენ მათგან? ვიყენებ სხვების შეცდომებს იმისთვის, რომ თავი უკეთესად

[210] ფილიპ. 2:3-4

წარმოვიჩინო? ვცდილობ, კამათში მოვიგო ფრაზით: ”ღმერთმა მითხრა”? (ამით თავს მორალურ და სულიერ უპირატესობას ანიჭებთ.) ვმსჯელეობ სხვებზე მათი გარეგნობის მიხედვით? ჩემთვის ვინახავ საუკეთესო და უფრო დიდ ნაჭერს? გულში ვთვლი, რომ მე სხვებთან შედარებით უკეთესი ვარ?

4. სასიცოცხლო ჭეშმარიტება #4: ხელახლა შობის შემდეგ, საკუთარი თავისთვის სიკვდილი არის შემდეგი ნაბიჯი, რათა განიცადოთ სიცოცხლე ღმერთის სისრულეში და სიწმინდეში.

იესომ თქვა, რომ ვისაც სურს მისი მოწაფე იყოს, მთლიანად უნდა უარყოს საკუთარი ინტერესები, ყოველდღიურად აიღოს თავისი ჯვარი და გაჰყვეს მას.[211] ჯვარი არ ყოფილა ლამაზი გაპრიალებული სიმბოლო, რომელსაც ქრისტიანები ზოგჯერ კისერზე ატარებენ დღევანდელობაში, არამედ - რომაული სიკვდილის იარაღი. როდესაც ბოროტმოქმედს ჯვარზე გააკრავდნენ. არ არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ ის ცოცხალი ჩამოსულიყო. კრიმინალი ჩამოკიდული იქნებოდა, სანამ სრულად არ დაიცლებოდა სისხლისგან და სუნთქვას არ შეწყვეტდა. როდესაც იესო ართქმას უდებს ყველა მოწაფეს, რომ ყოველდღიურად აიღონ ჯვარი, ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ ჩვენი ძველი ამაყი, ავხორცი, ჯიუტი მეობა საბოლოოდ უნდა მივალურსმოთ ქრისტეს ჯვარს, რათა ჩვენმა ახალმა, გამოსყიდულმა ‘’მე’-მ’ იცხოვროს იესოს ცხოვრებით. საკუთარი თავისთვის სიკვდილი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ძველი ნება, ჩვენი გეგმები, წინანდელი ზრუნვა სახელის მოსახვეჭად, ჩვენი ძველი აზროვნება, ძველი სიამოვნებისკენ სწრაფვა, ჩვენი ძველი ხორციელი სურვილები ქრისტეს ჯვარზეა გაკრული. ახლა, ჩვენ სრულად მას ვეკუთვით და მისთვის ვცხოვრობთ!

- ერთად წაიკითხეთ მათ. 16:24.

საკუთარი თავის სიკვდილის გზა არის სიუხვეში ცხოვრების გზა![212] ალბათ, არავინ, ვინც ქრისტესთან მოდის ცოდვების მიტევების მისაღებად, ბოლომდე ვერ წვდება, თუ რამდენად სრულყოფილად ემხრობა ღმერთი ჩვენს სიკვდილს! მრავალი დიდი მამაკაცი და ქალი მთელი ეკლესიის ისტორიაში მიხვდნენ ამ ჭეშმარიტებას:

- მარტინ ლუთერი: „ღმერთი არაფრისგან ქმნის. მაშასადამე, სანამ ადამიანი არაფერია, ღმერთს არაფერი შეუძლია შექმნას მისგან. ”
- ჩარლზ ჰედონ სპერჯენი: ”ახლა ყველა ჩემს ლოცვას თავი მოვუყარე ერთში და ეს ერთი ლოცვა არის: მოვკვდე საკუთარი ტავისთვის და ვიცხოვრო მთლიანად მისთვის”.
- რიჩარდ ბაქსტერი: ”ეგოიზმი ყველაზე ვერაგი მტერია .... ყველა დანარჩენი მანკიერებიდან ყველაზე ძნელი გასარჩევია და ყველაზე რთულად განკურნებადი”.
- დიტრიხ ბონჰოფერი: "როდესაც ქრისტე ეძახის/მოუწოდებს ადამიანს, მას სთავაზობს, რომ მოვიდეს და მოკვდეს".

ჯ. ი. პეკერი: „იესო ქრისტე მოითხოვს საკუთარ თავზე უარის თქმას, ანუ თვითუარყოფას - როგორც მოწაფეობის აუცილებელ პირობას. საკუთარი თავის უარყოფა არის მოწოდება, რომ

[211] მათ.16:24
[212] იოან. 12:24

> დავემორჩილოთ ღმერთს, როგორც მამას, და იესო ქრისტეს, როგორც უფალს .... იმ ყველაფრისთვის სიკვდილის მიღება, რისი ფლობაც ხორციელ "მე" -ს სურს - სწორედ ის არის, რისკენაც ქრისტე მოგვიწოდებს და რასაც გულისხმობს საკუთარი თავის უარყოფაში.“

ჯორჯ მიულერს, რომელიც ცნობილი იყო დიდი რწმენითა და მსახურებით, მეცხრამეტე საუკუნის ინგლისის ათასობით ობოლთათვის, ჰკითხეს უფლისთვის ნაყოფიერი მსახურების საიდუმლოების შესახებ. ”იყო დღე, როდესაც მე მოვკვდი, სრულიად მოვკვდი”, - უპასუხა მან. ლაპარაკის დროს ის უფრო და უფრო ქვემოთ იხრებოდა, სანამ ის თითქმის იატაკს არ შეეხო. ”მე ჯორჯ მიულერისთვის მოვკვდი - მისი შეხედულებებისთვის, მისი პრეფერენციებისთვის, მისი გემოვნებისთვის და ნებისთვის - მოვკვდი მოწონებისა თუ გაკიცხვისთვის ჩემი ძმების და მეგობრების მხრიდანაც კი - და მას შემდეგ, მე ვსწავლობდი, რომ საკუთარი თავი წარმომეჩინა მხოლოდ ღმერთისთვის მოსაწონად”.[213]

სხვა ბიბლიური ტერმინები, რომლებიც საკუთარი თავისთვის სიკვდილს ნიშნავს, არის: " სული მოდრეკილი" და "შემუსვრილი"[214] (მონანული, მგლოვიარე, მოჩილი).

A. მცდარი შეხედულებები სულმოდრეკილის/გულგატეხილის შესახებ[215]

1) გულგატეხილი/სულმოდრეკილი ყოველთვის სევდიანი და პირქუშია: ჩვენ ზოგჯერ სულმოდრეკილი ადამიანები წარმოვიდგენია, რომ ისინი არასდროს იღიმებიან და არ იცინიან. სინამდვილეში, ბიბლიური სულმოდრეკილობა წარმოქმნის თავისუფლებას, სიხარულისა და მშვიდობის ღრმა გრძნობას.

2) სულმოდრეკილს საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა აქვს: ”მე არ ვარ კარგი! მე არარაობა ვარ! ” აქ ცრუ თავმდაბლობა შეიძლება იყოს.

3) სულმოდრეკილი ძალიან ემოციურია: ”სამწუხაროდ, უამრავმა ხალხმა დაღვარა აუარება ცრემლები, მაგრამ ნამდვილი გულის მოდრეკის მომენტი არასდროს განუცდია.”

4) სულმოდრეკილმა ტრაგიკული გარემოებების გამო ღრმა ჭრილობა განიცდა: შეიძლება ადამიანმა მრავალი ტკივილი განიცადოს და კვლავაც ძალიან ამპარტავანი იყოს.

B. სულმოდრეკილობა, იგივე გულგატეხილობა, როგორც ამას ბიბლია განსაზღვრავს.

1) სულმოდრეკილი/გულგატეხილი: „გულგატეხილობა ჩემი ცოდვილი „მე“-ს აბსოლუტური შერყევაა - ღმერთისადმი ჩემი ნების სრული დაქვემდებარება. ის ეუბნება: „დიახ, უფალო!“ - არანაირი წინააღმდეგობა, არც დაპირისპირება, არანაირი სიჯიუტე - უბრალოდ დავემორჩილე მის მმართველობას და ნებას ჩემი ცხოვრებისთვის."[216]

---

[213] http://www.thetransformedsoul.com/additional-studies/spiritual-life-studies/dying-to-self.
[214] ფს.50:17
[215] Nancy Leigh DeMoss, Brokenness, Surrender, Holiness (Moody Publishers, 2008), 43-45.
[216] Ibid, 44

2) შემუსვრილი/მგლოვიარე, მონანული: ეს სიტყვა გულისხმობს რაღაცასს, რაც წვრილ ნაწილაკებად არის დანაწევრებული, გახეხილი ან ფხვნილის სახით დაფქვილი, როგორც დაფშხვნილი კლდის მოფრქვევა.

”რისი მოფრქვევა სურს ღმერთს ჩვენში? მას არ სურს ჩვენი სულის დამსხვრევა ისევე როგორც ჩვენი არსი და პიროვნულობა. მას სურს დაამსხვრიოს ჩვენი ცოდვილი მეობა.”[217] ისევე როგორც კოვბოი, რომელსაც სურს ცხენის გახედნა, და არა მისი დაზარალება ან დასახიჩრება, რათა მისი ბრძანებბების მიმართ მორჩილი გახადოს. ”ჭეშმარიტი შემუსვრა არის ჩემი ცოდვილი „მე“-ს გატეხვა ისე, რომ უფალი იესოს სიცოცხლე და სული გამონთავისუფლდეს ჩემში და ჩემგან ... საკუთარ თავზე დაიმედებისა და ღმერთისგან დამოუკიდებლობის მოცილება ... ჩემი გულის ნიადაგის დარბილება ... გულწრფელობა ღვთის წინაშე ... თავმდაბლობა სხვების წინაშე."[218]

C. სულმოდრეკილი ადამიანების დახასიათება

საიდან ვიცით, რომ ჩვენ გვაქვს „მოდრელიკილი და შემუსვრული გული“? შემდეგი მახასიათებლები მხოლოდ იესოში გვხვდება სრულყოფილად, მაგრამ ისინი სულ უფრო და უფრო მეტად გამოვლინდება სულით სავსე ქრისტიანებში: მორჩილი/გულმოდრეკილი ადამიანების თვისებები:

1) სწავლისადმი მისწრაფებული სული.

2) სხვების მიმართ დამთმობი.

3) ადამიანებზე მეტად ღმერთის მოშიშია.

4) აქვს მორჩილი სული.

5) კულტურასა და ტრადიციებზე მეტად, ღმერთის აზრს ითვალისწინებს.

6) არ ცდილობს საკუთარ თავის წამოწევას და დაწინაურებას საუკეთესო პოზიციაზე და არ ეშინია ყველაზე არაპრესტიჟული ადგილის.

7) გულწრფელად იღებს პატივს სიამაყის გარეშე.
8) აღიარებენ თავიანთ ხარვეზებს და არ გრძნობენ თავიანთი იმიჯის/სახელის დაცვის აუცილებლობას.

9) ემორჩილება ღმერთს მცირედში.

10) გადაწყვეტილების მიღებისას უფალს ელოდება.

11) რწმენით დადის და არა ხილვით.

12) სიწმინდისკენ უფრო მიილტვის, ვიდრე ბედნიერებისკენ.

---

[217] Ibid, 44
[218] Ibid, 44

►როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა, თუ მეტი ჩვენგანი მოუკვდებოდა საკუთარ თავს? შეაფასეთ საკუთარი თავი ზემოთ მოყვანილი სიით. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლებოდა თქვენს სახლში? ეკლესიაში? მსახურებაში? დაუთმეთ დრო ყველას, ვისაც ჯგუფის წინაშე სურს საკუტარი აზრის გამოხატვა.

5. სასიცოცხლო ჭეშმარიტება #5: საკუთარი თავისთვის სიკვდილი, რომელიც წმიდა ცხოვრებისკენ მიგვიძღვის, მოითხოვს ბოლომდე/სრულყოფილ მინდობას და მორჩილებას.

სიკვდილი, რომლისკენაც იესო მოგვიწოდებს, არ მოხდება ჩვენი მიზანმიმართული, გადაწყვეტილი მორჩილების გარეშე. ჩვენ მაგ მდგომარეობაში თავისტავად ვერ გადავალთ, თუმცა სრული მინდობა ღმერთზე, ალბათ, ბევრი ჩვენგანისთვის ბრძოლის პერიოდის გარეშე ვერ მოხდება. რამდენად ჭკვიანია სატანა. მან უამრავი მორწმუნე დაარწმუნა, რომ ნორმალური ქრისტიანული ცხოვრება ღვთის ნების საწინააღმდეგო ბრძოლაა და რომ ისინი არ უნდა ელოდონ გადამწყვეტ გამარჯვებას. ბრძოლა ჩვეული რამაა, მაგრამ არაა ნორმალური. იესოს ცხოვრება, რომელიც რწმენით მოქმედებს ჩვენში, ნორმალური ქრისტიანული ცხოვრებაა.

როგორც ადამიანური, ისე სულიერი ომის ისტორია ცხადყოფს, რომ ყოველ წარმატებულ ომში არსებობს სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებსაც გადამწყვეტ მომენტამდე მივყავართ. ბრძოლის ველზე გადამწყვეტი გამარჯვებების გარეშე, რესურსები იფლანგება და სიცოცხლეები იკარგება. ოჰ, როგორ სჭირდება მორწმუნეთა ამ თაობას გარკვეული გადამწყვეტი გამარჯვებები!

A. იესო, კაცი, გადამწყვეტი გამარჯვების მაგალითი გახდა.

გეთსიმანიის ბაღში, იესო იბრძოდა, რომ ჯვარი აეღეო; მაგრამ ბაღის დატოვებამდე, მისი გული მთლიანად დაემორჩილა მამის ნებას.[219] იესო არის ღმერთის „ნორმალური“ სტანდარტი.

ბაღში იესომ განიცადა ძალიან რეალური ბრძოლა ღვთის ნებასთან. მას არ გააჩნდა ცოდვილი ბუნება, მაგრამ მორჩილების მოთხოვნები მძიმე ტვირთად დააწვა მის ადამიანურ ბუნებას.

- მამა მიუძღვებოდა იესოს სრული მორჩილების გადამწყვეტი მომენტისკენ, სადაც ერთადერთი გზა იყო საკუთარი ნების ღვთის სუვერენული ნებისთვის დამორჩილება.
- გამარჯვების მომენტი დადგა, როდესაც იესო ლოცულობდა, ”მაგრამ არა ჩემი ნება, არამედ შენი შესრულდება”.
- სრული მინდობის მომენტიდან იესო წამოდგა, რომ მადლითა და სიმამაცით პირისპირ დამდგარიყო და თვალი გაესწორებინა მარტოობისთვის, ღალატისთვის, უსამართლობისთვის, დამცირებისთვის და სიკვდილისთვის. დამორჩილების/სრული მინდობის მომენტიდან იესომ განიცადა ღვთიური ძალა.

როგორც იესოს უძღვებოდა მამა თავისი ნებისადმი სრული მორჩილების გადამწყვეტ მომენტისკენ, ასევე იესოც გაგვიძღვება თითოეულ ჩვენგანს სრული მორჩილების გადამწყვეტი მომენტისკენ. ღმერთი მოვა თითოეულ ჩვენთაგანთან და გვეტყვის: "შვილო, აი, საით მინდა წარმართო შენი

[219] ლუკ. 22:42

ცხოვრება." გადამწყვეტი არჩევანი - მოკვდე ქრისტესთან ერთად, მიგიყვანს სულიერი სიუხვის ცხოვრებამდე.

სამყაროს დაარსებიდან იესო იყო ღვთის კრავი, შეწირული ცოდვის გამო. ერთი გაგებით, გამოსყიდვის საქმე უკვე შესრულებული იყო ღვთის გონებაში; და გამარჯვება უკვე გარანტირებული იყო. და მაინც, გამოსყიდვის გეგმა არ იყო ავტომატური, არამედ დროულად უნდა არსულებულიყო. ასეა ჩვენთან მიმართებაშიც. წმინდა წერილები თანმიმდევრული და ნათელია, რომ ღმერთი მოუწოდებს ყოველ მორწმუნეს, რომელიც მან გამოისყიდა-"წარუდგინეთ თქვენი (გამოსყიდული) სხეულები ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად, ანუ თქვენი გონივრული მსახურება."[220]

B. აბრაამი: ღმერთზე ბოლომდე მინდობის მაგალითი

ერთ დღეს, ღმერთმა სთხოვა აბრაამს და ახალგაზრდა ისააკს, რომ მასტან ერთად სასეირნოდ წასულიყვნენ - და ეს გასეირნება მათ მიიყვანდა, მორიას მთამდე, ქრისტეს სიკვდილის და აბრაამის ღმერთისადმი სრულად მინდობის მთამდე. ეს იყო აბრაამის ღმერთთან ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი მომენტი და მისი ცხოვრების უდიდესი გამოცდა.[221] ღმერთი აბრაამთან ამ ყველაფრის დასაწყისიდანვე გულახდილი და მკაფიო იყო: ”ახლა აიყვანე შენი ძე, შენი ერთადერთი ვაჟი ისააკი, რომელიც შენ გიყვარს და წადი მორაიას მიწაზე და იქ შემომწირე, როგორც ყოვლადდასაწველი მსხვერპლი ერთერთ მთაზე, რომელზეც გეტყვი”.[222] აბრაამი არ შეწინააღმდეგებია. რთული სამდღიანი მოგზაურობის შემდეგ, თავსი სიყვარული მან სამსხვერპლოზე მიაბა და მასზე დანა აღმართა... და მოკვდა აბრაამისთვის, ანუ საკუთარ თავს მოუკვდა.

საბოლოოდ, ღმერთმა არ ინდომა აბრაამის მსხვერპლი - ისააკი - არამედ ისააკის დათმობა სურდა.[223] ღმერთმა გამოუგზავნა სრულყოფილი, სრულფასოვანი მსხვერპლი (იესო), ისაკის „ნაცვლად“; ხოლო თავმდაბლური მორჩილებით/ ღმერთზე მინდობით, აბრაამი ამ მსხვერპლთშეწირვის მონაწილე გახდა. ღმერთს არ ჭირდებოდა მსხვერპლის შეწირვა. საუკუნეების შემდეგ, მეფე დავითი, გულის გაწმენდის სურვილით აღსავსე, ლოცულობდა: „რადგან მსხვერპლი არა გსურს, რომ შემოგწირო და სრულადდასაწველს არ ინებებ. შესაწირი ღმერთისა - სული

მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ, ღმერთო.”[224] მართლაც, ვერაფერს შევწირავთ ან გავუკეტებთ ღმერთს ისეთს, რითიც შეგვიძლია გადავფაროთ ღვთის წინაშე ვინ ვართ და რა გვიკეთებია. ჩვენ ვერ წავშლით დანაშაულს და ლაქებს ჩვენი გულებიდან. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ამის გაკეთება. ყველაფერი რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, ესაა მივიდეთ ღმერთთან მოწიწებით/გულმოდრეკით და მორჩილებით მიოიღვოთ უფლის მადლი და კურთხევა.

---

[220] რომ. 12:1
[221] დაბად. 22:1
[222] დაბად. 22:2
[223] დაბად. 22:12
[224] ფს. 50:18-19

და ისევ, ღმერთმა არ ისურვა ისაკის მოკვლა; მას სურდა, რომ აბრაამს დაეთმო იგი, უარი ეთქვა კონტროლზე და მიეტოვებინა ნებისმიერი სიყვარული, რომელიც ღმერთისადმი სიყვარულს ეპაექრებოდა. ”(ღმერთმა) უთხრა: "ნუ აღმართავ ხელს ამ ყრმაზე, ნურაფერს დაუშავებ, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ და არ დაზოგე ძე, შენი ერთადერთი, ჩემთვის!”[225] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბიჭი კი არა, სენ მჭირდები, აბრაამ! უბრალოდ მინდოდა მცოდნოდა, რომ შენ სრულად მეკუთვნი, ჩემი ხარ და ეგ შენთვის უძვირფასესი სიცოცხლეც ჩემი საკუთრებაა“. პირდაპირი გაგებით, როდესაც აბრაამმა ღვთის მორჩილებით დანა აღმართა ბიჭზე, აბრაამი იყო, ის, ვინც მოკვდა და არა ისაკი. აბრაამი მოკვდა საკუთარი უფლებისთვის დაუფლებოდა თავის შვილს, აღთქმის ძე. ეს იყო ღმერთის მთელი განზრახვა.

ანალოგიურად, ღმერთი გვაძლევს მარადიულ სიცოცხლეს მასში რწმენით; და შემდეგ ის გვთხოვს, რომ მას ეს სიცოცხლე შევწიროთ და უკან მივუტანოთ ცოცხალ მსხვერპლად - რომ აღვმართოთ დანა და ვთქვათ: ”უფალო, ეს სიცოცხლე არ არის ჩემი, არამედ შენია! მოიმოქმედე ჩემზე და ჩემში, რაც გსურს, თუნდაც ეს ადამიანური თვალსაზრისით უგუნურება იყოს! მე წავალ იქ, სადაც შენ გსურს, რომ წავიდე, გავაკეთებ იმას, რაც გსურს, რომ გავაკეთო., ვიტყვი იმას, რაც გსურს, რომ ვთქვა და გავხდები ის, რაც შენ გსურს, რომ ვიყო.’’ ეს რთულია მხოლოდ ჩვენი ბუნებრივი ცხოვრების იმ ეგოისტური ნაწილის გამო, რომელიც ეპოტინება, ეჭიდება და სურს კონტროლი შეინარჩუნოს. ეს ის ბუნების ნაწილია, რომელსაც იესო ჯვარზე გაუსწორდა. ეს არის ჩვენი ბუნების ის ნაწილი, რომელიც მან უნდა განწმინდოს, რათა აგვავსოს თავისი სულით და მოგვანიჭოს თავისი ზეციური სამეფოს სრული კურთხევა.

ღმერთი გვთხოვს მხოლოდ იმის მოკვდინებას, რაც ჩვენს შიგნით ეწინააღმდეგება მის სუვერენულ კონტროლს და მის აბსოლუტურ ძალაუფლებას, ჩვენს იმ ნაწილს - ხორცს - რომელიც მას ებრძვის და ხელს კრავს მის გამოწვდილ ხელებს. ეს არის ჩვენი ბუნების ის ნაწილი, რომლის გამოსყიდვა შეუძლებელია და არასდროს დაექვემდებარება ღვთის ძალაუფლებას.

ღმერთს ურჩევნია თავისი დიდებისთვის გამოიყენოს ის ნიჭები და კურთხევები, რომლებიც მოგვცა, ვიდრე წაგვართვას ისინი. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ნაწილი დარჩება სამსხვერპლოზე ქრისტესთან, და რომელი ნაწილი არა , სანამ ჩვენ ჩვენს ყველაფერს არ შევწირავთ ღმერთს. ჩვენ აღვმართავთ სრული მორჩილების/მინდობის დანას. მხოლოდ ის ირჩევს რამ იცოცხლოს და რა მოკვდეს. აი ამას ნიშნავს ცოცხალი მსხვერპლი.

განგიცდიათ სრული მორჩილება(დანებება)/მინდობა? თქვენს ცხოვრებაში, რომელი სიყვარულისთვის სიკვდილი გთხოვათ ღმერთმა?

[225] დაბ. 22:12

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირის მანძილზე დაუთმეთ მინიმუმ ოცდაათი წუთი ამ გაკვეთილის გადახევას, ბიბლიური მუხლების ჩათვლით, სთხოვეთ სულიწმიდას განმარტება.

2. თქვენს დღიურში ჩაწერეთ ნებისმიერი კონკრეტული ცვლილება, რომელიც უნდა განხორციელდეს თქვენს ცხოვრებაში, რადგან უფალმა გაგიმახვილათ მათზე ყურადღება.

3. მინიმუმ ერთ ფსალმუნზე ფიქრში გაატარეთ დრო ყოველდღიურად, ღმერთისთვის დათმობილ და განსაზღვრული დროს და თქვენს დრიურში ჩაწერეთ, თუ რას ამბობს ფსალმუნის ავტორი ღვთის ბუნების და ხასიათის სესახებ.

4. ჩაწერეთ თქვენს დღიურში პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისა და ზრდისთვის ამ გაკვეთილის საფუძველზე.

5. ეცადეთ გამოიყენოთ დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვების სახელმძღვანელო თქვენი ყოველდღიური პირადი ლოცვის დროს.

ჩავულრმავდეთ

დემოსი, ნენსი ლი (DeMoss, Nancy Leigh). *Brokenness, Surrender, Holiness*. ჩიკაგო, IL: Moody Publishers, 2008 წ.

ჰესი, როი (Hession, Roy). *The Calvary Road*. Fort Washington, PA: Christian Literature Crusade, 1993.

ტესტი 5 გაკვეთილისთვის

1. დაასახელეთ ამ გაკვეთილში მოყვანილი ხუთი ჭეშმარიტება, რომელიც მნიშვნელოვანია საკუთარი თავის შესაცნობად.

2. მოიყვანეთ ამ გაკვეთილში ხსენებული ცოდვილი „მე“-ს ოთხი გამოვლინება.

3. რომელია ამ გაკვეთილში აღწერილი სულმოდრეკილი ადამიანის 12 დამახასიათებელი თვისებებიდან ექვსი?

4. საკუთარი სიტყვებით განმარტეთ, როგორ არის იესო სრული მორჩილების მაგალითი.

გაკვეთილი 6

სულიერი ფორმირება თვითშემეცნების მეშვეობით

გაკვეთილი მიმოხილვა

დაასახელეთ ექვსი სასიცოცხლო მნიშვნელობის ჭეშმარიტება განვლილი კვირის გაკვეთილიდან. ჰკითხეთ სტუდენტებს, ვის სურს გაზიაროს პირადი ლოცვები 5 გაკვეთილზე დაყრდნობით. ასევე, გადახედეთ სულიერი აღმშენებლობისთვის საჭირო „სამშენებლო ბლოკებს“.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:

(1) ესმოდეს სასიცოცხლო ჭეშმარიტებები საკუტარი ტავის შესაცნობად.
(2) ესმოდეს როგორი მადლით აღსავსე შედეგი მოაქვს ბიბლიურ სულმოდრეკილობას.
(3) შეეძლოს საუბარი იმაზე, თუ როგორ შეუძლია იესოს სიცოცხლეს გამოვლინდეს გულდამსხვრეულსა და სულმოდრეკილ ადამიანში
(4) იცოდეს, როგორ განავითაროს თავისში ქრისტეს მსგავსება, მისი ბუნება.

ცხოვრებისეული მომენტები

❖ ჩემს სიმამრს მშვენიერი ბრედფორდის ჯიშის მსხლის ხე აქვს თავის ეზოში. მშვენიერი ხეა… ოდნავ დახრილი შტამბით/მერქნით. მახსოვს, რომ მისი დარგვის შემდეგ მალევე, 15 წლის წინ, მე და ჩემი ოჯახი მათ სტუმრად ვეწვიეთ. პირველი რაც შევამჩნიე ის იყო, რომ ვინც ის დარგო, ყურადღებიანი არ იყო, რადგან ხე ოდნავ გვერძე იყო გადახრილი. გავიფიქრე, სწორი იქნებოდა, თუ ფესვების გარშემო შემოვუბარავდით და ხეს გავასწორებდით, მაგრამ არანაირი ძალისხმევისთვის არ მიმიმართავს. მიუხედავად იმისა, რომ ხე ნერგიდან გადაიზარდა საკმაოდ დიდ ხეში, ის კვლავ ისევეა გადახრილი, როგორც დარგეს. დროს არ გამოუსწორებია. წლების მანძილზე, მზეს, ქარს და წვიაის არ გამოუწვევია ის, რომ ის სწორად გაზრდილიყო. როდესაც ხე იზრდება და ტოტები უფართოვდება, წონის დისბალანსმა შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიოს ლამაზი ბრედფორდის ხის ვარდნა. შეიძლება არც გამოიწვიოს. შესაძლოა, ის მუდმივად დარჩეს ხედ, რომელიც ოდნავ გადახრილია.

ადამიანები, ხეების მსგავსად, ხშირად იზრდებიან ისე, როგორც ისინი დარგეს. ჩვენი არასწორი ადგილები შეიძლება გასწორდეს და ჩვენი უხეში არეალები შერბილდეს. სწორედ ამას აკეთებს მადლი! ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე შინაგანი სიფაქიზის, მოწაფეობრივი სულის და ღვთის სიტყვისადმი მოკრძალებული/თავმდაბლური მორჩილების განვითარება/კულტივაცია. უარყოფითისკენ მიდრეკილი ადამიანების, ისევე, როგორც გადახრილი ხეების გამოსწორება უფრო რთულია, რადგან მათ საშუალება მისცეს ცხოვრებას, რომ სხვა და სხვა სიტუაციებს მათი გულის ნიადაგი გაეუხეშებინა და გაემაგრებინა.

ბოლო გაკვეთილში, ჩვენ დავიწყეთ სწავლება იმის შესახებ, რომ სულიწმიდით სავსე პიროვნებები რომ გავხდეთ, როგორადაც ღმერთმა მოგვიწოდა, საჭიროა დარწმუნებულები ვიყოთ რვა სასიცოცხლო ჭეშმარიტებაში. ამ გაკვეთილში ჩვენ სწორედ ამ ჭეშმარიტებებს დავეყრდნობით.

ძირითადი აზრი.

თვითშემეცნება - ცოდნა საკუთარი თავის შესახებ - უმნიშვნელოვანესია სულიერი ფორმირებისთვის ქრისტეს მსგავსად. საკუთარი თავის ჭეშმარიტად შეცნობა ნიშნავს იმის ცოდნას, რომ განუწმენდელი "მე“ არის ყველაზე დიდი მტერი.

გაკვეთილი

6. სასიცოცხლო ჭეშმარიტება #6: ეს საკუთარი ინტერესებისთვის სიკვდილი, რომელსაც მივყავართ ქრისტეს მსგავსებაში ფორმირებისკენ, მხოლოდ მადლითაა შესაძლებელი რწმენის საშუალებით.

ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, სიკვდილი საკუთარი თავისთვის მადლის საქმეა. ხშირად ქრისტიანები ცდილობენ გამართლდნენ თავიანთი ცოდვილი ბუნების მოკვდინებით. მაგრამ არ შეგვიძლია ცოდვილი ბუნების გავანადგურება საკუთარი ძალებით. არც წმიდა, აღდგინებული ცხოვრებით შეგვიძლია ცხოვრება საკუთარი ნებით. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ამის განხორციელება ჩვენში. ჩვენი დისციპლინა და ნებისყოფა საკმარისთან ახლოსაც არ არის, რომ ჩვენში სიამაყე დაამარცხოს, მთელი თავისი ეგოცენტრული გამოვლინებებით.[226] ცოდვილი მეობა, როგორც გიგანტური ხის ფესვები შემოევლება გარშემო, ყველა გადაწყვეტილებას, ყველა კარგ საქმეს, ყველა მოქმედებას, ყველა მსხვერპლს და ჩვენს ცხოვრებაში ყველა ურთიერთობას, მხოლოდ მადლს შეუძლია მისი მარწუხების დამსხვრევა. სად შეიძლება ამ მადლის პოვნა?

A. მადლი გვხვდება ჯვრის და აღდგომის ძალაში, რწმენით მიღებული.

მხოლოდ ჯვარს შეუძლია დაამსხვრიოს საკუთარ ინტერესებზე კონცენტრირება, ანუ ეგოცენტრულობა. ეს არის ახალი აღთქმის თანმიმდევრული გზავნილი. კვლავ გადახედეთ გალატელთა 5:24. აქ პავლე საუბრობს ჯვარზე და მის მნიშვნელოვან ნაწილზე გამარჯვებული, სულით სავსე ცხოვრებაზე, როდესაც ამბობს: „ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად.” (აქცენტი დამატებულია). სიტყვები "ჯვარს აცვეს" მიუთითებს ჯვარზე.

მანამდე გალატელთა მიმართ მიწერილ წერილში პავლე მოწმობდა, რომ ჯვარზე გათვალისწინებულ იქნა ეგოისტურ ბუნებაზე გამარჯვება და რომ ამჟამად ის ამ რეალობაში ცხოვრობდა: „ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული! მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ სხეულში ვცხოვრობ, რწმენით ვცოცხლობ, ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის.”[227] როგორც ჩანს, აქ წინააღმდეგობაა. როგორ შეიძლება ადამიანი იყოს ერთდროულად მკვდარი და ცოცხალი?

---

[226] კოლ. 2:23

[227] გალ.2:20-21

?იმსჯელეთ: რა გაგებით შეიძლება იყოს ადამიანი სულიერად მკვდარი და ამავე დროს სულიერად ცოცხალი? რამდენად მნიშვნელოვანია რწმენა ამ მუხლის მიხედვით?

როდესაც პავლემ თქვა: „მე ჯვარცმული ვარ“, ის უბრალოდ ამბობდა, რომ ძველი სულიერად მკვდარი - ძველი ამაყი, ეგოცენტრული პავლე - გაეკრა ჯვარზე, მასთან გაიგივებით. „მე“, რომელიც სიცოცხლეში აღდგა და ახლა ცხოვრობს, არის აღდგინებული, გამარჯვებული „მე“, რომელშიც იესოს სიცოცხლე და მეფობა უზენაესია. ეს არის სულიწმიდის კონტროლის ქვეშ მყოფი ცხოვრება. ეს ის ცხოვრებაა, რომელშიც საკუთარი ინტერესები უგულვებელყოფილია და პირველ ადგილზე ქრისტეს ინტერესებია. პავლეს მოწმობა ცხადყოფს, რომ იესოს სიკვდილთან და აღდგომასთან რწმენით გაიგივება არის არა მხოლოდ ცოდვების მიტევების, არამედ საკუთარი ცოდვილი „მე“-ს სიკვდილის გასაღები.[228]

მრავალი ქრისტიანი ცხოვრობს დამარცხებული ცხოვრებით, რადგან ისინი საკუთარ თავში ცდილობენ მტერი დაამარცხონ, რომელიც მხოლოდ ჯვარზე მარცხდება. ისინი ყოველთვის ეძებენ თავის შიგნით, მაგრამ იშვიათად უყურებენ იესოს. ნამდვილი ამბავი მოგვითხრობს იაპონელ ჯარისკაცზე ჰირუ ონოდაზე, რომელიც დარჩა ფილიპინების კუნძულ ლუბანგში 1974 წლამდე, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ოცდაცხრა წლის შემდეგ,

რადგან არ გაუგია ახალი ამბები იმის შესახებ, რომ იაპონია დანებდა.[229] ამ მრავალი წლის განმავლობაში ბატონი ონოდა მონაწილეობდა შეტაკებებში ფილიპინების ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლებმაც ოცდაათი ადამიანი იმსხვერპლა! ხალხი ცდილობდა ის დაერწმუნებინა, რომ ომი დასრულდა, მაგრამ ის ვერავინ დაარწმუნა, სანამ მისი ყოფილი მეთაური მის სანახავად არ მოვიდა და არ წარუდგინა ოფიციალური ბრძანება.

ზუსტად ჰირუ ონოდას მსგავსად, ბევრი მორწმუნე აწარმოებს წაგებულ ბრძოლებს ხორცთან, რადგან მათ გულებამდე არ მისულა უწყება იმის შესახებ, რომ ძველი სიამაყით სავსე, ეგოცენტრული „მე“ დამარცხდა ჯვარზე.

A. მადლის პოვნა შეიძლება იქ, სადაც იესო მკვიდრობს, მის თანდასწრებაში.

გალატ. 2:20-21, პავლე განმარტავს, რომ ქრისტესთან ერთად ჯვარცმა, ღმერთისმიერ ჩვენი ცოდვის და სიკვდილის ტყვეობიდან გამოხსნის მხოლოდ ნაწილია. ქრისტესთან ერთად ჯვარცმა გვამზადებს ქრისტეს სისრულისთვის, იმ ერთადერთის, ვინც სრულყოფილად თავმდაბალი და თავდაუზოგავი სიყვარულია: „ქრისტე ცოცხლობს ჩემში... რომელმაც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის.“ პავლე აღწერს საკუთარ ცხოვრებას: ახლა „ქრისტე ცოცხლობს ჩემში“. ეს არის წმიდა ცხოვრების საიდუმლო! დენის კინლოუ ამბობს: „ქრისტეს მსგავსებაში გადასვლა მადლის საქმეა. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ქრისტე ჩვენში ცხოვრობს და არა მაშინ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ და ვიბრძვით, რომ მას დავემსგავსოთ.“[230]

---

[228] გალ. 6:14-15

[229] http://www.bbc.com/news/world-asia-25772192

[230] დენის კინლოუ (Dennis Kinlaw), „ქრისტეს გონება“ (“The Mind of Christ), High Calling, 2017, 1, 9.

სამწუხაროს დრეს ბევრნი ვერ განიცდიან იესოს სიცოცხლეს ტავისში, რადგან ისინი არ ცხოვრობენ იმის შემეცნებით, რომ ის მუდმივად მკვიდრობს ჩვენში. ბევრნიც არ ანვითარებენ სათანადიო დონეზე მასთან ურთიერთობას ან მის ძალაში ცხოვრებას.

- ►იოანეს 15 თავში, რაც იესომ თქვა, არის ნაყოფიერი ცხოვრების „საიდუმლო“? იმსჯელეთ, თუ რას ნიშნავს ქრისტეში დარჩენა.

B. მადლი არის სულიწმიდის მუდმივ თანდასწრებაში

ცოდვილი მეობისგან დაცლა ადგილს უქმნის სულიწმიდის სრულ დამკვიდრებას და კონტროლს. ეს იგულისხმება ეფესელთა 5:18 -ში: "ნუ დათვრებით (კონტროლის ქვეშ) ღვინით... არამედ აღივსენით სულით." იესო სულიწმიდის მეშვეობით ცხოვრობს ჩვენში, მაგრამ სრულფასოვანი მოქმედება ჩვენში მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა ჩვენ ვკვდებით საკუთარი თავისთვის”.[231] გალატელთა 5 თავის და ახალი აღთქმის მრავალი სხვა მუხლის თანახმად, უფლის მუდმივი თანდასწრება არის გამარჯვებული, ქრისტეს მსგავსებაში ცხოვრების გასაღები. ყურადღება მიაქციეთ, როგორ ამბობს პავლე: ”მაგრამ სულის ნაყოფი არის სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მოთმინება”.[232] აქ საქმე იმაშია, რომ სულიერი ნაყოფი არის მისი (სულის) ნაყოფი და არა ჩემი! მე და თქვენ ის თესლი ვართ, რომელიც მიწაში ჩავარდნილი კვდება;[233] მაგრამ, როგორც კი ჩვენ ვკვდებით ჩვენი თავისთვის და ვაგრძელებთ კვდომას, ის არის ის, ვინც სიცოცხლეს გვაძლევს, ვინც ჩვენს ზრდას და ნაყოფიერებას უზრუნველყოფს. ზოგჯერ ეს გვავიწყდება და ვიღლებით მცდელობით, რომ კარგები ვიყოთ! მაგრამ მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩამოგვაყალიბოს ისეთად, რომ მისთვის მისაღებნი გავხდეთ.

ჩვენი უკეთესობისკენ ცვლილებებისთვის, ღვთის მიერ გამოყენებული მეთოდები, ხშირად მტკივნეულია. ისევე როგორც მინარევები ოქროში - სიამაყე და მისი ყველა გამოვლინება, გამყარებულია ჩემს ბუნებაში; მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია მისი განწმენდა. როგორ აკეთებს ის ამას? იოანე ნათლისმცემელმა გამოაცხადა, რომ იესო "თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით მოგნათლავთ".[234] მორწმუნის გული, ოქროს მსგავსად, ვერ განიწმინდება

გარედან, რადგან ჭუჭყი მის შიგნით არის, შერეულია ღვთის სიმართლესთან. ის უნდა დადნეს და განიწმინდოს სულიწმინდის ცეცხლით.

პეტრეს მოწმობის თანახმად, ეს არის განწმენდა, რომელიც მოწაფეებმა განიცადეს სულთმოფენობის დღეს: „გულთამხილველმა ღმერთმა მათაც დაუმოწმა სულიწმიდის მიცემით, როგორც ჩვენ. განსხვავება არ არის ჩვენსა და მათ შორის, რადგან რწმენით განწმიდა მათი გულები.”[235] მოდით, ვიხაროთ იმით, რომ სულიწმინდა მუდმივად ჩვენში მკვიდრობს და რომელიც განუწყვეტლივ წმენდს ჩვენს გულებს.

---

[231] ინ. 14:16
[232] გალ. 5:22
[233] ინ. 12:24
[234] მათ. 3:11
[235] საქ. 15:8-9

7. სასიცოცხლო ჭეშმარიტება #7: ჩვენში უფალ იესოს ცხოვრება საკუთარი თავისთვის კვდომის ნაყოფია.

საკუთარი თავისთვის სიკვდილი დასასრული კი არა, ქრისტეზე მინდობის ცხოვრების დასაწყისი. თესლის მიწაში ჩავარდნის მიზეზი ის კი არ არის, რომ ის უბრალოდ უნდა მოკვდეს, არამედ რომ ისეთი ცხოვრებით იცხოვროს, რომელზეც ვერც კი იოცნებებდა!

ქრისტიანული ცხოვრება ის ცხოვრებაა, რომელშიც იესოს ხასიათი სულ უფრო და უფრო კაშკაშა ხდება. აი რას ნიშნავს წმინდა. სიწმინდის ნებისმიერი აღიარება ან სიწმინდეზე სწავლება, რომელიც არ შეესაბამება მის ცხოვრებას და სწავლებას, არ არის ჭეშმარიტი სიწმინდე. "ერთადერთი გზა, რომლითაც სამყარო გაიცნობს ქრისტეს, მხოლოდ ჩვენი მეშვეობით. ამიტომ ჩვენს ცხოვრებასა და მას შორის, ვისი წარმომადგენლენიც ჩვენ ვართ, უნდა იყოს შესაბამისობა."[236]

- სიწმინდე არ არის ძალა.
- სიწმინდე არ არის განცალკევება სამყაროსგან.
- სიწმინდე არ აკეთებს სწორ საქმეს.
- სიწმინდე არ არის სულიერი ნიჭი.

ეს ყოველივე სიწმინდის ნაყოფებია, მაგრამ ჭეშმარიტი სიმართლე არის იესოს ცხოვრება. საკუთარი თავისთვის სიკვდილის შედეგი ყოველთვის იქნება იესოს ცხოვრება, რომელიც გამოჩნდება ჩვენში და ჩვენგან. აქ მხოლოდ იესოს ცხოვრების რამდენიმე მახასიათებელია, რომელი ვითარდება ჩვენს შიგნით:

A. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, იქნება მზარდი დიდსულოვნების, თავგანწირვის, მსხვერპლიანი სიყვარულის ცხოვრება.[237]

B. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, სულ უფრო მეტად აღივსება (გაკონტროლდება) და განმტკიცდება/გაძლიერდება სულიწმიდის მიერ.[238]

C. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, უფრო განიწმინდება: გახდება კეთილმოსურნე, ფაქიზი, სათნო, მოწყალე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო.[239]

D. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, იქნება გაღრმავებული სულიერი აღქმის ცხოვრება.[240]

E. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, იქნება სულ უფრო და უფრო მშვიდი, წყნარი და თავისუფალი შიშისგან და შფოთვისგან.[241]

---

[236] კინლოუ, 9
[237] იაკ. 1:27; 1 ინ. 3:16
[238] ეფეს. 5:18; საქ. 2:4; 4:31
[239] იაკ. 3:16-17
[240] მათ. 5:8
[241] ფს. 36:37; ეს. 26:3; მათ 11:28-30

F. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, მოზიარეობის სიცოცხლე იქნება.[242]

G. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, იქნება მზარდი გამარჯვებების ცხოვრება, რომელიც სულ უფრო და უფრო ავიწროვებს ცოდვას.[243]~~243~~

H. იესოს სიცოცხლე, რომელიც ვლინდება გულით სუფთაში, მზარდი მორჩილებითა და თავმდაბლობით აღინიშნება.[244]

რომ შექმნილიყო სიტუაცია, რომელშიც აუცილებლად ბიბლიის ერთი გვერდი უნდა შემერჩია, წმიდა ცხოვრების შესასწავლად, ვფიქრობ, რომ ჩემი არჩევანი ფილიპელთა მიმართ მე-2 ეპისტოლე იქნებოდა. ეს მართლაც ბიბლიის ერთ – ერთი გამოცხადებებით ყველაზე მდიდარი თავია იმ აზროვნების შესახებ, რომელიც უნდა გვქონდეს და რომლითაც უნდა ვიცხოვროთ.

> ❓ფილიპელთა მე-2 ეპისტოლედან, შეადგინეთ იესოს თავგანწირული სიწმინდის თვისებების ჩამონათვალი. გაუზიარეთ ეს ჩამონათვალი თქვენს ჯგუფს.

ის, ვინც საკუთარი თავის ინტერესით არის დაკავებული, გარეგნობისა და რეპუტაციის მონაა და ვერ შეძლებს ემსახუროს თავის მოყვასს თავმდაბლობით.

დოქტორი დენის კინლოუ მოგვითხრობს ამბავს სამუელ ბრენგელის შესახებ, რომელიც გახდა ძლიერი მახარებელი და ხსნის არმიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერი:

> სამუელ ბრენგელის ბოსტონის უნივერსიტეტში, დამამთავრებელ კურსზე სწავლის პერიოდში, შესთავაზეს მდიდარი მრევლის პასტორობა ქალაქ საუთ-ბენდში, ინდიანას შტატში. მას საშუალება ჰქონდა დაეწყო თავისი მსახურება სოციალური ნუსხის ზედა საფეხურიდან. მაგრამ, მან იგრძნო, რომ ღმერთი მოუწოდებდა მას ხსნის ჯარში გაწევრიანებისკენ, ამიტომ მან გადალახა ატლანტიკის ოკეანე და თავი წარუდგინა გენერალ უილიამ ბუთს (მსახურების დამფუძნებელი).
>
> ”ჩვენ არ გვინდა თქვენ რომ აქ იმუშაოთ. თქვენ საშიში ხართ, ”- თქვა ბუთმა. ”საშიში? რას გულისხმობთ?" იკითხა ბრენგელმა. ”თქვენ ძალიან განათლებული ხართ. თქვენ არ მოისურვებთ აქ მომსახურე ოფიცრების მორჩილებას, სადაც ყოფილი ლოთები და მეძავები არიან შტაბის ხელმძღვანელები.” ”გთხოვთ, მომეცით შანსი,” - თქვა ბრენგლმა. ასე რომ, ბრენგლმა ლონდონის ცენტრალური ხსნის არმიის კორპუსში ფეხსაცმლის გამპრიალებლად დაიწყო მუშაობა. ბრენგლმა, ნახევრად წყალში ჩაძირულ ჭუჭყიან დაუმთავრებელ სარდაფში, დაიწყო ტალახის ჩამოწმენდა ახალმოქცეული ქუჩის მაწანწალების ჩექმებისგან, რომლებიც ახლა არმიაში ჯარისკაცები გახდნენ.
>
> ერთ დღეს მას ჩაესმა შინაგანი ხმა, რომელიც ამბობდა: ”სულელი ხარ!” "რას გულისხმობ?" იკითხა ბრენგლმა. "გახსოვს კაცი, რომელმაც თავისი ტალანტი მიწაში ჩამარხა?" თქვა

---

[242] 1იან. 1:6-7
[243] ებრ. 12:1
[244] ფლპ. 2

შინაგანმა ხმამ. ”გაიხსენე ყველა ის ტრენინგი, რაც გაიარე, ეს ყველაფერი უბრალოდ გადაყრილი აღმოჩნდა.” ბრენგლი დეპრესიაში ჩავარდა და ლოცვა დაიწყო: „უფალო, იმედი გაგიცრუე? იქნებ ვერ შევიცანი შენი ნება და წინამძღოლობა?” უფალმა უპასუხა: "დაიმახსოვრე, სემ, მე მათი ფეხები დავბანე!" ეს ტალახიანი სარდაფი სამოთხის წინაკარად იქცა. ბრენგლმა იგრძნო უფლის იმედისმომცემი თანდასწრება. იმ დღიდან მოყოლებული, მან

იცოდა, რომ მოწოდებული იყო საკუთარი ცხოვრება სხვებისთვის სამსახურში გაეტარებინა. მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია ამგვარი თავგანწირული აზროვნების განვითარება.”[245]

ფრთხილად იყავით სიწმინდის ნებისმიერი იდეასთან, რომელიც არ შეესაბამება უფალი იესოს თავმდაბალ ცხოვრებას.

8. სასიცოცხლო ჭეშმარიტება #8: ქრისტეს მსგავსების თანმიმდევრული, ნაყოფიერი ცხოვრება, სადაც ცოდვილი მეობა მკვდარია და ქრისტე აკონტროლებს, მოითხოვს განვითარებისა და განსწავლის პროცესს, მთელი ცხოვრების მანძილზე.

გულის განწმენდა არ არის ჩვენი გზის დასასრული. ჩვენ იმ მფრინავებივით ვართ, რომლებიც ასაფრენ ბილიკზე ასწორებენ თვითმფრინავს, მაგრამ უთვალავი რაღაცის შესწორება მოგვიწევს თვითმფრინავის დაფრენამდე.

ქრისტიანის სულიერი სიკვდილი საკუთარი თავისთვის, ცოცხალი სიკვდილია - მუდმივი კვდომაა.[246] ჩვენი მსხვერპლი არის ცოცხალი მსხვერპლი - მუდმივი მსხვერპლშეწირვა. სიტყვათა შეთანხმება, როგორიცაა „სიკვდილი საკუთარი თავისთვის“, მხოლოდ იმისთვისაა განკუთვნილი, რომ შევიმეცნოთ სულიერი რეალობა, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ გავუხვიოთ ღვთის სიტყვას. სუფთა გული არ არის ჩვენი სიწმინდის საბოლოო ეტაპი. სუფთა გული და ღმერთისთვის გადაცემული ნება, უკეთესად მოგვამზადებს მოგზაურობისთვის, ჩვენ ხომ წინ მთელი ცხოვრება გვაქვს მთის მწვერვალების მისაღწევად!

სულიწმიდით სავსე სიცოცხლე არის ზრდის და პროგრესირებადი განწმენდის სიცოცხლე. ღვთის სულის მიერ ჩვენ გარდავიქმნებით ‘’დიდებიდან დიდებაში".[247] ქვემოთ მოცემულია პრაქტიკული რჩევები მათთვის, ვისაც სიწმინდის გაღრმავება სურს.[248]

---

[245] კინლოუ, 9
[246] ლუკ. 9:23
[247] 2კორ. 3:18
[248] 1კორ. 6:11

A. სიწმინდის განვითარება

შემდეგ სტატიაში ჩემი მეგობარი, დოქტორი ფილ ბრაუნი გთავაზობთ რამდენიმე ძალიან სასარგებლო ბიბლიურ რჩევებს სიწმინდის შესახებ:

ექვსი ნაბიჯი სიწმინდის გზის გასაგრძელებლად
დოქტორი ფილ ბრაუნი

ებრ. 12:14 მოგვიწოდებს: „ეცადეთ... სიწმიდე იქონიოთ!“ სიწმინდე, რომელსაც უნდა გამუდმებით მივყვეთ, არის ღვთის სიწმინდე, რომელიც შესანიშნავად ჩანს იესოში, რომელიც განრიდებული იყო ყოველგვარ ცოდვას, უცოდველი, სუფთა და მართალი.[249]

პირველ რიგში, ჩვენ სიწმინდისკენ მივილტვით - ყოველგვარი ტვირთის ჩამოშორებით.[250] მარათონის მორბენალები ყოველ გრამს იშორებენ, რომელიც მათ სვლას ანელებს. თუ არსებობს რამე, რაც ხელს უშლის თქვენს სწრაფვას სიწმინდისაკენ, ის უნდა ჩამოიშოროთ! სოციალური მედია, ფული, მუსიკა, სიამაყე, ურთიერთობები - არ აქვს მნიშვნელობა რა არის ეს. თუ ის აფერხებს თქვენს წინსვლას სიწმინდეში, მისი მოშორების დროა. ჩამოიშორეთ ყოველგვარი ტვირთი თქვენს სვლაში სიწმინდისკენ?

მეორე, ჩვენ სიწმინდისკენ მივილტვით, როდესაც ჩამოვიშორებთ დამაბრკოლებელ/შემბოჭველ ცოდვას.[251] ტვირთი არ არის ერთადერთი, რაც უნდა ჩამოვიშოროთ. ადვილად შემბოჭველი ცოდვაც უნდა მოშორდეს. რა არის ეს ცოდვა? ეს ის ცოდვაა, რომელიც ყველაზე ადვილად გიპყრობთ/რომლის მსხვერპლიც ყველაზე ადვილად ხდებით. ყველა მორწმუნე ადვილად ებმება ეგოცენტრულობის ცოდვის ხაფანგში, რაც ჩვენი დამღუპველი ბუნების უპირველესი გამოვლინება. ჩვენ ვიშორებთ ამ ცოდვის პრინციპს ქრისტესთან მისვლით, რათა განვიწმინდოთ მისი სულიწმიდის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი გული რწმენით გაწმენდილია, იარსებებს ცოდვები, რომლებსაც ადვილად შეუძლია თქვენი შებოჭვა/დაპყრობა. ჩვენ ამ ცოდვებს ვიშორებთ, თუ ყველაფერს ვაკეთებთ წმინდა წერილის თანახმად, ცოდვისგან თავის დასაცავად: გამოიყენეთ მადლი;[252] არ შეუწყოთ ხელი ხორცს თავისი გულისთქმების შესრულებაში;[253] გაექეცით ცდუნებას და მათთან იქონიეთ მოზიარეობა, ვინც მიჰყვება სიმართლეს, რწმენას, სიყვარულს, მშვიდობას და ვინც ღმერთს მოუხმობს სუფთა გულით;[254] და იარეთ სულით.[255] გქონიათ ბრძოლები ისეთ ცოდვებთან, რომლებიც ადვილად გიპყრობენ, გბოჭავენ?

---

[249] ებრ. 1:9; 4:15; 7:26.
[250] ებრ. 12:1
[251] ებრ.12:1
[252] ფს.118:11; მათ26:41; ეფს.6:13-18
[253] რომ.13:14
[254] 2ტმთ. 2:22
[255] გალ.5:16

მესამე, ჩვენ სიწმინდისკენ მივილტვით, თუ ვუმზერთ იესოს.[256] თითოეულმა მორბენალმა იცის, რომ ფინიშის ხაზზე ურყევი ფოკუსირება გამარჯვების საწინდარია. თავგზააბნეული მორბენალი წაგებულია. სიტყვა „ვუმზიროთ/შევხედოთ“ ნიშნავს ყურადღების მიპყრობას, ყოველგვარი დაბნეულობის და შეცბუნების გარეშე, მზერის დაფიქსირებას და მინდობას ვინმეზე. ჩვენ უნდა გონებამოკრებით და ნდობით მივაპყროთ ჩვენში სულების მზერა იესოს. რატომ? რადგან ის არის სიწმინდის ნიმუში. თუ ჩვენი თავის სხვებთან შედარებას ვიწყებთ, მაშინ ჩვენ სიწმინდის გზას არ ვადგევართ. იმისთვის, რომ წმინდა ვიყოთ, როგორც იესო იყო წმინდა, მასზე მზერა დაფიქსირებულმა გავნაგრძოთ რბოლა. თქვენი მზერა იესოზე გაქვთ მოპყრობილი?

მეოთხე, ჩვენ სიწმინდეს ვავითარებთ ცოდვის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით.[257] ამ მუხლებმა უნდა გაგვიფანტოს ყოველგვარი ფიქრები და წარმოდგენები, თითქოს სიწმინდის გამარჯვებამდე ადვილია მისვლა. დიახ, ყველა ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა შეგვიძლია ჩამოვიშოროთ, მაგრამ ჩვენ ბრძოლაში ვართ! ჩვენ ვიბრძვით, მივილტვით რა სიწმინდისკენ. მტერი დაუპირისპირდება ჩვენს ყოველგვარ წინსვლას ქრისტეს მსგავსებისკენ. არ არსებობს ასაკი, სიმწიფე და მადლის მდგომარეობა, რომელიც ამ შეტაკებისგან განგვათავისუფლებს. საშიშროება მოვიქანცოთ და დავსუსტდეთ ყველას გვემუქრება. ჩვენ სიმტკიცეს ქრისტეს გამძლეობის მაგალითი გვაძლევს. ჩვენმა კაპიტანმა ეშმაკზე გაიმარჯვა და გაარღვია მისი წინააღმდეგობა. მისი წყალობით, ჩვენც შევძლებთ ამას! ხართ სეუპოვრები ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლაში?

> როდესაც ჩვენმა უფალმა და მაცხოვარმა იესო ქრისტემ მათეს 4:4-ში თქვა: „მოინანიეთ“, მას განზრახული ჰქონდა, რომ მთელი ქრისტიანული ცხოვრება მონანიების პროცესი ყოფილიყო.. – მარტინ ლუთერი

მეხუთე, ჩვენ სიწმინდისკენ მივილტვით, თუ ვემორჩილებით უფლისმიერ კორექტირებას, დისციპლინირებას და განწმენდას და მადლიერებით ვიღებთ ამ ყოველივეს.[258] თუ ჩვენ სიწმინდისკენ მივისწრაფით, არ უნდა გამოვცადოთ ღმერთის დამსჯელი ხელი, არა? არასწორია! ეს ის გზა არ არის, რომლითაც უფალი მოქმედებს. სინამდვილეში, ღმერთი უზენაესი ნებით უშვებს და განსაზღვარავს სირთულეებს, საჭიროებისამებრ, რომ დაგვეხმაროს ქრისტესმიერი სიწმინდის განვითარებაში. ძველი ანდაზაა: „არანაირი ტკივილი, არანაირი სარგებელი“ ნამდვილად მიესადაგება ჩვენს მდგომარეობას. ჩვენ სიწმინდისკენ მივილტვით, როცა თავმდაბლობით და მადლიერებით ვიღებთ უზენაესის მხილებებს, რადგან ისინი მოწმობენ მისი სიყვარულის შესახებ ჩვენს მიმართ, რათა თანაზიარნი გაგვხადოს თავის სიწმინდესთან. მადლობას უხდით მამას, რომელსაც სასჯელის მეშვეობით მივყავართ სიწმინდისკენ?

---

[256] ებრ.12:2
[257] ებრ.12:3-4
[258] ებრ.12:5-11

მეექვსე, ჩვენ სიწმინდისკენ მივდივართ ერთმანეთის განმტკიცებით.[259] მსოფლიოს დევიზია "ყველა მხოლოდ საკუთარი თავისთვისაა." სიწმინდისკენ სწრაფვაში ასე არ არის. სიწმინდე უნდა თემის ერთობაში იყოს მიღწეული. ჩვენ ქრისტესმიერ სიწმინდეში საუკეთესოდ ვიზრდებით, როდესაც ვცხოვრობთ ურთიერთპასუხისმგებლობის და კორექტირების სტრუქტურაში. ჩვენ სიწმინდისკენ რბოლას საუკეთესოდ ვახერხებთ, როდესაც ხელჩაკიდებულნი ვართ თანამებრძოლ-მორბენლებთან. თუ ერთი დაბრკოლდება, მისი პარტნიორები ხელს მიაშველებენ, დაეხმარებიან სტაბილური ტემპის შენარჩუნებაში. თქვენ უკვე ჩაკიდეთ ხელი სიწმინდისკენ სწრაფულ მეგობრებს?

დასკვნა

გულის და სიცოცხლის სიწმინდე არის პროცესი, მოგზაურობა და ეს ექვსი ბიბლიური პრინციპი დაიცავს ჩვენს სულებს განსაცდელების და ცდუნებების ტურბულენტულ ქარიშხლებში და შეგვანარჩუნებინებს სწორ გეზს ზეციური სახლისკენ.

ლოცვა

მამაო, მე დავინახე, რომ ყველაზე დიდი დაბრკოლება ჩემს სულიერ გზაზე არის სიამაყე, რომელიც ვლინდება ეგოიზმის ცოდვაში. მე თავისმართლებას შევეშვი. არც სხვებს აღარ ვადანაშაულებ. მე ჩემს თავს მთლიანად გიძღვნი ცოცხალ მსხვერპლად. მე მეფსალმუნესთან ერთად ვლოცულობ: „სუფთა გული შექმენი ჩემში, ღმერთო“. პავლესთან ერთად ჯვარს ვუყურებ და მჯერა, რომ: „ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული! მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ სხეულში ვცხოვრობ, რწმენით ვცოცხლობ, ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის.” ახლა მე მწამს სულიწმინდის განწმენდისა და ძალის მონიჭების, რომელიც იესომ აღგვითქვა, როდესაც თქვა: „თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და დალიოს; ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, ცოცხალი წყლის მდინარეები იდინებენ მისი მუცლიდან.“ ამინ.

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირის მანძილზე დაუთმეთ მინიმუმ ოცდაათი წუთი ამ გაკვეთილის გადახევას, ბიბლიური მუხლების ჩათვლით, სთხოვეთ სულიწმიდას განმარტება.
2. თქვენს დღიურში ჩაწერეთ კონკრეტული ცვლილებები, რომელიც უნდა განხორციელდეს თქვენს ცხოვრებაში, რადგან უფალმა მიგითითათ მათზე.
3. ჩაუიფიქრდით მინიმუმ ერთ ფსალმუნს თქვენი ყოველდღიურად საგანგებოდ გამოყოფლ დროში და თქვენს დღიურში ჩაწერეთ, თუ რას ამბობს მეფსალმუნე ღმერთის ბუნებასა და ხასიათზე.
4. თქვენს დღიურში ჩაწერეთ პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისთვის და ზრდისთვის, ამ გაკვეთილის საფუძველზე.

[259] ებრ. 12:12-13

5. ივარჯიშეთ დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვების სახელმძღვანელოს გამოყენებაში თქვენი ყოველდღიური პირადი ლოცვის დროს.

ჩავულრმავდეთ

კინლოუ, დენის (Kinlaw, Dennis). ქრისტეს გონება (*The Mind of Christ*). Francis Asbury Society, 1998.

ჰესსიონ, როი (Hession, Roy). „გოლგოთის გზა“(*The Calvary Road*). Christian Literature Crusade, 1993.

ტესტი 6 გაკვეთილისთვის

1. რა არის სამი სასიცოცხლო მნიშვნელობის ჭეშმარიტება, რომელიც ამ გაკვეთილში განვიხილეთ?

2. შეუძლიათ ქრისტიანებს მოაკვდინონ ცოდვილი ბუნება?

3. დაასრულეთ წინადადება: “მხოლოდ _____-ს შეუძლია დაამსხვრიოს ეგოცენტრიზმი.”

4. დაასრულეთ წინადადება: “ცოდვილი მეობისგან დაცლა უქმნის _____ _____ იმისთვის რომ _____ _____.”

5. რა არის საკუთარი თავისთვის სიკვდილის ნაყოფი?

6. დაასახელეთ ჩვენში იესოს სიცოცხლის სამი დამახასიათებელი თვისება.

7. დაასახელეთ ექვსი ნაბიჯი სიწმინდის განსავიტარებლად და მისაღწევად, რომლებსაც დოქტორი ბრაუნი ასწავლიდა?

გაკვეთილი 7

ქრისტეს მსგავსება სულიერი წრთნის მეშვეობით

გაკვეთილი მიმოხილვა

განიხილეთ ძირითადი პუნქტები 6 გაკვეთილიდან. სთხოვეთ სტუდენტებს, რომელთაც ამის სურვილი აქვთ, რომ გააზიარონ თავიანთი პირადი ლოცვები მე –6 გაკვეთილიდან.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:

(1) გაიაზროს 1 ტიმოთე 4: 7-ის მნიშვნელობა

(2) იცოდეს, რატომ არის აუცილებელი სულიერი წვრთნა იესოს მსგავსებაში გარდასაქმნელად.

(3) დაიწყოს ამ გაკვეთილზე შესწავლილი პრინციპების პრაქტიკულად გამოყენება.

ცხოვრებისეული მომენტები

- ახალგაზრდა მორწმუნე იბრძვის მორჩილების მცირე სფეროებში შეუპოვრობის შესანარჩუნებლად. ღმერთმა ძლიერად შეცვალა მისი ცხოვრება და განკურნა იგი მტკივნეული, თვითდაზიანებით მიღებული სულიერი ჭრილობისგან; და მაინც, არსებობს მიმდინარე ბრძოლის სფეროები. ის ცდილობს იაროს რწმენით, აკონტროლოს და მართოს საკუთარი ფიქრები. მას სურს იყოს უფრო ყურადღებიანი მამა პატარა შვილების მიმართ. სურს, იყოს ნაკლებად ემოციური, უკეთესად განკარგოს თავისი დრო. მას უჭირს კმაყოფილი იყოს თავისი საქმით და სურს, რომ სხვა შესაძლებლობები გაუჩნდეს. მან ერთ დღეს დამიძახა და მითხრა: ”ვფიქრობ, რომ ღმერთი ჩემი ცხოვრების ამ პერიოდში ყველა კარს მიკეტავს, რომ შევიძინო შეუპოვრობა და ვისწავლო გამძლეობა და დისციპლინა. ჩემი ცხოვრება ამ მომენტამდე იყო დაუმთავრებელი პროექტების სერია; ვიცი, რომ თუკი ოდესმე ნამდვილად მოვინდომებ წარმატებული ვიყო ღმერთთან ურთიერთობაში, მე უნდა გავხდე შეუპოვარი და ვისწავლო ჩემი დაწყებული საქმის დასრულება. ჩემი მოუთმენლობა ხასიათის საკითხია, რომელიც გავლენას ახდენს ჩემი ცხოვრების ყველა სხვა სფეროზე! ” გაოცებული ვიყავი ჩემი მეგობრის თავმდაბლობით და გამჭრიახობით. ის უფრო მეტად უღრმავდება საკითხს და ძლიერდება ... წვრთნის საშუალებით!

ძირითადი აზრი.

ამ გაკვეთილის ძირითადი აზრი ისაა, რომ განსწავლა/წვრთნა უმნიშვნელოვანესია ღვთიური სათნოების ფორმირებისთვის - ქრისტეს ხატისა ჩვენში. ეს წვრთნა მოიცავს გარკვეული წინააღმდეგობებს, კლასიკურ სულიერ დისციპლინებს (როგორიცაა კითხვა, ლოცვა, მარხვა და ა.შ.), აგრეთვე პირად დისციპლინას.

ზოგი მტკიცებას დაიწყებს, რომ ჩემს ზემოთ ნახსენებ მეგობარს, უბრალოდ სულიწმიდის სისრულე და ძალა სჭირდება თავის ცხოვრებაში. ეს უდავოა. მაგრამ სულიწმიდას არ შეუძლია მორწმუნეების ავსება და გაძლიერება, მათი მორჩილების გარეშე. ისევე, როგორც სიმინდის ან ბრინჯის მოსავალი პირდაპირ კავშირშია ფერმერის მიერ მიძღვნილად მათ კულტივირებასთან/დამუშავებასთან და მორწყვასთან, ასევე სულიერი სათნოების მოსავალიც პირდაპირ კავშირშია ქრისტიანის რწმენით სავსე ძალისხმევასთან.

ეს გაკვეთილი მოგვიწოდებს გულმოდგინედ და სიფხიზლით ვიაროთ ღმერთთან ერთად - რწმენაში ფესვგადგმულებმა და სიყვარულით გამდიდრებულებმა.

1. პავლესა და პეტრეს შეხედულებები ღვთისმოსაობის შესახებ

ორი საკვანძო მუხლი დაგვეხმარება ჩამოვიყალიბოთ შეხედულება, თუ რა როლს ასრულებს ძალისხმევა/ვარჯიში სულიერ ფორმირებაში.

A. პავლეს შეხედულება

უკეთურ და დედაბრულ ზღაპრებს მოერიდე და ღვთისმოსაობაში გაიწვრთენი. ვინაიდან ხორციელი წვრთნა ნაკლებად სასარგებლოა, ღვთისმოსაობა კი ყველაფერში გამოსადეგია, რადგან სიცოცხლეს აღგვითქვამს აწმყოშიც და მომავალშიც.[260]

საკვანძო სიტყვები აქ არის „გაიწვრთენი/ივარჯიშე“ და „ღვთისმოსაობაში“. როგორ ფიქრობთ, როგორაა ეს ორი ცნება ერთმანეთთან დაკავშირებული?

ღვთისმოსაობის განსაზღვრება

►თქვენს ჯგუფთან ერთად განიხილეთ ტერმინი "ღვთისმოსაობა". თითოეულ ჯგუფისწევრს მიეცით შესაძლებლობა შემოგთავაზონ ამ სიტყვის საკუთარი განმარტება.

დღესდღეობით, მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ავტომატურად ვხვდებით რა არის ღვთისმოსაობა. ჩვენი ეკლესიური სამყაროსთვის თვალის გადავლება ცხადყოფს ამ სიტყვის არასწორ გაგებას. ბევრნი, როდესაც ფიქრობენ ღვთისმოსავი ადამიანის შესახებ, ისინი ხშირად წარმოიდგენენ სერიოზულ/ოფიციალურ, მნიშვნელოვან პიროვნებას, რომელსაც ყოველთვის თან დააქვთ დიდი ბიბლია, საუბრობს მოწიწებული ტონით და დროის უმეტეს ნაწილს ეკლესიაში ატარებს.

მაგრამ ღვთისმოსავი ხალხი ყველა სახის, ზომის, კულტურის და პიროვნული თვისებების შეიძლება შეგვხვდეს. ღვთისმოსაობა ისეთივე კომფორტულად გრძნობს თავს ძველ ლურჯ ჯინსებში, როგორც შარვალ-კოსტუმში და ჰალსტუხით. ღვთისმოსაობას არ აქვს ლოცვის განსაკუთრებული ტონი და ხმის სიმძლავრე. ღვთისმოსაობას არ აქვს განსაკუთრებული თაყვანისცემის სტილი ან მუსიკალური ჟანრი.

ღვთისმოსაობა არის იესოს მშვენიერი ცხოვრება, რომელიც წარმოიშვება ჩვენში სულიწმინდის მიერ. ღვთისმოსაობა არის ცოდნა, სიამოვნება, მორჩილება და სიარული ღმერთთან, ბიბლიური, გულწრფელი და ავთენტური. ღვთისმოსაობა არის ყველასთვის, ყველგან, მიუხედავად კულტურისა,

[260] 1ტიმთ. 4:7-8

კანის ფერისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რადგან ღვთისმოსაობა ნივთი კი არა, პიროვნებაა. ღვთისმოსაობა უფალ იესო ქრისტეს ცხოვრებაა.

> ❓ რატომ არის ჩვენთვის ძნელი ამ უფლების მოპოვება? რატომ არის ამის გაგება ზოგჯერ უფრო ადვილი ახალი მორწმუნეებისთვის, ვიდრე ეკლესიაში აღზრდილი ადამიანებისთვის?

პავლეს შეხედულება ღვთისმოსაობაზე

1) **პირველი, ღვთსმოსაობა არის პროცესი, მოგზაურობა** - „ღვთისმოსაობისკენ". ნუ ვიქნებით იმედგაცრუებულნი. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი მომთმენია ჩვენთან მიმართებაში, „რადგან, როგორც მამა შეიწყნარებს შვილებს, ისე შეიწყნარებს უფალი მის მოშიშებს". პერფექციონიზმი არის მტერი, რომელთან შებრძოლებაც ბევრ ჩვენგანს მოუწია.

2) **ღვთისმოსაობის ძიებაში მრავალი ყურადღების გამფანტავი ფაქტორი უნდა ავიცილოთ თავიდან.** "უღვთო და დედაბრულ ზღაპრებს მოერიდე".[261] ეს იგავები იყო წარმოსახვითი ებრაული მითები და ტრადიციები, რომლებიც მოიცავდნენ უნაყოფო სპეკულაციებს ანგელოზების წარმოშობასა და მათ ძალებზე და სხვა მრავალ რამეზე, რისი ჩვენთვის გაცხადებაც ღმერთმა არ მიიჩნია საჭიროდ. მას შემდეგ სპეკულაციების, ცრურწმენების და მითების სია მხოლოდ გაიზარდა!

3) **ღვთისმოსაობა მიიღწევა წვრთნის/ძალისხმევის/ვარჯიშის საშუალებით, რომელიც რწმენაზეა დაფუძნებული.** "ღვთისმოყვარეობაში ივარჯიშე". სიტყვა "ივარჯიშე" ნათარგმნი სიტყვაა, რომლისგანაც ვიღებთ ინგლისურ სიტყვას, *gymnasium- (გიმნასტიკა(ტანვარჯიში), გიმნაზია).* ვარჯიშის ხსენებაზე გვახსენდება დაღლილი კუნთები, სიმძიმის აწევა, ფილტვების წვა და სახეზე ჩამოდენილი ოფლი. ვესლი ამბობს: "ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეთა მსგავსად ივარჯიშეთ ღვთისმოსავობის მისაღწევად. გაწვრთენით საკუთარი თავი გულის და ცხოვრების სიწმინდეში, უდიდესი შრომით, ენერგიითა და მონდომებით".[262]

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი ვერ შეძლებს გაწვრთნას საკუთარი თავი, ნებაყოფლობითი ცოდვიდან. ნებაყოფლობითი ცოდვა უნდა მოკვდეს (კოლ. 3: 5).

საინტერესოა, რომ პავლე არ ურჩევს ტიმითეს ღვთისმოსაობისკენ გზის შეკვეცას, იმიტომ რომ მოკლე გზა არ

არსებობს. ხელახლა შობა მყისიერია და უბრალოდ უფალ იესო ქრისტესადმი რწმენის საკითხია. ღვთიური სათნოების და ხასიათის განვითარება კი ძალისხმევას მოითხოვს.

4) **წვრთნით/ვარჯიშით მიღებული ღვთისმოსაობა გვპირდება ცხოვრების უკეთეს ხარისხს ახლა და მომავალ ცხოვრებაში.** ჯონ ვესლი კომენტარს აკეთებს, "ადამიანი, რომელიც მოშიშია, უყვარს და ემსახურება ღმერთს, აქვს ღმერთის კურთხევა მთელი თავისი ცხოვრება. მისი

---

[261] 2ტიმთ.2:16,23

[262] ჯონ უესლის ჩანაწერები 1ტიმთ.4:7 შესახებ

> რელიგია იხსნის მას ყველა იმ სიჭარბისგან, როგორც მოქმედებაში, ასევე ვნებებში, რომლებიც სიცოცხლის საფუძვლებს შემარყეველია და არსებობას ხშირად ტვირთად აქცევს. გულში ღმერთის სიმშვიდე და სიყვარული ქმნის სიწმიდეს და უშფოთველობას, რაც სიცოცხლის ლამპრის შუქს ხდის უფრო ძლიერს, მკაფიოს და მუდმივს. ამრიგად, ღვთისმოსავობას აქვს დაპირება და უზრუნველყოფს ორივე სამყაროს კურთხევას."[263]

B. პეტრეს შეხედულება

2 პეტრე 1:5-8 -ში პეტრე წერს მორწმუნეებს, რომლებმაც „ჩვენთან ერთად მიიღეს იგივე ძვირფასი რწმენა ჩვენი ღმერთისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს სიმართლით." (1: 1), რომლებსაც მიენიჭა „ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება"(1: 3), და" მიეცა ...უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათი მეშვეობით გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი"(1:4). "ამიტომ ყოველი ღონე", მათ უნდა იხმარონ, რომ წარმოაჩინონ რწმენა "მათი რწმენა":

> და ამიტომ ყოველი ღონე იხმარეთ, რომ შესძინოთ თქვენს რწმენას სათნოება, სათნოებას - შემეცნება,შემეცნებას - თავშეკავება, თავშეკავებას - მოთმინება, მოთმინებას - ღვთისმოსაობა,ღვთისმოსაობას - ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობას კი - სიყვარული.[264]

შენიშვნა: კომენტატორები თანხმდებიან, რომ „ღვთიური ბუნების ზიარნი" ნიშნავს განახლებას ან აღდგენას ღვთის ხატად! ადამ კლარკი კომენტარს აკეთებს: "ღმერთის ყველა დაპირების მიზანი... იყო, რომ დაებრუნებინა დაცემული ადამიანისთვის ის იერსახე, უფლის მსგავსება, რომელიც მან დაკარგა."[265] ეს არის ღმერთის გეგმა ყველასთვის, ვინც ენდობა იესო ქრისტეს და სახარებაში მოცემულ დაპირებებს. ღმერთის ბუნება არის მდინარე, საიდანაც ყოველგვარი მადლი მოედინება და უფრო და უფრო მეტად გვმოსავს ღვთისმოსაობით.

პეტრეს შეხედულება

1) პეტრე გვარწმუნებს, იმ დროს როდესაც ღვთიური ბუნება ღმერთისაგან არის, მასთან მოზიარეობა უფრო მეტად ჩვენზეა დამოკიდებული, თუმცა მისი მადლით.

პეტრე ნათლად ამბობს, რომ სულიერი სათნოების შექმნა, გადარჩენის მომნიჭებელი რწმენის საფუძველზე, ყველა ღონეს მოითხოვს. ერთ-ერთი კომენტატორი ასე ამბობს: "ზეთი და ალი სრულად ეძლევათ მადლის სისრულეში ღმერთის მიერ, ხოლო მორწმუნეები „იღებენ ": მათი მოვალეობაა ახლა საკუთარი „ნათურების ჩართვა."[266]

---

[263] ჯონ უესლის ჩანაწერები 1ტიმთ.4:8 შესახებ

[264] 2პეტ.1:5-7

[265] ადამ კლარკის კომენტარი (Adam Clarke Commentary) 2პეტრ.1:4-ს შესახებ

[266] ჯემისონ ფოსეთ ბრაუნის კომენტარი (amieson-Fausset-Brown Commentary) 2პეტრ.1:4-5-ს სესახებ

2) ყველა მორწმუნე უნდა იყოს ბოლომდე დაკავებული რათა სრულად გულმოდგინედ იმუშაოს და განავითაროს ღვთიური ბუნება, რომელიც მათშია შთანერგილი.

ორიგინალში, საკუთარ ენაზე საუბრისას, პეტრე ძალიან მკაფიოა თავის შეხედულებებში. მაშ, რომელია ღვთისმოსაწონი თვისებები, რომლებზეც პეტრე მოგვიწოდებს, რომ შევმატოთ/შევძინოთ ჩვენს რწმენას?

3) პეტრე გვაწვდის სათნოების იმ სპეციფიკურ ჩამონათვალს, რომელიც უნდა შევმატოთ/შევძინოთ ჩვენს რწმენას. თუ ეს მოხდებოდა, ჩვენ არ დავრჩებით „უქმად და უნაყოფოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შემეცნებაში.“[267]

- შესძინეთ სათნოება - მორალური უპირატესობა, განსაკუთრებით გაჭირვების და დევნის დროს.
- შესძინეთ შემეცნება - ეს არის ღმერთის ნების ამოცნობა.
- შესძინეთ თავშეკავება - ეს არის ყველა მიწიერი სიამოვნების სწორად გამოყენება, თვითშეზღუდვაში ვარჯიში და ფიზიკური მადის ან ვნებების მოთოკვა.
- შესძინეთ თავშეკავება - ეს არის სიმშვიდე/მოთმინება და გამძლეობა ტანჯვისა და გაჭირვების ჟამს.
- შესძინეთ ღვთისმოსაობა - ღვთისმოსავი ადამიანი არის ის, ვინც თავს უძღვნის ღმერთს, ისევე როგორც მის ხალხს და მის მიზნებს.
- შესძინეთ ძმათმოყვარეობა - ღვთისმოსავობას უნდა შევძინოთ კეთილშობილება/გულუხვობა, თავაზიანობა და მხიარულება. ღვთისმოსაობა არ არის უღიმღამო, ფარისევლური/პირმოთნე, სტოიკური ან პირქუში!
- შესძინეთ სიყვარული - თავდაუზოგავი ზრუნვა არა მხოლოდ ღვთის ოჯახის მიმართ, არამედ ყველა ადამიანზე.

2. ქრისტეს სათნოებების ჩამოყალიბება ჩვენში წვრთნის/ვარჯიშის შედეგად.

სავარჯიშოდ მიყვარს ფეხით სიარული. ეს დამეხმარა, რომ ჯანმრთელობა შემენარჩუნებინა. ეს ხელს უწყობს ჩემი გონების განახლებას/გამოცოცხლებას. და იმის გამო, რომ მე შემიძლია ვილოცო ფეხით სიარულის დროს, სეირნობისას უფრო ვუახლოვდები უფალს. მე დავდივარ, სიცხეშიც და სიცივეშიც. ბევრჯერ მისეირნია წვიმასა და თოვლში.

დედამიწის გარშემოწერილობა დაახლოებით 40,000 კილომეტრია (24,000 მილი) და მე მაქვს პირადი მიზანი, რომ მის გარშემო მანძილი გავიარო - მანძილი დედამიწის ირგვლივ! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ მოვკვდები, იმედს ვიტოვებ, რომ ვარჯიშისთვის სულ მცირე 40,000 კილომეტრი მექნება გავლილი. რვა წლის წინ დავიწყე; მაგრამ თუ საკმაოდ ჯანმრთელად ვიქნები და თუ უფალი მომცემს ძალას, კიდევ ოცდაორი წელი დამჭირდება ამისთვის. რვა წლის შემდეგ, დავდიოდი რა 6.4 კილომეტრს (ოთხი მილი) დღეში, საშუალოდ ოცდახუთ კილომეტრს კვირაში (თექვსმეტი მილი) და წელიწადში 1,287 კილომეტრს (832 მილი), მე უკვე გავიარე 10,300 კილომეტრი (6,400 მილი). მე კიდევ

[267] 2პეტრ. 1:8

30,000 კილომეტრი მაქვს გასავლელი, მაგრამ ამაზე თითქმის არ ვფიქრობ. მე (ძირითადად) ყოველდღიური სეირნობით ვტკბები.

ისეთი უზარმაზარი მიზანი, როგორიც მსოფლიოს გარშემო შემოვლაა, მიღწევადია, თუ შენ ყოველდღიურად ცოტ-ცოტას მაინც მოძრაობ. ეს შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ ყოველდღე ადგომით და სიარულით ვარჯიშისადმი მიძღვნილობით. თუ მე გავაგრძელებ სიარულს, საბოლოოდ აღვასრულებ იმას, რაც ოდესღაც შეუძლებელად მიმჩანდა.

სულიერი ფორმირების ცხოვრებაც სწორედ ასევეა. ამ გაკვეთილზე ვიგებთ, რომ ქრისტეს ხატად ყოფნა არის ის მიზანი, რომელსაც მივაღწევთ არა მხოლოდ გონების განახლებით, არამედ იმით, რასაც პავლე მოციქული უწოდებს „ვარჯიშს/გაწაფვას“.

ყველა ღვთისმოსავი ადამიანი, ვისაც ვიცნობ, იძულებულია უდიდესი ძალისხმევა გამოიყენოს, რომ ეს ასე იყოს. ხსნა ხდება მადლით, რწმენის მეშვეობით; მაგრამ განწმენდა - სათნოებისა და ხასიათის განვითარება - ხშირად ხდება მტკივნეული თვითუარყოფითა და მიზანმიმართული ძალისხმევით. პავლე უწოდებს ამას „მიზნისკენ სწრაფვას/ლტოლვას“.[268] რა თქმა უნდა,მადლი მოქმედია ჩვენი ძალისხმევის დროსაც კი.[269]

ქრისტიანული სათნოების განვითარება ვარჯიშის საშუალებით

A. სავარჯიშო მოიცავს პრაქტიკულ ნაწილს.

მე და ბეკი (ჩემი ცოლი) ვიქრობდით იმაზე, რომ გვესაჭიროება სიფაქიზის განვითარება ერთმანეთთან და ჩვენს შვილებთან ურთიერთობაში. ერთ დღეს ჩვენ წავაწყდით ამ სწავლებას ერთ ჩემს მიერ ნაპოვნი წიგნის ლეტი კოვმანის - Streams in Desert |უდაბნოს მდინარეები| სტატიაში:

სულიწმინდის მადლი (როგორიცაა მოთმინება) შემთხვევით არ პოულობს თავის ადგილსამყოფელს ჩვენში; და თუ ჩვენ ვერ ვანსხვავებით მადლის გარკვეულ მდგომარეობებს და მათ ჩვენს აზრებში არ ვასაზრდოვებთ, ისინი ჩვენს ბუნებაში ან ქცევაში არასოდეს გადავლენ. ყოველ ნაბიჯს მადლში წინ უნდა უსწრებდეს ჯერ კარგად გააზრება, შემდეგ კი ლოცვითი გადაწყვეტილების მიღება, რომ ის გაითავისო.[270]

სათნოების პრაქტიკაში გატარება? იშვიათია ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც ასე ფიქრობს, მაგრამ მნიშვნელოვანია რომ ამას ჩავწვდეთ.

მწვერვალ ევერესტის დაპყრობა არ გახლავთ გამოწვევა, რომელიც შეიძლება ვინმეს ადვილი ეგონოს. უმაღლესი მთის მწვერვალი თითქმის 10 000 მეტრზეა (30 000ფუტი) აღმართული, მის მწვერვალზე 2/3-ით ნაკლებია ჟანგბადი, ვიდრე ზღვის დონეზე. სამასი მთამსვლელი დაიღუპნენ ამ მწვერვალის დაპყრობის მცდელობისას. მის დასაპყრობად საწიროა 75,000 დოლარი და 40 დღე მწვერვალამდე მისაღწევად! ქრისტიანული ცხოვრებაც მოითხოვს მიძღვნას და ეს გზა/მოგზაურობა ვერ იქნება მიჩნეული მარტივად!

[268] ფლპ.3:14
[269] ფლპ.1:6
[270] ლეტი კოვმანის (Lettie Cowman) - Streams in Desert |უდაბნოს მდინარეები

მოდით გავიხსენოთ, რომ ქრისტიანული ცხოვრების მიზანი არ არის უბრალოდ სწორად მოქცევა, (კეთილი საქმეების კეთება). მორწმუნეებმა შესაძლოა ბევრი სწორი რამ აკეთონ არასწორი მიზეზების გამო, მათ შორის დანასაულის გრძნობის, შიშის ან სიამაყის გამო. ღმერთის მიზანი და პრიორიტეტია ჩვენი ფრომირება შინაგანიდან გარეგანამდე, ვიდრე არ გავხდებით ხალხი, რომლებიც „ყოველდღიურად და იოლად დაემორჩილება მას“[271]; ვიდრე ჩვენი ხასიათი და ბუნება არ გარდაიქმნება, სანამ სულის ნაყოფი ჩვევად არ გვექცევა.

მათეს სახარებაში, იესო იწვევს „ტვირთმძიმე და მაშვრალ“ ხალხს, რომ შეუერთდნენ მას მორჩილების მშვიდ და მსუბუქ ცხოვრებაში. „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ!ვიტვირთეთ ჩემი უღელი (კისრის მძიმე ხის აღკაზმულობა) და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ თქვენი სულის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი სასიამოვნოა და ჩემი ტვირთი მსუბუქი!”[272] იესოსთვის, უღელს შეიძლება ეწოდოს "სასიამოვნო", როდესაც შინაგანი დამოკიდებულება შეცვლილია: როდესაც გული აღარ არის ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ გახდა "რბილი/ფაქიზი და თავმდაბალი" - ტერმინები, რომლებიც ამ კონტექსტში მეტყველებენ მის მიღებაზე. ეს არის ის, რისი გაკეტებაც ღმერთს სურს ჩვენში.

B. ვარჯიში ღვთისმოსაობაში ავითარებს ხასიათს.

სათნოებისა და ხასიათის როლის გაცნობიერება მნიშვნელოვანია ქრისტიანულ ცხოვრებაში. სულიერი ჩავარდნები/წარუმატებლობა ხშირად პირდაპირ კავშირშია არა გულწრფელობის და მიძღვნის სურვილს ნაკლებობასთან, არამედ იმის გაუთვითცნობიერებლობასთან, თუ რა როლს ასრულებს ქრისტიანული სათნოება და ხასიათი/ბუნება ჩვენს სიარულში უფალთან ერთად.

ამ გაკვეთილის წერისას მე და ჩემმა მეუღლემ ვუმასპინძლეთ წყვილებს ბიბლიის შესწავლისას ჩვენს სახლში. ჩვენი მოზიარეობის დროს, ერთმა ახალგაზრდა დედამ გამოთქვა იმედგაცრუება საკუთარ უუნარობის გამო, რომ იცხოვროს თანმიმდევრული ქრისტიანული ცხოვრებით. ”ეს ალბათ ნამდვილად სულელურად ჟღერს”, - წამოიძახა მან, „ზოგჯერ გამიელვებს ხოლმე ფიქრი გონებაში, რომ ალბათ მე არ ვარ ღვთის რჩეული, რომ, ალბათ, არც არასდროს ვიქნები ძლიერი, რამდენიც არ უნდა ვეცადო!”

ახლა, შესაძლოა ჩვენ ასე არ ვამბობთ, მაგრამ ბევრი გულწრფელი მორწმუნეა, რომელთაც აინტერესებთ, არის თუ არა ღვთისადმი ერთგულების უმაღლესი დონე განკუთვნილი მხოლოდ "განსაკუთრებული" ქრისტიანებისთვის ან "სუპერ წმინდანებისთვის"! მაგრამ ღმერთი მიკერძოებული არ არის და გვაუწყებს, რომ ყველა მორწმუნე შეიძლება ქრისტეს ხატად ჩამოყალიბდეს. ჩვენი პრობლემა ხშირად უბრალოდ ხასიათის/ბუნების და გააზრების ნაკლებობაა, თუ რა როლს თამაშობს ეს ბუნება ჩვენს სიარულში უფალთან ერთად.

[271] ციტატა დალას ვილარდისგან, რომელიც პირველ გაკვეთილზე ვახსენეთ
[272] მათ.11:28-30

ისევე, როგორც არმატურა (რკინის „მოქსოვილი“ კონსტრუქცია) ამაგრებს ბეტონს და კუნთი აძლიერებს სხეულს, ხასიათი აძლიერებს ქრისტიანული ცხოვრების სათნოებას/ღირსებებს. ხასიათი/ბუნება აძლიერებს სულს.

ხასიათი/ბუნება საშუალებას აძლევს სიყვარულს, სიხარულს, მშვიდობას, მოთმინებას და სულის ყველა ნაყოფს უფრო დაფიქსირდეს/ჩაიბეჭდოს ჩვენს შინაგანში. ხასიათი/ბუნება საშუალებას აძლევს მორწმუნეს დარჩეს/დამკვირდეს ქრისტეში და იცხოვროს იესოსთან მუდმივ მოზიარეობაში და მისადმი მორჩილებაში. სულიერი „არმატურის“, ანუ საყრდენის გარეშე, რამდენადაც გულწრფელი და კეთილგანწყობილი არ უნდა ვიყოთ, ჩვენ ვერ გავუძლებთ ცხოვრებისეულ ზეწოლას, უბედურების/განსაცდელების ქარებს და ცდუნების ტალღებს.

ღვთიური ბუნება, სულიწმიდის საშუალებით, **სიყვარულის** წყაროა; მაგრამ ყველა ადამიანის მიმართ სიყვარულის გამოსავლენად (მათ მიმართ პატივისცემისა და გულმოწყალების გამოსახატად), როდესაც ისინი ჩვენს მიმართ უსიყვარულობას იჩენენ, საჭიროა ვარჯიში.

სიფაქიზის ღვთაებრივი თესლი ჩვენს გულებში რწმენით ჩაითესა, მაგრამ ლმობიერი პასუხები უხეშ ბრალდებებზე და ჩხუბისმოყვარე პიროვნებებისადმი წყნარი პასუხები მიიღწევა ენის წვრთნის გზით.

სულიწმიდა **მშვიდობის** წყაროა, მაგრამ იმის სასწავლად, რომ ჩვენი გული სრულყოფილ მშვიდობაში შევინახოთ დაძაბული და სტრესული გარემოებების შუაგულში, საჭიროებს მშვინვის (ჩვენი პიროვნების) გაწვრთნას.

თვითკონტროლი ასევე სულიწმიდის ნაყოფია; მაგრამ სიფხიზლე და ტავსეკავება ჩვენს ემოციებსა და მადაში, მოითხოვს თვითდისციპლინაში ვარჯიშს, განსაკუთრებით მათთვის, ვინც თავის თავს უარს ვერ ეუბნება.

მოთმინება. ეს კეთილი თვისებაც ღვთისგან ჩვენს სულებშია ჩადებული. ეს ღვთაებრივი ბუნების თვისებაა. მაგრამ უნარი, დაველოდოთ იმას, რაც დიდი ხანია გვწყურია, გადავდოთ სიამოვნება და დავრჩეთ სიმშვიდეში, ჩვენი ბუნების ნაწილად მხოლოდ გარკვეული ძალისხმევის შედეგად იქცევა.

ერთგულება ღვთიური ბუნების მახასიათებელია; მაგრამ პუნქტუალობა, შრომისმოყვარეობა, სიტყვის უკან დგომა (დანაპირების შესრულება) და ჩვენი აღებული ვალდებულებების განხორციელება სიფხიზლეს და ვარჯიშს მოითხოვს, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სიზარმაცისაკენ არის მიდრეკილი.

თავმდაბლობა სულიწმიდის ნაყოფია; მაგრამ სხვების აღიარება, ანუ საკუთარ თავზე მეტად მათი შერაცხვა, მაგიდასთან ყველაზე არახელსაყრელ ადგილას ჯდომა და მსახურის როლის მორგება ის უნარია, რომელიც მხოლოდ დისციპლინის, ანუ საკუთარ თავზე მუშაობის საშუალებით მიიღწევა.

გულის სიწმინდე ასევე სულიწმინდისგან არის რწმენით, მაგრამ ჩვევა, რომ ჩვენი გული დავიცვათ, გულმოდგინე სულიერი ვარჯიშის შედეგად მიიღწევა!

თვითკონტროლის ღვთაებრივი თესლი ღვთისაგან არის, მაგრამ საკუთარი ენის მოთვინიერება და საკუთარი ნათქვამის სრული კონტროლი, პრაქტიკაში მოდის.

სიხარული არის სულის ნაყოფი, მაგრამ იმის სწავლა, რომ ყოველ ჟამს ვადიდოთ უფლი - არის ნების განსწავლული არჩევანი.[273]

გამოსყიდვის გზით ღმერთი გვაძლევს ყველა სამშენებლო მასალას, რომელიც ღვთიური ხასიათისთვის ოდესმე დაგვჭირდება; მაგრამ ამ ხასიათის/ბუნების შენება, აგურ-აგურ, სივრცე-სივრცე, ჩვენი ყოველდღიური გამოწვევაა. სად ჯდება მადლი ამ პროცესში? მადლი არის ის, რასაც განიცდიან მორწმუნეები, როდესაც ისინი სულიერი წრთვნით არიან დაკავებულნი.

C. სავარჯიშო მოიცავს უსიამოვნებებს/განსაცდელებს, მათ შორის დასჯასაც.

განსაცდელი გვწვრთნის. პავლე აცხადებს: „და არა მარტო ამით, არამედ ჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ ჭირი ქმნის მოთმინებას,მოთმინება - გამოცდილებას, გამოცდილება კი იმედს".[274] უნდა განვიხილოთ განსაცდელები და სირთულე, რომელსაც ღმერთი უშვებს ჩვენს ცხოვრებაში, როგორც მისი სათნოების სკოლა.

ღმერთის სასჯელიც გვწვრთნის. ებრაელთა მიმართ წერილში ვკითხულობთ, „უფლისგან წვრთნას ნუ უგულებელყოფ და მის მხილებებს ნუ წაუყრუებ; რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი. სცემს ყოველ შვილს, ვისაც ღებულობს".[275] აქვე ვკითხულობთ, რომ ეს წვრთნა, „ჩვენდა სასიკეთოდაა, ჩვენი სარგებლობისთვის, რათა წილი გვქონდეს მის სიწმიდეში."[276]

D. სავარჯიშოები მოიცავს სულიერ დისციპლინებს.

ეს დისციპლინები გვწვრთნის. სულიერი დისციპლინები მადლის საშუალებაა. ამ დისციპლინებში ვარჯიშის საშუალებით სულიწმიდა გაგვათავისუფლებს საკუთარი ცოდვილი მეობის, მადის, მატერიალიზმისა და სიამაყის ტირანიისაგან. იგი ჩვენს სულებს მოუტანს განკურნებას და გარდაგვსახავს იესოს ხატად.

ამ კურსში ჩვენ შევძლებთ შევეხოთ მხოლოდ რამდენიმე კლასიკურ სულიერ დისციპლინებს. ჩვენ დავაჯგუფებთ მათ შემდეგნაირად:

მიძღვნის/ერთგულების დისციპლინები

- მარტოობა - დროის გატარება ღმერთთან განმარტოვებაში.
- მედიტაცია - ღვთის სიტყვით ტკბობა იმ განზრახვით და მიზნით, რომ შევიცნოთ და ვაამოთ ღმერთს.

[273] ფს.33:1
[274] რომ.5:3-4
[275] ებრ.12:5-6
[276] ებრ.12:10

- მარხვა - ღმერთისგან უფრო მეტი სულიერი საკვების მისაღებად ფიზიკური საკვების მიღების შეზღუდვა.
- უბრალოება - მცირედით კმაყოფილებით ცხოვრების სწავლა, რათა ფოკუსირება მოვახდინოთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე.
- მსხვერპლიანობა - ჩვენი დროისა და რესურსების გაცემა იმის მიღმა, რაც ადამიანური შეხედულებით გონივრული ჩანს, იმისთვის, რომ ღმერთზე უფრო მეტი დამოკიდებულება განვივითაროთ.

მოქმედების დისციპლინები

- ლოცვა - საუბარი ღმერთთან.
- თაყვანისცემა - ღმერთისადმი დაუოკებელი ქება-დიდება და თაყვანისცემა.
- ურთიერთობა/მოზიარეობა - სხვა ქრისტიანებთან შეხვედრა, ზრუნვა და მომსახურება.
- აღიარება/აღსარება - რეგულარული გულახდილობა და გამჭვირვალეობა ღვთისა და სანდო ქრისტიანი მეგობრის წინაშე.
- მორჩილება/დაქვემდებარება - ღმერთის და სხვების წინაშე ტავის დამდაბლება და ანგარიშვალდებულება ურთიერთობებში. ურთიერთობები გვწვრთნის და გვავარჯიშებს. იარაღები/ხელსაწყოები, რომლებსაც ღმერთი ხშირად იყენებს ჩვენს ჩამოსაყალიბებლად ქრისტეს ხატად, არიან სხვა ადამიანები. ზოგჯერ ეს ხელსაწყოები ძალიან მტკივნეულია. მაგრამ ღმერთი ასევე სხვა მორწმუნეთა სულიერ ნიჭებსაც იყენებს „წმინდანთა"[277] „აღსაჭურვად" და გასაწაფად (იგივე სიტყვა, რაც 1 ტიმ. 4: 7) ვიდრე არ გარდავიქმნებით სრულქმნილ კაცად, ქრისტეს სისრულის ასაკის ზომისამებრ.[278]

E. სავარჯიშო მოიცავს პირად დისციპლინას.

საკუთარი თავის უარყოფა/თვითუარყოფა და თვითმოკვდინება/დამდაბლება გვწვრთნის. თვითუარყოფა უკავშირდება მიძღვნას, რომ გადამწყვეტი „არა" ვუთხრათ ფიზიკურ მადას, სურვილებს, როდესაც ისინი მეტისმეტად ძლიერდებიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი აზიანებენ ადამიანს სულიერ ცხოვრებას. აი რას ამბობს პავლე ამის შესახებ:

> ყველა, ვინც იღწვის, რომ ჯილდო მოიპოვოს, თავს იკავებს ყველაფრისგან... არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, თვითონ უღირსი არ აღმოვჩნდე.[279]

---

[277] ეფეს.4:12
[278] ეფეს.4:13
[279] 1კორ.9:25,27

სულ მცირე ხუთი პერსონალური დისციპლინა არსებობს, რომელზეც ამ კურსში ვისაუბრებთ: 1) ჩვენი ენის დისციპლინა 2) ჩვენი აზროვნების დისციპლინა, 3) ჩვენი მადის დისციპლინა 4) ჩვენი ტემპერამენტის დისციპლინა 5) ჩვენი დროის დისციპლინა და 6) პირადი მრწამსის დისციპლინა.

პრაქტიკა, განსაცდელები, სულიერი დისციპლინები და პირადი დისციპლინა: ეს არის უპირველესი საწვრთნელი სავარჯიშოები, რომლებიც საშუალებას აძლევს ღვთის მადლს იდინოს ჩვენს ცხოვრებაში. ეს დაგვეხმარება შევინარჩუნოთ ბუნებრივი სურვილი, გამოვიმუშაოთ კარგი ჩვევები და მივცეთ სულიწმიდას საშუალება, რომ იმეფოს, როგორც მას სურს და ჩვენც მიგვიყვანოს იმ ეტაპამდე, რომ შესაბამისობაში მოვიდეთ იესო ქრისტეს სისრულის ასაკის ზომისამებრ.

რატომ არ ხდება ქრისტესთან და მის მიზნებთან შესაბამისობაში მოსვლა უფრო რეგულარულად - ჩვენს შორის? რატომ მიმდინარეობს ამდენი ჩუმი ბრძოლა? რატომ არიან ზოგიერთები იმედგაცრუებული ქრისტიანული ცხოვრებით? ეს იმიტომ, რომ ძალიან ცოტა ქრისტიანი შეუერთდა ღვთის სულიერი დარბაზის კლასს!

3. ზრდა ვარჯიშის საშუალებით, არის ღმერთის ჩვეული გზაა ჩვენი ფორმირებისთვის.

თუმცა ვიცით, რომ სულიწმიდას შეუძლია და ახორციელებს კიდეც ჩვენი გულის გარდაიქმნას, თვალის დახამხამებაში ჩვენი სულიერი მომლოცველობის მომენტებში, ჩვენ ასევე ვიცით, რომ მას სრულ სიმწიფემდე მივყავართ პროცესების საშუალებით. ზეციდან/ხელახლად შობისა და სულიწმიდით ნათლობის სასწაული საოცარია და აგვარებს ჩვენს შინაგან პრობლემებს, მაგრამ ეს ავტომატურად ვერ გადაწყვეტს ჩვენი ხასიათის/ბუნები პრობლემებს.

იმის სწავლება, რომ სულიერი ფორმირება არის პროცესი, არ აბათილებს გამოღვიძების არაჩვეულებრივ მომენტებს. იესოს ბევრმა ერთგულმა მიმდევარმა განიცადა სრული განწმენდისა და ღმერთზე მინდობის „ღვთიური მომენტი“ ხელახლა შობის და სულიწმიდით განწმენდის შედეგად. მაგრამ, ისევე, როგორც სასწაულები არ აუქმებს ბუნების ჩვეულ კანონებს, ეს არაჩვეულებრივი მომენტები და სეზონებიც ჩვენს მოგზაურობაში, არ გამორიცხავენ სიმწიფის ნორმალურ პროცესებს, რომლებიც ღმერთმა დააწესა.

A. სულიერი ზრდა ჩვეულებრივ ხდება ფიზიკური ზრდის მსგავსად.

ჩვილები არ გახდებიან ზრდასრული ერთ ღამეში, არამედ მიყვებიან სიმწიფისკენ მიმავალ, ღვთის მიერ რეგულირებულ პროცესს. იგივე ხდება ჩვენი სულიერი ზრდის დროს.

B. სულიერი ფორმირება ზრდის პროცესია, რადგან ჩვენი პრობლემები უფრო ღრმაა, ვიდრე გვგონია.

ჩვენ კულტურა, ოჯახი, გამოცდილება და წარუმატებლობა, იმაზე მეტად გვაყალიბებს და განგვსაზღვრავს, ვიდრე გვგონია. ყველა ჩვევა არ წაიშლება ღვთისკენ მოქცევის სასწაულით. ზოგი ქრისტიანი დედა მაინც ხმას უწევს. ზოგი ქრისტიანი ქმარი ზოგჯერ სიბრაზით მოქმედებს. ქრისტიანი ცოლები ზოგჯერ მფლანგვლები არიან. ქრისტიან მამაკაცებს შეიძლება ზოგჯერ თვალი და გონება გაექცეთ. ქრისტიანები ხშირად ზედმეტად ანებივრებენ საკუთარ თავებს, „ენაჭარტალები“, „ძილისგუდები“ არიან და ა.შ. მე ვმადლობ ღმერთს, რომ მან ცოდვა გვაპატია,

განგვაახლა, მოგვცა სულიწმიდა, ახდენს სასწაულებს და დევნის ეშმაკებს. მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის იქნება წვრთნის საჭიროება.

C. სულიერი ფორმირება ზრდის პროცესია, რადგან გარკვეული ჩვევები რთული დასამარცხებელია.

თუ გადარჩენამდე არ გიყვარდათ კითხვა, სავარაუდოდ ახლა ხართ ქრისტიანი, რომელსაც კითხვა არ უყვარს. გონება კითხვაში უნდა ავარჯიშოთ. თუ თქვენ ნეგატიურობა ან სხვისი განკითხვისადმი მიდრეკილება გახასიათებთ, თქვენ უნდა გაწვრთნათ თქვენი დამოკიდებულება მადლიერებისა და მიმღებლობასთან მიმართებაში. თუ გადარჩენის წინ ძალიან ემოციური ადამიანი იყავით, ახლა ალბათ გადარჩენილი ემოციური ადამიანი ხართ. ახლა თქვენ უნდა დაკავდეთ ემოციების გამოწვრთნით. თუ თქვენ აღგზარდათ მოძალადე მამამ ან ისეთმა პიროვნებამ, ვისაც ქალებზე ძალიან დაბალი შეხედულება ჰქონდა, მაშინ შეიძლება ჯერაც გიჭირთ სიყვარული და პატივისცემა. გაწვრთენით, მოამზადეთ/ავარჯიშეთ საკუთარი თავი. თუ დედათქვენი მუდმივად დუმდა მამათქვენთან და ვერასოდეს აღწევდა თავისას, თქვენც ალბათ ასევე ებრძვით მსგავს ცუდ ჩვევას. შედით ღმერთის სავარჯიშო დარბაზში! თუ თქვენ კლასობრივად მიკერძოვებულნი და წინასწარ ცუდად განწყობილნი ხართ, შეიძლება განიცდით რასობრივ სიამაყეს. გაწვერთნი საკუთარი თავი, რომ იფიქრო ყველა ადამიანზე ისე, როგორც ღმერთი ფიქრობს მათზე. თუ არასდროს მიგიღიათ სითბო, მოგიწევთ ძალისხმევა, რომ აჩვენოთ ქრისტიანული სიყვარული.

ცუდი ჩვევები - აზროვნების გზები, საკუთარი თავის გამოხატვა, პრობლემებზე რეაგირება - ხშირად ჩვენს პიროვნებაში ღრმა ფესვებს იდგავს, და შეუძლებელი ხდება მათი ამოძირკვა სულიწმიდისა და ვარჯიშის გარეშე! მუდმივი წვრთნის/ვარჯიშის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ქრისტეს მსგავსებად გარდასახვას. მოწაფეები ამ ჭეშმარიტების მაგალითია.

> მობრუნდა მოწაფეებთან და მძინარენი ნახა ისინი; უთხრა პეტრეს: "ნუთუ ვერ შეძელით, ერთ საათს გეფხიზლათ ჩემთან ერთად? იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. რადგან სული მოშურნეა, ხორცი კი - უძლური". (მათ. 26:40).

მოწაფეებმა იესოს ტანჯვაში მონაწილეობის და მასთან ბოლო საათებში ლოცვით დგომის რა შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან! რა შესაძლებლობა ქონდათ მოწაფეებს გაევლოთ მისი ნაფეხურების კვალ და კვალ და ეცხოვრათ მისი ცხოვრების მაგალითის თანახმად! მაგრამ ხორცი დომინანტი და გაუწვრთნელი იყო. ამის გამო, მოწაფეებმა მიატოვეს იესო შუა ბრძოლის დროს.

ვიღაც იკამათებს, რომ სულთმოფენობის შემდეგ მოწაფეებს აღარასდროს დაეძინათ ლოცვის დროს და ყოველთვის ფხიზლად იყვნენ! მე ეჭვი მეპარება ამ მტკიცებაში! სულთმოფენობამ უზრუნველჰყო მათში სულიწმიდის დამკვიდრება, მაგრამ ვერ გააუქმა მოწაფეების თვითდისციპლინის საჭიროება. პეტრე, სულთმოფენობის დღის მთავარი გმირი, წერს მოწაფეებს საკუთარ თავზე მუშაობის, სერიოზული წვრთნის აუცილებლობაზე. ხომ გახსოვთ, პეტრე არის ის, ვინც გვარწმუნებს, რომ ჩვენ

მივიღეთ ყველაფერი, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება, მაგრამ ჩვენ უნდა დავამატოთ „სამშენებლო ბლოკი“ წვრთნის სახით.[280]

წვრთნის ილუსტრაცია რეალური ცხოვრებიდან.

პროფესიონალი სპორტსმენები ვარჯიშის საშუალებით ხდებიან უნარიანი და კარგად მომზადებულნი. ისინი არ ელოდებიან, როდის გავლენ კორტებსა თუ მინდორზე, ისისნი არ ელოდებიან შეჯიბრებებს. ასევე ჯარისკაცები, არ ელიან, როდის აღმოჩნდებიან ისინი სისხლიან საბრძოლო ველზე, რომ ისწავლონ იარაღის გამოყენება. დურგლები ხდებიან გამოცდილნი ინსტრუმენტების მუდმივი გამოყენების გზით.

იგივენაირად, როგორც სპორტსმენები, ჯარისკაცები და დურგლები პრაქტიკაში ხდებიან გამოცდილნი, ქრისტიანებიც ქრისტიანული სათნოებას - მოთმინებას, სიკეთეს, თვითკონტროლის უნარს იძენენ - მუდმივი პრაქტიკის მეშვეობით.

> დათესეთ აზრი, მოიმკით მოქმედებას,
>
> დათესეთ მოქმედება, მოიმკით ჩვევას,
>
> დათესეთ ჩვევა, მოიმკით ბედს/ხვედრს.

თვით-გაწვრთნის მაგალითი

დანიელმა იცოდა, რა საშიშროებას შეიცავდა ბაბილონის მოყვარულობა და ღვთისა და მისი საყვარელი სამშობლოს დავიწყება. როდესაც იგი ტყვედ აიყვანეს, მას უნდა გაეანალიზებინა, როგორ დაიცავდა თავის გულსა და გონებას ბაბილონთან მისადაგებისგან (მის პრინციპებთან შემგუებლობისგან). სადღაც მისი გადასახლების დასაწყისშივე, მან გადაწყვიტა გაეწრთვნა/მოემზადებინა გონება და საკუთარი თავი ღვთისა და სამშობლოს ერთგულებისთვის:

> როცა შეიტყო დანიელმა რომ ასეთი წერილი დაიბეჭდა, ავიდა თავის სახლში, რომელსაც ღია სარკმლები ჰქონდა იერუსალიმისკენ, ზედა ოთახში, სადაც დღეში სამჯერ იყრიდა მუხლს, ლოცულობდა და მადლობას სწირავდა თავის ღმერთს, როგორც ამას ადრეც აკეთებდა.[281]

მისი ტვეობის დასაწყისიდანვე, დანიელმა ჩამოიყალიბა ყოველდღიური ჩვევა - დისციპლინა, რომელიც დაიცავდა მის გულს ბაბილონის შეყვარებისგან და შეანარჩუნებინებდა ერთგულებას სამშობლოს მიმართ და სიყვარულს ცოცხალი ღმერთის, იაჰვეს მიმართ.

დანიელის სწავლებამ გამოიწვია საოცარი ხედვები, სულიერი და საერო გავლენა, ეფექტური ლოცვა; და მან ღრმა გავლენა მოახდინა გადასახლებულ ებრაელებზე. დანიელის მსგავსად, წარმატებული ქრისტიანებიც ისინი არიან, ვინც ღვთისმოსაობაში ვარჯიშობენ.

---

[280] 2პეტ.1:5

[281] დან. 6:10

დასკვნა

გსურთ უფრო ძლიერი ქრისტიანი იყოთ? ახალგაზრდებს ხშირად არასწორად ესმით რას ნიშნავს ნამდვილი ძალა. ძალა არ არის ცდუნების არარსებობა. ძალა არ არის მშვიდი გულგრილობა ტკივილის, სილამაზის, უსამართლობის, გრძნობითი (ხორციელი) სიამოვნებების მიმართ. ძლიერი ქრისტიანები არ არიან ისინი, ვისაც იმუნიტეტი აქვთ სიამაყისადმი, უგრძნობები არიან გულსატკენი და ჭრილობების მიმაყანებელი სიტყვებისადმი, ვისთვისაც აკრძალულ ხილში არაფერია მიმზიდველი, ან არ გააჩნიათ ხორციელი განცხრომის არავიტარი მოთხოვნილება. საუკეთესო სიტყვა იმ ადამიანების ასაღწერად, რომლებიც არც არაფერს გრძნობენ, ვერაფერს ხედავენ, ვერაფერს შეიგრძნობენ და არაფერს აგემოვნებენ, არ არის „ძლიერი“, არამედ ... „მკვდარი“!

ნამდვილი სიძლიერე გვხვდება:

- მადლში, რომ საბოლოოდ/გადაწყვეტილად გავუსწორდეთ ცოდვას და ყველაფერს, რაც ხელს უშლის ჩვენს სულიერ წინსვლას.
- მადლში, რომ ღვთის დარბაზში შეხვიდე ყოველ დღე, ღვთისმოსაობაში სავარჯიშოდ.
- თავმდაბლურ სიმამაცეში, რათა ჩამოვიყალიბოთ დაცვის მექანიზმები იქ, სადაც ყველაზე დაუცველები ვართ ცდუნებისგან.
- მიძღვნაში სულიერი დისციპლინის პროცესისა და სიძლიერის განმტკიცებისადმი
- სულიერ სიფხიზლეში ყოველდღიურად და ლოცვით ღვთის მთელი საჭურველის ასხმაში.
- სულიწმიდით აღვსებაში!

ჩვენს შვილს ჯესის, რომელიც უსინათლოა, ჰყავს მშვენიერი მეგზური ძაღლი, სახელად ”ნალა”. ნალამ ბევრი რამ მასწავლა დისციპლინის და წვრთნის უპირატესობის შესახებ. იმისათვის, რომ იგი სასარგებლო გახდეს მისი პატრონისთვის - მისი დაცვის და წინამძღოლობის კუთხით - მან პირველ რიგში უნდა გაიაროს რვა თვის მკაცრი წვრთნა. იმისათვის, რომ იგი შემდგომშიც სასარგებლო იყოს, მან უნდა იცხოვროს მოწესრიგებული, დისციპლინირებული ცხოვრებით. მისი საკვები და წყალი საგულდაგულოდ რეგულირდება/განისაზღვრება. მისი ძილი და თავისუფალი დრო იმართება. ის უკვე გაწვრთნილია, რომ არ უყეფოს და არ სდიოს კატებს! ის მთელი დღის თითქმის ყოველ წუთს ატარებს ჯესის გვერდით, ან მის მეგზურობაში, ან წყნარად ჯდომაში, ჯესისგან შემდეგი ბრძანების მოლოდინში. ნალას წვრთნა ჯილდოვდება უამრავი სითბოთი, საკვებით და ყოველდღიური თამაშის დროით! ნალას სასიამოვნო და სასარგებლო/ღირებული ცხოვრება აქვს... დისციპლინის შედეგად.

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირის მანძილზე დაუთმეთ მინიმუმ ოცდაათი წუთი ამ გაკვეთილის გადახევას, ბიბლიური მუხლების ჩათვლით, სთხოვეთ სულიწმიდას განმარტება.

2. თქვენს დღიურში ჩაწერეთ ნებისმიერი კონკრეტული ცვლილება, რომელიც უნდა განახორციელოთ თქვენს ცხოვრებაში, რადგან უფალი გიცხადებთ მათ.

3. თქვენს ყოველდღიურად ლოცვისთვის გამოყოფილ დროს იფიქრეთ (დრო გაატარეთ ფიქრში) მინიმუმ ერთ ფსალმუნზე და თქვენს დღიურში ჩაწერეთ, თუ რას ამბობს მეფსალმუნე ღმერთის ბუნებასა და ხასიათზე.

4. ჩაწერეთ თქვენს დღიურში პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისა და ზრდისთვის, ამ გაკვეთილის საფუძველზე.

5. გამოიყენეთ დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვების სახელმძღვანელო თქვენი ყოველდღიური პირადი ლოცვის დროს.

ჩავულრმავდეთ

ჯეიმს ბრაიან სმიტი (Smith, James Bryan), კეთილი და მშვენიერი ღმერთი (*The Good and Beautiful God*). InterVarsity Press, 2009 წ

ტესტი 7 გაკვეთილისთვის

1. რას ნიშნავს ღვთისმოსაობა?

2. რას გულისხმობდა პავლე „ღვთისმოსაობაში ვარჯიშში“?

3. რომელი შვიდი სათნო თვისება დაასახელა პეტრემ, რომელიც ჩვენს რწმენას უნდა შევმატოთ?

4. რა არის ის სამი რამ, რასაც მოიცავს ვარჯიში, ანუ წვრთნა?

5. დაასახელეთ რამდენიმე სულიერი დისციპლინა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ჩვენში ქრისტიანული ბუნების განსავითარებლად.

გაკვეთილი 8

მიძღვნის სულიერი დისციპლინები

განმარტოება, მედიტაცია, მარხვა, უბრალოება

გაკვეთილის მიმოხილვა

განიხილეთ მე-7 გაკვეთილის ძირითადი პუნქტები. ჰკითხეთ სტუდენტებს, ვის სურს გაგიზიარონ მე–7 გაკვეთილიდან გამომდინარე თავიანთი პირადი ლოცვები.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეს/სტუდენტს უნდა:

(1) ესმოდეს კლასიკური სულიერი დისციპლინების მნიშვნელობას სულიერი ფორმირებისთვის

(2) უკეთ გაიაზროს და ჩაწვდეს ამ დისციპლინების არსს

(3) დაიწყოს ამ დისციპლინების პრაქტიკაში გამოყენება.

ცხოვრებისეული მომენტები

❖ დეიზი ხელმძღვანელობს საზღვარგარეთელი უცხოელი მშრომელების კრებას (OFWs) პარიზში. ფინანსურად გადარჩენის მიზნით, მისი მრევლის თითქმის ყველა წევრი, რომელიც ჩამოსულია, საკმაოდ ხალხმრავალ პირობებში, მცირე ზომის ბინებში ცხოვრობენ ერთად. მათ უმეტესობას ძალიან ხაგრძელივი სამუშაო დღეები აქვთ და მუშაობს მთელი წლის განმავლობაში, შვებულებისთვის და დასვენებისთვის კი ძალიან ცოტა დრო აქვთ. შეიძლება სულიერი ფორმირება მოხდეს ასეთ რთულ პირობებშიც კი?

❖ აშშ – ს გარეთ მყოფი ქრისტიანების უმეტესობა ცხოვრობს ჭარბი რაოდენობის მოსახლეობით გადატვირთულ ქალაქებში. უმეტესობა სიღარიბის პირობებში ცხოვრობს, ცდილობს თავი გაიტანოს დღეში 4 დოლარად, ან უფრო ნაკლები შემოსავლით. ბევრი მათგანი ზოგჯერ დღეში ორ-სამ საათს გზაში ატარებს. უმეტესობა ცხოვრობს დიდ ოჯახებში, მშობლებთან ერთად, ან პირიქით, თავის ოჯახებისგან შორს, უცხოებთან ერთად. ამ მორწმუნეებისთვის ლოცვისთვის განკუთვნილი, მშვიდი დროისა და განმარტოების ადგილის მონახვა დიდი გამოწვევაა; ხოლო ლოცვისა და ღვთის სიტყვაზე მედიტაციის პრიორიტეტეტად ქცევა, უზარმაზარი მიძღვნას და რწმენას მოითხოვს.

❖ დასავლეთში, ქრისტიანების უმეტესობა ცხოვრობს ძალიან სწრაფად განვითარებად მატერიალურ სამყაროში. საკმაოდ ძნელია, დიდი ხნით შეჩერდე, რომ სულიერზე ფოკუსირებული გახდე. როგორც წესი, მათ აქვთ საკმარისი სივრცე, ცხოვრობენ საშუალო დონეზე უკეთესად, აქვთ წვდომა მშვიდ და თავისუფალ სივრცეზე და თუ ცოტათი გაამარტივებენ ცხოვრებას, მათ შეუძლიათ ქონდეთ თავისუფალი დრო სულიერი დისციპლინებისთვის. მათი გამოწვევა ხშირად მხოლოდ დისციპლინების ღირებულების დანახვა და დროის გამოყენება ღმერთის თანდასწრების მისაღწევად.

შესავალი

პარის აილენდში, სამხრეთ კაროლინაში, საზღვაო საწვრთნელი ბანაკის წინა კარიბჭესთან, არის ასეთი წარწერა: **"იქ სადაც იწყება განსხვავება!"**[282] რაში მდგომარეობს განსხვავება შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითისთვის? რამდენიმე განსხვავება საზღვაო ქვეითებში ასეთია: მედეგი/გამძლე სხეულის მდგომარეობა, უნაკლო უნიფორმა,

ფოკუსირების და შეუპოვრობის გრძნობა, პირადი დისციპლინა, ფიზიკური და გონებრივი სიმტკიცე, ბრძანებების შესრულების მზადყოფნა და უნარი იმოქმედო, როგორც საბრძოლო გუნდის წევრმა. ეს თვისებები ვითარდება პარის აილენდში სერიოზული წვრთნის შედეგად. საზღვაო ქვეითებმა იციან, რომ მათი ცხოვრება შესაძლოა დამოკიდებული გახდეს მათი წვრთნის ხარისხზე. სწორედ წვრთნაა, სადაც განსხვავება იწყება!

◆ თუ უცხო თვალით შეხედავდით ქრისტიანებს თქვენს ეკლესიაში, რას ჩამოვთვლიდნენ ეს გარეშეები მთავარ განსხვავებად მორწმუნეებსა და ურწმუნოებს შორის?

ეკლესია, ღვთის ჯარი, მოწოდებული, რათა „მოიმოწაფოს ყველა ხალხი/ერი“.[283] ეს უფრო მეტია, ვიდრე ახლადმოქცეულების მოყვანა ხსნის მიღების სესახებ დასამოწმებლად; ეს ნიშნავს დაეხმარო ახალ მორწმუნეებს ქრისტეს ხატად ჩამოყალიბებაში. მათი ცხოვბა, ისევე როგორც ეკლესიის ცხოვრება, დამოკიდებულია ამ მოწოდების ერთგულებაზე.

როგორ აღვასრულოთ ეს? როგორ ვაქციოთ იესოს ერთგული მიმდევრებად? რაც უფრო მნიშვნელოვანია ამ სასწავლო კურსისთვის, როგორ განვავითარებთ ქრისტეს-მიერ ბუნებას? როგორ გარდავიქმნებით სისუსტის/დამსხვრეულობის და ეგოცენტრული მდგომარეობიდან - მთლიანობისა და ღვთის სასუფევლისთვის სარგებლიანობის მდგომარეობაში? პასუხის ნაწილი კლასიკური სულიერი დისციპლინების პრაქტიკაში გატარებაშია. რიჩარდ ფოსტერი ამბობს: ”ზედაპირულობა არის ჩვენი დროის წყევლა .... დღევანდელი დღის უაღრესი საჭიროება არა იმდენად უფრო მეტი ჭკვიანი, ან ნიჭიერი ადამიანების, არამედ ღრმა ადამიანების ყოლაა. სულიერი ცხოვრების კლასიკური დისციპლინები მოგვიწოდებს, რომ გამოვიდეთ ცხოვრების ზედაპირული ჩარჩოდან და წავიდეთ სიღრმისეული ცოდნისკენ ”[284]

"კლასიკურ დისციპლინებში" მოიაზრება ყველა ის დისციპლინები, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენებოდა ყველა თაობის ერთგული ქრისტიანების მიერ.

ძირითადი აზრი

სულიერი დისციპლინების პრაქტიკაში გატარება, სულიწმიდის მსახურებასთან ერთად, უზრუნველყოფს მომზადებას/წვრთნას გამარჯვებული ცხოვრებისთვის. ისინი უაღრესად აუცილებელია ნომინალური, ნელთბილი, ხშირად დამარცხებადი ქრისტიანული ცხოვრებიდან

---

[282] ილუსტრაცია და პროგრამა ადაპტირებულია დოქტორ მაიკლ ევერისგან

[283] მათ.28:19

[284] რიჩარდ ფოსტერი (Richard Foster), „დისციპლინის დღესასწაული“ (Celebration of Discipline), HarperCollins, 1998

გამარჯვებულ ცხოვრებაზე გადასასვლელად. ქრისტიანთა ყველა ერთგულმა თაობამ დაადასტურა ეს.

გაკვეთილი

სულიერ დისციპლინებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყველა მორწმუნის ცხოვრებაში

სულიერი დისციპლინები მნიშვნელოვანი იყო იესოს ცხოვრებაში; თუ ჩვენ მის მსგავსებაში გარდავიქმნებით/გარდავისახებით, ისინი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდება ჩვენს ცხოვრებაშიც.

1. სულიერი დისციპლინები ებრძვის ქვეყნიერებას, ხორცსა და ეშმაკს.

უმჯობესია აღვიქვამდეთ ქრისტიანულ ცხოვრებას, როგორც ბრძოლის ველს.[285] გულმხურვალე, რწმენით აღსავსე ძალისხმევისა და სულიერი წინააღმდეგობის აუცილებლობა აშკარად ხაზგასმულია იესოს და მოციქულების მიერ.

იესომ თქვა: ”იოანე ნათლისმცემლის დღიდან აქამდე ცათა სასუფეველი ძალისხმევით აიღება და ძალისმხმეველნი (ვინც შეიარაღებულია, გულმხურვალე და სიღრმისეულად მიძღვნილი) წარიტაცებენ მას.”[286] პავლე ქრისტიანულ ცხოვრებას უწოდებს ბრძოლას.[287] ამ ბრძოლაში სჭრია ბრძოლაზე მომართული, სიფხიზლის მქონე, მღვიძარე/გულმოდგინე ქრისტიანები. ნომინალური, ნელთბილი მორწმუნეები უბრალოდ ვერ გაუძლებენ.

> **მოწაფეები მოგვიწოდებენ ვისწრაფოთ ნომინალური ქრისტიანული ცხოვრების ჩარჩოებს მიღმა, იესოს სიღრმეებისკენ. ისინი ჩვეულებრივი ქრისტიანობის მიღმა, ძლიერი სულიერი ათლეტიზმისკენ მოგვიწოდებენ, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო და უფრო მეტად ჩავწვდეთ ღვთის ოკეანეების სიღრმეებს. – რიჩარდ ფოსტერი**

ჯონ ბუნიანის ალეგორიაში ‘‘პილიგრიმის წინსვლა‘‘, რომელშიც მთავარი გმირი - ქრისტიანი, სტუმრობს თარჯიმნის სახლს. იქ ქრისტიანს უჩვენებენ ხილვას, თუ როგორ აღებს შეიარაღებული ადამიანი ზეცის კარიბჭეს, გადალახავს მცველების წინააღმდეგობას და შემდეგ დიდი სიხარულით შედის წმინდა ქალაქის კარიბჭეებში. ქრისტიანი ვერ იგებს, რას ნიშნავს ეს ხილვა, ამიტომ ინტერპრეტატორი/თარჯიმანი განმარტავს მას. ხილვა ნიშნავს, იმას, რომ თითოეულ იმ ქრისტიანს, ვისაც გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს ზეცას/ცათა სასუფეველს, მოეთხოვება სწრაფი, გულმოდგინე, გამბედავი ძალისხმევა, რადგან მთელი ჯოჯოხეთია გამოსული ჩვენს გასაჩერებლად.

სულიერი დისციპლინების პრაქტიკაში გატარება განამტკიცებს/გააძლიერებს ჩვენს გულებს და მოგვამზადებს, აღგვჭურვავს გინებრივად და სულიერად ქვეყნიერებასთან, ხორციელობასთან და ეშმაკთან საბრძოლველად.[288]

---

[285] 1ტიმ. 6:12
[286] მათ. 11:12
[287] 2ტიმ.4:7
[288] ეფეს.6:12; 1 ინ. 2:16

2. სულიერი დისცილპინები არის მადლის საშუალება, რომელიც აღგვჭურვავს ჩვენ ბრძოლისთვის.

ამ ბრძოლის ველზე მადლი გვჭირდება. მე და თქვენ არ მივესადაგებით ქვეყნიერებას, ხორცს ან ეშმაკს. მართლაც, ადამიანის სიმართლისკენ სწრაფვა არასაკმარისია. გამართლება ღვთის საჩუქარია. არაფერია ისეთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია იესოს სისრულის მისაღებად. მაგრამ ღმერთმა სულიერი დისციპლინები მოგვცა, როგორც მადლის მიღების საშუალება. რიჩარდ ფოსტერი წერს: "ფერმერი უმწეოა მარცვლეულის მოსაშენებლად; რისი გაკეთებაც მას შეუძლია, ესაა უზრუნველყოს მარცვლეულის ზრდისთვის შესაფერისი პირობები. ის ამუშავებს მიწას, ის თესავს თესლს, რწყავს მცენარეს, შემდეგ კი დედამიწის ბუნებრივი ძალები იწყებს მოქმედებას და მარცვალი იწყებს ამოსვლას. სულიერ დისციპლინებთან მიმართებაშიც იგივე ხდება - ისინიც სულში თესვის საშუალებაა. დისციპლინები ღმერთის გზაა იმისთვის, რომ ჩვენ ნიადაგისკენ, ანუ სიღრმისეული ცოდნისკენ წაგვიყვანოს; ისინი ჩაგვაყენებს იმ მდგომარეობასი, სადაც უფალს შეეძლება ჩვენს შინაგანზე იმუშაოს და გარდგვქმნას."[289]~~289~~

სულიერი ფორმირების მასწავლებელი და ავტორი რობერტ მულჰოლენდი წერს: "საბოლოო ჯამში, ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ ისეთს, რომ შევძლოთ გვიყვარდეს და ვემსახუროთ უფალს ისე, როგორც ეს იესომ გააკეთა, გარდა იმისა, რომ ღმერთს მივცეთ საშუალება, საკუთარი ხელით მოიმოქმედოს თავისი გარდამსახველი მადლის საქმეები ჩვენს ცხოვრებაში."[290]

იგი აგრძელებს განმარტებას, რომ არსებობს სამი გზა, რომლითაც ღმერთს ჩვენი სულიერი ფორმირების საშუალებას ვაძლევთ: დაპირისპირება, მიძღვნა/კურთხევა და სულიერი დისციპლინები:

A. მადლი მოედინება დაპირისპირებაში - "ზოგიერთი არხის საშუალებით - წმინდა წერილი, თაყვანისცემა… და ან ძმა ქრისტეში... - ღვთის სულმა შეიძლება გამოიკვლიოს ის ზოგიერთი არეალი, რომელშიც ჩვენ არ ვართ გამყარებული ქრისტეში/მისი მსგავსნი".[291]

B. მადლი მოედინება მიძღვნაში - "ჩვენ უნდა მივიდეთ იმ აზრამდე, რომ ღმერთს ვუთხრათ დიახ, ყველა იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ჩვენშია და უნდა მივცეთ ნება, რომ შეასრულოს ის საქმე, რისი გაკეთებაც სურს ... რადგან ის იძულებით ვერ განახორციელებს ტრანსფორმაციას/გარდაქმნას ჩვენში."[292] ჩვენ უნდა გავუღოთ ჩვენი სულების კარები ღმერთს.

C. მადლი მოედინება სულიერი დისციპლინებით - ეს არის ღმერთისთვის კარის გამღები მოქმედებები, მიზანმიმართული, თანმიმდევრული წესით.

> ◆ კითხვები განსახილველად: არსებობს რაიმე მსგავსება, იმ მოქმედებებს შორის, რაც ხდება სამხედრო ბანაკში და რაც ხდება თქვენს ეკლესიაში? რაც ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში? გაგონებთ თქვენი ადგილობრივი ეკლესიის ქრისტიანები ჯარისკაცებს, რომლებიც ბრძოლის

[289] ფოსტერი, 6.
[290] მულჰოლენდი, 26.
[291] Ibid, 37.
[292] Ibid, 38.

ველზე არიან ჩართულნი აქტიურ მოქმედებებში, თუ გაგონებთ ბავშვებს სათამაშო მოედანზე? როგორ ფიქრობთ, რამდენად განსხვავებული იქნებოდა თქვენი ცხოვრება ნამდვილად რომ გჯეროდეთ, რომ მართლაც ბრძოლის ველზე ხართ?

3. სულიერი დისციპლინები უზრუნველგვყოფს ღმერთით უფრო მეტ ტკბობას.

დიახ, ჩვენ ჯარისკაცები ვართ. მაგრამ ჩვენ ჯარისკაცები ვართ, რომლებიც საქორწილო სუფრისკენ მიმავალ გზაზე არიან. ჩვენ ხშირად ქრისტიანებზე, რომლებიც სულიერ დისციპლინებს ასრულებენ, ვფიქრობთ, როგორც ძალზე სერიოზულ, მკაცრ და უკმაყოფილზეც კი. ზოგჯერ ეს მართალია; მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ ქრისტიანულ ცხოვრებაზე არა მარტო როგორც ომზე, არამედ ქორწილზეც.[293]

ჩვენ ვართ ქრისტეს საპატარძლო ჩვენი ქორწილისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენი ქორწილის დღე იქნება ქრისტესთან სრულყოფილი გაერთიანების დღე და მარადიული დღესასწაულის და ქეიფის დღე. როგორც გზაზე მიმავალი ქრისტიანები, სიხარულის მოლოდინი, რომელსაც განვიცდით და ქრისტესადმი მზარდი სიყვარული, ჩვენი საქმრო, გვავსებს სიხარულით - სიხარულით, რომელიც ხშირად იფრქვევა ჩვენი გულებიდან ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ღვთის წმინდანები მთელ მსოფლიოში, რომლებმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს ჩემს ცხოვრებაზე, არ არიან მოწყენილნიი და მწუხარენი. ისინი არ არიან დეპრესიული ან უარყოფითად განწყობილნი. სულიერი დისციპლინების პრაქტიკა არ აამაღლებს მათ "ნორმალური" ადამიანებისაგან სულიერი სიამაყით ან განყენებულობით. ისინი ფრთხილად და ფხიზელი გონებით არიან; მაგრამ, იესოს მსგავსად, ისინი მსოფლიოში ყველაზე თავმდაბალი, ოპტიმისტი და მხიარული ხალხი არიან.

სულიერი დისციპლინები არასოდეს უნდა გახდეს უბრალო ჩვევები, არამედ პრაქტიკა, რომელიც იწვევს ღმერთით სიამოვნების/ტკბობის სისრულეს.

ქრისტიანები, რომლებიც მთელი მსოფლიოს დარდს საკუთარ კისერზე ატარებენ, სინამდვილეში, არ ასრულებენ წესებს; ლოცვას, მარხვას ან მედიტაციას ღვთის სიტყვაზე. ღმერთის თანდასწრების განცდა არის ის, რაშიც დისციპლინები შეიძლება დაგვეხმაროს, სულიერ თავისუფლებას მოგვიტანს. შფოთვა, შიში და დათრგუნვა წავა ჩვენგან იესოს თანდასწრებაში.

მნიშვნელოვანია, რომ ქრისტიანები სწავლობენ ღვთის სიკეთისა და კურთხევების აღნიშვნას/ზეიმს, თუნდაც ბრძოლის ველზე. ჩვენი "პატარა" დღესასწაულები, წინაპირობებია ჩვენს გზაზე ქორწილისკენ! ჯონ ვესლი ასწავლიდა, რომ ღმერთს შეყვარება არის „ისიამოვნო მისით, იხარო მისი ნებით, მუდმივად გსურდეს აამო/ასიამოვნო მას, ვეძიოთ და ვიპოვნოთ ჩვენი ბედნიერება მასში, და დღე და ღამე გვწყუროდეს მისით სრულყოფილად დატკბობა“.[294] სულიერი დისციპლინები არასდროს უნდა იქცეს უბრალო ჩვევად, არამედ პრაქტიკულ მოქმედებად, რომელიც მიგვიყვანს ღმერთით უფრო სრულყოფილად სიამოვნებამდე და მოგვანიჭებს მის ბევრ კურთხევას.

---

[293] გამოცხ. 21:9

[294] იხილეთ ვესლის ქადაგება ბმულზე: http://wesley.nnu.edu/john-wesley/the-sermons-of-john-wesley-1872-edition/sermon-139-on-love/.

ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ლოცვა, მარხვა ან რაიმე სულიერი დისციპლინა არ მივიჩნიოთ საშუალებად, რომლითაც ღვთის კეთილგანწყობას მოვიპოვებთ, რომ ღმერთი ჩვენ მოვალედ არ მივიჩნიოთ, ან თუნდაც მისგან რაიმე მატერიალური „კურთხევის“ მისაღებად არ გამოვიყენოთ. სულიერი დისციპლინები არის ღმერთთან უფრო ღრმა ურთიერთობის განვითარებისთვის და არა იმისთვის, რომ ის ჩვენი მოვალედ ვაქციოთ.

4. სულიერი დისციპლინები არის მადლის საშუალება, რომ ჩვეულებრივი მოწაფეები ქრისტეს ხატად ჩამოყალიბდნენ.

სულიერი დისციპლინები არ არის სუპერ ქრისტიანებისთვის, რადგან ასეთები არ არსებობენ. სულიერი დისციპლინებია დიასახლისებისთვის, ფერმერებისთვის, ქარხნის მუშაკებისთვის, ემიგრანტთათვის, პროფესორთათვის, სტუდენტთათვის, ბიზნესის მეპატრონეებისათვის და ... ყველასათვის.

ღმერთის განზრახვაა, რომ სულიერი ცხოვრების დისციპლინები იყოს ჩვეულებრივი ადამიანებისთვის: მათტვის, ვინც მუსაობს, ვინც ბავშვებზე ზრუნავს, ვინც ჭურჭელს რეცხავს ან გაზონებს თიბავს. სინამდვილეში, ამ დისციპლინების პრაქტიკაში გატარება საუკეთესოდ ხდება სწორედ ურთიერთობისას ჩვენს ქმართან ან ცოლთან, ძმასთა და დასთან, ან მეგობართან თუ მეზობელთან. – რიჩარდ ფოსტერი

იესოს მოწაფეები უბრალო მეთევზეები იყვნენ; და მაინც, მათ იესოსგან ისწავლეს განმარტოების, მედიტაციის, ლოცვის, მარხვის, თაყვანისცემის, მსახურების და უფლის სერობის პრაქტიკა. იესოს საქმეების პრაქტიკაში გამოყენებით, ისინი თანდათან უფრო ემსგავსებოდნენ მას. ამ დისციპლინების პრაქტიკით, ღვთის ძალა მოედინებოდა მათ ცხოვრებაში, მათში და მათგან.

იაკობი ამხნევებდა ჩვეულებრივ ქრისტიანებს: „ელია ჩვენი მსგავსი კაცი იყო და ლოცვით ილოცა, რომ არ მოსულიყო წვიმა და არ მოსულა ქვეყნად წვიმა...კვლავ ილოცა და ცამ მოსცა წვიმა და მიწამ აღმოაცენა თავისი ნაყოფი.”[295] ღმერთი პასუხობს უბრალო ხალხს, და იყენებს მათ უფლისვე სადიდებლად.

კლასიკური სულიერი დისციპლინების განსაზღვრა

ამ და შემდეგ გაკვეთილში, მოკლედ გამოვიკვლევთ ზოგიერთ კლასიკურ სულიერ დისციპლინებს და მოვიძიებთ პრაქტიკულ გზებს, როგორ გამოვიყენოთ ისინი ჩვენს ღმერთთან სიარულში.[296] ზოგი მათგანს უფრო მეტი ახსნა დასჭირდება, ვიდრე სხვებს.

1. განმარტოების სულიერი დისციპლინა: „განთიადამდე, ჯერ კიდევ ღამიანად ადგა,გავიდა და წავიდა უდაბურ ადგილას, და იქ ლოცულობდა.”[297]

---

[295] იაკ. 5:17-18

[296] რიჩარდ ფოსტერის წიგნი „დისციპლინების ზეიმი“; დენ გლიკის ბუკლეტი „მადლის დისციპლინები“; ქეით დრურის „სულის მაფორმირებელი“

[297] მარკ. 1:35

A. განმარტოების მნიშვნელობა

განმარტოვება ხალხისგან გამოყოფაა იმისთვის, რომ დარჩე ღმერთთან მარტო და მიუახლოვდე მას. როგორც სულიერი დისციპლინა, განმარტოვება არ არის უბრალოდ მარტო ყოფნა, არამედ უფალთან მარტო ყოფნა. განმარტოვება არის მარხვა მეგობრობისაგან, რათა ყურადღება გავამახვილოთ უმთავრეს მეგობრობაზე - მეგობრობაზე ღმერთთან.

მაგრამ განმარტოვება უნდა გვესმოდეს, არა მხოლოდ ფიზიკურად განცალკევებულ ადგილზე გასვლა, არამედ გონებრივადაც. განმარტოვება ნიშნავს ჩვენი გონების კარის ცოტა ხნით ჩაკეტვას გარე სამყაროსგან, იმისთვის, რომ ჩვენში მოხდეს შინაგანი ადამიანის განახლება. თუ ასე განვიხილავთ განმარტოვებას, მაშინ შესაძლოა მეტროში მგზავრობა ან უამრავი ექიმის თავმოყრის ოთახი (საორდინატორო) იქცეს განმარტოების ადგილად, როდესაც სხვაგან ვერ ვახერხებთ ფიზიკურად განმარტოვებას.

B. განმარტოვება იესოს ცხოვრებაში

ლუკა გვეუბნება, რომ იესო ხშირად „ის კი უდაბნოში (უდაბურ, უკაცრიელ ადგილებში) მიდიოდა და ლოცულობდა.“[298] რატომ აკეთებდა ამას? იმის გამო, რომ ხალხის მსახურება იწვევდა მისი სულიერი რესურსების განლევას, ამოწურვას - რესურსების, რომლებიც საჭიროებდა მუდმივად განახლებას. მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ რამდენიმე წელი ჰქონდა მიწიერი მოღვაწეობის დასასრულებლად, იესომ გამიზნულად გეგმავდა თავის ცხოვრებას იმგვარად, რომ შეძლებოდა მიმდევრებისგან გასხლტომა და მამასთან მარტო დარჩენა.

C. განმარტოების ძალა სულიერ ფორმირებაში

ერთ-ერთი საეკლესიო მამა, დიადოქოს ფოტიკიელი, აღნიშნავდა, რომ თუ ჩვენი ცხოვრების კარი დიდხანს დარჩება ღია სხვა ადამიანებისთვის, მაშინ ჩვენი სულის სითბო გაიფანტება.[299] მე ეს ჩემს ცხოვრებაშიც გამოვცადე. სულიერად გაღარიბებას ვიწყებ, როდესაც ვერ ვახერხებ იესოს ფეხებთან ჯდომას. შფოთვა, მოუთმენლობა, თვითდაჯერებულობის დაკარგვა, პესიმისტური განწყობა და აზრები, სიცარიელის გრძნობა, კრიტიკული დამოკიდებულება (კრიტიკის სული) - ეს არის განმარტოების უგელვებელყოფის შედეგები.

განმარტოების დროს, ჩვენ ვკარგავთ ჩვენს მიმართ არაჯანსაღად დამოკიდებულ ხალხს. განმარტოებით, ჩვენ თვალს ვაშორებთ ადამიანებს და მათ ქმედებებს, რითიც ისინი ტკივილს ან იმედგაცრუებას გვაყენებენ და ისევ უფალს ვუბრუნდებით. რეალური განმარტოების დროს მთელი ჩვენი ყურადღება სულიწმინდაზე გადაგვაქვს. ის გადააწყობს ჩვენს პერსპექტივას და პრიორიტეტებს თავის პერსპექტივასა და პრიორიტეტებზე და ღვრის განაახლებულ მშვიდობას, სიყვარულს და სიხარულს ჩვენს გულებში. განმარტოებისას, ჩვენ მადლს ვპოულობთ იმისთვის, რომ დავუბრუნდეთ

[298] ლუკ.5:16 (აგრეთვე იხილეთ მათ14:23; მარკ 1:35; ლუკ.4:42)
[299] Drury, 27

ჩვენს ეკლესიებს/თემს/საზოგადოებას და პასუხისმგებლობებს სულიწმინდის ცხებულებით, რათა მან გავლენა დიდხანს იქონიოს.

განმარტოება გვაშორებს დაკავებულობის და პროდუქტიულობაზე მომართულობის სასიკვდილო დაავადებას. მარტოობაში, ჩვენ ვხვდებით, რომ ღმერთი ჩვენ იმის გამო კი არ გვაფასებს, რას ვაკეთებთ მისთვის, არამედ ვინ ვართ - ჩვენი შინაგანი არსებით. ამქვეყნიურად მოაზროვნე ხალხი თვალსაჩინო მიღწევებს აფასებს იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენი გონების განახლებას ღვთის თანდასწრებაში. სულიერად მოაზროვნე ადამიანებმა იციან, რომ ჩვენი შინაგანი არსების ქრისტეს ხატად გარდასახვა არის ღვთის მთავარი მიზანი გამოსყიდვაში.

> **თითქმის შეუძლებელია მთელი დღე გავატაროთ ადამიანებთან ერთად მუდმივად საუბარში და არ განვიცდიდეთ სულში დანაკარგებს, რაიმე სახით და დოზით და არ გამოვიწვიოთ სულიწმიდის დანაღვლიანება. ჩვენ ყოველდღიურად გვესაჭიროება განცალკევება ამ ქვეყნიერებისგან, თუნდაც მხოლოდ დილა-სარამოს, რათა ვესაუბროთ ღმერთს, უფრო თავისულად ვიურთიერთოთ და მოზიარეობა ვიქონიოთ ჩვენს მამასთან, რომელიც დაფარულშია. - ჯონ ვესლი**

განმარტოებისას, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ სულიწმინდას შეუძლია გაცილებით მეტის გაკეთება, თუ მასში ვრჩებით, ვიდრე ჩვენი უიმედო ძალისხმევისას, მისთვის რამე დიდებული გავაკეთოთ.[300]

როდესაც ვიწყებთ განმარტოებით

1)იპოვნეთ თქვენთვის შესაფერისი ადგილი.

იყავი კრეატიული. აზიური ბიბლიის სკოლის ერთი სტუდენტი საწოლის ქვეშ ძვრებოდა, რომ ღმერთთან მარტო დარჩენილიყო, რადგან ის ერთადერთი წყნარი ადგილი იყო, რომლის პოვნც მან შეძლო! სხვები, ჩემსავით, ასეთ ადგილად პარკს თვლიან, რადგან ჩემს სახლთან ახლოს მდებარე პარკში განმარტოებისა და სეირნობის დროს შესაძლებელია ღმერთთან საუბარი. ფილიპინებში, მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში, მინიმუმ ერთმა პასტორმა თქვა, რომ მან იპოვა განსამარტოვებლად საპირფარეშო (საჭირო ოთახი), რადგან ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც მას შეეძლო ადამიანებისგან განმარტოვება! შეიძლება ახლა თქვენი გარემოებები შეუძლებელს ხდის თქვენს მახლობლად წყნარი ადგილის პოვნას. უფალს ესმის სად ხარ და დაგეხმარება, თუკი შენ ნებას მისცემ.

2) დაგეგმეთ რეგულარული განმარტოების დრო.

იმისთვის, რომ მარტოობა ტრანსფორმაციული დისციპლინა გახდეს, მნიშვნელოვანია, რომ იპოვოთ რეგულარული დრო, რომელიც ხელსაყრელია თქვენთვის და ჩაეჭიდეთ მას. ჯონ ვესლიმ თქვა, რომ "რომელიმე დრო" დროის „არქონას“ ნიშნავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ჩვენ რეგულარულად არ დავნიშნავთ უფალთან მარტო ყოფნის დროს, ის არც გვექნება.

[300] ინ. 15:4

3) ყურადღება გამახვილეთ ღმერთზე.

ნუ ეძებთ სულიერ ხედვებს, სიზმრებს და ზებუნებრივ ნიშნებს. ეძიეთ მხოლოდ თქვენი გულის სიმშვიდე და ღმერთთან ურთიერთობა მისი სულიწმიდის მეშვეობით, მისი სიტყვით.

4)იყავით მომთმენი.

დისციპლინა ყოველთვის წინ უძღვის სიამოვნებას. ეს მართებულია ყველა დისციპლინის მიმართ. სანამ განვიცდით განმარტოების უპირატესობებს, შესაძლოა მისი პრაქტიკა დაგვჭირდეს გარკვეული დროის განმავლობაში.

- ?მიეცით ჯგუფის წევრებს საშუალება გამოხატონ ყველაზე გამოსადეგი სწავლება მარტოობის შესახებ.

2. მედიტაციის სულიერი დისციპლინა: ”არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და დღედაღამ მის რჯულზე ფიქრობს. და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილი ხესავით... "[301]

A. მედიტაციის მნიშვნელობა

ჰაგაჰ (ებრაული) - საკუთარ თავთან საუბარი; დაფიქრება.[302]

მელეტაო (ბერძნული) - გულდასმით დაფიქრება და გადაწყვეტილების მიღება; აზროვნება რაიმეზე[303]

მედიტაცია წმინდა წერილზე არის ღვთის სიტყვაზე ჩაფიქრება, საკუთარ თავთან საუბრით. ჩვენ მედიტაციას ვანხორციელებთ წმინდა წერილზე, როდესაც ლოცვაში გონებაში ვატრიალებთ ღვთის სიტყვის სპეციფიკურ ნაწილებს მანამ, სანამ სულიწმინდა არ იწყებს მის გაცოცხლებას ჩვენს გულებში. სანამ ჩვენი გული არ მიიღებს მის მითითებას, გაფრთხილებას და შესწორებას; სანამ ჩვენი სული არ განიცდის მისით გარდაქმნის სიტკბოს. როგორც ყველა დისციპლინა, მედიტაციაც მოითხოვს სულიწმიდის მიერ მოცემულ განმანათლებელ მადლს.[304]

- ?წააკითხეთ ვინმეს 1 კორინთელთა 2:9-14. იმსჯელეთ რას გვასწავლის ეს ადგილი სულიწმიდის როლის შესახებ ღვთის სიტყვის გასანათებლად.

მეფე დავითი ფიქრობდა და უკვირდებოდა ღვთის სიტყვებს მანამ, სანამ არ დაასკვნა, რომ ”ოქროზე და ბაჯაღლოზე მეტად სასურველნი არიან და უტკბილესნი თაფლისა და გოლეულისა.”[305] ისევე, როგორც ცხვარი ბალახობს, შემდეგ კი ჩამოჯდება ხის ჩრდილქვეშ, რათა კვლავ ამოიცოხნოს და დააგემოვნოს ის; ასევე, ქრისტიანიც, რომელიც ფიქრობს ღვთის სიტყვაზე, არამარტო წაიკითხავს და დაივიწყებს, არამედ აგემოვნებს ყოველ ლუკმას, ანუ სიტყვას და წარმოთქვამს მას თავის ცხოვრებაში.

---

[301] ფს. 1:2-3
[302] იეს.ნავ.1:8
[303] 1ტმთ.4:15
[304] 1კორ.2:9-14
[305] ფს.18:10

ეს არის ყველაზე უფრო გარდამქმნელი სულიერი დისციპლინა. ბევრი ქრისტიანი კითხულობს ბიბლიას, მაგრამ ცოტა მათგანი შეიგრძნობს, აგემოვნებს და ტკბება მისით.

B. ბიბლიური აზროვნება არ ცლის გონებას, არამედ ღვთის სიტყვით ავსებს მას.

აღმოსავლური მედიტაცია (ძენი, იოგა და ტრანსცენდენტული მედიტაცია) გვასწავლის გონების დაცარიელებას, რაც ძალზე საშიშია. გონება, რომელიც დარჩა ცარიელი, დასახლებული იქნება დემონური სიცრუით ან თვით დემონებითაც კი.[306] ბიბლიური მედიტაცია მიზნად ისახავს გონების შევსებას ღვთის სიტყვით. მეფსალმუნეს აღმოხდა: „როგორ მიყვარს შენი რჯული, მასზე ვფიქრობ მთელი დღე."[307]

ფილიპელთა 4 თავში პავლე შეაგონებს/მოუწოდებს მორწმუნეებს არ დატოვონ თავისი გონება ცარიელი, არამედ „იფიქრონ რაღაცაზე".[308] კი მაგრამ რაზე? -არა წარსულ ცოდვებზე, წარსულ წარუმატებლობებზე ან სხვის შეცდომებზე; არამედ რაც "პატიოსანია", "მართალია/სამართლიანია", "უმანკოა", "საყვარელია/მშვენიერია", "სასახელოა/კარგია", "სათნო/მოსაწონი და სანაქებოა". ღვთის ყოველი შვილი რომ აკეთებდეს არჩევანს გამუდმებით ჩაანაცვლოს უარყოფით, კრიტიკულ აზრები კეთილი აზრებით, მათი სულიერი ცხოვრება გარდაიქმნებოდა.

C. ბიბლიური მედიტაციის მიზანი სულიერ ფორმირებაში

მედიტაციის ანუ ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ძალა ის არის, რომ ეს საშუალებას გვაძლევს ყოველდღიურად განვიწმინდოთ ღვთის სიტყვით.[309] სიტყვა ცვლის ჩვენს აზროვნებასა და ქცევას. სიტყვის სინათლე[310] შუქს ჰფენს ყოველ დაფარულ

ცოდვას[311] და ეშმაკის ყველა დამანგრეველ სიცრუეს. სიტყვა მუდმივად არწყულებს ჩვენს სულებს ჭეშმარიტებით, სანამ არ ვისწავლით ფიქრს და მოქმედებას იესოს მსგავსად.

მიზეზი, რის გამოც ბევრი ქრისტიანი აგებს სულიერ ბრძოლას არის ის, რომ ისინი ბრძოლის ველზე არიან დაუცველნი, მახვილის გარეშე - სულის მახვილის გარეშე.[312] როდესაც სატანა ჩაგჩურჩულებთ: „ღმერთს სინამდვილეში არ უყვარხარ, ან, შენ ამას ვერასოდეს გააკეთებ, არ ხარ ნამდვილი ქრისტიანი, არ შეგიძლია წმინდა ცხოვრებით იცხოვრო, ყველა შენ წინააღმდეგ არიs, ღმერთი აღარ გაპატიებს"... - მათ დაცვა არ აქვთ. მაგრამ მედიტაციის დისციპლინის საშუალებით ჩვენ ვიმეორებთ ღვთის ჭეშმარიტებას ყოველდღიურად, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, სანამ ჩვენი რწმენა არ დამკვიდრდება ღმერთში და სანამ მტრის ყოველი გახურებული ისარი - სიცრუე, არ დამარცხდება ჩვენი მდგრადობით.

---

[306] მათ.12:44
[307] ფს. 118:97
[308] ფლპ.4:8
[309] ეფს.5:26
[310] ფს. 118:105
[311] ფს. 18:13
[312] ეფეს.6:17

D. წმიდა წერილზე მედიტაციის შედეგები

1) სიტყვა წარმოქმნის რწმენას,[313] ამიტომ მედიტაცია აძლიერებს ჩვენს ნდობას ღმერთისადმი.

2) სიტყვა წმენდსს აზროვნებას და ცხოვრებას,[314] ამიტომ მედიტაცია არასწორ აზრებს სწორით ჩაანაცვლებს.

3) სიტყვა სატანის წინააღმდეგ ეფექტურ ფარს უზრუნველყოფს,[315] ამიტომ მედიტაცია გვიცავს.

4) სიტყვას მოაქვს წარმატება და აყვავება მორწმუნის ცხოვრებაში,[316] ამიტომ მედიტაცია მიგვიძღვება ღვთის მზარდი კურთხევისკენ.

პრაქტიკული რჩევები მედიტაციის დასაწყებად

1) ნუ გაართულებთ მას.

მე მიყვარს ჯონ ვესლის მარტივი მიდგომა მედიტაციის მიმართ:

მაშ ასე, აქ ვარ, ადამიანური ამაოებისგან/აურზაურისგან შორს. ვჯდები მარტო: აქ მხოლოდ ღმერთია. მის თანდასწრებაში გადავშლი, ვკითხულობ მის წიგნს; მიზნით, რომ მივაგნო სამოთხისკენ მიმავალ გზას. თუ გამიჩნდა ეჭვი წაკითხულის შესახებ, უფლისკენ ავამაღლებ გულს და ვკითხავ შუქთა მამას: ”უფალო ეს არ არის შენი სიტყვა? - თუ ვინმეს სიბრძნე აკლია, ღმერთს სთხოვოს...’’ შემდეგ მე ვიძიებ და ვიაზრებ საღვთო წერილის პარალელურ მუხლებს, "სულიერ საგნებს სულიერს ვადარებ". მე მასზე ვფიქრობ მთელი ყურადღებით და გულმოდგინებით, რაც კი ჩემს გონებას შეუძლია. თუ რაიმე ეჭვი მაინც რჩება, მე რჩევისთვის მივმართავ მათ, ვინც ღვთის საქმეებში გამოცდილია; და შემდეგ [ისტორიულ] წერილებს .... და ამის სედეგად რასაც მე ვსწავლობ, იმას ვასწავლი.

2) მოძებნეთ სიმშვიდის ადგილი. „შეჩერდით (გაირინდეთ) და გაიგეთ, რომ [ის არის] ღმერთი.“[317]

3) წაიკითხეთ და ლოცვით ჩაუღრმავდით სიტყვას გამოცხადებისთვის და მორჩილების სურვილისთვის.[318]

4) იყავით ფრთხილად თქვენ მოლოდინებთან. ნუ ეძებთ ნიშნებს და ზებუნებრივ გამოვლინებებს. ეძებეთ ღმერთი და ესწრაფეთ მის გაცნობას და მისგან თქვენს ცნობას.

5) როცა ტოვებთ სიმშვიდის ადგილს, გამოიტანეთ ღვთის თანდასწრებიდან ერთი აზრი მაინც და იფიქრთ და ცაუკვირდით მას მთელი დღის მანძილზე.

---

[313] რომ.10:17
[314] ფს.118:9; 1 პეტ.1:22; ეფეს.6:17
[315] მათ.4:1-11; ეფეს. 6:17
[316] იეს. ნავ.1:8; ფს. 1:3
[317] ფს 45:10
[318] ინ.7:17

6) დღის განმავლობაში, იმეცადინეთ მარცხის გამომწვევი, შემაწუხებელი აზრების, ღმერთის სიტყვით ჩანაცვლებაში.

> *◆ მოდით 5 წუთი დავუთმოთ ერთობლივ მედიტაციას. მოდით ყველა გავჩუმდეთ, გავირინდოთ და უბრალოდ ჩავუღმავდეთ და ვიფიქროთ იესო ნავ. 1:8-ს შესახებ. ნუ შეეცდებით, რომ ეს მუხლი ბიბლიის შესწავლის მონახაზად აქციოთ. უმჯობესია ამ ადგილას თქვენი თავი მოიაზროთ. თქვენ იყავით იესო ნავეს ძე! იფიქრეთ და ჩაუღრმავდით, რას ნიშნავდა ეს მუხლი მისთვის. შემდეგ დაფიქრდით საკუთარ ცხოვრებაზე. ამ მუხლით რისი თქმა უნდა უფალს თქვენთვის?*

3. მარხვის სულიერი დისციპლინა: „იესომ მიუგო: "განა შეიძლება აიძულო მექორწილენი იმარხულონ, ვიდრე ნეფე მათთან არის? მაგრამ დადგება დღეები, როცა ნეფე წაერთმევათ და მაშინ იმარხულებენ, იმ დღეებში”.“[319]

მარხვა ერთ-ერთი ყველაზე სულიერად გარდამქმნელი, მაგრამ ასევე ყველაზე რთული და, შესაბამისად, უგულებელყოფილიც, ყველა სულიერ დისციპლინას შორის. მაშინ როცა, თუ მარხვა ხდება გულწრფელი, სუფთა გულით და შეზავებულია ლოცვებით, ის არის ყველაზე ეფექტური/ქმედითი საშუალება, რომ განვიახლოთ ღმერთის წყურვილი ჩვენში, დავატყვევოთ არეული აზრები, შევძლოთ ახირებული სურვილები შეკავება, დავწვათ ცოდვილი „მე“-ს ბზე, გავერკვეთ მიმართულებაში, მივიღოთ ახალი სულიერი გამოცხადებები ღვთის სიტყვიდან და ხელახლა მივიღოთ სულიწმიდის ცხებულება და ძალაუფლება.

A. მარხვის მნიშვნელობა

ბიბლიური მარხვა საკვებისგან თავის შეკავებაა სულიერი მიზნებისათვის. მარხვა დიეტა არ არის! ბიბლიური მარხვა თავის შეკავებასაც კი არ წარმოადგენს მედიისგან, გართობისგან, სოციალური მოვლენებისა და სხვა რამეებისაგან. ამ საკითხებში ზომიერება და თვით-უარყოფა რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია სულიერი ზრდისთვის, მაგრამ ეს არ არის მარხვა. ბიბლიაში არ არის შემთხვევები, როდესაც მარხვაში იგულისხმება სხვა რამეც, საჭმლის ჭამისგან თავის შეკავების გარდა.

B. მარხვა ბრძანება არ არის, მაგრამ ქრისტიანთა შორის ვარაუდობენ.

> პირველ რიგში, [მარხვა] უფლისთვის უნდა ხდებოდეს, მზერა მხოლოდ მას მივაპყროთ. ჩვენი განზრახვა უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ, რომ განვადიდოთ ჩვენი ზეციერი მამა. - ჯონ ვესლი.

წმინდა წერილი პირდაპირ ბრძანებას არ იძლევა მარხვის დაცვაზე, მაგრამ მისი გამოყენება იგულისხმება ქრისტიანებს შორის. ზემოთ მოცემულ ტექსტში[320] ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ იესო ვარაუდობს, რომ ყველა მორწმუნე „იმარხულებს“. ამის შესახებ გამახსენდა ერთხელ ნაშუადღევს, კონფერენციაზე ფილიპინებში, სადაც ლექტორი იყო ვეტერანი მისიონერი ვესლი დუველი. ”იესომ თქვა, რომ მისი მოწაფეები იმარხულებენ”, - თქვა მან. ”მაშ, მოწაფე ხარ?

[319] ლუკ.5:34-35
[320] ლუკ.5:34-35

ვარჯიშობთ ამ დისციპლინაში? ” ღვთის სიტყვამ მამხილა და მივხვდი, რომ ჩემს ქრისტიანულ სვლას აკლდა ძალა, რადგან უგულვებელვყოფდი ამ დისციპლინას.

მარხვას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იესოს ცხოვრებაში, მოციქულთა ცხოვრებაში და ახალი აღთქმის ეკლესიაში. და ეს იყო მნიშვნელოვანი დისციპლინა ღვთის ყველა დიდებული საქმისთვის. ჯონ ვესლიმ თქვა: ”ყველამ იცის, რომ ყველა კარგი მეთოდისტი კვირაში ორჯერ მარხულობს (ოთხშაბათს და პარასკევს)”. სალამისის ეპისკოპოსმა და

ეკლესიის მამამ, ეპიფანე კვიპროსელმა (315-403) თქვა: "ვინ არ იცის, რომ კვირის მეოთხე და მეექვსე დღეს მარხვაა მთელი მსოფლიოს ქრისტიანთათვის?“

C. მარხვის ბიბლიური მაგალითები

წმინდა წერილი სავსეა მარხვის მაგალითებით. მოსე, ხანა, დავითი, ელია, ესთერი, დანიელი, წინასწარმეტყველები, ანა, იოანე ნათლისმცემელი, იესო, პავლე, მოციქულები, ანტიოქიის უხუცესები და კორნელიუსი ყველა მარხულობდა.

> ზოგი მარხვას აყენებენ ყველა საღვთო წერილისა და მიზეზის ზემოთ; სხვები კი სრულიად უგულებელყოფდნენ მას. – ჯონ ვესლი

როდესაც მოსე მარხულობდა, ღმერთი მას პირისპირ ესაუბრებოდა, როგორც ადამიანი საუბრობს მეგობართან.[321] როდესაც ხანა მარხულობდა და ლოცულობდა, ღმერთმა გახსნა მისი საშო და სამუელი მისცა.[322] როდესაც დანიელი მარხულობდა და ლოცულობდა, მას ღვთის სიტყვის გაგების უნარი მიეცა, ანუ “წვდომა და გონიერება“,[323] ღვთის ძალა გამოიხატა სპარსეთის მთავრის დამარცხებისას და დანიელის ლოცვაზე პასუხი მოვიდა.[324] როცა სავლე (პავლე) ლოცულობდა და მარხულობდა, სულიწმიდით აღივსო და თვალები აეხილა.[325] როდესაც კორნელიუსი ლოცულობდა, მარხულობდა და მოწყალებას აძლევდა, მისი ეს გულწრფელი მოწყალებანი ამაღლდნენ ღვთის წინაშე მის გასახსენებლად,[326] რომელმაც უპასუხა კორნელიუსის ლოცვას, მისი მთელი ოჯახის გადარჩენით. ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია მრავალ ბიბლიურ მაგალითს შორის, როდესაც ღვთის ძალა გამოვლინდა მარხვისა და ლოცვის შედეგად.

D. მარხვის ოთხი ძლიერი შედეგი

1) მარხვა ჩვენს შინაგანს თავმდაბლობას ანიჭებს.

მეფსალმუნემ თქვა: ”მე კი ძაძებს ვიცვამდი მათი სნეულების ჟამს, ჩემს სულს მარხვით ვიძაბუნებდი, მაგრამ ჩემი ლოცვა უკან მიბრუნდებოდა.”[327] ეზრამ იცოდა, რომ ებრაელი დევნილების სამშობლოში

---

[321] გამოს.33:1
[322] 1მეფ.1:8, 17-18
[323] დან.9:3, 22-23
[324] დან.10:3, 12-13
[325] საქ.9:9, 17-18
[326] საქ.10:4
[327] ფს. 34:13

დაბრუნება ღვთიური მადლის მიღებას მოითხოვდა. მრავალი საშიშროების და ცდუნების გათვალისწინებით, მან დაწერა: „და გამოვაცხადე იქ მარხვა, მდინარე აჰავაზე, რათა თავი დაგვემდაბლებინა ჩვენი ღმერთის წინაშე, და გვეკითხა მისგან სწორი გზა ჩვენთვის და ჩვენი წვრილშვილისთვის... და მან შეისმინა ლოცვა ჩვენი."[328]

როგორ ამდაბლებს მარხვა სულს? ფიზიკური საკვებისგან თავის შეკავება შეახსენებსჩვენს შინაგან პიროვნებას, ღმერთის უაღრეს საჭიროებისა და მასზე დამოკიდებულების შესახებ; ეს გვახსენებს, რომ ჩვენ სულიერით ვსულდგმულობთ და არა მხოლოდ ფიზიკურით და მატერიალურით. ბიბლიური, ქრისტეზე ორიენტირებული მარხვა არის ღვთისაა და ჩვენი საკუთარი შინაგანის წინაშეს დამოწმება: *„ღმერთო, შენ მწყურიხარ! სულიწმიდა, უფრო მეტად მჭირდები, ვიდრე საჭმელი, ვიდრე ფიზიკური ან მატერიალური კურთხევა, ამქვეყნად ყველაფერზე მეტად!"*

მე არმოვაჩინე, რომ მარხვა სულიერი უნაყოფობის/სიღატაკის სამკურნალო საშუალებაა. როდესაც სულიერად გამომშრალი და უნაყოფო ვარ, მარხვა და ლოცვა ამუშავებს ჩემი გულის გახრიოკებულ და გაუხეშებულ/გამაგრებულ ნიადაგს და ამზადებს მას ღვთის სიტყვის მისაღებად/დასათესად.

2) მარხვა უქვემდებარებს ჩვენს ბუნებრივ მადას/მოთხოვნილებებს - ჩვენს სულიერ მადას/მოთხოვნილებებს.

მარხვა გამოავლენს გაუაზრებელი ცოდვისა და ეგოიზმის სფეროებს, აკვდინებს უძლიერეს ბუნებრივ მოთხოვნილებებს; მარხვა ამყოფებს ჩვენს სხეულებს სულისადმი მორჩილებაში. ანუ, როგორც ერთერთმა ეკლესიის მამამ თქვა: „მარხვა უზრუნველყოფს იმას, რომ კუჭმა არ მომართოს/ააღელვოს სხეული სულის ხელისშემშლელად."[329] ჩემმა ფილიპინელმა ძმამ, დავით იუკადიმ ერთხელ მითხრა, რომ მან იცოდა, რომ მარხვა სჭირდებოდა, როდესაც გრძნობდა, რომ არასწორი სურვილები ჩნდებოდა მის შიგნით! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოდნავი სიამაყის ან არასწორი სურვილის გაჩენა, მისთვის არის მარხვის მიზეზი. სხვა ღვთისმოსავმა ადამიანებმა ასევე დაადასტურეს, რომ მარხვა არასათანადო სექსუალური ვნების ცეცხლს აქრობს.

> ჩვენი ადამიანური სურვილები ჰგავს მდინარეებს, რომლებიც გადმოდიან და ტბორავენ ნაპირებს, ხოლო მარხვა აბრუნებს მათ თავის კალაპოტში– რიჩარდ ფოსტერი

ერთ კვირადღეს, მას შემდეგ, რაც მარხვის სესახებ სწავლება ჩავატარე, ართმა ქრისტიანმა გაიაზრა, რომ ამ დისციპლინის გამოყენება უნდა დაეწყო თავის ღმერთთან სიარულში. გარკვეული დროის შემდეგ, კაცმა დაამოწმა, რომ მარხულმა გააცნობიერა მისი გულის საჭიროებების შესახებ. "ვერასოდეს ვხვდებოდი, თუ როგორიმოუთმენელი ვიყავი, სანამ არ დავიწყე მარხვა," - თქვა მან. "როდესაც სხეულს ვუთხარი "არა", აღმოვაჩინე, რომ ''ძალიან მოუთმენელი ვიყავი შვილებთან!" ჩვენ ვიცინოდით მასთან ერთად, რადგან ჩვენ შეგვეძლო ამის გაცნობიერება. თვით-უარყოფას მივყავართ იმ ეტაპამდე, რომ თვისებები, რომელიც ჩვენ ვერც წარმოგვედგინა, ჩვენს გულებში ყოფილა სინამდვილეში.

[328] ეზრ. 8:21,23

[329] ასტერიოზი, IVსაუკუნე

რიჩარდ ფოსტერი გვახსენებს, რომ "მუცელი გატუტუცებულ ბავშვს ჰგავს და გარყვნილ ბავშვს არა სჭირდება წახალისება, არამედ ... დისციპლინა." ყველამ ვიცით, რა ხდება, როდესაც ჩვენ დავიწყებთ გათავხედებული ბავშვის დისციპლინირებას, ხომ ასეა? რაც უფრო მეტადაა გატუტუცებული ბავშვი, უფრო ხმამაღალია რისხვა. სანამ ის არ შეიგნებს რას ნიშნავს სიტყვა - „არა“, ჩვენ გვექნება გამოწვევა მისი მხრიდან. ასევეა, ჩვენი შინაგანი გატუტუცებული ბავშვის მიმართებაში.

3) მარხვა აღძრავს სულიერ მადას

იესომ გაცილებით მეტი კმაყოფილება მიიღო მამის ნების შესრულებისას, ვიდრე ფიზიკურ საკვებისგან[330] და ის მოგვიწოდებს, რომ ვიყოთ მისი მსგავსნი. მან თქვა: "ნეტარ არიან სიმართლეს მოშიებულ-მოწყურებულნი, რადგან ისინი გაძღებიან."[331] როდესაც ვმარხულობ და შიმშილის ტკივილი გაძლიერდება, ღმერთს ვეტყვი: „უფალო, ეს შიმშილის ტკივილი შენთვის შიმშილის ტკივილებია. მსურს შენზე მოწყურებულ-დამშეული ვიყო.” ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ წუთში თავს უკეთესად ვგრძნობ, მაგრამ არასოდეს მინახავს, რომ ღმერთს უგულებელყო ეს გულწრფელი ლოცვა. ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენი ტკივილები ლოცვებად ვაქციოთ, და გვჯეროდეს, რომ ღმერთი უფრო მეტად დაგვაკმაყოფილებს მისი თანადგომით.

4) მარხვა სულიერად უფრო გამჭრიახეებს გვხდის.

მარხვის საშუალებით, ანტიოქიის ახალი აღთქმის ეკლესიამ ამოიცნო, თუ რა იყო ღვთის ნება მათი მისიონერული მსახურების დასაწყებად: ”როცა ისინი უფალს ემსახურებოდნენ და მარხულობდნენ, თქვა სულიწმიდამ: “გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმეზე, რაზეც მათ მოვუწოდე.”[332] ფოკუსირებულ ლოცვა-მარხვას ხშირად უფრო მეტი სინათლე მოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და გვეხმარება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

იესოს ლოცვა-მარხვით დატვირთულმა ცხოვრება აძლევდა მას საშუალებას უკეთესად გაეთვითცნობიერებინა გარშემო მყოფი ადამიანების სულიერი შიმშილი, მის გულს მათ მიმართ სიყვარულით ავსებდა, ხოლო მის სულის სიფხიზლეს უნარჩუნებდა, რომ სცოდნოდა თუ რისი გაკეთება სურდა მამას და რისი თქმა სულიერად მშიერი ხალხისთვის. მოწაფეების მსგავსად, ჩვენ ხშირად ისე ვართ დაკავებულნი საკუთარი თავით და გართული საკუთარი საჭიროებებით, ვკარგავთ სიყვარულს დაღუპულთა სულების მიმართ. მარხვა გვეხმარება, რომ ჩვენი მადა/საჭიროებები ვიქონიოთ კონტროლის ქვეშ, რათა დავინახოთ და შევიგრძნოთ სულიწმინდის მოქმედება ჩვენში და ჩვენ ირგვლივ.

> ►წაიკითხეთ იოანეს 4:27-34 ერთად. განიხილეთ იესოსა და მოწაფეების საკვებთან დამოკიდებულების განსხვავება. რას გულისხმობდა იესო ამ სიტყვებით: „მე მაქვს საჭმელი, რომელიც თქვენ არ იცით“ და „ჩემი საჭმელია - ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და დავასრულო

[330] ინ. 4:31-32
[331] მათ. 5:6
[332] საქ.13:2

მისი საქმე.“ თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა, რომ მოწაფეების სიყვარულმა საკვებისადმი ხელს უშლიდა იმის დანახვაში, თუ რას აკეთებდა სულიწმინდა სამარიაში?

5) მარხვა აძლიერებს ჩვენს რწმენას და, შესაბამისად, მტერთან შებრძოლების უნარს და მისი დამარცხების საშუალებას გვაძლევს.

მე მჯერა, რომ ამდენი კარგი ქრისტიანის უძლურებისა და სისუსტის მიზეზი არის ის, რომ ისინი ხშირად არ მარხულობენ, მათეს 17-ში, მოწაფეები აღმოჩნდნენ სიტუაციაში, როდესაც ვერ შეძლეს ბოროტი სულის გამოდევნა ახალგაზრდა ბიჭისგან. იესო განმარტავს, რომ პრობლემა იყო ურწმუნოება: „მაშინ განმარტოებით მიუახლოვდნენ მოწაფეები იესოს და ჰკითხეს: "ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი განდევნა?”ხოლო მან უთხრა: "თქვენი მცირე რწმენის გამო.”[333] შემდეგ მან განაგრძო სწავლება და უთხრა: „ეს მოდგმა კი მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება.“[334]

რა კავშირშია მხურვალე ლოცვას, მარხვას და რწმენას შორის? გულწრფელი ლოცვა (ლოცვა მარხვით) აძლიერებს რწმენას და ზრდის ჩვენს ძალასა და ეფექტურობას ღვთისადმი მსახურებში. ჩვენ სულიერ ბრძოლაში ვართ ჩართულნი; ლოცვისა და მარხვის გარეშე, ჩვენ ვერასდროს განვიცდით ღვთის ხსნას ისე, როგორც მას სურს მისი გამოვლინება. პავლე ხშირად აღმოჩნდებოდა ხოლმე დიდი სულიერი კონფლიქტის შუაგულში და ამიტომ ხშირად მარხულობდა.[335]

ჩემი ძმები და დები, რომლებიც მსახურობენ განვითარებად ქვეყნებში, ხშირად ეწინააღმდეგებიან დემონურ წინააღმდეგობას. მათ იციან, რომ ლოცვისა და მარხვის გარეშე ისინი ვერასდროს ნახავდნენ სულიერ სიძლიერეს. ისინი სერიოზულად აღიქვამენ იესოს სიტყვებს და შესაბამისად განიცდიან ღვთიური ძალის დიდ გამოვლინებებს.

E. მარხვის ორი ძირითადი ფორმა ბიბლიაში.

1) ნორმალური მარხვა - თავის შკავება ყველა სახის საკვებისგან, როგორც მყარი ასევე თხევადისგან, მაგრამ არა წყლისგან.

2) ნაწილობრივი მარხვა[336]- საკვების შეზღუდვა, მაგრამ არა საკვების სრული აკრძალვა.

პრაქტიკული რჩევები მარხვის დასაწყებად

1) გაითვალისწინეთ თქვენი ფიზიკური მდგომარეობა და დაიცავით ექიმის რეკომენდაციები.

2) დაიწყეთ 24-საათიანი ნაწილობრივი მარხვით. სადილიდან სადილამდე (ორი კვება). დალიეთ მხოლოდ ხილის წვენები. სცადეთ ეს კვირაში ერთხელ რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში.

3) სცადეთ ნორმალური მარხვა 24 საათის განმავლობაში. დალიეთ მხოლოდ წყალი. საჭიროების შემთხვევაში მიიღეთ ვიტამინები. გააკეთეთ ეს ყოველკვირეულად.

---

[333] მათ.17:19-20
[334] მათ.17:21
[335] 2კორ. 11:27-28
[336] დან.10:3

4) გარკვეული პერიოდის შემდეგ, გადადით ნორმალურ 36-საათიან რეჟიმზე. ვახშამიდან საუზმეზე მეორე დღეს (სამჯერადი კვება). გააკეთეთ ეს კვირაში ერთხელ რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში.

5) სცადეთ მარხვა რამდენიმე დღის განმავლობაში. ასე შეიძლება მოიპოვოთ მნიშვნელოვანი სულიერი გარღვევა/მიღწევა თქვენს ცხოვრებაში.

6) აქციეთ მარხვა თქვენი ცხოვრების ჩვეულებრივ ნაწილად! იგრძენით ცარიელი კუჭის ტკივილი და ღმერთს დაეყდენით, რომ თავისი მადლით აგავსოთ.

- ►თავისუფლად გაუზიარეთ სხვებს დამოწმებები ამ დისციპლინასთან დაკავშირებით. იმარხულეთ ამ კვირაში და მოემზადეთ, რომ დაბრუნდეთ შემდეგ კვირაში და ისაუბროთ თქვენს გამოცდილებაზე.

4. უბრალოების/გულუბრალოების სულიერი დისციპლინა: „ვერცხლისმოყვარენი ნუ იქნებით; დასჯერდით იმას, რაც გაქვთ, რადგან თქვა: "არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ".[337]

A. გულუბრალოების დისციპლინის მნიშვნელობა

უბრალოების დისციპლინა არის ღვთის პრიორიტეტებზე ფოკუსირება და შესაბამისად ცხოვრების წესის შეცვლა. ეს იწყება შინაგანი დამოკიდებულებით, რომ უარვყოთ ყველა სიამოვნება, გარდა ცხოვრებაში ღმერთის შეცნობის და მისადმი მსახურების უმაღლესი სიამოვნებისა. ეს იწვევს ცხოვრებისეულ არჩევანს, რომელიც შეესაბამება ამ დამოკიდებულებას.

გარეგანი უბრალოება იმაშია, რომ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ, რომ ჩვენი ცხოვრება უფრო სულიერი და პრაქტიკულად ეფექტური გახდეს; რომ თავი დავანებოთ ყველაფერს, რაც ჩვენს სიხარულს იპარავს; ჩვენი ცხოვრებიდან არეულობის, ქაოსის, ეჭვების თავიდან მოშორება, რომელიც გვაწუხებს და ისევე როგორც იმ ქმედებებისგან თავის დაღწევა, რომლებსაც ჩვენზე გავლენა აქვს.

ღმერთი ყველა ქრისტიანს მოუწოდებს შინაგანი უბრალოებისკენ. ეს არის - ერთსულოვანი სიყვარული ღმერთისა და ხალხისადმი და ერთსულოვანი მიძღვნა, რომ უპირველეს ყოვლისა ვეძებოთ მისი სასუფეველი.[338] მაგრამ შინაგანი უბრალოების შენარჩუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ჩვენ განზრახ ვგეგმავთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას უბრალოებაში. ბევრ ქრისტიანს სურს უფრო თავისუფალი და კმაყოფილი ცხოვრებით ცხოვრება, მაგრამ ზედმეტი დაგეგმვის, ზედმეტი ლაპარაკის, ზედმეტი ვალდებულების, ზედმეტი ხარჯვის, ზედმეტი შეგროვების, ზედმეტი მუშაობის და ზედმეტი მოვლის მავნე ჩვევები ხელს უშლის მათ, იცხოვრონ იმ ცხოვრებით, რომელიც ასე სურთ.

---

[337] ებრ.13:5

[338] ფს.26:4, 39:8; მათ. 6:33

B. უბრალოება იესოს ცხოვრებაში

იესომ უბრალოების დისციპლინის მაგალითი თავისი სიტყვებითა და საქმეებით დაამკვირდრა. როდესაც ვკითხულობთ მისი ცხოვრების ამბებს, ის არასდროს ჩქარობს, მაგრამ ის ბევრს აღწევს. მისი საქმიანობა

ყოველთვის მიზანმიმართული იყო.[339] სულიწმიდა მას ყოველთვის ხელმძღვანელობდა მნიშვნელოვანი, მიზანმიმართული გზებით.[340] ის უბრალოდ ბევრს კი არ მუშაობდა; გონივრულად/ბრძნულად მუშაობდა, ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც მამას აამებდა.[341]

> იესო თავისი დღის უდიდეს ნაწილს "ღვთიურ ჩარევას" უთმობდა და თითოეულ ამ ჩარევას მადლით იღებდა.

იესოს ცხოვრება არ იყო იოლი, მაგრამ იყო უბრალო. მან იცოდა რაში მდგომარეობდა მისი ცხოვრების არსი და ადრეული ბავშვობიდან, მამის საქმის აღსრულებას ემსახურებოდა.[342] როდესაც იესო ლაპარაკობდა, ის არასოდეს იყო მრავალსიტყვა.[343] მისი „კი" ნიშნავდა „კი"ს, ხოლო "არა" ნიშნავდა „არა"ს.[344] მან უბრალოების ცხოვრების წესი აირჩია.[345] იესო თავისი დღის უდიდეს ნაწილს "ღვთიურ ჩარევას" უთმობდა და თითოეულ ამ ჩარევას მადლით იღებდა.[346] ხალხი და არა მატერიალური საგნები, ყოველთვის იყო მისი პრიორიტეტი - განსაკუთრებით ის ადამიანები რომლებსაც გამოსყიდვა/ხსნა სჭირდებოდათ და მოწაფეები, რომლებსაც სწავლება სჭირდებოდათ. ცხოვრობდა მოგზაური მახარობლის ცხოვრებით, სხვების მხარდაჭერით. ის დაკრძალეს სხვის მიერ დათმობილ სამარხში. როდესაც იესო ჯვარზე მოკვდა, მისი ერთადერთი მიწიერი ქონება იყო ტანსაცმელი. იესოს ცხოვრებაში უბრალოების დისციპლინამ, განაპირობა მისი ფოკუსირება პრიორიტეტებზე, რომელიც მამისგან ჰქონდა.

C. უბრალოების დისციპლინა ბიბლიაში

ბიბლია არ შეიცავს რიგ წესებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავაუბრალოოთ საკუთარი ცხოვრება, მაგრამ მასში არის არაერთი გაფრთხილება და შეგონება. იესომ ომი გამოუცხადა მატერიალიზს. ის ასწავლიდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვემსახუროთ ღმერთს და ფულს. ის გვაფრთხილებდა, საგანძურის დედამიწაზე დაგროვების[347] და სიხარბის წინააღმდეგ. მან თქვა: "იფხიზლეთ და დაიცავით თავი ანგარებისგან, რადგან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული".[348] მან მოსთხოვა, რომ მდიდარ ახალგაზრდა მმართველს გაეყიდა ყველაფერი, რაც

---

[339] ლუკ.4:43
[340] ლუკ.4:43
[341] ინ.4:34
[342] ლუკ.2:49
[343] ინ.14:10
[344] მათ.5:37
[345] 2კორ.8:9
[346] მათ.9:20
[347] მათ.6:21
[348] ლუკ.12:15

გააჩნდა, რათა გაჰყოლოდა მას.[349] პავლემ თქვა, რომ გამდიდრების მსურველები განსაცდელში ცვივიან.[350] მეფსალმუნე გვაფრთხილებს: „თუ გაგიმრავლდა სიმდიდრე, გულს ნუ მიიდრეკ მისკენ.“[351]

D. უბრალოების ძალა სულიერ ფორმირებაში.

უბრალოების მიზანია გაგვათავისუფლოს ჩვენ. ჩვენი ცხოვრების უბრალო ცხოვრების წესი გვათავისუფლებს მატერიალიზმის ტირანიისგან და გვაძლევს იმის საშუალება, რომ უფრო და უფრო მეტი დრო და რესურსი ღვთის სასუფეველში ჩავდოთ ინვესტიციად, რაც გვიხსნის ჩვენი დამოკიდებულებისგან, რომ ადამიანებისთვის მოსაწონი და მისაღები ვიყოთ. უბრალოება ჩვენს სამსახურსა თუ მსახურებაში, გვათავისუფლებს, რათა ვაკეთოთ ის, რისთვისაც მოწოდებულები და არჭურვილები ვართ და თანაც კარგად ვაკეთოთ ჩვენი საქმე. ჩვენი სიტყვების/საუბრის უბრალოება გაგვათავისუფლებს პირობის და ვალდებულებების მიცემისგან, რომლის შესრულებაც არ შეგვიძლია და შეგვაძლებინოს შევასრულოთ ის რასაც ვპირდებით.

E. უბრალოების საფრთხეები. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ გარკვეული საფრთხეების მიმართ:

1) არსებობს რელიგიურობის საფრთხე. სულიწმინდა არ გვიძღვება ყველას ერთი და იგივე ცხოვრების წესის არჩევისკენ. ჩვენი ტანსაცმლის ხარისხი ან სტილი, რომელსაც ვატარებთ, სახლები, რომლებშიც ვცხოვრობთ თანხის ოდენობა, თუ რამდენს დავზოგავთ ან გავცემთ, ღმერთის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების შესაბამისია. ნუ გნვსჯით ერთმანეთს.

იესო მოგვიწოდებს არ ვიზრუნოთ და არ ვიდარდოთ ჩვენს საკუთრებაზე/ქონებაზე. (ლუკ. 6:30). – როჩარდ ფოსტერი

2) არსებობს საფრთხე უარვყოთ ყოველივე მატერიალური, მისი ბოროტებად მიჩნევის გამო. უბრალოება არ ნიშნავს მატერიალურ საკუთრებაზე უარის თქმას (თუ იესო არ მოითხოვს ამას), არამედ მისთვის სათანადო ადგილს მიჩენას გულისხმობს.

3) არსებობს ღვთის მადლისმიერ ნიჭებზე/საჩუქრებზე უარის თქმის საშიშროება. პავლე ღვთის კურთხევად თვლიდა როგორც სიმდიდრეს/სიუხვეს, ასევე სიღრიბეს.[352] თუ ღმერთი გაკურთხებთ, გიხაროდეთ და ნუ გრცხვენიათ! თუ იტანჯებით და განსაცდელში ხართ, „ ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ“!

პრაქტიკული რჩევები უბრალოების დისციპლინის ცხოვრებაში გასატარელებლად

1) ნუ იქნებით დამონებული ვალებით.[353]

2) შეიძინეთ საგნები მათი ხარისხისა და სასარგებლო თვისებების გამო, და არა მათი ტრენდულობის გამო.

---

[349] მათ.19:16-22
[350] 1ტიმ.6:9
[351] ფს.61:10
[352] ფლპ.4:12
[353] იგ.22:7

3) განავითარეთ ნივთების გაცემის ჩვევა.[354]

4) ისწავლეთ ისიამოვნოთ საგნებით მათი ფლობის გარეშე.

5) ისწავლეთ ცხოვრების უბრალო მხარეებით და მოვლენებით ტკბობა, განსაკუთრებით გიყვარდეთ ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს ბუნებრივი საოცრებები.

6) მოერიდეთ გამდიდრების სქემებს, რომლებიც სიხარბის სულის კვებავსვს.[355]

7) გაეცით მხოლოდ ის დაპირებები და ვალდებულებები, რომელთა შესრულებასაც შეძლებთ.[356]

8)შეეცადეთ დაამსხვრიოთ ფულის ტირანია თქვენი დიდსულოვნებით.[357]

9)მოერიდეთ ყველაფერს, რაც ხელს გიშლით, რომ უპირველეს ყოვლისა ეძიოთ ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე.

 ქვემოთ მოცემულ სივრცეში, ჩამოწერეთ მინიმუმ სამი საშუალება, რომლითაც იცით, რომ შეძლებთ თქვენი ცხოვრების გაუბრალოებას, რომ უფრო მეტი ყურადღება გაამახვილოთ თქვენს ბიბლიურ პრიორიტეტებზე. მოინდომეთ, რომ ეს ცვლილებები ღვთის წყალობით განახორციელოთ და მოემზადეთ, რომ შემდეგი შეხვედრის დროს, ამის შესახებ დამოწმება გაუზიაროთ თქვენს ჯგუფს.

1. _____

   _____

2. _____

   _____

3. _____

   _____

[354] ლუკ.3:11; იგ.11:24
[355] იგ.28:20
[356] ფს.75:11; იგ.20:25; მათ.5:37
[357] იგ.11:25; 22:9.

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირაში მინიმუმ ოცდაათი წუთი დაუთმეთ ამ გაკვეთილის განხილვას ბიბლიური მუხლების ჩათვლით, სთხოვეთ სულიწმიდას მოგცეთ გამოცხადება.

2. ჩაწერეთ თქვენს დღიურში ნებისმიერი კონკრეტული ცვლილება, რომელიც უნდა განხორციელდეს თქვენს ცხოვრებაში, რადგან უფალი გამოავლინა ისინი.

3. იფიქრეთ(ჩაუღრმავდით) მინიმუმ ერთ ფსალმუნზე თქვენს ყოველდღიურად განსაზღვრულ დროს და თქვენს დღიურში ჩაწერეთ, თუ რას ამბობს მეფსალმუნე ღვთის ბუნებასა და ხასიათის შესახებ.

4. ჩაწერეთ თქვენს დღიურში პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისა და ზრდისთვის, ამ გაკვეთილის საფუძველზე.

5. გამოიყენეთ დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვების სახელმძღვანელოს თქვენი ყოველდღიური პირადი ლოცვის დროს.

ჩავულრმავდეთ

რიჩარდ ფოსტერი (Foster, Richard). დისციპლინის ზეიმი (*Celebration of Discipline*). New York: HarperCollins, 1998.

კეით დრური (Drury, Keith). მშვინვის მაფორმირებელი (*Soul Shaper*). IN: Wesleyan Publishing House, 2013.

ელიზაბეთ ელიოტი (Elliot, Elizabeth). დისციპლინა, სიხარულით მინდობა (*Discipline, the Glad Surrender*). Grand Rapids: Fleming H. Revell Company, 2006.

ტესტი 8 გაკვეთილისთვის

1. რა არის სულიერი დისციპლინების ორი სარგებელი, რომლებიც განხილულია ამ გაკვეთილზე??

2. როგორ მიბიძგებენ სულიერი დისციპლინები, რომ უფრო მეტად ვისიამოვნო/დავტკბე ღმერთით?

3. მოიყვანეთ ბიბლიური მუხლი, რომელშიც ნაჩვენებია რამდენად მნიშვნელოვანი იყო განმარტოება იესოს ცხოვრებაში.

4. რას ნიშნავს მედიტაცია?

5. რა არის მარხვის ოთხი ძლიერი შედეგი?

6. რიჩარდ ფოსტერის თანახმად, "ჩვენი ადამიანური სურვილები ჰგავს _____ რომლებიც გადმოდიან და ტბორავენ _____"

7. დაასახელეთ მარხვის სამი ფორმა.

გაკვეთილი 9

მიძღვნის სულიერი დისციპლინები

პირადი ლოცვა

გაკვეთილის მიმოხილვაგა

გაითვალისწინეთ 8 გაკვეთილის ძირითადი პუნქტები. სთხოვეთ სტუდენტებს, რომელთაც სურთ გაგიზიარონ პირადი ლოცვები მე-8 გაკვეთილიდან.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლემ უნდა:

(1) ისწავლოს ლოცვა, როგორც იეს ილოცულობდა.

(2) ილოცოს იესოს მიერ დადგენილი ლოცვის ნიმუშის შესაბამისად.

ცხოვრებისეული მომენტები

- ❖ ერთმა ახალგაზრდამ შემდეგი წერილი მიწერა ჩემს მეგობარს, დოქტორ ფილ ბრაუნს: „მე მგონია, რომ საკმარისად არ ვლოცულობ ოჯახის წევრის ფიზიკურ გამოჯანმრთელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ის მუდმივად ჩემს აზრებშია და ვგრძნობ, რომ მას რეგულარულად ვავედრებ ღმერთს, მაგრამ მაინც შეგრძნება მაქვს, რომ ლოცვა არასათანადოა. ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბრძოლა ისაა, რომ არასოდეს ვარ კმაყოფილი ჩემი თავით, რადგან არასაკმარისად ვკითხულობ ბიბლიას და არასაკმარისად ვლოცულობ... როგორ დავაბალანსო დანაშაულის გრძნობა "არასაკმარისი ლოცვისა" იმ ფაქტთან, რომ ვიცი - ღმერთს შეუძლია მისი განკურნება, იმ ფაქტს, რომ მე მსურს ღვთის ნება და იმ ფაქტს შორის, რომ არ ვიცი რა არის ღვთის ნება?“

- ❖ ერთ საღამოს, ბიბლიის შესწავლის, ანუ საოჯახო ჯგუფის შეკრების დროს, ჩემმა მეგობარმა დენიმ, ახალმა ქრისტიანმა, უმრავლესობა ჩვენგანის სათქმელი თქვა, როდესაც აღიარა: „ლოცვა ნამდვილად რთულია ჩემთვის! უბრალოდ არ ვიცი, როგორ უნდა ვიქონიო კარგი ლოცვითი ცხოვრება. ”

მრავალ ქრისტიანს ტანჯავს ლოცვის საკითხი. ბევრი უკმაყოფილოა მათი ლოცვითი ცხოვრებით. რადგან ვერ ვხედავთ მას, ვისთანაც ვსაუბრობთ, რთულია კონცენტრირება, ან თუნდაც იმის დაჯერება, რომ ღმერთი გვისმენს. ჩვენ გვაინტერესებს- რა უნდა ვთქვათ. ზოგი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ლოცვის მნიშვნელობას, რადგან ღმერთმა წინასწარ იცის ჩვენი შეშფოთება და საჭიროება, სანამ ვილოცებთ. ჩვენ გვაინტერესებს, რამდენი ლოცვაა საკმარისი. ჩვენ გვაინტერესებს, რატომ ვერ ვხედავთ მეტ შედეგს. ყველა ეს განცდა საერთოა.

ხომ კარგი იქნებოდა, იესო რომ ჩვენი მასწავლებელი ყოფილიყო ლოცვების სკოლაში? თავისი მაგალითით, სიტყვით და მისი სულით ის არის კიდეც! თუ დროს გამოვნახავთ მის მოსასმენად, ლოცვასთან დაკავშირებით ჩვენს ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლება იესოს ლოცვითი ცხოვრების შესწავლით.

> ◆ მიეცით ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა გაგიზიარონ თავიანთი ლოცვითი პრობლემები და ლოცვასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მათთვის სირთულეს წარმოადგენს.

ძირითადი აზრი

სულიერი ფორმირება ქრისტეს ხატად, უშუალოდ უკავშირდება ეფექტურ ლოცვით ცხოვრებას.

ამ გაკვეთილზე, ჩვენ შესაძლებლობას მივცემთ იესოს, რომ მან გვასწავლის ლოცვა. მისი ლოცვის მარტივი ნიმუში/მოდელი, „მამაო ჩვენო“, თითქმის 2 000 წლის განმავლობაში მოძღვრავს ქრისტიანებს და მისი გაუმჯობესება შეუძლებელია. მაგრამ ეს არ არის ლოცვის ფორმულა. ეს არის ნიმუში, რომელიც დაგვეხმარება ლოცვის სწორი თანმიმდევრობის/წესისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით პირადი ლოცვის დროს. **1) დავიწყოთ თაყვანისცემით, 2) შუამდგომლობაზე გადასვლა, 3) დასრულება თხოვნით.** ამ გაკვეთილზე, ჩვენ შევეცდებით შევქმნათ ჩვენი პირადი ლოცვები ამ ნიმუშის მიხედვით და ამავდროულად თვითონ მას ვუყუროთ, როგორც ამ ნიმუშის აღმსრულებლის მაგალითს.

ლუკას სახარება გვიღების ბევრ ფანჯარას იესოს ლოცვით ცხოვრებაში. ამ გაკვეთილზე ამ ფანჯრებში შევიხედებით. თუ დავაკვირდებით იესოს ლოცვით ცხოვრებას და მოვუსმენთ მის სწავლებას ლოცვის შესახებ, უკეთესად მივხვდებით, როგორ ვიქონიოთ უფრო ღრმა, უფრო მოქმედი და უფრო ეფექტური ლოცვითი ცხოვრება.

ლუკა გვეუბნება, რომ იყო რაღაც ისეთი უდაო, მიმზიდველი იესოს ლოცვითი ცხოვრების შესახებ, რომ მის მოწაფეებს სურდათ ისევე ელოცათ, როგორც მას: „ერთხელ, რომელიღაც ადგილას იყო და ლოცულობდა; როცა დაასრულა, ერთმა მოწაფეთაგანმა მიმართა: "უფალო, გვასწავლე ლოცვა, როგორც იოანე ასწავლიდა თავის მოწაფეებს”.[358]

> ◆წარმოთვით მამაო ჩვენო ერთად. თუ არ იცით, დაიზეპირეთ
>
> უთხრა მათ: "როცა ლოცულობთ, თქვით - მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი, მოვიდეს მეფობა შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა.
>
> ”პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს’’
>
> და მოგვიტევე ჩვენი ცოდვები, როგორც ჩვენ მივუტევებთ ყველა ჩვენს მოვალეს; და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან”. (ლუკა 11: 1-4).

[358] ლუკ.11:1

გაკვეთილი

1. ლოცვის ცრუ კონცეფციები/ცნებები.

A. არის ძალა ლოცვის აქტში/აღვლენაში.

ბევრ ქრისტიანს თითქოს და სწამს ეს. მაგრამ არ არსებობს ძალა თვითონ ლოცვის აღვლინებაში/აქტში, არამედ ძალა ლოცვის *შედეგად* მოდის! და არა უბრალოდ ნებისმიერი ლოცვის შედეგად, არამედ ლოცვის, რომელიც აამებს ღმერთს, მისი მოსაწონია. მთელი ძალაუფლება (ძალა) ღმერთს ეკუთვნის. ბაალის 400 წინასწარმეტყველმა მთელი თავიანთი რწმენა ლოცვის აღსრულებაში ჩადეს, იმ დროს როცა ელიამ თავისი რწმენა დადო ღმერთზე, რომელიც ლოცვებს პასუხობს.[359] ლოცვის დროს ყურადღების კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ არა მხოლოდ ლოცვაზე, არამედ თვით ღმერთზე, რომლის მიმართაც ვლოცულობთ.

B. მრავალსიტყვა ლოცვას/ლოცვის გამრავლებას მეტი შედეგი მოაქვს.

ყოველთვის ასე არ არის. იესომ გვითხრა, ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც წარმართები იქცევიან, რადგან ჰგონიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი.[360] ღმერთი არ არის

სავაჭრო აპარატი/ავტომატი, რომლისგანაც ჩვენ შეგვიძლია იმდენჯერ მივიღოთ სასურველი „კანფეტი“, რამდენ ლოცვის მონეტასაც ჩავაგდებთ, საკმარისი მოცულობის ლოცვის სახით. ლოცვა ასე არ მოქმედებს. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას, შევამჩნიე აზროვნების ეს პრინციპი ყველა წამყვან მსოფლიო რელიგიებში, მათ შორის ბუდიზმში, ინდუიზმში, ისლამსა და იუდაიზმშიი. ნამყოფი ვარ მრავალ სალოცავებში და ვნახე ინდუისტი და ბუდისტი ბერები, რომლებიც ლოცულობდნენ თავიანთ ლოცვებს, ზოგნი ლოცვის ბორბლების დატრიალებით და ზოგიც კრიალოსნით ხელში. ისინი თვლიან, რომ ლოცვათა სიმრავლით დახმარებას მიიღებენ. ლოცვების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ლოცვების ხარისხს. მხოლოდ ლოცვითი შეკრებები ვერ მოიტანს ღმერთის კურთხევებს.

> ❓განიხილეთ ეს ცრუ წარმოდგენები ლოცვის შესახებ თქვენს ჯგუფთან. ხომ არ შეგიმჩნევიათ სხვა არასწორი წარმოდგენები?

2. საზრაურის პრინციპები, ეფექტური პირადი ლოცვა, იესოს სწავლების თანახმად.

A. იესო გვასწავლის, რომ საიდუმლო ლოცვის პირველი პრიორიტეტი ღმერთთან უშუალო, ახლო მოზიარეობაა: უთხრა მათ: "როცა ლოცულობთ, თქვით - მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი.”[361]

---

[359] 3მეფ.18:36-38

[360] მათ.6:7;

[361] ლუკ.11:2

უფრო სრულფასოვანი და ეფექტური ლოცვითი ცხოვრების საიდუმლო ღმერთთან ურთიერთობით ტკბობაშია. ” ისიამოვნე უფლის მიერ და ის აგისრულებს გულის საწადელს.”[362] ყოველთვის ასე უნდა მისულიყო ისრაელი ღვთის თანდასწრებაში,[363] და სწორედ ასე სურს ღმერთს, რომ ყოველი მისი შვილი მიეახლოს მას. თხოვნები, რომელიც ამ სასიამოვნო მოზიარეობიდან არ მომდინარეობა არის რწმენას მოკლებული, მცდარი/არასწორი და ეგოისტური.[364]

ლუკა გვამცნობს, რომ მამასთან მოზიარეობა იესოსთვის პრიორიტეტი იყო. ის ხშირად გადიოდა მსახურების საქმიდან სალოცად: "ამიტომ ის ხშირად მიდიოდა უდაბნოში და ლოცულობდა",[365] მამის წინაშე ლოცულობდა და მამის ხმას უსმენდა. მამასთან განმარტოებული ლოცვის დროს იესოს აზრები, სიტყვები და ქცევა ყალიბდებოდა.[366] მისი თხოვნებიც ლოცვაში ყალიბდებოდა. ლოცვის დროს, იესო თავის ნებას უქვემდებარებდა თავისი ზეციური მამის ნებას, ისე რომ ყველაფერი, რასაც ითხოვდა, შეესაბამებოდა და ჰარმონიაში იყო ღვთის გეგმებსა და მიზნებთან. სწორედ ასეთი უნდა იყოს ლოცვა. ვიდრე ახლო მოზიარეობა მამასთან არ იქნება ლოცვის პრიორიტეტი, უფალთან გატარებულ ჩვენს დროს არ ექნება სიხარული და ჩვენი ლოცვები იქნება ეგოისტური და ცარიელი.

როდესაც ჯორჯ მიულერს კაცს, რომელიც ღმერთმა გამოიყენა ათასობით ობოლი ქუჩის ბავშვის გადარჩენისთვის ბრისტოლში, ინგლისში, კითხეს ლოცვითი ცხოვრების ეფექტურობის შესახებ, მან უპასუხა: ”ახლა უფრო ნათლად დავინახე, ვიდრე ოდესმე, რომ უპირველესი დიდი და მნიშვნელოვანი საქმე, რაც უნდა მეკეთებინა ყოველდღე იყო ის, რომ *ჩემი სული ბედნიერებით/სიხარულით ამევსო უფალში.* პირველი, რაზეც უნდა მეღელვა, არ იყო ის, რამდენს ვემსახურებოდი უფალს, როგორ შემეძლო განმედიდებინა; არამედ როგორ შემიძლია ჩემი სული ბედნიერ მდგომარეობაში მოვიყვანო, როგორ შემიძლია ჩემი შინაგანი კაცი ვკვებო."

ღმერთთან ურთიერთობიდან მომდინარეობს სურვილი, რომ მისი სახელი იყოს განდიდებული, პატივდებული და სიწმიდეში დაცული. ეს არის ის, რასაც იესოს გულისხმობდა „წმინდა იყოს სახელი შენი“. ღმერთი პატივს მიაგებს ჩვენს ლოცვებს, როდესაც ჩვენ ყოველთვის მის დიდებას და მის სახელს ყველაფერზე ზემოთ დავაყენებთ. ლოცვის ერთ-ერთი პირველი პრინციპი არის, რომ როდესაც ჩვენ ვზრუნავთ იმ საკითხებზე, რაც მნიშვნელოვანია ღმერთისთვის, ის იზრუნებს იმაზე, რაც ჩვენთვისაა მნიშვნელოვანი.

ბევრი კითხულობს: *როგორ მივხვდით, როცა კონკრეტულ თხოვნაზე/საკითხზე საკმარისად ვილოცეთ? რამდენი დროა საკმარისი, რომ ყოველდღე უფალთან გაატარო ლოცვაში?* ამ ტიპის შეკითხვები არის იმის სიმპტომი, რომ ლოცვის ფოკუსირება არასწორად ხდება. ჩემმა მეგობარმა, დოქტორ ფილ ბრაუნმა ამ კითხვას კარგად უპასუხა:

---

[362] ფს.36:4
[363] 2რჯ.12:18; 14:26; 16:11,15; 3მეფ.1:40
[364] იაკ.4:3
[365] ლუკ.5:16
[366] ინ. 5:20, 30

თუ „ლოცვა განუწყვეტლივ“[367] ნიშნავს, რომ ყველა ფიქრი ლოცვებით უნდა იყოს დაკავებული, მაშინ არავინ, მათ შორის თავად იესოც, არ ლოცულობდა „საკმარისად“. იესოს მაგალითი მოიცავს მადლიერების მოკლე ლოცვებს,[368] ლოცვების ადრეულ დილას,[369] ლოცვებს გვიან ღამით,[370] დღის ლოცვებს,[371] და ლოცვას მთელი ღამის მანძილზე[372]. თუმცა არც იესო და არც ბიბლიის არცერთი ავტორი არ განსაზღვრავს სტანდარტული დროს რაც „საკმარისია“ ლოცვისთვის…

ის, რაც მეხმარება (და მარწმუნებს), ჩემი ლოცვების შეფასებაში - მათი „გაზომვა“ **ურთიერთობისა და პასუხისმგებლობის** მიხედვით. მე მაქვს ურთიერთობა მეუღლესთან, მაგრამ საკუთარ თავს არ ვეკითხები, „საკმარისად“ ვესაუბრე თუ არა მას. ურთიერთობებში პრობლემას წარმოადგენს გაგება და ახლო ურთიერთობა. მუდმივად მზად ვარ ვისაუბრო ჩემს მეუღლესთან, რადგან ესაა საშუალება მესმოდეს მისი და მას ესმოდეს ჩემი. როდესაც მოცემულ დროში (საუბრიშ შედეგად) გვესმის ერთმანეთის, ეს საკმარისია. რა თქმა უნდა, დღეს ურთიერთგაგების მოპოვება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ დაგვჭირდება ურთიერთობა/საუბარი ხვალ. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ღმერთთან და ლოცვა არის ღვთის მიერ ბოძებული საშუალება, რათა განვავითაროთ ეს ურთიერთობა. ჩვენ უნდა ვილოცოთ იმ ხანგრძლივობით და სიხშირით, რამდენადაც საჭიროა, რომ ღმერთთან ურთიერთობა განვავითაროთ/გავაღრმავოთ. ლოცვის საჭიროება ხან მეტი იქნება, ხანაც ნაკლები.

პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ყველას გვაქვს სულიერი პასუხისმგებლობა ლოცვაში. ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ უნდა ვილოცოთ ყველა ადამიანისთვის,[373] „მეფეებისთვის და ყველა ზემდგომთათვის“,[374] რათა სამკალის უფალმა გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში,[375] ჩვენი მდევნელებისთვის,[376] იმისთვის, რომ წმიდა იყოს სახელი მისი, მოვიდეს მისი მეფობა, რომ მისი ნება აღსრულდეს, უნდა ვილოცოთ ჩვენი ყოველდღიური საჭიროებებისთვის, ნებისმიერი ჩადენილი ცოდვის პატიებისთვის, ბოროტისაგან და ყველა უწმინდურობისგან დაცვისთვის[377] და ყველა წმინდასათვის.[378] გარდა ამ კონკრეტული ლოცვით პასუხისმგებლობებისა, ჩვენ ასევე გვაქვს პასუხისმგებლობა ვილოცოთ მათთვის, ვისზედაც სულიერი ზედამხედველობა და გავლენა გვაქვს. სამუელმა გაათვითცნობიერა,

[367] 1თეს.5:17
[368] მათ.15:36
[369] მარ.1:35
[370] მათ.14:25
[371] ლუკ.9:18
[372] ლუკ.6:12
[373] 1ტმთ.2:1
[374] 1ტმთ.2:2
[375] ლუკ.10:2
[376] მათ.5:44
[377] მათ.6:9-11
[378] ეფეს.6:18

> რომ თუ არ ილოცებ მათთვის, ვისზეც ღმერთმა სულიერი ძალაუფლება მოგცა, ღვთის წინააღმდეგ სცოდავ.[379] იგივე ითქმის ჩვენთვისაც.

როდესაც ლოცვისას მთელი ყურადღება ურთიერთობასა და პასუხისმგებლობაზეა, ბევრს აღარ ვიფიქრებთ დროზე.

- **ლოცვის გავლენა იესოს ცხოვრებაში და მსახურებაში.**

ლუკა იესოს ნათლობის სცენას მომხიბლავ დეტალებში აღწერს, რაც სახარების სხვა ავტორებს არ აღუნიშნავთ: „იესოც მოინათლა და ლოცულობდა, ზეცა გაიხსნა და გადმოვიდა მასზე სულიწმიდა სხეულებრივად, როგორც მტრედი და გაისმა ხმა ზეცით: "შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მოვიწონე მე".[380] ჩვენ არ გვაქვს ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რაზე ლოცულობდა იესო, მაგრამ ის იორდანის შუაგულში იდგა მთლად სველი და მშვიდად ლოცულობდა. მამამ პატივი მიაგო, დაამოწმა მასზე, მოიწონა და სულიწმიდით აღავსო.

A. როდესაც ლოცულობდა, იესომ მამამისისგან გამხნევება და მადლი მიიღო.

ჯონ ვესლი აღნიშნავს, სახარებაში აღწერილი სამი ცალკეული შემთხვევა, როდესაც ხმა საუბრობდა ზეციდან, ეს იყო "ან მისი ლოცვის დროს, ან სწრაფვე ამის შემდეგ".[381]

ადამიანები, რომლებიც რეგულარულად ტკბებიან ღმერთთან მოზიარეობით ლოცვის ადგილზე, არიან უფრო თავდაჯერებულნი, გამბედავნი და გამარჯვებულნი, რადგან ისინი სულიწმიდის სისრულეში ცხოვრობენ. ღვთის სული მათ სულებში მოწმობს, რომ ისინი ღვთის შვილები არიან; და ღვთის სულით, ისინი ღაღადებენ აბბა, მამაო!

ისინი, ვინც ნაკლებად ლოცულობენ, დაუცველები არიან და ამიტომ ეძებენ დამოწმებას/მიღებას ადამიანებისგან. მათი შიში ატყვევებს მათ.[382] როცა დაუცველობა და შიში მეუფლება, ეს ნიშანია იმისა, რომ პრობლემა ჩემი ლოცვით ცხოვრებაშია. როდესაც ლტოლვა და ცეცხლოვანება, დარწმუნებულობა და სიყვარული აქრება ჩემს გულში და ხმაში, ვიცი, რომ არსებობს პრობლემა ჩემს ლოცვით ცხოვრებაში. როდესაც ძალიან მაღელვებს სხვები რას ფიქრობენ, პრობლემა ჩემს ლოცვით ცხოვრებაშია. თუ მე თვითრეკლამით ვარ გატაცებული, ვიცი, რომ ლოცვებში შემექმნა პრობლემა. როდესაც ჩემი სწავლება ძალისმიერი ხდება, კრიტიკული ჩემს სულში, ყალბი საჯარო ლოცვების დროს, ვიცი, რომ ჩემი ლოცვით ცხოვრებაში პრობლემა არსებობს. სიმამაცე და თვითდაჯერებულობა ლოცვის საშუალებით მოდის.

---

[379] 1მეფ.12:23
[380] ლუკ.3:21-22
[381] ლუკ.9:35; ინ.12:28
[382] იგ.29:25

B. სულის სისრულე იესოს ლოცვის საშუალებით ეძლეოდა და ლოცვაში მიუძღვებოდა მას.

ლუკა გვეუბნება, რომ სულიწმიდა მტრედის სახით გადმოვიდა და დაივანა მასზე, როდესაც იესო ლოცულობდა.[383] (ეს იქნება მოციქულების მოწმობაც რამდენიმე წლის შემდეგ.)[384] შემდეგ სულის მიერ გაყვანილ იქნა უდაბნოში,[385] საიდანაც ორმოცი დღის შემდეგ იგი „სულის ძალაუფლებით დაბრუნდა გალილეაში“.[386] მის წინაშე იყო გამოწვევები, რომლებიც ადამიანისთვის შეუძლებელი იყო, საჭირო იყო თანდასწრება და ძალა, რომელიც აღემატებოდა მის საკუთარ ადამიანურ ძალას. იესოს სჭირდებოდა სულიწმიდის სისრულე და ეს სისრულე ლოცვებით მოვიდა მასში.

შეუძლებელია იყო დიდი ღვთის სასუფეველში ლოცვის გარეშე, რადგან ლოცვით მოდის სულიწმიდის მიერ ავსება, ხელმძღვანელობა, აღჭურვა და გაძლიერება ქრისტიანებში. ჩარლზ სპერჯენმა თქვა: ”თუ შეგიძლიათ ლოცვის გარეშე იყოთ დიდებული, თქვენი სიდიადე იქნება თქვენი განადგურება. თუ ღმერთს განზრახული აქვს თქვენი დიდად კურთხევა, ის დაგეხმარებათ, რომ დიდად მლოცველი იყოთ.

ასზე მეტი წლის წინ ახალგაზრდა ინგლისელმა პასტორმა, სახელად სამუელ ჩედვიკმა, გულწრფელად დაიწყო ღვთის *ძალის* ძიება. ის რაც მან აღმოაჩინა, ბევრად უკეთესი იყო ვიდრე რაიმე, რასაც კი ოდესმე წარმოიდგენდა - სულიწმინდის სისრულე. აი მისი დამოწმება:

> 1882 წლის დასაწყისში, ჩემმა გამოცდილებამ ჩემი სიცოცხლე გაგების და ძალაუფლების ახალ დონეზე აიყვანა. *სულიწმიდის ნიჭი მივიღე.* მიძღვებოდა გზებით, რომელიც არ ვიცოდი, რადგან თითქმის არ მქონდა გაგონილი არასდროს, რომ ასეთი გამოცდილება შესაძლებელი იყო. შეუძლებელი ამოცანის მოთხოვნებმა გააღვიძა საჭიროების შეგრძნება. მე არც ძალა მქონდა და არც შემლება არც მსახურებაში და არც ლოცვაში. დავიწყე ლოცვა ძალაუფლების მისაღებად მსახურისთვის... ძალა მესაჭიროებოდა. მე მჭირდებოდა ძალა წარმატების მისაღწევად და ჩემი მთავარი საზრუნავი ძალაუფლება იყო და ის წარმატება, რომელსაც ის მომიტანდა. მსურდა წარმატება, რომელიც გაავსებდა ჩემს ეკლესიას, ხალხს გადაარჩენდა და სატანის ძლიერი სიმაგრეებს ჩამოშლიდა. პატარა ვიყავი და მეჩქარებოდა. თორმეტმა ჩვენგანმა ჯგუფურად დავიწყეთ ლოცვა და პასუხი მოვიდა.... მან მიგვიყვანა სულთმოფენობამდე. *მთელი ჩემი ცხოვრების „გასაღები“/გადამწყვეტი მომენტი სწორედ ამ გამოცდილებაშია.* ამან გააღვიძა ჩემი გონება, ასევე გამიწმინდა გული. ამან მომცა ახალი სიხარული და ახალი ძალა, ახალი სიყვარული და ახალი თანაგრძნობა. მომცა ახალი ბიბლია და ახალი სიტყვა. უპირველეს ყოვლისა, ამან მომცა ახალი გაგება და ახალი სიახლოვე მოზიარეობასა და ლოცვით და მსახურებაში.”[387]

---

[383] ლუკ.3:21-22
[384] საქ.4:31
[385] ლუკ.4:1
[386] ლუკ.4:14
[387] სამუელ ჩედვიკი (Samuel Chadwick). ლოცვის ბილიკი (The Path of Prayer), originally published 1938, Jawbone Digital, 2012. www.jawbonedigital.com, 437.

- ◆ მოიძიეთ: საქმეები 1:14; საქმეები 2:42; საქმეები 3: 1; საქმეები 4:31; საქმეები 6: 4. ამ მუხლებიდან რომელი იყო პრიორიტეტი ახალი აღთქმის ეკლესიისთვის? რა შედეგი მოჰყვა მათ ლოცვებს?

4. როგორ განვავითაროთ უფრო ახლო ურთიერთობა ღმერთთან ლოცვებში.

A. შედით მისი თანდასწრებაში მოწიწებით.

1) მიდით მოწიწებით და თაყვანისცემით.

ლოცვისას, ყოველთვის იყურეთ ზემოთ, და არა შიგნით, საკუთარ თავში, ან გარეთ, პრობლემებისკენ. თაყვანი ეცით ღმერთს იმის გამო, ვინც ის არის. იფიქრეთ მის სიდიადეზე. ხმამაღლა წარმოთქვით მისი სახელები და მისი თვისებები. შემდეგ მადლობას გადაუხადეთ მას ყველაფრისთვის, რაც გააკეთა. ყოველთვის, თქვენი მოტივირება, მისი დიდება უნდა იყოს!

2) სიხარულით შედით მის თანდასწრებაში.

ეს იგულისხმა მეფსალმუნემ, როდესაც თქვა: „სიხარულით შესძახე უფალს, მთელო დედამიწავ!სიხარულით ემსახურეთ უფალს, მიდით მის წინაშე სიმღერით.უწყოდეთ, რომ უფალია ღმერთი. მან შეგვქმნა ჩვენ და არა ჩვენ - ჩვენი თავები, მისი ხალხი ვართ და მისი სამწყსოს ცხვარი. მადლიერებით შედით მის კარიბჭეში და ქებით - მის ეზოებში; მადლობდეთ მას და აკურთხეთ მისი სახელი,რადგან კარგია უფალი, საუკუნოა მისი წყალობა და თაობიდან თაობამდეა მისი ერთგულება.”[388]

სიხარულით შედით ლოცვაში, მაშინაც კი, როდესაც მდგომარეობა ასე არ გეჩვენებათ. გაახსენეთ თქვენს სულს, ვინ არის ღმერთი, მისი ზრუნვის შესახებ თქვენზე და გაიხარეთ! იყავით მადლიერნი!

გაანათეთ თქვენი სული და ლოცვის ადგილი ღმერთის თაყვანისცემის სიმღერებითა და საგალობლებით. იმღერეთ ახალი სიმღერა. ყოველთვის ჯერ გაიხარეთ ღმერთის წინაშე და თქვენი ლოცვითი ცხოვრება გარდაიქმნება. ასე მოიქეცით და იქნება მომენტები, როდესაც თქვენი სული შევა ზეციურ სიხარულში და ზეცა ჩამოა თქვენს სირთულეების სამყაროში. მე ეს ვიცი, რადგან ეს თვითონ მაქვს გამოცდილი!

3) შედით მის თანდასწრებაში მოწიწებით, მაგრამ გაბედულებით.

ღვთის მოსაწვევი ჩვენს მიმართ ასე ჟღერს: „ამიტომ, გაბედულად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის.” (ებრაელთა 4:16). დიდება უფალს!

ღმერთის წმიდა თანდასწრებაში შესასვლელად რომ უცოდველთა სრულყოფილება მოგვეთხოვებოდეს, ვერავინ შეძლებდა იქ მისვლას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მასთან მიახლოება იესო ქრისტეს სრულყოფილებისა და მისი დამსახურების წყალობით! ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით მივეახლოთ, როდესაც მზერას შინაგანისკენ კი არ მივმართავთ, ჯერ ზევით ავიხედებით, საიდანაც ხდება მადლისა და წყალობის მიღება.

---

[388] ფს.99

4) შედით მის თანდასწრებაში სუფთა ხელებითა და სუფთა გულით.

მეფსალმუნე კვლავ მღერის: „ვინ ავა უფლის მთაზე ან ვინ დადგება მის წმიდა ადგილზე? ვისაც ხელები სუფთა აქვს და გული სპეტაკი, ვინც ამაო კერპებს არ წაპოტინებია და ყალბად არ დაუფიცია”(ფსალმუნი 23:3-4).

არასოდეს იფიქროთ, რომ ღმერთთან ახლო მოზიარეობით ისიამოვნებთ, თუ დაუდევარი დამოკიდებულება გაქვთ ცოდვის მიმართ, და თუ გაწყვეტილი გაქვთ ურთიერთობა პიროვნებასთან და არაფერს აკეთებთ მის აღსადგენად.

5) გაირინდეთ უფლის წინაშე.

დავითი ლოცულობდა: „მხოლოდ ღმერთს ელის მდუმარედ ჩემი სული:[389] მისგანაა ჩემი ხსნა”, “მხოლოდ ღმერთს ელოდება სული ჩემი მდუმარედ, რადგან მისგან არის ჩემი იმედი.“[390]

მლოცველი ადამიანების ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ისინი დროს ღვთის სულის მოსმენაში ატარებენ, რა დროსაც ვლინდება ღვთის პერსპექტივა ჩვენს რეალურ ცხოვრებაზე. გასაოცარია თუ რას გვეუბნება ღმერთი მაშინ, როდესაც მას შანსს ვაძლევთ, როდესაც ვუხმობთ და მის პასუხს ველოდებით.

> ◆მოსე და მოციქულები იმის ნათელი მაგალითნი არიან თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღმერთთან ურთიერთობა ჩვენი ლოცვითი ცხოვრებისათვის. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთს შეადარეთ გამოსვლის 33:11, 17 და იოანეს 15:14-16. იმსრჯელეთ, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ღმერთთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე.

B. **ილოცე დედამიწაზე ღვთის სამეფოს წარმატებისათვის.** „მოვიდეს მეფობა შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.“[391]

იესომ ასწავლა მოწაფეებს, რომ თავის ყოველდღიურ ლოცვებში ღვთის საზრუნავი თავის საზრუნავზე წინ უნდა დააყენონ. მან ასწავლა, რომ მასთან ურთიერთობით, ჩვენს ფიქრებსა და ლოცვებს იმისაკენ მიმართავს რისი გაკეთებაც სურს მას ჩვენს ცხოვრებაში, საზოგადოებაში და მსოფლიოს ხალხში.

რა არის ღმერთის ნება? მისი ნება არ მდგომარეობს იმაში, რომ ცოდვილებმა ან წმინდანებმა ადვილი, უმტკივნეულო, ცდუნებისაგან თავისუფალი, კომფორტული ცხოვრებით იცხოვრონ, არამედ ღმერთის ნებაა ის, რომ ამა ცხოვრების უბედურებაში მისი სიყვარული და მადლი თვალსაჩინო გახდეს, როგორცჩვენს ცხოვრებაში, ასევე ეკლესიაში, საზოგადოებაში და მთლიანად მსოფლიოში. ესაა ღვთის ნება, რომლისთვისაც უნდა ვშუამდგომლობდეთ. დედამიწაზე მომავალი ზეცა!

---

[389] ფსალმუნი 61:1
[390] ფსალმუნი 61:5
[391] ლუკა 11:2

ღმერთის ნებაა, რომ მისი სულიერი სამეფოს სათნოებანი და ღირებულებები[392] ყველა მორწმუნეში გამოვლინდეს და მათი მეშვეობით მთელს მსოფლიოში გავრცელდეს. მას სურს, რომ მისი სამეფოს თავმდაბლობა, მოკრძალება, სამართალი, წყალობა, სიწმინდე, მშვიდობა, მოთმინება და სიყვარული მთელს მსოფლიოში გავრცელდეს.

პირადი ლოცვის დროს ჩვენ უნდა ვლოცულობდეთ ჩვენს ქორწინებაზე, ბავშვებზე და შვილიშვილებზე, ქრისტიან მსახურებზე მთელს მსოფლიოში, სულების გადარჩენაზე, ტანჯულ ეკლესიაზე და ერზე, სადაც ვცხოვრობთ და მის ლიდერებზე. ჩვენ უნდა ვილოცოთ, არა ადამიანზე ფოკუსირებული ლოცვით, არამედ იმაზე, რომ მისმა ხსნის, განწმენდის და განმტკიცების მომნიჭებელმა მადლმა მიაღწიოს მათთან.

თითქმის დაუჯერებელია, რომ ლოცვით ღმერთთან ერთად ვმონაწილეობთ მისი სულიერი სამეფოს წარმატებაში მთელ მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ ყველა შედეგს. „ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ ღვთის ძალაა, რათა დავანგრიოთ სიმაგრენი.“[393] როდესაც ღმერთი გვაკისრებს, იმას რისი გაკეთებაც სურს, რომელ ადამიანებსაც სურს მიაღწიოს და მსახურებას, რომელიც სურს რომ ჩვენ შევასრულოთ, ჩვენ ვლოცულობთ თითოეული ამ საჭიროებისათვის.და როდესაც ჩვენ ლოცვებს მისი სამეფოს პრიორიტეტებისკენ მივმართავთ, ის აკურთხებს ჩვენს ლოცვით ცხოვრებას და ავრცელებს თავის ბატონობას კაცთა და ერების გულებში და ცხოვრებაში!

1) ილოცე ღვთის სამეფოსა და მისი ნების შესაბამისად

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ რაც უნდა ვიცოდეთ ის არის, რომ წარმატებული ლოცვისათვის ჩვენ ღმერთის ნების შესაბამისად უნდა ვლოცულობდეთ. ღმერთი გონებაში თავის ნებას გაწვდის-ცოდვილთა ხსნა, დამსხვრეული ურთიერთობების აღდგენა და განკურნება, მისი ეკლესიის ერთიანობა, ქრისტიანი მსახურების მოხმობა და გაგზავნა, ყველა ერში მოწაფეების მომზადება-ილოცე ამ საკითხებისთვის.

ქრისტიანებს ზოგჯერ აბნევთ ღვთის ნება. პირველი ნაბიჯი იმისათვის, რომ გავარკვიოთ ჩვენი დაბნეულობა ამისათვის ლოცვა და იმის კეთებაა, რაზეც ვიცით, რომ ღვთის ნებაა. შემდეგ ღმერთი დარჩენილის გარკვევაში დაგვეხმარება.

ის, რაც აშკარად ვიცით, რომ ღვთის ნებაა:

- ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის ნებაა ყველა გადარჩეს.[394]
- ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის ნებაა ყველა ქრისტიანმა წმიდა ცხოვრებით იცხოვროს და სიძვას განერიდოს.[395]

---

[392] იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს ღვთის სამეფო, უნდა შევისწავლოთ ქადაგება მთაზე, მათე 5-7.
[393] 2კორინთელთა 10:4
[394] 2ტიმოთე 2:4
[395] 1თესალონიკელთა 4:3

- ღმერთის ნებაა რომ, ყველაფრისათვის მადლიერნი ვიყოთ.[396]
- ღმერთის ნებაა, რომ ზოგჯერ დავიტანჯოთ.[397]
- ღმერთის ნებაა, რომ მუდამ სიკეთეს ვაკეთებდეთ.[398]
- ღმერთის ნებაა, რომ მუშაკნი თავის სამკალში წარიგზავნონ.[399]

ჩემი ორი შვილი გიტარაზე უკრავს. ერთი რამ რაც შევამჩნიე ის არის, რომ სანამ მუსიკის კეთებას დაიწყებენ ისინი გიტარას ასწორებენ. ჭიმავენ და უშვებენ სიმებს იქამდე სანამ გიტარის არეული სიმები ჰარმონიული არ გახდება. ეს იმის კარგი ილუსტრაციაა თუ რა უნდა ხდებოდეს ლოცვაში. პირადი ლოცვა იმის გზაა, რომ ჩვენი სურვილები ღმერთის სურვილებს დავუქვემდებაროთ და ყველა საზრუნავი, რაც ღმერთის მიზნებსა და ნებას არ შეესაბამება თავიდან მოვიცილოთ.

თითოეული ჩვენგანის პრობლემა ისაა, რომ დროებითი პრობლემები უფრო მეტად გვაწუხებენ ვიდრე მარადიული. გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი ლოცვები ზოგჯერ არაეფექტურია. იმის მაგივრად, რომ ღმერთის ნებას შევუსაბამოთ ჩვენი ლოცვები, ჩვენ ხალხზე ჩვენი ნების, გეგმებისა და პროექტებისათვის ვლოცულობთ. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობა და დარწმუნება არ გვაქვს და გული უთანხმოებით გვაქვს სავსე, ჩვენ მაინც ვლოცულობთ. ეს არ არის ბიბლიური ლოცვა.

თუ ლოცვა რამეა, ეს ჩვენი სულის ღმერთის სულისათვის დაქვემდებარებაა. ლოცვა არის ვისწავლოთ იმის დანახვა, რასაც ის ხედავს, გავიგოთ ის, რაც მას ესმის, ვიგრძნოთ ის, რასაც ღმერთი გრძნობს და უფრო და უფრო ვემსგავსებოდეთ მას. და როგორც ინსტრუმენტს სჭირდება ტკბილხმოვანებისთვის აწყობა, ასევე ჩვენი სული, ლოცვების მეშვეობით მუდმივად უნდა სწორდებოდეს ღვთის ნებაზე.

ჩვენი ლოცვები ვერასდროს გასცდება ჩვენი სამლოცველო ოთახის ჭერს თუ მათ ღვთის გონებაზე არ გავასწორებთ. რატომ? რადგან სულიწმიდა მხოლოდ იმ ლოცვებს ეთანხმება, რომლებსაც ღვთის ნების შესაბამისად ვლოცულობთ. „ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის ულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის.“[400] სულიწმიდა არასოდეს ჩაერთვება ისეთ ლოცვაში, რომელიც არ არის ღმერთის ნების შესაბამისად. მასზე ვერ მოვახდენთ მანიპულირებას, ვერ ვაიძულებთ ან მოვატყუებთ, რომ ამ ღვთის ნების გარეშე დაგვლოცოს. ასე რომ, ჩვენ უნდა გავარკვიოთ თუ რა არის ღვთის ნება და დავემორჩილოთ მას.

როგორ დავუქვემდებაროთ ჩვენი ლოცვითი ცხოვრება ღმერთის სამეფოსა და მის ნებას:

1) აივსე საღვთო წერილით.

საღვთო წერილი გვაწვდის ინფორმაციას და ახდენს ჩვენი ლოცვების ფორმირებას. ღმერთს უყვარს თავისი სიტყვა და არ დაუშვებს, რომ ისეთი რამისათვის ვილოცოთ, რაც მას ეწინააღმდეგება. თუ

[396] 1თესალონიკელთა 5:18
[397] 1პეტრე 4:19
[398] 1პეტრე 2:15
[399] მათე 9:38
[400] რომაელთა 8:27

გვსურს, რომ ლოცვაში ღმერთს დავუახლოვდეთ ჩვენ მუდამ უნდა ვეძიებდეთ მის სიტყვას. პირადი ლოცვა ყოველთვის ღვთის სიტყის ძიებით დაიწყეთ. თუ იმ ადამიანების ლოცვით ცხოვრებას გამოიკვლევთ, როგორებიც არიან აბრაამი, მოსე, ელია და დანიელი შეამჩნევთ, რომ ისინი კარგად ლოცულობდნენ, რადგან ღვთის სიტყვას იცნობდნენ. ისინი მუდმივად ასრულებდნენ ღმერთისათვის მიცემულ დაპირებას.

როდესაც ჩვენი ერთ-ერთი შვილი გარკვეული მიზეზის გამო ღმერთს შორდებოდა, ჩემი ცოლი, ბეკი და მე ღვთის წერილის შესაბამისად ვლოცულობდით მასზე. ჩვენ ვლოცულობდით, რომ თავი არაკომფორტულად ეგრძნო ამბოხებაში.[401] ჩვენ ვლოცულობდით დარწმუნებისათვის.[402] [403]ვლოცულობდით ღვთის წყალობისათვის.[404] ჩვენ ვლოცულობდით, რომ მისი სულიერი თვალები ახელილი ყოფილიყო და მამას მისკენ მიეზიდა ჩვენი შვილი.[405] დაჟინებით ვლოცულობდით ჩვენს ქალიშვილზე წერილის მიხედვით, რამაც ჩვენი რწმენა განამტკიცა. მართალია ამას დრო დასწირდა, მაგრამ ღმერთმა ისმინა ჩვენი ლოცვა და გვიპასუხა. დღეს ჩვენი უფროსი ქალიშვილი ღმერთს ემსახურება, რაც ჩვენთვის დიდი სიხარულია!

2) შეუსაბამე შენი ლოცვები ბიბლიურ ლოცვებს

ასობით ლოცვაა ბიბლიაში განსაკუთრებით კი ფსალმუნებში. გამოიყენე ეს ფსალმუნები და შეეცადე ისინი შენს საკუთარ ვითარებებს მოარგო.

„დავინახე, რომ ყველაზე მთავარი, რაც უნდა გამეკეთებინა, იყო ღვთის სიტყვის კითხვა და მასზე მედიტაცია. ” - ჯორჯ მიულერი

3) იყავი სულიერად გამჭრიახი.

არსებობს მომენტები, როდესაც ღმერთი გვიცხადებს იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელზეც სურს რომ ვილოცოთ, რაც მას განადიდებს. „რადგან, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ისინი არიან ღვთის შვილები.“[406] როგორც მისიონერული ლიდერი, ქმარი და მამა, იყო შემთხვევები, როდესაც უფალმა მიბიძგა მელოცა რაიმე კონკრეტული საქმისთვის (მაგალითად, ღვთიური განკურნებისთვის), მაშინაც კი, როდესაც ამის შესახებ ბიბლიაში რაიმე კონკრეტული დაპირება არ იყო მოცემული. მე აღმოვაჩინე, რომ როდესაც შინაგანში მოწმობა გაქვს, რწმენა ძლიერდება და ლოცვაზე პასუხიც მოდის. სხვა დროს შესაძლოა ვერ მელოცა იგივე შინაგანი მოწმობით ან დარწმუნებით, მაგრამ სულიწმიდა გვეხმარება, რომ გავიგოთ თუ რისთვის და როგორ უნდა ვილოცოთ.[407]

---

[401] ოსია 2:6; იგავები 22:5
[402] ფსალმუნები 126-127
[403] იოანე 16:8
[404] ფსალმუნი 102:8
[405] იოანე 6:44
[406] რომაელთა 8:14
[407] რომაელთა 8:26-27

4) ეძებეთ მოწმობა ქრისტეს სხეულის სხვა წევრებისაგან.

თუ ქრისტე კონკრეტულ თემაზე ლოცვაში გვიძღვება ის ჩვენი სულიერი ოჯახის წევრებსაც გამოიყენებს იმისათვის, რომ ამაზე მოწმობა მივიღოთ ან გავერთიანდეთ ლოცვაში. მაგრამ თუ შეთანხმება არ იქნება ჩვენს შორის, მაშინ სულიწმიდაც არ წაგვიძღვება.[408]

C. **წარადგინეთ თქვენი თხოვნები ღვთის წინაშე:** „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს. და მოგვიტევე ჩენი ცოდვები, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ ყველა ჩვენს თანამდებს და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.“[409]

ახლა კი, როდესაც თაყვანისმცემლის გული გვაქვს და ღვთის სამეფოს წარმატებისათვის ვიბრძვით შეგვიძლია ჩვენი თხოვნები წარვუდგინოთ ღმერთს. ის კი სიხარულით მოისმენს და გვიპასუხებს.

1) ჩვენ დღიური საზრდოსათვის ვლოცულობთ.

ყველაფერი მნიშვნელოვანია სულიერი და ფიზიკური ცხოვრებისათვის. ღმერთს სურს ბავშვივით მივენდოთ მას, რადგან ამგვარი ნდობა მას განადიდებს. როდესაც ქრისტე თავის მოწაფეებს ასწავლის, რომ დღიური საზრდოსათვის ილოცონ მათ ახსენებს, რომ კმაყოფილნი უნდა იყვნენ იმისთვის, რაც აქვთ.[410] ჩვენ უნდა შევამციროთ ჩვენი პირადი სურვილები და საჭიროებები და მომავალი მას მივანდოთ.[411]

2) ჩვენ ვლოცულობთ პატიებისათვის, ვინაიდან სხვებსაც ვპატიობთ.

ქრისტე გვასწავლის, რომ თავმდაბლურად ვევედრებოდეთ ცოდვის შენდობისათვის. არავინ იცნობს საკუთარ გულს. ჩვენ არა მხოლოდ სულიერად სუსტ და დაუცველ მომენტებში ვამბობთ და ვაკეთებთ იმას, რაც ამწუხრებს ან აქრობს სულს,[412] არამედ ჩენ გასაკეთებელ საქმეებსაც ვტოვებთ. ამასაც სჭირდება იესოს სისხლით განწმენდა.[413] ჩენ მეფსალმუნის მსგავსად უნდა ვლოცულობდეთ. „გამომიკვლიე უფალო და შეიცანი ჩემი გული, შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები. ნახე, ზიანის მომტან გზაზე ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი.“[414]

საერთო ლოცვის წიგნიდან ყოველდღიური მონანიების ამ ლოცვას ქრისტიანები ორასი წლის განმავლობაში ლოცულობდნენ და ეს ჩვენთვისაც კარგი პრაქტიკა იქნებოდა:

ყოვლისშემძლე და გულმოწყალე მამიკო, ჩვენ შევცოდეთ და დაკარგული ცხვრებივით გზას ავცდით, ჩვენი გულის ზრახვებსა და სურვილებს გავყევით, შეურაცხვყავით შენი წმიდა კანონები, მივატოვეთ

---

[408] მათე 18:19
[409] ლუკა 11:3-4
[410] ფილიპელთა 4:11
[411] Alexander MacLaren
[412] 1თესალონიკელთა 5:19
[413] ჯონ ვესლი თავის ჩანაწერებში „მამაო ჩვენო“-ს შესახებ იგი ლოცულობს: ”მოგვეცი, უფალო, გამოსყიდვა (შენს) სისხლში, ცოდვების მიტევებაც კი: როგორც შენ ნებას გვრთავ ჩვენ თავისუფლად მივუტევოთ ყველას,ასევე გვაპატიე ყველა ჩვენი დანაშაული.
[414] ფსალმუნი 138:23-24

ის საქმენი, რომლებიც უნდა დაგვესრულებინა და გავაკეთეთ ის, რაც არ უნდა გაგვეკეთებინა. მაგრამ შენ შეგვიწყალე უფალო, დაინდობ მათ, ვინც აღიარებს თავის დანაშაულს, შენი დანაპირების თანახმად აღადგენ მათ ვინც ინანიებს, ძე გაწირე იმისათვის რომ შემდგომში ვიცხოვროთ ღვთიური, მართალი და ფხიზელი ცხოვრებით, შენი წმინდა სახელის სადიდებლად. ამინ[415]

3) ჩენ ყოველდღიური გამარჯვებისათვის ვლოცულობთ.

ყოველდღიური ლოცვა „ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა“ სულიერი სიფხიზლის ლოცვაა. იმისათვის, რომ ვიშუამდგომლოთ უნდა ვილოცოთ: „მამა, შენ იცი ჩემი სისუსტე და ის თუ სად დამატყვევა ეშმაკმა წარსულში. ნუ ჩამაგდებ სირცხვილსა და სინანულში. დაიცავი ჩემი ბაგე, ჩემი გონება და ჩემი არჩევანი დღეს. შენ იცი ის ბილიკები, რომლებსაც დღეს გავივლი (თუნდაც ინტერნეტში) ამიტომ გთხოვ დღეს დამეხმარე, რომ ყოველთვის წმიდა გზას ვირჩევდე. დამეხმარე დღეს ისეთი არჩევნის გაკეთებაში, რაც სულიერი დაცემისაგან დამიცავს.

აღმოვაჩინე, რომ როდესაც ამ ლოცვას გააზრებითა და გულწრფელობით ვლოცულობდი მით უფრო მეტად სულიერად ფხიზელი ვხდებოდი. უფრო მეტად ვერკვეოდი სულიწმიდის არსებობასა და ძალაში და საბოლოოდ ვიმარჯვებდი კიდეც.

5. რამდენიმე პრაქტიკული რჩევა:

A. ილოცე შეუპოვრად.

თუ ლოცვა ღმერთისთვის მნიშვნელოვანია, ის უფრო მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვისაც.

- ❖ ლუკას მე-18 თავში იესო ასწავლის, რომ მორწმუნე მუდამ დაჟინებული უნდა იყოს ლოცვაში. „უთხრა მათ იგავი იმის შესახებ, რომ ყოველთვის უნდა ილოცონ და არ ობეზრდეთ.....მაშ, განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულებს, რომლებიც დღედაღამ მას შეჰღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი?“[416]

- ❖ ლუკა 21-ე თავში იესო გვაფრთხილებს, რომ ფხიზელი ლოცვა უკუღმართობისა და ღმერთის რისხვისაგან ჩვენი სულის გადარჩენის საიდუმლოა :გაფრთხილდით, რომ არ დაგიმძიმდეთ გულები ღრეობით, ლოთობითა და ცხოვრებისეული საზრუნავით და მოულოდნელად არ დაგატყდეთ ის დღე. ვინაიდან მახესავით დაეცემა თავს მთელი დედამიწის მკვიდრთ. ამიტომ, იფხიზლეთ ყოველ ჟამს. ილოცეთ, რომ შეძლოთ თავის დაღწევა ყოველივესაგან, რაც უნდა მოხდეს და წარსდგეთ ძე კაცისას წინაშე!“[417]

- ❖ 22-ე თავში იესო ამჟღავნებს, რომ ლოცვა ცდუნების დაძლევის საშუალებაა. გეთსემანიის ბაღში ლოცვისას იესო თავის დაქანცულ მოწაფეებს აფრთხილებს: „ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში. თვითონ ქვის სასროლ მანძილზე გაშორდა მათ, მუხლი მოიყარა და

[415] https://www.episcopalchurch.org/sites/default/files/downloads/book_of_common_prayer.pdf, 41,
[416] ლუკა 18:1; 6
[417] 24:34-36

ლოცულობდა. ლოცვის შემდეგ წამოდგა მივიდა მოწაფეებთან და კვლავ უთხრა: „ რატომ გძინავთ? ადექით და ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში.“

შევამჩნიე, რომ ლოცვის გარეშე ჩემი სული შეშფოთებული და დაუდგრომელი ხდება. ამასთანავე ცდუნება უფრო მეტად ძლიერდება. ადამიანის შიში მატყვევებს. სხვების სისუსტეები უფრო მეტად მკაფიო ხდება. გამოწვევები უფრო მაშინებს. ყოველდღიური პრობლემები იმატებს. მაგრამ ყოველდღიური ლოცვა ჩემს სულს ამშვიდებს, ჩემს გონებას აახლებს და სულიერ პერსპექტივასა და სიმამაცეს მმატებს. ლოცვის მეშვეობით ჩემი რწმენა მყარდება და ჩემს არსებაში კიდევ უფრო მეტად იდგამს ფესვებს.

B. ილოცე რწმენით და ღვთის ნებას მიენდე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა ეფექტური ლოცვისათვის, რწმენაა.[418] მაგრამ რა არის რწმენა? როგორ უნდა გავიგოთ, რომ საკმარისი რწმენა გვაქვს? შესაძლოა რაიმესათვის ვლოცულობთ, მაგალითად განკურნებისთვის, მაგრამ ღმერთი არ ისმენს ჩვენს ლოცვას.

> რწმენის ლოცვის გასაგებად სამი ფაქტია გადამწყვეტი.[419] ბიბლიური რწმენაა, დაიჯერო ის, რომ ღმერთს შეუძლია[420] გააკეთოს ის, რაზეც თქვა რომ გააკეთებს.[421] რწმენა არ არის ის, რომ დაიჯერო ღმერთი, მისი ნების მიუხედავად ყველაფერს გააკეთებს რასაც კი სთხოვ. ეს შესაძლოა რწმენის ყველაზე არასწორი გაგება იყოს.[422]

ლოცვას ღმერთზე მანიპულირებისთვის ნურასდროს გამოიყენებ, არამედ გამოიყენე იგი მის შესაცნობად, მიეცი ღმერთს უფლება, რომ შენი გული და სურვილები მის ნებას გაუთანაბროს. ესაა ეფექტური ლოცვის გასაღები.

C. ილოცე სხვებთან ერთად.

უდიდესი ძალაა ღვთის შვილების გაერთიანებულ ლოცვაში. როდესაც დედები სხვა დედებს უერთდებიან ლოცვებში თავისი შვილებისთვის, ღმერთი ისმენს მათ ლოცვას და პასუხობს. როდესაც მამაკაცები ერთმანეთს უერთდებიან სიწმინდისა და გამარჯვებისათვის ლოცვაში, ღმერთი ისმენს მათ ლოცვას და პასუხობს. როდესაც ახალგაზრდები ერთიანდებიან გამოცოცხლებისთვის ლოცვაში, ღმერთი ისმენს მათ ლოცვას და პასუხობს. როდესაც ქრისტიანები ერთად შეუდგებიან გულწრფელ ლოცვას დაკარგული ადამიანებისთვის და ღვთის სამეფოს წინსვლისთვის, ღმერთი ისმენს და პასუხობს ამ ლოცვებს.

დასკვნა

ბიბლიით სტრუქტურირებული ყოველდღიური/თანმიმდევრული ლოცვითი ცხოვრება, რომელშიც ღმერთთან სიახლოვეს განვიცდით, სადაც ღმერთის რეპუტაცია და დიდება ჩვენს სურვილებს

---

[418] იოანე 1:6
[419] იოანე 5:15
[420] მათე 8:5-10
[421] ებრაელთა 10:23; ტიტე 1:2
[422] ჩანაწერები ლოცვაზე დოქტორ ფილიპ ბრაუნისგან. (Dr. Philip Brown.)

აჭარბებს, სადაც ღვთის სასუფეველსა და ნებას ეძებენ და რომელშიც ყოველდღიური საჭიროებებისთვის შუამდგომლობა, ყოველდღიური პატიება, და ყოველდღიური გამარჯვება ხორციელდება, რა თქმა უნდა, ეფექტური ლოცვითი ცხოვრებაა. „რასაც ჩემი სახელით ითხოვთ, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში. თუ რამეს ითხოვ ჩემი სახელით, მე გავაკეთებ.“[423] „თქვენ არ აგირჩევივართ, არამედ მე აგირჩიეთ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ და თქვენი ნაყოფი დარჩეს, რათა, რასაც კი სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მან მოგცეთ თქვენ.“[424]... „ითხოვეთ და მიიღებთ, რათა სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული.“[425]

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირაში მინიმუმ 30 წუთი გაატარეთ ამ გაკვეთილის მიმოხილვაში, მათ შორის საღვთო წერილის მითითებებში, სთხოვეთ ღმერთს გამჭრიახობა.
2. თქვენსრვეულშიჩაიწერეთღმერთისმიერგაცხადებულინებისმიერიცვლილება, რომელიცშესაძლოათქვენსცხოვრებაშიმოხდეს.
3. ღვთისთვისგამოყოფილიდროისგანმავლობაშიიფიქრეთმინიმუმერთფსალმუნზედარვეულშ იჩაიწერეთისთურასამბობსმეფსალმუნეღვთიურიბუნებისადახასიათისშესახებ.
4. რვეულში ჩაიწერეთ პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისა და ზრდისათვის, რომელიც ამ გაკვეთილს ეფუძნება.
5. პირადი ლოცვის დროს შეეცადეთ გააპრაქტიკოთ დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვის სახელმძღვანელო.

[423] იოანე 14:13
[424] იოანე 15:16
[425] იოანე 16:23 ბ

ტესტი 9 გაკვეთილისთვის

1. რომელია ორი არასწორი აზრი ლოცვასთან დაკავშირებით?

2. იესოს მიხედვით რა არის ლოცვის პირველი პრიორიტეტი?

3. ლუკას გადმოცემის თანახმად, რა გავლენა მოახდინა ლოცვამ იესოს ცხოვრებასა და მსახურებაში?

4. როგორ შეიძლება დავუახლოვდეთ ღმერთს ლოცვის მეშვეობით? მოიყვანეთ მაგალითები წმიდა წერილიდან

5. იესოს მიხედვით, როგორი უნდა იყოს პირადი ლოცვა?

6. რომელი ოთხი გზის მეშვეობით უნდა დავუქვემდებაროთ ჩვენი ლოცვები ღმერთის სასუფეველსა და ნებას?

გაკვეთილი 10

მოქმედების სულიერი დისციპლინები

აღიარება, მორჩილება და მსახურება

გაკვეთილის მიმოხილვა

გაეცანი მეცხრე გაკვეთილის ძირითად პუნქტებს. ჰკითხე სტუდენტებს თუ რომელიმეს სურს, რომ გაგიზიარონთავისი პირადი ლოცვა მეხუთე გაკვეთილიდან.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტებმა უნდა:

(1) გააცნობიერონ აღიარების, მორჩილებისა და მსახურების მნიშვნელობა
(2) მოიპოვონ პრაქტიკული სიბრძნე ცოდვის დაძლევისთვის ბრძოლაში
(3) გააპრაქტიკონ მოცემული დისციპლინები

ცხოვრებისეული მომენტები

- 17 წლის ასაკში მოვინანიე. მშვენიერი გამოცდილება მქონდა ჩვენი ქალაქის პატარა ეკლესიაში. შესანიშნავი იყო იმის ცოდნა, რომ ღმერთის წინაშე აღარ შევცოდავდი. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, რატომღაც შევცდი, რის შემდეგაც ღრუბელი გადაეფარა ჩემს სულს. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საკურთხეველთან დაბრუნება მჭირდებოდა. დედასთან მივედი და ვკითხე თუ რა გამეკეთებინა. მან თქვა: „შვილო, შენს გულში სამსხვერპლო ააგე, ღმერთის წინაშე აღიარე ეს ყველაფერი და ცხოვრება განაგრძე. ასეც მოვიქეცი რის შემდეგაც მტკიცე რწმენა დამიბრუნდა. უფლისათვის 40 წლის მანძილზე ცხოვრების, მრავალი წვრთნისა და სწავლების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანს შეუძლია ასე მარტივი, პრაქტიკული პასუხი გასცეს ცოდვის პრობლემას- დოქტორი მაიკლ ევერი.
- ადრეული ასაკიდან თვალთმაქცობის ხელოვნებაში ვიყავი გამოცდილი. ჩემი მშობლები მუსიკის განხრით მსახურობდნენ და მე როგორც პატარა ბავშვმა ვისწავლე თუ როგორ უნდა მეთქვა სწორი სიტყვები, მემეღერა სწორი სიმღერები და ამეწია ხელი სწორ დროს. მივიღე რწმენის „პროფესია“ მთელი საშუალო სკოლის, კოლეჯისა და ოთხ წლიანი ბიბლიის სკოლის განმავლობაში. ამასთან უნდა ითქვას, რომ განსხვავებაა ხსნის პროფესიასა და ხსნის ფლობას შორის.მართალია, ადამიანთა უმეტესობას, მათ შორის კარგ მეგობრებს, ეგონათ, რომ მე ქრისტიანი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი შოუ იყო.მე ცოდვის საიდუმლო ცხოვრებით ვცხოვრობდი, რომელიც მეგობრებისა და ოჯახისთვის ფარული იყო.ამ პერიოდში მსახურებაშიც ვიყავი ჩართული. ზოგჯერ, ღმერთისგან პატიებას ვითხოვდი, ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ უკეთესად გავაკეთებდი, უკეთესი ვიქნებოდი და საკუთარი თავის შეცვლას ვეცდებოდი. ამ ლოცვიდან რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ კი კვლავ ჩემს ცოდვილ გზებს ვუბრუნდებოდი.

1999 წლის მარტში, როდესაც აღორძინებისაკენ მივდიოდი, ფსკერზე დაცემული აღმოვჩნდი. 45 წუთიანი მგზავრობის დროს ღმერთმა ჩემი ცოდვის სიღრმე მაჩვენა და მე შემზიზღდა ის, რაც დავინახე. ღმერთს შევღაღადებდი და ვეუბნებოდი, რომ არ მეგონა ქრისტიანი თუ ვიქნებოდი. მას ვუთხარი, რომ დავიღალე საკუთარი თავის ცვლილების მცდელობითა და მარცხით. ახლაც მახსოვს, რა სიტყვებით ვლოცულობდი მის წინაშე: „ღმერთო არ ვიცი ჩემს გადარჩენას აპირებ თუ არა, მაგრამ ყველა შემთხვევაში მე ამ სიყალბეს თავს ვანებებ!“ ღმერთმა კი ჩემთვის დაუყოვნებლივ გააკეთა ის, რის გაკეთებასაც დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდი. მან გადამარჩინა! ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ მან ეს გააკეთა. იმ დროიდან ჩემი ცხოვრება იგივე აღარასდროს ყოფილა.

ჩემი ცვლილებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ღმერთმა მსახურების შესაძლებლობა მომცა, ის თავისი დიდებისთვის მიყენებდა. თუმცა მეშინოდა, რომ ხალხს ჩემი ნამდვილი სახე არ ენახათ. მეშინოდა, რომ თუ როგორმე გაიგებდნენ ვინ ვიყავი, ისინი ჩემს სიტყვას არ მოუსმენდნენ ან მსახურებიდან გამათავისუფლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს ვერტიკალურად ვაღიარებდი, უკანასკნელი რისი გაკეთებაც მსურდა, ეს იყო სხვისი ჰორიზონტალური აღიარება.

როდესაც 2006 წლის მარტის ერთ დილას, პირადი თაყვანისცემის დროს ლოცვისათვის მუხლებზე დავდექი ღმერთი მკაფიოდ დამელაპარაკა და მითხრა, რომ ჩემი წარსული უნდა მეღიარებინა. ერთი კვირი განმავლობაში ვიბრძოდი, რომ ჩემი ყოფილი ცხოვრება არ გამეზიარებინა. საბოლოოდ, სამშაბათს, დილით, დავურეკე კოლეჯის ყოფილ პრეზიდენტს, გავუზიარე ჩემი ამბავი, ვაღიარე ჩემი ფარისევლობა და პატიება ვთხოვე.მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად არ მახსოვს, რა მიპასუხა მკაფიოდ მახსოვს თუ როგორ ვიგრძენი ტვირთის მოხსნა. თავისუფალი ვიყავი! -პასტორი კიტ ვაგონერი, ნამპა, აიდაჰო.

ეს ორი ისტორია გამარჯვებული ცხოვრებისათვის სასარგებლო ინფორმაციას გვაწვდის. დოქტორ ევერის მოწმობა ასწავლის ახალგაზრდა ქრისტიანებს, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ წარუმატებლობებს, რადგან ისინი სწავლობენ უფალთან სიარულს: "ააშენეთ სამსხვერპლო", "აღიარეთ ეს ყველაფერი ღვთის წინაშე“ და „განაგრძეთ ცხოვრება“. მე ვაფასებ მისი სწავლების სიმარტივეს. თქვენ არა? ხშირად მორწმუნეები ქრისტიანულ ცხოვრებას ზედმეტად ვართულებთ.

მაგრამ რაც შეეხება დაჟინებულ ბრძოლას, ცოდვების წინააღმდეგობას ან სირცხვილის გრძნობას, რომელიც გვბოჭავს პასტორი კიტის აღიარების ჩვენება არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ სულიერ დისციპლინებს ჩვენი სულიერი ცხოვრების უფრო ღრმად ფესვგადგმული პრობლემებისგან განთავისუფლება.

ძირითადი აზრი

სულიერი დისციპლინების პრაქტიკა, სულიწმინდის მსახურებასთან ერთად, უზრუნველყოფს გამარჯვებული ცხოვრების სწავლებას. ისინი აბსოლუტურად აუცილებელია ნომინალური, გულგრილი ხშირად დამარცხებული ქრისტიანული ცხოვრების მიღმა გადასასვლელად. ქრისტიანთა ყველა ერთგულმა თაობამ დაადასტურა ეს.

გაკვეთილი

ჩვენ ვისწავლეთ თუ რამდენად დიდი ადგილი აქვს სულიერ დისციპლინებს ყველა მორწმუნის ცხოვრებაში. მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ იესოს ცხოვრებაში, და თუ გვსურს, რომ მის ხატებად გადავიქცეთ, მაშინ ჩვენს ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკაოს ამ დისციპლინებმა.

ჩვენ ასევე ვისწავლეთ, რომ ეს სულიერი დისციპლინები ებრძვიან სამყაროს, ხორცსა და ეშმაკს. ისინი მადლის საშუალებები არიან, რომლებიც ბრძოლისათვის აღვგვჭურვავენ, ისინი ღმერთის სიხარულის მომტანი არიან და ისინი მადლის საშუალებები არიან, რომლებიც ჩვეულებრივ მორწმუნეებს ქრისტეს ხატად გარდაქმნიან.

ამ გაკვეთილზე მოკლედ შეისწავლით კიდევ რამდენიმე კლასიკურ სულიერ დისციპლინას და მოიძიებთ იმ პრაქტიკულ გზებს, რომლის მეშვეობითაც მათ თქვენს სულიერ ცხოვრებად დაუკავშირებთ.[426]

1. **აღსარების დისციპლინა-** აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ, რადგან ბევრი რამ შეუძლია მართლის გაძლიერებულ ლოცვას.

იესოს დაყრდნობით, ღვთის წინაშე პირად ლოცვაში აღიარების პრაქტიკა, სამუდამო პატიების მიღების გზაა.[427] მაგრამ სულიწმიდა ასევე გვასწავლის, რომ ერთმანეთის წინაშე აღიარება სულიერი განკურნების საშუალებაცაა. იაკობი გვასწავლის, რომ სულიერი განკურნება ზოგჯერ ფიზიკურ განკურნებასაც იწვევს.

A. აღსარების დისციპლინის განსაზღვრება

აღიარების დისციპლინა სხვის წინაშე სულიერი ცოდვებისა და არაქრისტიანული სფეროების აღიარებაა, როგორც სულიერი განკურნების საშუალება.[428] სხვა ქრისტიანის წინაშე აღიარება განსაკუთრებით საჭიროა იმ დროს, როდესაც ცოდვის წინააღმდეგ ვიბრძვით და წარსული მარცხით განცდილი დანაშაულის გრძნობა და სირცხვილი არ ქრება. მიუხედავად იმისა, რომ პატიება ღმერთის წინაშე ცოდვის აღიარებით მოდის, ბევრმა აღმოაჩინა, რომ ქრისტეს სხეულის სანდო წევრის წინაშე ცოდვის აღიარებას განთავისუფლება მოაქვს.

❓წაიკითხე იაკობის 5:16. ყურადღება გაამახვილე აღიარებასა და განკურნებას შორის კავშირზე.

---

[426] კლასიკური სულიერი დისციპლინების ამ გაკვეთილებისთვის მე დიდ წილად ვეყრდნობი რიჩარდ ფოსტერის(Richard Foster) წიგნს, "დისციპლინის დღესასწაული", (Celebration of Discipline) ასევე დოქტორ დენ გლიკის (Dan Glick) პატარა სასარგებლო ბუკლეტზე, "მადლის დისციპლინებზე" (Disciplines of Grace), , და კიტ დურის (Keith Drury)წიგნზე " განმსაზღვრელი სული",(Soul Shaper).

[427] მათე 6:12

[428] Drury, 83

B. უთანხმოება "ცოდვასა" და აღიარებასთან დაკავშირებით

აღსარების ბიბლიური გაგება ზოგიერთ ქრისტიანს არაკომფორტულ მდგომარეობაში აგდებს, რადგან ფიქრობენ, რომ ის ღმერთთან ერთად წმიდად და გამარჯვებულად ცხოვრებას ერთმანეთისაგან გამორიცხავს. როგორ შეიძლება იცხოვრო წმიდა ცხოვრებით და კვლავ გიწევდეს აღსარების თქმა? ამ გაუგებრობის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ის თუ როგორ ხსნიან ცოდვას ქრისტიანი მასწავლებლები.

ზოგიერთი ქრისტიანი ხშირად განმარტავს ცოდვას, როგორც ღმერთის სრულყოფილი სიმართლისაგან ჩამოშორებას. ამ განმარტებებში ხშირად არ განასხვავებენ ერთმანეთისგან წინასწარ განზრახულ ცოდვას, ცოდვას რომელიც სწრაფად ეუფლება ქრისტიანს (სულიერი სისუსტის გამო) ან არაქრისტიანულ დამოკიდებულებებს. სხვა ქრისტიანები ცოდვას ძალიან ვიწროდ განმარტავენ, როგორც წინასწარ განსაზღვრულ შეგნებულ ქმედებას ღვთის კანონის წინააღმდეგ და მეტს არაფერს. ორივე უკიდურესობა უგულებელყოფს რეალურ ცხოვრებაში არსებულ პრობლემებს, რომლებსაც გულწრფელი ქრისტიანები განიცდიან.

> უფრო სწორი იქნება ტერმინ „ცოდვას“გარკვეულ მოქნილობას თუ შევძენთ, 1 იოანე 3:9 დავიწყების უკიდურესობაში გადასვლის გარეშე, რომელიც გამორიცხავს ჩვეულ ცოდვებს. მართალი ადამიანი არ სცოდავს „აზრებში, სიტყვებში და საქმეებით ყოველ დღე.“ მიუხედავად ამისა, ის დრო და დრო შეიძლება დამარცხდეს და დაჭირდეს მონანიება და პატიება. - რიჩარდ ს. ტეილორი.

ერთის მხრივ თუ გვჯერა, რომ წინასწარ განზრახული ცოდვა სულიერი დაცემის ან არაქრისტიული დამოკიდებულების ტოლია, მაშინ შესაძლოა მსუბუქად შევხედოთ ჩვეულებრივ ცოდვას, რომელზეც ბიბლია ამბობს, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანებს „არ ძალუძთ შეცოდება“.[429] „ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ“- ამას ხშირად ყოველგვარი განმარტების გარეშე ამბობენ ხოლმე. მეორეს მხრივ, ცოდვის ვიწრო განმარტებით, რომელიც გულისხმობს ღვთის კანონის უხეშ დარღვევას, მრავალი ქრისტიანი თვითმართალი გახდა.

ისინი გულცივი გახდნენ იმის მიმართ თუ რამდენად მძიმეა გარკვეული ცოდვები სულიწმიდისთვის - უწმინდური აზრები, შეცდომაში შეყვანა, დაუკმაყოფილებელი დამოკიდებულება, ლოცვის სიმცირე, სიცრუე, ბოროტმოქმედება, ამპარტავნება და ა.შ. ისინი ამართლებენ არაქრისტიანულ დამოკიდებულებასა და ქცევას, რადგან მათ ადამიანურ სისუტედ და შეცდომად უფრო აღიქვამენ ვიდრე ცოდვად.

[429] 1იოანე 3:8-9

ჩვენ ცოდვას არ უნდა განვიხილავდეთ, როგორც რეალურ ყოფაში არსებულს პრობლემას, რომელიც თავს ჩვენს ცხოვრებასა და ხასიათში იჩენს, რომელიც ჩვენსა და ღმერთს შორის დგება და ხელს გვიშლის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. ღვთის ხსნის გეგმაა, რომ მისი ძის ხატების მსგავსად ჩამოგვაყალიბოს.

ჩვენ ღვთის სიტყვას უნდა მივყვეთ, რათა არასწორად აღქმული საკითხები სწორად გავიგოთ.

> რაც ასუსტებს თქვენს მოსაზრებებს, ვნებს თქვენს სინდისს, ბუნდოვანს ხდის თქვენს ურთიერთობას ღმერთთან, გართმევთ სულიერი საგნებით განცდილ სიამოვნებას, მოკლედ, რაც ზრდის თქვენი სხეულის ძალასა და ავტორიტეტს თქვენს გონებაზე, ეს თქვენთვის ცოდვაა, თუმცა ის შესაძლოა წინასწარ განზრახული არ იყოს- სუზანა ვესლი

C. ბიბლიაში აღწერილი ცოდვის სხვადასხვა სახეობა[430]

ისევე, როგორც ჩრდილოეთ ამერიკაში არსებულ ესკიმოსურ მოსახლეობას მინიმუმ ხუთი განსხვავებული სიტყვა აქვთ თოვლის აღსაწერად, ბიბლიაც სხვადასხვაგვარად აღწერს ცოდვას.

❓მოიძიეთ თითოეული მითითება და განიხილეთ ისინი.

1) ცოდვა, როგორც უყურადღებობა[431]-ვინც სიკეთის კეთება იცის და არ აკეთებს.
2) ცოდვა, როგორც არჩევანი[432] -წინასწარ განზრახული არჩევანი, როდესაც ვიცი, რომ ღვთის კანონის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებ.
3) ცოდვა, როგორც სინდისის დარღვევა[433]- ისეთი საქმის კეთება, რომელიც ცოდვად მიგვაჩნია, მაშინაც კი, თუ ეს პირდაპირ არ არღვევს ღვთის სიტყვას.
4) უმეცრების ცოდვა[434]- ღვთის მცნებების უნებლიე დარღვევა, რომელსაც იესოს სისხლით გამოსყიდვა სჭირდება იმ შემთხვევაშიც კი თუ ჩვენ არაფერი ვიცით ამის შესახებ.
5) ერთი ცოდვა-[435] ერთი ქმედება, რომელიც უფალს არ მოსწონს.
6) ცოდვის პრაქტიკა[436]- ცოდვა, როგორც ცხოვრების წესი, რომელსაც ღვთის არც ერთი ჭეშმარიტი შვილი არ გააკეთებს. ეს არის ერთგვარი ცოდვა, რომელზეც იესო აფრთხილებს კოჭლ კაცს და მრუშ ქალს, რომ მეტჯერ აღარ ჩაიდინონ.

---

[430] დოქტორ მაიკ ევერის (Dr. Mike Avery) მიერ მოწოდებული შენიშვნებიდან
[431] იაკობი 4:17
[432] 1იოანე 3:4
[433] რომაელთა 12:22-23
[434] ლევიანნი 4:2,22
[435] 1იოანე 2:1-2
[436] 1იოანე 3:4-9

7) სიბრმავე საკუთარი ცრურწმენისა და ფარისევლობისადმი[437]- ეს არის პეტრესი და მასთან ერთად სხვა ქრისტიანების უმეცარი ცოდვა.

8) სულიწმიდის დამწუხრება[438]- ნებისმიერი არაქრისტიანული აზრი, სიტყვა ან საქმე, რომელიც სულიწმიდას ამწუხრებს.

9) ამქვეყნიური დამოკიდებულება ან სურვილები[439]-წუწუნი, პრეტენზია ან არასწორი საქმეებისადმი ლტოლვა.

10) გაუთვალისწინებელი[440] ან მოულოდნელი ცოდვები[441]- ცოდვა, რომელიც ქრისტიანს სისუსტისა და ცდუნების მომენტში ეუფლება.

წმინდა წერილში აღმოჩენილი ცოდვის მრავალგვარი განმარტება თავმდაბლებად უნდა გვაქცევდეს და გვაგრძნობინებდეს, რომ დაუყოვნებლივ გვჭირდება იესოს სისხლით განწმენდა. მათ უნდა შეგვახსენონ, რომ ქრისტე ჩვენთვის მოკვდა და აღსდგა არა მხოლოდ განზრახ ცოდვის გამოსასყიდად, არამედ ყოველი აზრის, სიტყვის და ქმედების გამოსასყიდად,

პრაქტიკული და პასტორული რჩევები ცოდვასთან დაკავშირებით, ავტორი დოქტორი მაიკლ ევერი

არასდროს მოახდინოთ თქვენი ცოდვის მინიმალიზირება-„ოჰ, ამას მნიშვნელობა არ აქვს“

არასოდეს გაზარდოთ თქვენი ცოდვები- როგორ? კეთილსინდისიერ მორწმუნეებს შეუძლიათ უარი თქვან მონანიებაზე და სხვლა განაგრძონ. ისინი ვერ პატიობენ საკუთარ თავს და ამ ცოდვის გამო სიმშვიდეს კარგავენ.

გარემოებების გამო ნურასოდეს გაამართლებთ თქვენს ცოდვას.

ის თუ როგორ გაუმკლავდება ადამიანი თავის ცოდვას, ბევრ რამეზე მეტყველებს მათ შესახებ და მათი [სიმწიფის] შესახებ. გულწრფელი, მოწიფული ქრისტიანი სიტყვებით არ ითამაშებს, მაგრამ ... სწრაფად აღიარებს წარუმატებლობას, მოინანიებს, იპოვის მადლს, საჭიროების შემთხვევაში აანაზღაურებს და წინ წაიწევს. მოუმწიფებელი ან ხორციელი ქრისტიანი იბრძვის ღმერთთან, თავს იმართლებს და, შესაძლოა, ცოდვასაც უარყოფს. ეს არის რელიგიური სიამაყის სიმაღლე. გახსოვდეთ, ღმერთი ეწინააღმდეგება ამაყებს, მაგრამ თავმდაბლებს მადლს ანიჭებს.

სამი შესაძლებლობა:

პირველ რიგში ჩვენ შეგვიძლია დავფაროთ ცოდვა, მაგრამ შედეგებით დავიტანჯოთ. „ვინც თავის დანაშაულს მალავს, წარმატება არ ექნება, მათი ამღიარებელი და მიმტოვებელი კი წყალობას ჰპოვებს.“

[437] გალატელთა 2:11-22
[438] ეფესელთა 4:30
[439] რიცხვთა 11:1,4
[440] დოქტორი ჯონ ოსვალტის (Dr. John Oswalt) მიერ გამოყენებული ტერმინი.
[441] გალატელთა 6:1

მეორე, ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ ცოდვები და განვიკურნოთ. იაკობის 5:16-ის მიხედვით, ცოდვების აღიარება განკურნებას იძლევა. ცოდვის ამღიარებელნი თავისუფლებას პოულობენ, რომელიც უარმყოფელთ არ აქვთ.

მესამე, ჩვენ შეგვიძლია ცოდვა მადლის მეშვეობით დავამარცხოთ. ჩვენ შეგვიძლია ვიბატონოთ წინასწარ განზრახულ ცოდვაზე მადლით ქრისტეში ცხოვრებით, სულიწმიდის ძალით.

რომელიც ტკივილს იწვევს და მის დიდებას ჩამოუვარდება. მათ უნდა შეგვახსენონ, რომ როგორც არ უნდა დავშორდეთ ღმერთს ჩვენ მუდმივად გვჭირდება იესო, როგორც ჩვენი ადვოკატი: „შვილებო ამას გწერთ იმისათვის, რომ არ შესცოდოთ. ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე-მართალი იესო ქრისტე“[442]

დოქტორი მაიკ ევერი წერს: ”ქრისტიანები ცოდვას არ გამოცდიან. ამასთან, ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა ყოველთვის რჩება, სანამ სამოთხეში არ მივალთ. გარდა ამისა, აშკარაა ალბათობა, რომ სადღაც გზაზე, თქვენ შესცოდავთ და პატიება დაგჭირდებათ. ამიტომ დაიწერა 1 იოანეს 2: 1-2.-ში ”[443] რიჩარდ ტეილორი ამბობს, ჩვენის მხრიდან მეტი სიწმიდე იქნებოდა, რომ ქრისტეს მსგავსებაში ჩვენი წარუმატებლობისათვის ცოდვები გვეწოდებინა, თავმდაბლობით გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები, გაკვეთილი ვისწავლოთ საკუთარ წარუმატებლობაზე. წარუმატებლობის უარყოფით ვერასოდეს ვერაფერს ვისწავლით.[444]

D. აღიარების ძალა

შენთვის სანდო დის ან ძმის წინაშე აღსარება ძლიერი იარაღია ცოდვისა და ცდუნების წინააღმდეგ.

1) აღსარება იწვევს ცდუნების ძალაუფლების დაკარგვას.

საიდუმლო ბრძოლების მოგება ყველაზე რთულია, ხოლო ცდუნება ყველაზე ძლიერია, როდესაც იზოლირებულები და განმარტოებულნი ვართ. რა ცოდვისკენ გიბიძგებს სატანა? რა ცოდვილი დამოკიდებულება შეიძლება გაიზარდოს თქვენს გულში, თუ მათ სინათლეზე არ გამოიტანთ? აღსარებას მოაქვს სულიერი ძალა, კომფორტი და სულიერი მეგობრის რჩევა-დარიგება ჩვენს ბრძოლაში, სადაც გამარჯვება უფრო მოსალოდნელი ხდება.[445] ბევრი ოჯახი ღამით სახლების გარეთ განათების ბოძებს განათავსებს, რათა შემომსვლელები გააკონტროლოს და შეაკაოს. აღსარება ცოდვის შემაკავებელი ფაქტორია, რადგან ის ჩვენს ცდუნებებს აყენებს იქ, სადაც სხვა ხედავს მათ და დაგვეხმარება მათგან დაცვაში.

2. აღსარება გადამწყვეტ დარტყმას აყენებს ჩვენს უდიდეს მტერს - სიამაყეს.

ჩვენი იმიჯის დაცვის ტენდენცია ყველა ჩვენგანშია. ჩვენ გვინდა, რომ ადამიანებმა კარგად იფიქრონ ჩვენზე და, მაშასადამე ცდუნებაც გვაქვს, რომ მასკა მოვირგოთ და თავი ისეთ

[442] 1იოანე 2:1
[443] ჩანაწერები მისი სულიერი ფორმირების სერიიდან Going Deep
[444] ღვთიური აღორძინება, 2001 წ. God’s Revivalist, 2001.
[445] იგავები 11:14; 17:17; 27:17; ეფესელთა 4:9

ადამიანებად მოვიკატუნოთ, ვინც სინამდვილეში არ ვართ.აღსარება ამოძირკვავს ფარისევლობას და მოამზადებს ჩვენი გულის ნიადაგს სიმართლის მოსავლისთვის.[446]

3. აღიარება ხშირად ათავისუფლებს სინდისის ქენჯნას და პატიების გარანტიას იძლევა.

ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია აპატიოს; მაგრამ, როგორც მისი სულით განმსჭვალული ქრისტეს სხეულის წევრები, ჩვენ დანიშნულნი ვართ, რომ მას წარმოვადგენდეთ დედამიწაზე. როდესაც სულიწმიდის წყალობით ერთმანეთს ვპატიობთ, ღვთის მკურნალი მადლი თავისუფლდება. როდესაც სულით სავსე და-ძმები წყალობით სავსე სიტყვებით ესაუბრებიან ერთმანეთს, თითქოს თვითონ იესო ამბობს ამ სიტყვებს. ამ დროს ჩვენ ერთმანეთს ვათავისუფლებთ. ამ თვალსაზრისით, ჩვენ დედამიწაზე ვხსნით იმას, რაც ზეცაში უკვე გაიხსნა.[447]

ძველი აღთქმის თანახმად ლევიტელი მღვდლები იყვნენ ღვთის წარმომადგენლები ადამიანების სახით, რომლებიც უმტკიცებდნენ ხალხს, რომ ღმერთი პატიობს და აღადგენს მადლს. ეს მღვდლები არა მხოლოდ მსხვერპლს სწირავდნენ და ლოცულობდნენ, არამედ ისინი ღვთის ადამიანური აგენტები იყვნენ, რათა თავისი ხალხი სუფთად და ნაპატიებად გამოეცხადებინათ.[448] მაგალითად, როდესაც კეთროვანი კეთრისაგან განიკურნა დაავადება, რომელიც მას თაყვანისცემისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევდა- მას მოუწია, რომ მღვდლების წინაშე წარმსდგარიყო რათა ყველა დარწმუნებულიყო მის განკურნებაში. ღმერთის მღვდლები იყვნენ ღვთის წარმომადგენლები ადამიანების სახით უფლებამოსილნი იყვნენ აღედგინათ ადამიანი საზოგადოებაში.

> * მას შემდეგ, რაც იესომ სასწაულებრივად განკურნა ათი კეთროვანი ლუკა 17:14 – ში, რის გაკეთება მოითხოვა მან მათგან?[449] რატომ მოითხოვა მან ეს? ეს ასახავს იმ ჭეშმარიტებას, რომ ღმერთი იშვიათად გვერდს უვლის თავის ეკლესიას, მაგრამ თავის მადლს ღვრის ეკლესიაზე.*

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ მორწმუნეები მღვდლები ვართ. ჩვენ, როგორც სულიწმინდით სავსე მღვდლები, არამხოლოდ ღვთისათვის მისაღებ სულიერ მსხვერპლს ვწირავთ,[450] არამედ ღვთის სიყვარულსაც ვღვრით ერთმანეთის მიმართ. როდესაც ჩვენ პატიების სიყვარულს განვავრცობთ, ამას ჩვენთან ერთად ღმერთიც აკეთებს. როდესაც სულიერად ვუდგებით სხვა ქრისტიანის გულმოდრეკილობასა და მონანიებას და ვეუბნებით „ ჩვენ და ღმერთი გაპატიობთ,“ მათ გულებში მკურნალი მადლი იღვრება, რომელიც მათ დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობისაგან ათავისუფლებს. ჩვენთანაც იგივე ხდება, როდესაც ვაღიარებთ. ვისაც ეს განუცდია, მოწმობს გასაოცარ ძალაუფლებაზე, რომელიც ღმერთმა მისცა თავის ეკლესიას იმისათვის, რომ მკურნალი მადლის გაღება შეძლებოდათ ხალხის მიმართ.

---

[446] იგავები 28:13
[447] მათე 16:19; 18:18; 20:23
[448] ლევიანნი 13:23
[449] ლუკა 17:14
[450] 1პეტრე 2:5

პრაქტიკული რჩევები აღსარების ცხოვრებაში გასატარებლად

1. ეძებეთ ღვთისნიერი (არა სრულყოფილი) ადამიანი, რომელთანაც შეძლებთ აღიაროთ ზოგიერთი წარმავალი ცოდვა ან საიდუმლო ბრძოლა და გახდებით სუფთა. სთხოვეთ, რომ ილოცონ შენთვის.

2. იყავი გულწრფელი და დარწმუნებული იმაში, რომ სხვებს არ დაადანაშაულებ. ნუ აღიარებთ უმნიშვნელო დეტალებს. ეძებეთ სიბრძნე.

3. თუ გრძნობთ, რომ ასაღიარებელი აღარაფერი გაქვთ, მაშინ სთხოვეთ თქვენს მეუღლეს, ოთახის მეზობელს, მეგობარს რომ რაიმე შემოგთავაზონ. იკითხეთ: "ხედავთ ჩემს ცხოვრებაში საზიანო რამეებს?"

4. მიიღეთ ღვთის სიტყვა თქვენი სულიერი მამის მეშვეობით. "ეს ყველა მორწმუნის მღვდლობის საუკეთესო გაგებაა. მოუსმინეთ ღვთის მტკიცებულებას, რომ ცოდვა გეპატიათ და დაიჯერეთ ეს.[451]

5. ნუ გადასცემთ თქვენს აღსარებებს. სულიერი ლიდერის ზოგიერთი ზნეობრივი წარუმატებლობა შეიძლება მოითხოვდეს ეკლესიაში აღსარებას, მაგრამ ჩვენი აღსარების უმეტესობას მხოლოდ ერთი ან ორი ადამიანი სჭირდება. ქეით დრური ამბობს: "აღსარების წრე იშვიათად უნდა იყოს დანაშაულის წრეზე დიდი.[452]

❑ჯგუფთან ერთად იფიქრეთ აღსარების დისციპლინაზე. რა მოსაზრებები დაგეხმარათ? დამაბნეველი ხომ არ არის ამ სწავლების რომელიმე ნაწილი? იფიქრეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში.

2. **მორჩილების სულიერი დისციპლინა.** - „ასევე ახალგაზრდებიც დაემორჩილეთ უხუცესთ და ერთმანეთისადმი მორჩილებით თავმდაბლობა შეიმოსეთ, რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს."
   არცერთი დისციპლინა არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც მორჩილება, მაგრამ მას გარკვეულწილად გამოწვევებიც ახლავს თან, რაც ხშირად არასწორად არის გაგებული და ბოროტათ გამოყენებული. (ამ თავში მოკლედ განვსაზღვრავთ ზოგიერთ ამ გამოწვევას, გაუგებრობას და ბოროტად გამოყენებას)

A. მორჩილების ბიბლიური განსაზღვრება

რიჩარდ ფოსტერი მორჩილებას განსაზღვრავს, როგორც „ შესაძლებლობას უარი ვუთხრათ ყოველთვის საკუთარი გზით სვლას."[453] ეს დისციპლინა იესოს მაგალითს მიყვება, რომელმაც წარმოიცარიელა თავი, მონის ხატება მიიღო და მორჩილი გახდა სიკვდილამდე.[454]

---

[451] Drury, 93
[452] Ibid, 92.
[453] Foster, 111
[454] ფილიპელთა 2:7-8

❖ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი ადგილები, მონიშნეთ ის ადგილები, რომლებიც მორჩილებას ეხება.

- „ჰოდა შეგაგონებთ ძმანო, ხომ იცით სტეფანეს სახლეულობა, რომელიც აქაიას პირველი ნაყოფია, და რომ მათ თავიანთი თავი წმიდანთა მსახურებას მიუძღვნეს. თქვენც დაემორჩილეთ ასეთებს და ყველას, ვინც თანამშრომელი და მოღვაწეა.“ (1კორინთელთა 16:15-16)
- „დაემორჩილეთ ერთმანეთს ღვთის მოშიშებით.“ (ეფესელთა 5:21)
- „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს. ვინაიდან ქმარი არის ცოლის თავი, ისევე, როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი და ის არის სხეულის მხსნელი.“ (ეფესელთა 5:22-23)
- „და როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავინთ ქმრებს-ყველაფერში.“ (ეფესელთა 5:24)
- „მონებო, შიშითა და ძრწოლით დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს, გულწრფელად, როგორც ქრისტეს. არა თვალის ასახვევად, როგორც პირმოთნენი, არამედ როგორც ქრისტეს მონები, რომლებიც გულით ასრულებენ ღვთის ნებას.“ (ეფესეთა 6:5-6)
- „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალშია საკადრისი.“ (კოლოსელთა 3:18)
- „შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს ყველაფერში ვინაიდან ასეა მოსაწონი უფალში.“ (კოლოსელთა 3:20)
- „დაემორჩილეთ ყოველ ადამიანურ მმართველობას უფლის გულისთვის იქნება ეს მეფე, როგორც უმაღლესი მმართველი.“ (1პეტრეს 2:13)
- „ასევე ახალგაზრდებიც დაემორჩილეთ უხუცესთ და ერთმანეთისადმი მორჩილებით თავმდაბლობა შეიმოსეთ, რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს.“ (1პეტრეს 5:5)
- „მოუსმინეთ თქვენს წინამძღოლებს და დაემორჩილეთ მათ, ვინაიდან ისინი ფხიზლობენ თქვენს სულებზე, როგორც პასუხისმგებელნი, რათა ამას სიხარულით აკეთებდნენ და არა კვნესით; რადგან ეს სასარგებლო აღარ იქნება თქვენთვის.“ (ებრაელების13:17)

ეს ადგილები არავის ტოვებს უპასუხოდ. მორჩილება ყველასთვის დისციპლინაა: "მსახურები", "ძმები", "თითოეული თქვენგანი", "ცოლი", "შვილები", "თავად", "ახალგაზრდები", "ყველანი". წმინდა წერილები მოგვიწოდებს, დავემორჩილოთ ღმერთს, მეფეებსა და მმართველებს, სულიერ ლიდერებს, ქმრებს, მშობლებს, ბატონებს და ერთმანეთს.

1. დაქვემდებარება არის მორჩილების აქტი.

პავლე ამბობს: „ხელისუფლების მოწინააღმდეგე, ღმერთის დადგენილებას ეწინააღმდეგება, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“.[455] ყველაზე დიდი გაკვეთილი, რომელსაც ვისწავლით

[455] რომაელთა 13:1-2

არის ის, რომ დავემორჩილოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ღმერთი ამბობს. ეს არის ღვთის სიტყვის მორჩილება.

2. მორჩილება არის, როგორც ქმედება, ასევე დამოკიდებულება.

მორჩილება მოიცავს, როგორც ქმედებას, ასევე დამოკიდებულებასაც. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რასაც ხალხი გარეგნულად ითხოვს, ხოლო შინაგანად მათდამი უკმაყოფილება ან სიბრაზე გვქონდეს. გამახსენდა პატარა ბიჭის ისტორია, რომელიც ცუდად იქცეოდა. „დედამ უთხრა დაჯექი, და ისიც ასე მოიქცა.“ მან კი თქვა „გარეგნულად კი დავჯექი, მაგრამ შინაგანად ისევ ვდგევარ.“ ღმერთს სურს, რომ ჩვენ ვიყოთ ადამიანები, რომლებიც "სხედან" როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად.

3. ღმერთის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებისადმი მორჩილება ნდობის მოქმედებაა.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქმედება, რომელიც მოწმობს ჩვენს ნდობას ღმერთის სუვერენული არჩევანისადმი. პავლე მოგვიწოდებს: ყოველი სული უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ხელისუფლებას, ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღმერთისაგან, ხოლო არსებულნი ღმერთის მიერ არიან დადგენილნი.[456] თუ ჩვენ გვჯერა, რომ ღმერთი ჭეშმარიტად სუვერენულია და საბოლოოდ მას ევალება ვინ აირჩევა, ვინ იქნება ჩემი ინსტრუქტორი ან მეთვალყურე, ვინ იქნებიან ჩემი მშობლები, ვინ იქნება ჩემი მეუღლე ან ვინ მიიღებს ამ თანამდებობას, მაშინ მორჩილება ხდება რწმენის მოწმობა, სიბრძნით.

გახსოვდეთ, რომ პავლე ცხოვრობდა რომაელი სასტიკი დიქტატორების დროს; და მაინც მან არ გაამართლა აჯანყება. მან იცოდა, რომ ღმერთი სუვერენულია. მასზე საუკუნეებით ადრე ღმერთმა უთხრა ნაბუქოდონოსორს, დანიელის მეშვეობით. ”უზენაესი მმართველობს კაცთა სამეფოში და აძლევს მას ვისაც ირჩევს”.[457] ენდეთ, რომ ღმერთი სუვერენულია.

მეორე, მორჩილება ხშირად არის ღვთის ნდობის ქმედება, რომ შეცვალოს ჩვენი ლიდერის გული. როდესაც ჩვენ არ მოგვწონს მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ ვერც ვერაფერს ვაკეთებთ ამის შესაცვლელად ჩვენ ლოცვას ვიწყებთ: მეფის გული წყლის ნაკადია უფლის ხელში, საითაც მოისურვებს, იქით მიუშვებს.[458] მე მსმენია ცოლების მოწმობა, რომ როდესაც მათ შეწყვიტეს ბრძოლა ქმრებთან და დაიწყეს მათთვის ლოცვა და პატივისცემა, ღმერთმა დაიწყო მათი ქმრების გულის შეცვლა!

4. მორჩილება თაყვანისცემის აქტია.

დააყენეთ ქრისტე თქვენი მორჩილების ყურადღების ცენტრში, რომ გათავისუფლდეთ შიშისგან! ასე შეაგონებს პავლე ეფესელთა ეკლესიას: ”ცოლები ემორჩილებიან უფალს”, ”ბავშვები ემორჩილებიან ... რადგან ეს უფალს მოსწონს”, ”მსახურები ემორჩილებიან ... როგორც ქრისტეს”. მან კარგად იცის,

[456] Ibid.
[457] დანიელი 4:25
[458] იგავები 21:1

თუ რამდენად არასწორია ხშირად ადამიანის ლიდერი, ასე რომ, ის ამბობს: „გადახედე წინამძღოლს სრულყოფილს, ვინც მათზე მაღლა დგას და ვინც აირჩია გააკეთე ეს მისთვის! გააკეთე ეს მისდამი პატივისცემის გამო! ამქვეყნიური ხარვეზიანი ლიდერისადმი მორჩილება თაყვანს სცემს მას, ვინც არასოდეს ჩავარდება ან შეცდება. ”

> *❓დაუკვირდით თუ რა სიტყვები მოჰყვება თითოეულ ბრძანებას: "როგორც ქრისტე", "ღვთის შიშით", "როგორც უფლის მიმართ" და ა.შ. როგორ ფიქრობთ, როგორ შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება მორჩილებისადმი, თუ უფალს თქვენი მორჩილების ყურადღების ცენტრში უფრო მეტად მოაქცევთ ვიდრე ვიდრე მეუღლეს, პატრონს, მასწავლებელს ან პასტორს?*

ჩვენ უნდა ვემსახუროთ ლიდერებს და ვიმუშაოთ ადამიანებთან, რომლებიც ზოგჯერ რთულები არიან. თავისუფლების გასაღებია: აქციოო მორჩილება თაყვანისცემის აქტად, ილოცო: იესო, ეს ლიდერი, რომელიც შენ ჩემს ცხოვრებაში დააყენე, ნაკლით სავსე პიროვნებაა, მაგრამ მე შენი გულისთვის დავემორჩილები მას. მე ვხედავ მათ სისუსტეებს, მაგრამ მათ სისუსტეებს არ გამოვიყენებ, როგორც ღია კრიტიკის ან მშვიდი აჯანყების საბაბს. მე შენ გაბარებ ჩემს წინამძღოლს და თაყვანს გცემ შენი სიბრძნის გამო, იმ არჩევანში რაც გააკეთე. შენ იცი, რა არის საუკეთესო ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის და ჩემი ქვეყნისთვის. შენ იცი შენი სამომავლო მიზნები. ასე რომ, მე არ ავჯანყდები შენი ნების საწინააღმდეგოდ და დავემორჩილები შენს სუვერენულ გეგმას.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პასიურები გავხდებით; რომ ჩვენ არ ვლოცულობთ ან ვმუშაობთ ცვლილებებისთვის; რომ ჩვენ არ ვაკეთებთ ჩვენს წილს სამართლიანობის მისაღწევად. ეს ნიშნავს, რომ ყველა მცდელობა დაფუძნებულია რწმენაზე და იმ ნდობაზე, რომ ღმერთი აკონტროლებს ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს სამყაროს.

პეტრე ამ სიტყვებს სწერს მონებს: მსახურნო, დაემორჩილეთ ბატონებს მთელი მოშიშებით, არა მარტო კეთილებს და შემწყნარებლებს, არამედ უკუღმართთაც. ქრისტე ეწამა ჩვენთვის და მაგალითი დაგვიტოვა, რათა მის კვალს მივყვეთ.[459] ეს სიტყვები დღეს მარტივი მოსასმენი არ არის, მაგრამ მოგვიწევს, რომ მოვისმინოთ და გავყვეთ მას.

5. წმინდა წერილები ასწავლის ქრისტიანთა მორჩილებას ერთმანეთის მიმართ.

ბიბლია აშკარად საუბრობს ღვთის მიერ ბოძებული ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე, მაგრამ აგრეთვე ერთმანეთისადმი მორჩილებაზე, როგორც ქრისტეს სხეულის სულით სავსე წევრებზე. ხშირად, სადაც მორჩილებას ასწავლიან, მხოლოდ ცოლ-შვილის მიმართ ხდება სწავლება. მაგრამ წმინდა წერილებში ასევე ხაზგასმულია თითოეული ქრისტიანის მორჩილება ერთმანეთის მიმართ. „დიახ თითოეული თქვენგანი უნდა დაემორჩილოთ ერთმანეთს, თავმდაბლობით.“[460] ერთმანეთისადმი მორჩილება ნიშნავს ჩვენი უფლებების დათმობას, ერთმანეთის საჭიროებებზე რეაგირებას, ერთმანეთის მოსაზრებების მოსმენას, მშვიდობისა და ჰარმონიისთვის მსხვერპლის

[459] 1პეტრე 2:18, 21
[460] 1პეტრ 5:5

გაღებას. ეს არის კოლეჯის სტუდენტების, ბავშვების, მეუღლეებისა და ეკლესიის წევრებისთვის ერთ – ერთი ყველაზე რთული დისციპლინა. მაგრამ, მის სწავლაში თავისუფლებაა!

სახლში, ეკლესიასა და მთავრობაში ღვთის მიერ დადგენილი ლიდერები უნდა აკონტროლებდნენ სხვებს, მაგრამ არასდროს უნდა იყვნენ "ბატონნი მათზე, ვინც მათ ხელშია".[461] ავტორიტეტი იმისათვის კი არ უნდა გამოვიყენოთ, რომ ვატკინოთ ადამიანს, არამედ იმისათვის, რომ დავეხმაროთ. სახარება ამაღლებს და ადიდებს ქრისტეს სხეულის თითოეულ წევრს და, შესაბამისად, არსებობს გზები, რომლითაც ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვემორჩილებით. ცოლები ემორჩილებიან ქმრებს, მაგრამ ქმრებსაც უნდა უყვარდეთ ცოლი და ემსახურონ მათ,

როგორც, ქრისტე აკეთებდა ამას. ეკლესიის წევრები უნდა დაემორჩილონ ეკლესიის ლიდერებს, მაგრამ ეკლესიის ლიდერებმა ბევრი რამ არ უნდა დააკისრონ მათ, ისინი მაგალითს უნდა იძლეოდნენ.[462] როდესაც ყოველი ქრისტიანი თავმდაბლობით იქნება შემოსილი, ქრისტეს მიიღებს სხეულში და სიხარულით ემსახურება სხვებს, მაშინ მორჩილება კურთხევის მომტანი იქნება. მორჩილება ჯანსაღია, როდესაც ქრისტიანები სიყვარულით და თავმდაბლობით არიან შემოსილნი.

6. ხელისუფლებისადმი მორჩილება კრიტიკულია სულიერი სიმწიფისთვის.

არავინ შეიქმნება ქრისტეს ხატად, რომელიც ვერ დაემორჩილება ავტორიტეტს ან თუ მის სურვილებსა და მოსაზრებებს ვერ დაუქვემდებარებს სხვისას. სხვას იქამდე ვერ წარვუძღვებით სანამ ჩვენ თავად არ ვისწავლით სხვისადმი მიყოლას. ბრძანების უფლებას იქამდე არ მოგვცემენ, სანამ მორჩილებას არ ვისწავლით.

დათმობის ნაკლებობა ერთი მეორის მიმართ და ჩვენი უფლებების დადგენა არის მთავარი მიზეზი ამდენი კონფლიქტისა სახლში, სკოლაში, სამუშაო ადგილზე, საზოგადოებაში და ადგილობრივ ეკლესიაში. ხელისუფლებისადმი მორჩილება არის ჩვენი დაცვა, აყვავება, გაერთიანება და ჩვენში ქრისტეს ჩამოყალიბება.

არასოდეს დამავიწყდება იმედგაცრუება და აღშფოთება, რომელიც ერთ ორშაბათს დილით ვიგრძენი, როგორც ფილიპინების პედაგოგი. რამდენიმე დღით ადრე, ჩვენს მალე დამთავრებულ მინისტრების სტუდენტებს მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი, საბოლოო დავალება მივეცი. მე მკაფიოდ განვაცხადე, რომ დავალება ორშაბათს დილით უნდა შესრულებულიყო, რომ ყველა სტუდენტი უნდა დასწრებულიყო და რომ ეს მოთხოვნა დასრულებისთვის მნიშვნელოვანი იყო. ჩემდა გასაოცრად, როდესაც გაკვეთილზე მივედი, გავიგე, რომ ჩვენმა დამთავრებულმა მინისტრობის სამმა სტუდენტმა აირჩია გაკვეთილისა და დავალების გამოტოვება. მივხვდი, რომ მათი დაუსწრებლობა იყო პროტესტი, ისინი თვლიდნენ, რომ მიცემული დავალება სულელური იყო.

მე გავედი კლასიდან, მამაკაცის საერთო საცხოვრებლისკენ წავედი და აღმოვაჩინე, რომ ეს სამი სტუდენტი ერთ-ერთ ოთახში იცინოდა და კარგ დროს ატარებდა. იფიქრეს ჭკვიანები იყვნენ.

---

[461] 1პეტრე 5:2-3
[462] Ibid.

ეგონათ ყველაფერს გააკეთებდნენ, რასაც მოისურვებდნენ, უშედეგოდ. მათ მიაჩნდათ, რომ დავალება არ იყო მნიშვნელოვანი და მათ ამის გაკეთება არ მოუწევდათ. მათ სხვაგვარად ისწავლეს ჭკუა. მე ძალიან გამიჭირდა მათთან საქმის მოგვარება, რადგან ვიცოდი, რომ ისინი ვერასოდეს შეძლებდნენ ღვთის სამწყსოს წარმართვას, სანამ მწყემსის მორჩილებას არ ისწავლიდნენ. სამივე ახალგაზრდა დაემორჩილა ჩემს დისციპლინას და წლების შემდეგ მადლობა გადამიხადეს. ამ ახალგაზრდებიდან ორი დღეს პასტორია.

B. მორჩილების ლიმიტი-როდის ხდება მორჩილება დამანგრეველი?

არის მომენტები, როდესაც მორჩილება დამანგრეველი ხდება და უარის თქმას საჭიროებს. განსახილველად მოცემულია რამდენიმე სახელმძღვანელო.

1. მორჩილება დამანგრეველია მაშინ, როდესაც ის მომთხოვნი და შეურაცხმყოფელი ხდება.

თავი შორს დაიჭრეთ ისეთი ლიდერებისგან, რომლებიც ბრმა ერთგულებას და უაზრო დაქვემდებარებას მოითხოვენ. "უბრალოდ გააკეთე ის, რასაც მე ვამბობ და ნუ დასვამ კითხვებს!" არის ბოროტად გამოყენების ენა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოზრდილთან საუბარი ხდება. დღეს მრავალი დაიჭრა ამგვარი ბოროტად გამოყენების გამო. წარდგენა არ ნიშნავს, რომ ჩვენ არასდროს გამოვთქვამთ ჩვენს აზრს, არ დავუპირისპირდეთ პრობლემებს და არ წამოვჭრათ სადავო საკითხები. ეს შეიძლება პატივისცემით მოხდეს.

მორჩლება ისევე როგორც სიყვარული, არის საჩუქარი, რომელსაც ჩვენ ერთმანეთს ქრისტესადმი პატივისცემით ვჩუქნით. ის ვინც მორჩილებას ითხოვს სუსტი ლიდერია. როდესაც ჩვენი ავტორიტეტი ღმერთისგან მოდის, ამის მოთხოვნა აღარ დაგვჭირდება. ღმერთი დაიცავს მის ლიდერებს. ღმერთი იბრძოლებს მათ ბრძოლებში. ღმერთი მათ სულიერ ძალაუფლებას ანიჭებს, რომელსაც სხვებიც ნებით გაჰყვებიან.

აარონმა და მირიანმა რთული გზა გამოსცადეს, რომ ღმერთი დაიცავს თავმდაბალ წინამძღოლს. ისინი ამართლებდნენ ამბოხს მოსეს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, იმ ხარვეზების გამო, რაც მის ოჯახში დაინახეს.[463] მათი აჯანყება მოსეს ცოლისადმი ზიზღით დაიწყო და მოსეს უფლებამოსილების ეჭვქვეშ დააყენა: „უფალი მხოლოდ მოსეს პირიდან საუბრობდა?“ განა ჩვენი საშუალებით არ საუბრობდა იგი? მოსე ამ პრობლემას გაუმკლავდა იმით, რომ გაჩუმდა და ღმერთს მისცა სიტუაციის მართვის უფლება.[464]

2. მორჩილება დამანგრეველი ხდება, როდესაც ის სხვის ცოდვას ფარავს.

საქმეებში 16:37, პავლემ უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე, რადგან ის ცოდვის დასაფარავად იყო შექმნილი. თუ რომელიმე ხელისუფლება მოითხოვს, რომ მათ ცოდვა დავფაროთ ან მათ ცოდვაში მივიღოთ მონაწილეობა, ჩვენ გვაქვს უფლება და ვალდებულება უარი ვთქვათ მორჩილებაზე.

[463] რიცხვთა 12:1-2
[464] Ibid, 3

3. მორჩილება დამანგრეველი ხდება, როდესაც ადამიანის კანონმდებლობისადმი მორჩილება, ღვთის სიტყვის დაუმორჩილებლობას გვავალდებულებს.

როდესაც სინედრიონის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ პეტრესა და იოანეს აღარ ესწავლებინათ ან იესოს სახელით არ ელაპარაკათ, მათ პატივისცემით უპასუხეს: „მართალია ღმერთის გულისათვის შენ უფრო უნდა გისმენდეთ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ იმაზე თუ რა ვნახეთ და მოვისმინეთ.“[465]

4. მორჩილების საზღვრების დადგენა ყოველთვის ადვილი არ არის.

ამ თემაზე სწავლება ყოველთვის რთულია, რადგან იგი მოიცავს ადამიანურ ურთიერთობებს და ურთიერტობა ართულებს ცოდვას. ადამიანი არასწორია, მათ შორის არიან პრეზიდენტები, დიქტატორები, დირექტორები, ქმრები, მენეჯერები და ა.შ. უნდა მოიქცეს თუ არა თანამშრომელი პატივისცემით, როდესაც პატივს არ იმსახურებს? რიჩარდ ფოსტერი აქ ძალიან ბრძნულ სიტყვას გვაძლევს:

ზოგჯერ მორჩილების საზღვრების დადგენა მარტივია. ცოლს სთხოვენ ბავშვის საუსაბუთებლად დასჯას. ბავშვს სთხოვენ დაეხმაროს მოზრდილს უკანონო პრაქტიკაში. მოქალაქეს სთხოვენ დაარღვიოს საღვთო წერილი და სინდისის კარნახს გადააბიჯოს სახელმწიფოს გულისათვის. თითოეულ შემთხვევაში მოწაფე უარს ამბობს არა ამპარტავნულად, არამედ თვინიერებისა და მორჩილების სულისკვეთებით.

ხშირად მორჩილების საზღვრების განსაზღვრა ძალზე ძნელია. რაც შეეხება ქორწინების პარტნიორს, რომელიც მეორეხარისხოვნად თვლის თავს და თავს არიდებს მოქმედებას მეუღლის კარიერის გამო. ეს არის თვით უარყოფის ლეგიტიმური ფორმა, ან არის დამანგრეველი? რაც შეეხება მასწავლებელს, რომელიც უსამართლოდ აფასებს მოსწავლეს? მოსწავლე ემორჩილება თუ წინააღმდეგობას უწევს? რაც შეეხება დამსაქმებელს, რომელიც თავის თანამშრომლებს ფავორიტიზმის საფუძველზე აწინაურებს ...? რას აკეთებს თანამშრომელი, განსაკუთრებით მაშინ, თუ დაწინაურება მისი ოჯახის საკეთილდღეოდ არის საჭირო?

ეს რთული კითხვებია მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანური ურთიერთობები რთულია. ეს არის შეკითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მარტივი არ არის. არ არსებობს მორჩლების კანონი, რომელიც მოიცავს ყველა სიტუაციას. ჩვენ ძალიან სკეპტიკურად უნდა განვიხილოთ ყველა კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ყველა გარემოების მოგვარებას.

მორჩილების საზღვრების დადგენისას ჩვენ სულიერ ღრმა დამოკიდებულებაში ვართ.[466]

◆ რამდენიმე წუთი დაუთმეთ მორჩილების ამ საზღვრების განხილვას. ალბათ არსებობს შეზღუდვები, რომლებსაც დაამატებთ ან მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება გაიზიაროთ ბრმა მორჩილების საშიშროების შესახებ.

---

[465] საქმე 4:19b-20

[466] Taylor, 121

პრაქტიკული რჩევები მორჩილების ცხოვრებაში გასატარებლად

1. თუ კოლეჯის სტუდენტი ხართ ან მუშაობთ სამინისტროში ან კომპანიაში, ყოველთვის უნდა არსებობდეს ინსტიტუციური პოლიტიკა და წესები. ივარჯიშე მათ შენახვაში.
2. სთხოვეთ სულიწმიდას გასწავლოს, თუ როგორ უნდა ჩამოიყალიბოთ უფრო მორჩილი დამოკიდებულება ავტორიტეტის მიმართ.
3. ისწავლეთ დათმობაზე წასვლა გარშემო მყოფებისა მიმართ, ვიდრე თქვენი უფლებების მოთხოვნა.
4. ასწავლეთ საკუთარ თავს მცირე წესდებებში მორჩილება: "თავი შეიკავეთ", "ნუ დაყრით ნაგავს" და ა.შ.
5. გადახედეთ წმინდა წერილში მოცემულ მაგალითებს მორჩილების შესახებ და სთხოვეთ უფალს, დაგეხმაროთ, თუ როგორ გამოიყენოთ ისინი თქვენს ცხოვრებაში.

3. **მსახურების სულიერი დისციპლინა-** „მან კი უთხრა- წარმართებზე მეფეები პატონობენ და მათი ხელმწიფენი მწყალობლებად იწოდებიან. თქვენ კი ასე როდი ხართ. თქვენს შორის დიდი იყოს როგორც მცირე, ხოლო უფროსი- როგორც მსახური.“[467]

მსახურების დისციპლინა უფრო ღრმა, ქრისტეს მსგავს თავმდაბლობაში გვწვრთნის. გლობალური ეკლესიის პასტორებს, მასწავლებლებს, მუსიკოსებსა და რიგით ქრისტიანებს შორის შური ადამიანის გულში ფესვგადგმული ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი რამაა. ბევრჯერ არ ვიცით მისი სასიკვდილო ყოფას. ოდესმე გიგრძვნიათ ტკივილი, როდესაც არ გაღიარებენ და ისე არ გცემენ პატივს, როგორც ფიქრობთ, რომ შეგეფერებათ? გრძნობთ წყენას, როდესაც სხვები მიიღებენ კრედიტს თქვენს მიერ შესრულებული სამუშაოსთვის? გიჭირთ გაიხაროთ სხვისი წარმატებებით? სხვისი დაცემით ჩუმად ხარობთ? დაუცველად გრძნობთ თავს, როდესაც სხვებს აქებენ? როდესაც სხვები საქმეს ასრულებენ, ფიქრობთ რომ იმ საქმის უკეთესად შესრულება შეგიძლიათ? მსახურების დისციპლინა გვაბრუნებს იესოსთან, რომელიც თავმდაბალი მსახურის სრულყოფილი მოდელია.

> მსახურების დისციპლინა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ „არა“ საკუთარი პოპულარიზაციისა და ავტორიტეტის მსოფლიო თამაშებზე - რიჩარდ ფოსტერი

ყველა ჩვენგან გარკვეულწილად გვქონდა ცდუნება ამ გზებზე. ვცდუნდებით, რომ უკეთეს ცხოვრებას შევუდგეთ. ვცდუნდებით, რომ გვსურდეს სხვისი პოზიცია, საჩუქრები, აღიარება, ტანსაცმელი, მეუღლე და ცხოვრების სტილი. ჩვენი ცნობიერების ამაღლებისკენ სწრაფვა შესაძლოა მხოლოდ ღვთის სულის მეშვეობით იქნას დაძლეული.[468]

ჩვენ უნდა განვავითაროთ ქრისტეს თავმდაბალი გონება - მსახურის გონება.

---

[467] ლუკა 22:25-26
[468] მათე 3:11-12

A. მსახურების დისციპლინის განსაზღვრა.

იესო განსაზღვრავს რა არის მსახური. ის უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა, უფრო მეტად დამთმობი, ვიდრე სხვა და უფრო თავმდაბალი იყო, ვიდრე სხვა.

►ერთად წაიკითხეთ ფილიპელების2: 5-11

ფილიპელთა წერილი გვასწავლის, რომ მსახურის ცხოვრება იწყება მსახურის გონებით.

1) მსახურს ახასიათებს თავმდაბლობა და არა თვითდაწინაურება.

იესო არსებობდა „ღვთის სახით“ (მუხ .6 ა). იესო ფლობდა „ღვთაების არსებით თვისებებს“.[469] ებრაელები ამბობენ: ”ის არის ღვთის დიდების ბრწყინვალება და მისი ბუნების ზუსტი ანაბეჭდი.”[470] იესომ თქვა: ”მე და მამა ერთი ვართ” და ”თუ მე მიხილეთ, მამა იხილეთ. არ გჯერათ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში? ”[471]

> არ არსებობს ზღვარი, თუ რის მომოქმედება შეუძლია ღმერთს, როდესაც ის პოულობს ისეთ ადამიანს, რომელსაც არ აინტერესებს ვინ მიიღებს უპირატესობას და აღიარებას, იმ დროს როცა ღმერთი იღებს სათანადო დიდებას! - ავტორი

მაგრამ მაინც იესო ღვთის თანასწორად არ თვლიდა თავს. იესო არის ყველაფერი, რაც ღმერთია; და მაინც იგი არ იღებდა თავის თავზე ამ პატივს. ყველა გაგებით, იესო ღმერთთან თანასწორი იყო. მან თვითონვე განაცხადა ამ თანასწორობის შესახებ და ამის გამო ებრაელებმა შეიძულეს იგი: „ღმერთს საკუთარ მამას უწოდებდა და თავს ღმერთს უტოლებდა“.[472] თომამაც თაყვანი სცა მას „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი”.[473] ებრაელების მიმართ ეპისტოლეს ავტორი იესოს აღწერს, როგორც ღვთის ბუნების ზუსტ ანაბეჭდს, სიტყვა რომელიც გამოიყენებოდა ხეზე ამოტვიფრის, ლითონზე გრავირების, ტყავზე დაღის დასამის, თიხაზე ნიშნის აღბეჭვდის და მონეტის ბეჭვდის ასაღწერად. იესო ხორცშესხმული ღმერთია!

იესომ წარმოიცარიელა თავი მონის ხატება რომ მიიღო. სიტყვა „წარმოიცარიელა” მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „kenosis”, რომელიც ითარგმნება, როგორც „დაცარიელება“ ან „რაიმეს გადადება, უარყოფა“. ეს ნიშნავს, რომ იესოს არასდროს დაუთმია საკუთარი ღვთაებრიობა, სანამ მან არ უარყო ღვთიური ბუნების უფლებები და პრივილეგიები.იესო ქრისტეს არ დაუთმია ღვთაებრიობა, სანამ არ აირჩია სამეფო სამოსის გადადებადა ადამიანთა ლანძღვის

> თუმცა სისავსე შეინარჩუნა, მაინც ისე წარმოჩნდა, თითქოს ცარიელი იყო, რადგან მან თავისი სისავსე ადამიანთა და ანგელოზთა თვალთახედვიდან დაფარა - ჯონ უესლი

---

[469] Pulpit Commentary
[470] ებრაელთა 1:3; ნახეთ ასევე კოლასელთა 1:15
[471] იოანე 14:9-10
[472] იოანე 5:18
[473] იოანე 20:28

მოსმენა. ჯონ ვესლი ამბობს „თუმცა სრული დარჩა,[474] მაგრამ ცარიელს ჰგავდა, რათა თავისი სისავსე ადამიანთა და ანგელოზთა თვალთახედვიდანდამალა“

იესოს არსებობა და იდენტურობა არასდროს შეიცვლება. მაგრამ ადამიანთა გამოსყიდვის გამო, მან გადაწყვიტა დაეთმო საკუთარი რეპუტაცია, სახელი და პატივი იმისათვის, რომ გამხდარიყო ჩვეულებრივი, სუსტი, უმწეო, პრივილეგიების არ მქონე.

ამასთან, ის არის მსახური და ჩვენი მაგალითი, რომელსაც უნდა გავყვეთ.

 იმის გათვალისწინებით თუ რა დათმო იესომ ჩვენთვის მე ვხედავთუ რამდენად სისულელეა ზოგჯერ ის, რასაც ვებღაუჭებით და ვიცავთ, როგორც ჩვენი უფლება. ვართ თუ არა ხშირად იმით დაინტერესებულნი თუ რას ფიქრობენ ადამიანები ჩვენზე? ხშირად საკუთარი რეპუტაციითა და კარგად ყოფნით უფრო მეტად ვინტერესდებით, ვიდრე სწორი საქმის კეთებით. *ღმერთო, დაე იესოს თავმდაბალი გონება იყოს ჩვენში.*ის, თუ როგორ აზროვნებდა იესო, ძლიერი საყვედურია ნებისმიერი ფორმის ეგოისტურ ამბიციებზე.

2) ნამდვილი მსახური ბატონის სურვილისადმი სრული მორჩილებით ხასიათდება.

იესომ მონის ხატება მიიღო. მონად ყოფნა ყველაზე დაბალ ფენად ყოფნას გულისხმობს. მონა მხოლოდ მისი ბატონის სურვილის შესრულებისათვის ცხოვრობდა.

როდესაც იესომ მსახურება დაიწყო მისი სურვილები მამის სურვილებს შეუსაბამა და მორჩილებაში ცხოვრება ამჯობინა. ის არ ფიქრობდა პიროვნულ წინსვლაზე ან იმაზე თუ რამდენს გამოიმუშავებდა.მონის წარმატება მდგომარეობს იმაზე ზრუნვაში, რაც ბატონს ესიამოვნება.

გაფრთხილდით, რომ ისევე არ იაზროვნოთ, როგორც ჩვენი შვიდი წლის ვაჟი, ტიმოთე აზროვნებდა რამდენიმე წლის წინ. როდესაც სახლიდან ცოტახნით წასვლა მომიწია ჩემს ბიჭს ვუთხარი- „შვილო, მამიკო სახლში რამდენიმე საათში დაბრუნდება და როდესაც დავბრუნდები შენი ოთახი სუფთა უნდა იყოს“. „კარგი მამიკო!“ მხიარულად თქვა მან. როდესაც დავბრუნდი ის ღიმილით შემეგება და თქვა, „შეხედე მამიკო ყველა ის ჭურჭელი გავრეცხე რაც ნიჟარაში იყო!“ „ძალიან კარგია,“ ვუპასუხე მე. „შენი ოთახიც დაასუფთავე?“ მაშინ მისი თავი დაიხარა და ღიმილიც სადრაც გაქრა. „უჰ.....არა მამიკო.“ „შენ იცი დაუმორჩილებლობის შედეგები.“ სევდიანად ვუთხარი მე. მე დავსაჯე ჩემი ვაჟი, რადგან მან დაუმორჩილებლობა აირჩია, მსხვერპლის როლის შეესრულება მხოლოდ ეგოისტური ქმედება იყო. სხვებს შესაძლოა შესრულებული საქმისათვის ტაში დაეკრათ, მაგრამ მე უკეთ ვიცი. ეს ისტორია გვახსენებს, რომ ყველაზე გმირული შეუპოვრობაც კიჩვენი ეგოისტური განზრახვით, ღმერთის წინააღმდეგ ამბოხებაა. მონა ბატონის სურვილს ასრულებს.

3) ნამდვილი მსახურის სურვილია გაიზიაროს მისი ბატონის სისუსტეები.

პავლე გვასწავლის, რომ „იესო გახდა მგავსი ადამიანებისა“, და „აღმოჩნდა რა ადამიანი სხეულში“. ეს ნიშნავს, რომ იესომ თავის თავზე აიღო ადამიანის ყველა განუყრელი თვისება. ღმერთმა დათმო მარადიული დიდება იმისათვის, რომ ჩვენ დაგვმსგავსებოდა, განეცადა ჩვენი ტკივილი, ეტანჯა

[474] იოანე 1:14

ჩვენს მსგავსად და ცდუნებულიყო ისევე, როგორც ჩვენ. რატომ გააკეთა მან ეს? სიყვარულის გამო.[475] იმისათვის, რომ ყოფილიყო ჩვენი შუამდგომელი. რომ განეცადა ჩვენი სისუსტე:

> რაკი შვილები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც ეზიარა სისხლსა და ხორცს, რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი(ებრ2:14)
>
> ამიტომ ყველაფერში ძმებს უნდა დამსგავსებოდა, რათა ყოფილიყო მოწყალე და ერთგული მღვდელმთავარი ღვთის წინაშე, ხალხის ცოდვების მისატევებლად. (ებრ2:17)
>
> ვინაიდან ისეთი მღვდელმთავარი როდი გვყავს, რომ ვერ შეძლოს თანაგრძნობა ჩვენს უძლურებაში, ის ჩვენსავით გამოცდილია ყველაფერში, გარდა ცოდვისა. (ებრ4:15)
>
> იესოს სახით ღმერთი მთიანად ადამიანი გახდა. ქრისტე მზად არის, რომ სხვების გამო გაიზიაროს სიღარიბე, შიმშილი, წყურვილი, უსახლკარობა, უძლურება, ბრაზი, სევდა, ფიზიკური ტკივილი, ღალატი და ემოციური სასოწარკვეთაც კი. გეთსემანიის ბაღშიიესო სასიკვდილოთ იყო დამწუხრებული.[476] მან შთანთქა ჩვენი საყვედურები, დაცინვა, სიძულვილი და სიამაყე.

და მაინც ის იყო ყველაზე მხიარული კაცი ვისაც ოდესმე უცხოვრია.[477] სწორედ ასეთია ჭეშმარიტი მსახური და სწორედ ასეთი გონება უნდა გვქონდეს ჩვენც. შესაძლებელია კი ეს?

B. ქრისტეს მსგავსი მსახურება დისციპლინისა და მადლით აღძრული ადამიანის ძალისხმევის მეშვეობით.

იესოს თავმდაბლობა ღრმა და უსაზღვროა, მაგრამ ჩვენ ეგოიზმით ვართ ცდუნებულნი. ისინი ვისაც ჩვენ ვემსახურებით არამარტო გაჭირვებულები, არამედ ხშირად ეგოისტები, უხეში და უმადურები არიან და ზოგჯერ არც კი ითვალისწინებენ ჩვენს დაღლილობასა და მარტო ყოფნის საჭიროებას. ხშირად გვაკრიტიკებენ კიდეც. საუბარს ხშირად გვაწყვეტინებენ და ჩვენი შესვენება მოკლდება მათი მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციების გამო. ქრისტესმიერი აზროვნების გარეშე ჩვენ დავკარგავდით გულის სიმშვიდესა და მხიარულ განწყობას ჩვენი მსახურებაკი უფრო მეტად გამაღიზიანებელი გახდებოდა ვიდრე სიმშვიდით აღსავსე. როგორ უნდა შევიძინოთ ქრისტესმიერი აზროვნება?

1) მსახურის გონება დისციპლინით არის აშენებული

პავლე მეორეფილიპელებში ამბობს, რომ ის ზრახვანი უნდა ვიქონიოთ ჩვენში, რაც ქრისტე იესოშია. სიტყვა, რომელსაც ის იყენებს ნიშნავს, დაგემოვნებას, დაკვირვებას. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ დაიმსახურო ვინმეს სიყვარული, დააფასო ერთი რამ მეორეზე მეტად.ესაა, რაც ყველა ქრისტიანმა

[475] იოანე 3:16
[476] მათე 26:38
[477] ფსალმუნი 44:8

უნდა გააკეთოს. ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელსაც მრავალი გამოწვევა ახლავს თან, ჩვენ იესოს გზა უნდა ავირჩიოთ.

2) მსახურის ზრახვანი თავმდაბლურად უნდა იქნას მიღებული.

ჩვენ თავად ვერ შევქმნით მსახურისათვის საჭირო ზრახვებსა და აზროვნებას, არამედ სულიწმიდას უნდა მივცეთ უფლება, რომ უფრო და უფრო მეტად წარმოქმნას ის ჩვენში. იმის გამო, რომ ქრისტეს სული ცხოვრობს ჩვენში, არსებობს აზრი, რომ თითოეულ ქრისტიანში უკვე არის ქრისტეს ზრახვები, მაგრამ ჩვენ ქრისტეს უნდა დავუთმოთ ასპარეზიდა მისი მადლით მიღება ავირჩიოთ.

C. როგორ განვასხვაოთ საკუთარი სიმართლით მსახურება ჭეშმარიტი მსახურებისაგან.[478]

საკუთარი სიმართლით მსახურება	ჭეშმარიტი მსახურება
საკუთარი სიმართლით მსახურება ადამიანის ძალისხმევით მოდის.	ჭეშმარიტი მსახურება ჩვენი ღმერთთან ურთიერთობით მოდის.
საკუთარი სიმართლით მსახურებაზე გავლენას ახდენს დიდი გარიგებები.	ჭეშმარიტი მსახურება არ განასხვავებს დიდსა და პატარას.
საკუთარი სიმართლით მსახურება გარეგნულ ჯილდოებს მოითხოვს.	ჭეშმარიტი მსახურება დაფარულითაც კმაყოფილდება.
საკუთარი სიმართლით მსახურება შედეგებზეა ორიენტირებული.	ჭეშმარიტი მსახურება არ საჭიროებს შედეგების გამოთლას.
საკუთარი სიმართლით მსახურება ირჩევს თუ ვის ემსახუროს.	ჭეშმარიტი მსახურება ნებისმიერს ემსახურება.
საკუთარი სიმართლით მსახურებაზე გავლენას ახდენს განწყობა.	ჭეშმარიტი მსახურება თავადსწავლობს თუ როგორ გაუმკლავდეს რთულ საჭიროებებსაც კი.
საკუთარი სიმართლით მსახურება დროებითია.	ჭეშმარიტი მსახურება ცხოვრების წესია.
საკუთარი სიმართლით მსახურება არ არის მგრძნობიარე, ის დაჟინებით ემსახურება მაშინაც კი, როდესაც ეს არ არის სასურველი.	ჭეშმარიტი მსახურება კი საჭიროების შემთხვევაში ჩერდება.
საკუთარი სიმართლით მსახურება ანგრევს ქრისტეს სხეულს.	ჭეშმარიტი მსახურება საზოგადოებას ქმნის.

[478] ადაპტირებულია რიჩარდ ფოსტერისგან, (Richard Foster) დისციპლინის დღესასწაული (Celebration of Discipline), 128-129

D. მსახურთა ჯილდო

ამ გაკვეთილს დავამთავრებ გულწრფელი წერილით, რომელიც რამდენიმე წლის წინ მივწერე პასტორებს, რომლებთან ერთადაც ფილიპინებში მსახურების პრივილეგია მქონდა. ის აღნიშნავს მსახურების მრავალ ასპექტს, რომლებიც წლების წინ გამოვიარეთ, აჩვენებს ერთმანეთისადმი მსახურების მრავალ გზას და მოუთმენლად ელოდება ჩვენი მსახურების საზღაურს.

ძვირფასო ძმებო,ბევრმა თქვენგანმა, პასტორებმა და მშრომელებმა მშვენივრად აჩვენეთ ქრისტეს ზრახვანი ჩვენს ოჯახზე და თქვენი რწმენის მეშვეობით ვისწავლეთ წარმოუდგენელი სულიერი გაკვეთილები.

როდესაც თქვენ მოთმინებითა და სიყვარულით ზრუნავდით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვზე, რომელიც ვერასოდეს შეძლებს მადლობის გადახდას,თქვენ ზრუნავდით მეუღლეზე ხანგრძლივი ავადმყოფობის პერიოდში, სანამ ღმერთმა სასწაულებრივად არ განკურნა ის, დაბრუნდით რომ გემსახურათ მრევლში, რამაც ტკივილი გამოიწვია თქვენში. მიეცით ღმერთს უფლება, რომ დაემსხვრია თქვენი სიამაყე და სულიერი ძალაუფლების მწვერვალზე აეყვანეთ, თქვენ ამით ღვთიური გონება და ზრახვანი გამოავლინეთ.

როდესაც სიკეთეს დაუბრუნდით, ერთგულად შრომობდით მცირე აღიარებისა და დაფასების მიუხედავად, ზრუნავდით ქვრივებზე და გაჭირვებულებზე, მხიარულად ემსახურებოდით ღმერთს სიყვარულისა და მხარდაჭერის გარეშე,თავი დაიმდაბლეთ წარსული შეცდომების გამო, მლოცველ და ცხებულ პიროვნებებად იქეცით და ამით ღვთიური გონება და ზრახვანი გამოავლინეთ.

როდესაც მუდმივად საუკეთესოს აძლევდით უფროსს კრიზისისა და სიღარიბის მიუხედავად, სიმართლისა და სამართლიანობის მხარეს იდექით მაშინაც კი, როდესაც ეს არაპოპულარული იყო, უარი განაცხადეთ დამატებით სამსახურზე იმისათვის, რომ მსახურებაში ჩამდგარიყავით, სიმშვიდითა და თვინიერებით ემსახურებოდით ღმერთს და ამით გამოავლინეთ მსახურის გული.

ზეცამ ჩაიწერა თქვენი მსახურება. მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როდესაც ღმერთი დაგაჯილდოვებთ. მინდა იქ ვიყო, როდესაც ქრისტეს ზრახვებით ცხოვრებისათვის ბრწყინვალე ჯილდოს მიიღებთ.

ქვემოთ მოცემულ ადგილზე დაწერეთ მინიმუმ სამი გზა, რომლის მეშვეობითაც იცით, რომ უფრო მეტად განავითარებთ მსახურის გულს. იყავით მზად, რომ ეს ცვლილებები ღმერთის მადლის მეშვეობით განახორციელოთ. მოემზადეთ, რომ თქვენი გამოცდილება შემდეგ შეხვედრაზე თქვენს ჯგუფს გაუზიაროთ.

*1,*_____

*2.*_____

*3.*_____

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირაში მინიმუმ 30 წუთი გაატარეთ ამ გაკვეთილის მიმოხილვაში, მათ შორის საღვთო წერილის მითითებებში, სთხოვეთ ღმერთს გამჭრიახობა.
2. თქვენს რვეულში ჩაიწერეთ ღმერთის მიერ გაცხადებული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შესაძლოა თქვენს ცხოვრებაში მოხდეს.
3. ღვთისთვის გამოყოფილი დროის განმავლობაში იფიქრეთ მინიმუმ ერთ ფსალმუნზე და რვეულში ჩაიწერეთ ის თუ რას ამბობს მეფსალმუნე ღვთიური ბუნებისა და ხასიათის შესახებ.
4. რვეულში ჩაიწერეთ პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისა და ზრდისათვის, რომელიც ამ გაკვეთილს ეფუძნება.
5. პირადი ლოცვის დროს შეეცადეთ გააპრაქტიკოთ დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვის სახელმძღვანელო.

ტესტი 10 გაკვეთილისთვის

1. ახალი აღთქმის რომელი მონაკვეთი გვასწავლის ერთმანეთის წინაშე ჩვენი ცოდვის აღიარებას?

2. დაასახელეთ 5 გზა თუ როგორ აღწერს ბიბლია ცოდვას?

3. ცოდვასთან დაკავშირებით რა 3 რჩევა მოგვცა დოქტორმა ევერიმ?

4. როგორ შეიძლება ხელისუფლებისადმი მორჩილება ტაყვანისცემად იქცეს?

5. როდის ხდება მორჩილება დამანგრეველი?

6. დაწერეთ ჭეშმარიტი მსახურების სამი მახასიათებელი.

გაკვეთილი 11

პირადი დისციპლინა

ენა და ცხოვრებისეული აზროვნება

გაკვეთილის მიმოხილვა

გაეცანი მეათე გაკვეთილის ძირითად პუნქტებს. ჰკითხე სტუდენტებს თუ რომელიმეს სურს, რომ გაგიზიარონთავისი პირადი ლოცვა მეათე გაკვეთილიდან.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტებმა უნდა:

(1) გააცნობიერონ პირადი დისციპლინის მნიშვნელობა, რომ ჩამოყალიბდნენ ქრისტეს ხატად.

(2) ისწავლონ თუ როგორ გააკონტროლონ ენა და დაიწყონ ამ დისციპლინის პრაქტიკა.

(3) ისწავლონ თუ როგორ დაატყვევონ ყოველგვარი აზრი და მუდმივად გააპრაქტიკონ ეს დისციპლინა.

ცხოვრებისეული მომენტები

- მაშინაც კი, როდესაც როგორც კოლეჯის სტუდენტი ვემზადებოდი მსახურებისთვის, ვიგრძენი სულიერი გავლენა ჩემს უდისციპლინო ენაზე. ვშიშობ, რომ ხშირად დავამწუხრე სულიწმიდა. დავინახე სულიწმიდის სიბრძნე, როდესაც მან ამ სიტყვებით შთამაგონა: „ ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცოდვას ვერ ასცდება, თავისი ენის მომთოკველი კი ბრძენია.“[479] მე შევპირდი ღმერთს, რომ თუ მადლს მომცემდა მას ენას გადავცემდი. მართალია ენის დამორჩილება ჩემი ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა იყო, მაგრამ გავაანალიზე, რომ რაც უფრო მეტად გამოცდილები ვიქნებით ამ სფეროში, მით უფრო მეტი სიმშვიდე, ცხებულება და პატივი გვექნება.
- ახალი წლის დასაწყისში სულიერმა ლიდერმა თავისი გუნდი 21 დღიან მარხვასა და ლოცვაში გამოიწვია. ამის შესახებ რამდენიმე კვირა აცხადებდა. მან სთხოვა გუნდის წევრებს, რომ დარეგისტრირებულიყვნენ თუ მონაწილეობის მიღება სურდათ. მარხვის დაწყებამდე ის თავისი გუნდის წინაშე წარსდგა და სიცილით თქვა, რომ მარხვის გადადებას აპირებდა, რადგან უწევდა იმ შეხვედრაზე დასწრება, სადაც მისთვის საყვარელი საკვებით მოემსახურებოდნენ. ამის თქმა ზედმეტია, მაგრამ დაგეგმილი კორპორატიული მარხვა მარცხი აღმოჩნდა.

[479] იგავი 10:19

►ეს ცხოვრებისეული მომენტები ასახავს პირადი დისციპლინის გავლენას ჩვენს პიროვნულ და სულიერ ცხოვრებაზე და ჩვენს ხელმძღვანელობაზეც კი. რას ფიქრობთ, როგორ ზრდის პირადი დისციპლინის ნაკლებობა სულიერ არასტაბილურობას?

პირადი დისციპლინის ძალა

რიჩარდ ტეილორი თავის კლასიკურ წიგნში "დისციპლინირებული ცხოვრება" წერს: "დისციპლინა არის ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ადამიანს, მაგრამ ყველაზე ნაკლებად სურს. ძალიან ხშირად ახალგაზრდები, რომლებიც სახლს ტოვებენ, მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში სწავლას წყვეტენ, ცოლ-ქმარი, რომლებიც განქორწინებას ცდილობენ, ეკლესიის წევრები, რომლებიც მსახურებას უგულებელყოფენ, თანამშრომლები, რომლებიც სამსახურსტოვებენ, უბრალოდ ცდილობენ თავი დააღწიონ დისციპლინას. ”[480]

> "დისციპლინა არის ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება თენემედროვე ადამიანს, მაგრამ ყველაზე ნაკლებად სურს.“ -
>
> რიჩარდ ტეილორი

სხვა გაკვეთილში ჩემი სიმამრის ულამაზესი ბრედფორდის მსხლის ხის ილუსტრირებას მოვახდენ. ის მშვენიერი ხეა, მოხრილი, რომელიც საკუთარი ზომის გამო ვერასდროს გასწორდება. ეს ხე გვახსენებს, რომ ჯანსაღი დისციპლინის ჩამოყალიბება და გაპრაქტიკება ახალგაზრდა გონების, გულისა და ურთიერთობების პერიოდში ძალზედ მნიშვნელოვანია. სუფთა გონება, დისციპლინირებული ცხოვრება, შესანიშნავი უნარები, ჯანმრთელი ურთიერთობები და ღმერთთან ახლო სიარული თავისით კი არ ჩამოყალიბდება, არამედ მხოლოდ უდიდესი შრომისა და მონდომების შედეგად, მაგრამ თუ დიდხანს გადადებ, შესაძლოა ყველაფერი კარგი რაც შენს ცხოვრებაშია ისე გამრუდდეს, რომ მისი გასწორება ვერასოდეს შეძლო.

ისევე, როგორც სპორტსმენი ვერ გახდება წარმატებული თავის სფეროში, მუდმივი ვარჯიშის გარეშე, ასევევერცერთი მორწმუნე ვერ გახდება ქრისტეს ხატება წვრთნის გარეშე. ამ კურსში შევისწავლეთ, რომ ჩვენი წვრთნის პროცესი მოიცავს კლასიკურ სულიერ დისციპლინებს- ლოცვა, განმარტოება, მედიტაცია, მსახურება და ა.შ. მაგრამ მომდევნო ორ გაკვეთილში ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენი წვრთნის სხვა ასპექტებზე-პირადი დისციპლინა და საკუთარი თავის ფლობა.

ძირითადი აზრი

ქრისტეს ხატად ჩამოყალიბებას ვერ განვაცალკევებთ პირადი დისციპლინისაგან.მომდევნო ორ გაკვეთილში განვიხილავთ ექვს სფეროს, სადაც პირადი წვრთნა ან დისციპლინა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სულიერი ფორმირებისთვის: 1) მეტყველება, 2) ცხოვრებისეული აზროვნება და სექსუალური სურვილები, 3) მიდრეკილება, 4) ტემპერამენტი, 5) დრო და 6) პირადი მრწამსი. ამ გაკვეთილზე ჩვენ განვიხილავთ მათგან ორ დისციპლინას და შევისწავლით თუ რა გავლენას ახდენს

[480] რიჩარდ ტეილორი, (Richard S. Taylor,) დისციპლინური ცხოვრება (The Disciplined Life), (ბლუმინგტონი: ბეთანი ჰაუსი, 2002), კინდლი LOC 22.

თითოეული მათგანი ჩვენს სულიერ, ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე.ჩვენ შევეცდებით პრაქტიკული სიბრძნის შეძენას იმისათვის, რომ მთელი ჩვენი არსება ქრისტეს დავუქვემდებაროთ.

1. **რა არის პირადი დისციპლინა?**

პირადი დისციპლინა არის ქცევის რეგულირების უნარი უფრო მეტად პრინციპული და გონივრული განსჯის საფუძველზე, ვიდრე ემოციის, სურვილების, ზეწოლის ან კულტურული წეს-ჩვეულებებისმიხედვით.[481] პირად დისციპლინაში, ჩვენ ვცდილობთ ყოველი აზრი, ნებისმიერი სურვილი და ყოველი გემოვნებასულიწმიდას დავუქვემდებაროთ, იმისთვის, რომ შევიცნოთ ქრისტე და მოვიპოვოთ „საუკუნო ჯილდო“:

ყველა სპორტსმენი ცდილობს ყველაფერში საკუთარი თავის კონტროლი მოიპოვოს. ისინი ამას წარმავალი ჯილდოსათვის აკეთებენ (გამარჯვებულის მედალი) ჩვენ კი საუკუნოსთვის. ამიტომ მეც გავრბივარ, მაგრამ არა უმიზნოდ და არც ისე ვიქნევ მუშტებს, ვითომ ჰაერს ვცემდე, არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, თვითონ უღირსი არ აღმოვჩნდე.[482]

<?>რას ამბობს პავლე, რა შეიძლებოდა მას დამართვნოდა თვითდისციპლინის გარეშე?

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ პირადი დისციპლინა არ გვაქცევს უკეთეს ქრისტიანებად, და საერთოდ ქრისტიანებადაც კი.დისციპლინა საკუთარი თავის გაუმჯობესების მიზნით ხშირად სიამაყით არის განპირობებული.თვითკონტროლის სათანადო მოტივი არის ის, რომ იყო მართული და გაძლიერებული სულიწმიდის მიერ- რათა მისი დიდება ბრწყინავდეს ტაძარში და მის გარეთ.

სულიერი დისციპლინა ისევე როგორ პირადი დისციპლინა მადლის მოპოვების საშუალებაა. ისინი მე უფრო მეტად მართალს კი არ მხდიან, არამედ მაყენებენ იმ მდგომარეობაში, სადაც უფრო მეტს მივიღებ ღმერთისაგან. დისციპლინა ღმერთთან მიახლოების გზაა- გზა, სადაც ღმერთს ჩემთან შეხვედრა შეუძლია. დისციპლინა არის გზა, რომელსაც ღმერთთან ჩვენი ცარიელი ფიალის წარსადგენად მივყავართ, რომლის ავსებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია.

2. **მართლაც ასე მნიშვნელოვანია პირადი დისციპლინა?**

საინტერესოა, რომ პავლეს წერილები ტიმოთეს მიმართ შემდეგ სიტყვებს მოიცავს: „თვითკონტროლის გარეშე“ ბოლო დღეებში ცოდვებთან ერთად „საზარელი ჟამი“ დადგება.[483] მხოლოდ ამ ორი მონაკვეთიდანაც კი ვიგებთ, რომ ქრისტიანის ცხოვრებაში თვითკონტროლის ნაკლებობა სერიოზული პრობლემაა, რომელსაც შესაძლოა მტკივნეული და მარადიული შედეგები ჰქონდეს.

---

[481] Taylor, LOC 160.
[482] 1კორინთელთა 9:25-27
[483] 2ტიმოთე 3:3

►გსმენიათ ქრისტიანების ხუმრობა თვითკონტროლის ნაკლებობის შესახებ- ზედმეტი ჭამა, ზედმეტი ძილი, ზედმეტი ხარჯვა და ა.შ. როგორ ფიქრობთ, თქვენს გარშემო ქრისტიანები საკმარისად სერიოზულად უყურებენ ამ თემას? რატომ? ან რატომ არა?

3. **რატომაა პირადი დისციპლინა ან თვითკონტროლი ამდენად მნიშვნელოვანი?**

A. ღმერთს სურს, რომ განდიდდეს ჩვენს სხეულში და არა მხოლოდ ჩვენს გულში, რომელიც სულიწმინდის ტაძარია.[484]

B. არაფერია სულიერი ლიდერისათვის ისე შეუფერებელი, როგორც საკუთარიგავლენის ნგრევა დაუმორჩილებელი სხეულის გამო- სხეულის, რომელიც ყოველდღიურად არ ექვემდებარება სულიწმიდის კონტროლს. დაუკავებელი ვნება, დროის უდისციპლინოდ გამოყენება, დაუმორჩილებელი ენა, უკონტროლო ხასიათი და ჭამის, ფულისა და სექსისადმი დაუოკებელი სურვილი ჩააქრობს სულს, ჩრდილს მიაყენებს ქრისტიან მსახურთა სანდოობას და შეამცირებს მათ ჯილდოს. წარმატების პირველი წესი სულიერი სპორტსმენისათვის, რომელიც პრიზის მისაღებად იბრძვის, საკუთარი თავის მართვაა.

რიჩარდ ტეილორი მოგვითხრობს იგორ გორინის ცნობილი უკრაინელ-ამერიკელი მომღერლის შესახებ, რომელსაც სიგარეტის მოწევა უყვარდა. ერთ დღეს მას ვოკალის მასწავლებელმა უთხრა: „იგორ შენ უნდა გადაწყვიტო დიდებული მომღერალი იქნები თუ მწეველი.“ მწეველი მოკვდა, მან მომღერლად ყოფნა ამჯობინა. თვითდისციპლინა აუცილებელია იმისათვის, რომ გახდე ის, რაც ღმერთს სურს.

პირადი დისციპლინის კრიტიკული სფეროები

1. **ჩვენი ენა**

შემდეგი ორი ადგილი დაგვეხმარება ენის მნიშვნელობისა და ჩვენს ცხოვრებაზე მისი გავლენის გაგებაში: იაკობის 3:18 და მათეს 15:18-19.

►წაიკითხეთ ეს ორი ადგილი

მათეს მე-15 თავში იესო შეგვახსენებს გულისა და ენის განუყოფელ კავშირზე: „ხოლო პირიდან გამოსული გულიდან გამოდის“ (მათ15:18)

A. ენის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებასა და ურთიერთობაზე

იესო ასწავლის, რომ ჩვენ ის ვართ, რასაც ვამბობთ. ეს მარტივია, მაგრამ ზოგისთვის ძალიან ძნელია ამის აღიარება. თუ ჩვენი სიტყვები ბრაზის შემცველია ეს იმიტომაა, რომ ჩვენ გარკვეულწილად გაბრაზებულები ვართ. თუ ჩვენი სიტყვები გაუწონასწორებელია ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს გულებში ჯერ კიდევ რჩება უგრძნობლობის ელემენტები. თუ ჩვენი სიტყვები მწარე, მჭრელი და მანიპულაციის შემცველია ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენში უპატივცემულობაა სხვების პიროვნულობისა და თავისუფლების მიმართ. თუ ჩვენ სიამაყითა და თავდაცვით ვსაუბრობთ

[484] რომაელთა 8:11,6

უდავოა, რომ ჩვენში რაღაც დონეზე კვლავ რჩება სიამაყე. თუ ჩვენ სხვების შესახებ კრიტიკულად ვსაუბრობთ, ეს იმიტომ ხდება, რომ გარკვეულწილად მაინც გვაქვს კრიტიკული სულისკვეთება. თუ ვბუზღუნებთ და ვწუწუნებთ ეს იმიტომ ხდება, რომ ჯერ კიდევ არ ვართ მადლიერები. ჩვენი ბაგის ნაყოფი უდავოდ ჩვენი ხასიათის ყველაზე უზადო მოსამართლეა.

> *<rdquo>რამდენიმე წუთი გაატარეთ იესოს სიტყვებზე ფიქრში. მზად ხართ აღიაროთ, რომ თუ ხასიათი იმით იზომება თუ რა გამოდის თქვენი პირიდან თქვენ კვლავ გჭირდებათ ღვთის მადლი, რომელიც გარდაგქმნით თქვენ? გსურთ გაგვიზიაროთ გაჭირვების რამდენიმე სფერო?*

იაკობი საუბრობს „სრულყოფილი კაცის“ შესახებ. რას გულისხმობს იგი „სრულყოფილში“? რა გაგებით არის სრულყოფილი? სრულყოფილია იმ გაგებით, რომ იგი სიტყვით არ სცდება და შესაბამისად, აბსოლუტური ან "სრულყოფილი" კონტროლი აქვს მთელ საკუთარ თავზე. სრულყოფილია იმ გაგებით, რომ მან მიაღწია თავშეკავების გარკვეულ დონეს მეტყველებაში, რაც შესაძლებელს ხდის შეაჩეროს ან მართოს მისი ცხოვრების ყველა არასასურველი ქმედება და ვნება. იაკობის აზრით არსებობს ადამიანი, რომელმაც ისეთი კონტროლი მოიპოვა საკუთარ ენაზე, რომ ცხოვრების ყველა სხვა სფერო მოუწესრიგდა, „ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია. მას შეუძლია ალაგმოს მთელი სხეულიც.“

შემდეგი ციტატები ხელს შეუწყობს ამ ტექსტის მნიშვნელობის განმტკიცებას:

> „მთელი სხეულის დამორჩილება შესაძლებელია“- ეს არის სრულყოფილი ადამიანი. უდავოა, რომ ზოგიერთს შეუძლია ამის გაკეთება და ამის გამო სრულყოფილნი არიან.-ჯონ ვესლი
>
> მთავარი მიზანი ადამიანის აბსოლუტურად უმწიკლოდ და უცოდველად წარმოდგენა როდია, არამედ მთავარი იმის ჩვენებაა, რომ თუ კაცს შეუძლია აკონტროლოს ენა, მას სრული ბატონობა აქვს საკუთარ თავზე, ისევე როგორც კაცი მართავს ცხენს ლაგამის მეშვეობით და მესაჭე მართავს გემს თუ საჭე ხელში უჭირავს. ადამიანი სრულყოფილია იმ თვალსაზრისით თუ მას სრული კონტროლი აქვს საკუთარ თავზე და შეცდომისაკენ არ გადაიხრება. მთავარი განზრახვა იმის ჩვენებაა, რომ ენა, როგორც კაცის მმართველი მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს.[485]

იფიქრეთ ამაზე პრაქტიკულად. განა მართალი არ არის, რომ გაღიზიანების შემთხვევაშიც კი, როდესაც ენა მშვიდად და ჩუმადაა მას დამამშვიდებელი გავლენა აქვს მთელს ცხოვრებაზე? მართალი არ არის, რომ როდესაც სიტყვებს გააზრებითა და მოკრძალებით წარმოვთქვამთ სიძულვილი გარდაიქმნება, სიყვარული და ერთიანობა კი შენარჩუნდება.

განა ვერ ხვდებით, რომ დილითთქვენი ცოლისათვის ნაზად ნათქვამი დროული სიტყვა ღამით სიყვარულსა და მღელვარებას იწვევს? ან, რომ შეგონება და სიყვარულით ნათქვამი შენიშვნა სულიერი წინსვლით ჯილდოვდება? განა ყოველი ქადაგება მომზადებული და ცხებულებით ნაქადაგები არაა, როდესაც ადამიანები მუდმივად ძლიერნი არიან სულიერი სიმაგრეების დასანგრევად? ჩვენი ენა ჭეშმარიტად ჩვენი ცხოვრების საჭეა. როდესაც ის კარგად მუშაობს

[485] ალბერტ ბარნსის (Albert Barnes) კომენტარი იაკობის მესამე თავში.

აღელვებულ წყლებშიც კი სწორ მიმართულებას მოგცემს, მაგრამ როდესაც ის გატეხილია თქვენს მიერ შექმნილ შტორმში ჩაგაგდებთ.

როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი მოვისმინე მკვეხარა კუს იუმორისტული ზღაპარი, რომელსაც ფრენა სურდა. ერთ დღეს, როდესაც დიდი ფრინველი მის გუბურაში დაეშვა, კუს ძალიან ჭკვიანური იდეა მოაფიქრდა. მან ფრინველს წაყვანა სთხოვა. „შეუძლებელია“ ჩაიცინა ჩიტმა. არა, ასე არ არის. თქვა კუმ. თქვენ მხოლოდ ამ ჯოხის ერთ ბოლოს ჩაეჭიდეთ მე კი მეორეს ჩავეჭიდები, შემდეგ კი გავფრინდეთ. ჩიტი დათანხმდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ მიწაზე მყოფმა ადამიანებმა არ შენიშნეს ჩიტი, რომელიც ჯოხის ერთ ბოლოს ნისკარტით ეჭიდებოდა და კუ, რომელიც მეორე ბოლოში ძლიერი ყბებით იყო ჩამოკიდებული. „საინტერესოა ვის მოაფიქრდა ასეთი ჭკვიანური იდეა!“ ვიღაცამ იყვირა ეს კი კუმ გაიგო. მან დასაკვეხნად პირი გააღო, რომ ეთქვა "მე ...!" რა თქმა უნდა, ეს მისი ბოლო სიტყვები იყო! როგორც ბევრი ჩვენთაგანისთვის, მისთვისაც დამანგრეველი აღმოჩნდა მისი ენა.

B. რამდენიმე პრაქტიკული რჩევა თქვენი ენის წვრთნისათვის

1) ისწავლეთ სიტყვების მნიშვნელობა და ზომიერად გამოიყენე ისინი: „ყოველგვარ შრომას მოგება მოაქვს, ფუჭ სიტყვებს კი მხოლოდ სიღარიბე.“[486]

ზედმეტი ლაპარაკი სულს აღარიბებს, ზედმეტი ხარჯვა კი ბიუჯეტს აქრობს. მრავალმა აღმოაჩინა, რომ ძალიან ბევრმა საუბარმა შეიძლება ფსიქიკური და სულიერი სიღარიბე გამოიწვიოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას მიზანი არ აქვს. ქრისტეს ხატად ჩამოყალიბების ნაწილია, რომ ჩვენი სიტყვები სიფრთხილით ავწონ-დავწონოთ, როგორც ეს მან გააკეთა. ეს არც ისე ადგილია, როგორც ჩანს, რადგან სიჩუმე ბევრი ჩვენთაგანისთვის არაკომფორტულია.

2) გაიაზრეთ სიტყვების დამანგრეველი ძალა და მართეთ თქვენი სული. „ასევეა ენაც. პატარა ასოა და ბევრს იქადის. აჰა, რა მცირე ალი ჰბუგავს დიდ ტყეს.“[487] იგავები შეგვახსენებს, „რისხვაში ნელი მამაცს სჯობია, საკუთარი თავის მმართველი კი ქალაქის ამღებია.“[488] მოუმწიფებელი ადამიანის სიტყვები უკონტროლოდ იწვის. განკურნების ნაცვლად ისინი ჭრიან, დამშვიდების მაგივრად არეულობას იწვევენ, გაგრილების ნაცვლად დუღილამდე აცხელებენ ვნებებს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ თუ როგორ შევაჩეროთ ყოველი საუბარი ემოციების გადაჭარბების შემთხვევაში.

3) გაიაზრეთ, რომ რეპუტაცია სიტყვებით შენდება და გონივრულად გამოიყენეთ ისინი: „მდუმარე ბრიყვიც კი ბრძნად ჩაითვლება, ხოლო პირმოკუმული-გონიერად.“[489]

---

[486] იაგავები 14:23
[487] იაკობი 3:5
[488] იგავები 16:32
[489] იგავები 17:28

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ წმინდა წერილებში ბევრია ნათქვამი მშვიდი სულის სიბრძნის შესახებ.[490] ძალიან უაზრო და მოსაწყენი სამყარო იქნებოდა ყველანი წყნარ ნაკრძალში რომ ვცხოვრობდეთ. ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, უნდა განვავითაროთ მოსმენისა და გააზრებული ურთიერთქმედების უნარი, ვიდრე უყურადღებო, უმიზნო საუბარი.

ბრბოში ყურადღებას ყველაზე მაღალ ხმიანი კაცი თუ ქალი იქცევს, თუნდაც მათ ძალიან ცოტა რამ ჰქონდეთ სათქმელი. მაგრამ ღმერთი აფასებს ადამიანს, რომელმაც იცის როდის უნდა ილაპარაკოს და როდის გაჩუმდეს. ღმერთი აფასებს ადამიანს, რომელიც ჯერ ფიქრობს, შემდეგ კი ლაპარაკობს.

ღმერთი ნაზ და მშვიდ ქალს ძალიან ლამაზ და მიმზიდველ პიროვნებად მიიჩნევს. ისტორიამ დაადასტურა, რომ ღვთისმოსავი ქალის ნაზ და მშვიდ სულს მეფეთა და ერთა გულის შეძვრა შეუძლია.[491]

4) ისწავლეთ სიტყვების ძალა, რომელიც კლავს და აცოცხლებს:[492] „სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია და მისი მოყვარულნი შეჭამენ მის ნაყოფს“ (იგავ18:21)

სიტყვებს ძალუძს განკურნოს ან დაჭრას, აღადგინოს ან გაანადგუროს, გაამხნეოს ან დაამწუხროს. როგორც მამამ მე გამოვცადე სიტყვების ძალა და გავლენა ჩემს შვილებზე. ერთ დღეს, რამდენიმე მამა ვაკვირდებოდით თუ როგორ ცდილობდნენ ჩვენი ვაჟები მაღალ მეტალის ბოძზე აძრომას. სამი ან ოთხი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჩემი შვილი ტიმოთე დანებებას აპირებდა, როდესაც ვუთხარი: ”ეი, ჯერ არ დანებდე, შვილო! მჯერა, რომ თუ მოინდომებ გამოგივა. ამ სიტყვებს საოცარი ძალა ჰქონდა. ის ფაქტი, რომ მამას მისი სჯეროდა მხნეობა მისცა მას, რომ იმაზე მეტად ეცადა ვიდრე ოდესმე. როგორც კი მან კვლავ გააგრძელა ცოცვა, უფრო მეტი ძალისხმევით სცადა ზემოთ ასვლა. ასვლისას მე ვიყვირე: ”გააგრძელე, შვილო! არ გაჩერდე! შენ ეს შეგიძლია! გააგრძელე ცოცვა!“ და მან ეს შეძლო!

დარწმუნებული ვარ, რომ განსხვავებას წარმატებასა და წარუმატებლობას შორის სახლსა თუ ეკლესიაში დამამშვიდებელი და გამამხნევებელი სიტყვები ქმნის. გაიხსენეთ რა ვთქვით სხვა გაკვეთილებში, რომ მამაც კი გარკვევით ესაუბრებოდა იესოს დამამოწმებელი სიტყვებით, მისი დედამიწაზე ყოფნის კრიტიკულ მომენტებში.[493] თუ იესოს სჭირდებოდა ნუგეშისცემა, რამდენად მეტად გვჭირდება ჩვენ.

ჩვენი სიტყვები ხშირად წინასწარმეტყველურია. თუ ბავშვს ვეტყვით „შენ წარუმატებელი ხარ“, მოსალოდნელია, რომ ის მომავალში ნამდვილად განიცდის წარუმატებლობას. თუ ვეტყვით ”შენ არც ისეთი ლამაზი და ნიჭიერი ხარ, როგორც შენი და-ძმა”, შემდეგ ის დაიწყებს ფიქრს, რომ ნამდვილად მახინჯია და მისი დამოკიდებულებებიც სიმახინჯეში გადაიზრდება. მაგრამ თუ მეორეს მხრივ ყურადღებას ჩვენი შვილების სიძლიერეებზე უფრო მეტად გავამახვილებთ, ვიდრე სისუსტეებზე და მათ თავდაჯერებულობას გავაძლიერებთ, შედეგებით ნამდვილად გავოცდებით.

---

[490] იგავები 17:1; 1თესალონიკელთა 4:11; 1ტიმოთე 2:2; 1პეტრე 3:4
[491] ლუკა 3:22
[492] იგავები 12:18; 15:1,4
[493] ლუკა 3:22

სამწუხაროდ, ბავშვებისა და მოზარდების უმეტესობა მთელს ცხოვრებას იმაზე ფიქრში ატარებს, რომ სხვა არაფერი არიან თუარა მხოლოდ ერთი იმედგაცრუება მათთვის, ვისაც ისინი უპირობოდ უყვართ და იმან არ უნდა გაგვაკვირვოს, რომ ისინი სოციალურად, აკადემიურად და სულიერად მუდმივად ნაკლებად შრომობენ.

ეკლესია და სახლი ის ადგილია, სადაც სიტყვებს სასწავლებლად იყენებენ? ქმრებო, განა ეუბნებით თქვენს ცოლებს, რომ ლამაზები არიან? გამამხნევებელი სიტყვებით გამოხატავთ თქვენ მადლიერებას მისი სიყვარულისა და მსახურებისადმი? ცოლი, რომელიც მსგავს სიტყვებს ისმენს ქმრისაგან უფრო მეტად ლამაზ და სულიერ პიროვნებად გარდაიქმნება. ეს ქალიშვილებსაც ეხება. ცოლებო, მუდმივად ადარებთ თქვენს ქმარს სხვა კაცს, მაგალითად მამას და ახსენებთ მას მისი წარუმატებლობის შესახებ? ან ამახვილებთ ყურადღებას იმ თვისებებზე, რომელთა გამოც მადლიერნი ხართ? კაცები, რომლებსაც პატივს სცემენ და მუდმივად ამხნევებენ, უკეთეს მამაკაცებად გარდაიქმნებიან.

პასტორებო, თქვენს ეკლესიაში გამამხნევებელი ატმოსფეროს შესაქმნელად იბრძვით თუ უბრალოდ ადამიანების უარყოფით თვისებებზე ამახვილებთ ყურადღებას? პავლემ თქვა, რომ ქრისტეს მოსვლის ჟამის მოახლოებასათან ერთად ქრისტეს სხეულში ჩვენ უფრო მეტი ნუგეშისცემა და გამხნევება დაგვჭირდება. „ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს, ზოგიერთებს რომ სჩვევიათ, არამედ ვამხნევებდეთ ერთმანეთს, მით უმეტეს, რაც უფრო მეტად ატყობთ იმ დრის მოახლოებას“.[494]

საყვედურის შემცველი სიტყვები უნდა დავაბალანსოთ გულწრფელი გამამხნევებელი სიტყვებით. მე ძალიან დამეხმარა ის ფაქტი, რომ ჩემს სიტყვებზე ისევე მუდმივად ვფიქრობდი, როგორც ვალუტაზე, რომელსაც მუდმივად ვადევნებდი თვალს და ვხარჯავდი. ყოველთვის, როდესაც ვიღაცას ვამხნევებ მათ გულში პატარა დეპოზიტს ვდებ და მრავალი ასეთი დეპოზიტის შემდეგ მათი გამოტანის საშუალებაც კი მეძლევა. რამდენიმე მტკივნეული გამოცდილების საშუალებით გავიგე, რომ იმ ადამიანთა გაკიცხვისა და გამოსწორების მცდელობა, რომლებიც არასდროს გაგვიმხნევებია მხოლოდ უფსკრულს გააჩენს ურთიერთობაში, რომლის ამოვსება რთული და ხშირად შეუძლებელიც კია.

5) იცოდეთ, რომ ენას მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ მოათვინიერებთ, არამედ სულიწმიდის დახმარებით. “რადგან მხეცთა და ფრინველთა, ქვეწარმავალთა და ზღვის ცხოველთა ყოველგვარი ბუნება თვინიერდება და მოთვინიერებულია ადამიანის ბუნების მიერ. ენის დამორჩილება კი კაციშვილს არ შეუძლია. დაუკავებელი ბოროტებაა ეს და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე“.[495]

ღვთის მადლის გარეშე ველური ცხოველის მოთვინიერება უფრო ადვილი იქნებოდა ჩვენთვის ვიდრე ჩვენი ენის დამორჩილება. ენასთან ჩვენი ბრძოლა შეგვახსენებს, რომ მუდმივად გვჭირდება განწმენდა და სულიწმიდით ავსება. ეს ესაიას ისტორიაა. ღვთის წინაშე მისმა უწმინდურმა ენამ

[494] ებრაელთა 10:25
[495] იაკობი 3:7-8

გამოიწვია მისი სირცხვილი და მსჯავრი.[496] როდესაც ახალგაზრდა წინასწარმეტყველი წუხდა თავის ბოროტებაზე და სასოწარკვეთაში ჩავარდა, ღმერთმა გააკეთა ის, რაც მხოლოდ მას შეეძლო: მან თავისი სერაფიმი გაგზავნა, რადგან სამსხვერპლოდან აღებული მოგიზგიზე მუგაზალით მადლიერებით შეხებოდა ესაიას ტუჩებს და განეწმინდა იგი. „აჰა, შეეხო მუგაზალი შენს ბაგეს და მოგცილდაურჯულოება, მიგეტევა შენი ცოდვა“ თქვა სერაფიმმა.[497] ახლა კი ესაიას შეეძლო ეთქვა „აქ ვარ, მე წარმგზავნე!“

ყოველთვის პირდაპირი კავშირი არსებობს ჩვენი ბაგის განწმენდასა და ღმერთის მიერ ჩვენს გამოყენებას შორის.

6) იცოდეთ, რომ დისციპლინირებული ენა ცხოვრების სიყვარულსა და კარგი დღეების იმედს წარმოქმნის. „რადგან ვისაც უყვარს სიცოცხლე და კეთილდღეობის ხილვა, შეიკავოს ენა ბოროტისაგან და მისი ბაგეები ნუ იტყვიან მზაკვრულს.“[498]

უკონტროლო ენა ველური, აღვირახსნილი ცხენის მსგავსია, რომელიც ღობეებს ანგრევს, ქონებას ანადგურებს და ნაყოფს ფეხქვეშ თელავს. გემი, რომელსაც საჭე არ აქვს საფრთხეში ჩააგდებს ყველას თავის გზაზე და კლდეებისაკენ გაცურავს. მოგიზგიზე ენა კი ცეცხლს გააჩენს, რომელიც ეკლესიის ეზოებს მიმოედება და წლების მანძილზე დარგულს, ნაშენებსა და გაზრდილს გადაწვავს.

ღვთის სასუფევლისათვის მიყენებული ზიანის უმეტესობა იმ ადამიანების მიერაა ჩადენილი, რომელთაც საკუთარი ენის დაკავება ვერ შეძლეს. მაგრამ თუკი ცხოვრებას მთლიანად შევიყვარებთ და ღმერთის მიერ დაგეგმილი კარგი და პროდუქტიული დღეებით ვისიამოვნებთ, ჩვენს ბაგეებს მეტი სიფრთხილით გავაკონტროლებთ. დილით, შუადღითა და ღამით უდარაჯეთ და გააკონტროლეთ თქვენი ბაგეები. დაიმახსოვრეთ, რომ ღვთის მადლით თქვენი ბაგე არასდროს იქნება დაუცველი.

წინ კარგი დღეები ელის მას, ვინც დიდი სიფრთხილით იცავს მის წინ მდებარე კარიბჭეს.კარგი დღეები ექნება მას, ვინც თავისი სიტყვებით ღირსება და პატივისცემა დაიმსახურა. კარგი დღეები ექნება მის ოჯახს, ვინც თავისი სიტყვებით აძლიერებს და აშენებს ოჯახურ ურთიერთობებს. კარგი დღეები ექნება მის ეკლესიას, ვინც თავისი სიტყვებით ამხნევებს და ასწავლის ქრისტეს სხეულს. მისი შრომის საბოლოო შედეგი იქნება ცხოვრების სიყვარული- ღვთის ჯილდოებით მიღებული ჭეშმარიტი და წმინდა სიამოვნება.

პირადი მოგზაურობა

ენა ჭეშმარიტად ჩვენი ცხოვრების საჭეა, რომელიც ამა თუ იმ დანიშნულების ადგილისაკენ გვიბიძგებს. სიმართლე რომ ვთქვა, ნებისმიერი სიდუხჭირე თუ ტკივილი, რომელიც ქორწინებისა და მსახურების დასაწყისში განვიცადე ჩემი დაუცველი კარიბჭისა და უწმინდური ენის ბრალი იყო. არასდროს დამავიწყდება ის დრო, როდესაც ახალგაზრდა მისიონერმა დავიწყე იმის გააზრება თუ

[496] ესაია 6:5
[497] ესაია 6:7
[498] 1 პეტრე 3:10; იგავები 21:23

რამხელა კავშირი იყო ჩემს სიტყვებსა და ჩემს გულს შორის. მეგობართან, რომელსაც მე ძალზედ ვაწყენინე, ძალიან დრამატული და მტკივნეული გამოცდილების საშუალებით ღმერთმა ამიხილა თვალები და დამანახა, რომ მჭირდებოდა იესოს ნაზი და კეთილი გული. მე ვტიროდი და აღიარებებს ვაკეთებდი ღვთის წინაშე, მან კი გარკვეული სცენები შექმნა ჩემს გონებაში, სადაც მე მსჯავრს ვდებდი, ვტკენდი, ვმანიპულირებდი, უგულებელვყოფდი სხვების გრძნობებს, თავისუფლებასა და მოსაზრებებს. იმ დღეს, როდესაც ღმერთმა ჩემი გული განწმინდა და აღუწერელი სიხარულით აავსო გავიაზრე, რომ ჩემს სულიერ მოგზაურობაში გარკვეულ ეტაპს მივაღწიე. ვიცოდი, რომ ამიერიდან სხვა გზით წავედი და უკან დაბრუნება აღარასდროს მსურდა.

> *►წაიკითხეთ გალატელთა 6:6-8 იფიქრე შენს სიტყვებზე, როგორც თესლზე, რომელიც შენს გარშემო მყოფ ადამიანთა გულებში ითესება. თუ ყოველი სიტყვა არის თესლი, რომელიც ან კარგ ნაყოფს გამოიღებს, ან ცუდს, მაშინ როგორ მოსავალს ელით მომავალში? რამდენიმე წუთის განმავლობაში სთხოვეთ ღმერთს, რომ დაგეხმაროთ თქვენი სიტყვების გააზრებაში. დაწერეთ თუ რას გაჩვენებთ ის. თავისუფლად ისაუბრეთ თქვენი პასუხების შესახებ თქვენი ჯგუფის წევრებთან.*

2. ჩვენი ცხოვრებისეული აზრები

ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი სიმწიფე და იესოსადმი მსგავსება არამხოლოდ ჩვენი სიტყვებით არამედ ჩვენი აზრებითაც. ჩვენ ვართ ის, რასაც ვფიქრობთ და როგორც ვცხოვრობთ.[499] მაგრამ განა ყოველი ფიქრის მსგავსნი ვართ, რომელიც ჩვენს გონებაში მოდის? მხოლოდ მათი, რომლითაც ვცხოვრობთ და ჩვენი კონტროლის საშუალებას ვაძლევთ. როგორც მარტინ ლუთერმა თქვა „ჩიტებს თავს ზემოთ ფრენას ვერ დაუშლით, მაგრამ შეგიძლიათ დაუშალოთ თქვენს თავზე ბუდის გაკეთება“

A. ჩვენი ცხოვრებისეული აზრების გავლენა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და ურთიერთობებზე.

კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც პატარა მისიონერი ვიყავი, ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა „შვილო შენ გაბრაზებული ადამიანი ხარ“. მე ვებრძოდი კულტურის ზოგიერთ იმედგაცრუებას, ისევე როგორც პრობლემებს მსახურებაში და აღმოვაჩინე, რომ უფრო მეტად გაღიზიანებით ვასწავლიდი ვიდრე სიყვარულით. ერთ დილას ღვთისთვის გამოყოფილი დროის განმავლობაში წავიკითხე სიტყვები „ როგორც გულში ფიქრობს, ისეთია იგი“. ამ სიტყვებით სულიწმიდამ ჩემი გული დაჭრა, მაგრამ მე ვთქვი „უფალო, მე არ ვარ გაბრაზებული ადამიანი, მე მისიონერი ვარ!“ მან კი საპასუხოდ მითხრა „შენ გაბრაზებული მისიონერი ხარ“. მე ხმამაღლა გამეცინა. ის არ მაძლევდა საშუალებას, რომ რაიმე წოდებას ან პოზიციას ამოვფარებოდი. აღიარებამ მე განმწმინდა და გამათავისუფლა.

გიცდიათ წყენისა და ბრაზის სხვა ადამიანისკენ მიმართვა? გაწუხებთ შფოთვა და შიში?იბრძვით დამანგრეველი აზრების წინააღმდეგ? ხომ არ იწვევს ავხორცული აზრები თქვენს დამარცხებას?

[499] იგავი 23:7

იმედი არსებობს, მაგრამ ეს ადვილი არ იქნება!ორას წელზე მეტი ხნის წინ ჯონ ვესლი ასწავლიდა: ”სული და სხეული ქმნის ადამიანს; მაგრამ ღვთის სული და დისციპლინა ქმნის ქრისტიანს “. ავხორცულ, ნეგატიურ და დამანგრეველ აზრებზე გამარჯვება ღვთის მადლითა და პირადი დისციპლინითაა შესაძლებელი. შენ შეგიძლია შეცვალო შენი აზროვნება.

გამამარჯვებელი ცხოვრებისეული აზრები მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ვხდებით ის, რასაც ვფიქრობთ. თუ ჩვენ პოზიტიური, ამაღლებული, ჯანსაღი და ჯანმრთელი ფიქრებით ვიაზროვნებთ, საბოლოოდ პოზიტიურ, ამაღლებულ, ჯანსაღ და ჯანმრთელ პიროვნებებად ვიქცევით. თუ დამამძიმებელი, უარყოფითი და არაჯანსაღი ფიქრებით ვიაზროვნებთ დამძიმებულ, უარყოფით და არაჯანსაღ პიროვნებებად გარდავიქმნებით. ფიქრები წინ უძღვის მოქმედებას.[500]

როდესაც საქმე ჩვენს ცხოვრებისეულ აზრებს ეხება, ერთ-ერთი ყველაზე დიდი რამ, რომელსაც ადამიანები ბრძოლაში აწყდებიან ვნებებთან ბრძოლაა. ვნება ცოდვილ, ავხორცულ აზრებში მკვიდრობს. ეს შესაძლოა ჩვენს გონებაში არსებულ ველურ ცხენებთან იქნას შედარებული, რომლებიც უნდა დავატყვეოთ, შევიპყროთ და ქრისტეს დავუმორჩილოთ.[501] ისინი უმწიკლონი კი არ არიან, არამედ დამანგრეველნი.[502] როგორ დავიპყრობთ მათ?

B. პრაქტიკული დისციპლინა სუფთა ცხოვრებისეული აზრებისათვის

1. დააკვირდი შენს თავს: იფხიზლე საკუთარ თავზე.[503]

იცოდეთ, როდის არის ცდუნება ყველაზე ძლიერი. იცოდეთ, როდის ხართ ყველაზე დაუცველები ცდუნების წინაშე და შეიმუშავეთ უსაფრთხოების ზომები თქვენს ცხოვრებაში. როდესაც ახალგაზრდა პასტორი ვიყავი, მახსოვს, ჩარლზ სპურჯონის ლექციებს ვუკითხავდი ჩემს სტუდენტებს. ერთ-ერთ თავში „გონების დაკარგვა“ ის სულიერ ლიდერებს ასწავლის, რომ უფრთხილდნენ ცდუნებას, რომელიც მსახურების წარმატებას, დაღლილობას ან კონფლიქტს მოჰყვება. ეს ჩემთვის კარგი რჩევა იყო. ზოგიერთი პროგრამა იყენებს აბრევიატურას H.A.L.T.[504] იმისათვის, რომ დაეხმარონ ადამიანებს ცდუნების მიმართ სიფხიზლის შენარჩუნებაში.

H – Hungry / A – Angry / L – Lonely / T – Tired

H-მშიერი / A-გაბრაზებული / L-მარტოსული / T-დაღლილი

ჩვენ ყველაზე დაუცველები ვართ მაშინ, როდესაც სიყვარული ან საკვები გვჭირდება, როდესაც ვგრძნობთ, რომ უსამართლოდ მოგვექცნენ; როდესაც თავს იზოლირებულად და მარტოდ ვგრძნობთ; და როდესაც გონებრივად, სულიერად და ფიზიკურად გადავიღალეთ. სატანას სწორედ ჩვენს დაუცველ მომენტებში უყვარს სადავეების აღება, ამიტომ დაიცავი თავი. „იყავით მღვიძარენი,

---

[500] კეიტ დური (Keith Drury), სულის შემქმნელი (Soul Shaper) (ინდიანაპოლისი, IN: ვესლეიანის გამომცემლობა Wesleyan Church, 2013), 167, 168
[501] Ibid, 165.
[502] Ibid, 164-165.
[503] 1ტიმოთე 4:16
[504] https://bradfordhealth.com/halt-hunger-anger-loneliness-tiredness/

იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს“[505]

2. ისწავლე, რომ ღმერთის მადლით თქვა „არა“. „ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთობა და ამქვეყნიური გულისთქმანი და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში.“[506]

მადლი საკუთარი თავის კონტროლს გვასწავლის. არცერთ ქრისტიანს არ შეუძლია თქვას: ”მე უბრალოდ ვერ ვაკონტროლებ ჩემს აზრებს.” ღვთის მადლი მოქმედებს ჩვენს გულებში მასში მცხოვრები სულიწმიდის მეშვეობით და თითოეულ ქრისტიანს საშუალებას აძლევს უარი უთხრას „უღმრთოებას და ამქვეყნიურ ვნებებს“.

თქვენში მყოფი სულიწმიდა არის სული, რომელიც საკუთარი თავის კონტროლში გეხმარებათ.[507] ღმერთის მადლით ჩვენ არ დავმარცხდებით.ეცადე უთხრა „არა“ დამანგრეველ ფიქრებს.

იცოდე რა აღძრავს შენში ხორციელ აზრებს. იცოდე რა ქმნის შენს გაჭირვებას და მოიშორე ის შენი ცხოვრებიდან. გადაეცი სიკვდილს! თუ ეს ძალიან რადიკალურად ჟღერს, მაშინ ნუ მიიღებ ამას ჩემგან, მიიღე ეს ღმერთისგან. მან თქვა: „ თუ მარჯვენა თვალი გაცდუნებს, ამოითხარე და გადააგდე რადგან უმჯობესია, ერთი ასოთაგანი დაკარგო, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენაში.“[508]

სერიოზულად აღიქვამთ სიწმინდეს? მზად ხართ გაიღოთ მტკივნეული და არასასიამოვნო მსხვერპლი იმისათვის, რომ დაიცვათ თქვენი გონება და ღვთისადმი სიყვარული? ბიბლიის კოლეჯის პრეზიდენტი, დოქტორი მაიკლ ევერი მოგვითხრობს ახალგაზრდა კაცის ისტორიას, რომელიც მის ოფისში აღსარების სათქმელად მივიდა. იგი ათვალიერებდა პორნოგრაფიულ ვებსაიტებს, მაგრამ თქვა რომ ძალიან ნანობდა და უნდოდა პრეზიდენტ ევერის ეპატიებინა და მის სიწმინდეზე პასუხისმგებელი გამხდარიყო. ის ძალიან გულწრფელი და გატეხილი ჩანდა. რამდენიმე კვირის შემდეგ იგივე ახალგაზრდა კაცი მოვიდა ისევ იგივე აღიარებით; და რამდენიმე კვირის შემდეგ, კიდევ ერთხელ.ბოლოს, პრეზიდენტმა ევერიმ ახალგაზრდა კაცს თვალებში ჩახედა და გამოსცადა. ”ვფიქრობ, რომ სიწმინდე გინდა, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ. მზად ხარ დღეს აიღო ვალდებულება, რომ თუ თქვენი კომპიუტერი კვლავ გაცდუნებთ, მას თავიდან მოიშორებთ, გაყიდით ან ჩაქუჩით ნაწილებად დაამტვრევთ? ახალგაზრდა კაცმა თქვა, რომ ამას ვერ შეძლებდა. ეს ძალიან დიდი მსხვერპლი იქნებოდა. მან თქვა, რომ კომპიუტერი სკოლისთვისსჭირდებოდა. „მაშინ ჯერ ნამდვილად სერიოზულად არ გადაგიწყვეტიათ სიწმინდე“ უპასუხა პრეზიდენტმა ევერიმ.

მათ, ვისაც არ სურთ, რომ დაცვა გააძლიერონ და სულიერი სიხარულის ძიებისას გარკვეულ კომფორტზე უარის თქმა არ შეუძლიათ ნამდვილად არ სურთ სიწმინდე. იობმა თქვა: „აღთქმა

[505] 1პეტრ 5:8
[506] ტიტე 2:11-12
[507] გალატელთა 5:23
[508] მათე 5:28-29

დავუდე ჩემს თვალებს, რომ ქალწულს არ შევხედავდი გულისთქმით.“ ეს არის სიმტკიცის გამოხატულება,რომელიც გამარჯვებამდე მიდის.

3. გაექეცით ვნებებს და მიჰყევით ნამდვილ სიხარულს: „ყმაწვილკაცურ გულისთქმებს გაექეცი.“[509]

ვნება მშიერ ლომს ჰგავს. არ მისცეთ მას უფლება, რომ კლანჭიანი თათი ჩაგასოთ გონებაში. მას შემდეგ, რაც თქვენი გონების კარგს გაუღებთ ლომი იქამდე შთანთქავს მას, სანამ მომენტალურად არ დაკმაყოფილდება, თავისი ნებით კი არასოდეს დაგტოვებთ. პავლე ტიმოთეს ეუბნება, რომ თუ მას წმიდად ყოფნა სურს ის ვნებას უნდა გაექცეს.

თუ წმინდად ყოფნა გსურთ ნუ უყურებთ პროგრამებს, ნუ წაიკითხავთ წიგნებს და ნუ დაათვალიერებთ ისეთ საიტებს, რომლებიც თქვენს ცდუნებას გამოიწვევს. გაექეცით ისეთ ადგილებსა და ადამიანებს, რომლებიც იცით, რომ ხორციელი საქმეებისაკენ გიბიძგებენ. არ გაუღოთ ცდუნებას კარი, როგორც არ უნდა გაინტერესებდეთ თუ რა ხდება მეორე მხარეს. თუ გინდა რომ გამარჯვებული იყო მოიქეცი ისე, როგორც იოსები მოიქცა და აარიდე თავი საცდურისადმი მიდრეკილებას.

4. მიჰყევით ღმერთის სიხარულს: „მისდიე სიმართლეს, რწმენას, სიყვარულს, მშვიდობას ყველასთან, ვინც სუფთა გულით მოუხმობს უფალს.“[510]

საუკეთესო გზა, რომელიც აღმოვაჩინე, რომ საზღვრებს მიღმა არსებული საგნების მიმართ მიდრეკილება დამეკარგა, ღვთაებრივი, მარადიული საგნების დაფასებაა. ღმერთთან ერთად გატარებული ერთი წუთიც კი ცოდვილ სიამოვნებას მოსაწყენს ხდის, რომელთა შედარებაც შეუძლებელია. ვნებისაგან გაქცევა სიმართლის მიყოლის გარეშე ვერასოდეს ჩამოგაშორებს ვნებას. გამარჯვებულია ის კაცი და ქალი, რომელიც სიმართლისაკენ ისწრაფის-თავის გულსა და გონებას ისეთი რამით ავსებს, რომელიც გააძლიერებს მათ ქრისტეში სიარულსა და გაზრდის მათ სიამოვნებას ღმერთში. ისინი სიამოვნებას იღებენ ღმერთთან ურთიერთობით, ავითარებენ ჯანსაღ სიახლოვეს, კითხულობენ კარგ წიგნებს, ავითარებენ და იყენებენ ღმერთისგან ბოძებულ ნიჭს და აშენებენ ღვთის სასუფეველს. ისინი არ უშვებენ, რომ მათი გონება გაზარმაცდეს. მათ იციან, რომ უსაქმური გონებაეშმაკის სათამაშო მოედანია!

5. ყველა აზრი ღვთის სიტყვას დაუქვემდებარე: „ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ ღვთის ძალაა, რათა დავანგრიოთ სიმაგრენი. მისით ვამხობთ ზრახვებსა და ყოველგვარ სიმაღლეს, რაც კი აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად.“[511]

გამარჯვების გასაღები არის ის, რომ ყოველგვარი აზრი ქრისტეს სიტყვას დავუქვემდებაროთ.სტივენ არტერბურნმა და ფრედ სტოკერმა გამოუშვეს წიგნების სერია, რომელიც მამაკაცებს სექსუალური

[509] 1პეტრე 2:11
[510] 2ტიმოთე 2:22
[511] 2კორინთელთა 10:4-5

ცდუნებების დაძლევაში ეხმარება.ერთ-ერთი პრაქტიკული რამ, რასაც ისინი ასწავლიან მამაკაცებს „თვალების ცეცების“ დისციპლინაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის წვრთნა „აკრძალულ ნაყოფს სწრაფად მოარიდო თვალი“[512]. ეს შეიძლება იყოს ძლიერი, ცხოვრების შემცვლელი დისციპლინა.მაგრამ ისინი ასევე ამბობენ, რომ „თვალის ცეცება“ არ დასრულდება გონების წვრთნის გარეშე, რომ მუდმივად აღიაროს ბიბლიური ჭეშმარიტება: ”მე არ მაქვს საკუთარი უფლებები”; "მე ნაყიდი ვარ ფასით"; „მე ღვთის სიყვარული ვარ.“

ციხიდან „თვალის ცეცებით“ ვერ გამოხვალთ, არამედ თქვენ კიდევე ერთი ნაბიჯი უნდა გადადგათ მეორე კარისაკენ, რომელიც ღმერთის სიტყვით გარდაიქმნება და საშუალებას მოგცემთ იესოს მსგავსად იაზროვნოთ.

როგორ ფიქრობდა იესო? მსახურის მსგავსად, რომელსაც უფლებები არ ჰქონდა. მან მამის გამო შეიყვარა სიმართლე და შეიძულა ურჯულოება. მან თავისი უფლებები დათმო, რათა მსახური გამხდარიყო და შეძლებოდა მამისათვის ფასით გამოვესყიდეთ.

ახლა კი, როდესაც ფასით გამოგვისყიდეს, იესოს მსგავსად უნდა ვიაზროვნოთ. ჩვენ საკუთარი თავისთვის აღარ ვცოცხლობთ და მის გარეშე საკუთარი უფლებებიც აღარ გვაქვს. გაექეცით სექსუალურ უზნეობას. თქვენ საკუთარი თავისთვის აღარ ცოცხლობთ, არამედ ფასით იქენით გამოსყიდულნიამიტომ, პატივი ეცით ღმერთს თქვენი სხეულით.

სექსუალური სიწმინდისთვის ბრძოლის დროს, შემდეგი სიტყვები ჩამომიყალიბდა, რამაც მთლიანად შეცვალა ჩემი გონება:

Sen ar gaqvs ufleba, rom mas Sexedo an masze ifiqro, Sen ar gaqvs amis Zalaufleba.

როდესაც თქვენი გონება ჭეშმარიტად გარდაიქმნება და ასე ფიქრს დაიწყებს, თქვენ გამოცდით იმას, *რასაც ცდუნების სიკვდილს ვუწოდებთ.* [513]

თუ სუფთა ცხოვრებისეული აზოვნება გსურთ, მაშინ ყოველი დაუმორჩილებელი აზრი, ცოდვა, საკუთარი თავი და ღვთის სიტყვის ურჩი ადამიანები ღმერთს დაუქვემდებარეთ. დღე და ღამე იფიქრეთ ღვთის სიტყვაზე.[514] დაე ისწავლეთ თუ ვინ ხართ ქრისტეში და ვის ეკუთვნით. რაც უფრო მეტად აღივსებით ღვთის სიტყვით, მით უფრო სწორად იფიქრებთ სექსუალობაზე. თქვენ შეიძლება შეურაცხყოფა განიცადეთ. შესაძლოა, როგორც ქრისტიანი კაცი სექსუალურ მიდრეკილებებს ებრძვით, რაც დღევანდელ მსოფლიოში უჩვეულო არაა. აღივსენით ღვთის სიტყვით და დაატყვევეთ ყოველგვარი არასწორი აზრი.

კაცებო ეცადეთ, რომ სხვებზე იფიქროთ არა ისე, როგორც ფანტაზიისა და საკუთარი სიამოვნებისათვის გამოსაყენებელ საგნებზე, არამედ როგორც ღმერთის ხატად შექმნილ ადამიანებზე, რომლებიც ღმერთმა შეიყვარა და ზრუნავს მათზე, რადგან იქამდე შეიყვარა ისინი

---

[512] დაბადება 2:17

[513] სტივენ არტერბერნი, ფრედ სტოკერი (Stephen Arterburn, Fred Stoeker), Every Man's Challenge (Colorado Springs: Water Brook Press 2004), 53,54.

[514] ფსალმუნი 1:2

ღმერთმა, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა მათთვის მომკვდარიყო. სულიწმიდის მეშვეობით ეცადეთ, რომ ქალებსა თუ კაცებზე იფიქროთ, როგორც მარადიული ღირსების მქონე პირებზე, რომლებიც ღირსებასა და პატივისცემას იმსახურებენ. „დედაკაცები-როგორც დედები, ყმაწვილქალები-როგორც დები, მთელი სიწმიდით.[515] ღმერთის მადლით ეცადეთ რომ ასე იაზროვნოთ და ამის შედეგად თქვენ განიცდით ცვლილებას.

6. ეცადეთ გააკეთოთ აღიარებები და გახდეთ პასუხისმგებელნი: „აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ, რადგან ბევრი რამ შეუძლია მართლის გაძლიერებულ ლოცვას.“[516]

თუ თქვენ თქვენი ცხოვრებისეული აზრების გამოსასწორებლად იბრძვით მინდა გითხრათ, რომ აღსარებაში ნამდვილად დევს განკურნების ძალა. როგორც წინა გაკვეთილებში ვისწავლეთ გულგატეხილობის შესახებ, სიამაყე მადლიერების უდიდესი შემაფერხებელი ფაქტორია. ეს ჩემი ისტორიაა.

თითქმის ოცი წლის წინ, როდესაც ჩვენი ვაჟი ჯესი (მაშინ 4 წლის იყო)სიმსივნით იტანჯებოდა გადავწვიტე 7 დღე მემარხულა. მე და ჩემი მეუღლე, ბეკი ვფიქრობდით, რომ ჩვენი რწმენის ნაკლებობა ხელს უშლიდა ღმერთს ჩვენი პატარა ბიჭის განკურნებაში. ჩვენი ზოგიერთი ქრისტიანი მეგობარიც ასე ფიქრობდა. გული გვტკიოდა. ძალიან ვწუხდით. ჩვენ ვიცოდით, რომ ერთადერთი პასუხი ღმერთი და მისი სიტყვა იყო. ჩვენ მას ვეძებდით. მის ნებას იქამდე ვეძებდით, სანამ გული არ დაგვიმშვიდდებოდა. მარხვის განმავლობაში უფალი არაჩვეულებრივი გზით დამელაპარაკა (ბეკისაც). მან დამარწმუნა, რომ ბეკიზე და ჩვენს ოჯახზე ზრუნავდა და მის ნებაში სრული სიმშვიდე მოგვცა.

ამ მარხვაში ღმერთმა იმ გზით გამათავისუფლა, რომელსაც არ ველოდი. მეექვსე საღამოს, როდესაც ჩემს შვილებს ბიბლიურ ისტორიას ვუკითხავდი, ღმერთი ისე მკაფიოდ დამელაპარაკა, როგორც არასდროს. მისი ხმა მოვიდა როგორც ძლიერი და სრულიად მოულოდნელი აზრი - არა მხოლოდ აზრი, არამედ გზა თავისუფლებისაკენ. თუ აღიარებ....მე გაგათავისუფლებ იმისგან, რაც დროდადრო გტანჯავდა მთელი შენი ქრისტიანული ცხოვრების განმავლობაში. მაშინვე ვიცოდი ვისთან უნდა მეღიარებინა. მე გაოგნებული და წამიერად შეშინებულიც კი ვიყავი. ამაზე საუბარი არ შემიძლია. ეს დამამცირებელია! მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემი გული იძახდა „დიახ“. ეს ხმა ისეთი სიყვარულით შემოვიდა ჩემში, რომ მინდოდა თავისუფალი ვყოფილიყავი.

მეორე დღეს ჩემს სანდო მეგობართან დავჯექი და მარტივად ვაღიარე ყველაფერი, რასაც იქ ვმალავდი, სადაც მხოლოდ მე და ღმერთი ვხედავდით. ცოდვაში ვერ ვიცხოვრებდი, მაგრამ იმის გამო, რომ არასოდეს გამიღია გული და არ მითქვამს ჩემი წარუმატებლობის შესახებ მან საკუთარი ძალა ბოლომდე ვერ დაკარგა ჩემზე.

[515] 1ტიმოთე 5:2
[516] იაკობი 5:17

დროდადრო მქონდა ჩავარდნები. აღსარების მომენტი იყო წამი, როდესაც განკურნების და თავისუფლების პროცესი დაიწყო ჩემში. ამ მომენტიდან აღსარება და პასუხისმგებლობა გახდა ჩვევა, რომელსაც უფალი იყენებდა ჩემში ცვლილების პროცესის გასაგრძელებლად.ერთი რამ გავიგე, რომ ცდუნება კარგავს ძალას, როდესაც მას აღიარებ.

თუ თქვენი ცხოვრებისეული აზრების წინააღმდეგ იბრძვით, თუ ავხორცულ და უწმინდურ აზრებს ებრძვით, მე გირჩევთ, რომ ღვთის სულით სავსე მეგობარი ან მრჩეველი იპოვოთ. დაე, გაიზიაროს მან შენი საჭიროება და ილოცოს თქვენთვის. გახდით რეგულარულად პასუხისმგებელნი. პასუხისმგებლობასა და აღსარებაში დიდი ძალა დევს. მაგრამ სხვა გაფრთხილებებიც ნუ დაგავიწყდებათ. თქვენ კვლავ ფხიზელნი უნდა იყოთ, კვლავ უნდა ჩამოშორდეთ არასწორ საქმეებს, კვლავ უნდა თქვათ „არა“, კვლავ უნდა მიჰყვეთ სიმართლეს და დაატყვეოთ ყოველი არასწორი აზრი.

> *►სთხოვეთ თქვენს ჯგუფში ორ ან სამ ადამიანს ისაუბრონ იმაზე, თუ რომელი პრაქტიკული დისციპლინა ახდენს ყველაზე დიდ ზეგავლენას წმინდა ცხოვრებისეულ აზრებზე. რატომ?*

ერთი ბოლო შეხსენება კიტ დურისგან:

> „თქვენ ვერასდროს დაამარცხებთ (ვნებას) ძალისხმევით, თუმცა უნდა იბრძოლოთ. თქვენ ვერასდროს დაამარცხებთ ამ ჩვეულებრივ ჩვევას შრომისმოყვარეობით, თუმცა შრომა გჭირდებათ. გონებაში არსებული ბოროტი სულის დატყვევება მხოლოდ იესოს შეუძლია. ეს მხოლოდ ღვთის ძეა, რომელსაც შეუძლია ქურდების განდევნა თქვენი გულიდან. ღმერთს შეუძლია გაგათავისუფლოთ თქვენ, თუ ამის ნებას მისცემთ.[517]

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირაში მინიმუმ ოცდაათი წუთი გაატარეთ ამ გაკვეთილის მიმოხილვაში, მათ შორის საღვთო წერილის მითითებებში, სთხოვეთ ღმერთს გამჭრიახობა.
2. თქვენს რვეულში ჩაიწერეთ ღმერთის მიერ გაცხადებული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შესაძლოა თქვენს ცხოვრებაში მოხდეს.
3. ღვთისთვის გამოყოფილი დროის განმავლობაში იფიქრეთ მინიმუმ ერთ ფსალმუნზე და რვეულში ჩაიწერეთ ის თუ რას ამბობს მეფსალმუნე ღვთიური ბუნებისა და ხასიათის შესახებ.
4. რვეულში ჩაიწერეთ პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისა და ზრდისათვის, რომელიც ამ გაკვეთილს ეფუძნება.
5. პირადი ლოცვის დროს შეეცადეთ გააპრაქტიკოთ დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვის სახელმძღვანელო.

[517] Drury, 173

ტეილორი, რიჩარდ ს (Taylor, Richard S.). დისციპლინური ცხოვრება (*The Disciplined Life*). Bloomington, IN: Bethany House, 2002 წ.

ტესტი 11 გაკვეთილისთვის

1. როგორია პირადი დისციპლინის განმარტება მე-11 გაკვეთილის მიხედვით?

2. რომელი ორი მიზეზის გამოა პირადი დისციპლინა ქრისტიანისთვის მნიშვნელოვნი?

3. რომელი ორი პირადი დისციპლინაა მე-11 გაკვეთილში მოხსენიებული?

4. იაკობის მიხედვით როგორია „სრულყოფილი ადამიანი“?

5. დაასახელეთ ენის კონტროლისათვის საჭირო სამი პრაქტიკული რჩევა, მითითებებით?

6. დაასახელეთ 4 პრაქტიკული რჩევა წმინდა ცხოვრებისეული აზრებისათვის?

გაკვეთილი 12

პირადი დისციპლინა

გემოვნება, დრო, ტემპერამენტი, პირადი შეხედულებები

გაკვეთილის მიმოხილვა

გადახედე მე-11 გაკვეთილში ნასწავლ პირადი დისციპლინის სფეროებს. ჰკითხე სტუდენტებს თუ რომელიმეს სურს გაგიზიარონ პირადი ლოცვა მე-11 გაკვეთილიდან.

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტებმა უნდა:

(1) გააცნობიერონ პირადი დისციპლინის მნიშვნელობა, რომ ჩამოყალიბდნენ ქრისტეს ხატად.

(2) ისწავლონ თუ როგორ გააკონტროლონ გემოვნება, დრო, ტემპერამენტი და როგორ გამოიყენონ ეს დისციპლინები პრაქტიკაში.

(3) ისწავლონ პირადი რწმენის ჩამოყალიბების მნიშვნელობა.

ცხოვრებისეული მომენტები

- ❖ ამ კურსზე მუშაობის დროს ერთ-ერთ ხანდაზმულ პასტორთან მეგობრობის პრივილეგია მქონდა. საუბრის დროს მან აღიარა, რომ უდიდესი ბრძოლა, რომელიც მან ცხოვრებისა და მსახურების დროს გამოიარა სიზარმაცე იყო. „ჩემი საცდური იყო, რომ ძალიან ბევრი მძინებოდა და ძალიან ცოტა მელოცა“ აღიარა მან. როდესაც იმედგაცრუება ან მოწყენილობა მეუფლებოდა, იმის ნაცვლად, რომ მელოცა ან მესწავლა, საჭიროზე მეტი ხნის განმავლობაში ვიძინებდი. კარგი ამბავი ის არის, რომ ჩემი მეგობარი კვლავ მგრძნობიარეა და როგორც ჩანს მზად არის უფალს საკუთარი თავის გარდაქმნა მიანდოს. ერთ საღამოს, ჩვენი საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ, მან თავის ჯგუფს განუცხადა, რომ უნდოდა ლოცვის მამაკაცი გამხდარიყო. იგი აცნობიერებდა, რომ ამ პასუხისმგებლობის აღება ადვილი არ იქნებოდა, რადგან იგისულიწმიდისაგან მართულ პირად დისციპლინას მოითხოვდა.
- ❖ ახალგაზრდა დედა, რომლის დამოწაფებასაც ვცდილობდით სულიერად არასტაბილური იყო. მას ღვთისადმი გულწრფელი წყურვილი ჰქონდა, მაგრამ პირადი დისციპლინის ნაკლებობამ მისი და მისი ოჯახის მწუხარება და დარდი გამოიწვია. სამრეცხაო და ნიჟარა ჭუჭყიანი სარეცხით ივსებოდა, სანამ ის მათ გაასუფთავებდა. მისი სულიერი ცხოვრება არარეგულარული იყო. ვარჯიშისა და კვების ნაკლებობის გამო ის არ იყო ჯანმრთელი. არც თავის ქმარსა და შვილებს უვლიდა. მისივე აღიარებით, საკუთარი თავის დისციპლინის ნაკლებობამ მისი სულიერი ცხოვრება არადამაკმაყოფილებელი გახადა. მრავალწლიანი

ბრძოლის შემდეგ მან საბოლოოდ სერიოზულად დაიწყო პირად დისციპლინაზე ზრუნვა და მისი ისტორია შეიცვალა.

ძირითადი აზრი

ქრისტეს ხატად ჩამოყალიბებას ვერ განვაცალკევებთ პირადი დისციპლინისაგან.ამ გაკვეთილში განვიხილავთ სფეროებს, სადაც პირადი წვრთნა ან დისციპლინა მნიშვნელოვანია სულიერი ფორმირებისთვის:

1) მეტყველება, 2) ცხოვრებისეული აზროვნება და სექსუალური სურვილები, 3) მიდრეკილება, 4) ტემპერამენტი, 5) დრო და 6) პირადი მრწამსი. ამ პირადი დისციპლინებიდან პირველი ორი უკვე შევისწავლეთ. ამ გაკვეთილში კი ბოლო ოთხზე ვისაუბრებთ.

წარმატება ქრისტიანულ ცხოვრებაში-ქრისტეს სახიერების ტარება პირდაპირ უკავშირდება იმას თუ, რამდენად ეფექტურად ვმართავთ საკუთარ თავს. პირადი დისციპლინა ზრდის ჩვენს ბედნიერებას ღმერთში ისევე, როგორც ღმერთის განდიდებისა და სახარების გავრცელების შესაძლებლობას, რაზეც დავითის ცხოვრება მეტყველებს.

დავითმა, როგორც ახალგაზრდა მწყემსმა, აითვისა არფა, ტყორცნა და პოეზია. ამ პატარა ოსტატობამ კარი გაუღო მის დიდ ზეგავლენასა და მის წარმოსახვაში დიდი შესაძლებლობები წარმოშვა. არფამ იგი მეფის წინაშე მიიყვანა, შურდულის ტყორცნამ მას პატივი და საბოლოოდ სამეფოც კი მოაპოვებინა, თავისი პოეზიის საშუალებით კი დღემდე ამხნევებს, გავლენას ახდენს და ყოველდღიურად მილიონობით ადამიანის სულიერი ცხოვრების ფორმირებას იწვევს.

შეიძლება შეცდეთ და იფიქროთ, რომ პატარა საკითხებს არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ასე არ არის. პატარა საკითხებში ერთგულება ძალზედ მნიშვნელოვანია. ემი კარმაიკლმა მკითხველებს უთხრა: „ყველაფერი მნიშვნელოვანია, პატარა რამეც კი. თუ უფლის გულისათვის ყველაფერს გააკეთებ, დიდსაც და პატარასაც, მაშინ შენ მზად იქნები მის მიერ ამორჩეული საქმის შესასრულებლად.“

გაკვეთილი

პირადი დისციპლინა არც ისეთი ადგილია, როგორიც ჩვენ გვსურს რომ იყოს. ერთ დღეს ჩემმა ცოლმა, ბეკიმ ჩვენი ერთ-ერთ გოგონა, კერი დასაჯა, რადგან ის თავის დას გაუბრაზდა. კერი იმ დროს მხოლოდ სამი ან ოთხი წლის იქნებოდა. „შენ ნამდვილად გჭირდება ღმერთს სთხოვო, რომ საკუთარი თავის კონტროლის ზრდაში დაგეხმაროს“ თქვა ბეკიმ. კერი თავის ოთახში გაუჩინარდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ დაბრუნდა სახეზე დიდი ღიმილით! „რატომ იღიმები, საყვარელო? რატომ ხარ ასეთი ბედნიერი? ” - ჰკითხა დედამ. „რადგან საკუთარი თავის კონტროლისათვის ვილოცე“ თქვა მან. მრავალი ქრისტიანის მსგავსად, კერიც ფიქრობდა, რომ საკუთარი თავის კონტროლი არის ისეთი რამ, რასაც ღმერთი დაუყოვნებლივ მისცემდა, მაგრამ როგორც კერის მამა დავაკვირდი, რომ ასე არ მომხდარა.

ხედავთ ეკლესიაში იმ ტენდენციას, რომ მრევლი დაუყოვნებლივ სიმწიფეს ისეთ საკითხებში ეძებს, რომლებიც წლების პირად დისციპლინას მოითხოვს?

დისციპლინირებული ქრისტიანები ყველაზე მხიარულები არიან

არსებობს მოსაზრება, რომ დისციპლინირებული ხალხი სერიოზულები და უხალისონი არიან. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევხედავთ მათ. როდესაც ოლიმპიური სპორტსმენები თავის სფეროში ვარჯიშობენ, რა თქმა უნდა ისინი ტკივილსაც იტანენ, მაგრამ ისინი ამას შეჯიბრისა და ოქროს მედლის ტარების სიხარულით აკეთებენ. როდესაც ფერმერი ნიადაგს ამუშავებს და თესლს რგავს, ის ტკივილს უძლებს, მაგრამ ამას მოსავლის სიხარულით აკეთებს. „მიდის და ტირის თესლის მთესველი, მოდის და სიხარულის შემახილით მოაქვს თავისი ძნები.“[518]

როდესაც ქრისტიანები საკუთარ თავს სულიერად და პიროვნულად წვრთნიან, ამას ღმერთთან ერთად კურთხეული ცხოვრებისათვის აკეთებენ. არ უნდა ვწუხდეთ დისციპლინირებულ ხალხზე. ღვთის წყალობით, ისინი მაქსიმუმს იღებენ საკუთარი ცხოვრებიდან.

პირადი დისციპლინის კრიტიკული სფეროები (წინა გაკვეთილის გაგრძელება)

3. **მართე შენი მიდრეკილება საზრდოსადმი.**

ეჭვგარეშეა, რომ პირად დისციპლინათა შორის ეს ყველაზე რთული რამაა. ღმერთი საკვებით არამხოლოდ სიცოცხლის შესანარჩუნებლად არამედ პირადი სიამოვნებისთვისაც გვამარაგებს. მაგრამ მას არ სურს, რომ ამან მისი ადგილი დაიკავოს. ეს არ არის საბოლოო კომფორტისა და კმაყოფილების უზრუნველყოფა.არ აქვს მნიშვნელობა ღარიბ ქვეყანაში ცხოვრობთ თუ აყვავებულში, თქვენი მიდრეკილებების წვრთნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სულიერი პროგრესისათვის.

დასავლეთში ზოგიერთმა ქრისტიანმა შეძლო გაუმაძღრობის სულის ნორმირება. ჩვენ ზოგჯერ ვიცინით, როდესაც ზედმეტს ვჭამთ. ვირჩევთ ისეთ რესტორნებს, სადაც გაძღომასა და ყველაფრის ჭამას მოვახერხებთ. მაგრამ წმინდა წერილი ცხადად ამბობს: „ყველა, ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისგან.“[519] ყველაფერში საჭმლის მიმართ მიდრეკილებაც იგულისხმება.

რატომ არის ჩვენი მიდრეკილებების მართვა სულიერი ცვლილებისათვის მნიშვნელოვანი?

A. ჩვენი მიდრეკილებები განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების მიმართულებას: „რადგან, სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება.“[520]

იესომ გვასწავლა, რომ ჩვენ ყოველთვის იმას ვეძებთ, რაც გვსურს- იქნება ეს ჩვენი კუჭის ლტოლვა საკვებისადმი, მგზნებარე სურვილი სექსისადმი, ქონებისა ან ძალაუფლებისადმი ან ჩვენი გულის მისწრაფება ღმერთისადმი. ჩვენი გული ჩვენს მიერ ამორჩეული ფასეულობებით იქმნება. თუ თქვენ ის კაცი ან ქალი ხართ, რომელსაც გადაჭარბებული მიდრეკილება აქვს საჭმლისადმი, უნდა იცოდეთ, რომ ეს ხელს შეუშლის თქვენს სულიერ პროგრესს.

---

[518] ფსალმუნი 125:6
[519] 1კორინთელთა 9:25
[520] მათე 6:21

იგავები ამბობს: „ყელზე დანა მიიბჯინე თუ მსუნაგი ხარ.“[521] ჯონ ვესლიმ ამ სიტყვების პერეფრაზირება გააკეთა, „მადა ისე შეიკავე, თითქოს კაცს დანა ჰქონდეს შენს ყელზე მობჯენილი.“[522] ეს იგივე სახის რადიკალური თავშეკავებაა, როგორიც იესომ სექსუალურ ცდუნებებთან დაკავშირებით გვასწავლა.[523]

B. თუ ზედმეტად გაერთობით კარგი რაღაცეების კეთებით ეს საუკეთესოს კეთებით მოტანილ კმაყოფილებას დაჩრდილავს: „ნეტარ არიან სიმართლეს მოშიებულ-მოწყურებულნი, რადგან ისინი გაძღებიან.“[524]

თუ ჩვენს გონებას საჭმელზე ფიქრით ან სხვა ბუნებრივი მოთხოვნილებებით დავაკავებთ, მარადიულისათვის ადგილი აღარ დარჩება. როგორც ჯონ პაიპერი ამბობს: „თუ ჩვენ ღმერთის დიდების გამოვლენის ძლიერ სურვილს არ ვგრძნობთ ეს იმიტომ ხდება, რომ დიდი ხანია ქვეყნიერების სუფრიდან ვიკვებებით. ჩვენი სული წვრილმანებით არის სავსე და დიდისთვის ადგილი აღარ დარჩა.“[525]

როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი, დღის საყვარელი ნაწილი ჩემთვის ვახშამი იყო. ახლაც ასეა! გემრიელი, სახლში მომზადებული საჭმლის მოლოდინი და სუფრის გარშემო ჩემი მეუღლისა და შვილების ურთიერთობა და სიცილი ცხოვრების უდიდესი სიხარულია. მაგრამ ჩემს ახალგაზრდულ დღეებში იყო დრო, როდესაც ვახშამდე ჩემი მოუთმენელი წახემსება მის მთლიან სიამოვნებას აფუჭებდა. მე ვჭამდი, მაგრამ არა იმავე კმაყოფილებით. აქედან კარგი გაკვეთილის მიღება შეგიძლიათ: მოუთმენლობა მოლოდინის სიამოვნებას აფუჭებს, რაც ჭამას უფრო სასიამოვნოს ხდის, ხოლო თვითტკბობა ქრისტიანებს სულიერი კმაყოფილების გრძნობას უკარგავს.

C. თუ საკვებისადმი შიმშილი ძალიან ძლიერია, ეს ხელს შეუშლის ჩვენს სულიერ ხედვას.

იოანეს მეოთხე თავში სანამ მოწაფეები სამარიაში საჭმლის საყიდლად წავიდნენ, იესომ სულები იხსნა. როდესაც მოწაფეები დაბრუნდნენ, მათ იესოს ჭამისაკენ მოუწოდეს, მაგრამ მან თქვა: „მე ის საკვები მაქვს, რაც თქვენ არ იცით. ჩემი საჭმელია-ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და დავასრულო მისი საქმე.“[526] იესოს სიცოცხლისათვის საკვები ისევე სჭირდებოდა, როგორც მოწაფეებს. მაგრამ ის ასწავლიდა მოწაფეებს, რომ მათ მიდრეკილებებს ისე არ დაებრმავებინა ისინი, რომ მათ გარშემო მომხდარი ქრისტეს სასწაულები ვერ დაენახათ. მან მოწაფეებს ასწავლა, რომ ღმერთისათვის მოსაწონი საქმეების კეთება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე საუკეთესო სადილი.

---

[521] იგავები 23:2
[522] ჯონ ვესლის შენიშვნები იგავების 23: 2-ზე.
[523] მათე 5:28-30
[524] მათე 5:7
[525] ჯონ პაიპერის წიგნი, „შიმშილი ღმერთისათვის” (A Hunger for God), დიდი რესურსია.
[526] იოანე 4:32-34

ჩვენს გონებაში ღვთის საკითხების გარდა სხვა არაფერი არ უნდა დომინირებდეს, პავლე ამბობს: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია, ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები.“[527]

წერილის მიხედვით მომაკვდინებელი ცოდვები, როგორიცაა გაუმაძღრობა, ლოთობა იმავე წყაროდან მოდის, საიდანაც თვითტკბობა.

> *❓მოძებნეთ რჯულის 21:20 და იგავების 23:21 როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზულად აღიქვამს ხალხი გაუმაძღრობის ცოდვას?*

რამდენიმე პრაქტიკული რჩევა, რომელიც მიდრეკილებების შეკავებაში დაგეხმარებათ:

1. ჯერ სხვებს ემსახურე, ვიდრე საკუთარ თავს. ეს შესანიშნავი გზაა თვითტკბობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.
2. ასწავლე საკუთარ თავს ზომიერება. იმუშავე წვრილმანებზე და განიცადე ტკივილი.
3. შეეცადე აღარ იარო რესტორნებში, რაც ჭამისადმი გადაჭარბებული სურვილისაკენ გიბიძგებს.
4. საკუთარ თავს ჯანსაღად კვება ასწავლე.
5. იმარხულე, როგორც ეს სულიერი დისციპლინების გაკვეთილში ისწავლე. ღვთისათვის შიმშილი- მარხვა ერთ-ერთი საუკეთესო დისციპლინაა მიდრეკილებების გასაქრობად.
6. დაე, თავშეკავებისა და ზომიერების მოტივი ღმერთის სიამოვნება გახდეს! გახსოვდეთ, რომ პირადი დისციპლინა თვითმიზანი კიარა მარადიულით ტკბობის საშუალებაა.

4) მართე შენი ტემპერამენტი: „რისხვაში ნელი მამაცს სჯობია, საკუთარი თავის მმართველი კი ქალაქის ამღებს“.[528] „უგალავნო, დანგრეული ქალაქივითაა კაცი, რომელიც თავის თავს ვერ იოკებს.“[529]

ადამიანებმა, რომლებიც ხალხის ქცევას შეისწავლიან გვასწავლეს, რომ ყველა ადამიანი პიროვნებისა და ტემპერამენტის უნიკალური კომბინაციაა. პიროვნების სხვადასხვა თვისებები ზოგჯერ შემდეგნაირად განისაზღვრება:[530]

A. ექსტრავერსია და ინტროვერსია

- ექსტრავერტებს უყვართ ადამიანების გვერდით ყოფნა და ცდილობენ, რომ მუდამ ყურადღების ცენტრში იყვნენ.

---

[527] 1კორინთელთა 6:12-13
[528] იგავები 16:32
[529] იგავები 25:28
[530] Mulholland, 50-56

- ინტროვერტები უფრო მეტად დაფიქრებული და მარტოობის მოყვარულნი არიან, გაურბიან ურთიერთობებს.

B. გრძნობებით მართული და ინტუიციური

- გრძნობებით მომართულ ადამიანებს მოსწონთ რუტინა და დეტალები, უყვართ საქმეების სისტემატიური კეთება.
- ინტუიციური ადამიანები ადვილად ჭრიან პრობლემებს, არ უყვართ განმეორებადი აქტივობები, ებრძვიან მოთმინებას და უძნელდებათ საქმის ბოლომდე მიყვანა.

C. ფიქრი და გრძნობა

- მოაზროვნე ადამიანები ანალიტიკური აზროვნების მქონენი, ლოგიკურები და გონიერნი არიან, ებრძვიან სხვების მიმართ მგრძნობიარეობას.
- მგრძნობიარე ადამიანები ზრუნავენ იმაზე თუ როგორ გრძნობენ სხვები თავს და მათ სიამოვნებაზე ფიქრობენ.

D. განსჯა და შემეცნება

- განსჯის მოყვარულ პირებს უყვართ წესრიგი და კონტროლი, მაგრამ ებრძვიან მოუთმენლობას და რისხვას.
- შემეცნების მოყვარულნი მოსვენებულნი და მოდუნებულნი არიან, ებრძვიან გაჭიანურებას.

თითოეულმა ადამიანმა თავისი პიროვნება და ტემპერამენტი სულიწმიდას უნდა დაუქვემდებაროს. სულიწმიდის მიერ გაძლიერებული თვითკონტროლის გარეშე ჩვენი სისუსტეები ჩვენს ცხოვრებაში გაბატონდებოდნენ და ღმერთის განდიდების ჩვენს უნიკალურ პოტენციალს გაანადგურებდნენ.

პრაქტიკული რჩევები თვითკონტროლისათვის, ტემპერამენტის სფეროში:

1. შეისწავლეთ ქრისტეს ცხოვრება და სულიწმიდის დახმარებით თქვენი პიროვნულობა მისას შეუსაბამეთ. რაც უფრო დავემსგავსებით მას, მით უფრო განიწმინდება ჩვენი პიროვნება და ტემპერამენტი.
2. იცნობდეთ საკუთარ თავს და ნუ გაიმართლებთ თავს ქრისტეში თქვენი დებისა და ძმების შეურაცხყოფისათვის. იყავი თავმდაბალი. ნუ დამწუხრდებით მარცხის გამო, არამედ განაგრძეთ მადლის ძიება.
3. მიიღეთ საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ღმერთმა შეგქმნათ და პატივი ეცით სხვების პიროვნებასა და ტემპერამენტს.

►სთხოვეთ თქვენი ჯგუფის წევრებს დაასახელონ ბიბლიური პერსონაჟების პიროვნული და ტემპერამენტული სიძლიერეები და სისუსტეები, მათი ტემპერამენტისა და პიროვნების რომელი თვისებებია გამოსასწორებელი და რომელი თვისებებია გამოუსწორებელი?

5. ასწავლე საკუთარ თავს დროის გამოყენება: „გინახავს კაცი, თავისი საქმის ოსტატი? მეფეთა წინაშე წარსდგება იგი და არა მდაბიოთა წინაშე“.[531] „კარი თავის ანჯამაზე ტრიალებს, ხოლო ზარმაცი-თავის ლოგინზე“[532]

A. დროის პირადი დისციპლინა ნიშნავს გაჰყვე იმას, რაც შესანიშნავია.

დროის დისციპლინა არ გულისხმობს იმას, რომ ყოველი წუთი აქტივობებით უნდა დავტვირთოთ, არამედ უნდა ვისწავლოთ, რომ ყოველი წუთი საუკეთესოთი დავტვირთოთ: „და ამას ვლოცულობ, რომ საუკეთესოს ამტკიცებდეთ“.[533] თუ ყველაზე შესანიშნავი რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ გარკვეულ მომენტში, უბრალოდ ძილია, მაშინ დაიძინეთ. უმიზნოდ ნუ იხეტიალებთ ინტერნეტში. თუ ყველაზე კარგი რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ სიჩუმეში მედიტაცია ან ლოცვაა, მაშინ გააკეთეთ ეს და არა ამაზე ნაკლები.თუ გარკვეულ მომენტში ყველაზე შესანიშნავი რამ არის თაყვანისცემა, ან მეცადინეობა, ან კითხვა, ან გიტარის ვარჯიში, ან წერა, ან ტანსაცმლის რეცხვა, ან მეორე ენის სწავლა, ან სახარების ქადაგება, მაშინ იმუშავე რომ აკეთო ეს ყოველივე. თუ ყველაზე მშვენიერი რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლია არის ავადმყოფი ბავშვის მოვლა, სადილის მომზადება, ოჯახისთვის შემოსავლის უზრუნველყოფა, სახლის აშენება, მეგობართან ან კოლეგასთან საუბარი ან ღმერთის შესანიშნავი სამყაროთი ტკბობაა, მაშინ გააკეთე ეს ყოველივე. შეეცადე, რომ ყოველ მომენტში საუკეთესოს აკეთებდე და არა რაიმე სხვას.

ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ დროის გამოსყიდვა გულისხმობს, რომ ყოველივე, რასაც შენი ხელი მისწვდება გასაკეთებლად, გააკეთო დიდი ძალისხმევით, ყოველივე გააკეთეო უფალ იესოს სახელით და მადლობდე ღმერთს. თუ ამის კეთებას შევეჩვევით თქვენ გამოიყენებთ თქვენს მოკლე დღეებს დედამიწაზე.

1) მთელი ძალით-„ყოველივე, რასაც შენი ხელი მისწვდება გასაკეთებლად, გააკეთე შენი შეძლებისამებრ.“[534]

2) ყოველივე გააკეთეთ უფალ იესოს სახელით და მადლობდეთ ღმერთს- „რასაც არ უნდა აკეთებდეთ სიტყვით თუ საქმით ყოველივე გააკეთეთ უფალ იესოს სახელით და მის მიერ მადლობდეთ ღმერთს.“[535]

3) ღმერთის სადიდებლად - “ამიტომ, ჭამთ, სვამთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი აკეთეთ ღვთის სადიდებლად”.[536]

ეს ცხოვრების იმდენად მაღალი საფეხურია, ძალიან ცოტას თუ შეუძლია მიაღწიოს, თუმცა ეს ის მოწოდებაა, რომლისკენაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ისწრაფოს.

---

[531] იგავები 22:29
[532] იგავები 26:14
[533] ფილიპელთა1:9-10
[534] ეკლესიასტე 9:10a
[535] კოლასელთა 3:17
[536] 1კორინთელთა.10:31

B. პირადი დროის დისციპლინა, ნიშნავს გააკეთო ის, რაზედაც ღმერთმა პირადად შენ, განსაკუთრებული მოწოდებით მოგიწოდა, და რითაც აღგჭურვა, მის სისრულეში მოსაყვანად.

იესო მხოლოდ იმას აკეთებდა, რასაც მამა ეუბნებოდა, რომ გაეკეთებინა.[537] ის მიდიოდა იქ, სადაც მამა მოუწოდებდა, რომ წასულიყო და ამბობდა მხოლოდ იმას, რასაც მამა ავალებდა, რომ ეთქვა. ის არის ჩვენი მაგალითი დროის განკარგვაში.

ძალიან ბევრი, ე.წ "დავითი" დროს ფუჭად ფლანგავს, ცდილობს რა, რომ ატაროს საულის ჯავშნი,[538]ან ცდილობენ მიმბაძველობით გააკეთონ იგივე საქმეები, რასაც წარმატებული ადამიანები აკეთებენ. მე ეს ჩემ თავზე მაქვს გამოცდილი. პირადად გამიკეთებია და კარგად მახსოვს, ჩემი ადრეული მსახურების დროს, პასტორულ გაერთიანებაში, ერთ სემინარს ვესწრებოდი, სადაც ერთმა მეტად წარმატებულმა პასტორმა მოგვიწოდა წავსულიყავით კარდაკარ რათა მოგვეწვია ხალხი ეკლესიაში. ეს იყო მისი წარმატების საიდუმლო და მეც ჩავთვალე, რომ უნდა გამეკეთებინა იგივე, მიუხედავად იმისა რომ ამერიკელების უმეტესობა არც ისე მეგობროლად ხვდება დაუპატიჟებელ სტუმრებს. ერთ შაბათ დილით, მახსოვს, ვაიძულე საკუთარი თავი, გავსულიყავი გარეთ მისიის შესასრულებლად. პანიკაში ვიყავი და ვფიქრობდი ამით საკუთარ ჯვარს ვიღებდი, რათა იესოს გავყოლოდი. უახლოეს დასახლებაში მივედი და ვიმედოვნებდი, რომ არავინ იქნებოდა სახლში. ქუჩა რამოდენჯერმე ავიარე, გაბედულების მოსაკრებად, თუმცა დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სახლში სრულიად განადგურებული, და დამარცხებული დავბრუნდი, ისე, რომ ერთ პიროვნებასაც ვერ შევხვდი ქუჩაში! საკმაო დრო დამჭირდა მსახურების პერიოდში, იმის გასაცნობიერებლად, რომ იესოს მსახურება თავის მხრივ, ჩვენგან კომფორტის ზონიდან გამოსვლას მოითხოვს, თუმცა მას არასოდეს გამოვყავართ ჩვენი ნიჭების/მოწოდების ზონიდან.

თავს ნუ დაიტანჯავ აკეთო კარგი საქმეები, რომლისთვისაც საერთოდ არ ხარ მოწოდებული და უნარიანი, რაც შენ არ გეკუთვნის. მოციქულთა საქმეების მეექვსე თავში მოთხრობილია პირველ მოციქულებზე, რომლებიც დროს და უნარს მაგიდების მომსახურებში ხარჯავდნენ, რაც ნამდვილად კარგი მსახურებაა, თუმცა ისინი მოწოდებულნი იყვენენ არა მაგიდების მომსახურებისთვის, არამედ სიტყვის მოსმენისა და გავრცელებისთვის. საქ 6:4: "ჩვენ კი, ლოცვასა და სიტყვის მსახურებას მივუძღვნათ თავი".[539]

> *❓სთხოვეთ ვინმეს, თქვენს ჯგუფში, გაგიზიაროთ, როდის მოექცა წნეხის ქვეშ, სხვისი სულიერი ნიჭის მიბაძვის მცედლობისას. და რა შედეგით დასრულდა ეს?*

C. პირადი დროის დისციპლინა ნიშნავს შრომას - მუშაობას მღელვარებების/მძაფრი შეგრძნებების გარეშე.

ეს თაობა გამოირჩევა მძაფრი შეგრძნებების ძიებით, თუმცა ისინი, ვინც საუკეთესოს ეძებენ ცხოვრებაში, აკეთებენ იმას რაც სწორია, მაშინაც კი, როცა ვერ იღებენ ვერანაირ სიამოვნებას იქიდან.

---

[537] იოანე 8:29
[538] 1მეფეთა 17:38-39
[539] საქმეები 6:1-4

რამოდენიმე ხნის წინ, მე მიწევდა გამკლავება ინტენსიურ, ძლიერ მოწყენილობასა და დაღლილობასთან. ის მსახურებები, რომლებიც ერთხელ აღფრთოვანებას იწვევდა ჩემში, ახლა მომაკვდინებლად რთულად მეჩვენებოდა. ის ჟინი და მისწრაფება საერთოდ გამქრალიყო. ცხოვრებისგან ვეღარ ვიღებდი სიამოვნებას. ვფიქრობ, ყველასათვის ნაცნობია ეს ცდუნება. ქრისტიანული ცხოვრება მოითხოვს სიმტკიცეს და ფეხზე მყარად დგომას! ჩემი მოწყენილობის პიკს, რომ მივაღწიე, ოსვალდ ჩამბერსის დროული სიტყვა წავიკითხე სიარულის შესახებ:

> სიტყვა "სიარული" ბიბლიაში გამოყენებულია პიროვნების ხასიათის გამოსახატავად... როცა არაჯანსაღ მდომარეობაში ვიმყოფებით, ფიზიკურად ან ემოციურად, ყოველთვის ვეძებთ მძაფრ შეგრძნებებს. - ოსვალდ ჩემბერსი, „ჩემი მაქსიმუმი მისი უზენაესობისთვის."

ქრისტიანული ცხოვრება უფრო მეტად დაყრდნობილია სიარულზე, ვიდრე სხვა ნებისმიერ რამზე. "აი მე გეუბნებით: იარეთ სულიერად",[540], "იარეთ სიყვარულში",[541] "თუ სინათლეში დავდივართ...",[542]

სიარული გაცილებით მეტად მეტყველებს მოთმინებით აღჭურვილი მდგრადობის/სიმტკიცის/დაჟინებულობის შესახებ, ვიდრე სირბილი. რაც ღმერთს აამებს, ეს არის სიმტკიცე, ერთგულება, დისციპლინირებული გაბედულება, მაშინაც კი, როდესაც ბევრი არაფერია შთამაგონებელი. სიარული რთულია. სიარული მოითხოვს მოთმინებას და გამძლეობას. "მათ, ვინც კეთილი საქმის გამუდმებული კეთებით ეძებს დიდებას, პატივსა და უხრწნელობას - საუკუნო სიცოცხლეს;"[543] სიარული აყალიბებს ხასიათს. სიარული აუმჯობესებს ჩვენს პიროვნებას და აღასრულებს ღმერთის მიზანს და განზრახვას ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. ეს დისციპლინა მეტ კმაყოფილებას და სიმშვიდეს გვანიჭებს.

ცათა სასუფეველს იმკვიდრებენ არა მძაფრი შეგრძნებების მაძიებელნი, არამედ ერთგული, მოშურნე ადამიანები! უილიამ კერიმ, დიდმა მისიონერმა ინდოეთში, რომლის წმიდა წერილების თარგმანებმაც, მილიონობით ადამიანს მისცა გადარჩენა, თქვა, რომ მისი წარმატების საიდუმლო ის იყო, რომ მან ისწავლა შრომა: „მე შემიძლია განვაგრძო გზა. დავრჩე ერთგული ნებისმიერი დევნისა და შევიწროების დროს, რადგან მისიის მიმართ მმართებს ყველაფერი."

აქლბატონი ჩარლზ, ე. კოუმენი, მისიონერი და ავტორი წიგნისა „უდაბნოს ნაკადები", წერს:

„ხვალინდელი დღის ბრწყინვაება მდგომარეობს დღევანდელი დღის ტვირთის ზიდვაში".

ძალიან ბევრ ადამიანს უნდა მიაღწიოს დიდებას ჯვრის გარეშე, ბრწყინვალებას წვის გარეშე, მაგრამ არ დაივიწყო, რომ გამეფებას ჯვარცმა უძღვის წინ.

მხოლოდ ისინი ტკბებიანი ხვალინდელი დღის კურთხევებით, რაც ღმერთმა გაუმზადა მათ, ვისაც შეუძლია დღეს ერთგულად ზიდონ თავიანთი ჯვარი. ეს ადამიანები მოიმკიან სიხარულით: „მიდის

---

[540] გალატელთა 5:16
[541] ეფესელთა 5:2
[542] 1იოანე 1:7
[543] რომაელთა 2:7

და ტირის მთესველი თესლისა, მოდის და სიმღერით მოაქვს ძნები თვისი“.[544] გაცილებით ბედნიერი ქრისტიანი იქნები, თუ კონცენტრირდები შენს ყოვედღიურ მოვალეობებსა და გასაკეთებელ სამუშაოებზე, ნაცვლად მეზღაპრეობასა და განუწყვეტელ ოცნებაზე იმის შესახებ, რაც არასოდეს გახდება შენი.

რამოდენიმე რჩევა პირადი დროის კონტროლზე:

A. გაიღე კარგი მსხვეპრლად საუკეთესოსთვის.

„კარგი“- „საუკეთესოს“ დიდი მტერია. სთხოვე ღმერთს თვალი აგიხილოს და ჩამოგაშოროს ის ყველაფერი, რაც არ არის საუკეთესო შენთვის, რაც ვერ აგაშენებს და ვერანაირ ნაყოფს ვერ მოგიტანს პირად და სულიერ ცხოვრებაში. სთხოვე მას გაგიხსნას გული, რათა შეძლო კარგის გაღება საუკეთესოს წყურვილში. გახსენი გული, რათა დაინახო, რომ ზედმეტად დახარჯული დრო სპორტზე, სატელევიზიო გადაცემებზე, კინოებზე, ახალ ამბებზე, შოპინგზე, გძარცვავს შენ და გწყვეტს იმის კეთებისგან, რასაც გაცილებით მეტი სიხარულის მოტანა შეუძლია შენს ცხოვრებაში: მოზიარეობა ღმერთთან, მიღებული ნიჭის სრულყოფა, ქორწინების აყვავება, შვილებთან დროის გატარება, ქრისტიანული მსახურება, ფიზიკური ვარჯიში.

B. ლოცვით ჩამოაყალიბე შენი მიზნები და გეგმები.

ორივე სქესის ქრისტიანების ერთ-ერთი უდიდესი სისუსტე, როგორც ახალგაზრდებისა ასევე მოხუცებისა, მდგომარეობს შემდეგში: ისინი ყოველდღიურ ცხოვრებას ატარებენ უმიზნო ხეტიალში, მკაფიო მიზნებს გარეშე. ლოცვით დაგეგმილი მიზანი, კარგი სულიერი ვარჯიშია, რომელიც კონცენტრირებულებს გვხდის ამ მიზნის მისაღწევად.

> სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩემმა უფროსმა ვაჟმა, ტიმოთემ, გადაწყვიტა თავისუფალი წელი აეღო, სანამ კოლეჯში განაგრძობდა სწავლას. მე და ჩემმა ცოლმა მხარი დავუჭირეთ მის გადაწყვეტილებას, იმ პირობით, რომ ის დაისახავდა ნათელ მიზნების საკუთარი მომავლისთვის. მან მიიღო ეს გამოწვევა და მე მის დასახმარებლად ერთგვარი ზრდის გეგმა შევადგინე.

[544] ფსალმუნი 125:6

ზრდის გეგმა ახალგაზრდა მამაკაცებისთვის

ხუთი კრიტიკული სფერო, სადაც აუცილებლად მიზანმიმართულად უნდა ვიმოქმედო	ღმერთის მადლით, მე გავაკეთებ.... ეს სვეტი კონკრეტული გადაწყვეტილების ჩასანიშნადაა, რასაც თავს მიუძღვნით
1) **სულიერი განვითარება** • მე უნდა განვავითარო აზრიანი მიძღვნილი ცხოვრება. • მე უნდა ვიკითხო წიგნები, რომლებიც დამეხმარება განვიტარებასა და ზრდაში.	
2) **ზნეობრივი პასუხისმგებლობა** /ანგარიშვალდებულება • მე უნდა ვიპოვო სულიერი პარტნიორი, რომელთანაც ანგარიშვალდებული ვიქნები • მე უნდა ვიყო გამჭვირვალე ტექნოლოგიებთან • მე უნდა დავრჩე ზნეობრივად სიწმინდეში.	
3) **პირადი დისციპლინა** • მე უნდ ავაკონტროლო ჩემი ფიქრები. • უნდა ვაკონტროლო ჩემი დრო. • უნდა ვაკნტროლო ჩემი მადა/მისწრაფებები. • უნდა განვამტკიცო რწმენა/შეხედულებები • უნდა ვაკონტროლო ჩემი ძილის და გაღვიძების ჩვევები.	
4) **სამუშაო** • უნდა გამოვიჩინო ინიციატივა სახლში. • უნდა ვიყო ლიდერი სამსახურში. • მე უნდა გავაკეთო ყველაფერი საუკეთესოდ, რისი გაკეთებაც კი ძალუძთ ჩემს ხელებს.	
5) **ფინანსური მნეობა (განკარგვა)** • უნდა გავცემდე (პირველ რიგში მეათედს). • მე უნდა დავზოგო გარკვეული თანხა. • დროულად უნდა გადავიხადო გადასახადები.	

ყველა სულით აღვსილი ქრისტიანი, ვისაც მე ვიცნობ, მოწესრიგებული ცხოვრების წესს მიჰყვება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო, რასაც სულიწმინდა ჩვენში ატარებს, ეს არის მოიტანოს წესრიგი ჩვენს ქაოსში. ჩვენი სულიწმინდასთან თანამშრომლობის ხარისხი განსაზღვრავს და ასწორებს ჩვენს ფიქრებს, სიტყვებს, ქცევებს და გარშემომყოფებს მის სტანდარტებზე.

თავის მხრივ, ეს არ ნიშნავს, რომ წარმატებულ ადამიანებს ყველა წუთი და წამი დაგეგმილი აქვთ ცხოვრებაში, თუმცა მათ აქვთ ნათელი სურათი და მიმართულება მომავლისთვის. და იმ დროს, როცა ყველაფერი არც თუ ისე კარგად იწყებს სვლას და რაღაცები ირევა ცხოვრებში, ისინი ერთგულნი რჩებიან და მოთმინებით ელიან ღმერთსგან მიმართულებას.

C. **გააკეთე ის, რაც გასაკეთებელია, სწრაფად და ზუსტად, გადადგი შემდეგი ნაბიჯი:**" ზარმაცი კაცის მინდორთან და ჭკუატხელი ადამიანს ვენახთან ჩავიარე, აჰა ჭინჭრითა და ეკლით იყო ყველაფერი დაფარული, ყორე კი ჩამონგრეულყო. როცა ეს ვნახე, დავფიქრდი, შევხედე და ჭკუა ვისწავლე: ცოტა ძილი, ცოტა თვლემა, ცოტა გულხელდაკრეფა მოსასვენებლად და ყაჩაღივით მოგადგება შენი სიღატაკე და შენი გაჭირვება-იარაღასხმული კაცივით." [545]

ჩვენი მსახურების პირველ წლებში, ბეკი და მე ხშირად ვუსმენდით ელიზაბეთ ელიოტის რადიოგადაცემას - „სიხარულის კარიბჭეს". არაფერს მოუტანია ჩვენს მისიონერულ ცხოვრებაში იმაზე დიდი ზრდა და სიბრძნე, ვიდრე მის განუწყვეტელ რჩევას : "გადადგი შემდეგი ნაბიჯი". ამ ფრაზით ის გულისხმობდა, რომ საკუთარ გადაწყვეტილებებზე სინანულით ცქერას და საკუთარ მოსაწყენ ცხოვრებაზე საუბარს, ჯობს შენი გონება შემდეგ დავალებას მიაპყრო, რაც წარმატებას მოგიტანს შემდეგი ნაბიჯისთვის. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს დავალება სულ პატარა და უმნიშვნელო ჩანს შენთვის. მაგალითად, თუ ტანსაცმელია გასარეცხი, ან წიგნი გაქვს წასაკითხი, წერილი დასაწერი, თუ შენი ფინანსები მოწესრიგებას საჭიროებს, თუ სასწავლი გაქვს გაკვეთილი, თუ მომზადება გჭირდება სიტყვის მსახურებისთვის, თუ გარეთ ბაღი გაქვს მოსაწესრიგებელი, თუ ვინმეა შენს ირგვლივ, ვისაც შენი რჩევა დაეხმარება, თუ შენს შვილებს ან მეუღლეს სიყვარული, თანადგომა და ყურადღება სჭირდებათ, ან თუ ნათურაა შესაცვლელი სადღაც, თუ არის რაიმე გასაკეთებელი, რითაც ცხოვრებას გაცილებით სასიამოვნოს გახდი, მაშინ ჯობს გააკეთო ეს ახლავე, გადაუდებლად.

ჩვენს ცხოვრებაში აუცილებელია ჩამოვაყალიბოთ ეს დისციპლინა, რომ გავაკეთოთ ყველაფერი დაუყოვნებლივ, რაც გასაკეთებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს საერთოდ არ იწვევს ჩვენში აღფრთოვანებას. აგრეთვე, უნდა ვისწავლოთ, რომ დავიწყოთ რთულიდან.

D. **გახსოვდეს, რომ დროში ერთგულება სიხარულის საწინდარია.**

„ყველაფერს თავისი დრო აქვს ამ მზისქვეშეთში.."[546] რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს სიამოვნების დროსაც, თუმცა ღმერთის მიერ ჩვენთვის განსაზღვრული ტკბობის/სიამოვნების დრო გაცილებით

[545] იგავები 24:30-34
[546] ეკლესიასტე 3:1

მეტი კმაყოფილების და კურთხევის/წახალისების მომტანი, ვიდრე ის, რასაც ჩვენ საკუთარი თავისთვის მოვიაზრებდით/ვისურვებდით.

ჩემი მსახურების მესამე წელი იყო. ამ დროს ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა პასტორი ვიყავი, და ეშმაკმა თითქმის ბოლომდე დამარწმუნა, რომ მე ვერასოდეს შევძლებდი, რაიმე საქმის აღსრულებას ღმერთისთვის. სასოწარკვეთილი და მახეში გაბმული ვიყავი. ეს თვეების მანძილზე გრძელდებოდა. მე იმდენად დიდ სიმძიმეს ვატარებდი მკერდით, ზოგჯერ სიკვდილსაც კი ვნატრობდი. ერთ დღეს, სულიწმინდამ მომანიჭა მადლი, რომ ამეხედა ზეცად და მეთქვა: „ მამა, მე არ ვიცი რა გაქვს მომზადებული ჩემთვის და ბეკისთვის, არც ის ვიცი, გინდა თუ არა, რომ დავრჩეთ ამ პასტორულ მსახურებაში, ან თუ ოდესმე გაგვიღებ კულტურებსშორისი მსახურების კარს. მაგრამ, მამა, მე ხელახლა ვუძღვნი საკუთარ თავს შენს სრულყოფილ ნებას, რაც არ უნდა იყოს ეს, სადაც შენ გადაწყვეტ.“ იმ დღით, მე აგრეთვე დავპირდი უფალს, რომ როგორი მაცდურიც არ უნდა ყოფილიყო შემოთავაზება, მე არ დავიწყებდი კარებების გაღებას საკუთარი უშედეგო მცდელობებით. ამის ნაცვლად, მივენდობოდი მის ძალას, რომ გაასწოროს ადამიანთა გულები მისი ნების თანახმად.

ღმერთმა შეისმინა ჩემი ლოცვა განახლებული მიძღვნის სესახებ და მეორე დღესვე მოუწოდა ჩვენს ოჯახს მისიონერულ მსახურებში, რაშიც უკვე უდავოდ დარწმუნებულები ვიყავით. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს იყო ის, რისთვისაც ღმერთი გვამზადებდა.

6) **შეადგინე პირადი საზღვრები და შეზღუდვები და მიჰყევი მათ:** „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია, ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი აშენებს“[547]

სიმწიფის ერთ-ერთი ნიშანია, რომ ჩვენ აღარ ვსვამთ კითხვას „რა არის ნებადართული ჩემთვის?“ ან „რას მიკრძალავს რჯული?“ ამის ნაცვლად დასვი კითხვა, „ რით დამეხმარება ეს მე?“ ანდა „ ეს ქმედება დამაახლოებს ღმერთთან, მაქცევს ქრისტეს უკეთეს მიმდევრად?“ ყველაზე მნიშვნელოვანი პირადი დისციპლინა არის საკუთარი საზღვრების/შეზღუდვების და საკუთარი მრწამსის ჩამოყალიბება, რაც თქვენი შინაგანიდან მომდინარეობს, როგორი დამოკიდებულება გაქვთ საკუთარი სიწმიდის, მეგობრების, ტანსაცმლის, მუსიკის, გართობის, ღმერთისათვის გამოსაყოფი დროის და სხვადასხვა საკითხების მიმართ.

A. **სპეციფიკური მრწამსი/შეზღუდვები და საზღვრები არ არის აუცილებელი ყველა ადამიანისთვის.**

ბიბლიაში ვერ ვიპოვით ასეთ კონკრეტულ მუხლს, მხოლოდ ძირითად პრინციპს. ასე რომ, არც იმის უფლება გვაქვს, საკუთარი შეხედულებით განვსაჯოთ სხვა ადამიანის ქმედება.

[547] 1კორთელთა. 10:23

B. **პირადი მრწამსი, საზღვრები და შეზღუდვები, ეყრდნობა ბიბლიურ პრინციპებს, თუმცა საკუთრივ ყველა ადამიანისთვის განსხვავებული და უნიკალურია.**

როცა ღმერთი გაჩვენებთ თქვენს სისუსტეებს, თვითონ ადგენთ გარკვეულ საზღვრებს საკუთარი თავისთვის, რაც გეხმარებათ შეინარჩუნოთ მოშურნეობა და წყურვილი ღმერთის მიმართ.

C. **პირადი შეზღუდვები და საზღვრები უნდა ჩამოიყალიბოთ სხვების მიმართ სიყვარულით.**[548]

ქრისტიანულ გზაგზე, საკუთარი თავისუფლების შეზღუდვის უამრავი შემთხვევა გვექნება სიყვარულის გულისთვის, სხვის საკეთილდღეოდ. ზრდასრული/მოწიფული ქრისტიანები მზად არიას უარი თქვან საკუთარ უფლებებზე ამ მოსაზრებით.

D. **პირადი მრწამსის და შეზღუდვების მოტივატორი უნდა იყოს სიხარული.**

დაუფიქრბლად მიყვე ეკლესიის ტრადიციებს, ან იმ შეზღუდვებს, რომლებიც ადამიანებმა დააწესეს, როდესაც ეს საერთოდ არ არის შენს გულში ეს შეხედულება და მრწამსი, შენ მხოოდ მონობის განცდა დაგეუფლება. ამაზე ჯორჯ მიულერსაქვს ძალიან კარგი სიტყვა ჩვენთვის:

„ მე ხშირად შემინიშნავს მტკივნეული და მწარე გავლენა იმის კეთებისა, რასაც სხვები აკეთებენ, ან იმიტომ, რომ ასეთი ტრადიციაა დამკვიდრებული, ან იმიტომ, რომ ისინი დაარწმუნეს, რომ მოახდინონ საკუთარი თავის უარყოფა, ან უარი თქვან რაიმეზე, იმ დროს როცა გული არ ეთანხმება მას, ხოლო გარეგანი მოქმედება არ იყო სულიწმინდის ძლიერი შინაგანი მოქმედების და მამასა და ძესთან ჩვენი ურთიერთობაში ბედნიერი შესვლის შედეგი.

ყველაფერი რაც უბრალო ფორმა ან ჩვეულებაა... ძალიან საშიშია... შედეგები ყალიბდება არა გარედან, არამედ შინაგანად. ტანსაცმლის სტილი, რასაც მე ვირჩევ, სახლი, რომელშიც ვცხოვრობ, ავეჯი, რომელსაც ვიყენებ-არ უნდა იყოს სხვისი მიმბაძველობით არჩეული. საკუთარი თავის უარყოფა, გაცემა და ქვეყნიერული გულისთქმათა მოკვდინება თქვენში, იქიდან უნდა იყოს გამოწვეული, რომ იცით ვისი შვილი ხართ, სცნობთ მამას, და იცით სად უნდა დაიმკვიდროთ საუკუნო, უხრწნელი ადგილი.[549]

დარწმუნდით, რომ თქვენი შეზღუდვების წყარო თავისუფლებაშია და არა კაცის მიერ დაწესებულ კანონთა მონობაში.[550]

პრაქტიკული რჩევა პირადი შეზღუდვებისა და საზღვრბის შესახებ:

1) გამოიკვლიეთ საკუთარი თავი

2) ეძებეთ სიბრძნე და რჩევა ერთგული ქრისთიანებისგან

---

[548] რომაელთა 14:13-19

[549] მე არ მახსოვს, საიდან ვიპოვე ეს, მაგრამ ამის ნახვა შემდეგ ვებ – გვერდზე შეგიძლიათ: https://goodnessofgodministries.wordpress.com/2010/07/09/the-wise-sayings-of-george-mueller/.

[550] გალატელტა 5:1

3) არ დაიწესოთ შეზღუდვები და მრწამსი დაუფიქრებლად და ნაჩქარევად

4) არ დადოთ დაუფიქრებლად აღთქმა, რის შესრულებასაც ვერ შეძლებთ

5) მოტივირებული იყავით სიყვარულით

6) გააანალიზეთ, რომ დროის სხვადასხვა ეტაპზე სიმწიფესთან/ ზრდასთან ერთად იცვლება თქვენი შეზღუდვები, თუმცა ღმერთის სიტყვა უცვლელია!

დანიელ წინასწარმეტყველი, მშვენიერი მაგალითია კაცის, რომელიც აწესებდა პირად შეზღუდვებს, როდესაც იმყოფებოდა ბაბილონის ტყვეობაში. „როცა შეიტყო დანიელმა რომ ასეთი წერილი დაიბეჭდა, ავიდა თავის სახლში, რომესაც ღია სარკმლები ჰქონდა იერუსალიმისკენ, ზედა ოთახში, სადაც დღეში სამჯერ იყრიდა მუხლს, ლოცულობდა და მადლობას სწირავდა თავის ღმერთს, როგორც ამას ადრეც აკეთებდა“.[551]

ღია სარკმელები იერუსალიმისკენ? მუხლმოყრა დღეში სამჯერ? კი მაგრამ, ამას ხომ არ ავალებდა წმინდა წერილი? დანიელი აკეთებდა ამას იმიტომ, რომ გამოეხატა თავისი სიყვარული ღმერთის, ღვთის ხალხის და ღვთის ქალაქის მიმართ. აი ამიტომაც იმოქმედა ღმერთმა ასე ძლიერად მისი მეშვეობით.

დასკვნა

იმისათვის, რომ ვიყოტ ქრისტეს მსგავსნი, გვჭირდება ვკონცენტრირდეთ პირად დისციპლინაზე. ჩვენი გონება და სხეული უნდა ემსახურებოდეს ჩვენს სულს და არა პირიქით. ჩემი ვაჟისგან ასეთი წუწუნი მოვისმინე: (როცა მას არც თუ ისე სასიამოვნო დავალება მივეცი ჩემს შვილებს) „როგორ მინდა, მოსამსახურე მყავდეს!“ და მე ვუთხარი მათ, რომ თუ თავის სხეულს გახდიდნენ მსახურად, ყოველთვის ეყოლებოდა ასეთი მსახური!

❓ რომელ პირად დისციპლინას თვლით თქვენთვის სასარგებლოს, რომლებიც ამ ორ გაკვეთილში განვიხილეთ? რატომ? ხუთი წუთით დაფიქრდით იმ ცვლილებებზე, რაც გჭირდებათ, რომ გაატაროთ საკუთარ ცხოვრებაში. გაუზიარეთ ეს თქვენს ჯგუფსაც თუ ამის სურვილი გექნებათ.

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირაში გამოყავით დაახლოებით ოცდაათი წუთი, ამ გაკვეთილის მიმოხილვისთვის, წმინდა წერილიდან ადგილების ჩათვლით, ითხოვეთ სულიწმინისგან გამოცხადება.

2. ჩაინიშნეთ პირად დღიურში ის გასატარებელი ცვლილებები, რაც ღმერთმა მიგითითათ და გასატარებელი გაქვთ ცხოვრებაში.

3. კონცენტრირდი/დრო გაატარე ფიქრში(მედიტაციაში) ერთ რომელიმე ფსალმუნზე ლოცვისთვის სპეციალურად გამოყოფილ დროს და ჩაიწერე შენს დღიურში, რას ამბობს მეფსალმუნე ღმერთის ბუნებასა და ხასიათზე.

[551] დანიელი 6:10

4. ამ გაკვეთილზე დაყრდნობით, დაწერეთ თქვენს დღიურში პირადი ილოცვა სულიერ ზრდისა და გარდაქმნისთვის.

5. იხელმძღვანელე დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვებით, რაც დაგეხმარება პირად ლოცვაში.

ტესტი 12 გაკვეთილისთვის

1. რა არის ის 6 პირადი დისციპლინა, რაზეც ვისაუბრეთ 11 და 12 გაკვეთილებში?

2. ჩამოთვალეთ ორი უარყოფითი მხარე, რაც საკუთარი თავის ზედმეტ წახალისებას ახასიათებს?

3. რას ამბობს იგავების 16:32 კაცზე, ვინც რისხვაში ნელია?

4. რა იყო მისისონერის, უილიამ კერის წარმატების საიდუმლო?

5. საკუთარი სიტყვებით გადმოეცით, ჯორჯ მიულერის რჩევა პირად მრწამსზე.

გაკვეთილი 13

ფორმირება ტანჯვების მეშვეობით

გაკვეთილის მიმოხილვა

განიხილეთ მთავარი საკითხები მეთორმეტე გაკვეთილიდან. შეეკითხეთ სტუდენტებს ვინმეს თუ აქვს სურვილი გაგიზიარონ თავისი პირადი ლოცვები მე-12 გაკვეთილის საფუძველზე?

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტს უნდა:

1. იცოდეს საკვანძო ადგილები წმ.წერილიდან განსაცდელის შესახებ.
2. ესმოდეს უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ უშვებს ღმერთი განსაცდელს
3. ჩაწვდეს განსაცდელის დადებით მხარეებს
4. გამოარკვევს ძირითად შეცდომებს, რაც კეთილდღეობის თეორიას ახასიათებს

ცხოვრებისეული მომენტები

- ❖ ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, პირობითად ვეიშენგი,[552] ვისი მეშვეობითაც ღმერთი ავრცელებს სახარებას ძირითადად ბუდისტური წარმოშობის სტუდენტებში. და თუმცა მისი შრომა მძიმე და სახიფათოა, უფალი მატებს მას გადარჩენილთა სულებს. მადრამ ვეიშენგი ხშირად იტანჯება ღრმა, მძიმე დეპრესიით. ერთ-ერთ სტუმრობისას მასთან მან მითხრა: „ზოგჯერ იმდენად მიბნელდება გონება, მე მჭირდება რამოდენიმე დღით განვმარტოვდე უფალთან, მე ვეუბნები ჩემს ცოლს, რომ მომიტანოს მცირედი საკვები, და ჩემს ოთახში განმაროებული, ვკითხულობ წმიდა წერილს, სანამ ეს სიბნელე არ გადაივლის. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდები ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, მე არაფერში გავცვლიდი ამას, რადგან სწორედ ამ დროს, ღმერთი ხდება ჩემთვის გაცილებით ძვირფასი!“
- ❖ ახალგაზრდა წყვილი, რომელსაც ვიცნობ, წლების განმავლობაში ლოცულობენ შვილისთვის, თუმცა ღმერთმა არ შეისმინა მათი თხოვნა. ისინი დიდ ტკივილს ატარებენ გულით, თუმცა ხალხმა მათ გარშემო, შეამჩნია, რომ ღმერთი ამ ტკივილის მეშვეობით ძლიერ აღრმავებს მათ სულიერ მდგომარეობას.

[552] ეს არაა რეალური სახელი

- როცა ჩვენმა შვილმა, ჯესიმ დაკარგა მხედველობა კიბოს გამო, 2001 წელს, ის მეტად აგრესიული და ჭირვეული გახდა, სანამ იესომ სრულიად არ განკურნა მისი გული.[553]ამ გამოცდილებიდან, მე და ბეკიმ ვისწავლეთ, რომ უდიდესი კურნება არის, არა ფიზიკური სხეულის, არამედ გულის განკურნება.
- ჩარლზ სპერჯენი, ინგლისში ცნობლი, როგორც „ მქადაგებელთა პრინცი“, ხშირად განიცდიდა ღრმა დეპრესიას, თუმცა მან ერთხელ ასეთი რაღაც თქვა : „მე ვისწავლე, როგორ შევეგებო კოცნით იმ ტალღას, რომელიც ასაკის კლდეზე მახეთქებს.“

ეს მაგალითები გვაჩვენებს განსაცდელთა ძალას, რომლებიც გვაახლოვებენ ქრისტესთან და გვაყალიბებს და გარდაგვქმნიან მის მსგავსებაში.

❑ შესაძლოა თქვენს ჯგუფში არის ვინმე, ვისაც სურვილი აქვს გაგიზიაროთ საკუთარი გამოცდილება, თუ როგორ განავითარა მასში ტანჯვამ ქრისტეს სიცოცხლე?

ძირითადი აზრი

ქრისტეს მსგავსებაში გარდასახვა, მოითხოვს ტანჯვას/განსაცდელს. განსაცდელიდან სიკეთის გამოსატანად, საჭიროა განსაცდელის ბიბლიური გაგება/აღქმა ჩამოვიყალიბოთ და განვავითაროთ.

შესავალი

ტანჯვა თითოეული ქრისტიანის რეალობაა. მოციქულმა პეტრემ ასეთი სიტყვები მიწერა განსაცდელში მყოფ ქრისტიანებს:

> „ ამიტომ, ტანჯულებმაც ღმერთის სურვილისამებრ, თავიანთი სულები გადასცენ ერთგულ გამჩენს, სიკეთის ქმნით.“ (1 პეტ. 4:19)

როგორც მორწმუნენი, ორი ლინზით ვუყურებთ სამყაროს. პირველი ლინზით, ჩვენ ვხედავთ სამყაროს, როგორც ის უნდა იყოს, და ერთ დღეს იქნება, ქრისტეს დიდებული ტრიუმფის წყალობით. რწმენით, ჩვენ ვხედავთ სამყაროს კონფლიქტის, ხრწნილების, ტკივილის და სიკვდილის გარეშე. სამაყროს, რომელიც სრულად გამოსყდული და აღდგენილია, რომელშიც არ არის ხრწნის კვალი და სრულიად განახლებულია; სრულყოფილი სიყვარულის, მშვენიერების, სამართლიანობის და მშვიდობის სამყაროს.

> „ ვინაიდან მიმაჩნია, რომ ახლანდელი ტანჯვები არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რაც ჩვენს მიმართ გამოვლინდება.“[554]

[553] ეს მოთხრობა გვხვდება წიგნში, სახელწოდებით „თვალები, რომლებიც ხედავენ: ღვთის შეხედულებები სიბნელეში“ (Eyes that See: Glimpses of God in the Dark), ავტორი ბეკი კიპი,(Becky Keep) ტიმ კოპთან(Tim Keep) ერთად.
[554] რომაელთა 8:18-19

მეორე ლინზით, ჩვენ უნდა ვხედავდეთ საყაროს, როგორიც ის რეალურად არის. საყაროს, რომელშიც მთელი ქმნილება კვნესის და იტანჯება, ელოდება რა გამოსყიდვას. პავლე ამ სიტყვებს წერდა ქრისტიანებს რომში, როცა განიცდიდა დევნას და შევიწროებას:

> „ვინაიდან, ვიცით, რომ მთელი ქმნილება ერთნაირად კვნესის და იტანჯება აქამდე, და არა მარტო ის, არამედ ჩვენც, რომელთაც სულის პირველი ნაყოფები გვაქვს, ვკვნესით ცვენ თვითონაც ცვენს თავში, მოველით რა შვილებას, ჩვენი სხეულის გამოსყიდვას.“[555]

ისინი, ვინც მხოლოდ პირველი ლინზით იმზირებიან და უგულებელყოფენ მეორეს, ისახავენ ქვეყნიერების მცდარ, დამახინჯებულ სურათს და იქმნიან მოლოდინებს, რომლებიც არასოდეს ყოფილა ნაგულისხმევი სახარებაში. იესო არასოდეს დაპირებია ღვთის შვილებს უპრობლემო ცხოვრებას. სინამდვილეში ის შემდეგს დაპირდა:

> “ეს იმიტომ, გითხარით, რათა მშვიდობა იქონიოთ ჩემში. ქვეყნიერებაზე ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლიე ქვეყნიერება.“[556]

იობის „მანუგეშებლები“ კვლავ და კვლავ აცხადებდნენ, რომ ღმერთი ყოველთვის აკურთხებს მართალ კაცს ჯანმრთელობით, სიმდიდრით და წარმატებით, ხოლო ავდმყოფობა და განსაცდელი კი მხოლოდ მისი სასჯელია უმართლოთათვის. რადგან იობი განსაცდელისგან ძლიერ იტანჯებოდა, ერთადერთი დასკვნა, ასეთ თეოლოგიიდან გამომდინარე ის იყო, რომ იობი უმართლო ადამიანი იყო.

იობის ამბავი, ამტკიცებს იმას, რომ წარმატება და აყვავება მოიცავს ტანჯვას. ბევრი ქრისტიანი ლიდერი ზოგჯერ ამახინჯებს რმერთის სიტყვას, როგორც ამას იობის მეგობრები აკეთებდნენ. ერთხელ მოვისმინე, რომ არც ისე კეთილსინდისიერი განდიდების ლიდერი, ფინანსურ „keTildReobas!“ უქადაგებდა ღარიბ პასტორთა და ეკლესიის წევრთა შეკრებაზე ერთ-ერთ განვითარებად ქვეყანაში. ამან ცოტა არ იყოს გამაბრაზა, რადგან ეს აღარ აძლევდა საშუალებას იმ ტანჯვას, რასაც ეს პასტორები ატარებდნენ, გამხდარიყო მათი კეთილდღეობის საწინდარი. რადგან ჯერ არ მომხდარა ქვეყნიერების სრული გამოსყიდვა, ხშირად ერთგულ ქრისტიანებსაც უკეთურებთან ერთად უწევთ ტანჯვა.

> „მე ვისწავლე, როგორ შევეგებო კოცნით იმ ტალღას, რომელიც ასაკის კლდეზე მახეთქებს.“– ჩარლზ სპერჯენი

წერილი გვამცნობს, რომ მთელი ქმნილება ოხრავს მშობიარე ქალის მსგავსად, ამიტომ ხშირად იმ ადამიანებსაც კი აქვთ ტირილის მიზეზი, ვინც სულიერი ცხოვრებით ტკბება და ხარობს. ისინი, რომელთაც მიიღეს შვილბის სული, ვინც იცნობს მოსიყვარულე მამას, არ არიან გათავისუფლებული დაღუპულ სამყაროში ცხოვრების აგონიისგან. ხორცში ცხოვრების პერიოდი ჩვენს გარშემო ვერ გახდება უფრო მარტივი, რადგან ჩვენ არავინ დაგვპირდა უკეთეს გარემოებებს, თუმცა დაგვპირდნენ შინაგან აყვავებას იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით.

---

[555] რომაელთა 8:22-23

[556] იოანე16:33

„ამიტომაც არ ვცხრებით, თუმცა ჩვენი გარეგანი კაცი იხრწნება, შინაგანი ახლდება დღითი დღე.“[557]

ჩვენ გვჭირდება, რომ სწორი ბიბლიური ცოდნა გვქონდეს ტანჯვის შესახებ.

გაკვეთილი

1. **ჩვენ მოწოდეულნი ვართ, რათა ქრისტესთან ერთად ვიტანჯოთ.**

„ ამისათვის ხართ მოწოდებულნი. ქრისტეც თქვენთვის ეტანჯა და მაგალითი დაგიტოვათ, რათა მის კვალს გაჰყვეთ.“[558]

იესოს მოწაფეობა, მოიცავს აგრეთვე ტანჯვას. ამისათვის ვართ მოწოდებულნი. პავლე მოციქული მუდმივად მზად იყო ტანჯვისთვის, რათა უკეთ შეეცნო იესო. ის წერს :

„ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გამო, რისთვისაც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო.“ [559]

მრავალი სახის ტანჯვა გამოსცადა პავლე მოციქულმა თავის ცხოვრებაში, ისევე როგორც, ჩვენ მოგვიწევს გამოვცადოთ. მან გამოსცადა „ეკალი სხეულში“, რისგანაც ღმერთს არ დაუხსნია ის. იგი განიცდიდა შევიწროვებას, მიტოვებულობას, პატიმრობას, მარტოობას, ფიზიკურ დისკომფორტს, სიღარიბეს, შიშს, წნეხს მსახურებისგან და ყოველდღიურ განსაცდელებს, მაგრამ ყველაფერ ამით, ღმერთმა მეტად დაიახლოვა ის თავისთან.

2. **ტანჯვა აყალიბებს ქრისტეს მსგავსებას ჩვენში**

რომაელთა მიმართ მიწერილ წერილში, 8 თავში, პავლე საუბრობს რა მთელი ქმნილების ოხვრასა და მშობიარეობის ტკივილებზე, რაც ამჟამად ხდება, რადგან ის ელის ქრისტეს მოსვლას და საბოლოო გამოსყიდვას, ის გვამხნევებს შემდეგი ჭეშმარიტებით:

„ ჩვენ კი ვიცით, რო ღმერთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს ყოველივე ეწევათ სასიკეთოდ.“[560]

და რა არის ღმერთის მიზანი?

„ვინაიდან,ვინც წინასწარვე იცნო, მათ წინასწარვე განუსაზღვრა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა.“[561]

---

[557] 2კორთელთა 4:16
[558] 1პეტრე 2:21
[559] ფილიპელთა 3:8
[560] რომაელთა 8:28
[561] რომაელთა 8:29

ღმერთს აქვს მიზანი ჩვენს განსაცდელებში და ეს არის ქრისტეს მსგავსების აღდგენა ჩვენში, ვინაიდან ქრისტე ღმერთის ხატებაა.

ის კეთილი თვისებები და ქრისტეს ბუნება, რაზეც ვისაუბრეთ ამ სასწავლო კურსში ვერ მიიღწევა და სრულად ვერ ჩამოყალიბდება ჩვენში ტანჯვის და განსაცდელის გარეშე. დაუკვირდით რას წერს პავლე მოციქული:

> „ და არა მარტო ამით, არამედ ჭირითაც ვიქადით, რამეთუ ვიცით, რომ ჭირი ქმნის მოთმინეას. მოთმინება- გამოცდილებას, გამოცდილება კი იმედს.“ (რომ. 5:3-4)

როგორც ღმერთის ღირსეული შვლებისთვის, დისციპლინა, რომელსაც ტანჯვა გვაძლევს, ჩვენი ზრდის და წვრთნის აუცილებელი ნაწილია და მის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია მისი სიწმინდის თანამონაწილეობა.[562]

> „ყოველი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ მწუხარება, მაგრამ შემდგომშ მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც სიმართლის მიერ განიმსწავლა.“(ებრ.12:11)

3. ტანჯვას ბევრი სარგებელი აქვს

ტანჯვა გარდაგვსახავს ქრისტეს მსგავსებაში. ტანჯვა არის ცეცხლი, რომელსაც ღმერთი იყენებს ჩვენს განსაწმენდად რათა ქრისტეს მსგავსება გამოსახოს ჩვენში. ჯონი ერიქსონ ტადა, თავის ცნობილ წიგნში, „განკურნების ადგილი“, საუბრობს ტანჯვის ხუთ უპირატესობაზე, ორიც მე დავამატე და მინდა გაგიზიაროთ:

❖ ერთად წაიკითხეთ და განიხილეთ ქვემოთ მოყვანილი მუხლები. განიხილეთ, როგორ აყალიბებს ტანჯვა ხასიათს, მორჩილებას, სიწმინდეს, სიძლიერეს, სიყვარულს და დიდებას ქრისტიანებში.

A. ტანჯვას შეუძლია მოგვაბრუნოს სახიფათო მიმართულებიდან.[563] (ფსალ. 118:67 : 1 პეტ.4:1-3)

B. ტანჯვა გვახსენებს რაში მდგომარეობს ჩვენი ჭეშმარიტი ძალა.[564] (2კორ.12:9)

C. ტანჯვა ანახლებს ჩენს დაკარგულ სილამაზეს ქრისტეში. (1 პეტ.1:6-8)

D. ტანჯვა ზრდის ჩვენს წყურვილს ქრისტეს მიმართ. (იერ. 2:13)

E. ტანჯვა გვიძღვება ღრმა მოზიარეობაში ქრისტესთან. (ფილ. 3:10)

F. ტანჯვა ზრდის ჩვენს ნაყოფიერებას ქრისტეში. (საქმ.14:22, იოან. 15:5)

G. ტანჯვა აძლევს ღმერთს საშუალებას გამოავლინოს ქრისტეს დიდება ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი ცხოვრების მეშვეობით. (იოან.11:4,40)

---

[562] ებრაელთა 11:10

[563] ჯონი ერექსონ ტადა (oni Eareckson Tada), განკურნების ადგილი: ტანჯვის, ტკივილისა და ღვთის სუვერენიტეტის საიდუმლოებებთან ბრძოლა (A Place of Healing: Wrestling with the mysteries of suffering, pain, and God's sovereignty), (კოლორადოს სპრინგსი, CO: დევიდ ც. კუკი, 2010) 80.

[564] Ibid, 82

ბეკი და მე სასოწარკვეთილები ვიყავით განკურნებისთვის 2006 წლის იანვარში. ბეკი მანილაში, წმინდა ლუკას სახელობის საავადმოფოში დააწვინეს რამდენიმე დღით, წითელას დაავადებით. იგი გამოწერის შემდეგაც კი ძალიან სუსტად გრძნობდა თავს. ყველაფერ ამას კი დაემატა ის, რომ სახლში დაბრუნებულებს, ჩვენი 6 წლის შვილი - ქერი, ძალიან ცუდად მყოფი დაგვხვდა, მაღალი სიცხით იტანჯებოდა. იმდენად ცუდად იყო, რომ ვერც ჭამდა და ვერც იძინებდა. მხოლოდ განუწყვეტლივ ტიროდა და როგორც შევიტყვეთ, ასეთ მდგომარეობაში უკვე ორი დღის განმავლობაშ იყო. მე და ბეკი ძალიან გადაღლილები შეშინებულები ვიყავით, მივხვდით, რომ შემდეგი ნაბიჯის გადადმა აღარ შეგვძლო.

როდესაც ბეკიმ დაინახა ქერი ასეთ მდგომარეობაში, სასწრაფოდ მისი მანილაში გადაყვანა მომთხოვა, (მანილა ჩვენგან ოთხი-ხუთი საათის სავალზე იყო მანქანით) მაგრამ მე ვუთხარი, რომ ამისთვის ძალიან დაღლილი ვიყავი და ვერ შევძლებდი. შემდეგ, ძალიან გარკვევით, შინაგანში მე გავიგონე ღმერთის წყნარი ხმა, რომ უნდა შეგვესრულებიან ის, რასაც იაკობის 5:14 გვავალებს, რომ მოგვეხმო ხუცესებისთვის, რათა ელოცათ ჩვენი ქალიშვილის განკურნებისთვის. ისინი სიხარულით გვესტუმრნენ და მე არასდროს დამავიწყდება ჩვენი ლოცვის დროს განცდილი, უფლის მოწმობით სავსე თანდასწრება და სიმშვიდე, რომელმაც დაისადგურა ჩვენს მისაღებში. ჩვენ ვიცოდით, რომ რმერთმა შეისმინა ჩვენი ღაღადი დახმარებაზე და რომ აღგვითქვა განკურნება. დაახლოებით ოცდაათი წუთის ხანგრძლივობის ლოცვის შემდეგ, ჩვენს პატარა ქერის ცხელებამ გაუარა, დედამ აჭამა და ჩაეძინა. ამ მომენტიდან კი ის სრულიად განიკურნა. ღმერთის სახელი კი განდიდდა!

H. ტანჯვა ასევე ზრდის ჩვენს მარადიულ იმედს (2 კორ.4:16-18)

უსინათლო პოეტმა, ფანი ქროსბიმ, გასაოცარი დამოკიდებულება გამოხატა ტანჯვის მიმართ ჯერ კიდევ ბავშვობაში. ცხრა წლის ასაკში მან ასეთი ლექსი დაწერა:

> თუმცა ვერ ვხედავ, მაინც მახარებს,
> მახარებს ამ ქვეყნად ყოფნა,
> მინდა, რომ ვიყო მუდამ მცინარი
> და გავახარო ირგვლივ სულ ყველა.
>
> კურთხეული ვარ, კურთხეული ვარ,
> კურთხევების ზღვა მაწვიმა ღმერთმა,
> სიბრმავე რაა, მასზედ რომ მოვთქვა,
> არ ვაპირებ და არც სურვილი მაქვს.

ერთ დღეს, შოტლანდიელმა მსახურმა, ახალგაზრდა პოეტი შენიშნა და ასეთი რაღაც უთხრა ფანი ქროსბის: „ ძალიან სამწუხაროა, რომ შემოქმედმა, რომელმაც კურთხევების ზღვა აწვიმა შენს თავზე, მხედველობა არ მოგცა.“ ფანიმ კი უპასუხა: „ დაბადებისას უფლება, რომ მქონოდა ერთადერთი

თხოვნით მიმემართა შემოქმედისთვის, ვთხოვდი, რომ უსინათლო გავჩენილიყავი." „კი მაგრამ რატომ?"-ეკითხება გაოცებული მსახური. -„იმიტომ, რომ, როდესაც სამოთხეში მოვხვდები, პირველი ვისაც ჩემი თვალები დაინახავენ და ვინც ასე აღმაფრთოვანებს, ჩემი მხსნელი იქნება." ეკლესისსთვის ფანი ქროსბიმ შესანიშნავი ჰიმი დაწერა სახელად „ჩემი მხსნელი უპირველეს ყოვლისა."

როცა დასრულდება ჩემი მისია ამ დედამიწაზე და გადავლახავ ტალღების მორევს,
როცა ვიხილავ ნათელს იმქვეყნად, მე ვიცნობ ჩემს გამომსყიდველს.
მისი ღიმილი გზას გამინათებს მე.

მის:
მე ვიცნობ მას, მე ვიცნობ მას
და გამოყიდული დავდგები მის მხარეს.
მე ვიცნობ მას, მე ვიცნობ მას
ხელებზე ლურსმნის ჭრილობის კვალით.

როგორი სულის შემძვრელი იქნება მისი დიდებული სახის ხილვა
როგორი ბრწყინვალე იქნება მისი თვალების ცქერა.
განადიდებს მას ჩემი გული მისი წყალობისა და სიყვარულისთვის,
რომ მომიმზადა სასახლე ზეცაში.

კარიბჭის მიღმა, თეთრ მოსასხამში,
ის წარმიძღვება ადგილას,რომელსაც არ უგემია ცრემლი.
ველი წამს, როცა შევძახებ და ვუგალობებ ჩემს მხსნელს,
სულმოუთქმელად ველოდები მის ხილვას.

ტანჯვა გვაშორებს მიწიერებას და ზრდის სამოთხის სიხარულისკენ სწრაფვას!

4. ტანჯვის არიდებამ, ქრისტიანებში საფუძველი დაუდო აყვავების თეოლოგიის გავრცელებას.

ქრისტიანები მთელს მსოფლიოში, განიცდიან ისეთ განსაცდელს, როგორიც არასდროს აქამდე არ განუცდიათ. მაგალითისთვის, იმ 70 მილიონი ქრისტიანთა უმრავლესობა, რომელიც, ქრისტეს დროიდან დღემდე მეწამეობრივად აღესრულა, ბოლო ორასი წლის განმავლობაში შეეწირა.[565] არნახული სიღარიბის და განსაცდელის დროს ერთგული ქრისტიანების ცხოვრებაში, აყვავების

565 https://www.christiantoday.com/article/lausanne.conference.addresses.major.challenges.for.world.mission/11224.htm.

თეოლოგია, ვრცელდება ეკლესიის მიერ და ხანძარივით ედება ყველას. ქრისტიანებს უნდა შეეძლოთ ამ თეოლოგიის გარჩევა რომ მის წინააღმდეგ აღიჭურვონ და პასუხი გასცენ ამ სწავლებას.

A. რას ნიშნავს აყვავების თეოლოგია?

აყვავების თეოლოგია (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც კეთილდღეობის სახარება, ჯანმრთელობისა და სიმდიდრის სახარება ან წარმატების სახარება) არის ზოგიერთი [კეთილი აღიარებების] ქრისტიანების რელიგიური რწმენა-წარმოდგენა, რომელნიც თვლიან, რომ ფინანსური კურთხევა და ფიზიკური კეთილდღეობა ყოველთვის ღვთის ნებაა მათთვის, და რომ რწმენა, პოზიტიური მეტყველება და რელიგიური მიზნებისთვის შემოწირულობები გაზრდის მატერიალურ სიმდიდრეს.

აყვავების თეოლოგია გააკრიტიკეს სხვადასხვა ქრისტიანული დენომინაციის წარმომადგენლებმა, მათ შორის ორმოცდაათიანულმა და ქარიზმატულმა მოძრაობებმა, რომლებიც თვლიან, რომ ეს არის უპასუხისმგებლო, ხელს უწყობს კერპთაყვანისმცემლობას და ეწინააღმდეგება საღვთო წერილს.[566]

კეთილდღეობის სახარება უნდა გამოაშკარავდეს ღვთის სიტყვის დამახინჯების და მრავალი ქრისტიანის რწმენაზე დამანგრეველი გავლენის გამო. სატანა ხშირად უტევს ღვთის სიტყვას ჭეშმარიტების მცირედი დამახინჯებით, რადგან მშვენივრად იცის, რომ მცირეოდენი ეჭვი და ცრუ იმედი ურწმუნოების დიდ მოსავალს მოიტანს.

> ახლა ჩვენს წინაშე მდგარი კითხვა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ღმერთი კვლავ კურნავს, სასწაულებს ახდენს ან ზოგჯერ მატერიალურ კურთხევას აძლევს თუ არა, თავის ხალხს; არამედ, შეუძლიათ თუ არა მარადიულობის ამ მხარეს მყოფ ქრისტიანებს მოითხოვონ ფიზიკური და მატერიალური "კურთხევა", როგორც მათი უფლება?

დღეს საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს რომ ღმერთი კვლავ კურნავს, სასწაულებს ახდენს ან ზოგჯერ მატერიალურ კურთხევას აძლევს თუ არა, თავის ხალხს; არამედ, შეუძლიათ თუ არა მარადიულობის ამ მხარეს მყოფ ქრისტიანებს მოითხოვონ ფიზიკური და მატერიალური "კურთხევა", როგორც მათი უფლება? არის თუ არა აღთქმული ფიზიკური განკურნება მარადიულობის ამ მხარეზე იესო ქრისტეს გამომსყიდველი სიკვდილით?

თავის ცნობილ წიგნში, ”სასწაულებრივი განკურნება“,[567] ჰენრი ფროსტი აღნიშნავს უამრავ სწავლებას განკურნებასთან დაკავშირებით (ძირითადი აქცენტი გაკეთებულია აყვავების თეოლოგიაზე), რაც უნდა გამოიცადოს ღვთის სიტყვის საფუძველზე. ამ წიგნის წაკითხვისას, მე გამოვყავი აყვავების თეოლოგიის შვიდი ძირითადი სწავლება (განსაკუთრებით სასწაულებრივ განკურნებასთან დაკავშირებით), რამაც დაბნეულობა მოუტანა ბევრ გულწრფელ ქრისტიანს.

---

[566] https://en.wikipedia.org/wiki/Prosperity_theology

[567] ჰენრი ფროსტი (Henry Frost), სასწაულებრივი განკურნება: რატომ კურნავს ღმერთი ზოგს და არა სხვებს? (Miraculous Healing: Why Does God Heal Some and Not Others?), (Grand Rapids, MI: Revell, 1939; Hagerstown, MD: Christian Heritage, 2000). ციტირებები არის ქრისტიანული მემკვიდრეობის გამოცემა. დოქტორმა მარტინ ლოიდ-ჯონსმა ეს წიგნი აღწერა, როგორც ყველაზე კარგი, რაც მან წაიკითხა ღვთიური განკურნების თემაზე.

B. შვიდი დიდი შეცდომა კეთილდღეობის მოძღვრებაში

1. კეთილდღეობის მოძღვრება ასწავლის, რომ ხსნა, თანაბრად გულისხმობს, როგორც ჩვენი სულების დახსნას, ისე ჩვენი სხეულების სრულყოფილ განკურნებას მუდმივობის ამ მხარეს.

რას ამბობს ამის შესახებ ბიბლია? საღვთო წერილი ეთანხმება აზრს, რომ ქრისტეს გამოსყიდვა სრულიად მოიცავს ჩვენს ფიზიკურ სხეულს, თუმცა წუთისოფელში ყოფნისას განკურნებას არავინ დაგვპირებია. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა წერილები მოგვიწოდებს განკურნების თხოვნას, სახარება არ ფარავს ყველა შენს შედცომას და დაცემას დედამწაზე.

ეს სხეულები, როგორც ახლა არსებობენ, იხრწნება. აღდგომის შემდეგ ახალი სხეულები გადმოგვეცემა „თავისი დიდების სხეულის მსგავსად.“[568] ამ ძველ „ხორცსა და სისხლს არ ძალუძს ღმერთის სამეფოს დამკვიდრება, ხრწნილება ვერ დაიმკვიდრებს უხრწნეობას... ჩვენ შევიცვლებით.“[569] პავლე აგრეთვე ამბობს, რომ როცა ჩვენ მიწიერი კარავი დაინგრევა, გვაქვს ხელთუქმნელი სახლი ზეცაში.[570] როგორც ხრწნადი თესლი -

> „ [მიწიერი სხეული]ითესება ხრწნილებით და აღდგება უხრწნელობით. ითესება დამცირებით და აღდგება დიდებით, ითესება უძლურებაში და აღდგება ძლიერებით, თესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული, არის მშვინვიერი სხეული და არს სულიერი სხეული.“[571]

ჯონი ერიქსონ ტადა, ქრისტიანი ქალბატონი, რომელიც 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იტანჯება პარალიზებული მდგომარეობით, წერს: ”ყველა სიცოცხლე, ყველა განკურნება და გამოსყიდვა მოდის წყაროდან, რომელიც არის უფალი იესო ქრისტე. სხვაგან საიდან შეიძლება მოვიდეს ეს ყოველივე? ” იგი აგრძელებს და განმარტავს: ”ის, რისი კეთებაც დაიწყო იესომ ცოდვის და მისი შედეგების მიმართ [დაავადება, ხრწნა, სიკვდილი] არ დასრულდება მეორედ მოსვლამდე.”[572] ისევე, როგორც თესლი არ გახდება სრულფასოვანი მცენარე, სანამ არ მოკვდება, ასევე ეს სხეულები ვერ განიცდიან სრულ გამოსყიდვას, სანამ არ დაიმარხებიან სიკვდილში.

ფიზიკური განკურნების შესახებ სწავლება უნდა დავაბალანსოთ იმ ჭეშმარიტებასთან, რომ ზოგჯერ ღმერთი ირჩევს, რომ არ განკურნოს, რადგან მას ჩვენთვის უკეთესი რამ აქვს მომზადებული.[573]

---

[568] ფილიპელთა 3:21;
[569] 1კორინთელთა 15:50;
[570] 2კორინთელთა 5:1;
[571] 1კორინთელთა 15:42-44;
[572] Tada, 64.
[573] ებრაელთა 11:35-39;

პავლემ „ხორცში ეკლის“ საშუალებით მიიღო თავმდაბლობა და ქრისტეს სრული ძალა.[574] ჯონი ასევე ამბობს: ”ღმერთი უშვებს იმას, რაც მას სძულს (ადამიანის ტანჯვა), რათა შეასრულოს ის, რაც უყვარს (ჩვენი განწმენდა)”.[575]

როდესაც ჩვენი ვაჟი, ჯესი სიმსივნით იყო დაავადებული, ხშირად ვეჭიდებოდით ღმერთს განკურნების მისაღებად ოთხწლიანი ბრძოლის დროს. ათასობით ადამიანი ლოცულობდა მის განკურნებაზე. ზოგიერთმა კეთილსინდისიერმა ადამიანმა ისიც კი გვითხრა, რომ მათ ჯესის ფიზიკური განკურნებაზე ღვთიური აღთქმა მიიღეს და აღარ უნდა ვიღელვოთ, რადგან შემდეგი ვიზიტისას ექიმთან, გაირკვეოდა, რომ იგი განიკურნა. თუმცა გაუმჯობესების ნაცვლად, კიბო აგრძელებდა გავრცელებას, სანამ 2001 წელს მან მხედველობა არ დაკარგა. სასწაული, რომელიც მშობლებმა აღმოვაჩინეთ ამ უმძიმეს დღეებში, იყო მშვიდობისა და სიხარულის სასწაული და იმაში დარწმუნებულობა, რომ ღმერთი უკეთეს რამეს აკეთებდა, ვიდრე ფიზიკური განკურნება! ეს "რაღაც უკეთესი" დღესაც მუშაობს ჩვენს ცხოვრებაში და ჯესის ცხოვრებაშიც.

2. კეთილდღეობის თეოლოგია აგრეთვე გვასწავლის, რომ ისრაელისადმი ღვთის აღთქმული დაპირებები ასევე ეხება ეკლესიას.

   კეთილდღეობის თეოლოგიის ზოგიერთი მასწავლებელი იყენებს ღმერთის ისრაელისთვის აღთქმულ დაპირებებს, ქრისტიანებთან მიმართებაში. მაგალითად, გამოსვლის წიგნში ღმერთი ეუბნება ისრაელიანებს: „ თუ მთელი გულით დაემორჩილები უფლის, შენი ღმერთის ხმას, სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურად იღებ მის მცნებებს და დაიცავ მის ყოველ წესს, არ მომავლენ შენზე არც ერთ სენს, რომელიც მოვავლინე ეგვიპტეზე, რადგან მე ვარ უფალი, შენი მკურნალი.“[576]

მათ აქვთ შეხედულება, რომ დაავადება ეგვიპტელებს ეკუთვნით და არა ღვთის ხალხს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სულიერად ვბრუნდებით ეგვიპტეში, ვუბრუნდებით მის დაავადებას და საშიშროებას.[577]

ამ მოსაზრების თანახმად, ერთგული ქრისტიანები არასდროს დაავადდებიან. დაავადება განკუთვნილია ურწმუნოთათვის. რადგანაც ღმერთმა ისრაელთან დადო განკურნების აღთქმა, ეს აგრეთვე უნდა ეხებოდეს სულიერ ისრაელს - ეკლესიას.

ამ დოქტრინასთან დაკავშირებით უამრავი წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმეს აღვნიშნავ:

A. დაბრუნება ძველ აღთქმასთან, ნიშნავს დაბრუნებას ძველი აღთქმის კანონებთან.

ქრისტიანები არ ცხოვრობენ ძველი აღთქმის კანონების რეგულაციების თანახმად და არც ძველი აღთქმის კანონთა ყველა დაპირება ვრცელდება ჩვენზე ისე, როგორც ისრაელზე ვრცელდებოდა. თუ

[574] 2კორინთელთა 12:7-9;
[575] Video message, https://youtu.be/4fzY0uj9q6k.
[576] გამოსვლა 15:26
[577] Henry Frost, Miraculous Healing: Why Does God Heal Some and not Others? (Hagerstown: Christian Heritage, 2000)

ძველი აღთქმის კანონის რეგულაციები კვლავ საჭიროა იესოს მორწმუნეთათვის, მაშინ იესო არაფრისთვის მომკვდარა.[578]

B. ისრაელში დამყარებული იყო თეოკრატია, სადაც ღმერთი მართავდა ერს.

ისრაელის საშუალებით მას სურდა ეჩვენებინა, თუ როგორი იქნებოდა მისი სრულყოფილი მმართველობა, და თავის ხალხს შესთავაზა მომავალი სამეფოს ვიზუალური პორტრეტი. როდესაც ქრისტე იმეფებს უსასრულოდ ამ დედამიწაზე, მისი ხალხი აღარ განიცდის რაიმე სახის ტკივილს![579]

C. ღმერთმა ისრაელი მიწიერ ხალხად აქცია და მათ ფიზიკური კურთხევები მისცა, რათა მათთვის და ჩვენთვის სულიერი ჭეშმარიტება შეესწავლებინა.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არ მოგვცემს ფიზიკურ კურთხევებს, როგორც ამას აკეთებდა ისრაელისთვის, მაგრამ ის არ გვპირდება ისე, როგორც ისრაელის ერს. ღმერთმა დაამარცხა ისრაელის ფიზიკური მტრები; დააკმაყოფილა მათი ფიზიკური წყურვილი, როცა კლდიდან გადმოხეთქა წყალი; მისცა მათ მატერიალური საკვები; გადასცა მათ მატერიალური მიწა, რომელიც მათ არ შეუძენიათ; მისცა მათ მატერიალური სახლები და ქალაქები, რომლებიც არ აუშენებიათ, პირუტყვი, რომელიც არ მოუშენებიათ და მოსავალი, რომელიც არ დაუთესიათ,[580] მაგრამ ღმერთმა ზეციერ ხალხად შეგვქმნა და მოგვცა „სულიერი კურთხევები ზეციურ ადგილებში“[581] ის დაამარცხებს ჩვენს სულიერ მტრებს,[582] მოგვცემს სასმელად წყალს სულიერი კლდიდან, რომელიც იესო ქრისტეა,[583] გვთავაზობს სულიერ საკვებს (ქრისტე არის მანნა)[584] და ზეციურ იერუსალიმს.[585] ჩვენ ვართ სულიერი ტაძარი,[586]

მეფური სამღვდელოება და წმიდა ერი.[587] ვერანაირი სულიერი დაავადება (ცოდვა) ვერ დაგვაზიანებს, სანამ სინათლეში ვივლით.[588]

წმინდა წერილში ნათლად ჩანს, რომ ისრაელის ერთან დადებული ყველა აღთქმა არ ეხება პირდაპირ ეკლესიას, გარდა სულიერი გაგებისა. ამიტომ, არ უნდა ვითხოვოთ დაპირებები, რომლებიც ჩვენთვის არ არის განკუთვნილი. ასეთი აზროვნება მხოლოდ იმედგაცრუებას გამოიწვევს. ფიზიკური კურთხევები და გამოცდილება, რაც ისრაელმა მიიღო, მხოლოდ აჩრდილი და სიმბოლო იყო უფრო მეტი სულიერი კურთხევისა, რომლითაც დღეს ჩვენ, ქრისტიანები ვსარგებლობთ,

---

[578] გალატელთა 5:2
[579] გამოცხადება 21:4
[580] მეორე რჯული 11:27
[581] ეფესელთა 1:3
[582] 2კორინთელთა 10:3-4
[583] 1კორინთელთა10:4
[584] იოანე 6:33-36
[585] გამოცხადება 21:2
[586] 1კორინთელთა 3:16
[587] 1პეტრე 2:9
[588] 1იოანე 1:9

ვინაიდან ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდათა წმიდაში, ჭეშმარიტის ანარეკლში, არამედ თვით ცაში, რათა ახლა ჩვენთვის წარდგეს ღვთის წინაშე. (ებრაელთა 9:24; იხილეთ აგრეთვე ებრ. 10:1)

3. აყვავების თეოლოგია, ხშირად განმარტავს ესაიას 53:4-5, როგორც ფიზიკური კურნების დაპირებას ჩვენს აწმყოში:

„მაგრამ მან იტვირთა ჩვენი სნეულებანი და აზიდა ჩვენი ტკივილები, ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ღმერთის მიერ იყო ნაგვემი, გატანჯული და დამცირეული. ის კი ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი ურჯულოებისათვის იყო შემუსვრილი, ჩვენი სასჯელი იყო მასზე და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.“[589]

ამ შესანიშნავ მონაკვეთში ესაია წინასწარმეტყველებს იესო ქრისტეს ორმაგ მსახურებაზე: 1) იესო ჩვენი ტვირთმზიდავი (მუხლი 4) და 2) იესო ჩვენი ცოდვისთვის მსხვერპლად შეწირული (მუხლი 5). როდესაც იესომ სიყვარულით მიმართა ხალხს, რომლებიც მას აწამებდნენ, განდევნა მათი დემონები და განკურნება დაავადებები, ის კაცობრიობის ტვირთის მატარებელი გახდა. აი რას გვასწავლის მათე:

„მოსაღამოვებულზე მრავალი ეშმაკეული მოიყვანეს მასთან და მან სიტყვით განდევნა სულები და განკურნა ყველა სნეული. რათა აღსრულდეს ესაია წინასწარმეტყველის მიერ თქმული, რომელიც ამბობს : „მან თვითონ აიღო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნეულებანი.“[590]

როდესაც იესო დაჭრილი, ნაწამები და ნაგვემი ჯვარზე გააკრეს, მან გადაიხადა ფასი ჩვენს დანაშაულთა გამო: ”მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი ურჯულოებისათვის იყო შემუსვრილი და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ”. ესაია საუბრობს ცოდვის დაავადებისგან განკურნებაზე და არა ფიზიკურ დაავადებაზე! მოციქულმა პეტრემ მოუწოდა ტანჯულ ქრისტიანებს, მიჰბაძონ იესოს, რომელიც ჩვენი სახელით იტანჯა და მაგალითი დაგვიტოვა.

რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონ აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა ცოდვისათვის მკვდრებმა სიმართლისთვის ვიცოცხლოთ. განკურნებულნი ხართ მისი ჭრილობებით

(1 პეტ. 2:24, რომაელთა 5:8-9, 1 კორ. 15:3)

დღესაც, მოგვიწოდეს, რომ ყველა ჩვენი საზრუნავი მას დავაკისროთ, რადგან ის ზრუნავს ჩვენზე.[591] . ის აგრეთვე ამბობს : „ მოდით ჩემთან ყოველნო მაშვრალნო და თვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ.“[592] როცა ჩვენ ვიტანჯებით, ისიც იტანჯება ჩვენთან ერთად, შუამდგომლობს ჩვენთვის და

[589] ესაია 53:4-5
[590] მათე 8:16-17
[591] 1პეტრე 5:7
[592] მათე 11:28

ყოველთვის აქვს განკურება ჩვენი სულებისთის. რამდენადაც ჩვენი სხეულები დღითიდღე კვდომას განიცდის, იმდენად ჩვენი სულები ახლდება ყოველდღე.

უნდა აღინიშნოს, რომ ესაიას 53 თავში იესოს ჭრილობები, ნაგვემი მდგომარეობა და სისხლი დაკავშირებულია ცოდვასთან და არა უშუალოდ ფიზიკურ დაავადებებთან.[593] ჩვენი ცოდვა იყო საშინელი დაავადება, რასაც იესოს ასეთი ტანჯვა, დამცირება, ტკივილი და სისხლისღვრა მოჰყვა. ეს ჩვენი ცოდვები იყო, რის გამოც იესო ჯვარს ეცვა და მისი ჭრილობებით ჩვენ განკურნებულნი ვართ.

> ის, რისი კეთებაც იესომ დაიწყო ცოდვისა და მისი შედეგების მიმართ, არ დასრულდება მეორედ მოსვლამდე. - ჯონი ერიქსონ ტადა

იესოს სისხლის მეშვეობით, ჩვენ აღარ ვართ ცოდვის მარწუხებში, მისმა სისხლმა გაგვათავისუფლა ჩვენ ხორცის სურვილებისგან. ჩვენ აღარ ვართ ქვეყნიერულ გულისთქმებს აყოლილნი და დამონებულნი. იესოს სისხლმა ჩვენ უკვე გაგვათავისუფლა! ფიზიკურ სიკვდილს და ხრწნილებას არ ძალუძს შეცვალოს ის, რაც იესომ ჩვენი სულებისთვის გააკეთა. ფიზიკურ ტკივილს, ძალუძს, რომ ზოგჯერ დაფაროს ღმერთის სახე ჩვენგან, თუმცა არც ერთ ტკივილს არ ძალუძს ჩვენი ჩამოშორება მისი სიყვარულისგან.[594] არ აქვს მნიშვნელობა რა ხდება ახლა ჩვენს სხეულში, ჩვენი სულების გამომსყიდველი ქრისტე ყოელთვის იქნება ჩვენი დაცვა და თავშესაფარი. ჯვრის მსხვერპლის გამო, ჩვენ ვიყურებით წინ, ვუყურებთ მომავალს და ველით დღეს, როცა წყევლის ყველანაირი კვალი გაქრება. ახალ ცას და დედამიწას გვპირდება უფალი. აღარ იარსებებს სარეველა და ეკალი. ჩვენი სხეულები სრულიად განახლდება. ტკივილი, ტანჯვა და სიკვდილი სამუდამოდ განადგურდება!

ჩვენი კურნება (სულიერიც და ფიზიკურიც) ჯვარშია. ცოდვისაგან გათავისუფლების აღთქმა არის ყველასათვის, ვინც ირწმუნებს იესო ქრისტეს.

> 4) აყვავების თეოლოგია ხშირად ამახინჯებს იოანეს 14:12 ში გადმოცემულ იესოს სიტყვებს, როდესაც ის ლაპარაკობს „უფრო დიდ საქმეებზე“, ისინი მიიჩნევენ უფრო დიდ სასწაულებად.

ბევრი განმარტავს ამ მუხლს, თითქოს იესო გვპირდება, რომ მისი მოწაფეები და მიმდევრები, მოახდენენ უფრო დიდ სასწაულებს, ვიდრე თვითონ ის ახდენდა.

[593] იხილე ესაია 53: 5,6,8,10,11 და 12
[594] რომაელთა 8:31-39

მოახდინეს კი მოწაფეებმა იესოზე დიდი სასწაულები? სახარებებში ქრისტეს მიერ მოხდენილი 35 სასწაულია გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ მან გაცილებით მეტი სასწაული მოახდინა. მოციქულთა საქმეებში კი მოციქულების მიერ მოხდენილ 12 სასწაულს ვკითხულობთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ გაცილებით მეტი სასწაული მოახდინეს. ყოველივე ეს კი მეტყველებს მხოლოდ ერთ რამეზე : თუმცა სასწაულები რათქმაუნდა არ არის გამორიცხული ახალი აღთქმიდან, ისინი არ არის მთავარი ფოკუსირების საგანი.

> ქრისტე მოკვდა ავადმყოფობის გასანადგურებლად და ის ამას გააკეთებს. მაგრამ ის არ ამბობს, რომ ამას, პირდაპირი გაგებით, ახლა გააკეთებს, არამედ მოგვიანებით, როდესაც ის მოვა ძალაუფლებით და ძლიერი დიდებით. - ჰენრი ფროსტი (გვ. 70)

ადრეული ეკლესიის რომელიმე მოწაფიდან ერთს თუ მაინც მოუხდენია იმაზე დიდი სასწაული, რაც იესომ 5 პურით და 2 თევზით გააკეთა, ან წყალი, რომელიც ღვინოდ გადააქცია, ან ამოვარდნილი ქარიშხლის დაწყნარება, დიდი თევზჭერა, ორი ბრმისთვის თვალის ახელა ან ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება? უდავოა, რომ მოწაფეები ახდენდნენ ძალიან დიდ სასწაულებს, თუმცა არასოდეს არცერთი სასწაული არ ყოფილა მსგავსი იესოს მიერ მოხდენილი სასწაულისა. ერთად, ადრეულმა ეკლესიამ, მართლაც გააკეთა იმაზე დიდი საქმეები, რასაც იესო აკეთებდა იმ გაგებით, რომ ადრეულ ეკლესიას უკვე ჰგონდა საძირკველი, რომელიც იესო ქრისტემ დაუდო, რომელზეც მას შემდეგ ვშენდებით.

პირველი ქრისტიანებისთვის, სახარების ქადაგება ყოველთვის ცენტრალური ფოკუსირების საგანი იყო, ხოლო ღმერთი დროდადრო ახდენდა მათი ხელით სასწაულებს და ნიშნებს, რათა გაემყარებინა მათი მოწმობა და დაემოწმებინა თავის წარგზავნილებზე, განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც მანამდე არ ყოფილა სახარება გავრცელებული. მიზეზი იმასა, თუ რატომ ეჭიდება ხალხი სასწაულებს და რატომ იწვევენ ისინი დღესაც მათში განცვიფრებას, განპირობებულია იმით, რომ სასწაული იშვიათობაა. თუ სასწაულები ჩვეულებრივი და წინასწარ განჭვრეტადი მოვლენა გახდება, მაშინ ისინი თავის მნიშვნელობასაც დაკარგავენ და ღმერთის სიტყვაც იგნორირებული გახდება.

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, ერთი მასწავლებელი მყავდა, რომელიც ყოველთვის ძიერად შემოჰკრავდა ხოლმე ტაშს, როცა გაკვეთილზე გვეძინებოდა ან მას აღარ ვუსმენდით სხვადასხვა მიზეზების გამო. მას ძალიან მნიშვნელოვაი რაღაც ჰქონდა სათქმელი და ამიტომ სრული ყურადღება სჭირდებოდა ჩვენგან. როგორც კი ის გამოგვაფხიზლებდა და დაიბრუნებდა ჩვენს სრულ ყურადღებას, ის წყვეტდა თაშის კვრას და აგრძელებდა გაკვეთილის ახსნას. ამ მასწავლებელს ხშირად რომ დაეკრა ტაში, მოსწავლეები აღარ მიაქცევდნენ მას ყურადღებას. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ სასწაულები „ტაშის შემოკვრას“ ჰგავს რმერთის ყოვლადძლიერი ხელით, რომ მიიპყროს კაცობრიობის ყურადღება, რათა მეტად საყურადსაღებო სახარების გზავნილი მიღებული და გაგებული იყოს და არ გადაიქცეს ნორმალურ, ჩვეულ რუტინად.

მე არასოდეს დამავიწყდება პატარა გოგონას სასწაულებრივი განკურნება წლების წინ. როცა ჩვენ დავიწყეთ მისთვის ლოცვა, ჯგუფმა დაიწყო შეგროვება - ზოგმა გადარჩენა მიიღო, ზოგი კი კვლავ

წარმართობის სიბნელეში იყო დაკარგული. და როცა ჩვენ, ქრისტიანები ვიკრიბებოდით ამ პატარა გოგონას ირგვლივ და ხელში გვეჭირა, ვგრძნობდით სატანის საშიშ ძალას და ნათლად დავინახეთ დემონური ძალების თავდასხმა. მაგრამ როდესაც შევღაღადებდით ღმერთს, ერთად ვგალობდით და ვაცხადებდით იესოს სისხლის გამარჯვებას, გოგონა დამშვიდდა, მიყუჩდა და დაიძინა. დაახლოებით 15 წუთში ის ადგა, წყალი ითხოვა და ჩვენდა გასაოცრად ისე გაიარა, თითქოს არასოდეს ყოფილა ავად! ეს სასწაული ქრისტეს დიად ნიშნად და გამომსყიდველი ძალის დამადასტურებლად იქცა მთელ სოფელში, რომელიც სატანის მარწუხებში იყო მოქცეული და ღმერთი განდიდდა.

იფრთხილეთ, არსებობს მხოლოდ ნიშნებისა და საწაულების ძიების საშიშროება[595] და ასევე დაიცავი შენი გული უნდობობისგან და ურწმუნოებისგან. დღესაც ღმერთი კვლავ კურნავს და ახდენს სასწაულბეს თავისი ნებისამებრ.

5) აყვავების თეოლოგია ხშირად ასწავლის, რომ ნიშნები უნდა ვეძიოთ.

მარკოზის 16:17-18 მუხლებში იესომ თქვა: „ მორწმუნეებს კი თან ახლდებათ ასეთი ნიშნები: ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან, ახალი ენებით ილაპარაკებენ, ხელში გველებს აიყვანენ და არ ავნებთ, ავადმყოფებს ხელებს დაადებენ და ისინი განიკურნებიან.“

ეს „ნიშნები“ ჭეშმარიტი და უტყუარია, სახარების თანმდევია, როდესაც ის ერთგულად ცხადდება მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ადგილებში, სადაც ის არ სმენიათ. უფალო მოგვიტევე ჩვენი ურწმუნოება!

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უნდა მოვითხოვოთ, ან ვეძებოთ, რადგან ნიშნები ბუნებრივად თან ახლავს სახარების ერთგულად ქადაგებას.

თუ ჩვენ თავმდაბლობით, მორჩილად და მომლოდინე მდგომარეობაში მივდივართ ქვეყნიერებაზე სახარების საქადაგებლად, ღმერთის ძალაც იმოქმედებს თავის ეკლესიაში და მისი მეშვეობით.

მაგალითისთვის, როცა პავლე მოციქული ხომალდის მსხვრევაში მოყვა და კუნძულ მალტაზე გამოირიყა,[596] საერთოდ არ იყო შემთხვევითობა ღმერთისთვის. რადგან ღმერთი ხედავდა დაკარგული ხალხით სავსე კუნძულს, ვის გამოსასყიდლადაც მოკვდა ჯვარზე. და როდესაც პავლე მოციქული კოცონისთვის ფიჩხის შეგროვებაში ეხმარებოდა, გველი შემოეხვია ხელზე და მხოლოდ იმის გამო, რომ იგი არ მოკვდა, ხალხმა ირწმუნა მისი. ღმერთმა დაიწყო პავლესთვის მსახურების კარის გახსნა ამ კუნძულზე.

6) აყვავების თეოლოგია აგრეთვე ასწავლის, რომ რაკი იესო გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა,[597] ჩვენც ყოველთვის იგივე პასუხებს უნდა ველოდოთ ლოცვებზე.

---

[595] მათე 21:39
[596] საქმეები 28
[597] ებრაელთა 13:3

იესო ქრისტე რა თქმა უნდა უცვლელია თავისი ბუნებით და ხასიათით, თუმცა მისი ქმედებები განუჭვრეტელია, რადგან ღმერთი არ არის მანქანა, რომელსაც დავაპროგრამებთ, გავაკონტროლებთ ან რაზეც მანიპულირებას მოვახდენთ. ის არის პიროვნება, რომელიც თავისი ნებისამებრ მოქმედებს ჩვენდა სასიკეთოდ და თავის სადიდებლად.

ღმერთის სიყვარული თავისი შვილებისადმი, რომელნიც ტანჯვას გადიან, უცვლელია.

ჩვენ შეგვიძლია სრულიად დავეყრდნოთ იმ ფაქტს, რომ ღმერთი უცვლელია თავის სიყვარულში! ის არასოდეს მიგვატოვებს და გაგვაწბილებს ჩვენ. მისი აღმდგენი ძალა ჩვენში არის. ძალა, რომელიც ზოგჯერ მთებს გადადგავს, ზოგჯერ მათ მწვერვალზე აგვიყვანს, ზოგჯერ კი მასში გვირაბით გაგვატარებს. მისი საკმარისი მადლი და წყალობა ყოველთვის გვამტკიცებს, როცა ტკივილსა და განსაცდელს გავდივართ. რადგან ის არის ხელმწიფე და ყველა გარემოება რასაც ჩვენ გავდივართ, მის კონტროლსაა დაქვემდებარებული და მისი სრულყოფილი დიზაინითაა ნაქსოვი.

მე არასოდეს დამავიწყდება ერთსაათიანი მგზავრობა, როცა სავაადმყოფოდან სახლში ვბრუნდებოდით მას შემდეგ, რაც ჩვენს ხუთი კვირის ჯესის რეტინობლასტომა (თვალის კიბო) დაუდგინეს. ალბათ, როგორც ყველა მშობელი იქნებოდა, მე და ბეკიც საშინელ ტკივილს განვიცდიდით იმ გაურკვევლობის გამო, რომლებიც წინ გველოდა, თუმცა ვიდრე ჯერ კიდევ გზაში ვიყავით, რაღაც ზებუნებრივი, ენით აუწერელი სიმშვიდე ვიგრძენით. ამ სიმშვიდემ შემოსასვლელი იპოვა ჩვენში, როცა იმ უტყუარი, წინასწარ განსაზღვრული გარემოებების გახსენება დავიწყეთ, როლებმაც ამ წუთამდე მოგვიყვანა. რამოდენიმე მოვლენაა, რამაც ჩვენი გულები სიხარულით და მშვიდობით აავსო. პირველი: ჩვენ წესით არ უნდა ვყოფილიყავით აშშ-ში, მაგრამ წავედით; ჩვენს მისიონერულ მსახურების დაწყებამდე რამოდენიმე კვირით ადრე მე „შემთხვევით“ გავხდი დანაშაულის მოწმე და ინდიანას შტატმა მოგვმართა, რომ თუ მხოლოდ ჩვენებას მივცემდი მოწმის სახით, ისინი დაფარავდნენ ჩვენი მგზავრობის ხარჯს უკან სახლისაკენ. მეორე: ჩვენ წესით ვერ უნდა მოგვესწრო ჯესის პასპორტისა და პირადობის გაკეთება გამგზავრებამდე, რომ მოგვესწრო მანილას შტატის დროული ვადით დატოვება, მაგრამ გავაკეთეთ. მისი დაადებიდან სამი დღის შემდეგ საავადმყოფოშ წავედით, მანილაში გადასვლა გადავწყვიტეთ და თხუთმეტი წუთი გავატარეთ აშშ-ს საელჩოში. ჩვენ ვიყავით დღის უკანასკნელი მომხმარებლები. მესამე: ჩვენ წესით ვერ უნდა ვყოფილიყავით ექიმის კაბინეტში, მიჩიგანში, მაგრამ ვიყავით. არაფერი საეჭვო არ შეგვიმჩნევია მაგრამ გვინდოდა კარგი გამოკვლევა გაგვეკეთებინა ბავშვისთვის, სანამ ველზე დავბრუნდებოდით. მეოთხე: როცა უკვე ქურთუკებს ვიცვამდით და ექიმის კაბინეტიდან გამოვდიოდით, ჩვენმა პედიატრმა ბოლოჯერ შეხედა ჯესის თვალებში და სწორედ ამ შეხედვამ იხსნა მისი სიცოცხლე, რადგან თუ ფილიპინებზე დაავადების დამარცხების გარეშე დავბრუნდებოდით, ჯესი აუცილებლად მოკვდებოდა.

ოქტომბრის ერთ დღეს, როცა მანქანაში ვისხედით და გზად მივდიოდით, ღმერთმა თვალები აგვიხილა, რათა დაგვენახა ყველა კულისებს მიღმა დამალული სცენა,

ჩვენი ცხოვრების დეტალური მართვა და აგრეთვე მისი ყოვლისმომცველი ძალის, უზრუნველყოფის და ზრუნვის მშვენიერება. ჩვენი ნდობა ეფუძნება არა ჩვენს უნარს ვაკონტროლოთ და

მანიპულირება გავუწიოთ ღმერთს, არამედ მის ძალას, რომელიც ჩვენი ცხოვრების ყოელ გარემოებას მისი სიყვარულით აღსავსე, მზრუნველ და სუვერენულ ნებას უქვემდებარებს.

7) აყვავების თეოლოგია ზოგჯერ ამრუდებს რწმენის მნიშვნელობას.

იაკობმა შემოგვთავაზა მშვენიერი მოქმედების გზა ეკლესისთვის:

> „ არის თქვენს შორის ვინმე ავად? მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი და ილოცონ მას ზედა და ნელსაცხებელი სცხონ უფლის სახელით. და რწმენის ლოცვა გდაარჩენს ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს.“[598]

ერთ შუადღით, როცა რამოდენიმე პასტორთან ერთად ლაშქრობაში ვიყავი ერთ-ერთ სოფელში, მძიმედ ავადმყოფი ბავშვი მოიყვანეს, რათა გველოცა მისთვის. ეს ბავშვი ორი კვირა ებრძოდა ავადმყოფობას, თუ სწორად მახსოვს. და როცა აცრემლებული დედის ნაამბობი მოვისმინეთ, ჩვენი გულები აავსო ღვთიურმა თანაგრძნობამ. და მახსოვს, როდესაც ბავშვს ხელები დავასხით, და ვლოცულობდით მისთვის, სულიწმინდა გვემოწმებოდა, რომ მისი ნება იყო ამ ბავშვის განკურნება. რთული არ იყო ლოცვა, ბუნებრივად გამოგვდიოდა. ჩვენ არ ვაკისრებდით ჩვენს ნებას ღმერთს, არამედ უფრო ვგრძნობდით, რომ ჩვენ მისი ინსტრუმენტები ვიყავით. დარწმნება განკურნებაში და გაბედულება, რომ ის გვეთხოვა, მოხდა არა ჩვენი განზრავით, არამედ მისი ნებითა და მადლით. მეორე დღეს, როდესაც დავბრუნდით ამ სოფეში, ბავშვი სრულიად გამოჯანმრთელებული იყო, როგორც ველოდით. მე მჯერა, რომ ეს არის რწმენის ლოცვა რასაც იაკობ მოციქული თავის წერილში გულისხმობს.

რწმენა უბრალოდ მინდობაა. როცა ღმერთის შვილები საკუთარ გზას ითხოვენ, ეს უკვე აღარ არის ნდობა. ნდობა დაჯერებაა იმის, რომ ღმერთს შეუძლია და გააკეთებს კიდეც, ყველაფერს, რის გაკეთებასაც თავადვე მოისურვებს.

ფიზიკური ტკივილები ხშრად გვეხმარება, რომ გავიზარდოთ ნდობაში. ჰენრი ფროსტი წერს:

> ჩემთვის ეს ნეტარი გამოცდილებაა: თუ ავადმყოფობა შემოვიდა ჩემში. რათა სრულად გადავცე თავი მის განკარგულებაში, როგორც ავადმყოფობის, ისევე ჯანმრთელობის ჟამს; რომ ვკითხო რა სურს რომ გავაკეთო, რათა განვიკურნო, ვკითხო, თუ ამას გარემოებები მიანიშნებს, ის სასწაულად განმკურნავს; ვეძიო ასეთი განკურნების არარსებობა, ვიცოდე მისი აზრი რაიმე სხვა სახის განკურნებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ დავთანხმდე ღმერთის ნებას, რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს ის, მაგრამ არა მხოლოდ მორჩილებით, არამედ რწმენით და განდიდებით.[599]

> *ერთად განიხილეთ აყვავების თეოლოგიის ეს შვიდი შეცდომა. ეს შეცდომები აშკარად ჩანს ეკლესიებში და თქვენს ნაცნობ ქრისტიანებში? რა შედეგები მოაქვს ამ შეცდომების დაჯერებას? ნუ მოგერიდებათ ასევე გაუზიაროთ განკურნების და გადარჩენის ისტორიები.*

---

[598] იაკობი 5:15

[599] Frost, 110

დასკვნა

ტანჯვა არის იარაღი კეთილი და მოსიყვარულე ღმერთის ხელში. მიიღე ეს. ამით ის მე და შენ გარდაგვსახავს მისი ძის მსგავსებაში. ამის გახსენება მშვიდობას მოუტანს ჩვენს გულებს და დააჩქარებს ჩვენს გარდაქმნას.

> ერთი ხის ნაჭერი მწარედ უჩიოდა თავის პატრონს, რადგან იგი მას ჭრიდა და ხვრელებით ავსებდა, მაგრამ მას, ვინც ამას აკეთებდა, საერთოდ არ მიუქცვია ყურადღება მისი ჩივილისთვის, რადგან იგი მისგან სალამურს აკეთებდა...[600]

დავალებები შემდეგი გაკვეთილისთვის

1. ამ კვირაში მინიმუმ ოცდაათი წუთი დაუთმეთ ამ გაკვეთილის გადახედვას, მათ შორის გადახედეთ მითიტებულ ადგილებს წმიდა წერილიდან, სთხოვეთ სულიწმინდას, რომ წგიძღვეთ სიღრმეებში/გამოცხადება მოგცეთ.
2. თქვენს დღიურში მოინიშნეთ, ცალკეული ცვლილებები, რასაც უფალი გაგიცხადებთ, რომ უნდა განახორციელოთ თქვენს ცხოვრბაში.
3. იფიქრეთ მინიმუმ ერთ ფსალმუნზე ყოველდღიურად გამოყოფილი დროის მანძილზე და ჩაიწერეთ დღიურში, რასაც მეფსალმუნე ღვთის ბუნებასა და ხასიათზე ამბობს.
4. ჩაიწერეთ პირადი ლოცვა სულიერი ტრანსფორმაციისა და ზრდისთვის, ამ გაკვეთილზე დაყრდნობით.
5. გამოიყენეთ ყოველდღიური პირადი ლოცვის დროს დოქტორ ბრაუნის ყოველდღიური ლოცვის სახელმძღვანელო.

ჩავუღრმავდეთ

- უყურეთ ვიდეო გზავნილს ჯონი ერიკსონ ტადასგან https://youtu.be/4fzY0uj9q6k.

[600] ციტირება M.R. Dehaan, Broken Things, ჩარლზ სვინდოლისგ (Charles Swindoll) ან, საყვარელი მოთხრობები და ილუსტრაციები (Favorite Stories and Illustrations), (ფილიპინები, OMF Literature, 1998) 547

ტესტი 13 გაკვეთილისთვის

1. მოიყვანეთვმაგალითი წმიდა წერილიდან, რომ ტანჯვა ღვთის ნების ნაწილია ქრისტიანისთვის

2. რა არის ის ორი თვალი/ლინზა, რისი მეშვეობითაც ქრიტიანი უნდა უყურებდეს სამყაროს?

3. სახარების რომელი მონაკვეთი გვასწავლს, რომ იესო არის ჩვენი მაგალითი ტანჯვაში?

4. რომელი მონაკვეთი გვასწავლის, რომ მთელი ქმნილება ოხრავს და იტანჯება?

5. რომაელთა 8:28-29-ის თანახმად, ღმერთი ყოველივე სასიკეთოს უმზადებს თავის მოყვარულებს. რა არის მისი საბოლოო მიზანი? „რომ ჩვენ_____ ვიყოთ მისი _____ ის _____.“

6. რა არის ტანჯვის შვიდი უპირატესობიდან სამი, რომელიც აღნიშნულია ამ გაკვეთილში?

7. თქვენი სიტყვებით ახსენით აყვავების თეორიის ორი შეცდომა მაინც.

გაკვეთილი 14

ფორმირება ქრისტიანული თემის/ეკლესიის მეშვეობით

გაკვეთილის მიმოხილვა

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა

1. ისწავლოს ეკლესიის, ქრისტეს თემის/მრევლის დაფასება.
2. გაიგოს რამდენად მნიშვნელოვანია ქრისტიანული თემი სულიერი ზრდისთვის
3. აიღებს ვალდებულებას უფრო დიდი მონაწილეობა მიიღოს ეკლესიის საქმიანობაში.

ცხოვრებისეული მომენტები

- გრაცია, ლათინო ამერიკელი ახალგაზრდა ქალბატონი, გარკვეულწილად შეირყა და ცინიკური გახდა, როცა დიდი ტკივილი განიცადა ეკლესიაში მყოფი „ფარისევლებისგან“. ის სირთულეებს განიცდიდა, რადგან აღარ შეუძლია ვინმეს ნდობა. და თუმცა კვლავ ესწრება კვირაში ერთხელ მსახურებას, თითქმის არ აქვს ურთიერთობა ეკლესიის რომელიმე წევრთან. ის ფიქრობს, რომ მისი პირადი ურთიერთოა ღმერთთან სრულიად საკმარისია.
- ევანი, ბიზნესმენი აზიაში, ესწრება განდიდების მსახურებას თავის ქალაქში, თუმცა თვლის, რომ იგი ზედმეტად დაკავებულია იმისთვის, რომ თავად იმსახუროს ეკლესიაში. ის დებს მეათედს, თუმცა ამის იქით არაფერს აკეთებს. ის თავისი ეკლესიის წევრებსაც კი ვერ სცნობს ნორმალურად.
- აკაჩი მოთხოვნადი ევანგელისტია აფრიკაში, რომელიც ყოველთვის გასცემს, თუმცა იშვიათად იღებს ზეციური ოჯახიდან მადლს. ის გახდა მარტოსული და სულიერად დასუსტდა, რადგა არ აძლევს სხვა ქრისტიანებს უფლებას ილაპარაკონ მის ცხოვფრებაში, ან მისცენ რაიმე სახის რჩევა.
- ჯიმი და ლიზა, ჩრდილო ამერიკელები არიან, რომლებმაც ბოლო ათწლეულში რამოდენიმე ეკლესია გამოიცვალეს, თუმცა ჯერაც ვერ იპოვეს ის ერთი, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. ამიტომ მათ არც ერთი ეკლესიისადმი არ მიუძღვნიათ თავი. მათ კარგად ეხერხებათ საკუთარი უკმაყოფილების და „შენიშვნების“ გამოხატვა ეკლესიაში, თუმცა არასოდეს უცდიათ მოხალისედ მონაწილეობა რაიმე საქმეში და არასოდეს დასწრებიან საოჯახოებს. ისინი ვერც კი აცნობიერებენ რამდენს კარგავენ ამით!

- ❖ ახალი აღთქმის ქრისტიანები: „ ყოველდღე გამუდმებით, ერთსულოვნად ტაძარში იყვნენ, და კარდაკარ ტეხდნენ პურს, ღებულობდნენ საკვებს მხიარულებით და გულუბრალოებით. აქებდნენ ღმერთს და მთელი ხალხის სიყვარულს იხვეჭდნენ.“[601]

თუმცა ბოლოს გარდა, ყველა ზემოთმოყვანილი ამბავი გამოგონილია, ისინი აღწერენ დამოკიდებულებას, რომელის ქრისტიანებს აქვთ ეკლესიის მიმართ. მთელს მსოფლიოში დიდი რაოდენობის მორწმუნეა, რომლებიც არ არიან ქრისტეს სხეულის სხვა წევრებთან ღრმა, გააზრებულ და გარდამქმნელ კავშირში.

❑ როგორ ფიქრობთ, რატომ აკლია ამდენ ქრისტიანს ღვთის ოჯახში მონაწილეობა? რა როლს თამაშობს აქ სიზარმაცე? ან გულგრილობა? ან ეგოიზმი? ან შიში? რატომ ეშინიათ ქრისტიანებს ზოგჯერ ღრმა ურთიერთობის დამყარება სხვა ქრისტიანებთან?

ძირითადი აზრი

ამ გაკვეთილის მთავარი აზრი ისაა, რომ სულიწმინდა გვაყალიბებს ქრისტეს ხატებაში, როცა ვმონაწილეობთ და ვართ ქრისტიანულ ერთობაში. ეს ჭეშმარიტება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია! ეს ჭეშმარიტება არ გაუქმდება, თუ სულიერად მოვმწიფდებით. ღმერთის მიზანი ყოველი ქრისტიანული ეკლესიისთვის არის ის, რომ უზრუნველყოს მიღების, აღშენებლობის, ანგარიშვალდებულების და აქტიური მსახურების შესაძლებლობები სულიერი ზრდისთვის.

ამ გაკვეთილში ჩვენ გავეცნობით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკლესიის ცხოვრებაში მონაწილეობა და მიძღვნა განდიდებაში, მსახურებაში, გაყოლაში, დამოწაფებაში, ლოცვით შეხკრებებში და მრავალ სხვა რამეში. ჩვენ გამოვიკვლევთ ძალაუფლებას, რომელიც ქრისტიანულ გაერთიანებაში მონაწილეობას გააჩნია, რათა გარდავისახოს იესოს ხატებასა და მსგავსებაში.

- ❑წაიკითხეთ ერთად ეფესელთა 4:11-13 და რომაელთა 12:4-16 ამ მუხლებიდან გამომდინარე რითი შეგვიძლია ვემსახუროთ ერთმანეთს, როგორც მორწმუნეებმა? რა არის საბოლოო მიზანი ეფესელთა 4:13-ის თანახმად?

ძალიან მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, რომ ყველაფერის საბოლოო მიზანი, რასაც ერთმანეთის სიყვარულითა და მომსახურებით ვაკეთებთ, არის ერთურთის აღმშენებლობა, ნელ-ნელა,

რა არის ეკლესია? მე და შენ გამოსყიდულნი ვართ იესო ქრისტეს ძვირფასი სისხლით და მოვინათლეთ სულიწმინდის მიერ ქრისტეს ეკლესიად, რომელიც მისი სხეული, საპატარძლო და მისი ტაძარია, მისი გამოსყიდული ოჯახი! ერთად, ჩვენ ეკლესია ვართ! ეკლესია არ არის შენობა, ეკლესია შენ თავად ხარ! ეს ჩვენ ვართ. ჩვენი ქმრები/ცოლები, შვილები, მეგობრები არის ეკლესია. მოდით ნუ განვიხილავთ ეკლესიას, როგორც ადგილს, სადაც კვირა დღეს მსახურებაზე მივდივართ, ან ხალხად, რომელთაც კვირა დღეს ვნხულობთ. ყველა გამოსყიდული ქრისტეს სისხლით, მისი მსოფლიო/საყოველთაო ეკლესიის ნაწილია, და ერთმანეთთან კავშრი, აღსაშენებლად, უმნიშვნელოვანესია სულიერი სიმწიფისათვის.

[601] საქმეები 2:46-47

თითოეული ჩვენგანი უფრო და უფრო მეტად ემსგავსებოდეს და ატარებდეს სრულყოფილი მაცხოვრის სახეს(ეფესელთა4). თუ ეს ჭეშმარიტება იქნება ჩვენს გულებში, ყველაზე უმნიშვნელო მოქმედებასაც კი მნიშნელობას მივანიჭებ.

გაკვეთილი

რატომ არის ქრისტიანულ ერთობაში მონაწილეობა ასეთი მნიშვნელვანი? აქ არის რამოდენიმე მიზეზი:

1. **ღმერთმა შეგვქმნა საზოგადოების ნაწილად.**

ჩვენ შექმნილნი ვართ სამპიროვანი ღმერთის ხატად. (მამა, ძე და სულიწმინდა) სამების სამი პიროვნება, მუდმივ ახლო, მხიარულ, ჰარმონიულ ურთიერთობაში არიან. ჩვენც იგივე შესაძლებლობითა და საჭიროებით ვართ შექმნილნი. ჩვენ მოზიარეობისთვის, ერთმანეთისთვის ვართ შექმნილნი, ღრმა და გააზრებული სულიერი ურთიერთობისთვის.[602] როდესაც ურთიერთობა და თანამონაწილეობა გამორიცხულია ჩვენი სულიერი ცხოვრებიდან, ვსუსტებით, ჩვენ ვხდებით უფრო ეგოისტები, დაუცველნი ცოდვის წინაშე, დაუცველნი მტრის თავდასხმების წინაშე, მარტოსულნი, გატეხილნი, სულიერად და ფიზიკურად დეფორმირებულნი. დოქტორი დენის კინლოუ ასეთ რაღაცას წერს: „ ადამიანი ვერ აცნობიერებს, რამდენადაა მიდრეკილი ეგოცენტრულობისკენ, სანამ ის იზოლაციში იმყოფება. საჭიროა თემთან მოზიარეობაში ცხოვრება, რათა მან აღმოაჩინოს პრობლემები, რომლებიც ფესვგადგმულია მის შინაგანში.“[603]

იზოლაცია სატანის სტრატეგიაა. წმინდა წერილში იგი შედარებულია მბრდღვინავ ლომს, რომელიც ეძებს ვინ ჩაყლაპოს.[604] ვინც აფრიკაში ცხოვრობენ, კარგად იციან როგორ ნადირობს ლომი თავის ამორჩეულ მსხვერპლზე. იგი მიჰყვება ჯოგს იქამდე, სანამ მას არ ჩამორჩება ერთი, რომელიც დანარჩენებისგან იზოლირებული, გამოყოფილი გახდება. შემდეგ კი მხოლოდ დროის საკითხია, სანამ ლომი გააკეთებს თავის ნახტომს და მსხვერპლს გაგლიჯავს.

> ადამიანი ვერ აცნობიერებს ამ ეგოცენტრისტულ გადახრას, სანამ ის ცხოვრობს იზოლირებულად. იმისათვის, რომ გააცნობიერო პრობლემები საკუთარ სულში. საჭიროა იცხოვრო

ღმერთმა ქვეყნიერების დაარსებამდე გადაწყვიტა ხალხის მცირე თემებში დანაწილება, რომელთაც ოჯახებს უწოდებენ. ახალშობილებს, ბავშვებს, მოზარდებს, საშუალო ასაკისებს და შუახნისებსაც კი სჭირდებათ ოჯახი, რომლის წევრებიც იქნებიან. წარმოიდგინეთ ახალშობილი, რომელიც დაბადებისთანავე მიატოვა დედამ. ის აუცილებლად დაიღუპება, რადგან არ შეუძლია თავისით კვება და გათბობა. წარმოიდგინეთ ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ვერ ტკბებიან კომფორტით, არ აქვთ მშობლების წინამძღოლობა, დისციპლინა და რჩევა-დარიგებები. ისინი

[602] ახალ აღთქმაში 50-ზე მეტჯერ გამეორებული ფრაზა.
[603] დენის კინლავი (Dennis Kinlaw), ქრისტეს გონება (The Mind of Christ), (Wilmore: The Francis Asbury Society, 1998), 65.
[604] 1პეტრე 5:8

აუცილებლად დაიტანჯებიან. წარმოიდგინეთ მოხუცები, რომელთაც არავინ ჰყავთ, ვინც მათზე იზრუნებს. ისინი სიცოცხლს აუცილებლად სევდიანად დაასრულებენ.

არ აქვს მნიშვნელობა ცხოვრების რომელ ეტაპზე იმყოფებით ახლა, თქვენ ყველა შემთხვევაში გჭირდებათ ოჯახი. თუ ჯანმრთელი მიწიერი ოჯახი არ გქონიათ, დიდი შანსია, რომ მთელი ძალით ცდილობდით გამხდარიყავით სულიერად, ემოციურად და სოციალურად ჯანმრთელი ქრისტიანი. ღმერთმა შენთვის კიდევ ერთი ოჯახი შექმნა. ეს არის ღმერთის ოჯახი!

საზოგადოებაში გაერთიანების და მონაწილეობის სჭიროება, მკაფიოდ იკვეთება ახალი აღთქმის წიგნებში. ისინი ცხადად გვამცნობენ, რომ ჩვენ არ შევქმნილვართ დამოუკიდებელი, იზოლირებული ცხოვრებითვის. ახალ აღთქმაში დაახლოებით ორმოცდათხუთმეტჯერ არის ნახსენები „ ერთმანეთი“, რაც მოწმობს, თუ როგორი მნიშვნელობა მიანიჭა ღმერთმა სულიერ მოზიარეობას. ამ ორმოცდათხუთმეტიდან, ოცი გვავალებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი. მაგრამ სხვაც ბევრია ამისთანა:

- მშვიდობა იქონიეთ ერთმანეთთან (მარკ.9:50)
- დაბანეთ ერთმანეთს ფეხები (იოან.13:14)
- გიყვარდეთ ერთმანეთი (იოან.13:34)
- პატივისცემაში ერთმანეთს დაასწარით (რომ.12:10)
- ერთსულოვნება იქონიეთ ერთმანეთში (რომ.12:16)
- ნუღარ გავასამართლებთ ერთმანეთს (რომ.14:13)
- მიიღეთ ერთმანეთი (რომ.15:7)
- დაარიგეთ ერთმანეთი (რომ. 15:14)
- დაელოდეთ ერთმანეთს (1 კორ. 11:33)
- იზრუნეთ ერთმანეთზე (1 კორ. 12:25)
- მოემსახურეთ ერთმანეთს (გალატელთა 5:13)
- შეიწყნარეთ ერთმანეთი (ეფესელთა 4:2)
- იყავით კეთილნი ერთმანეთის მიმართ (ეფესელთა 4:32)
- ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნებით და გალობით (ეფესელთა 5:19)
- მიუტევეთ ერთმანეთს (კოლ.3:13)
- ასწავლეთ და შთააგონეთ ერთმანეთი ფსალმუნებით (კოლ.3:16)
- ანუგეშეთ ერთმანეთი (1 თეს. 4:18)

- აღაშენეთ ერთმანეთი (1 თეს. 5:11)
- აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე (იაკ.5:16)
- ილოცეთ ერთმანეთისთვის (იაკ.5:16)
- თანაუგრძენით ერთმანეთს (1პეტ. 3:8)
- იყავით ერთმანეთის მიმართ სტუმართმოყვარენი (1 პეტ. 4:9)
- დაემორჩილეთ ერთმანეთს (1 პეტ.5:5)
- მოზიარეობა იქონიეთ ერთმანეთთან (1 იოან. 1:7)

ქრისტიანობა დაფუძნებულია ოჯახზე! ჩვენ ურთიერთდამოკიდებული, დაკავშირებული ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ იმდენად უნდა ვიყოთ დაკვშირებულნი სხვა ქრისტიანებთან სულერად და ემოციურად , რომ როდესაც ისინი ტირიან, ჩვენც ვტიროდეთ, როცა მათ უხარიათ, ჩვენც გვიხაროდეს.[605] და როდესაც ძმას ან დას დავინახავთ შიშველს, გაჭრვებულს ან მშიერს, ყველაფერი გავაკეთოთ რაც შეგვიძლია, რომ მათი საჭიროება დავაკმაყოფილოთ.[606] იაკობის წერილის თანახმად, სწორედ ეს არის ნამდვილი ქრისტიანობა.

2. **იესო მოვიდა, რათა ჩამოაყალიბოს ერთობა და არა დაიხსნას ცალკეული ინდივიდები.**

ეჭვგარეშეა, რომ მიზეზი, რატომაც ძალიან ბევრი ქრისტიანი არ მონაწილეობს სხვა მორწმუნეებთან ერთად გალობაში, საჭიროებათა გაზიარებაში, ერთად სუფრასთან მოზიარეობაში, ცოდვების აღიარებაში, სულიერ ურთიერთობასა და ლოცვებში არის ის, რომ მათ არასოდეს გაუგიათ რეალურად ეკლესიის ღირებულება-ეკლესიის ფასი.

A. იესო აშენებს თავის ეკლესიას

თუ გამოკითხვას ჩაატარებთ ეკლესიაში, თუ რატომ ეტანჯა და მოკვდა იესო, უმრავლესობა გაგცემთ ასეთ პასუხს: „ მან ეს ჩემი ხსნისთვის გააკეთა“, „რათა მქონდეს პირადი ურთიერთობა მასთან“. ეს პასუხი რაღაც მხრივ შეიცავს ჭეშმარიტებას, თუმცა არ არის სრული ჭეშმარიტება. იესო სრულ ჭეშმარიტებას აცხადებს მათეს 16:18-ში : „ მე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ჯოჯოხეთიც ბჭენი ვერ დაძლევენ მას.“ სიტყვა „ეკლესია“ ნიშნავს საგანგებოდ დაბარებულ საზოგადოებას, ან შეკრებას. ჩვენ ერთად შევადგენთ ამ ეკლესიას. იესო მოვიდა და გამოგვიხმო ქვეყნიერებიდან და ცოდვიდან, რათა რათა გავეერთიანებინეთ ღმერთთან და ერთმანეთთან. „რათა ყველა ერთი იყო, როგორც შენ ჩემში მამაო, მე კი შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს ქვეყნიერებამ, რომ შენ მე წარმომგზავნე.“[607]

ისე მოქმედება ან იმის თქმა, რომ ჩვენ არ გვჭირდება ეკლესია ან ერთმანეთი, შეურაცხყოფს ქრისტეს გეგმას და ჩანაფიქრს. გააკრიტიკო, თუნდაც პატარა ნაწილი ქრისტეს გლობალური ეკლესიის,

[605] რომაელთა 12:15
[606] იაკობი 2:15
[607] იოანე 17:21

ლოცვის, სიყვარულის და მასზე ზრუნვის გარეშე, ნიშნავს ფეხქვეშ გათელო ქრისტესთვის ყველაზე ძვირფასი კუთვნილება და მისთვის გაღებული დიადი მსხვერპლი!

B. ეკლესია ქრისტეს ძვირფასი საპატარძლოა

ეკლესია მოხსენიებულია, როგორც „ქრისტეს საპატარძო". ერთად ჩვენ ვართ ქრისტეს საპატარძო, ვისთვისაც მან თავი შესწირა. „რათა წმინდაჰყოს იგი წყალში განბაით განწმინდოს სიტყვის საშუალებით, რათა პატივისცემით წარიდგინოს თავისთვის დიდებულ ეკლესიად, რომელშიც არ არის ლაქა ან მანკი, ან რაიმე მსგავსი, არამედ იმისათვის, რომ იგი იყოს წმინდა და უბიწო."[608] ფრთხილად იყავით, როცა ქრისტეს საპატარძლოზე საუბრობთ, რადგან ნებისმიერი საქმრო საკმაოდ გაბრაზდება, როცა თავის საცოლეზე აუგს მოისმენს ან დაცინვას, ან რაიმე ამის მსგავსს.

ახლა კი წარმოიდგინეთ რამდენად მტკივნეულია იესოსითვის, როცა ჩვენ ქრისტიანობაზე ვდებთ თავს და მისი საპატარძლოს ნაკლოვანებებსა და შეცომებზე ვსაუბრობთ განუწყვეტლივ. იმ საპატარძლოზე, ვისთვისაც მან საკუთარი, ძვირფასი სისხლი დაღვარა. - ჩვენ კი თავს ვიმართლებთ და საბაბს ვეძებთ, თუ რატომ არ შეგვიძლია ჩვენი დრო და რესურსი დავუთმოთ, რომ ის სულიერად უფრო ლამაზი გავხადოთ!

C. ეკლესია არის ოჯახი, რომელსაც ქრისტეს სახელი ჰქვია.

პავლე ამბობს : „ამისათვის ვიდრეკ მუხლს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამის წინაშე, ვისგანაც იწოდება ყოველი მამობა ცაში და ქვეყანაზე."[609] ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის სიყვარული და დაფასება, როგორც ოჯახის. და აუცილებლად ყურადღებით უნდა ვიყოთ, როცა ვეხებით ქრისტეს ოჯახს!

D. ეკლესია არის ქრისტეს სხეული, რომელიც შედგება ერთმანეთზე დამოკიდბული მრავალი სხვადასხვა ნიჭისგან.[610]

ჩვენ უნდა გავზარდოთ დაფასება და მადლიერება ღმერთის მიმართ, მისგან ბოძებული მრავალი სხვადასხვა ნიჭისთვის, და არ გავანადგუროთ ერთმანეთი, არამედ მსხვერპლი გავწიოთ , რათა სიმწიფემდე მივიყვანოთ ერთურთი.[611]

E. ეკლესია არის ტაძარი, სადაც მკვიდრობს სულიწმინდა[612] და რომელიც აშენებულია იესოს მიერ ცოცხალი ქვებით-ქრისტიანებით.

„ თქვენც აშენდით ცოცხალ ქვებივით სულიერ სახლად, წმინდა სამღვდელოებად, სულიერ მსხვერპლთა შესაწირავად, სასურველად ღმერთისა, იესო ქრისტეს მეშვეობით."[613] როგორც ცოცხალი ქვები, რომლითაც იესო აშენებს სულიერ საკურთხეველს, ჩვენ ერთმანეთზე

---

[608] ეფესელთა 5:26-27
[609] ეფესელთა 3:14-15
[610] 1კორინთელთა 12:12-27
[611] კოლასელთა 1:28-29
[612] 1კორინთელთა 3:16
[613] 1პეტრე 2:2

ურთიერთდაკავშირებულნი და მოკიდებულნი ვართ. „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, მეფური სამღვდელოება, წმინდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა აუწყოთ სათნოებანი სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისაკენ თქვენი მომწოდებლისა“[614] ეს იმაზე დიდებული და ღრმა გამოცხადებაა, ვიდრე ამის გააზრებას შევძლებთ!

მაშ როგორ შეგვიძლია ერთმანეთთან დაშორება და ღმერთთან საკუთარ, კერძო კუთხეში გასვლა? არ შეგვიძლია! ჩვენ უნდა ჩავერთოთ მშენებლობის პროცესში, ჩავდოთ ინვესტიცია სხვა „ცოცხალ ქვებში“, რომ ჩვენ ყველა, ერთად გავხდეთ ღვთის ტაძარი, რომელიც ღვთითაა სავსე.

ეკლესიის ასეთმა განმარტებამ დიდი გარდატეხა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. ბიბლიის სკოლა 1993 წელს დავამთავრე და სამი კვირის შემდეგ გავხდი პატარა ეკლესიის პასტორი. დასაწყისში მე ძალიან გამიჭირდა დამეფასებინა ის ეკლესია, რომელშიც ღმერთმა განმაწესა, რადგან ძირითადად ვუყურებდი მის ნაკლებს. 1996 წელს, ქალაქში ერთ, ცივ, თოვლიან ღამეს გავლისას, ჯონ მაკარტურის რადიო ქადაგებას ვუსმენდი და ამ დროს ეკლესია დავინახე ისე, როგოც არასდროს მანამდე. მის სიტყვას ჰქონდა ასეთი სათაური:

„რატომ მიყვარს ეკლესია“ და მისი ამ სწავლების დროს, მეც დავიწყე ჩემი ეკლესიის შეყვარება! მე ვტიროდი სიხარულისგან, რადგან სულიწმინდამ თვალი ამიხილა, რათა ღმერთის დიდებული გეგმა დამენახა ეკლესიისთვის. მოდით ჯონის სწავლების მცირე მონაკვეთი განვიხილოთ:

> სამების საიდუმლოში, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ [დიდებული]და განუსაზღვრელი სიყვარული და პატივისცემა სამების წევრებს შორის. ეს სყვარული გაოხატვას საჭიროებს. ნამდვილი სიყვარული ყოველთვის ცდილობს გასცეს უანგაროდ. თავისი ძისადმი სრულყოფილი სიყვარულის დემონსტრირებისთვის, მამამ შვილს აღუთქვა პირობა, იგი მას გამოსყიდულ ხალხს დაჰპირდა-გამართლებულ, განწმნდილ და განდიდებულ ხალხს. ის აგრეთვე დაჰპირდა, რომ ამ გამოსყიდულ ხალხს მიიყვანს დიდებამდე, იქ სადაც მამა და ძე მკვიდრობენ საუკუნეთა და დროთა უწინ. და ეს მოწოდებული ხალხი თავისი სახელისთვის (საქმ.15:14) ყველა ტომიდან, ხალხიდან, ერიდან და ყველა ენისა (გამოცხადება 13:7), რომლებიც აყალიბებენ ცოცხალ ტაძარს სულიწმინდისთვის, რომელიც გახდება სწორედ ის ადგილი, სადაც ღმერთი დამკვიდრდება.
>
> ღმერთის მარადიული განზრახვის სრული მნიშნელობა ცხადი ხდება, რადგან ეს გადმოცემულია გამოცხადების წიგნში. გამოცხადების წიგნში ერთგვარად თვალს შევავლებთ სამოთხეს და რას ფიქრობთ, რას აკეთებს იქ ტრიუმფატორი ეკლესია? რითი არიან დაკავებულნი განდიდებული წმინდანები მთელი მარადისობა? ისინი აქებენ და განადიდებენ კრავს და მეტიც- იმეფებენ მასთან ერთად უკუნითი-უკუნისამდე. (გამოცხ.22:3-5) ეს ქრისტეს კოლექტიური სხეული გამოსახულია, როგორც მისი საცოლე, წმიდა, უბიწო, წმინდა ბისონში გამოწყობილი (გამოცხ.19:7-8). ისინი დამკვიდრდებიან მასთან ერთად სამუდამოდ, სადაც აღარ იქნება სიბნელე, ცრემლი სიკვდილი, გლოვა, გოდება, ტკივილი (21:4). ისინი სამუდამოდ

[614] 1პეტრე 2:9

განადიდებენ და მოემსახურებიან კრავს. ეს არის ღმერთის სრულყოფილი განზრახვა, რაც ხსნის თუ რატომაა ეკლესია მამის საჩუქარი ძისადმი.[615]

და აი ამ თოვლიან ღამეს, მე გავიაზრე, რომ მადლის მეშვეობით, მე გავხდი იმ რაღაცის ნაწილი, რაც ბევრად უფრო გასაოცარია, ვიდრე ოდესმე წარმომედგინა! ქრისტეს საცოლე მამის სიყვარულის საჩუქარია ძისთვის! მე ვიგრძენი მსჯავრდადება ჩემს გულში, რადგან არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ნაკლი აქვს ჩემს ადგილობრივ ეკლესიას, რამდენად მშრალია ქადაგება, რამდენად უბრალოა მუსიკა, რამდენად უემოციოა მოზიარეობა, რამდენად ხორციელი ხალხი დადის, მე უნდა მიყვარდეს ჩემი ეკლესია!

❓ როგორ დაგეხმარათ ეს სწავლება, რომ სხვაგვარად იფიქროთ ეკლესიაზე?

3. **სულიწმინდის ძალა გამონთავსუფლდება იმ ქრიტიანებზე, რომლებიც მონაწილეობენ სულიერ ერთობაში.**

ყოველ ჯერზე, როცა ჩვენ ვკითხულობთ ახალ აღთქმაში სულიწმინდის ძალის გამოვლინებაზე, ეს ხდებოდა მაშნ, როცა მოწაფეების გარკვეული ჯგუფი იკრიბებოდა ერთად, და ერთობლივი ძალებით ლოცულობდნენ. სულთმოფენობის დღეს „ყველა ისინი ერთსულოვნად გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ დედაკაცებთან ერთად... და ყველა აღივსნენ სულიწმინდით...“[616]

სულიწმიდა გადმოღვრილ იქნა ჯგუფზე და არა ცალკეულ პიროვნებაზე. რათქმაუნდა, ვიცით, რომ სულიწმიდა ცალკეულ პიროვნებებსაც ავსებს, მაგრამ არის რაღაც უნიკალური და მშვენიერი, რაც ხდება მაშინ, როცა მორწმუნეები ერთად იკრიბებიან სიყვარულით და გაერთიანებული ძალებით ლოცულობენ.

მოგვიანებით, დევნის დიდი სტრესის ქვეშ, „როცა ლოცულობდნენ, შეიძრა ის ადგილი, სადაც ისინი იყვნენ შეკრებლნი და ყველანი აღივსნენ სულიწმინდით და გაბედულად ლაპარაკობდნენ ღმერთის სიტყვას“[617] თუ სულიწმინდის მეტი მოქმედება გინდათ იხილოთ თქვენს ცხოვრებაში სასოწარკვეთილების დროს, მაშინ ილოცეთ, თაყვანი ეცით და ემსახურეთ მას სხვა ქრისტიანებთან ერთად.

A. სასოწარკვეთილ ვითარებაში, ჩვენ გვჭირდება ქრისტიანული ერთობა.

როცა ჩვენს ოჯახს სასოწარკვეთილების მძიმე პერიოდი გვქონდა, ხშირად გამხდარა ქრისტეს სხეული ჩვენი თავშესაფარი, გამხნევების, რჩევის, და ძალის მისაღებად. ჩვენი ახალშბილი ვაჟის, ჯესის კიბოს დიგნოზით და ოთხი წლის მკურნალობის საშუაებით, მივმართეთ ქრისტეს სხეულს და გავიგეთ თუ რამდენად ძვირფასია ღვთის ოჯახი. ჩვენ მადლიერების სულით ვიყავით აღსავსე, მათი ლოცვების და ჩვენი ოჯახის საჭიროებათა გაზიარების მეშვეობით. როგორც მისიონერებმა, ჩვენ გამოვიარეთ მარტოობის, შიშის, ავადმყოფობის და სულიერი ბრძოლების, გაკოტრების პერიოდები,

[615] ჯონ მაკარტური (John MacArthur), ”რატომ მიყვარს ეკლესია”
[616] საქმეები 1:14, 2:1,4
[617] საქმეები 4:31

თუმცა ამ დროს ჩვენ ვიყავით აღსავსენი მშვიდობის, განკურნების, გამარჯვების სულით და გადავლახეთ კრიზისული პერიოდი ჩვენი სულიერი ოჯახის მეშვეობით. ეს გაკვეთილი არ არის უბრალოდ კარგი თეოლოგია, ეს არის პრაქტიკული ჭეშმარიტება ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის. არსებობს დიდი ძალა, რომელიც სულიწმინდის მიერ თავისუფლდება, როცა ეკლესია იკრიბება ერთსულოვნად.

ძალიან ბევრი ქრისტიანი დასუსტებული და დაუცველია საკუთარი ეგოისტური სურვილის-პირადი კომფორტის დაცვის გამო!

❓რატომ არის ზოგჯერ ქრისტიანებისთვის ასეთი რთული, რომ იყვნენ გახსნილნი თავიანთი საჭიროებების, შეცდომების, სულიერი ტვირთისა და წარუმატებლობის შესახებ? როგორ შეგვიძლია შევქმნათ ერთმანეთისთვის უფრო თბილი გარემო, რომ გახსნილნი ვიყოთ ერთმანეთის წინაშე?

B. სულიწმინდის მეშვეობით, ჩვენ ერთად გვაქვს უფლებამოსილება ვიყოთ ქრისტეს მოწმეები.

იესომ უთხრა თავის მოწაფეებს : „ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც მოვა სულიწმინდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი.“[618] ვფიქრობ, როდესაც წერილის ამ ადგილს ვკითხულობთ, ვიწყებთ ინდივიდუალურად საკუთარ თავზე ფიქრს, როგორ შეგვიძლია ვიყოთ იესოს მოწმენი, თუმცა როცა იესო ამ სიტყვებს ამბობდა, იგი ეუბნებოდა ამას ეკლესიას. ერთად ეკლესიას შეუძლია იყოს სულიწმინდით აღსავსე მოწმე!

[618] საქმეები 1:8

რა ხდება მაშინ, თუ ჩვენი ადგილობრივი ეკლესიის მეშვეობით ვერ განვიცდით სულიწმინდას?

მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, რომ ყველა ადგილობრივი ეკლესია არ არის ქრისტეს გლობალური, სულიერი ეკლესიის ნაწილი. არსებობენ „ეკლესიური გაერთიანებები“, რომელშიც სიკვდილი და ხრწნილება მკვიდრობს და რომელიც სულიწმინდამ დატოვა. ასეთ ეკლესიებში ჩვენ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა.

მოდით, აქვე ვაღიაროთ, რომ ყველა ჭეშმარიტი ეკლესია არ არის ერთნაირად ერთგული წმინდა წერილის მიმართ, ერთნაირად არ ანიჭებს ღმერთს უპირატესობას და ერთნაირად არ არიან აღვსილნი სულიწმინდით. ლოცვით უნდა გადაწყვიტოს და შეაფასოს ადამიანმა, რომელი ეკლესიაა მისთვის და მისი ოჯახისთვის ყველაზე ჯანსაღი, რომლის აქტიური წევრი და ერთგული იქნება ყველანაირ მდგომარეობაში. ასე ყალიბდება ჩვენში სულის ნაყოფები და ასე ფორმირდება ქრისტე ჩვენს გულებში!

მრავალი წლის წინ, ფილიპინებში, ჩვენი საზაფხულო ბიბლიური ბანაკის ერთ-ერთი ქადაგება იყო ძალიან იმედგამაცრუებელი. მქადაგებელი ქადაგება ძალიან უინტერესო, მშრალი და ძალის არმქონე იყო. დამსწრეებმა დაიწყეს ჩურჩული და წუწუნი, მაგრამ მე არასოდეს დამავწყდება თუ რა თქვა ჩვენმა ერთ-ერთმა პასტორმა, მსახურების შემდგომ ერთ-ერთი შეკრების დროს : „კარგით ძმებო-თქვა მან მთელი თავმდაბლობით-ეს არის ჩვენი შანსი, რომ უფრო ღრმად გავიზარდოთ სიყვარულში!“ ეს იყო მარტივი, ძლიერი სიტყვა ღმერთისგან ჩემს გულში, რადგან როცა ჩვენ თაყვანს ვცემთ ღმერთს, მივყვებით და ვემსახურებით სხვა მორწმუნეებთან ერთად, ყოველთვის იქნება იმედგაცრუების მომენტები, რომლებსაც ღმერთი იყენებს ჩვენს ასაშენებლად სიყვარულში.

ხშირად ვხვდები, რომ როდესაც ქრისტიანები საუბრობენ „მკვდარ ეკლესიაზე“, რეალურად საუბრობენ საკუთარ სიკვდილზე! ეს მახსენებს ერთ პასტორს, რომელიც იმდენად იმედგაცრუებული იყო საკუთარი ეკლესიით, რომ გაზეთში გამოაქვეყნა, რომ შემდეგ კვირას ექნებოდათ ეკლესიის დაკრძალვა. ცნობისმოყვარეობის გამო, შემდეგ კვირას ის ხალხი გამოჩნდა ეკლესიაში, რომელნიც დიდი ხანია არ ყოფილან. ეკლესია გადავსებული იყო და წინ კათედრასთან, იდგა დიდი კუბო.

პასტორმა მსახურება კუბოს თავის ახდით დაიწყო და მოუწოდა ყველას რიგრიგობით გამოსულიყვნენ წინ, რათა ეხილათ მკვდარი ეკლესია, და როდესაც ხალხმა ყუთში ჩაიხედეს, იქ სარკე დახვდათ და მასში საკუთარი თავი დაინახეს!

მორწმუნეებზე სულიწმიდის განსაკუთრებული გადმოღვრა ხდება სახარების გასავრცელებლად, როცა ამას ერთობლივად აკეთებენ. მე ვიხსენებ ეკლესიას მექსიკაში, რომელიც მრავალი დაგეგმვის, ლოცვისა და შესაწირავების საშუალებით, თავიანთ ქალაქში, წარმართულ თემებში მიდიან, რათა სახარება გაავრცელონ და ღარიბებს დაეხმარონ. ისინი ამას ყოველ კვირეულად და თვიურად აკეთებენ. ღმერთი კი ჩუქნის მათ მრავალ გადარჩენილთა სულებს. ასევე ვფიქრობ ერთ-ერთ ახალგაზრდულ ჯგუფზე მეხიკოში, რომელნიც მიდიან საავადმყოფოში ისოს სახელით და მიაქვთ საკვები ღარიბებთან, რომელთა ოჯახებსაც არ აქვთ მათზე ზრუნვის საშუალება. ერთად ეს ახალგაზრდები არიან იესოს მოწმეები, და სულიწმინდა იღვრება მათ მსახურებაზე.

სულების მოპოვება არ არის ცალკეული ქრისტიანის პასუხისმგებლობა, ის ჩვენია, ყველასი ერთად! თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ნიჭი, მოწმობა, მოწოდება. ჩვენ ყველას, რაღაც პატარა წვლილი გვაქვს მოწმობაში, თუმცა არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია ყველაფრის მარტო გაკეთება, რადგან ზოგი რგავს, ზოგი რწყავს, თუმცა ღმერთი ზრდის![619]

ამ კურსის პირველ გაკვეთილში, მე დავწერე ჩვენს მეზობლებზე, რომლებმაც მიიღეს ხსნა. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. ბოლო თვეების განმავლობაში დენი და კიმი განაგრძობენ ზრდას რწმენაში. მათ გარშმო ყველამ შენიშნა ეს და ისინი დიდ კურთხევად იქცნენ ჩვენი სამეზობლოსთვის.

სულ ცოტა ხნის წინ, კიმს ჰყავდა ერთი ურწმუნო მეგობარი, ჰეტი, რომელსაც იგი 40 წლის განმავლობაში იცნობს. ჰეტიმ თვთონ გამოთქვა ღმერთთან შერიგების სურვილი. ის არ იცნობდა ქრისტეს პირადად, მას წაკითხულო ჰქონდა სახარების მონაკვეთები. მას ძალიან რთული ცხოვრება ჰქონდა. ასე რომ, მე, ბეკი, დენი და კიმი წავედით მის სანახავად. როდესაც მე ვკითხე ჰეტის სულიერი საკითხების მიმართ მისი დაინტერესების მიზეზი, მან მიპასუხა : „ მე წლებია ვიცნობ დენს და კიმს, და წარმოუდგენელია მათი ასეთი ცვლილება.“ მოგვიანებით საუბრისას მან თქვა : „ მინდა, რომ გადავრჩე.“ მე მას ვუქადაგე წმინდა წერილიდან და ჩვენ ერთად მივიყვანეთ ჰეტი იესოსთან. მე რომ დენისა და კიმის გარეშე შევხვედროდი და დამემოწმებინა ჰეტისთვის, მეეჭვება დიდი ეფექტი ჰქონოდა ამას, თუმცა ერთად, ჩვენ, ქრისტეს მოწმეებმა, ეს შევძელით.

4. ქრისტიანული გაერთიანება არის ღმერთის საშუალება გარდაგვსახოს თავისი ძის ხატებაში.

ბევრმა მორწმუნემ ტკივილი განიცადა ადგილობრივ ეკლესიაში და ამიტომ მათ მიატოვეს ყველა ეკლესია, გადაწყვიტეს რა, რომ არ ყოფილიყვნენ რომელიმეს წევრი. შესაძლოა ისინი დაესწრონ რამოდენიმე მსახურებას, თუმცა აქტიურად არ იღებენ მონაწილეობას არაფერში. რასაც ისინი ხშირად ვერ ხვდებიან არის ის, რომ როდესაც ისინი ტოვებენ ქრისტიანულ ერთობას (ეკლესიას), ისინი უარს ამბობენ, ღმერთის მიერ მათი განწმენდის შესაძლებლობაზე.

თუ თქვენ გსურთ გახდეთ მეტად გამცემნი, მიძღვნილნი, მხიარულნი, მოსიყვალულენი, მეტად დაემსავსებით ქრისტეს, მაშინ უნდა უკავშირდბოდეთ მის ოჯას რეგულარულად. ეკლესიური თაყვანისცემისას, მცირე ჯგუფური მოწაფეობისა და ერთი ერთზე ანგარიშვალდებულების აღებით, ჩვენ თანდათანობით ვიქცევით იმ ხალხად, როგორიც ღმერთმა ჩაიფიქრა და შეგვქმნა. მაგრამ რომელი სახის ეკლესია გარდაგვქმნის ყველაზე მეტად?

[619] 1კორინთელთა 3:6

გარდამქმნელი ეკლესიები

A. ტრანსფორმაციული გაერთიანებები მიმღებნი არიან.[620]

ადრეულ ეკლესიებს ჰქონდათ დავა, მაგალითად, რომაელთა 14 თავში, ვხედავთ, რომ ეკლესიებს შორის იყო დაყოფა „საეჭვო საკითხებთან“ დაკავშირებით.[621] ზოგს არ შეეძლო არაკაშერული ხორცის ჭამა, ზოგი კი ჭამდა მას. ზოგი თავს ვალდებულად თვლიდა, რომ დაეცვა ებრაული დღესასწაუები, ზოგი კი არა. ორივე მხარე ერთმანეთს განსჯიდა.[622] ამ ტერმინს, მე-13 მუხლში პავლე მოციქული სამჯერ იყენებს. საზოგადოება იძაბებოდა. რაღაცები უარესდებოდა. რა არის გამოსავალი?

პავლე ამბობს, რომ გამოსავალი მდგომარეობს ერთმანეთის მიღებაში. ამ ტერმინსაც სამჯერ იყენებს იგი. სულიერად ძლიერთ მართებთ: მიიღონ ის, ვინც რწმენაში სუსტია, მაგრამ არ იდავოთ საეჭვო საგნებთან მიმართებაში.[623] სუსტმა უნდა მიღოს ის, ვინც ჭამს, რადგან ღმერთი იღებს მას.[624] და მთლიანი ეკლესიისთვის პავლემ დაწერა : „ ამიტომ მიიღეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ მიგიღოთ თქვენ ღმერთის სადიდებლად.“[625]

ქრისტეს ეკლესია ყოველთვის ძალიან მრავალფეროვანი იქნება, დიდი ცდუნებაა ჩვენს წინ ერთმანეთის გასამართლების სხვადასხვა საკითხებში. პასუხი კი არის, რომ მივიღოთ ერთმანეთი. ეს არ ნიშნავს, რომ დავეთანხმოთ ყველა ქმედებას, ცხოვრების სტილს და სწავლებას, რაც არაბიბლიურია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ატმოსფერო, სადაც ჭეშმარიტი მორწმუნენი, რომელნიც აჩვენებენ ხსნის ნაყოფს, თავს კომფორტულად იგრძნობენ.[626]

ჯონ ვესლიმ ცნობილ ქადაგებაში თქვა, რომ ადამიანის სისუსტისა და გაუგებრობის უცილობელი შედეგია ის, რომ ჩვენ ყველას გარკვეულწილად განსხვავებული აზრი გვაქვს სულიერ საკითხებში. მან თქვა, რომ მთავარი კითხვა, რომელზეც უნდა ვფოკუსირდეთ არის შემდეგი: „ ისეთივე წრფელია შენი გული, როგორც ჩემია შენ მიმართ? თუ ასეა, მაშ მომეცი ხელი.“[627]

მიმღები საზოგადოება არ არის ის, რომელიც შემწყნარებელია ყველაფრის მიმართ, არ ეთანხმება ყველაფერში, არ არიეს ერთნაირი ნიჭებით დაჯილდოებული, მაგრამ სიმართლით და სიყვარულითაა გაერთიანებული.

❓რა არის ის დაბრკოლებები, რაც ხელს გიშლით, რომ იყოთ მიმღები პიროვნება ან ეკლესია?

---

[620] მათე 11:34-35; 28:18-20; რომაელთა 15:7
[621] რომაელთა 14:1
[622] Ibid, 14:4, 10, 13
[623] Ibid, 14:1
[624] Ibid, 14:3
[625] რომაელთა 15:7
[626] ნახეთ ასევე მარკოზის 9:35-41
[627] ჯონ ვესლი (John Wesley), კათოლიკური სული (Catholic Spirit)

B. ტრანსფორმაციული გაერთიანებები აღმშენებელია.

ეს პრინციპი ჩვენ კარგად განვიხილეთ ჩვენს კურსში, ეკლესიის სწავლება და პრაქტიკა, ამიტომ აქ ამაზე აღარ გავჩერდები.

1. ბიბლიური სწავლებით და მოძღვრებით
2. ღმერთის ამაღლება - განდიდებით
3. გულწრფელი მოზიარეობით
4. მსახურებრივი ქმედებებით

C. ტრანსფომაციული გაერთიანებები უზრუნველყოფენ ანგარიშვალდებულებას[628]

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ქრისტიანულ ურთიერთობაში. ჩვენ ყველას გვჭირდება ანგარიშვალდებულება, განსაკუთრებით პასტორებს და ქრისტიანულ ლიდერებს. ანგარიშვალდებულება აყალიბებს ხასიათს. ანგარიშვალდებულება ცოდვას უფრო საშიშს ხდის ჩემთვის. იმის ცოდნა, რომ ხალხი ჩემზეა დაყრდნობილი და ღვთისმოსავ საქციელს ელოდება ჩემგან, ვალდებულს მხდის განვიწმინდო საკუთარი თავი.

ანგარიშვალდებულება ზოგჯერ იწვევს დაპირისპირებას. ესეც განწმენდას ემსახურება და მისასალმებელია. ჩვენ ყველას გვჭირდება ადამიანები, რომლებიც გვესაუბრებიან, რჩევას მოგვცემენ. ჩვენ უნდა ვიყოთ გახსნილები და შეგვეძლოს საკუთარი დანაშაულის აღიარება. ანგარიშვალდებულების გარეშე, ჩვენ ვხდებით სულიერად დაუდევრები.

დავით მეფეს სჭირდებოდა სამუელი, რომელსაც დაუპირისპირდებოდა ჭეშმარიტებით.[629] პეტრე მოციქულს სჭირდებოდა პავლე მოციქული, რომელიც ამხელდა მას სახარებისგან გადახვევაში.[630]

1. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, რომ ვიყოთ ანგარიშვალდებულნი წმინდა წერილის წინაშე.

ყოველთვის წერილი!

2. ჩვენ ნაბრძანები გვაქვს, რომ შევაგონოთ ერთმანეთს.

შეგონება არის გაფრთხილება, ფრთხილად ყოფნა და ერთმანეთისთვის მითითება. პავლე ამბობს : „ გააფრთხილე ურჩი ადამიანები.“[631]

„ოღონდ მტრად ნუ ჩათვლით, არამედ ძმასავით დაარიგეთ“- 2 თეს. 3:15

---

[628] კოლასელთა 3:16; 1თესალონიკელთა 5:14
[629] 2მეფეთა 12
[630] გალატელთა 2:11
[631] 1 თესალონიკელთა 5:14

3. ჩვენ უნდა შევთავაზოთ დისციპლინა, რომლიც გულისხმობს საყვედურს, შესწორებას, და მითითებას.

ადრეული მეთოდისტები ანგარიშვალდებულების გავლენის მაგალითს წარმოადგენენ. სულიწმინდის ცხებით, მათი ლიდერი ჯონ ვესლი უქადაგებდა (ძირითადად) გაღატაკებულ, უგულებელყოფილ მამაკაცებსა და ქალებს ღარიბ უბნებში, ქუჩის კუთხეებსა და მინდვრებში მთელს ინგლისში და თითქმის უთვალავი მოქცეული იხილა, და მან აგრეთვე დაინახა, რომ ამ მოქცეულთა დიდი ნაწილი მოწიფული, სულით აღსავსე მოწაფეები გახდნენ. რა იყო ამ წარმატების გასაღები? ის დაჟინებით მოითხოვდა, რომ მოწაფეები ერთმანეთის ერთგულნი და მიძღვნილნი ყოფილიყვნენ.

> ვესლი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ხალხი გაწევრიანებულიყო იმ საზოგადოებებში, რომელთაც (საშინაო) ეკლესიის მსგავსი ფუნქციები ჰქონდათ. დამატებით მათ მოუწოდებდნენ რომ ჩართულიყვნენ სასწავლო ჯგუფში, რომელიც შედგებოდა 12 ადამიანისა და ერთი ლიდერისგან. ყოველ კვირას, ისინი უნდა გამოსულიყვნენ სიტყვით, სადაც გულწრფელად გაუზიარებდნენ სხვებს თავიანთი სულის მდგომარეობას. ვესლი იმდენად სერიოზულად ეკიდებოდა საკითხს, რომ თუ ვინმე გააცდენდა შეხვედრას, მათ აღარ აძლევდა უკან დაბრუნების უფლებას, იქამდე, სანამ არ ჩააბარებდნენ მას ახსნა-განმარტებას, თუ რატომ ვერ შეძლეს გაკვეთილზე დასწრება.
>
> მართალია დღევანდელ სამყაროში ყველგან ვერ იმუშავებს ვესლის ტაქტიკა, თუმცა იმ დროს მუშაობდა. მან ხალხს შესთავაზა მეთოდი (აქედანაა სახელი „მეთოდისტი“), რომ ქრისტეს მსგავსება გაიზარდოს ქრისტიანულ საზოგადოებებში.[632]

ასეთი შეხვედრების მიზანი იყო ღვთის ამ მცნების დაცვა: „ აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ“. ხშირად ასეთი კითხვები ისმევა:

1. რა ცოდვები ჩაიდინეთ ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ?
2. რა ცდუნებებს შეხვდით?
3. როგორ გადალახეთ?
4. რა გაიფირეთ, თქვით ან გააკეთეთ, რაზეც ფიქრობთ [ან დარწმუნებული არ ხართ], რომ ეს ცოდვაა?

საკმაოდ მკაცრი კითხვებია. მაგრამ დაფიქრდით, თუ რამდენად გარდამტეხი შეიძლება იყოს ჩვენთვის ასეთი კითხვები, თუკი ამდენ ინტერესს გამოვიჩენთ ერთმანეთის მიმართ. ჯონ ვესლის დღიური შეიცავს თითქმის შოკისმომგვრელ ჩანაწერს, რომელშიც ის ნანობს, რომ მან ვერ მოაწყო საზოგადოებები და საკლასო შეხვედრები იმავე ქალაქში, სადაც ქადაგებდა. მრავალი სული მივიდა

[632] ჯეიმს ბრაიან სმიტი (James Bryan Smith), The Good and Beautiful Community (Downers Grove: InterVarsity Press, 2010), 138

ქრისტესთან იმ ქალაქში, თუმცა 20 წლის შემდეგ, როცა ჯონი დაბრუნდა თითქმის არ ჩანდა არანაირი ნაყოფი. მან თქვა :

> „მე, როგორც არასდროს, უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ მოციქულივით ქადაგებაც კი გამოღვიძებულთა ერთად შეერთების და მათთვის ღვთის გზების სწავლების გარეშე,
>
> მხოლოდ ბავშვის გაჩენას გავს სიკვდილისთვის. რამდენი ქადაგება ყოფილა ამ ქალაქში... თუმცა არავითარი ნორმალური საზოგადოება, არანაირი დისციპინა, არანაირი წესრიგი და კავშირი. და სწორედ ამის შედეგია ის, რომ ათიდან ცხრამ, ვინც ერთ დროს გამოიღვიძა, ახლა იმაზე ღრმად სძინავთ, ვიდრე ოდესმე.[633]

ეკლესია ანგარიშალდებულების გარეშე, ემოციური და ზედაპირულია. დოქტორი დენის კინლოუ თვლის, რომ მე და შენ გვჭირდება სხვა მორწმუნეებთან ანგარიშვალდებულება, რათა დავინახოთ ჩვენი საკუთარი გულის საჭიროებები. იგი წერს:

> „დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტიანული საზოგადოების ეს საჭიროება იყო ჯონ უესლის მიერ ადრეული მეთოდიზმის... კლასების შექმნის საფუძველი. არ მგონია, რომ არსებობდა სიწმინდის სწავლების უკეთესი გზა. ამ შეხვედრებმა გამოავლინეს ვიღაცის ხორციელებას და ვიღაცის საკუთარი ინტერესების გატარების ტირანია. ჩვენ, ჩვეულებრივ ეკლესია მიგვაჩნია ერთმანეთის რწმენის აღმშენებლობის ადგილად, მაგრამ ეკლესია აგრეთვე არის გამოცდის/თვით-გამოკვლევის და გახსნის/გამოაშკარავების ადგილი. ეს ეკლესიური ცხოვრების მტკივნეული ნაწილია, რაც ხშრად არ მოგვწონს ხოლმე, თუმცა ძალიან აუცილებელია. საზღვარგარეთის მისიების სფეროში, მისიონერების უდიდეს პრობლემას არა ურწუნოები წარმოადგენენ, არამედ სხვა მისისონერები. ეს არის ღვთიური გეგმის (ჩვენი განწმენდის) ნაწილი.[634]

პრაქტიკული რჩევა ეკლესიურ გაერთიანებაში/საზოგადოებაში მონაწილეობისთვის

1. გახდით ხელმისაწვდომი სხვებისთვის და თქვენი ეკლესიური ოჯახისთვის.

2. ხშირად შეახსენეთ თავს, თუ რამდენად ძვირფასია ეკლესია ქრისტესთვის და მოექეცით ერთმანეთს, როგორც ოჯახის წევრებს.

3. აიღეთ ქრისტეს სხეულში პასუხიმგებლობა, თუნდაც ეს ტუალეტების დასუფთავება იყოს!

4. იყავით მიძღვნილნილნი, მაშინ როცა გსიამოვნებთ და მაშინაც, როცა არა.

5. გახდით სხვების მიმართ გახსნილი. თუ მამაკაცი ხარ, ღვთისმოსავ სხვა მამაკაცთან მეგობრობა და ანგარიშვალდებულება ეძიე. თუ ქალი ხართ, გაუზიარე შენი ცხოვრება სხვა ღვთისმოსავ ქალბატონს.

---

[633] Ibid, 139

[634] Kinlaw, 65-66

6. როდესაც თაყვანისცემისთვის შეიკრიბებით, გააკეთეთ ეს მთელი გულით.

7. როდესაც თქვენს ადგილობრივ ეკლესიაში პრობლემებია, იყავით გამოსავლის მოძებნის მონაწილე.

ბოლო დავალება

შეხვდით თქვენს თანაკლასელებს, და ერთად განიხილეთ, რა მოგცათ ამ სულიერმა გაკვეთილებმა და რა გაგიხსნათ ღმერთმა ამ გაკვეთილებიდან, რასაც თქვენს ცხოვრებაშ შეცვლით და პრაქტიკაში გაატარებთ.

ჩავულრმავდეთ

სმიტი, ჯეიმს ბრაიანი (Smith, James Bryan). *The Good and Beautiful Community*. Downers Grove, IL: InterVarsity Press, 2010.

ტესტი 14 გაკვეთილისთვის

1. ვინ არის ეკლესია?

2. ეფესელთა 4:11-13- ის თანახმად, რა მიზნით გადაეცა ეკლესიას სულიერი ნიჭები?

3. დაახლოებით რამდენჯერაა ნახსენები წმინდა წერილში „ ერთმანეთი“?

4. დაასრულეთ წინადადება: იესო მოვიდა, რათა შეცვალოს _____ რა მხოლოდ გადაარჩინოს _____.

5. დაწერეთ სამი საილუსტრაციო შედარება, რითაც აღწერთ ეკლესიას.

6. რა არის ტრანსფორმაციული ერთობის/ეკლესიის სამი მახასიათებელი, რომელიც მოცემულია ამ გაკვეთილში?

7. რა იყო ხშირად დასმული ოთხი კითხვა, ჯონ ვესლის მიერ დაფუძნებულ მეთოდისტების კლასის შეხვედრებზე?

შეფერდს გლობალ ქლასრუმ კურსების აღწერა

<u>დოქტრინალური საფუძვლების კურსები</u>

ქრისტიანული მრწამსი

ეს არის სისტემატიზებული თეოლოგიის კურსი, რომელშიც აღწერილია ქრისტიანული მოძღვრებები ბიბლიის, ღმერთის, ადამიანის, ცოდვის, ქრისტეს, ხსნის, სულიწმინდის, ეკლესიისა და უკანასკნელ მოვლენების შესახებ.

რომაელები

ეს კურსი ასწავლის ხსნის თეოლოგიას და მისიებს, როგორც განმარტებულია რომაელთა წიგნში, განიხილავს რამდენიმე საკითხს, რომლებიც სადავო იყო ეკლესიაში.

ესქატოლოგია

ეს კურსი ასწავლის დანიელისა და გამოცხადების ბიბლიურ წიგნებს, წინასწარმეტყველური წერილების სხვა მონაკვეთებთან ერთად და ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან მოძღვრებებს, როგორიცაა ქრისტეს დაბრუნება, უკანასკნელი სამსჯავრო

წმიდა ცხოვრების დოქტრინა და პრაქტიკა

ამ კურსში მოცემულია წმინდა ცხოვრების ბიბლიური აღწერა, რომელსაც ღმერთი ელის და ძლასაც აძლევს ქრისტიანს.

ეკლესიის დოქტრინა და პრაქტიკა

ეს კურსი განმარტავს ღმერთის ჩანაფიქრსა და გეგმას ეკლესიისა და ბიბლიური თემების შესახებ, როგორიცაა ეკლესიის წევრობა, ნათლობა, ზიარება, მეათედი და სულიერი ლიდერობა.

<u>ბიბლიის შესასწავლი კურსები</u>

ძველი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ძველი აღთქმის 39 წიგნის არსებით შინაარსს და სწავლებებს.

ახალი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ახალი აღთქმის 27 წიგნის არსებით შინაარსსა და სწავლებებს.

ბიბლიური განმარტებების პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ბიბლიის სწორად განმარტების პრინციპებსა და მეთოდებს, რათა ამან განსაზღვროს ჩვენი ცხოვრება და ღმერთთან ურთიერთობა.

<u>მახარებლობისა (ევანგელიზაციის) და მოწაფეობის კურსები</u>

აპოლოგეტიკის შესავალი

ეს კურსი ასწავლის ქრისტიანული მსოფლმხედველობის სამეცნიერო, ისტორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს და აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება ქრისტიანული სარწმუნოება გონიერებას და რეალობას.

მსოფლიო რელიგიები და კულტები (ცრუ რელიგიები)

ეს კურსი უზრუნველყოფს სახარებისეულად მორწმუნეს მოძღრებების სწორი გაგებით და სათანადო პასუხებით თვრამეტი რელიგიური ჯგუფისათვის.

ბიბლიური ევანგელიზმი და მოწაფეობა

ამ კურსში მოცემულია ბიბლიური პრინციპები, რომლით ხელმძღვანელობაც შესაძლებელია მახარბელობის (ანუ ევანგელიზაციის) მეთოდებში. ის აღწერს მახარებლობის ფორმებს და გთავაზობთ გაკვეთილებს, რომლებიც უნდა გამოიყენოთ ახალმოქცეულთა მომოწაფებისთვის.

სულიერი ფორმირება

ამ კურსში სტუდენტები სწავლობენ: როგორ იქონიონ იესოს ზრახვანი, ღმერთთან ისეთივე კავშირი და ერთობა, როგორც იესოს აქვს მამასთან; თავის დამდაბლებას იესოს მსგავსად; იესოს სულიერი და პირადი დისციპლინების დაცვას, რათა იესოს მსგავსად გაუძლონ ტანჯვას და ჩაერთონ იესოს მიერ ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ ერთობაში (ეკლესიაში).

პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება

ამ კურსში ხდება ბიბლიური პრინციპების მისადაგება ფულის, ურთიერთობების, გარემოს, მთავრობასთან ურთიერთობის, ადამიანის უფლებებისა და პრაქტიკული ცხოვრების სხვა სფეროების გამოყენებასთან.

<u>ქრისტიანული ლიდერობის კურსები</u>

ლიდერობა მსახურებაში

ეს კურსი ხაზს უსვამს ქრისტიანულ ხასიათს, ხოლო ლიდერებს ასწავლის ორგანიზაციებს გაძღოლას, ფასეულობების აღმოჩენის, მიზნის რეალიზების, ხედვის გაზიარების, ამოცანების დასახვის, სტრატეგიის დაგეგმვის, მოქმედების და მიღწევების განცდის საშუალებით.

იესოს ცხოვრება და მსახურება

ეს კურსი შეისწავლის იესოს ცხოვრებას, როგორც ნიმუშს 21–ე საუკუნის მსახურებისა და ხელმძღვანელობისთვის.

და ღვთის მარადიული სამეფო.

კომუნიკაციის პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ურთიერთობების თეოლოგიას, ეფექტური მეტყველების მეთოდებს და ბიბლიური ქადაგების მომზადების და წარდგენის მეთოდებს.

ქრისტიანული თაყვანისმცემლობის შესავალი

ამ კურსში განმარტებულია, თუ როგორ მოქმედებს თაყვანისცემა მორწმუნის ცხოვრების ყველა ასპექტზე და მოცემულია პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოთ ინდივიდუალური და კრებულში ერთობლივი თაყვანისცემის დროს.

<u>ეკლესიის ისტორიის კურსები</u>

ეკლესიის ისტორია I

ეს კურსში აღწერს, თუ როგორ შეასრულა ეკლესიამ თავისი მისია და დაიცვა ძირითადი დოქტრინა ადრეული ეკლესიის დროიდან რეფორმაციამდე.

ეკლესიის ისტორია II

ამ კურსში აღწერილია, თუ როგორ იზრდებოდა ეკლესია და როგორ ხვდებოდა სირთულეები რეფორმაციის დროიდან დღემდე.